საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ვერა ბარდაველიძე

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები

ტომი II,1

ხევსურეთი

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი 1982

902.7 (C 41)
63.5 (2 Г)
902.7 (47.922)
ბ 264

„აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლების“ II ტომში მოთავსებულია ხევსურეთის მასალა, იგი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველში მოცემულია ,ხევსურეთის საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრების აღწერილობა. აღწერილობასთან ერთად ავტორი ცდილობს დაადგინოს ძეგლების კონსტრუქციული თავისებურებები და გაარკვიოს მათი სოციალურ-იდეოლოგიური დანიშნულება. მეორე ნაწილში ასახულია ძეგლების ფოტოგადაღებები და არქიტექტურული ანაზომები.

რედაქტორი გ. ჩიტაია

ბ $\frac{10602}{М\ 607\ (06)—82}$ 180—81 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982 წ.

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომის „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები“ მეორე ტომის პირველ ნაწილში შესულია ხევსურეთში შესწავლილი ძეგლები. მასალა დალაგებულია ხეობების მიხედვით. პირველ რიგში აღწერილია სახევსურეთო ცენტრალური ხატები, მეორე რიგად მიდის სახეობო და სასოფლო ჯვარ-ხატები.

პირაქეთა ხევსურეთში შემდეგი ხეობებია: 1. არაგვის ხეობა — 17 ხატი და ხატის კომპლექსი; 2. ლიქოკის ხეობა — 8 ხატი და ხატის კომპლექსი; 3. ბისო-ხახმატის ხეობა — 7 ხატი და ხატის კომპლექსი; 4. გორშაღმის ხეობა — 5 ხატი და ხატის კომპლექსი და 5. წყალსიქითი ხეობა — 6 ხატი და ხატის კომპლექსი.

პირიქითა ხევსურეთში შედის: 1. გურო-შატილის ხეობა — 4 ხატი და ხატის კომპლექსი; 2. მიღმა ხეობა — 9 ხატი და ხატის კომპლექსი და 3. არხოტის ხეობა — 12 ხატი და ხატის კომპლექსი.

იმის გამო, რომ ხევსურეთში საკულტო ძეგლების შესწავლა მიმდინარეობდა ხანგრძლივი დროის მანძილზე, ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეული ძეგლის მდგომარეობა აღნუსხულია სხვადასხვა წლების მონაცემების მიხედვით. მაგალითად, ხახმატის ჯვარ-ხატები აღწერილი იყო ჯერ კიდევ 1929 წელს, ხოლო შემდეგ 1952 წელს და 1962—1963 წლებში. ამის გამო ძეგლების განსხვავებული მდგომარეობაა გათვალისწინებული. სულ აღწერილია 79 ჯვარ-ხატის კომპლექსი. ამათგან წმინდა გიორგის სახელობის ჯვარ-ხატის 13, ღვთისმშობლისა — 11, მთავარანგელოზისა — 15, ადგილისდედისა — 4, სანების — 3, გერგეტის — 1, კარატეს — 1, იახსრის — 1, შიგან ჯვარის — 1, ფიცრულის — 1, ბროლის კალოსი — 1, ვაკის — 1, ლაშარის — 1, ჯაჭველ ხმელის გორის — 1, ჭიშველის — 1, მთის ვეშაგ წყაროსთავის — 1, გიგაურების — 1, ახალაურთ კლდის — 1, რკენის — 1, პეტრე ნიაღვრის პირის— 1, ზეზე ხატი — 1.

ხატების დასახელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ეპითეტებს, რომლებიც მათ სახელებს ახლავს. წმ. გიორგის ხატის ეპითეტებია: გუდანის, ჩირდილის, აკუშოს, შუბნურის, ჭორმეშავის, ხახმატის, ბოსლოვანის, თეთრი გიორგი მინდვრისა, მუხის, სომხოზის, ჭალაურის, წყაროსგორულის, კარის მეზობლის, მეკენგორ მობურთალის და სხვ. მთავარანგელოზის ხატის ეპითეტებია: მოწმაოს, ნაბაკურის, დათვისის, გველეთის, ბუჩუკურთას, ფუძის, ხმალას, ცროლის, გაღმა როშკას, ბლოს, შატილის, თავადი ბეღლის, ხონის გორის, ახიელას, ქვექვურის, სვეტის. ღვთისმშობლის ეპითეტებია: ნახარელას, დათვისის, გველეთის, ზენბარისახოს, ჩირდილის, ბუჩუკურთას, ქობულოს, აკუ-

შოს, ღელისვაკის, ნახარელას, არდოტის. იახსრის ეპითეტებია: ამღის სვეტად ჩამოსულისა და ჭალაისოფლისა.

როგორც აღნიშნული იყო ჩვენ მიერ I ტომის შესავალში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარი და ხატი სინონიმებია და აღნიშნავენ როგორც ამა თუ იმ ტომისა და თემის მფარველ ბატონ-პატრონ ღვთისშვილებს, ისე ამ ღვთისშვილის მიწიერ საბრძანისს. ამის გამო ტექსტში, ზოგ შემთხვევაში ნახმარია ჯვარი, ხოლო სხვა შემთხვევაში ხატი, ხევსურეთში ორივე ტერმინი თანაბრად იხმარება. გვხვდება აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ორივე ერთადაა გამოყენებული (ჯვარ-ხატი). ამას გარდა, არის შემთხვევები, როდესაც ტექსტში ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ვარიანტითაა აღნუსხული (მაგალითად—სომხოზი, სომხოსი) იმის შესაბამისად, თუ მთხრობელის მეტყველებაში რომელია მოცემული. ხელნაწერ წყაროებზე მითითებისას ჩვენ მიერ გამოყენებულია ლიტერი M, რაც მიუთითებს ხელნაწერებზე, რომლებიც დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში.

წიგნი იბეჭდება ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

ПРЕДИСЛОВИЕ

В первую часть второго тома данного труда «Традиционные общественно-культовые памятники горной Восточной Грузии» вошли памятники, изученные в Хевсуретии. Материал разложен по ущельям. В первую очередь описаны центральные хевсурские святилища, далее идут ущельные и сельские святилища.

В Пиракетскую Хевсуретию входят следующие ущелья: 1. Арагвское ущелье — 17 святилищ и их комплексов; 2. Ликокское ущелье — 8 святилищ и их комплексов; 3. Бисо-Хахматское ущелье — 7 святилищ и их комплексов; 4. Горшагмское ущелье — 5 святилищ и их комплексов; 5. Цхалсикитское ущелье — 6 святилищ и их комплексов.

В Пирикитскую Хевсурети входят: 1. Гуро-Шатильское ущелье — 4 святилища и их комплексов; 2. Мигмахевское ущелье — 9 святилищ и их комплексов и 3. Архотское ущелье — 12 святилищ и их комплексов.

Ввиду того, что изучение культовых памятников в Хевсуретии происходило длительное время, в некоторых случаях состояние памятника показано по данным разных лет. Например, Хахматское святилище было описано еще в 1929 году, после в 1952 г., а также в 1962—1963 годах. По этому, в работе предусмотрено разное состояние памятников. Всего изучено 79 святилищных комплексов. Из них 13 святилищ имени святого Георгия, 11 — имени богоматери, 15 — имени Архангела, 4 — имени Адгилисдеда, 3 — имени Санеба, по одному — имени Гергети, Карате, Иахсари, Шиган джвари, Пицрули, Пиркуши, Сагмрто хати, Дидгори, Боснис гориса, Бролис кало, Вакиса, Лашари, Джачвел Хмел гориса, Мтис Вешаг Цхаростависа, Гигауров, Ахалаурт клдиса, Чишвели, Ркени, Петре Ниагврис пириса, Зезе.

Большое значение имеют эпитеты, которые сопровождают названия хати. Эпитетами св. Георгия являются: Гуданис, Чирдилис, Акушос, Шубнурис, Чормешавис, Хахматис, Бословаис, Тетри Гиорги Миндврис, Мухис, Сомхозис, Чалаурис, Цхаросгорули, Карис Мезобели, Мекенгор Мабуртали и др. Эпитетами Архангела являются: Моцмаос, Набакурис, Датвисис, Гвелетис, Бучукуртас, Пудзис, Хмалас, Цролис, Гагма Рошкас, Блос, Шатилис, Тавади Беглис, Хонис горис, Ахиелас, Квеквурис, Светис. Эпитеты богоматери: Нахарела, Датвисис, Гвелетис, Зенбарисахос, Чирдилис, Бучукуртас, Кобулос, Акушос, Ге-

лисвакис, Ардотис. Эпитеты Иахсара: Амгис светад Чамосули и Чалансоплиса.

Как мы уже отмечали в предисловии I тома, у горцев Восточной Грузии термины джвари и хати — синонимы. Они обозначают не только божеств-покровителей и повелителей той или иной фамилии или племени, но и их земные обиталища. Поэтому, в тексте в некоторых случаях использован термин джвари, в других же — хати. В Хевсуретии эти термины употребляются в равной мере, бывают случаи, когда используются оба вместе (джвар-хати). Кроме того, иногда в тексте одно и то же слово дается в разных вариантах (например, — Сомхози и Сомхоси), смотря по тому, как их в своей речи употребляют информаторы. Для ссылки на рукописи нами употреблен литер М, который указывает на рукописи архива Института истории, археологии и этнографии Академии Наук Грузии, отделение этнографии Грузии.

Книга печатается после смерти автора.

ხევსურეთი

I. სახევსურეთო ცენტრალური ჯვარ-ხატები

1. სახმთო გუდანის ჯვარი, სოფ. გუდანი, ზენუბანი

საღმრთო გუდანის ჯვარი (ტაბ. 1—2) მოთავსებულია სოფელ გუდანისა და სოფელ ზენუბნის საზღვარზე. გუდანის საღმრთოს შენობებს შეადგენს: 1) „ბ ე ღ ე ლ ი“ — ოთხკუთხა, მშრალად ნაგები შენობა საბძლის ტიპის ორფერდა სახურავით, რომელიც თუნუქითაა გადახურული და სახურავის ზურგზე შემკობილია სიგრძეზე ჩამწკრივებული სამი თუნუქისავე ჯვრით; ერთი ჯვარი ზურგის ცენტრშია, ორი დანარჩენი ნაპირებზე (კიდურებზე). თითოეული ჯვრის ფრთებზე ჩამოკიდებულია 4—4 ცალი პაწაწინა ზარაკა. ბეღელს კარი აქვს ჩრდილოეთით. კარი ხისაა, დაბალი. სამხ.-დას. და ჩრდ.-აღმ. კედლები მაღალია და შუაზე აწვერილი ისე, რომ სახურავი პირდაპირ ამ წვერებს ეყრდნობა და ამის წყალობით იგი ორფერდა ფორმას ღებულობს. სამხ-დას. კედელში ვიწრო სარკმელია.

ბეღელში ხის იატაკია დაგებული, ჭერი არა აქვს, პირდაპირ ხის კოჭებზე გამართულია სპილენძის სახურავი, ბეღლის დასავლეთ კედლის ცენტრში პატარა ს ა კ ო მ ი ა ხის ჩარჩოში, ხისავე დარაბით. მასზედ მიყუდებულია მოგრძო ფორმის, სპილენძის მოკალული ოთხკუთხა სუფრა, რომელსაც ერთი ფეხი მოტეხილი აქვს. კარიდან მარჯვნივ სამხრეთის კედელთან დასავლეთისაკენ ხის სკამია, რომელიც დასავლეთის კედლის გასწვრივაც გრძელდება. სამხ.-დას. კუთხეში პატარა სიპის თაროა, სადაც დევს ალუმინის ქვაბი ხელსახოცებით პირამდე სავსე. აქვეა ამპირის სტილის შანდალი. ასეთივე თაროა ჩრდ.-დას. კუთხეში, სადაც უბრალო, სპილენძის პატარა შანდალი დევს. ჩრდ. კედლის გაყოლებაზე დგას ჯვრებითა და ბორჯღალებით მდიდრულად ორნამენტირებული ხის სკამი. სკამიდან მარცხნივ აღმოსავლეთისაკენ დაბალი კარადაა ცენტრში პატარა, ოთხკუთხა სარკმლით. აღმ. კედლის გაყოლებაზე ჩრდ.-სამხრეთისაკენ განიერ ხის თაროზე დევს სახორცე ქვაბის ქაფქირი, სპილენძის თულუხი, სპილენძის ქვაბი შიგ ხელსახოცებითა და სანთლებით, უტარო ჩიბუხი, სპილენძის საწვნე და პატარა ზომის თასი, არყის ჭიქა. თასის თავზე, ხის ჩხირით კედელში დამაგრებულია ორი რკინის ჩანგალი და ორი ოდნავ გასანთლული თეთრი ძაფი. თაროზეა აგრეთვე პატარა სპილენძის ქვაბი ხელსახოცებით. მას სახურავი ახურავს და ზემოდან ორი ქვა ადევს. თაროს ქვემოთ დევს ხის ცარიელი კასრი, რომელზედაც დამხობილია ქისტების მიერ გაკეთებული სპილენძის მრგვალი სამფეხა სუფრა,

საშუალო ზომის სპილენძის „შეკერილი“ ქვაბი. ბეღლის ცენტრში ხის იატაკზე, სიპებზე შუაცეცხლია მოწყობილი, თავზე საკიდლით.

ბეღელში შესასვლელ კარიბჭის თავის ქვაზე გარედან (ბეღლისკარიდან) ამოკაწრულია ვასო ბურდულის წარწერა: „მე ავაშენე და ხალხს დარჩესო“. ბეღელში ორ კედელს გასდევს გრძელი ორნამენტირებული სკამი, ჯვარიონთათვის განკუთვნილი. დასავლეთის კედელს მთელ სიგრძეზე გასდევს ერთი ფიცრისაგან ნაკეთები თარო. აქვე კედელში ჩარჭობილია შამფური, ხორცის საკიდი რკინის კაუები და სხვა წვრილმანი ნივთები. ბეღელში დაგებულია ხის იატაკი. შუაში ხის იატაკი ფიქალით არის მოკირწყლული, — ესაა კერის ადგილი. კერაზე ზემოდან ჩამოშვებულია ჯაჭვი ქვაბის ჩამოსაკიდებლად. აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლების გასწვრივ განლაგებულია ხევსურული ორნამენტით დამშვენებული ხის სავარძლები. აქვე ინახება ოთხკუთხა და მრგვალი ფორმის საკურთხევლები, ქვაბები და სხვა ინვენტარი. ამათგან მრგვალი საკურთხევლები სამფეხიანებია. აქვეა კარადის მსგავსი ბრტყელი და მაღალი დგამი, რომელშიც ინახება ქვამარილი, სხვადასხვა წვრილი ნივთები და სამეურნეო საგნები. ბეღელში, კედლის თავსა და სახურავს შორის გადებულია დროშის ტარი, რომელიც როგორც მისი წარწერიდან ჩანს, გაკეთებულია ყუდია ჭინჭარაულის მიერ და შეწირული გუდანის ბეღლისკარისათვის. დროშის ტარზე შემდეგი წარწერაა ამოკვეთილი: „1962 წ. ყუდია ჭინჭარაულისაგან. ბეღელისკარს“. ტარის ვიწრო ნაწილში დიდი ვერცხლის ბეჭედია დაჭედებული; ტარის სიგრძე 1,75 მ. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, ყუდია ძალიან კარგი ხის ოსტატია, ცხოვრობს თიანეთის რაიონის სოფელ საჭურეში.

ბეღელს ჩრდ.-აღმ. მხრიდან აქვს ოთხკუთხა გალავანი. გალავანს შიგნიდან აკრავს ფიქალის გრძელი სკამები. ბეღლის კარის გასწვრივ გალავანი მაღალია. კარის მახლობლად მას (გალავანს) შუკუმი აქვს დატანებული. ამ შუკუმში შეწყობილია ზარები და ირმის რქები. გალავნის ცენტრში ოთხკუთხა ფორმის ქვის კვარცხლბეკია. გალავანში შესასვლელთან ერთ-ერთ ქვაზე მკრთალად ამოკვეთილია ადამიანის ორი ხელი. ასეთივე ხელების გამოსახულებანი შეიმჩნევა ბეღლის ჩრდ.-დას. კედელში დატანებულ ქვის ზედაპირზე, — აქ გამოყვანილია ადამიანის გაშლილი ხელი ჰორიზონტალურ მიმართულებაში და ვერტიკალურად დაყენებული ადამიანის გამოსახულება. უკანასკნელს გახაზული აქვს ძუძუები და სასქესო ორგანო. სურ. №№ 1, 2, 3, 4, 5. აქვე, გვერდით დატანებულ ქვის ზედაპირზე გამოყვანილია არშია. იგი შედგება „გაკიდული კვერილების“, ანუ ჯვარედინებისა და სწორი ვერტიკალური ხაზების მწკრივისაგან (იხ. ცალკე ფურცელზე გადაღებული გამოსახულებანი ნატურალური ზომისა). ბეღლის ამავე კედელს ჯიხვის რქები და დიდი ზომის ზარები ამკობს.

ბეღელს აქვს სარდაფი, სამხ.-დას. მხრიდან გაჭრილი კარით. კარი და თვით ეს შენობა მეტად დაბალია. ამ სარდაფს „საკოდე“ ეწოდება. მასში კაცი ვერ გაიმართება. ალბათ ამიტომაა, რომ საკოდეში მოთავსებული ექვსი ცალი მთლიანი ხისაგან გამოჭრილი დიდი კოდი ყველა წაწვენილია ერთიმეორის გვერდით, მწკრივად. ერთი კოდი, შედარებით მცირე ზომისა და სპილენძისაა.

ბეღლის გალავნის გვერდზე აღმართულია მშრალად ნაგები ორსართულიანი შენობა (ტაბ. 3, 4) ფასადით სამხ.-დას. ქვემო ერთთვლიანი სართული წარმოადგენს „ს ა დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ო ს“. მას ფასადის მხარეს აქვს ხის განიე-



სურ. 1.

რი ორგვერდიანი კარები და სარკმელი. სადიასახლო ამავე დროს „ს ა ქ ვ ა - ბ ე ც“ არის. მას ჩრდ.-აღმ. კედელში დატანებული აქვს ბუხარი, რომელშიც

მოწყობილია ქვაბის საკიდელი ჯაჭვი. ბუხრის გვერდით ღუმელია, ხოლო ღუმლის გვერდით მოწყობილია ცეცხლის დასანთები, ზედ დადგმულია, უზარმაზარი სპილენძის სალუდე ქვაბი. იქვეა ხის გრძელი ტაბლები, ძველებური ტიპის ლათბა, მთლიანი ხისაგან გამოკვეთილი კოდები—3 ცალი, ჩხუ-



ნატურ. ზომის 1/2.

სურ. 2.

ტები, საღვინე თუ საარაყე ახალი ტიპის კასრები რკინის ონკანებით და სხვა უამრავი ჭურჭლეული დიდი და მცირე ზომისა, რომლებსაც სადიასახლოს ანუ საქვაბის ფართობის ორი მესამედი უჭირავს. ჩრდ.-აღმ. კედელთან ჭერი ოთხკუთხად არის გამოჭრილი და ზემო სართულიდან მასზე ეშვება მისივე

ზომის ხის საფარი. ეს ოთხკუთხედი „საკომს“ წარმოადგენს. საკომზე მიდგმულია კიბე, რომელიც ქვემო სართულს (საქვაბეს) ზემოსართულს უკავშირებს.

შენობის ზემო ნაწილი აგრეთვე ერთთვალიანი სართული, წარმოადგენს



ნაბურ. ზომის 1/2

სურ. 3.



სურ. 4.

ე. წ. „ჰეროს“. ჰეროს აქვს ჰერი და ორფერდა (საბძლური ტიპის) თუნუქის სახურავი, მისი იატაკი ხისაა, ფასადის მხარეს კედლის შუა ნაწილში დატანებულია სარკმელი. ასეთივე სარკმელი მოწყობილია მოპირდაპირე კედელ-

ში. ჭეროს ცენტრში აწყვია ქვები, რომლებზეც დაყრილია ნაცარი; როგორც ჩანს, ეს ადგილი კერას წარმოადგენს. კერასთან დგას ხის გრძელი მერხები. ირგვლივ უწესრიგოდ განლაგებულია ხისა და სპილენძის ჭურჭელი — თუნგები, თუჯიები, ქვაბები, კასრები და სხვ. ჭერო დაბალია, ჩრდ.-დას. მხარეს აქვს ხის დაბალი კარი.



სურ. 5·

ჭ ე რ ო ს აქვს ორი შესასვლელი: ერთი შიგნიდან, საქვაბე — სადიასახლოდან ასასვლელი, რომელიც ხევისბერ გადუას ჯვარის უკანასკნელი შეკეთების დროს, როგორც ჩანს, თითქმის მოუშლია (პატარა, ვიწრო, მეტად საწვალებელი ასაძრომია დარჩენილი) და მეორე გარედან, დასავლეთის კედელში დატანებული კარიდან, რომელზე ასასვლელად საჯელოსნოს კედელს ამ მხრიდან მიყრილი აქვს მიწა. ჭეროს აქვს შუაცეცხლი — ამ ადგილას ხის იატაკზე დაყრილია მიწისა და ნამწვარი ღველფის სქელი ფენა. შუაცეცხ-

ლის მახლობლად დადგმულია ხის გრძელი სკამი. აქვე იატაკზე მოთავსებულია უამრავი თუნგები, თულუხები და სხვ. მისთანანი. ამ დიდი ოთახიდან გადიხართ მცირე ოთახში, სადაც დგას ჯელოსანთათვის დღეობებში ღამის სათევად მოწნული საწოლები — ჯინები.

ამგვარად საღმრთო გუდანის ჯვარის შენობებია: ბეღელი, საკოდე — ბეღლის ქვედა სართული, სადიასახლისო ანუ საქვაბე და ჭერო, რომელიც სადიასახლისოს ზედა სართულს წარმოადგენს. ბეღელში მხოლოდ მ ე რ ი-გ ე ნ ი შედიან, სხვას იქ შესვლა არ შეუძლია. სადიასახლისოში თავს იყრიან დასტურები და დიასახლისები, ხოლო ჭეროში ჯელოსნები გროვდებიან. ყველა ამათი ჯვარში შეკრება დღეობის დროს ხდება. სხვა დროს ჯვარში არავინ მივა — არ შეიძლება (M¹ რვ. 4. გვ. 141—142. 149—150)*.

ბეღელში შესვლა შეეძლოთ მარტო გამძღოთ, ე. ი. ხუცესებს, ძილი კი მათაც ეკრძალებათ. ისინიც ჯელოსანთან ჭეროში იძინებდნენ. ჭეროს დაბლა იყო საბერო. საბეროში კი ორი დიასახლისი და დასტურები იყვნენ.

ს ა ხ მ თ ო გ უ დ ა ნ ი ს ჯ ვ ა რ შ ი წისქვილის ქვა იყო დაყუდებული. ეს ქვა დარჩენილი იყო კიმკაზაურებისა და ქიჩბარაულებისაგან, როდესაც ისინი ჯვარმა აქედან აყარა.

სახმთო გუდანის ჯვარში ჩემ მიერ აღწერილი ნივთებისა და საგნებისაგან ზოგიერთს ეწოდება (გადუას თქმით): „კარადა“, სადაც ქვამარილის ნაჭრები იყო შენახული, „ტაბლა“, ჭეროს ბოლოში პატარა თვალ ოთახს ჰქვია „საწოლი“ — დღეობებში იქ „მერიგენი“ (ჯვისბერნი) იძინებენ იქვე გაწყობილ „ჩაფსა“ და „ტახტზე“. უკანასკნელი ჩვეულებრივი ხის ტახტია, „პირველი კი წნელისაგან მოწნული გრძელი საწოლი. ორივეზე ლოგინად თივასა ყრიან. „ჯვარის ბეღელში“ არის „ყვერფი“ და ორ შემხვედრ კედლის კუთხეში დატანებული, წინ სამკუთხად გამოწეული თარო — ე. წ. „დუქანი“, რომელიც „თასთ საბრძანია“.

საღმრთო გუდანის ჯვარი მოთავსებულია სოფელ ზენუბნის ფარგლებში იქ, სადაც ეს სოფელი სოფელ გუდანს ემიჯნება. ამ ჯვარის ხევისბრის გადუას თქმით, მან გუდანის ჯვარის საყმოს კომლზე ოთხი კილო ერბო შეაწერა ჯვარის შესაკეთებლად და კიდეც შეაკეთებინა. მართლაც, ჯვარი ახლად შეკეთებული ჩანს. მისი შენობები ახლად გადახურულია თუნუქით, კარ-სარკმლები ზოგი დაცვლილია და ზოგიც შეკეთებულ-შემაგრებული; ასევე შეკეთებული და დასუფთავებულია ბეღლისკარი და სახელოსნოს წინა ფართობი — საქვაბე (სადიასახლისოს) კარიც.

საღმრთო გუდანის ჯვარში ყველა ხევსური ინათლება. ისინი მიდიან გუდანის ჯვარში გასანათლავად ან წელწადს, ან ათენგენას და ან აკვსებას. ხევსური თავის საკუთარ ჯვარშიც ინათლება და გუდანის ჯვარშიც.

გუდანის ჯვარს ხევსურები, ყველა სალოცავზე მეტ პატივს სცემდნენ და მეტი ხალხიც მოდიოდა სალოცავად. აქ მოდიოდნენ უფრო საკუთარი ყმები — ხევსურეთში სამი უდიდესი გვარი — არაბული, ჭინჭარაული და გოგოჭური. საერთოდ ამ სამ გვარს ეწოდება „მაგანძური“. ამ სამი გვარის პა-

---

* M¹—აღნიშნავს ხელნაწერს, რომელიც დაცულია ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში. იხ. ამავე წიგნის ბოლოში გამოყენებულ ხელნაწერთა სია.

პა დასახლებულა გუდანში და მისი შვილების — არაბასა, გოგოჭასა და ჭინ-ჭარისაგან წარმოშობილია სამი გვარი. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ და-აქაურმა ხევისბრებმა გადმომცეს, ამ გვარების წარმოშობის შემდეგ გუდანის ჯვარი გერგეტიდან (მოხევეებიდან) მოსულა და გუდანში დაარსებულა. გერ-გეტიდან იმიტომ წამოსულა, რომ იქაური მორიგენი ვერ წმიდობდნენ — გუდანის ჯვარი კი წმიდობას თხოულობდაო. მორიგეთა უწმინდურობაზე გა-წყრა, იქაურობას თავი დაანება და წამოვიდაო. გუდანში რომ დაარსებულა, ერთი ხნიერი კაცი გაქადაგებულა და გუდანის ჯვარს ყველაფერი ამ კაცის პირით უთქვამს. მას უთქვამს თუ რა იყო საჭირო დაარსებული ჯვარისათვის, კოშკი, ბეღელი, ჭერო და სხვა; აგრეთვე უთქვამს თავისი სახელი: მე წმინ-და გიორგი ვარ, დევ-კერპთა და ვეშაპთან მეომარი და რადგან ახლა ხანში შესული ვარ და თეთრი წვერი მაქვს, ამიტომ ბერი ბაადური მქვიანო. ამას-თონვე დაუწესებია წლიური დღეობები და მისი მოსამსახურენი. ეს ყველა-დ ა თ და მორიგე ღმერთთან აყენებდნენ მის ძალას. გუდანის ჯვარს მაშინვე მოუთხოვია თავისი საარსო ადგილი და მის გარშემო კარგი მამულები. თვი-თოვე დაუწესებია წლიური დღეობები და მისი მოსამსახურენი. ეს ყველა-ფერი ქადაგის პირით ხდებოდა. რა თქმა უნდა, დღეობები პირველად ძა-ლიან დიდი არ ყოფილა და არც ლუდი მზადებულა ბევრი, მაგრამ ხალხი რომ თანდათან გამრავლებულა, დღეობაც ყველანაირად გაზვიადებულა და გაზრდილა. დღეობებში ცვლილებებიც მომხდარა, დაკლებით კი არაფერი დაკლებია, რადგან მაგანძური ბევრი ხალხი ყოფილა და არაფერი გაუძნელ-დებოდათ. აუშენებიათ ყველაფერი ისე, როგორც ქადაგს უქადაგნია.

ერთხელ წასულა სამითხოოდ ხევსურთ ლაშქარი გუდანის ჯვარის დრო-შის ქვეშ. ამ ლაშქარს თან ახლდა სამი ქადაგი. სამივე დასვეს საქადაგოდ და ერთს, სახელად თოთიას, ჯვარი აჰყოლია ვითომ. მას უქადაგნია, რომ გა-მარჯვება არა მაქვს, დაბრუნდით, თორემ ვიზარალებთო. ხევსურებმა თურმე არ დაიჯერეს და უთხრეს: შენ შიშით ჰქადაგობ, ჯვარი კი არ გაქადაგებსო. აბა თუ შიშით ვქადაგებო, აუღია თოთიას დროშა და გასძღოლია ლაშ-ქარს, — რაც მოხდეს ჩემი ბრალი ნუ იქნებაო. წასულან ხევსურნი და მი-თხოვლებს სულ ამოუწყვეტია ხევსურთ ლაშქარი. მას შემდეგ უფრო სარ-წმუნოდ მიაჩნდათ ქადაგის პირით მბრძანებლობა გუდანის ჯვარისა, რად-გან მაშინ თოთიას ქადაგობა ახდა.

როგორც ხევსურებმა გადმომცეს, ასეთივე წესით იქცეოდა თურმე მე-ფე ერეკლე. ხევსურების გადმოცემით ის გუდანის ჯვარის მოძმე ყოფილა. ხევსურეთში რომ მოვიდოდა, „ხევსურთ ჯარში გასაყვანად“, მაშინ პირველად გუდანში ავიდოდა, შევიდოდა გუდანის ჯვარის ბეღელში, იქიდან კი საუბა-რი ისმოდა ერეკლესა და გუდანის ჯვარისაო. ისინი საუბრობდნენ ხევსურთ საჭირბოროტო და აგრეთვე საქართველოს საკითხებზე. გუდანის ჯვარს ხევ-სურნი ვერ ხედავდნენ, ერეკლეს კი პირადად ეცხადებოდა და როგორც მოძ-მეს, ესაუბრებოდა. საუბარს რომ გაათავებდნენ, ერეკლე გამოვიდოდა და გუდანის ჯვარის სურვილს, შეყრილ ხევსურთ უამბობდა. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა გამოსული ერეკლე გამოაცხადებდა გუდანის ჯვარის ბრძა-ნებას: ჩემნი ყმანი ხევსურნი მოემზადენით, ჩემი დროშა ააბით, საქართვე-ლოს მტერი შემოესევა, უნდა დავეხმაროთ, ხთისაგან გამარჯვება ვითხოვე

და მიბოძა. მე ჩემს ფხასისხლიანს ხმალს შევირტყამ და თქვენთან ერთად ომში ვიქნები. როგორც დამბადებელმა მიბოძა, გამარჯვება და დავლა მე და ჩემთ ყმათ დაგვრჩებაო. ერეკლეც თურმე დაჰპირდებოდა ხევსურებს: მხოლოდ თქვენ დამეხმარეთ, მტერზე გავიმარჯვოთ და ვფიცავ ამ ჩემს მოძმე გუდანის ჯვარს, გამარჯვებაც ჩვენი იქნება, რაც დავლა დაგვრჩება, იმასაც მოგცემთ და რაც მოითხოვოთ, ყველა თხოვნას შეგისრულებთო. ხევსურები დაირაზმებოდნენ და ერთიც არ დარჩებოდა წაუსვლელი. ისინი მიდიოდნენ გამარჯვების სრული იმედით. იმედი ჰქონდათ როგორც გუდანის ჯვარისა, ისე მისი მოძმე ერეკლე მეფისა. ხევსურები ამბობენ, რომ ისეთი დაფიცვა ხდებოდა, რომ ხევსურნი სიკვდილამდინ იბრძოდნენო; თურმე თითოობით მივიდოდნენ გუდანის ჯვარის დროშასთან, ამოიღებდნენ ხანჯალს, დროშის ტარზე ჭდეს გააკეთებდნენ და დაიფიცავდნენ: როგორც ეს ჭდე ამოვარდა, ისე ამოვარდეს ჩემობა თუ სამშობლოს გულისათვის სიკვდილამდინ არ ვიბრძოლო და მტერს ზურგი ვუჩვენოო. ასე მტკიცედ მიაჩნდათ ხევსურებს გუდანის ჯვარი და მისი დროშა[1].

გუდანის ჯვარს ვითომც ნისლისფერი ცხენი ჰყავდა და თავისი ცხენით მიეშველებოდა გაჭირვების დროს თავის ყმათ, თუ უკანასკნელი გაჭირვების დროს შემოსძახებდა და დახმარებას თხოვდა.

გუდანის ჯვარის დროშებს (ტაბ. 5) ძველად ყველას შუბები ჰქონდა ჩამოცმული ერთ პირში და მზად იყო საომრად. მერე ერთ-ერთი დროშისათვის შემოიღეს ვერცხლის ჯვარი და ვერცხლისავე ბურთი. ამ სამკაულით ამკობდნენ დროშას. წმინდა გიორგი თვითონ გუდანის ჯვარი ყოფილა. ზოგის თქმით იგი ვითომც მოხუცი კაცის სახით იყო, უმრავლესობა კი ამტკიცებდა, რომ ის იყო თეთრცხენიანი მეომარი კაცის სახით, როგორც სურათში დახატული წმინდა გიორგი (М³ რვ. 46, გვ. 720).

გუდანის ჯვარს დობილნიც ჰყავდნენ ისე, როგორც სხვა ჯვარებს, დობილნი იყვნენ სავნებლად ადამიანებისათვის და მათ მიერ რგება არაფერში გამოიხატებოდა. ისინი უფრო აწუხებდნენ ბავშვებს: გადაედებოდათ მუწუკი, ან მისცემდა სიცხეს და ეს ყველაფერი დაბრალდებოდა „დობილთ“.

დობილთ უკლავდნენ თიკანს, უშლიდნენ აშალს, გამოაცხობდნენ და მოანთებდნენ ხავიწიან ქადას სამი სანთლის ფეჯით. ვითომც დობილნი მერე დაანებებდნენ ავადმყოფს თავს და ისიც მორჩებოდა. დობილნი იყვნენ, ვითომ ბავშვების სახით და მეორე მავნე დობილნი — ბებერი ქალის სახით (М₃ რვ. 46. გვ. 719—720-ე 668).

როცა ბჭე-ჯვეისბერნი დასხდებოდნენ და ბჭობდნენ ხევსურეთის საერთო საკითხზე, მაშინ ლაპარაკობდნენ გამძღონი, ე. ი. ხუცესები დანარჩენი ხალხი გაჩუმებული იყო და ყურს უგდებდა მათ ბჭობას. ბჭობის შინაარსი იყო უფრო ხევსურეთის რჯული და მისი ცვლილებები. ამ რჯულში თუ ზოგიერთი მუხლები არ მოსწონდათ, გუდანის ჯვარის მბჭე-ჯვეისბერნი შესცვლიდნენ მას და, რასაც დაადგენდნენ, ის დარჩებოდა რჯულში. ამ რჯულს ვეღარავინ გადაუხვევდა, ყველანი დაემორჩილებოდნენ. იტყოდნენ, რომ გუდანის ჯვარში დადებული რჯულია და ვის შეუძლიან მისი შეცვლაო. როცა

1 М³, რვ. 42, გვ. 659—663, 720.

ახალ რჯულს რამეს დაადგენდნენ, მაშინ არისხებდნენ—ვინც ეს რჯული დაარღვიოს, გაუწყრეს გუდანის ჯვარიო. მბჟე-ჟევისბერთ დადგენილ რჯულს ხან იქ გადასცემდნენ, სადაც სათემო სალოცავები იყო, უფრო ხშირად კი დაბარებული იყო უფროსი ხალხი, ერთად ბჭობდნენ ყველანი და თვითონ მიჰქონდათ თავის თემში ეს რჯული იქაურ უფროსებს. ზოგიერთ რჯულის საკითხებს თუ ვერ გადაწყვეტდნენ სწორად მაშინ ქადაგს გააქადაგებდა გუდანის ჯვარი და მისი პირით ეტყოდა ხალხს, თუ როგორ უნდა გადაეჭრათ ესა თუ ის საკითხი, ქადაგის ნათქვამს კი, როგორც გუდანის ჯვარის სურვილს, ყველა დაემორჩილებოდა. რჯული იყო ჭრილობებზე, მოსისხლეობაზე და სხვადასხვა დანაშაულებზე" (M³ რვ. 42, გვ. 665).

ხევსურეთის ერთი საერთო დიდი დღეობა არის სანეობა. სანე ადგილის სახელია გუდანსა და ბაცალიგოს შუა მდებარე მთისა, აქ ილოცავენ გუდანის ჯვარს წელიწადში ერთხელ, ამას ეწოდება „სახმთო". აქ ივლისში არის დღეობა და სალოცავად მოდის ყველა კუთხის ხევსური. მოჰყავთ ზღვნები, ყოველგვარი შესაწირავი, მოაქვთ არაყი და ლუდიც თავთავისთვის. დაიდება ბინები, დაანთებენ ცეცხლს და აქ ათევენ ღამეს. აქაც წესი იყო ქალ-ვაჟის მოსვლა და ერთიმეორის გაცნობა. მაგრამ ისე არა, როგორც ხთისკარობის დღეობაში, ისე კი იქაური ჩვეულების მსგავსად იქცეოდნენ აქაც.

წინათ იცოდნენ ს ა კ ა რ გ ყ მ ო. ვინც დიდ სახელს იქმოდა, მას საკარგყმო მოუვიდოდა წელწადში, ჯერ იმას დაუდგამდნენ ვინც სახელს იზამდა და მერე იმის გვარს. გვარი სახელობდა ერთი კაცის სახელით და წელწადში საკარგყმოს მისაღებადაც მთელი გვარი მოდიოდა. საკარგყმო სინამდვილეში ბევრი არ იყო, ის იყო ე რ თ ი ჩ ხ უ ტ ი ლ უ დ ი, მაგრამ მის მისაღებად მთელი გვარის მოსვლა სავალდებულო იყო. მოსულებს თვითონაც მოჰქონდათ არაყი და ლუდი, იმართებოდა ღრეობა.

გ უ დ ა ნ ი ს ჯ ვ ა რ შ ი ი ყ ო ს ა მ ი ს ა კ ა რ გ ყ მ ო. აქ მოდიოდნენ ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ე ბ ი და ა რ ა ბ უ ლ ე ბ ი, რადგან საკარგყმო მათ მოუდიოდათ. გ ო გ ო ჭ უ რ ე ბ ი მთელი გვარი არ მოდიოდა; მოდიოდნენ მხოლოდ ჯ ვ ა რ ი ს მ ს ა ხ უ რ ნ ი და მ ე ზ ღ ვ ნ ე. სახელად ითვლებოდა ქისტებზე გამარჯვება, უფრო ბეგრის დადება მათთვის. აგრეთვე სახელი იყო ქისტეთში ქისტის მოკვლა შურისძიების მიზნით.

ა რ ა ბ უ ლ ი ს გ ვ ა რ ი ო რ შ ტ ო დ ი ყ ო ფ ა: ჩ უ ჩ ა ყ ე ე ბ ი და ბ ი ჩ ი ნ ა გ ო ბ ი. ჩუჩაყეურთ მოუდიოდა ო რ ი ს ა კ ა რ გ ყ მ ო. პ ი რ ვ ე ლ ი ს ა კ ა რ გ ყ მ ო ი ყ ო თ უ ხ ა კ ი ს ა. თ უ ხ ა კ ი ყ ოფილა ჩ უ ჩ ა ყ ე ე ბ ი. ქისტები მითხოში ისე შეუწუხებია, რომ მათ პირობა დაუდვეს, ნუღარას გვავნებ და წელწადში კვამლზე თოხლს გადავიხდითო. მათი შეწუხება ის იყო, რომ პატარა ლაშქრით ანუ მზირით ეცემოდნენ მათ, იტაცებდნენ პირუტყვს, ცხვარს, ძროხას, ხარს და ცხენს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. კაცის მოკვლასაც არ ერიდებოდნენ და ამიტომ დაიდვეს მითხოელმა ქისტებმა კომლზე თოხლი ბეგარი და აძლევდნენ ყოველწლიურად.

მ ე ო რ ე ს ა კ ა რ გ ყ მ ო ისევ ამათ, ჩუჩაყეურთ ეკუთვნოდა. ჯ ი რ ჩ ლ ა ბ ა ბ უ რ ა ე ლ ი ს ს ა კ ა რ გ ყ მ ო. ბაბურაული ხევსურეთის ისტორიაში საკმარისად ქებული მეომარი იყო. ხევსურეთის ბრძოლებში, ლაშქრობებში და სხვა საგმირო საქმეებში ხშირად შეხვდებით ჯირჩლა ბაბურაულის

სახელს. ძველ საგმირო ლექსებში ბაბურაული არაჩვეულებრივ მებრძოლად არის დახასიათებული. ბაბურაულის სახელით ამაყობს მისი გვარი. ახლა იმის ახლობელ — გვარში — თემროზაულთ მამაში აღარა ჩანს ვინმე ისეთი კაცი, რომ სახელის ღირსი გამხდარიყო. კი არა და სხვა თავისი გვარის მამებთან შედარებით დაბეჩავებულიც არიან, მაგრამ ისევ ბაბურაულის სახელით ამაყობენ. ჯირჩლაის ლექსებს ანუ სიმღერებს ისევ უმღერიან იმის მოგვარეებს.

ზურაბის ლაშქარს უნდოდა ხევსურეთის დამორჩილება, მაგრამ ხევსურებმა ზურაბს წინააღმდეგობა გაუწიეს. ამ ბრძოლაშიც თავი ისახელა ბაბურაულმა. სხვა ასეთი ბრძოლები მას ბევრი აქვს გადატანილი. მითხოვლები თუხაკის დადებულ ბეგარას — ერთ თოხლს იხდიდნენ, ახლა ჯირჩლამ თითო ცხვარი დასდო ბეგრად. ამაზე იყო ბაბურაულის საკარგყმო, რომელიც იმის გვარს წელიწადში მოუდიოდა. ბოლოს ბაბურაული მითხოელმა ქისტებმა მოკლეს, მაგრამ მტრის ხელით მისმა სიკვდილმა მისი სახელი მაინც ვერ დაჩრდილა.

მ ე ს ა მ ე ს ა კ ა რ გ ყ მ ო მოუდიოდა ჭ ი ნ ჭ ა რ ა ე ულ თ. ქისტეთში ყოფილა სახელიანი კაცი ვიღაც ქისტი და მას მოუკლავს ჭინჭარაულთ გვარის ხევსური. მას ახლობელი ჰყოლია ვიღაც ბაღათერა, მითხოში ღამით მისულა და თავისი ბიძაშვილის მომკლავი ქისტი მოუკლავს, თვითონ კი მშვიდობით დაბრუნებულა. ამაზე იყო მესამე საკარგყმო (არხოტში ეძახიან ს ა კ ა რ ყ მ ო ს). სახელის გაკეთების შემდეგ, ჯვარში დაკლავდნენ ხარს ან კურეტს და ამას ეძახოდნენ საკარგყმოს. გუდანის ჯვარს ყველგან ჰქონდა მიწები, გარდა ჯაკმატისა, ლიქოკისა, ბისოსი, ღულისა. არი თითო-ოროლა ნაჭერი, პატარ-პატარა იმათგანვე შეწირული გუდანისათვის.

ყველანი ვემსახურებით სადასტუროში ამ ხატს, გარდა იმათი, ზემოთ რომ ვთქვი, დანარჩენი ხალხი სულ ჩვენთან დგას: ოკერკევი, დათვისი, მოწმაო, არც უკანკადუა ჩვენთან. ჩირდილი, ბუჩუკურთა, ზეისტეჩო, ატაბე, წინკადუ — ესენი სულ ჩვენთან არიან.

შატილი, კისტანი, ლებაისკარი — იქ სულ ჩვენი გვარისებნი არიან გოგოჭურები, ჭინჭარაულები, მაგრამ ჩვენთან არ არიან, თავისი კოშკი აქვთ (კისტანში და შატილში ნაჯარელა ჯთიშობლის), ის ჭინჭარაულები აქ არ შემოდიან, შორს არის და იმიტომ, არც მიღმაკევი (ანდაქი, არჭალო) შემოდიოდა ჩვენთან, მოჰქონდათ „საკომლოები", ზევით ხატის დაჭერილი იყო, იმისი საყმო-საგლეხო იყო. წელწადში გუდანში ყველა სოფლიდან უნდ იყოს. წელწადში ზემო ხატში 4 დასტურია. ათენგენას—ექვსი; აღდგომას, ამაღლებას, გიორგობას—ორ-ორი; აკსოებას—ოთხი, და ენკენიას ისნივე იხდიდნენ. მაგანძური ცალკე იყო ორი (ზემო ჯვარში), ის კენჭისყრით იყო, ორწლიანი. მესაფუვრე თვით დასტური იყო, ორწლიანი, ორ წელს თვითონ ხარშავდნენ, თვითონ აფუვლებდნენ როცა დადგებოდა (მაგ., წელწადში), ისევ იმავე დღეობაში ორი წლის შემდეგ გამოიცვლებოდა.

ქადაგი მუდმივ იყო, იმას წელწადს აქადაგებდა. ყველა დასტურ წელწადს შეიცვლების, კენჭს უყრიან. დიდ დასტურნი ანუ მედიდჯვარენი ქადაგით არიან, წვრილ დასტურნი კი კენჭით.

ზემოთ ჯვარს ორი მედროშე ყავდა. კენჭით დგებოდა, ორწლიანი იყო. ჩვენთან, ჭორმეშავში მუდმივია მედროშავე, აქ არა. დასტური მესაფუვრეა, ზოგან მუდმივია, აქ კი არა.

ზემო ხატში 12 თასია ჯვართ სადიდებელი, ცალკე დობილ-ლაშქართ გადიდება ჩვენ არ ვიცით. მე ამათი წესი არ ვიცი, ისე კი 12 თასი გვაქვს (ტაბ. 6) პირველად იქნება საღმთო გუდანის ჯვარი, მერე — მისი მომყოლი (M⁶).

„გუდანის ჯვარში ორ სამანია. ერთი ას ჩვენი, — მეგანძურის ძმობის სამანი. ოთხის კუთხის ხალხი ორთ: ჭინჭარაული, გოგიჭა, არაბა, ფიცხელა, როსაც გათავთავადდეს ძმები — სამან უნდა ჩავდგათ, რო ძმობა ისევ გვეჭირასავ.

მეორე სამანი ას იმაზე, რო ერთ ჯევისბერ ყოფილ. ისეთ ყოფილ რო ანგელოზ თაო უხედნავ, ეშმაკებ უხედნავ. თოთია გაიდაურ ყოფილ. ის როშკელებს გაუთიკუნებავ, გაულექსებათ. ახალ წელს დილას ამაურჩევავ ხუთმეტ ახალგაზრდა — მაგათ უფროს გაგვიშაირესავ. წადით, როშკით მაიტანეთავ (ქვაბივ). წასულან ახალწელ დილას, მაუტანავ. ცხადად უხედნავ როშკიონთად ვერა გაუბედავ. მაუტანავ, სამან ჩაუდგამ და ზე ქვაბ დაუხურავ — ეეგრ გავმაგრდათავ (M⁶).

2. ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარი, სოფ. გუდანი

სოფელ გუდანში ორი ხატია: ზ ე მ ო თ გ უ დ ა ნ ი ს ჯვარი და ქვემოთ „ნაჯარელა“ (ტაბ. 7—8).

„ნაჯარელას“ ჯვარი ღვთისმშობლის სახელობისაა, ჯვარის კარებზე ღვთისმშობლის ხატია, მრავალი ზარი და ერთი მოზრდილი აქლემის ყინჟღილი. ჯვარის გარშემო მრავალი წმინდა ხეა. აქვე კოშკებს შორის „ადგილისდედაა“, რომლის დღეობა დიდმარხვის წინ მოდის. ეს ადგილისდედა წარმოადგენს მიწის ზემოთ ამოწვერილ დიდ ლოდს, რომელმაც მაფიქრებინა, რომ შეიძლება ადგილისდედის კულტში შემონახული იყოს ფალოსის კულტი; თუმცა ჯერჯერობით ეს აზრი არ მართლდება. აქვე ნაჯარელას ხატში მრავალი ნიშია. ერთ-ერთ ნიშს თავზე ადევს მოგრძო, ფალოსის ფორმის ქვა.

ადგილისდედა და ნიშები უფრო ზემოთ მინდორზეა, მინდორი შემორაგულია. ამ შენობების გარდა, ხატის ამოსავალთან ზემოთ ყორეა ამოშენებული და ზედ წამოხურულია ფიცრული, რომელიც წინიდან ორ ბოძზეა გამაგრებული და გვერდებზე ფიცრები ფარავს. ეს სატრაპეზოა, სადაც მლოცავების საქონელი იკვლის.

ნაჯარელა ღვთისმშობლის ჯვარს შემდეგი ხელოვნური და ბუნებრივი ობიექტები აქვს: ხულა — დიდი რიყის ქვებით მშრალად ნაგები, ნახევრად მრგვალი და ფასადის ნახევარზე ღიაა. ამ შენობის ღია ნაწილის წინ სიპისაგან ნაგები სასაკლაოა. ხულის წინ დიდ სიპზე თასებს აწყობენ, სანთელს ანთებენ და ქადებს ალაგებენ. შუა ადგილას დიდი სიპია — დეკანოზის დასაჯდომი. კედელში შუკუმია, სადაც თასები იდგმოდა. ხულის მარცხენა კედლის თავზე ჯიხვის რქა დევს. შენობის შიგნითაც დიდი და ბრტყელი სიპია, — ესეც დეკანოზის დასაჯდომადაა მიჩნეული. იქვეა რიყის ქვებისაგან აწყობილი სკამები. შენობის გვერდით გდია ზარი, ხევისბერ გადუა ჭინჭარაულის თქმით, ხულა აუგიათ მის წინაპრებს... ადრე ხულა ბანიანი ყოფილა, მერე ზემოდან თუნუქით გადაუხურიათ, ამჟამად კი გადახურვის კვალიც აღარ დარჩენილა და მარტო კედლის ნანგრევებია.

ხულის მახლობლად, მისგან ჩრდ.-აღმ. ს ა ზ ა რ ე კ ო შ კ ი დგას. იგი სამფეხაა, შიგ ჩამოკიდებულია ზარი, რომლის ენაზე მიბმულია ფერადსახოვანი და წითელგულიანი ჩითის ნაჭრები. კოშკის ფასადზე შამფურით დამაგრებულია ჯიხვის რქა და თითო რქაზე ჩამოკიდებულია თითო ზარაკი. კოშკს წვერად აქვს შვეულად დადგმული მოგრძო სიპის ქვა. საზარე კოშკის უკან „კ ვ რ ი ვ ი ა". იგი წარმოადგენს სამკუთხად ამოშვერილ კლდის ნაჭერს, რომლის წინა სიპზე — სასაკლაოა (ტაბ. 9).

ნაჯარელა ღვთისმშობელს ჰყავდა საკუთარი ჯელოსნები, ხუცესი და დასტურები, ყველა ესენი ჭინჭარაულების გვარიდან არიან. დასტურს აყენებდნენ მორიგეობით თითო წლით, ახალი დასტური დგებოდა წელწადში და დასტურობას პირველად იზამდა ათენგენას. ამ ჯვარის დღეობებს განსაკუთრებული წესი არაფერი ჰქონია, სხვა დღეობების მსგავსად სრულდებოდა ყველა წესები. მხოლოდ ერთი დღეობა იცოდნენ ამაღლების სწორზე სამშაბათს და ამ დღეობას ეძახოდნენ „ქალ-ქალიშვილობას". ამ დღეობას ასრულებდნენ ჭინჭარაულის ქვეგვარიდან „აზუზნი და ბერღოჯანანი". ეს ორი ქვეგვარი არის ერთიმეორის ახლო განაყრები. აზუზთა და ბერღოჯანთა პაპას ვაჟიშვილი არ ჰყოლია და ამ ამბავზე ძალიან დაღონებული ყოფილა. ბევრი მსხვერპლი შეუწირავს ხევსურეთის ხთიშვილთათვის, მაგრამ არაფერი შველებია. მის ცოლს უკანასკნელად კიდევ ქალი შესძენია, რაზედაც ცოლი და ქმარი მწუხარებას გამოსთქვამდნენ. მათ ერთ მეზობელს ამ დროს ვაჟი ეყოლა. ქალის და ვაჟის დედები ერთ ღამეს ერთად იყვნენ რაღაცა ხელსაქმისათვის. ღამე გაიხედეს გარეთ და დაინახეს, რომ გუდანის ჯვარის მიდამო, ადგილობრივ ნაჯარელა, სადაც ხთიშობელს ხთიშვილნი წვეოდნენ სტუმრად, განათებულიყო. ქალის დედამ დაიწერა პირჯვარი და თქვა: „დაილოცენით, ათასიმც მადლი გაქვთ, ნუმცარაით შამისწყინდებით". ვაჟის დედამ თქვა: „აუ—დაგწყევლნასთ კაცთ გამჩენმ ღმერთმ, ქვე რეებიღ ანათებენ აი ნაჯარელას". ამ სიტყვებით ორივენი მიბრუნებულან და შესულან შინ. დილას რომ ამდგარან და აკვანებიდან ბავშვები აუყენებიათ; ქალის დედას აუყენებია ვაჟი თავის აკვნიდან და ვაჟის დედას ქალი. ქალის დედის მადლის მათხოვაზე მისი ქალი ხთიშვილთ ვაჟად მოუქცევია და ვაჟის დედის დაწყევლაზე, მისი ვაჟი — ქალად. ხევსურები ამბობენ, რომ ეს ვაჟი ყოფილა აზუზთა და ბერღოჯანათ პაპა და მისი შთამომავლობა გამრავლებულაო და გაკეთებულა ორი ქვე გვარი. სხვო გვარის კაცს არ ჰქონდა უფლება, რომ ამ დღეობაში აქ მოსულიყო. მხოლოდ ამ ორი ქვეგვარის შთამომავლობა კი დისწულები და დისწულიშვილებიც მოვიდოდნენ, მოიყვანდნენ საკლავებს და სწირავს. ამ დღეობას, იშვიათად იქნებოდა, რომ ამ ორი გვარის პატარა ნათესავიც კი დაჰკლებოდა. სხვა კაცს აქ არ მოიყვანდნენ. თვითონ აზუზ-ბერღოჯანანი მთელი დღის განმავლობაში სვამდნენ ლუდს, კლაედნენ საკლავებს და ატარებდნენ თავისებურ დროს (M³ რვ. 46, გვ. 718).

ჯვარის აღმოსავლეთის მხარეს ორი თავგადასწორებული ოთხკუთხი მოყვანილობის კოშკია, ერთი მათგანი საღმრთოს სახელობისა. იმავე მხარეს ფიქალის ნაგლეჯი ქვებისაგან ნაგები რაღაც შენობის ნაშალია. მთხრობელმა, ხევისბერმა გადუამ მას ჯერ სანეზე თამარის ციხის აღმშენებელის ბინების ნაშალი უწოდა, შემდეგში კი აღნიშნა — აქ ამ ადგილას ჯვარის ტურფა ციხე იყო, თამარ მეფის ნაგები, და დაიშალაო.

ჯვარის მიდამოებში, დასავლეთის მხარეს, სადაც მას საზღვრავს სოფელ გუდანში მიმავალი ვიწრო ბილიკი, მიწის პირიდან ოდნავ ამოჩენილია სწორად ჩანათალი კლდის ნაწიბური, რომელსაც „ღვთისმშობლის ლაშქარნი“ ეწოდება. ხალხური რწმენით აქ ბინადრობენ ჯვარის ხელქვეითი მავნე სულები, პაწაწინა ბალღების (ბიჭების) სახისანი. ამ „ლაშქართ“ შესაწირავს შეადგენს მეტად მცირე ზომის კვერები, ე. წ. „ტოშოლაები“. ტოშოლებს დობილთათვის აცხობდნენ. „დობილნი ბალღის სახით არიან, ვაჟის სახით, მაგათ ბინაი არის კლდესთან. როცა რას ვინ დაუშავებს მაშინ გამადიან. ხთიშობლის ლაშქარნი ხქვიან მაგათ. თუ გავაწყერით, თიკანს დავხკლავთ, ხუთ სეფე უნდა მავიღოთ ხუთმეტ ტოშოლი. სუფრა უნდა გავშალოთ, სანთელი ხუთ ფეჯ, სასმელი სამი ჭიქა. ისინი ესრ ჯსენდებიან: „ბატონო ხთიშობელო, ლაშქარნო, გზაშარათ ყარაულნო, თავნო თავადნო; თქვენ გადიდხასთ, ღმერთმა გაგიმარჯოსთ მოგცემსთ წყალობაი ხთიშობელმ ხთიშობლის ლაშქართ, შანაწყენ შაგინდიან ზღვნითა და სანთლით გადაგიხდიან.

თვით ჯვარი ნაჯარელა ღვთისმშობელიც ხალხის თვალში წარმოდგენილია მამროვან არსებად.

ზემოაღნიშნული ყველა ბუნებრივი და ხელოვნური ძეგლი მდებარეობს ჯვარის მიდამოს შედარებით უფრო ამაღლებულ ნაწილში. ხოლო ჯვარის საკულტო-ადმინისტრაციული და სამეურნეო ნაგებობანი მათ ქვემოთაა, ჯვარის სამხრეთ ნაწილში.

უკანასკნელ ნაგებობათაგან საქვაბის (ტაბ. 8) კედლები მშრალად არის ნაგები, ფასადი სამხრეთის მხარეს აქვს, აქედან ფართო შესასვლელია, მაგრამ კარი არა აქვს. საქვაბე გადახურულია თუნუქით, ხოლო შიგნიდან ჭერად მორის 10 კოჭი აქვს. ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში გამართულია ცეცხლის საგზები, რომელზეც თუჯის სალუდე ქვაბი დგას. ქვაბის პირის სიგრძე— 111 სმ, სიგანე — 62 სმ. იქვე დგას ორი სხვა სალუდე ქვაბი. ერთი წითელი სპილენძისაა სადა, მეორე სპილენძის ფურცლებისაგან შეკერილი და მაღალი, ცილინდრული ფორმის სპილენძის სალუდე ჭურჭელი. ხის ჩხუტი, სპილენძის მომცრო ქვაბი და მცირე ზომის სპილენძის ჭურჭელი, აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ სპილენძის ლათბაა, რომლის ზემოთ მდებარე ხის კოჭებზე სამი ცალი საკედეა მოთავსებული. ჩრდ.-აღმ. კუთხეში დაყრილია კედები, ზარფუში, ხისა და სპილენძის წვრილმანი ჭურჭელი და ნივთები; აქვეა ლუდის სადღეგბლად დამზადებული, ფქვილით სავსე ხის ჩხუტი.

საქვაბის აღმოსავლეთი კედელი ამავე დროს დარბაზის დასავლეთი კედელია. ამ უკანასკნელი ნაგებობის კედლებიც მშრალად არის ნაგები ფიქალისაგან, ოღონდ შიგნიდან შელესილია. ჭერის შუაზე გადებულია გრძივი კოჭი (ჩრდ.-სამხ. მიმართულებით), რომელიც ეყრდნობა ხუთ ხის ბოძს. დარბაზის ცენტრში კერაა ქვაბის ჩამოსაკიდი ჯაჭვით, რომელიც კერაზე ჭერიდან ეშვება. დარბაზის კარი სამხ.-დას. მხარეზეა. დარბაზში დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების გასწვრივ გაკეთებულია სიპი ქვის სკამები, ხოლო ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ უფრო ფართო ნაკეთობაა, რომელიც შესაძლებელია არა დასაჯდომს, არამედ დასაწოლ ფართობს წარმოადგენდეს. ამავე ჩრდილოეთის კედელზე მიდგმულია სამიარუსიანი ხის თარო; თაროებზე აწყვია სხვადასხვა სახის წვრილი ჭურჭელი, ქვა-მარილის ნატეხები, ყაწიმები და სხვ. თაროს გვერდით კედელზე მიყუდებულია დროშის სამი ტა-

რი და სახუცო არგანი, ვერცხლით მოპირკეთებული თავით, ჩრდილოეთის კედელთან დგას სამფეხა სკამი, რომელიც შესაძლებელია უფროსი ჯვეისბერის საბრძანისი იყოს. დარბაზის აღმოსავლეთის კედლის კუთხეში საკოდეში შემავალი კარია. საკოდე პატარა და ბნელია, მშრალად ნაგები, ამჟამად სრულიად ცარიელი.

დარბაზის შესასვლელ კართან გარედან ჩამოკიდებულია თუნუქის ღვთისმშობლის ხატი. იქვე კართან დგას უზარმაზარი იფნის ხეები, რომლებზეც დამაგრებულია ქართული ზარაკები და ჯიხვისა და ირმის რქები.

დარბაზი, საქვაბე და საკოდე გადახურულია; სახურავი ორფერდაა, თუნუქისა, დარბაზისა და საქვაბის წინ, ფასადის მხარეს დარბაზის კარი და საქვაბის კარია: მოტკეპნილი მოედანი, რომლის ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეს გაწყობილია ქვის სკამები.

II. სახეობა და სასოფლო ჯვარ-ხატები

(პირაქეთ, ანუ ბუდე ხევსურეთი)

ა) არაგვის ხეობა

1. მთავარანგელოზის ჯვარი, სოფ. მოწმაო

სოფელ მოწმაოში საქერეწვერის ანგელოზის ჯვარია. მოწმაოელნი იმას ლოცულობენ (M[1]). „ამ სოფელში სულ არაბულები ვართ, გვიამბობს მთხრობელი. ძირად ფიცხელაურები. ჩვენ ბაკურხევიდან ვართ გადმოსულები. უწინ ეს ადგილი ცაბაურებს ჭერიათ. ჩვენ ბაცალიგოშიც დავდივართ სალოცავად“.

მთავარანგელოზი ფშავიდანაა გადმოსული, ცაბაურთიდან. საკუთრივ სოფლის მფარველი ხატია. ათენგენობას, აღდგომიდან მე-15 კვირას, შაბათ დღესაა ამის დღეობა.

მთავარანგელოზის **დ ა რ ბ ა ს ი** სიპებისაგან მშრალად ნაგები შენობაა. უწინ, როგორც ჩანს, იგი ბანით იყო გადახურული და შემდეგ ორფერდად გადაუხურიათ თუნუქით. ნაგებობის მთავარი ფასადი ჩრდ.-აღმ. მხარესაა, შესასვლელი კარი ფასადის მარჯვენა მხარეზეა. დარბასის წინ **დ ა რ ი ფ ა ნ ი ა** (ხევისბრის განმარტებით იგი ახალი მიშენებულია).

ფასადის მხარეს, მარცხნივ, კედელთან ხის დაშლილი გრძელი სკამია, სკამის თავზე საკომია, სადაც დევს თუნუქის საწვნე, ორი დამტვრეული რუსული ზარის ნაწილი 20 სმ სიმაღლისა, ორი თუნუქის ჭიქა და სპილენძის თასი. საკვამის თავზე, კედელში გარჭობილია ირმის რქა. შესასვლელი კარი ხისაა, დაკეტილი მაგარი თოკითა და ხელსახოცით.

დარბასში შესვლისთანავე, მარჯვენა კუთხეში დევს მარილის სანაყი ყუნჭი; აქვეა ქვაბი, რომელშიც დევს ქიტი და სპილენძისსახელურიანი სპარსული თასი. სამხ.-აღმ. კედლის გაყოლებაზე აწყვია: ცარიელი სპილენძის ქვა-

ბი, სპილენძის თუნგი, ხის ჯამი, ორი რკინის ქვაბი, საინტერესო ფორმის ხის სკამი და ხორცის ამოსაღები ჩანგალი. კედელში შუკუმია, რომელშიც აწყვია გადატეხილი დროშის ტარი ვერცხლის ბურთით და ვერცხლისავე დროშის ბოლოთი — კოჭით; აქვეა სპილენძის თასი, რომელშიც 4 ვერცხლის საყურეა, მასრის თავი და მრავლად ძველი და ახალი თეთრი ფული. შუკუმში აწყვია აგრეთვე ვერცხლის ძეწკვები; მთლიანად დაშლილი და გამწვანებული, მარილის ფხვნილი, სანთლები, ერთი ზარაკი, დაჟანგული ფული, ცარიელი სპილენძის თასი, ევროპული ვერცხლის ვაზა, ქამრის ბალთა ვერცხლისა, აბზინდები, ქვამარილის ნაჭერი და ძაფით გადახვეული სანთელი (ტაბ. 10—11).

კარიდან მარცხნივ დგას სპილენძის სუფრა, ხის დიდი კოდი და ხის სუფრა. ჩრდ.-დას. კედლის გაყოლებაზე მოთავსებულია სპილენძის კოდი და ქვაბი, სპილენძის ჩხუტი, თასი, 2 ქვაბი და ისევ სპილენძის ჩხუტი. ჩხუტის ზევით, დროშის ტარზე 48 ხელსახოცია შებმული სხვადასხვა ფერისა.

დარბასის ცენტრში კერაა, რომლის თავზეც ჭერხოში საკვამია გაკეთებული: დარბასის გაგრძელებაზე მეორე სათავსოა, რომელიც გადაღობილია ცენტრიდან მარჯვნივ ფიცრით, ხოლო მარცხენა მხარე კი ქვის ყორითაა ამოშენებული. აღნიშნული სათავსო წარმოადგენს ს ა კ ო დ ე ს. საკოდე ნახევრად ჩანგრეულია. შიგნით აწყვია ხუთი ხის დროშის ტარი, სამი სპილენძის კოდი, ორი სპილენძის ბაკანი და თიხის საარაყე ქვევრი. იქვეა სპილენძის ჩხუტი, რომელშიც 13 ვერცხლის თასია (საშუალო ზომის), ფრაქეს ორი სარძევე და ერთი საშაქრე, 16 პატარა ვერცხლის ჭიქა. აქვეა ვერცხლის ძეწკვების ნაგლეჯები მონეტებითა და ჯვრებით მორთული. თასებს გარშემო შემოკრული აქვთ ვერცხლის ზინზილები. ერთ თასს აწერია: „გოგლამა მიართვა ბეჟოაშვილმა ჩემს სიძეს კულასა წ. მ. თავარანგლოზისა". აქვე დევს ვერცხლის ყარყარა.

ნაგებობის ჭერხოში აწყვია სპილენძის ოთხი სხვადასხვა ზომის თუნგი, ექვსი სახორცე ქვაბი, სპილენძის ორი ჩხუტი, ერთი საწვნე ქიტი, ორი წყლის თულუხი, ერთი სპილენძის პატარა ზომის თასი და რუსული თუნუქის ხატი. დარბასიდან სამხ.-აღმ. იქვე ი ფ ნ ი ს ხ ე ზ ე ჩამოკიდებულია რუსული ზარი (ტაბ. 12).

მთავარანგელოზის ქვემოთ სოფლისაკენ ბ ა ც ა ლ ი გ ო ს პ ი რ ქ უ შ ი ს ხ ა ტ ი ა. ამ ორივე ხატის დღეობა ერთ დღესაა. მთავარია ბაცალიგობა, იქ იკვლება საკლავი. მთავარანგელოზში მხოლოდ სანთელი ინთება. სოფელს ერთი ხევისბერი ჰყოლია.

პ ი რ ქ უ შ ი ს ს ა ლ უ დ ე. აქ ახალწელს იცოდნენ მოსვლა. უწინ აქ იხარშებოდა ლუდი და მთავარანგელოზში აჰქონდათ. საკლავი აქვე შესასვლელი კარის წინ იკვლებოდა.

პირქუშის ხატი — იგივე სალუდე, წარმოადგენს ნახევრად დანგრეულ ნაგებობას (ჭერი ჩაქცეულია, კარი არა აქვს). ფასადის ჩრდ. მხარეს კარიდან მარცხნივ პატარა საკომია, რომელშიც ერთი პატარა რუსული ზარი დევს. შიგნით, კარიდან მარჯვნივ ჩრდ.-დას. კუთხეში დევს: ერთი სპილენძის თუნგი, სამი სახორცე ქვაბი, ერთი ვერცხლის, პატარა ზომისა და ორი სპილენძის თასი. აქვეა მოგრძო ფორმის ხის სუფრა. კარიდან მარცხნივ იატაკზე დევს ბაკანი და სპილენძის თასი; ხოლო აღმ. კედლის გაყოლებაზე სპილენძის ლათბაა.

სოფლიდან მოშორებით, მაღალ მთაზე საქერეში წმინდა გიორგის ხატია, მარიამობას ლოცულობენ. აქედან ააბრძანებდნენ დროშას (M[8]).

2. ღვთისმშობლის ჯვარი ნაბაკურის ანგელოზისა და ადგილისდედის ჯვარი. სოფ. დათვისი

დათვისში სამი ჯვარია: ნაბაკურის ანგელოზი, ხთიშობელი და ადგილისდედა. ნაბაკურის ანგელოზსა და ადგილისდედას ერთად ილოცავენ და მათ სახელზე იხდიან დღეობებს წელწადსა და ამაღლებას. ხთიშობელი ცალკეა. სამივე ეს ჯვარი სასოფლოა.

გარდა ამ სასოფლო ჯვარებისა, დათვისელებს აქვთ სამამო სალოცავები და საერთო-საგვარო სალოცავი. მათს სამამო სალოცავებს შეადგენენ სამამო-სათემო სალოცავები, რომლებიც მამების პირველ საცხოვრისში მდებარეობენ. მაგალითად, დათვისელი ციხელაურების სამამო სალოცავია ბაცალიგოს პირქუშის ჯვარი, დავითურათ სამამო სალოცავია ზეისტეჩოს ჯვარი და ასე შემდეგ.

არაბულებს ცალკე საგვარო სალოცავი არა აქვთ. ისინი სამაგანძეროში არიან გაერთიანებული და სამაგანძეროს გუდანის სახმთოს ჯვარს ლოცულობენ. გუდანში ოთხი კუთხის ხალხი მიდის. გუდანის სახმთო და ზეისტეჩოს სახმთო მოძმენია იმიტომ, რომ ეს ჯვარები ერთის გვარისანი უნდა იყვნენ (M[1]).

დათვისის ხთიშობლის ჯვარის დარბაზი. ხთიშობლის დარბაზის მთავარი ფასადი ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული. დარბაზს ორფერდა გადახურვა აქვს. სახურავი ჩაწოლილია ფასადის კარის თავზე და მისგან მარცხნივ სიპი ქვის თაროებია. გარშემო იფნისა და ნეკერჩხლის ხეებია. დარბაზის კარის ქაზდარი მოტკეპნილია. დარბაზის კარის პირდაპირ, დასავლეთის მიმართულებით, ამაღლებული ადგილია, ბრტყელი ფიქლებით დახურული, რომელზეც მთხრობლის თქმით (დღეობებში სახვთისმსახურო წესების დროს) თასები იდგმოდა (ტაბ. 13).

„დილით რო გამოვიდოდნენ და ზარს დახკრავდნენ ჟამისწირვის შემდეგ, მაშინ დადებდნენ მანდ სამ თასს. ჟამისწირვა შიგნით იყო. სუფრა გვქონდა გაწყობილი. მერე გამოვიდოდნენ, ხუცესი ხუცობდა და ზარს მეზარე დარეკდა. ხელოსანი უნდა ყოფილიყო მეზარე, რომელიც სანათლავს კვლევდა ჯვარში“ (მინდია არაბულის ნაამბობი).

დარბაზის გვერდით დასავლეთის მხრიდან ბეღელია (ტაბ. 14), რომლის მთავარი ფასადი კვლავ ჩრდილოეთის მხარესაა მიმართული. აქვეა ბეღლის კარი. ბეღლის კარიდან აღმოსავლეთ მხარეს არის ქვის სკამები ხოლო დასავლეთ მხარეს მას აკრავს კვრივი, მშრალად ნაყარი ფიქალის ქვებისაგან ნაგები დაბალი ღობე, მრგვალად შემორკალული, რომლის აღმოსავლეთით საზარეა. დარბაზის ჩრდ.-აღმ. უზარმაზარი ხის ქვეშ ქვისაგან ნაგებ ორფეხზე დაფარებულია ბრტყელი ფიქალი და წარმოადგენს სადობილოს, „სადაც მაღალაითა“ და ტოშოლებით სრულდებოდა დობილთათვის შეწირვის წესი.

დობილთ კოშკიდან ჩრდილოეთით, მის მახლობლად გაშენებულია ხთი-

შობლის ს ა ქ ვ ა ბ ე (ტაბ. 15). საქვაბე ყოფილა ორფერდა სახურავით. ფასადი ჩრდ.-დას. მხარეს აქვს, ხოლო შესასვლელი ჰქონია ჩრდ.-აღმოსავლეთიდან. ამჟამად საქვაბეს აქვს ორფერდა სახურავი. თავხით, ჭერებით და ფიქალით გადახურული. საქვაბის სახურავის დიდი ნაწილი ჩანგრეულია. „საქვაბის კარიც" დატკეპნილი მოსწორებული ადგილია. საქვაბეში გდია დიდი თუჯის ქვაბი ლუდის მოსახარშავად და მის კედლის გარეთ — ძველებური, სპილენძის შეკერილი ოვალური ფორმის ქვაბი, დაზიანებული. სამხ.-დას. კუთხეში მდგარა სალუდე ქვაბი, ხოლო ამავე შენობაში სამხრეთის კედლის გასწვრივ იდგა კოდები, რაშიაც ლუდს აყენებდნენ.

„დათვისში გუდანის ჯვარის მიწები არის — ერთი-ორი ნაჭერი, შეწირული კერძო პირებისაგან. საკვირაო პატარა ;ყანაც შეწირული იყო. ყანები ბაცალიგური ჯვარისაც იყო. პირქუშისაც, ესენიც შეწირული იყო. ზეისტეჩოურისა იყო კიდე. აქვე სახმთოს ილოცავდნენ, შეწირული იყო ძველიდან. პირქუშის ყანა ჩუჩაყეურებისა იყო.

ხთისშობლის ჯვარში რამდენიმე დღეობა მოდიოდა წელწადში. წელწადის წინ ქრისტე ვიცოდით. ერთ დასტურ გვყავდა (ჯვარის) მიწებ დაყოფილი იყო კომლების მიხედვით და, რომელიც სადასტურო მამხვდებოდ, იმას მოვმკიდი. ყველა (დღეობაში) სამი ფუთისა უნდა ედუღა ლუდი, გარდა წელწდისა.

მეორე დღეობაა წელწადი, მესამე — აღვსება — 1 დასტური ყავს, მეოთხე — ამაღლება, ერთი დღეა, ერთი დასტური ყავს, სამი ფუთისა უნდა ლუდი, მეხუთე — ათენგენა, ერთი დასტური ყავს, ლუდი სამი ფუთისა უნდა, ეხლა ხალხი აღარ არის და ორ ფუთს ვხარშავთ. მეექვსე — საწვეროები. ს ა ჩ ა ლ ი ს წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი ს ა თ ვ ი ს დ ა ს ა ე ლ ი ო ს წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი ს ა თ ვ ი ს ი ყ ო ს ა წ ვ ე რ ო ე ბ ი. ო რ ი ნ ა ჭ ე რ ი ყ ო ს ა წ ვ ე რ ო ე ბ ი ს სადასტურო) და ერთი დასტური უელიდა. ერთი (ნაჭერი) გაღმა იყო, მეორე — გამოღმა. საჩალის წმინდა გიორგისათვის სამი ფუთი მოდიოდა, საელიოს წმინდა გიორგისათვის — სამი. ეს დღეობები სხვადასხვა დღეს მოდიოდა. (საწვეროები) ათენგენის შემდეგ ორი თუ ერთი კვირის შემდეგ მოდიოდა. მეშვიდე — ნამუშავრის სამხვეწრო. ეს წილით იყო და რომელსაც შეხვდებოდა, მოვხკრეფდით სოფელში. ვედროს დავიჭერდით ხელში და შევაგროვებდით ერთ დღეს. ერბოსაც შეაგროვებდა (დასტური), (ლუდს) — მოხარშავდა ჯვარში, არაყი არ ვიცოდით.

ახალწელს (არაყი) ვიცოდით, ორი ქვაბი მაინც. ჯვარში არ იყო ქვაბი. დასტური თავის სახლში ხდიდა (არაყს) ჯვარის ქერიდან; დაახლოებით ორ-ნახევარი-სამი ფუთი უნდა ყოფილიყო. საწვეროები იმიტო ხქვია, რომ წვერზეა საჩალისა და საელიოს წმინდა გიორგი. არაფერ არ აქვს მიწა მაგას, სადასტუროები გვქონდა და ეგ მამული მთლიანად შედიოდა.

საწვერო დასტური (წელწადში) თითო-თითო იყო და თითო დღეს იხდიდა დღეობას: საღამოს ადიოდნენ და დილით ჩამოდიოდნენ. ღამეს მარტო საჩალეს ათენებდნენ. ბარისახოდანაც მოდიოდნენ საჩალეში — დოღიც იცოდნენ, გართობები.

საელიაო ჩვენი იყო. თუ ჩხუბი იყო, დაატოვინებდნენ დროშას და დააჯარიმებდნენ, საკლავს დააკვლევინებდნენ. თუ ამას არ გააკეთებდა, მოიკვეთავდა სოფელი და დროშა არ დაუბრუნდებოდა (მოკვეთილს) ჭირში

და ლხინში არ მიიღებდნენ. მერე მოდის მარიანობა, აქ (ხთიშობელში) იცოდნენ, ერთი დასტური ყავდა.

საბოლოო დღეობა გიორგობა არის. წინათ ენკენია იცოდნენ, ჩემ დროს არა. გიორგობა ნოემბერშია, ათში ძველი რიცხვით (ლუდი) სამი ფუთისა უნდა მოეხარშათ. ეს ლუდი გაიყოფოდა სამად, ორ წილ სოფელ ეძლეოდა, მესამე — დასტურს, ხუცესს და ჯელოსნებს. მას შემდეგ რაც დეკანოზი აღარ გვყავს, ორ ფუთს ვხარშავთ.

ხატობაში კოშის წილი იცოდნენ. ვინც აქ არ იქნებოდა იმჟამად ხატობაში, იმას დაუტოვებდნენ ლუდს.

კოშის წილი თასზე დიდია. დასტურნი ქადას აცხობდნენ. თითო ქადაზე თითო კოში მოდიოდა. ორი კოში იყო: ერთი — დიდი, ერთი — პატარა. დიდში სამ ლიტრამდე ჩადიოდა, პატარაში — ორი ლიტრა, რამდენი ქადაც ჰქონდა დასტურს, იმდენ კოშს უსხამდნენ, სახლში წასაღებად დაღარულას უმატებდნენ (დაღარულა სამლიტრიანი იყო).

ქადას დასტურნი საკუთარი მამულიდან აცხობდნენ. ხავიწიანი უნდა ყოფილიყო. ქადა წმიდისა იყო. თუ არა და სვილისა ან ქერისა. ეს ქადები ჟამისწირვაზე იყო, რამდენიც ქადა იქნებოდა, იმდენჯერ უნდა წირულიყო ჟამი. ჟამის წირვაზე დაახლოებით შვიდი თასი (იდგმებოდა), რომელიც დიდი თასია, სახუცო ქადაზე დაიდგმოდა. დანარჩენი — სხვებზე. სადიდებულოს ეძახიან — იმაზე თექვსმეტ თასს დგამენ; იმას ქადა არ უნდა. მასანთოთ ეძახიან, პატარეებია, გულიანები, ერთმანეთზე უნდა იყოს დადებული და საკმარისია თექვსმეტი თასისათვის. ჟამის წირვაზე დიდი (ქადა) უნდა იყოს, ამაზე მომცრო საკვირაო უნდა იყოს ერთი ქადა და სამი მასანთო

დროშა ორი იყო. ორი მედროშე იყო. ერთსაც შეეძლო მედროშეობა. ქადაგიც გვყოლია.

მაგის (ხთიშობლის) ხუცესი ყველა მამიდან დგებოდა.

უნჯნი ყმანი შალვანი იყვნენ. იდიანი და თოხოლჩანი ბიძაშვილები არიან, სუყველა ეგენი ერთიმეორის ბიძაშვილები არიან. საერთოდ იმედათ ეძახიან.

მიწები არ ნაწილდებოდა იმიტომ, რომ ჯუთიდან რომ წამოვსულვართ, გველეთლებისათვის წაგვირთმევია მამული (ეს მამული) იმდენ ნაწილად განაწილებულა, რამდენიც მებრძოლ ხმლიანი ყოფილა, სამოცდასამად. მერე ზოგი ისევ ჯუთას წავიდა და თავის ბიძაშვილს დაუტოვა მიწა. მემკვიდრეობით გადადის მიწა. ეხლაც კერძოდ იყო მამული. მემრე ყიდვითაც იყო. ვინც ბარში გადავიდოდა, იმისგან იყიდდნენ და ეგრე.

აქ უწინ გიგაური მდგარა. მერე უთქვიათ სამოცდასამი ხმლიანი დაეტევაო და სამოცდასამად გაუყვიათ ეს ადგილი, რამდენი ჩამოვიდა, რამდენი დარჩა და რამდენი წავიდა ჯუთაში — არ ვიცი. თოხოლჩანი იქაც (ჯუთაში) არიან და აქაც.

აქ ეხლა სამი მამა ვართ. იდიანი, თოხოლჩანი და თილილანი: იდია, თოხოლჩა და თილილა ძმები იყვნენ და ჩვენ ძმათაშვილები ვართ"[2]. გორელანი ცალკე არიან, სხვანია.

---

[2] ეს წინადადება შემდეგსა ნიშნავს: იდიანი, თოხოლჩანი და თილილანი ცალ-ცალკე კოლექტივებია, სულ რიცხვით სამია, თითოეულ მათგანს თავისი ეპონიმი ჰყავდა; ერთისა

„სამოცდასამის კომლისა დატევა შეიძლებაო აქ (დათვისში). ნამდვილად ყოფილა სამოცდასამი მებრძოლი, სამოცდასამად გაუყვიათ (მიწა) და შეუფასებიათ თითოეული ნაწილი შვიდ ძროხად. მამაჩემს უყიდია აქ მამული. თუ აქედან წავიდა, ვინც იყიდის (მის მამულს) ის შვიდ ძროხას მისცემს. თითო ძროხა ღირდა ოთხი ცხვარი ან თექვსმეტი კილო ერბო. ფეხითი ძროხა ნახევარი ფეხითი უნდა ყოფილიყო ნახევარი — ხელითი. ხელითში არ შედიოდა ძროხით ღირებულება, ხუთი კილო ერბო შედიოდა ან — ხუთი კილო სპილენძი, ე. ი. ფეხითის მაგიერ უნდა მისცე ოთხი ცხვარი ან სხვა. თუ ხელითი იყო, მაშინ შედიოდა ხუთი კილო ერბო და ხუთი კილო სპილენძი. ხელითში ერთ ცხვარს მისცემდნენ. ერთ ცხვარში ოთხ კილო ერბოს იხდიდნენ. ხელითში, მამულის ყიდვის დროს, მხოლოდ ხუთ კილო ერბოს აძლევდნენ, ხელითი იოლი იყო ძალიან. ხელითი გამოდის მეოთხედი. თავსისხლის დროს და მამულის გაყიდვის დროს (ხელითში) ხუთ კილოზე ნაკლებ (ერბოს) არ ღებულობდნენ ნამდვილად, ხუთი კილო ერბოს ნაცვლად ცხვარს მისცემდა და ერთ კილოს (ერბოს) კიდევ დაამატებდა (მყიდველი). ოთხი ლიტრა იქნება თექვსმეტი კილო ერბო.

ორასი გრამი უნდა იყოს სტილი. ორ სტილი იქნებოდა გირვანქა. ორგირვანქნახევარი შედის კილოში.

ამას იქ აკეთებდნენ. იმდენად მძიმეს აკეთებდნენ იქა, რომ ცოტა მეტი ყოფილიყო წონაზე, ეს კილო ძველი ჩარექია. ოთხ ჩარექ ჩადის ლიტრაში.

გიგაურები ცხოვრობდნენ გველეთშიც, ბლოშიც არიან. აქ ნაშარობს ეძა-

---

იყო იდია, მეორისა თოხოლჩა, მესამისა თილილა. მთხრობლის განმარტების თანახმად, ამ სამი „მამის“ კოლექტივის სამივე ეპონიმი — წინაპარი ერთმანეთის ძმები იყვნენ და ამიტომ მათი შთამომავალნი ერთმანეთის „ძმათაშვილები ვართო“, ე. ი. სამივე კოლექტივი შეადგენს ერთს, უფრო დიდ გაერთიანებას, ე. წ. „საძმოს“.

მაგრამ მთხრობელმა საქმის ნამდვილი ვითარება არ იცის. ის ცდება, როცა ფიქრობს, რომ თოხოლჩა, თილილა და იდია ძმები იყვნენ. ისიც შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა თითქოს იდიანი, თოხოლჩანი და თილილანი ერთსა და იმავე დროს არსებობდნენ როგორც სამი ცალკეული „მამათა“ კოლექტივი. ამ ათიოდე წლის წინათ დაკითხული მოხუცების თანახმად თოხოლჩას ერთი ძმა ჰყავდა — თამარისძე. მათი შთამომავლობიდან შეიქმნა ჯერ ორი მამათა კოლექტივი: თოხოლჩანი და თამარისძენი, რომლებიც ამავე დროს ერთ საძმოს შეადგენდნენ, შემდეგში თოხოლჩას ოთხი შვილის (სუსუას, მანგიას, გარსიას და ფშაველას ანუ შალვას) შთამომავლობა ჩამოყალიბდა ოთხ მამათა კოლექტივად (სუხუანი, მანგიანი, გარსიანი და შალვანი ანუ ფშაველანი), და, როგორც მოძმე — „მამები“ ყველა ისინი ერთს საძმოს („თოხოლჩათ საძმოს“) შეადგენდნენ. ასევე თამარისძე ოთხი ვაჟიშვილი (იდიას, უთურას, გაგას და თამარისძის) შთამომავლობამ მოგვცა ოთხი მამანი (იდიანი, უთურანი, გაგანი და თამარისძენი), რომლებიც ერთს საძმოს — თამარისძეთ საძმოს შეადგენდნენ. ხოლო თოხოლჩათ საძმო და თამარისძეთ საძმო ერთ თემს — ე. წ. იმედათ თემს შეადგენდნენ, ე. ი. ამ თემს იმედანი ეწოდებოდა, რადგან თემის ეპონიმი იმედა იყო. ამ იმედას ორი ძმა ჰყოლია: თილილა და მარაისძე, რომლებიც ისევე როგორც იმედაც, ეპონიმები გახდნენ მათგან განვითარებული ჯერ „მამების“ კოლექტივებისა, შემდეგ „საძმოებისა“ და, ბოლოს, სოფლის თემისა.

ამგვარად, ჩემი მთხრობლის დროისათვის საქმის ნამდვილი ვითარება ასეთი იყო: იდია თამარისძის ვაჟიშვილი, ხოლო იდიანი — მამის კოლექტივი იყო, რომელიც თამარისძეთ საძმოში შედიოდა. თოხოლჩანი სხვა საძმო იყო, მაგრამ ამ საძმოში გაერთიანებული მამები და თამარისძეთ საძმოს მამათა კოლექტივები, მათ შორის იდიანიც, ერთი თემის წევრები იყვნენ — იმედათი. ამავე დროს იმედანი, თილილანი და მარაისძენი სოფლის თემს შეადგენდნენ.

ხდნენ, ხატიდან ჩანს შარა, გიგაურების გაკეთებულია ეს გზა. აქედან წასულან ჭართალში. აქედან წაუღიათ ხთიშობლის ხატი.

გუდანის ჯვარის ნიში არა გვაქვს აქ, ბაცალიგურის ნიში კი არის. გორელაურები, მანგიურანი და იდიანი იყვნენ ბაცალიგოს (ჯვარის) ყმანი. ბაცალიგოდან იყვნენ ამ სოფელში წამოსულები. გორელაური ბაცალიგოში ყოფილა მწყემსად. ქალთან ვიღაცასთან რაღაც უქნია და გამოუგდიათ. ისეც იტყვიან, გორიდან არის წამოსულიო. წამოსულა (მერე ბაცალიგოდან) და აქ დამადგარა. გველეთლებს არ დაუნებებია ეს ადგილი. (გორელაური) იძულებული გამხდარა და წასულა. ზაიელს უთქვია — ბიჩინაგური ბევრი ხალხია და დაგეხმარებაო. წადი წამოიყვანეო, დათვისი კი შენი აღარ იქნება თუ მოიყვან იმათაო (გორელაურს) მოუყვანია ბიჩინაგურები და დასხმიან გველეთელებს თავს. ბიჩინაგურებ უნდა იყვნენ ეგენიც (გველეთლები), მაგრამ ჩვენგან შორს უნდა იყვნენ. კავკავანი და ბარისახვანი გველეთელებისაკენ იხრებიან.

სამოცდასამი (საკომლო) ნაწილი (მიწისა) უკვე წაშლილია. იდიანი ხო არიან, თილილანი, თოხოლჩანი და მარაისძენი, გადაბმულია მაგათი ყანები ერთმანეთზე. თუ ვინმე გადავიდა აქედან, ერთიმეორის ყანებს აბამენ და აირია.

ჯვარის აქეთ რო მამულია, საჯვაროა, ჩვენი კი ჯვართ ვაკეა. ჯვარის ადგილს ხოდაბური და სადასტურო ხქვია. ჯ ვ ა რ ს ხ თ ი შ ო ბ ე ლ ხქვია. ჯვართვაკეს ზეით გრილწყალია, ხალხი ცხოვრობდა ხალხი რო აიყარა, ეგ ახოთგორია. გრილწყალში თვითონ დათვისლები ცხოვრობდნენ. უკანასკნელი კომლი ეხლა გადავიდა.

სახილეში ქეთელაურები ხახმატის ჯვარის ნიშს ლოცულობდნენ. ემას ჰქვია ორჯევთშუა. იმ გორელაურს გველეთლებისათვის ორჯევთშუა უთხოვია და იმათ რო არ მიუციათ გორელაურისათვის, მერე მთელი ტერიტორია დაკარგეს. ზენდათვისი არის ნაბაკურის ტერიტორიაზე, იმის ზევით არის ზენდათვისის თავი, იმის ზევით — საირმიას გორი. მაგათ კიდურზეა ჩვენი და მოწმაოელების საზღვარი.

საელიაოს ვეძახით ამ გორს. იმის ზეით თიკანთ სახოცია. თიკნები უხოცია ეშმაკს თუ რა ვიცი. იმის ქვეით სიპთკევია რაც ჩამოდის, ქვეით ჭალაა ნარიან ველი, — მერე წინა ნაქოხრებია, მერე ნაქოხრები — ჩემ დროს იყო. იმის ზემოთ სასიპე მოედანია, მერე—ორმეედანი, მერე დაბლობია, ღოლო იცის და საღოლოე ხქვიან, მერე საგუბია — გუბე დგება, მერე საცა ხარებს ვაყენებდით — სახარავნე და სადუცის ღელე. მერე კიშკევია, გადაღმა არის, ჩვენი იყო, თექვსმეტ სულს გვაძლევდნენ გუდამაყრელები საბალახეს. უკან არის უკუდურა — საცხვრე ადგილები, ბატკანს აყენებდნენ. მერე — საგუდამაყრო, იქიდანაც თექვსმეტ სულს ვიღებდით საბალახეს. ეს (საბალასე) ნაწილდებოდა კომლებზე, ჭედილასაც ვართმევდით ერთ ცალს აქაც და იქაც (საგუდამაყროდან და კიშკევიდან). ეს იყო სამეკვლეო. საჯვაროდ მარტო ამას კლავდნენ. ჭედილა ჩვენ უნდა აგვერჩია. კაცს აირჩევდა სოფელი და ის არჩევდა (ჭედილას). აქეთ ბატკანს ვართმევდით, კიშკევში — ჭედილას. მამაჩემთან მოდიოდნენ, თავკაცი იყო, და ეხვეწებოდნენ სხვას არ მისცეთ (საბალახე ადგილებიო). სოფელი თექვსმეტ სულს გაყიდდა და ფულს გაინაწილებდა. ერთხელ სოფელში ითქვა ქვაბები და კოდები შევიძინოთო. ერთხელ ლათფა გააკეთეს.

აქ საიფქლე გორია. იფქლი კარგი მოდის. ყველას ჰქონდა მამულები ცოტ-ცოტა. საიფქლეები სამთო მამულები იყო. საიფქლეების ზემოთ გველეთლების მთა არის, გველეთლების მთას ვეძახით. იფქლის გარდა (საიფქლე გორზე) ითესებოდა შვრია, ქერი, შემოდგომის სვილი, ასლი. ეხალ გადავარდა ასლი. ტრუპკას ვთესავდით, კრუმას ძველად ვეძახოდით. (კრუმა) გაზაფხულზე ითესებოდა, თეთრ ყვავილს გაშლის როგორც ბამბას, სუსტი ფეხი აქვს და სეტყვა ფეხსა ტეხავს. აქ ყველაფერი მოდის: სიმინდი, ვაშლი, მსხალი, თხილი, პანტა, მაჟალო, შვრია, გაზაფხულის თესლია შვრია, ცხენის საჭმელად მისწრება იყო.

დათვისლები განსაკუთრებით გუდანის ჯვარში, ზეისტეჩოში და ხთიშობელში ინათლებოდნენ. ჯუთიდან ღალანგურში, ართხმოს ვინათლებით, ან გუდანში. ბავშვი შეიძლება ხუთი წლისაც, ათისიც განათლულიყო, მიბარების შემდეგ ყოველ წელს უნდა განათლულიყო. ამას ხქვია ხელოსანი. სწორედ ხელოსანს აყენებდნენ მედროშედ, წილს ყრიან და ისე. მე თვითონ გუდანში ვარ მიბარებული, ხელოსანი ვარ, შეიძლება მედროშედ დამაყენონ. ზეისტეჩოს ჯვარშია გიორგი, დეკანოზიც იქ არის და განათლულიც, ქადაგმა უთხრა (გიორგის) იხუცეო.

რომელიც ჯვარშია მიბარებული, ის არის (იმის) ხელოსანი. ხელოსანმა უნდა წაიყვანოს (ჯვარში) ბატკანი და სისხლი იწიოს. არაფერი არ ერგება. ხორცი სანათლავისა იქ (ჯვარში) რჩება, ტყავიც, იქ მარტო სუფრას უდგამენ. ხორცს ხარშავენ დასტურები და ჭამენ. წილით თუ შეხვდა დროშა, უნდა ერთ წელს ატაროს.

გუდანის ჯვარში ყველა დგება დასტურად სამაგანძურო ვინცა ვართ და იქნება თუ არ იქნება ხელოსანი. ქადაგით აყენებენ მედიდჯვარზე და მეათენგენე ორ დასტურს. ხუცესი ხელოსნებიდან უნდა იყოს, ჯვარი დაამიზეზებს, მაგანძურიც ხელოსნებიდან უნდა იყოს.

ექვსი დასტური ხოა, ორი მეათენგენე, ორი — მესაფუვრე-მეკოდეა, ორი კიდე ვალდებულია დროშათ რო წაუყვანენ, ამათ წაუყვანონ თასები, ამას ხქვია მაგანძური. მედროშაე ხელოსნებიდან უნდა იყოს, წელს მე ვარ (მედროშაე), მეორე წელს სხვა. ლიქოკში იციან მაგანძურ უნდა იყოს პატარა, უცოლშვილო. განძს ჩვენთან მედროშაენი ინახავენ. აქ (ხთიშობელში) სადობილოს პატარას დადგამენ. ჩაის ჭიქის მაღალაით, ტოშოლები იციან და იმით დადგამენ თასს.

კ ვ რ ი ვ ი არის ჩვენთან ჯვარში. არავინ შედიოდა და არც ინახებოდა რამე. ნაგებობა უნდა იყოს. კვრივი უნდა იყოს ქვის გალავანი და არ შეიძლება შესვლა. კვრივში არ შევლენ არც დღეობაში, არც უდღეობოდ.

საკენკეშოს ჩრდილი და შეღმა — გორი იყო საკვამლო. სათიბები რამდენი კომლიც სოფელში იყო, იმდენზე იყოფოდა, თუ ვინმე დააკლდებოდა ან მიემატებოდა, გაინაწილებდნენ ხელმეორედ. წილს არ აიღებდა ვინც ქვრივ-ობოლი იყო, ან თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის არ იქნებოდა, სანამ ვერ შეძლებდა ლუდის მოხარშვას, სადასტუროში ჩადგომამდე არ ეძლეოდა საკომლო. არც სადასტურო, არც სათიბები. ერთ წელს რომ მაღლა მოხნავდა, ერთი, ახლა მეორე წელს — დაბლა, ვინც საკომლოს იღებდა, სადასტუროს ერთ სრელს ამუშავებდა და საკლავიც უნდა დაეკლა და სადასტუ-

როდან სამი ფუთი ლუდი უნდა მოეხარშა. ერთ ძროხას ან ხარს კი არა, ხუთსაც გამოკვებავდა იმ საკვამლოთი.

სულ მაღლა ხქვია მაღალ საჩალე, იქაც მიდიოდა მლოცავი. ვინ მიდიოდა ვინ იცის, ქვებია გამოხვრეტილი, ძველია. მაღალ საჩალეში კვიცები უხოციათ. ქადაგი იტყოდა: მაშინ მქონდა ძალიო, როცა ჭლიკმირგვალთ მიკლავდნენო.

მეწელწდე დასტური ორი კაცი იყო. ეგენი ვერც მკვდართან მივიდოდნენ, ვერც გომურში. ჭალაისოფელში ცხრა-ცხრაჯერ ბანაობენ დღე-ღამეში მდინარეზე. ხოდაბურს ყველა ვამუშავებდით, მერე დასტურს მიქონდა და გაღლეწავდა, თუ დასტურმა ვერ დაამუშავა, დათესავდნენ მეორე წელს.

ა ხ ო თ გ ო რ ი იყო სოფელი, ხთიშობლის ჯვარს აკრავს ბოლოზე. აქედან აიყარნენ. ჯუთიდან რაც ჩვენები გადმოვიდნენ (ისინი და ჯუთლები) არა ვართ დაშორებული ათი-თერთმეტი მამით.

აქ ხთიშობელს — ქალს ლოცულობენ, მარიამი ყოფილაო. ამ ადგილებში ანთებენ სადობილოებს. მიკრული სანთლისაგან გამომწვარია ხე. არ გადავწვაო და ქვა დადგეს და იქ უნთებენ სანთელს. ხის ძირში დევს სიპი, ბრტყელი ქვა, რომელიც ორ ქვაზეა გადებული, ეს არის ს ა დ ო ბ ი ლ ო.

ბ ე ღ ე ლ შ ი ალბათ დეკანოზი უნდა შესულიყო. იქ ალბათ ინახებოდა დროშები. აქ (უჩვენებს ადგილს ღვთისმშობლის ჯვარში) ორად იყო გაყოფილი სოფელი, ჩხუბობდნენ. დავითაურების იყო ეგ სადობილო, მერე შეუერთდნენ დანარჩენებს (და მთელი სოფელი ამის შემდეგ ერთად იყო ჯვარში).

ს ა ქ ვ ა ბ ე ბანიანი იყო, მერე სიპი დავაფარეთ. ბანიანი იყო დ ა რ ბ ა ზ ი, მერე ორფერდა გახდა. ეს დარბასის კარია. აქ თასებს დგამდნენ მარტო და ეგ იყო. დავითაურები ეხლა გომბორში არიან მეტ წილი. აქ რაც ტყეა, იმის მოჭრა არ შეიძლებოდა, არ უნდა დახკლებოდა, ჯვარის ტყეა.

დ ა ვ ი თ ა უ რ ე ბ ი ს ს ა ქ ვ ა ბ ე დ ა დ ა რ ბ ა ზ ი, (ეხლა ნაშალია) მერე შეერთდნენ—ერთ სოფელში ვართ, ბიძაშვილები ვართ და რათა ვართ ცალ-ცალკეო.

ამ ტყისათვის დროშა შემოუვლევია და დაუბარებია — ჯვარშიით შეშა არავინ გაიტანოსო, გიორგისათვის არს ნათქვამი.

სამნები აქ არ არის, სამნები იყო ყანებში.

ს ა კ ვ ი რ ა ო მ ი წ ა ერთი დღის არ იქნებოდა, არც ნახევარისა, პატარა იყო.

ის არის კ ო შ კ ი ს ნ ა შ ა ლ ი. როდესაც ცუდი ამინდები იყო და ელიაზე ვერ ადიოდა სოფელი, იქ იხდიდა დღეობას, ს ა ე ლ ი ო კ ო შ კ ი ა.

ამ სიპზე საკლავებს ვხარშავდით, მწვადებს ვწვავდით“ (M[6]).

3. მთავარანგელოზის ჯვარი, პირქუშისა და ადგილისდედა ღვთისმშობლის ჯვარი, სოფ. გველეთი

სოფ. გველეთის მთავარი სალოცავი მდებარეობს სოფლის თავზე, მისგან საკმაოდ დაშორებით, და მას მთავარანგელოზის ჯვარი ეწოდება (ტაბ. 16). თავდაპირველად ეს ჯვარი, — ღვთისია ხუცესის თქმით, — ოდესღაც გველეთში მოსახლე გიგაურების მკვიდრი სალოცავი იყო. შემდეგში, როცა გი-

გაურები გველეთიდან გადასახლებულან და მათ ადგილზე ბაცალიგოდან ბიჩინაგურთ თემის კაცი გიორგა არაბული გადმოსულა, მაშინ ეს მთავარანგელოზის ჯვარი თავის სალოცავად გაუხდია. ამჟამად გველეთში მოსახლე ხევსურები ყველა (ერთი კომლის გარდა) გიორგას შთამომავლობაა.

მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ჯ ვ ა რ შ ი ჩვენ ვიხილეთ ექვსი ს ა მ ა ნ ი, რომელთაგან 5 ცალი ერთმანეთის გვერდით არის გამწკრივებული, ჯვარის სამხრეთის მხარეს, ხოლო მეექვსე ცალკეა ყორით შემორკალული (ტაბ. 17). მთხრობელთა თქმით, ეს სამნები ამ ჯვარში ჩაფლულია უხსოვარი დროიდან, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გველეთში გიგაურები მოსახლეობდნენ. ამათგან მხოლოდ ერთ სამანზე არსებობს გადმოცემა, იმაზე, რომელიც განცალკევებით არის. დანარჩენ სამნებზე ანდრეზები არ შემონახულა.

ღვთისია ხუცესის თანახმად გიგაურები გველეთში მაშინ ცხოვრობდნენ, როცა ბარისახო ჯერ კიდევ დასახლებული არ იყო. მაშინდელ დროში გუდელას სისვაურებში მდგარა მითხოდან წამოსული ქისტი სანაგი. იმას მაგანძურნი ავიწროებდნენ და გველეთელი გიგაურებისათვის უთხოვია მფარველობა. გიგაურებს ჯერ უარი უთქვამთ — ურჯულოაო. სანაგს თეთრი ხარი მიუგვრია გიგაურებისათვის — უნდა მოგებაროთო, ხარქვაბით შემოღბარებია, ძმობა და ფიცი უქნავ და ძმობის სამანი ჩაუდგავ გიგაურების სალოცავ — ანგელოზის ჯვარში.

მთავარანგელოზის ხატი მოიცავს შემდეგ ნაგებობებს: 1. სახელოსნო — ორსართულიანი: ზედა სართული — ჭ ე რ ო, ქვედა სართული დ ა რ ბ ა ზ ი, 2. საკოდე, 3. დარბაზის კარი, 4. ბ ე ღ ე ლ ი, 5. ბეღლის კარი.

ბ ე ღ ლ ი ს (იხ. გეგმა და ჭრილი) (ტაბ. 16) კარი აღმ.-დას. მხარეზე აქვს. შიდა კედლები შელესილია. ჩრდილოეთის კედელში დატანებული აქვს შუკუმი (ნიშა). კედლის ჩრდ.-დას, კუთხეში „დუქანია", უფრო დიდი ზომის „დუქანი" სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეშია. აღმოსავლეთის ვიწრო კედლის გასწვრივ ქვის სიპისაგან საჯდომია გამართული, რომელზეც აწყვია ძველი ტაგრუცი და ქალის ხელსაქმის ხის ყუთი. იმავე კედელში გამაგრებულ ძელზე ჩამოკიდებულია ჯაჭვი. სკამიდან კედელზე მიყუდებულია ხუცესის კვერთხი. ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ ხის ფიცრის სკამია გამართული, სამხრეთის კედელთან დგას ხის სამფეხა მაგიდა, კარსა და მაგიდას შუა სამხრეთის კედელთან მიწყობილია კერა, ზემოდან ჩამოშვებულია ჯაჭვის საკიდლით. ბეღელს აქვს ხის სქელი კარი. შუაზე გამოთლილი სახელურით და ზედ ჩამოკიდებული ჯაჭვის სქელი საკეტით. აქვე ყრია ფიცრები, რომლებიც დღეობებზე სუფრის როლს ასრულებენ.

სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის კუთხესთან სამხრეთის კედელში დატანებულია პატარა ნიში, ხოლო უფრო მოდიდო - აღმოსავლეთის კედლის კუთხეშია გამართული.

„ბ ე ღ ლ ი ს კ ა რ ი": გაგრძელებულია კედლები თვით ბეღლისა სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხარეს. გადახურვა კვლავ ორფერდაა, ოღონდ იქ ფიქალია დახურული და აქ ყავარი. ბეღლის კარის თავზე გამოწეული სიპია, რომელზეც დგას ორი ხატი: ერთი წმ. გიორგისა (ზემოთ პატარა) და მეორე — ქრისტესი. წმ. გიორგისა უფრო ძველია, ქრისტეს ხატი — თუნუქისაა. სამხრეთი კედელი შუაზე ოთხკუთხედად არის ღია და მის მახლობ-

ლად ზარია ჩამოკიდებული, ხოლო ჩრდილოეთის კედლიდან გამოწეულ ფიქალზე პატარა ზარი დევს.

საკელოსნოს ზემო სართული ჭეროა. აქ 4 დაწნული საწოლია — ჯინი. ერთის სიგრძეა 2 მ, სიგანე — 81 სმ; მეორის სიგრძეა 180 სმ, სიმაღლე — 37 სმ; ჭეროს ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების კუთხეები ნაგლეჯი ფიქალისაგანაა მშრალად ნაგები, ხოლო მათ შორის კედელი ამოყვანილია ხის ფიცრებისაგან, იატაკიც კოჭებზე დაგებული—ფიცრისაა, ნაწილობრივ აყრილი. გადახურვა ყავრისაა, ჭერი არა აქვს. საწოლებს ზემოთ კედია გადებული.

დარბაზი საკელოსნოს ქვედა სართულს მოიცავს, — იგი ჭეროს ქვეშ ნდებარეობს. მის აღმოსავლეთის კედელში დატანებულია შუკუმი, ხოლო ორივე კუთხეში დუქანი (სიპისაგან გამოჭრილი წრის მეოთხედი). აქვე დგას ხევსურული ხის საწოლი. შიგ თივაა ჩაფენილი, საწოლის გვერდები ორნამენტითაა შემკული. სამხრეთის კედელშიც შუკუმია დატანებული კედლები ქვაკირითაა ნაგები. საწოლი და ჯინი მოთავსებულია დასავლეთის კედლის გასწვრივაც. ჯინსა და საწოლს შუა სამხრეთის კედლის გასწვრივ ფიქლისაგან სკამია გამართული. დასავლეთ კედელში, ჯინს ზემოთ, დატანებულია ვიწრო სარკმელი. შესასვლელი კარი ხისაა და კარის ბჭე მოთავსებულია მიწის იატაკს (ქაზდარს) ზემოთ. აქვე დგას ხის კოდი. სამხრეთის კედელთან დგას მოგრძო ხის საგანი, — გეჯა უნდა იყოს. შუაზე კერაა გამართული, რომელზედაც ეშვება ჭერიდან ჩამოკიდებული ჯაჭვის საკიდელი. საწოლის ქვეშ შეშაა მოთავსებული.

ს ა კ ო დ ე. საკოდეს კარი სამხრეთით აქვს, იგი ხისაა, ხოლო აღმოსავლეთ კედელში სარკმელია და შუკუმი. ჩრდილოეთის კედელთან დიდი კოდი დგას.

ჭეროს კარიდან მარცხნივ, კედლიდან გამოწეულ სიპზე, ბროლის ქვა დევს. ბროლის ქვა დევს აგრეთვე სიპერდიან კოშკზე. კოშკის გამოწეულ სიპზე (ბეღლის კარის მხარეს) სამი ნახვრეტია გაკეთებული დროშებისათვის. მ ო ს ა ნ თ ო კ ო შ კ ი ს სიპებზე 43 ბროლის ქვაა მოთავსებული.

მთავარანგელოზისა და ღვთისმშობლის ჯვარებს საერთო ხუცესები ჰყავს — ორი ხუცესი. ერთი მათგანი დგება ობოლქვრივი მამიდან, მეორე კი მგელათ მამიდან. მგელათ და ობოლქვრივთ კაცნი ჯვარში ხუცესად „მოდენილობით დგებიან“.

გველეთის მეორე სალოცავი — ა დ გ ი ლ ი ს დ ე დ ა ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი პირქუშის „საბრძანისითურთ“ (ტაბ. 18) — მდებარეობს სოფლის თავში. იგი წარმოადგენს ნაწილობრივ ყორით შემოფარგლულ და იფნის ხეებით შემოსილ ტერიტორიას, რომელზეც გაშენებულია ორი კოშკი და საქვაბე. ფასადის წინ შესასვლელთან დევს დიდი ზომის, ოვალური ფორმის ოდნავ მოგრძო, სალუდე ქვაბი. ორივე კოშკზე ბროლის ქვაა ოღონდ უფრო დიდი და მოგრძო პირქუშის ჯვარის კოშკზეა. 1943 წელს ფიქსირებული „საბრძანისი“ წელს დაზუსტდა: იგი პირქუშის სახელობის კოშკია; ხოლო პირქუშის ჯვარი, როგორც ვიცით, საერთო სალოცავია ბიჩინაგურთ თემისა ბაცალიგოში. ამ კოშკზე დროშებს აბრძანებენ არა მხოლოდ სასოფლო ჯვარისას როდესაც (ღამისთევებზე) გუდანიდან, ჯაჯმატიდან, ლიქოკიდან ჯვარიონნი დროშას მოაბრძანებენ ხოლმე, არამედ მაშინაც, როდესაც სოფლიდან სოფელში

გარდამავალ ჯვარიონთ გზაში აღამდებათ. მეორე კოშკს, როგორც აღვნიშნე, „ადგილისდედა ღვთისმშობელი“ ეწოდება. ამ უკანასკნელი კოშკის მახლობლად მდებარეობს ბანიანი ს ა ქ ვ ა ბ ე ამჟამად უკვე გაუქმებული (ტაბ. 19). მისი ბანი ნახევრად ჩაქცეულია, შიგნიდან დაცარიელებული და გაპარტახებულია, ფასადი და მის ირგვლივ მოფენილია შამბნარით, კართან გდია დამტვრეული და დაჟანგული ლუდის მოსახარში ქვაბი. ამჟამად სადღეობოდ ლუდი იხარშება დასტურისა ან ხუცესის სახლში.

4. ღვთისმშობლის ჯვარი, სანება ახოს წვერისა, გერგეტის სალოცავი კოშკი, სოფ. ბარისახო

ბ ა რ ი ს ა ჯ ო ს ჯ ვ ა რ ე ბ ი. ქვენბარისაჯოს თავისი ჯვარი ჰყავს და ზენბარისაჯოს თავისი. ქვენბარისაჯოში კ ვ ი რ ა ე ს ჯ ვ ა რ ი ა. ზენბარისახოში — წმ. გ ი ო რ გ ი ს ჯ ვ ა რ ი, ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ჯ ვ ა რ ი, ს ა ნ ე ბ ა ა ხ ო ს წ ვ ე რ ი ს ა დ ა გ ე რ გ ე ტ ი ს კ ო შ კ ი.

ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ჯ ვ ა რ ი, ზღვის დონიდან 1605 მ-ია. „ხატის გარეთ მამულები სხვაგან იყო, მხოლოდ ამაში რაცაა, ისაა. დიდ მუხები აი, ხატის გვერდით, ხატისაა. ქალები ხატის სახელს არ იტყვიან; არ შეიძლება ხატის ხსენება. ჩვენს ხატში არაბულები და ჭინჭარაულები მოდიან. რასაც აქ ვხედავთ, დ ა რ ბ ა ზ ი ა. ძველად დარბასში ს ა ქ ო ბ ე იყო, ახლა აღარ არის. ლუდს სოფელი ხარშავს. ჩემსობას მახსოვს — აი, ამ დარბასში იდგა საქობე, უწინ საქობესაც ვეძახდით და დარბასსაც, ეხლა დარბასს ვიტყვით მარტო, დარბასის წინ რომაა (მიგვითითა ოთხკუთხად აშოჭრილ ადგილზე დარბასის წინ) — დარბასის კარს ვეტყვით ამას. ზარ არ იყო, ზარ მაღლა იყო, ეხლა ჩამოხსნილია, სკოლაში წაიღეს, ქვემოთ. მაღლობზე რომაა — ს ა ს ა ნ თ ლ ე კ ო შ კ ი ა. ეს ჩვენი დარბაზი ზემო ხატის საქობე იყო (ზემო ხატი — წმ. გიორგისაა) ლუდს აქ ხარშავდნენ ზემო ხატისათვის. წმინდა გიორგიში მიდიოდნენ დათვისელები და ჩვენი არაბულები და ჭინჭარაულები. დათვისელებსაც აქვთ დათვისში თავისი ღთიშობელი, ამ ჩვენი ქვემო ხატის მსგავსია. ჩვენს ზემო ხატს — წმ. გიორგის, თავისი ხუცესი ცალკე არ ყოლია. წმ. გიორგში დარბასი არ იყო, კოშკი იყო მარტო საზარე. თავისი მამულები არასოდეს ქონია. იქ მარტო ათენგენას ავდიოდით: წელიწადში ერთხელ, ჩვენს ქვემო ხატში წელიწადში სამჯერ მივდიოდით: ათენგენას, ამაღლებას და წელიწადს. გიორგობა არ ვიცოდით, ათენგენას ჯერ ჩვენს ხთიშობელში მივიდოდით, მერე კი წმინდა გიორგში. იქ ჩვენ და დათვისელები მორიგეობით ვხუცობდით; საღამოს რომ მე ვიხუცებდი, დათვისელი ხუცესი იმ დროს მეზარედ იქნებოდა, დილას რომ დათვისელი იხუცებდა, მაშინ მე მეზარე ვიქნებოდი. დროშა სამი იყო, ერთი ჩვენი და ორი — დათვისელთა. წინ-ჭინ სამივე დროშა ყოფილ დათვისში, წინ ჩვენ დროშა არა გვქონია, მერე გაიყარა სოფელი. ხალხ ცოტ დარჩა. ერთი დროშა აქა გვაქვს, ორი კი იმათ დარჩათ. ჩვენ ჩვენი მედროშე გვყავს. მე ვარ ეხლა მედროშეეც და ხუცესიც. იქაც (დათვისში) ეგრეა — ხუცეს და მედროშეე ერთია. 40 წელზე მეტი იქნების, ხუცესი ვარ. ჩემამდე მამაჩემის ბიძა იყო აქ ხუცესად.

წელიწადში ერთი დასტური ვიცით. საძოვრები ჩვენს ხატს რა ხქონივ. ეს ბორტვია, იგი არ იხვნის, უწინ სადასტურო უფრო პატარა იყო, ერთი წლის კი სოფლის ნაკვეთების ხარჯზე გაიზარდა, სოფელს ჩამოაჭრეს ზოლად და დაამატეს სადასტუროს.

დ ა რ ბ ა ზ ი ს სამხ.-დას. კედლის კუთხეში სასანთლე სიპია, შუაში დგას „ძირეული ბოძი". სასანთლეს „კამალას" ვეძახით. ამავე კედელთან კუთხეში „სამწირველოა", ზედ თასებს ვაწყობდით. აქვე რამდენიმე კოდია, ლუდით სავსე, და ტომარაგადაფარებული. ერთი კვირის შემდეგ აქ „მოსავლის სამხვეწროს" დღე იქნება და მისთვის გვინდა, როცა მე ვხუცობ, ჩემს მარჯვნივ ვერავინ დგების, მარცხნივ კი დასტური დადგება.

„ძირეულ ბოძი" იმისთვისაა, რომ თავხე დაიჭიროს.

ყველა დღეობაში ცხრა თასი ვიცით. ცხრა საინს (11 თასს) ვადიდებდით. წინ-წინ ვახსენებთ ღთიშობელს, მერე მოვაყოლებთ წმიდაო გიორგიო, დიდო კვარაეო, წმიდაო სანებაო ახოს წვერისაო ხახმატის ჯვარო, მთავარო მთავარანგელოზო, ხმალაო ბედნიერო, კვირაეე თელის ანგელოზო, ბორაყ ალვისის ტნისად მყოლო ანგელოზო, ყარაულნო მოდარბასე ანგელოზნო.

თაროზე ორი ზარი დევს, რომელიც დღეობაში ორ დროშას აებმება, მისი ორივე ტარი აქაა, დარბასში (ჭერქვეშ) შენახული. ჩვენ, ხუცესებს, ჩვენი ლიშანი გვაქვს. ყავარჯენი ჩვენ არ ვიცით, ყავარჯენი ხუცესს მხოლოდ დიდ ჯვარებში აქვ.

ძირეულ ბოძს (მუხისაა) ჟესტი აქვს ქვემოთ შემოკრული, რადგან „საცეცხლურის" გვერდითაა. (ბოძის ან ხის სვეტისათვის გარედან ლითონით გადაკვრის ტექნიკას უძველესი ტრადიცია აქვს საქართველოს ტერიტორიაზე. არქეოლოგმა ოთარ ჯაფარიძემ დმანისთან ყორღანი გათხარა და შიგ აღმოჩნდა ორი ხის შენობის ნაშთები — მოდიდო ოთხკუთხი შენობისა და შიგ მეორე შენობისა. ამ შენობათა ხის სვეტები გადაკრული იყო ვერცხლისა და ოქროს ფირფიტებით. ცხადია, რომ ამ ლითონს სამკაულის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და არა უტილიტარული, როგორც ხევსურეთის შემთხვევაშია — ვ. ბ.) ჭერი დარბასისა არის ბრტყელი, გადახურული მრგვალი კვეთის კოჭებით, რომლებიც ეყრდნობიან ჩრდილოეთის და სამხ. კედლებს კოჭებს ზემოთ გადის „ჭერები". კოჭებს აქ „ხეებს" უწოდებენ. „ჭერებს" კი „წვრილ ხეებს". საცეცხლურს ზემოთ ოთხკუთხად ამოჭრილი „საკვამია". კარის მაგივრობას სწევს შიგნიდან მიდგმული ლასტი. სამხ.-აღმ. კედლის კუთხეში ცოცხია მიყუდებული. ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ ხის სკამია (მუხის) და მისი გაგრძელებაა მთელი კედლის სიგრძეზე სიპის სკამი. კარის ორივე მხარეს (შიგნით) ხის სკამებია.

სასანთლე თაროზე დგას ჯვარი. ქვემო ნაწილი მისი (ბრტყელი) ჟესტისაა, ზემო ნაწილი კი მინანქრიანი თითბერია. აქვე თაროზე თანამედროვე დროშის ვარსკვლავიანი წვერია. („ამას ახალ ხატს ვეტყვით"—იხუმრა ადუამ). სამხ.-დას. კედლის კუთხეში ძირიდან ჭერამდე ხეა შედგმული,— ახლად შეუდგით, გასამაგრებლადო.

ათენგენას ხუცესი არაფერს მოიტანს, დასტური მოიტანს ქადას, მას „საწირს" ვეძახით. წინ-წინ ვიცოდით საკლავის დაკვლა, ცხვრისა ან ძროხისა, ერთს დათვისელები მოიტანდნენ, ერთს კი ჩვენ.

სანთლის დანთება სასანთლე კოშკში მარტო ამაღლებაში ვიცით, „სხვა დროს კი არ ვანათებთ“ (M[6]).

აღნიშნული დ ა რ ბ ა ზ ი (ტაბ. 20) მხოლოდ ფასადიდან ჩანს, იგი სიპი ქვითაა ნაგები, დანარჩენი სამი კედელი მიწაშია ჩამალული. დარბასის წინ დიდი ზომის სპილენძის ფირფიტებისაგან შეკერილი სალუდე ქვაბი გდია, იგი ამჟამად არ იხმარება.

ორფერდა სახურავის წვერიდან (ფასადის მხარეს) ხეა გამოშვერილი, იგი გასდევს მთელ სიგრძეს სახურავისას, მას „სამხრე“ ეწოდება.

დარბაზის წინ ს ა ს ა ნ თ ლ ე კ ო შ კ ი ა მაღალ გორაკზე. იგი ხეებს ებჯინება (ტაბ. 21). ზედ ორმტკაველიანი სიგრძე-სიგანის სქელი ქვის ჯვარი ადგა, მთლად დახავსებული. იქვე ხეზე რკინის პატარა ჯვარია ამოჭრილი და ლურსმნით ხეზე დამაგრებული. დარბასის ჩრდ. მხარეს მდებარეობს „ჯ ვ ა რ ი ო ნ თ დ ა ს ა ს ხ მ ე ლ ი ა დ გ ი ლ ი“, რომელიც წარმოადგენს დიდი სიპისაგან გაკეთებულ მაგიდას („სამწირველო“ ლუდისა და არყის თასებისათვის), სიპებისაგან და წაჭრილი ხისაგან დამზადებულ სკამის კომპლექსს. აქვეა პატარა ორმოს მაგვარი ფორმის საკლავის დასაკლავი ადგილი.

დარბაზის სამხ.-აღმ. მხარეს, სადაც სასანთლე კოშკი დგას, იმ გორაკს „საქვაბე გორი“ ეწოდება, დასავლეთით შორს, წმ. ტყე რომ მოჩანს, იმ ადგილს, „საჯდომა გორაკა“ ეწოდება, მის გვერდითაა „საელიავო კლდე“. ჩრდ. მხარეს, მის გაგრძელებაზე მთას „ყმაწვილების სახლა“ ქვია. მის ჩრდ.-აღმ. მთას — „მთა ხახისთავი“, მერე მოდის „საკინდვლიას“ მთა.

ს ა ნ ე ბ ა ა ხ ო ს წ ვ ე რ ი ს ა. „ს ა ნ ე ბ ა ა ხ ო ს წ ვ ე რ ი ს ა — სოფ. ზენბარისახოდან სამხრეთის მხარეზეა, მთის წვერზე, ტყეში. ის ზემო და ქვემო ბარისახოს ხატია, მანდ აქაური ჭინჭარაულები და არაბულები დადიან, იქაც მე ვარ ხუცესი. ათენგენობა ვიცით, სხვა არაფერი. იგივე დასტურია, რაც ღთიშობელში. დასტურობა რიგით მოგვიდის (1-წლიანია). შენობა არაფერია, ნაყორია სულ. ძველი ლეკები დგას. ათენგენაში ვიცით იქ საკლავის დაკვლა. მარტო ბორცვია, სხვა მიწა არ არის“ (M[11]).

გ უ დ ა ნ ი ს ჯ ვ ა რ ი ს მ ი წ ე ბ ი ს ო ფ. ზ ე ნ ბ ა რ ი ს ა ხ ო შ ი. გუდანის ჯვარის მიწა სოფ. ზენბარისახოში ერთ ადგილზეა მარტო, ეს მიწის ნაკვეთი მდებარეობს ადუა არაბულის სახლიდან სამხ.-აღმ. მხარეს და სამკუთხედად არის შეჭრილი ადუა არაბულის და გიგია ჭინჭარაულის მამულებში. ეხლა ამ საჯვარო მიწაზე დიჯი იზრდება. ამ მიწას „სახატო მიწა“ ჰქვია. ის გუდანის ჯვარისათვის შეწირულია, ვინ იცის, რა დროისაა, ეხლა თუ ვინმემ მოხნა, ნახევარი ხატისა იქნება. ნახევარს კი თავისად წაიღებს. მოხნავს იმ შემთხვევაში, თუ გუდანის ჯვარ ეტყვის, თუ დასტურ იქნების, ისე არა“ (M[6]).

გ ე რ გ ე ტ ი ს ს ა ლ ო ც ა ვ ი კ ო შ კ ე ბ ი. ამ 3—4 წლის წინათ ჯევსურებმა ჯევიდან, გერგეტის სალოცავიდან გადმოიტანეს „თეთრეული“ და სეტყვის საწინააღმდეგოდ სალოცავი კოშკები ააგეს ბარისაჯოს მთის წვერზე, ბუჩუკურთის მთაზე, უკენაჯოს მთასა და ოკერჯევის მთაზე.

ეს კოშკები თითოეულმა სოფელმა თავ-თავისთვის აიგო. ჯერ ერთმა სოფელმა გადმოიტანა გერგეტიდან „თეთრეული“, თავის მთაზე მისი სახელობის კოშკი ააშენა და დღეობა დააწესა. როცა ამ სოფელში სეტყვა

აღარ მოვიდა, მას სხვებმაც მიბაძეს და თავ-თავის სოფლებში ასეთივე სალოცავები გაიჩინეს.

წელიწადში ერთხელ ზაფხულში ადიან მთაზე ამ კოშკთან და ლოცულობენ. სასოფლო საკლავს იყიდიან; სოფელში (კომლზე) თითო ლიტრა სვილს მოჰკრეფენ და ლუდს გამოხდიან. სვილის მოკრეფა, ლუდის გამოხდა და საკლავის ყიდვა დასტურს ევალება. დასტური სოფლელებიდან დგება მორიგეობით. ამ კოშკს ჯელოსან-ხუცესი არა ჰყავს საკუთარი.

ბარისაჯოს ძველიდანვე ჰქონდა თავის მთაზე სალოცავი ელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ახალი სეტყვის საწინააღმდეგო სალოცავი გაიჩინა.

წელს, ივლისის მიწურულს, ბარისაჯოელებმა ამ გერგეტული სალოცავის დღეობა გამართეს. დასტური იმედა იყო, კოდი იმასთან გახსნეს, (M[10]).

ბარისახოს სასაფლაოზე სამარხები განაწილებულია გვარების მიხედვით. სასაფლაო მდებარეობს ს. შუაბარისახოს სამხრ. მხარეს, პატარა გორაკზე, რომელსაც „საფლავთ გორი“ ეწოდება. აქ ორი ტიპის საფლავის ძეგლებია, ერთი — კოშკების მსგავსი, მეორე კი წარმოადგენს მიწაში ჩაგდებულ სიპს, რომელსაც „მოწამე“ ჰქვია.

საფლავთ გორის ჩრდ. მხარე ჭინჭარაულთ უკავია, ცენტრში არაბულებია დაკრძალული (აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით); უფრო გვიან კი ჭინჭარაულებს სასაფლაოს სამხრეთი კალთაც დაუკავებით („ადგილ აღარ იყო მარჯვნივ, და იმიტომ“-ო). ს. შუაბარისახოს ხუცესმა თოთია ჭინჭარაულმაც ასევე მოხაზა სასაფლაოს დანაწილება[3].

5. წმინდა გიორგის ჯვარი და ღვთისმშობლის ჯვარი, სოფ. ჩირდილი

სოფელ ჩირდილის სალოცავები: წ მ ი დ ა გ ი ო რ გ ი ს ჯ ვ ა რ ი და ხ თ ი შ ო ბ ლ ი ს ჯ ვ ა რ ი. ეს ორი ჯვარი და უკანაჯოს ფუძის ანგელოზი მოძმენი არიან, (M[10]).

წ მ ი დ ა გ ი ო რ გ ი ს ჯ ვ ა რ ი, (გიორგი ოქროს მშვილდოსანი) სოფელი ჩირდილი მთის ფერდობზე მდებარეობს. ამავე ფერდობზე, სოფლის ქვემოთ უზარმაზარი წიფლის ხეების ტყეში მდებარეობს ჩირდილის სასოფლო სალოცავი წმიდა გიორგის ჯვარი. ამ ადგილს სამხ.-დას. ბუჩუკურთის წყალი საზღვრავს.

წ მ ი დ ა გ ი ო რ გ ი ს ჯ ვ ა რ ი სამი შენობისა და შენობის ნანგრევებისაგან შედგება. სამივე შენობა ფერდობის ზურგზე არის მოთავსებული. ეს შენობებია: დ ა რ ბ ა ზ ი, რომელიც ს ა კ ო დ ე ს თ ა ნ ერთად ერთი სახურავის ქვეშაა, ს ა ზ ა რ ე და ს ა ქ ვ ა ბ ე შენობის ნანგრევი დარბაზის გვერდითაა სამხრეთის მხარეს (ტაბ. 22, 23). დარბაზის ჩრდილოეთის მხარეს კი ს ა ზ ა რ ე კოშკია და იმავე მიმართულებით, ფერდობის ძლიერად დაქანებულ ნაწილში — საქვაბე. სამივე შენობა ყორით მშრალად ნაგებია. დარბაზი და საქვაბე ნახევრად მიწაშია ჩადგმული. დარბაზს მთავარი ფასადი დასავლე-

---

3 საჭირო იყო უფრო კონკრეტული მასალის მოპოვება: „მამის“ წევრები სასაფლაოზე კომპაქტურად იმარხებოდნენ, თუ არა; სასაფლაოზე რა ადგილი და რომელი მხარე ეჭირა „მამის“ მიცვალებულებს („ანდაბს“), — ეს არის მთავარი, ამისი გარკვევა და დადგენა აუცილებელია — ვ. ბ.

თით აქვს მიმართული, საქვაბეს ჩრდ.-აღმ. მიწის პირზე აღმართულია ამ შენობების მხოლოდ ფასადი. სახურავი ორფერდაა, თუნუქით გადახურული. დ ა რ ბ ა ზ ი მოგრძო შენობაა და ფასადის საწინააღმდეგო მხარეს კედლის კიდურები ოდნავ მომრგვალებულია. ფასადის მხარეს აქვს დაბალი კარი, ხის. კარის გვერდით გარედან კედელზე მიდგმულია მოგრძო და ბრტყელი ფიქლის სკამი; შესასვლელის მიდამო ირგვლივ დატკეპნილია და ყორით შემოვლებული. კარის გვერდით გარედან კედელზე ზარი ჰკიდია. კარს ზემოთ შუა ადგილას თუნუქის ჯვარია გაკრული. დარბაზს შიგნით დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების სიგრძეზე ხის სკამები არის მოწყობილი. შუაში ყვერფ-კერაა, რომელსაც უსწორდება ზემოდან დაკიდებული რკინის საკიდელი, საკიდელში გარჭობილია ხორცის ამოსაღები ორთითა ჩანგალი, რკინისა. ამ ჩანგლის მსგავსი მოყვანილობის ოთხთითა ჩუგლუგი, ტარით კედელშია შერჭობილი. ასევე კედელშია შერჭობილი წყვილი დანა, შამფურები და სხვა მისთანანი. კედელში დატანებულია შუკუმები, რომლებშიაც შედგმულია ლითონის ჯამ-თასები. სკამებზე გაწყობილია ხის კოშები ჩარხში გამოყვანილი მოგრძოფეხიანი, მცირე ზომის ჩხუტები. აღმოსავლეთის კედელი უსწორმასწოროა — ნახევრად სწორი, ნახევრად მრგვალად შეწეულია. როგორც ჩანს, შენობის ეს ნაწილი საკოდეა, — აქ დგას კოდები, რომელთაგან ერთში ლუდი ასხია და ნაბდით თავმოკრულია. ჭერის დირეში შეწყობილია დროშის ტარები, წყვილი, რომელსაც თავზე ჩამოცმული აქვთ საინტერესო ფორმის ისრები — ერთი ოთხწახნაგოვანი, მეორე ორწახნაგოვანი და შუაზე ამოზურგული. დარბაზის აღმოსავლეთის კედლის სწორ ნაწილზე მიყუდებულია ხის სამფეხა, მოგრძო ტაბლები, მათ შორის ერთი ჩუქურთმიანი ზურგით.

დარბაზიდან მარჯვნივ დგას ს ა ზ ა რ ე კ ო შ კ ი (ტაბ. 21) ზარით. მის მახლობლად მოთავსებულია კიდევ რამდენიმე კ ო შ კ ი, რომელთაგან გამოირჩევა ერთი მასზე დადგმული მეტისმეტად მაღალი წოწოლა ქვით.

დარბაზიდან ჩრდ.-აღმ. მხარეს არის რაღაც ნაგებობის ნაშალი, მრგვალად შემოფარგლული ქვებით; — იგი კვრივი უნდა იყოს.

ს ა ქ ვ ა ბ ე. საქვაბის ფასადი ჩრდ.-დასავლეთ მხარეზეა, მარჯვნივ ოთხკუთხი ფორმის კარია ხისა და მის მარცხნივ პატარა სარკმელი.

შენობას ორფერდა სახურავი აქვს. თვითონ არის ყორით ნაგები და თუნუქის ნაჭრებით გადახურული. ჭერი ბრტყელია, მიწაყრილ ჭერსა და სახურავს შორის სივრცე ცარიელია. ფასადის წინ დავაკება მომრგვალებულია და საქვაბის კარი უნდა იყოს. შიგ საქვაბეში შემდეგი ჭურჭელია: ძველი სპილენძის ღრმა თასი, ხის კოში დაჭრილი გვერდებით, დასავლეთის კედელთან კარის მახლობლად დგას თუნუქის ლათბა ლურსმნით შეკერილი, ზომა 2,90×52 მ. სიმაღლე — 47 სმ. კუთხეში კართან აწყვია კედები, ლათბის ზემოთ კოჭებზე ჩამოკიდებულია საკიდლები და პირსაკრავები. დასავლეთის კედელში 3 პატარა შუკუმია დატანებული. ერთ მათგანში დგას სპილენძის თასი ქართული წარწერით, ჩრდ.-დას. ზარფუშია, მეორე ხელქვაბი სპილენძისა მის გვერდითაა მიდგმული. აქვე კედლის სიგრძეზე ხის სკამია.

ჩრდილოეთის კედელში სარკმლის გვერდით მარჯვენა მხარეს შუკუმია, ჩრდ.-დას. კედლის კუთხესთან სარკმელი (ჭერთან) შესაძლოა, კვამლის გა-

სასვლელად იყო დატანებული. დასავლეთის კედლის შიდა ნაწილში მეორე შუკუმია. სამხრეთი ნაწილი შენობისა უჭირავს იატაკიდან ამაღლებულ ხისაგან და შემდეგ მიწაყრილისაგან გაკეთებულ საწოლს. აქ დევს არყის გასაცივებელი მთლიანი ხისაგან გამოთლილი ჭურჭელი, შუაში დატანებული ხის მილით, ხის კოდი და ხის ჩხუტი რკინის სახელურით. აქვე დევს სპილენძის ჭურჭელი დაღესტნური ტიპისა. თავხეში გარჭობილია საბორცე ჩანგალი რკინისა, ოთხფეხა. შუაში ორ ბოძს შუა ცეცხლის სანთები ადგილია (ყველფი არ არის). მთის თავზე ოთხკუთხედად ჭერია გაჭრილი.

ს ო ფ. ჩ ი რ დ ი ლ ი ს დ ე დ ა ღ ვ თ ი შ ობ ლ ი ს ჯ ვ ა რ ი. ჯვარის ხსენება ასე სცოდნიათ: წმიდაო ღთიშობელო ღთისკარზე მაბურთალო ჩრდილკავის დამთოკვაო II ადგილის დედაო წმიდაო მარიამო.

საზღვრები: ჩრდ. ჯვარის გალავანი და საფეხნო. აღმ. — **გუბთკევი,** მის ზემოთ ხატისაკენ მიმავალი აღმართი — **გზასაყარია, ჯვარის წყალი,** სამხრეთით — **ახოთ ბოლო,** ყანის ბოლოზე გაივლის საზღვარი. დასავლეთით- **სახლთავი.**

სასაკლაო ჯვარისა ჯვარის მიწაზეა, დარბაზის წინ. ამ ჯვარში მარტო რიკანაულები არიან. 12 თასის ხსენება იციან.

ს ა ქ ვ ა ბ ე (ტაბ. 24) მას შესასვლელი დას. მხარეზე აქვს. საქვაბის წინ დანგრეული კედელია, ძველად ეს საქვაბის კედელი ყოფილა, მერე როცა ხალხი დაცოტავდა, საქვაბე დაუპატარავებიათ და კედელიც უკან დაუწევიათ. აღმოსავლეთის კედელთან დგას ხის სკამი, უბრალო ფიცრისა; აქვეა გადმობრუნებული სპილენძის ლათბა (160×50 სმ), მას თავზე აქვს „ტომარათ საკიდები", „ტომარათ პირსაკრავი" და „ტომარათ კედნი", ამავე კედელში საკვამია გამოჭრილი. კუთხეში კი სალუდე ჯამია სპილენძისა. აქვეა ფქვილისა და წყლის ხის სარევი რკინის ორბოლოიანი თავით. აღმ. კედლის კუთხეში ჭერთან საკვამია გამოჭრილი. სამხრეთის კედლის მთელ სიგრძეზე აგრეთვე ხის სკამია გადებული. ამჟამად ლუდს სახლებში ხარშავენ. აღმ. კედლის კუთხეში დგას კოში, წყალსაკრეფი ქვაბი, სპილენძის თასი, სპილენძის ხელქვაბი, თუნგი სპილენძისა, საწდე. დას. კედელთან კარის მარჯვნივ დგას ქვებზე შეყენებული ხის სკამი. მის თავზე კი საკვამია გამოჭრილი. შუკუმი დატანებულია სამხრეთის კედელში. სამი ფიცრისაგან შეკრული ხის კარი სულ დამტვრეულია.

ბ ე ღ ე ლ ი II დ ა რ ბ ა ს ი (ტაბ. 25). შესასვლელი კარი აღმოსავლეთის მხარეზეა; მის წინ არის დარბაზის კარი. აქვეა ხის სკამი; მის ზემოთ კი ზარის ჩამოსაკიდ ხეზე ახალი ზარია ჩამოკიდებული. ბეღელის ფასადზე კარის ზევით, მთელ სიგრძეზე სიპების რიგია წინ წამოწეული, რომელზედაც დევს სპილენძის თასი, პატარა ზარაკა და პატარა ყანწი. დარბაზის კარის აღმოსავლეთი მხარე სიპებით ამოშენებული ჩაღრმავებული ადგილია შესასვლელი კარის დონეზე. დარბაზში სამხ. მხარე უკავია ს ა კ ო დ ე ს, რომელიც ორადაა გაყოფილი.

კ უ ლ ა მოთავსებულია საკოდესთან, მის მარცხნივ ქვების წყობაა ნახევარ სიმაღლეზე. იგი კედელს უერთდება, სადაც სამკუთხა სიპია კედელში დატანებული — (თასების დასადაგებელი კამალა). აქ დევს 5 რუსული ზარი, ვერცხლის მძივები და საკიდეები, ორი პატარა ზომის მდარე ხარისხის

ვერცხლის თასი. საკოდეში დგას ორი დიდი კოდი ხისა და ხის „სანამგულეს“ გვერდი — ფიცარი ჯოხების გასაყრელი ნახვრეტებით.

კამალასა და „ძირეული“ ბოძის (ცენტრში) ძირში დგას ხის ორი გრძელი სკამი, ერთი მათგანი ღრმად არის დაჭრელებული. ჭერზე გარჭობილია ოთხი დროშის ტარი, ხისა, ცეცხლის თავზე ჯაჭვია („საკიდელი“) „საკიდლის დასაკიდებელზე“ ჩამოკიდებული. ქვევით კი საცეცხლურია//ყვერფი, მის ზემოთ „საკვამი“.

დასავლეთის კედელთან მიყუდებულია (1 25×30 სმ) ხის, ძველი სამფეხა ტაბლა. მისი ცალი გვერდი დაჭრელებულია, ტაბლაზე სანთლის ნაღვენთია ჩამოსხმული. აქვე მთელ სიგრძეზე ხის სკამია, რომელზედაც დგას სპილენძის დიდი ზომის თუნგი, ერთი დროშის ტარი და ხის სახორცე დაჭრილი კბილანებით. აქვეა მეორე ძველი ტაბლა, უფეხო (მომტვრეულია), პირველისაგან განსხვავებით შუაში პატარა ზომის ნასვრეტები აქვს „რომ წვენი ხორცისა შიგ ჩავიდეს და ხორცი მშრალად დარჩეს“ კართან გდია თოვლის სახვეტი დიდი ზომის ხის ნიჩაბი, მთლიანი ხისაგან გამოთლილი (2 ცალი) და პატარა ზომის სპილენძის ქვაბი, ფირფიტებისაგან ნაკერი.

დარბასის ჩრდ.-დას. მხარეზე მიდგმულია კვრივი „კ ო შ კ ი“. რომლის დანიშნულება ვერ გაირკვა. დას. მხარეზე კი საზარე კოშკი დგას. წინ წამოწეული „თასების შესადგმელი“ თხელი სიპით. ზარი „ზარის ჩამოსაკიდზეა“, რომლის თავზე „ზარის დასაფარავი სიპია გადებული. ს ა ზ ა რ ე ორფეხა ყოფილა. მის უკან „ნაშალია ციხისა“. საზარეს ორფერდა ქვის სიპებიანი გადახურვა აქვს, ქუდად დადებული ქვა მის თავზე ციხიდან ყოფილა გადმოვარდნილი და საზარეს წვერად გამოუყენებიათ. საზარეს დასავლეთით გრძელი ფორმის კვრივია. უკანასკნელის ჩრდ.-დას. მხარეზე, მთის ფერდობზე დგას 160×100 სმ სიმაღლის კვრივი „კოშკი“. მას თავზე ადევს წოწოლა ოთხკუთხედი ფორმის 80 სმ სიგრძის ქვა. ხოლო მის ქვევით „დობილთ კოშკია“.

აქვეა „ნაბეღლარი“, იგი მთლიანად არის ჩაქცეული, მხოლოდ კედლის ნაწილია გადარჩენილი, საქვაბის მსგავსად კუთხეები აქაც მომრგვალებული ყოფილა. ციხეს ძველად დარანი ჰქონია წყლის გასასვლელად.

ჯვარში 12 თასის ხსენება სცოდნიათ. ამჟამად აქ ათენგენობასაც აღარ იციან დღეობა. სამი დროშა ყოფილა ადრე, ყველა თასი მებორაყეს ებარა. საკლავი იკვლოდა დარბაზის გვერდით მდებარე კვრივის წინ პირდაპირ მიწაზე.

ღვთისმშობლის ჯვარის გასწვრივ, იმავე ჯვარის ტყეს აკრავს სოფლის ს ა ს ა ფ ლ ა ო რამდენიმე კოშკით. სასაფლაოს კოშკები თითქმის არაფრით არ გამოირჩევიან ჯვარის კოშკებისაგან, გარდა სიდიდისა. ჯვარის კოშკები საფლავის კოშკებთან შედარებით უფრო დიდი ზომისა არიან (M[10]).

6. მთავარანგელოზის ჯვარი, ხვთისმშობლის ჯვარი, ადგილისდედის ჯვარი, სოფ. ბუჩუკურთა

სოფ. ბუჩუკურთა მაღალი მთის ფერდობზეა გაშენებული, მის ჩრდილოეთის მხარეს მდებარეობს სასოფლო ჯვარი ა დ გ ი ლ ი ს დ ე დ ა და სასაფლაო.

ადგილისდედის ჯვარი რამდენიმე შენობას მოიცავს. ცენტრში დგას ყორით ნაგები პატარა შენობა, რომლის აღმოსავლეთის კედელზე მიშენებულია საზარე კოშკი (უზარო); საზარე კოშკზე დევს მთის ბროლი. შენობა გადახურულია ორფერდა სახურავით. ეს ნაგებობა კაცის სიმაღლეს არ აღემატება. შიგ დგას ორი ჩხუტი ხისა, ორი თასი, რომლებიც დადებულია სამხ.-აღმ. კუთხეში მოწყობილ ხის თაროზე (თუ სკამზე). მის მახლობლად, ჩრდილოეთის მხარეს საქვაბეა, ყორით ნაგები დაბალი შენობა, ბანიანი; ბანი მიწის პირადაა, კედლებიც მიწაში არის მოქცეული. მხოლოდ ფასადის მხარეს მიწის ზედაპირი ჩაქანებულია და ამიტომ ფასადი თავისუფლად მოჩანს. საქვაბეში დგას: ლათბა, ჭუჭკები, კედები, სალუდე ქვაბი. კედელში დატანებულია შუკუმები.

საქვაბეს ზემოთ, ჩრდ.-დას. კვლავ მშრალად ნაგები (ყორის) შენობაა, ფასადით აღმოსავლეთისაკენ, სამწახნაგოვანი, ფიქალით გადახურული სახურავით. მხოლოდ ფასადის კედელი მიწის ზედაპირზე მოჩანს თავისუფლად, დანარჩენი კედლები მიწით არის დაფარული. შენობა პატარა და დაბალია. არავითარი ინვენტარი შიგ არ არის.

ამ შენობის მახლობლად, ჩრდ.-აღმ. მხარეს მშრალად ნაგები (ყორის) საზარე კოშკია (უზარო); ზარის ნაგლეჯი ჩამოკიდებულია ყორის წინ გამოწეულ ნაწილზე.

აღნიშნული შენობების გარდა, სალოცავის ფართობზე ხის ძირთან რაღაცის ნანგრევია, ხოლო მეორე ხის ირგვლივ ქვებია შემოწყობილი, თითქოს დასაჯდომად. ეგების ეს უკანასკნელი ადგილი საფეხვნოს წარმოადგენს.

ადგილისდედის ჯვარს სოფლისაგან დაბალი ყორის გალავანი მიჯნავს. ამ ჯვარის სამხრეთით მდებარე ფართობი უშუალოდ გადადის სასაფლაოში, სადაც რამდენიმე საფლავის კოშკი დგას. დანარჩენი სამარხები მოგრძო და ბრტყელი ფიქალით და წვრილი ქვებით არის დაფარული.

ადგილისდედის ჯვარი მხოლოდ სასოფლო სალოცავია ბუჩუკურთელებისა. ამ ჯვარში შემდეგ დღეობებს იხდიან: შემოდგომის გიორგობას, ათენგენას, აჟვსებას, წელწადს, ამაღლებას, მარიანობას. ბუჩუკურთის სასოფლო ჯვარი არის ბუჩუკურთის მთავარანგელოზი (M[11]).

ბუჩუკურთის ღვთისმშობლის და მთავარანგელოზის ნაგებობები 1670 მ სიმაღლეზეა. ბუჩუკურთას აქვს ორი სალოცავი: ღვთისმშობლისა და მთავარანგელოზისა. ორივე მოთავსებულია სოფლის თავზე, ერთიმეორის გვერდით, ისე, რომ უფრო მაღლობზე არის ღვთისმშობლის ჯვარის ნაგებობანი, ქვემოთ — მთავარანგელოზისა (ტაბ. 26).

ბუჩუკურთის ღვთისმშობლის ჯვარის დარბაზი. შენობა ორფერდა სახურავიანია. იგი ნაგებია მშრალად, ფიქალი ქვით. შესასვლელი აღმოსავლეთ მხარეს აქვს. შესასვლელს კარი აბია. იგი ერთი ბრტყელი ფიცრისაგან არის დამზადებული. შიგნით, აღმოსავლეთ მხარეს, კარის მახლობლად, კედელზე მიყუდებულია უკვე საკმაოდ მოძველებული გრძელი ხის სამფეხა სკამი. ცალი ფეხი მომტვრეული აქვს. ჩრდილოეთ მხარეს ორი დიდი ქვის დასაჯდომია. სამხრეთ მხარეს გაბნეულია რამდენიმე დასაჯდომი ქვა. იატაკი მიწისაა. ოთახის შუაგულში დევს სამი კერის ქვა. ჭერ-

ში გადებულია ხის სამი გრძივი კოჭი, რომლებზეც ორი მხრივ გადებულია ნივნივები. სახურავი გადახურულია ბრტყელი ფიქალით (ტაბ. 27).

ღვთისმშობლის დარბაზის უკან, უფრო ამაღლებულ მთის ფერდზე, ბებერი იფნების ძირას დგას მშრალად, ფიქალისაგან ნაგები ს ა ზ ა რ ე კ ო შ კ ი უზაროდ. კოშკისა და დარბაზის მარჯვნივ, მათ მახლობლად იფნის ხეებით შემოზღუდული დაქანებაა, რომელიც ღვთისმშობლის კ ვ რ ი ვ ს წარმოადგენს.

ბ უ ჩ უ კ ურ თ ი ს მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ა და ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ჯ ვ ა რ ი ს ს ა ლ უ დ ე და ს ა კ ო დ ე. სალუდე და საკოდე ერთი შენობაა, რომელიც მდებარეობს მთავარანგელოზის ჯვარის ტერიტორიაზე (ტაბ. 28); შესასვლელი აღმოსავლეთ მხარეზე აქვს.

კარი არ ჰკიდია. გარდა მთავარი ფასადისა შენობის სამივე კედელი ნახევრად მიწაშია და ფიქალის ნაგლეჯი ქვით არის მშრალად ამოყვანილი. შიგნით ჩრდ.-დას. კუთხეში ქვებისაგან გამართულია კერა, რომელზეც ზემოდან დგას ოვალური ფორმის ლუდის მოსახარში სპილენძის ქვაბი. დასავლეთის მხარეს უსწორმასწოროდ დაყრილია ქვის ლოდები დასაჯდომად. ჩრდ.-აღმ. კედლის გასწვრივ ჩამოკიდებულია კედები, ოღონდ მათ ქვეშ აღარ დგას ლათბა. ოთხი კედია. ამავე კედების მახლობლად ჩრდილოეთ კედელში ორი შუკუმია. კედლები ნაგებია მშრალად, ფიქალით. შუაზე შენობას თავზედ გადებული აქვს მსხვილი მორი, რომელიც დაყრდნობილია შუა ბოძზე გამართულ ქვის ბალიშზე. ჭერში ხის მრგვალი კვეთის კოჭებია და ზემოდან გაწყობილია ჭერებით. შენობა ბანიანია.

ბ უ ჩ უ კ ურ თ ი ს მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ჯ ვ ა რ ი ს დ ა რ ბ ა ზ ი (ტაბ. 26). კარები აქვს სამხრეთის მხარეს. შიგნით, სამხ.-აღმ. მხარეს, კედელთან დგას სამფეხა, გრძელი, დაახლოებით 15 მ-ის სიგრძის ხის მაგიდა, მაგიდაზე დგას სპილენძის ორი სალუდე საწყაო, ამათგან ერთი შედარებით დიდია, მეორე — უფრო პატარა, აგრეთვე სპილენძის ორი თასი, ერთ-ერთი მათგანი ფეხიანია, და ორი პატარა კოში. იქვე, სამხ.-აღმ. კუთხეში არის სიპი ქვის სკამი, სამხ.-დას. კუთხეში სიპი ბრტყელი ქვისაგან გაკეთებულია მოგრძო ოთხკუთხა თარო („დუქანი"), რომლის ორი ბოლო ჩატანებულია შენობის კედლებში. ჩრდ.-დას. კუთხეშიც გაკეთებულია ხის მოგრძო ოთხკუთხა თარო, რომლის ერთი ბოლოა მხოლოდ შენობის კედელში ჩატანებული. შენობის დასავლეთ მხარეს დგას გრძელი ხის სკამი, რომელიც წარმოადგენს დაახლოებით 2 მ-ის სიგრძის გრძელი ხის მორს. იგი თავსა და ბოლოში ორ დიდ ქვაზეა გადებული. იატაკი მოტკეპნილი მიწისაა. აქა-იქ იატაკში ბრტყელი ქვები მოჩანს. იატაკის ცენტრში არის კერა, სადაც ყრია შეშების ნამწვავები. შენობის კედლები ნაგებია ნაგლეჯი ფიქალისაგან. ჭერის შუაში სიგანეზე გადებულია ორი ხის მრგვალი კვეთის გრძივი კოჭი, რომელზეც ეყრდნობა ჭერის სამხრეთ და ჩრდილოეთ მხრიდან გადებული ნივნივები. ზემოდან ნივნივებზე დაფენილია ბრტყელი ფიქალი. სახურავი ორფერდაა. გარედან, ფასადის მხარეს ბრტყელი სიპი ქვებისაგან გაკეთებულია მოგრძო სკამი. კარის ნაცვლად შესასვლელში აფარებულია მოგრძო ბრტყელი ხის ნაჭერი. გარედან ჩრდ.-აღმ. კედელთან ნაგლეჯი ქვისაგან მშრალად ნაგები. ს ა ზ ა რ ე კ ო შ კ ი ა. კოშკს ორი მხარე აქვს და ზემოდან გადახურულია ბრტყელი ქვებით. საზარის სახურავის შუა-

გულში მსხვილი მავთულით ჩამოკიდებულია რკინის ზარი, რომელიც დამაგრებულია საზარის გვერდებს შუა გადებული ორი ხის ნაჭრიდან ერთ-ერთზე. ზარს აქვს წარწერა „შამ გწირეთ ფუთის ანგელ-ს შიჯანაშვილმა გივმა და ძმებმა ჩემმა ჩ. ყ. ნ. ზ.“[4] საზარის სახურავზე დადგმულია ორი თეთრი მთის ბროლის ქვა, რომლებიც ერთიმეორეზე დევს. ქვევითა ქვა უფრო მოზრდილია, ზევითა შედარებით პატარა.

დარბაზის მახლობლად დგას მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს კ ო შ კ ი, ფიქალით მშრალად ნაგები, კოშკის ქვემოთ — მთავარანგელოზის კ ვ რ ი ვ ი ა. იგი წარმოადგენს ერთი უზარმაზარი ბებერი იფნის გარშემო რაღაც შენობის ნ ა შ ა ლ ს. კვრივის გვერდით კვლავ შ ე ნ ო ბ ი ს ნ ა შ ა ლ ი ა. ჯვარის ტერიტორიაზე გაშენებულია უზარმაზარი იფნის ხეები. აგრეთვე მსხლის ხე და ბებერი თელის ხეები. ჯვარს ჩრდილოეთ მხარეთ აკრავს სოფლის სასაფლაო. ამჟამად ბუჩუკურთის მთავარანგელოზის და ხთიშობლის ხატის ხევისბერია ჯურხა, რომელიც გვიამბობს: „ჩვენ ს ა მ თ ო ს ა ლ ო ცა ვ ი გვაქვს, წ მ ი ნ დ ა ს ა ნ ე ბ ა ს ვეძახით, იქ ერთი ს ა ზ ა რ ე დგას. იქ ათენგენობის ერთი კვირის სწორზე მოდის დღეობა. ჩვენი მამა-პაპა იქ დადიოდა. ჩვენ ჭორომეშავიდან ვართ, იმაზე წამოვსულვართ იქიდან, რომ მიწა აღარ ყოფნიდათ. ჩვენი სალოცავია თ ა ვ ა დ ი მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ჯ ვ ა რ ი. აქ გვაქვს: ს ა კ ო დ ე ანუ ს ა ქ ვ ა ბ ე. ერთთვლიანია, დ ა რ ბ ა ს ი, ტოლითა და ფიცრით გადაეხურეთ ს ა ს ა ნ თ ლ ე ნ ი შ ი, ის ამავე დროს დროშათ საბრძანიცაა, თელის ხესთან აბრძანებენ, ზღუდის ნაწილი, რომელიც კვრივს შემოუვლის, და ს ა ზ ა რ ე. ეს უკანასკნელი ხატის დასაბრძანი ადგილი იყო. ძველად ბუჩუკურები მდგარან, მერე მთიულეთში გადასულან, ლაშქრობა ყოფილა, ლეკებს, ულაშქრავ, ამაზე შეწუხებულან და აქედან წასულან, მერე ეს ადგილები ჩვენ ხალხს დაუჭერია. ეხლაც მოდიან სოფ. გვიდაქედან მთიულები აქ სალოცავად, მარიანობას ფუძის ანგელოზიდან, უკანახოში რომ არის, აქ გადმოდიან, თავისი ხუცესი არ მოყვებათ, მე ვხუცობ.

ს ა ს ა ფ ლ ა ო ხატის მიწაზე გვაქვს. მთავარანგელოზის საწმინდარი ადგილია კვრივი. სამწირველო გვაქვს ხისა — ესაა თასების დასადგმელი (M[6]).

ს ა კ ო დ ე წარმოადგენს საძირკველში ოთხკუთხი ფორმის ნაგებობას, რომელიც ნახევრად მიწაშია შეჭრილი. მისი ფასადი აღმოსავლეთის მხარეზეა, მიწიდან — 0,5 მეტრით ამაღლებულია შესასვლელი. შენობა ლამკირითაა ნაგები. გადახურვა ბანურია („მიწური“), მის წინ გდია ძველი, ქისტური ფორმის სპილენძის სალუდე ქვაბი. იატაკი მიწაყრილია და საფეხურით ძირს მიწაში დაშვებული, კარიდან დასავლეთის მიმართულებით გადებულ თავხეზე ტომრის საკიდლები ჰკიდია.

დარბასის დასავლეთით, მოშორებით, ამაღლებაზე დიდი თელა დგას, აქ დროშებს აბრძანებდნენ, მის გარშემო დიდი ლოდებია გარშემოვლებული.

ს ა ს ა ნ თ ლ ე ნ ი შ ი, სადაც თელიდან წამოღებულ დროშებს დააბრძანებდნენ, მდებარეობს დარბას-საზარეს ჩრდილოეთით. ის წარმოადგენს

---

[4] წარწერა იკითხება ასე: შამოგწირეთ ფუძის ანგელოზს შიჯანაშვილმა გივმა და ძმებმა ჩემმა 1857 წ.

მშრალად ნაგებ ოთხკუთხა ფორმის შენობას, მისი ფასადი სამხ.-აღმ. მხარეზეა. აქ, კედლის შუაში, გამოჭრილია სასანთლე შუკუმი. კოშკი ზემო ნაწილში ოდნავ ვიწროვდება (ზედა ნაწილი ჩამოშლილია). ის კვრივადაა ნაგები. შუაში ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან სიპები ოდნავ გამოწეულია კედლიდან.

სასანთლის ჩრდ.-აღმ. მხარეს მდებარეობს ამჟამად ჩამოქცეული დიდი ა ვ რ ი ვ ი, უზარმაზარი, მასიური ქვებისაგან აწყობილი გალავნით შემოზღუდული, ახლა გალავანთან დიდი თელა იზრდება.

კომპლექსის ჩრდილოეთით, ხატის მიწაზე გამართულია სიპერდებიანი ს ა ს ა ფ ლ ა ო, სადაც მამიშვილობებს თავთავადი ადგილები სჭერიათ.

7. ფუძისანგელოზის ჯვარი, სოფ. უკანაჯო

„დღეს შაბათია, ღვთისმშობლობის სწორი, როდესაც უკანაჯოს პირიმზე ფუძისანგელოზის ჯვარში დღეობა „აჯობა" იმართება.

აჯობაზე მოსულია უკანაჯოს და მახლობელი სოფლების — ჩირდილისა და ბუჩუკურთას მოსახლეობა. ძირითადი მლოცველები გუდამაყრელები არიან. გუდამაყრელებიდან მოსულია გუდამაყრის პირიმზე ფუძის ანგელოზის ხატიონი დროშით და მისი ყმანი; ორი-სამი გვარის ხალხი — კაცები, ქალები, ახალგაზრდობა. ხატობას უამრავი საქონელი დაიკლა, უმთავრესად კურატები — ხარები დაუკოდავი და ცხვრები. ჩემს თვალწინ შესწირეს და დაკლეს 8 კურატი, მათგან ერთი შემკობილი იყო ყელზე მოხვეული წითელი არშიით (ლენტით), რომელიც ხარის დაკვლის შემდეგ ჯევისბერმა წელზე შემოიკრა და დღეობის განმავლობაში არ მოუშორებია. აჯობას მოსული გუდამაყრელები, როგორც მათი მონათხრობიდან გაირკვა, ფუძის ანგელოზის ყმები იყვნენ ყველანი; მათი წინაპრები ოდესღაც უკანაჯოში მოსახლეობდნენ, აქედან აიყარნენ და გუდამაყარში გადასახლდნენ. მას შემდეგ მათი შთამომავლობა თურმე ყოველწლიურად აჯობას ჯერ გუდამაყრის პირიმზე ფუძის ანგელოზის ხატში ადიან სალოცავად და შემდეგ უკანაჯოს ფუძის ანგელოზისაკენ მიემგზავრებიან.

ხევსურეთის ზემოაღნიშნული სოფლების მცხოვრებთაგან ჯვარის მეზღვნენი მხოლოდ უკანაჯოელები იყვნენ ამ დღეს. მათ მოჰყავდათ ცხვრები და მოჰქონდათ სანთელი და ქადისკვერები შესაწირავად. რიტუალური კვერებიდან თითო ოჯახის წარმომადგენელს მოაქვს თითო-ოროლა ქადისკვერი და სამი ან ხუთი ცალი ტოშოლი (პაწაწინა კვერი).

ყველაზე უხვი საკლავ-შესაწირავები გუდამაყრელებს მოყავთ და მოაქვთ — კურატები, ჰედილები, წელგამოვლილი ცხვრები, დიდ-დიდი ზომის ქადები, არაყი, ლუდი, სანთელი და სხვა.

ფუძის ანგელოზის კოშკთან ხუცობს და საკლავებს თავსა სჭრის ორი ჯევისბერი ერთი გუდამაყრელი დეკანოზი და მეორე უკანაჯოელი ხუცესი (ხევსური). გუდამაყრელ ჯევისბერს ხშირად ენაცვლება სხვა გუდამაყრელი ჯევისბერი; ხევსური ხუცესი კი ერთია. ეს ორი კაცი ერთმანეთის გვერდით დგანან ფუძის ანგელოზის კოშკის წინ, ხელში ანთებული სანთლები უჭირავთ და ერთდროულად ხუცობენ და საკლავებს ხოცავენ. საყურადღებოა, რომ ერთ დღეობას გაერთიანებული ხევსურები და გუდამაყრელები ამ დღეობის

რიტუალს სრულიად გარკვეული წესით (რომელიც ორივე მხრისათვის ერთნაირი იყო) ასრულებდნენ. ერთი კვირით ადრე გუდამაყრელებმა უკანაჯოში მოიტანეს სალუდე ქერი და სხვა საჭირო მასალა, უკანაჯოს ფუძის ანგელოზის საქვაბეში ლუდი გამოხადეს და იქვე შეინახეს დღეობისათვის. დღეს აჯოობას დილით კოდის გახსნა მოხდა. მიღებული წესის თანახმად, კოდი ხევსურმა ხუცესმა გახსნა. კოდის გახსნამდე ლუდის დალევა არავის არ შეეძლო. ამის შემდგომ ჩამორეკეს ზარი და დაიწყო საკლავების შეწირვა. აგრეთვე წესისდა თანახმად პირველად გუდამაყრელების საკლავები დაიკლა, რომლის მოთავების შემდეგ ზარი ჩამორეკეს და შეუდგნენ, უკანაჯოელების საკლავების დაკვლას. როგორც ითქვა, ერთდროულად ხუცობენ და საკლავებს კლავენ გუდამაყრელი დეკანოზი და ხევსური ხუცესი,—ორივემ ჯერ გუდამაყრელების შესაწირავები შესწირეს და შემდეგ ხევსურებისა. საყურადღებო იყო ხუცობის ტექსტის შინაარსიც: ჯერ მოიხსენიეს ღმერთი, შემდეგ კვირაე, მესამე ადგილზე პირიმზე ფუძის ანგელოზი და შემდეგ სხვა ჯვარ-სალოცავები. მათ შორის ზოგადად მოხსენიებული იქნა ხევსურეთისა და გუდამაყრის ჯვარ-სალოცავები. როგორც ხევსურების ხუცესი, ისე გუდამაყრელთა დეკანოზი, ხუცობის ტექსტში იხსენიებდა გუდანის ჯვარსაც. მაგრამ ხუცობის ტექსტი სტრუქტურულად და ნაწილობრივ შინაარსობლივადაც გუდამაყრული ხუცობის ტექსტისაგან განსხვავდებოდა. გუდამაყრული საღვთისმსახურო წარსათქმელი ერთი მთლიანი ტექსტია, რომელიც ხევსურული ხუცობის „პირისქარის“ შესატყვისი ჩანს. ხევსურული ხუცობა კი სამი ნაწილისაგან შედგება: მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა, პ ი რ ი ს ქ ა რ ი და კ უ რ თ ხ ე ვ ა, რომელსაც კვლავ მოსახსენებელი მოსდევს, მაგრამ მეტად შემოკლებული სახით. შესაწირავის შეწირვის შემდგომ, ე. წ. „მეზღვნე“ (ე. ი. საკლავის პატრონი) დეკანოზსა და ხუცესს ზედაშეს—ბოთლით არაყსა და ყანწს გადასცემდა. ხუცესი არაყს ყანწში ჩაასხამდა, დაილოცებოდა, მოსვამდა მას, შემდეგ ანთებული სანთლით საკლავს მარჯვენა ბეჭზე და თავზე ბალანს შეუტრუსავდა, სანთელს იქვე მდგომ სხვა ჯვარიონს გადასცემდა, ან მას საზარე კოშკის წინ დააკრავდა, აიღებდა ხანჯალს და საკლავს ყელს გამოღადრავდა. დასტურები და სხვა ახალგაზრდები ამ დროს მის წინ საკლავს გვერდზე გადაუქცევდნენ ფეხებგაკრულს (საკლავის ფეხები ხელით ეჭირათ). საკლავის დაკვლის დროს მისი შემწირველი იქვე იდგა ცალ მუხლზე დაჩოქილი, ფუძის ანგელოზს თავის გასაჭირში დახმარებას შესთხოვდა და გულმხურვალედ პირჯვარს იწერდა. საკლავის დაკვლის შემდგომ კევისბერი საკლავის სისხლს შემწირველს შუბლზე წაუცხებდა, საკლავის თავს კოშკისკენ ისროდა, ხოლო თვით საკლავს თავის წინ დააგორებდა ან გადაისროდა. შევესწარ ასეთ შემთხვევებსაც: 1) საკლავის დაკვლის შემდეგ დეკანოზმა ლუდიან ყანწში საკლავის სისხლი ჩააწვეთა, ლუდი და სისხლი ერთმანეთში შეურია და შემდგომ ამ ნარევით მოასხურა, როგორც თვით შემწირველი, ისე ფუძის ანგელოზის კოშკი და მისი არემარე, ე. ი. ყველა ისინი „განათლა“; 2) როდესაც კოდის გახსნის შემდეგ გუდამაყრელის ოჯახმა საქვაბიდან ლუდი თავისთან მიიტანა, ლუდის პატრონის მანდილოსანმა ლუდი ყანწში გადმოასხა, შემდეგ მას თავისი საკლავის სისხლი შეურია და ეს ნარევი ფუძის ანგელოზის მიდამოს და თავისი ოჯახის სადგომ ადგილს მიმოაპკურა, ე. ი. ამ მანდილოსანმა ისინი „განათლა“; 3) ფუძის ანგელოზის ნიშთან (კოშკთან) ახალგაზრდა

გუდამაყრელმა საკლავი დააკვლევინა და ამის შემდგომ მან კოშკის წინ დაიჩოქა, დეკანოზმა კოშკზე მიყუდებული დროშა „წამოაბძანა“ და გუდამაყრელის თავთან რამდენჯერმე შეარხია და თან ეს ყმაწვილი დაამწყალობნა. ეს ე. წ. „დაკოჭვის“ წესი ჩატარდა იმის გამო, რომ გუდამაყრელი დაავადებულია, მას ცალი ხელი და მუხლი უხმება.

აჯობის რიტუალის ერთ-ერთ საყურადღებო მომენტს წიკლაურების „კოდის დათრევა“ წარმოადგენდა. როდესაც საკლავების დაკვლა მოთავდა (ამ დღეს ორმოცზე მეტი ცხვარი დაიკლა), გუდამაყრელებიდან ერთ-ერთი ოჯახის წევრმა, გვარად წიკლაურმა საქვაბედან ქვაბით (რომელსაც „კოდს“ ეძახდნენ) ლუდი გამოიტანა და ფუძის ანგელოზის შენობის წინ აღმართული ბებერი ხის ძირში დადგა. ქვაბს ირგვლივ შემოუსხდა ოთხი კაცი და მათ ხელებითა და ფეხებით ქვაბი გაამაგრეს. წესის თანახმად ეს პირები წიკლაურები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ამჟამად ოთხი კაციდან ერთი ხევსური იყო, — ეს დასახმარებლად მიიწვიეს. ოთხივეს წინასწარ იარაღი (ხანჯლები) ახსნეს. თავდაპირველად „კოდთან“ მიდიოდნენ „კეთილგანწყობილი“ პირები, ამოჰქონდათ კოდიდან ლუდი და სვამდნენ. მალე „კოდის“ ირგვლივ დაგროვდა მრავალი მამაკაცი, შეიქნა ჭედვა, ერთმანეთს ეცილებოდნენ „კოდზე“ მისვლას და ლუდის დალევას. ამ მოძალადეთა შორის აღმოჩნდნენ პირები, რომლებსაც „კოდის“ გატაცება სურდათ. განსაკუთრებით ძალადობდა ერთი ხევსური, რომელსაც აქეთ-იქიდან ხელს ჰკრავდნენ, კოდის დამცველები კი მას ხელებსა და წიხლს უშენდნენ. ის მაინც „კოდს“ არ ეშვებოდა, თუმცა ბოლოს მაინც დამარცხდა, — მიწაზე დააგორეს და და აღარ მიუშვეს „კოდთან“. „კოდის“ ირგვლივ ხალხი ორ ბანაკად გაიყო: ერთი ბანაკი „კოდს“ იცავდა „კოდთან“ მჯდომ ოთხ პირთან ერთად, მეორე ბანაკი „კოდის“ გამტაცებლებისა იყო. გაიმართა მათ შორის ჭიდილი და ორომტრიალი შეიქნა. გუდამაყრელი ქალი ყვიროდა — რადგან ხევსურები ჩაგვერივნენ, ჭრა-ჭრილობა მოხდებაო, მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა. დამცველებმა გაიმარჯვეს, „კოდი“ არავის არ დაანებეს, თვითონ გაიტაცეს თავიანთი ბინისაკენ, სადაც უცებ სუფრა გაშალა და გამარჯვებულებს უხვად გაუმასპინძლდნენ. აქ იყო სხვათა შორის „კოდის“ დამცველი ხევსურიც და ავადმყოფი გუდამაყრელიც. სუფრასთან მოკალათებულები უფრო მეტს სვამდნენ, საჭმელს კი ნაკლებად ეტანებოდნენ. შეზარხოშებულმა გუდამაყრელმა შაირით მიმართა კოდის დამცველ ხევსურს. უკანასკნელმა მას შაირითვე უპასუხა და გაიმართა მათ შორის შაირით პაექრობა ანუ „კაფიობა“, რომელმაც 1/2 საათზე მეტ ხანს გასტანა (სამწუხაროდ „კაფიობის“ ტექსტის ჩაწერა ვერ მოხერხდა).

საკლავების დაკვლის შემდგომ გუდამაყრელებმა თავთავის სადგომ ადგილებზე სუფრები გაშალეს და არაყ-ლუდის სმასა და ჭამას შეუდგნენ. საჭმელებიდან სუფრაზე გაწყობილი იყო პური, ყველი, ერბო. საკლავის ხორცი აქ არ მოხარშულა. ამ დროს ფუძის ანგელოზის კოშკთან მყოფ ჯვარიონ-ხატიონთან სანთელ-საწირი მიჰქონდათ: ქადები, ზედაშე, ვერცხლის წვრილი ფული და სანთელი. ხატიონნი სანთელ-საწირს უკურთხებდნენ, შენაწირიდან თითო ქადას თავისთვის იტოვებდნენ, არაყს იქვე შესვამდნენ და დანარჩენს პატრონებს უბრუნებდნენ. როგორც გადმოგვცეს, ხატიონს წესის თანახმად, შეწირულებიდან საკლავის თავი და ქადა-სანთელი რჩებოდა. მაგ-

რამ გულუხვი შემწირველები საკლავიდან ხშირად ბეჭს ან ბარკალსაც უტოვებდნენ.

დღეობაზე მოსული ხევსურები, განსაკუთრებით ხევსური ქალები, გუდამაყრელებისაგან განზე იდგნენ, მათში არ ერეოდნენ. ისინი ჩამწკრივდნენ ჯვარის საქვაბეს მხარეს, ცალ ხელში ქადის კვერები და ტოშოლები ეჭირათ, მეორეში არაყით ტიკჭორა („ქინთი"), წინ საკლავი ეგდოთ და გამველელ ხევსურებს ყანწით არაყს სთავაზობდნენ.

ასე იყო, ვიდრე ბზე დასავლეთისაკენ არ გადაიწვერა, ამ დროს ჩამორეკეს ზარი და მედღეობენი დაემზადნენ უკანაჯოს მახლობლად მდებარე მინდორზე, ე. ი. „წინცხვირაზე" წასასვლელად. მათ ის ღამე იქ უნდა ეთიათ, იქ მოხარშავდნენ საკლავის ხორცს, ივახშმებდნენ, იმხიარულებდნენ და მეორე დილით გუდამაყრელები შინისაკენ გაუდგებოდნენ გზას.

ფუძის ანგელოზი მდებარეობს სოფლიდან მოშორებით მთის დაქანებაზე სოფელ უკანაჯოსა და უბანს შორის ტყეში.

კომპლექსში შედის: 1. დარბაზი საკოდით, დარბაზი კარით, 2. საქვაბე. საქვაბის კარით, 3. საზარე, 4. ეკლესია, 5. სასაკლაო სიპი, 6. სასანთლე სიპი, 7. სადროშაე კოშკი, 8. მუხის ტყე.

დ ა რ ბ ა ზ ი ს (ტაბ. 29) მთავარი ფასადი სამხრეთის მხრიდანაა. შენობა წარმოადგენს ორფერდა გადახურვის მქონე ნაგებობას. ჩრდილოეთ ფასადის კედელი წინა მხრიდან თითქმის მიწაშია სახურავამდე. აღმოსავლეთ ფასადის კედლის გასწვრივ სიპებია გადებული სწორხაზოვნად. დარბაზის წინ „ჯვარის კარია", რომლის აღმოსავლეთის მხარეზე დგას სიპი — „სასაკლაო" და ქადა — სანთლის დასაწყობად. აღმოსავლეთის კედლის უკანა ნაწილი და ჩრდილოეთის კედელი დარბაზის საკოდესთანაა მიდგმული და ნაწილობრივ მიწაშია ჩამალული.

დარბაზის შესასვლელი კარი ხისაა, მის თაღზე მდებარე ხე ჯვრებით არის ორნამენტირებული. დარბაზის აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ მთელ სიგრძეზე ქვებზე შეყენებული ხის სკამებია გადებული; აღმოსავლეთის კედლის გასწვრივაც, ვიდრე შორეულ ჩრდ.-აღმ. კუთხემდე, რომელშიც საკოდეში გასასვლელი კარია გამართული — ასევე მთლიანი ხის სკამია გადებული (ქვებზე შეყენებული ფიცარი), რომელზედაც ხუთი სპილენძის ქვაბი დევს. სამხ.-აღმ. კუთხეში ორი დაწნული თივით გავსებული ჩაფი დგას, ერთში 8 ცალი ხელქვაბია სპილენძისა. აქვე დგას დიდი ზომის საარაყე ქვაბი და ხის სამფეხა ტაბლა. აღმოსავლეთის კედელში არის ორი ფიცრისაგან შექმნილი თარო, რომელსაც ჩადგმული აქვს სამი დიდი ქვა, რომელთა მეშვეობით ოთხი ნიში წარმოიქმნება, ერთ-ერთ მათგანში სპილენძის პატარა თასი დგას წარწერით: „წმინდას მარინეს შამოუწირამს თავის მამის სალოცავისთვის წმინდა გიორგისთვინ".

ორი ნიშია აგრეთვე დასავლეთის კედელში სკამს ზემოთ. ერთ-ერთში ორი სამკადრეო ინახება. ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ გადებულია ორი სქელი ხისაგან კედლის მთელ სიგრძეზე სკამი, რომლის ბოლოები აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლებშია შეყვანილი, ხოლო შუაში ხის მორზეა დაყრდნობილი. სკამზე სამფეხა ხის სამწირველოა დადგმული, მთლიანი უკანა კედლით ორ თაროს რომ იჭერს (სიგრძე — 42 სმ, სიმაღლე — 46 სმ, სი-

განე — 36 სმ.). აქვეა უფეხო ოვალური ფორმის ხის ტაბლა, სპილენძის კოში და უფეხო ოთხკუთხა ხის ტაბლა. ჩრდილოეთის კედელში სკამს ზემოთ უფრო მარცხენა მხარეს კედელში ჩადგმულია ხის დაჭრელებულ სამგანყოფილებიანი თარო, რომლის ნაპირები (როგორც გვერდებისა, ისევე თაროებისა) ღრმად ჩაღარულია ორნამენტით. თარო ჩადგმულია პირდაპირ კედელში გაკეთებულ ჩაღრმავებაში. თაროს ორივე მხარეს, კედლის ბოლომდე სიპებისაგან ერთ წყებად თაროა გადებული, რომელზედაც დევს დაბალი სასისხლე თასი სპილენძისა (კედელიც სისხლითაა აქ დასვრილი) და ნაჭრის პატარა ქისაში შეხვეული ქვამარილი. ჩრდილოეთის კედლის სკამქვეშ დგას სპილენძის დიდმუცლიანი თუნგი, ზედ ლურსმნით მიკრული ტარით.

დარბაზის შუაზე კერაა გამართული და ზედ ჯაჭვია (2 ცალი) ჩამოკიდებული. მეორე ჯაჭვი ვიწროა და ორმაგი, ზედ პატარა სპილენძის ხელქვაბი ჰკიდია.

ს ა კ ო დ ე (ტაბ. 29, 30). შესასვლელი დარბაზთან შედარებით ამაღლებულია, საკოდე გარედან წარმოადგენს ორფერდა თუნუქის სახურავის მქონე ნაგებობას, რომლის სამხრეთ მხარეზე ორი სარკმელია გამოჭრილი. მათ ქვემოთ დიდ სიპზე თეთრი საღებავებით ცხენ-კაცისა და ორი ჯვრის გამოსახულებაა შესრულებული. საკოდის კარი ხისაა, ხისავე ჩარჩოში ჩასმული. ჩრდილოეთის კედელი შიგნიდან ოდნავ მომრგვალებულია და შიგ დგას ოთხი უზარმაზარი ხის კოდი 1) 107×93; 2) 96×84; 3) 85×70; 4) 96×78; 5 სპილენძის ხელქვაბი, ხის დიდი ტაგრუცი და უამრავი თივა. აქვეა ძველი, ხის დროშის ტარი სამი ჭკდეთი. ტაგრუცში არის მასრები ვერცხლისა, ცხენის მოსართავები, ვერცხლის, თვლიანი ქამრის შესაკრავი ყაწიმები და სამკადრეოების მთელი შეკვრა. აქვეა ხის დროშის მეორე, ბუნიანი (ესეც ხისაა) ტარი და სპილენძის კოში. საკოდის სამხრეთ კედელში სარკმელია ამოჭრილი, ხოლო სამხ.-აღმ. კედელში ნიშაა დატანებული.

ე კ ლ ე ს ი ა (ტაბ. 31) დგას საკოდის ჩრდ.-აღმოსავლეთით, გადახურულია ორფერდა სახურავით, გარედან თეთრად შელესილი, შესასვლელი კარი სამხრეთის მხარეზე აქვს. შიგნით თითქმის ცარიელია. კართან მიყუდებულია გრძელ ჯოხზე დამაგრებული ჯვარი, აღმოსავლეთის კედელთან არის სარკმელი, მის ქვეშ კი ქვის საკურთხეველი. მის მარცხნივ დგას ხის დაბალი ოთხფეხა სკამი, რომლის ქვეშ მოთავსებულია ცალფეხა ხის სკამი. ეკლესიის კედლები ნაგლეჯი ქვისაგან მშრალად არის ნაგები, შიგნიდანაც შელესილია ამჟამად. გადახურვა თუნუქისა აქვს. ეკლესიის აღმოსავლეთის კედელზე წინ მიდგმულია საზარე, რომელიც ადრე სიპერდიანი ყოფილა, ეხლა კი ორფერდა სახურავითაა, თუნუქით გადახურული. სამხრეთის მხარეს გახსნილია, სახურავის კოჭზე ოთხი ზარია ჩამოკიდებული წარწერებით: 1) ბერო, 2) ქ. ორივე ბერ მოურთმევია თავის ბატონისათვის, 3) შევწირე ფუძისანგელოზს, ზეეიწა ბეჟანის ძე წიკლაურმა 1896 წელს, 4) შევსწირეთ ფუძისანგელოზს ბეჟია, შიო, ბეწიკა აფციაურებმა 1896 წელს.

საზარეშია მოთავსებული უამრავი ასხმები პატარა ზარებისა, ფულები სხვადასხვა ზომისა, სამსხვერპლო კურატის ეჟვანი, უამრავი რქები. საზარეს წინ სიპების წყობაა დალაგებული. საზარეში დევს ძველი ნაკეთები მთლიანი

ხისაგან გამოჭრილი ჯვარი (საზარეს ედგა, თურმე თავზე). აქვე დევს თხელი ფიცრისაგან გამოჭრილი პატარა ჯვარი. ეკლესიისა და საზარის კუთხეში ჩადგმულია სიპებისაგან ამოშენებული ოთხკუთხა ფორმის პატარა დაბალი კოშკი, მასზე დროშაა მიყუდებული. დროშას 8 ბაღდადი აქვს სხვადასხვა ფერისა და თითოეულზე წარწერაა. სიგრძე — 1,68 მ. ბაღდადების აღწერილობა:

1. ცისფერი „იულია ვ... არიანი წმინდა გიორგი“,
2. სალათისფერი — „გიორგისაგან ნადიას წმ. გიორგი“,
3. აგურისფერი — „მარიამ თვალთავის წმინდა გიორგი“,
4. თეთრი — „აგრაფინა. აბაშის წმ. გიორგი“,
5. ლურჯი — „ანა. წმ. გიორგი წაჩხუბის“,
6. ყავისფერი — „ვანო წყاროსთავის წმინდა გიორგი“,
7. წითელი — „თეთრით შურა სვირის წმ. გიორგი“,
8. წითელი — „აღათი ბრავალაძის წმინდა გიორგი“.

დროშა გუდამაყრელთაგან არის ჯვრისათვის შეწირული.

ს ა ქ ვ ა ბ ე (ტაბ. 32) მდებარეობს დარბაზის დასავლეთით, მისი ფასადის წინ. შესასვლელი საქვაბისა აღმოსავლეთის მხარეზეა, წინ ს ა ქ ვ ა ბ ი ს კ ა რ ი ა. შენობა წარმოადგენს გრძელი ოთხკუთხედი ფორმის ბრტყელ თუნუქისსახურავიან ნაგებობას. ჩრდილოეთის კედელთან დგას ძველი ხის დიდი ლათბა (3,28×57×34); დასავლეთის კედელთან შუაში ჩამოკიდებულია სწორი ფორმის, ბრტყელძირიანი სპილენძის ქვაბი, სამხრეთის კედელთან კი კედებია მიყუდებული. აქვეა ხის ორი ჩამა და ხის ტარმომტვრეული ჩხუტი.

საქვაბის კარზე გდია ორი სალუდე ქვაბი, სპილენძის ფურცლებისაგან ნაკერი, ერთი ქისტური, მეორე ქართული. აქვე გდია ძველი ორი ხის ჩხუტი.

— მათე გიგიას ძე ჭინჭარაულის ცნობით უკანაკოში ცხოვრობენ (ჭინჭარაულთა გვარის) შემდეგი მამანი: ფანდურანი, ჭინჭარანი, მშაველანი და ქერაულების გვარიდან ჯიღალანი (ჯიღალანი) ორი კომლიღაა, სამი უკანღულში დაბრუნდა.

ბ) ლ ი ქ ო კ ი ს ხ ე ო ბ ა

1. ჯმალას მთავარანგელოზის ჯვარი, სოფ. ბარისახო (გუდელა)

სისაურები ჯერ ჭალისოფელში სახლებულან, შემდეგ ბოქჩვილოში და იქიდან წასულან ბარისაკვაში. იქ ისინი სახლობდნენ იმ ადგილზე, სადაც ეხლა ბაღათერას კოშკი დგას. ამიტომაა, რომ ამ ადგილს ეხლაც „სისაურთ ჯოლი“ ეწოდება. როცა სისაურები ბარისაკვაში სახლობდნენ, მათი სალოცავი იყო გუდელას გვერდით გორაკზე, არაგვის პირად. ამ სალოცავს ჯმალას მთავარანგელოზი ერქვა. ამ სალოცავში დარბაზიც მდგარა, მას განძიც ჰქონია. შემდეგ აქ სისაურები მომრავლებულან და ამის გამო აყრილან. მათ თასებიც გაუყვიათ. 1922 წლამდე თასების ნაწილი კარატის ჯვარში ინახებოდა, გაყოფის შემდგომ ლიქოკში დასახლებული სისაურებისა და სხვა ლიქოკელების სათემო ხატში. ამ თასებში ერია ე. წ. „დევა-ტაფანი“,— ვერცხლის, ძველის-

ძველად გაკეთებული თასები, რომლებიც 1922 წელს დაიკარგა. სისაურების მეორე ნაწილი, გაყოფის შემდგომ თვალიეში გადასახლდა და ჯმალას განძის ნაწილიც თვალიველებმა წაიღეს. თვალიველები (ფშავში) ამრიგად სისაურების განაყარებია გუშარაშვილები. ამ გვარის განაყარები ახმეტაში, თიანეთში და მრავალ სხვა ადგილას მოსახლეობენ.

„გადმოცემით ლიქოკელნი (გარდა ჭალისოფელში მცხოვრებ ბასხაჯაურებისა და ვაჩიაურებისა) სანაგის შთამომავალნი არიან, ძირად ჭანთელნი. მათს წინაპარს ჭანთიეთში კაცი მოუკლავს. სამი ძმანი ყოფილან და წამოსულან შატილში. ამ სამი ძმიდან ერთი სანაგი ხევსურეთში წასულა (აქედანაა ლიქოკელი), მეორე ძმა თუშეთში გამგზავრებულა (ისეები ჩვენებ განაყარებია) და მესამე ძმა შატილში დარჩა ანატორელთ ეძახიან მათ. ესენი ლიქოკელთა ბიძაშვილებია, კარატის ყმებია, დადიან ამ ხატში და საკლავებს კლავენ“.

„შატილიდან წასული სანაგი ბარისაკოს დასახლდა — იქ მის ნასახლარ კოშკს „სისაურთ კოლი“ ჰქვია. სანაგს ხევსური ქალი შეურთავს და ბოლონ ლიქოკში დასახლებულა (იხ. „სახთოკვირაობა“). „თუშებიც კარატის ჯვარის ყმანი არიან. გადადიოდეს ჩვენებ ჯვარივნებ თუშეთში. ეეხლა რაც მაიშალ იქნების 28—29 წელწადი.

აჭიონების, ქობულოელებისა და კიმხელების მამას ხახიკს კიდე ორ შვილ გაშჩენივ-ხახონიდ ჯუნჩალეი. აქედან არიან ხახონაურებად ჯუნჩალეურები. საერთო გვარ სისაური. სისაურები: აჭიონნი, კიმხელნი, ქობულოელნი, აკუშოელნი, კარწეულთელნი და ბოქჩვილელნიც.

ჯმალაში იყო დარბასი, სადაც დასტურ-ჯელოსნები ასრულებდნენ წესებს და გარეშე კაცის შესვლა არ შეიძლებოდა, ამავე დარბასში ჰქონდა დასტურს, მედროშაეს და ხუცესს თავთავისი კუთვნილი ქვის სკამი, რომელზედაც სხვა კაცს არ ჰქონდა დაჯდომის უფლება. დღეობების წესები არავის ახსოვს, მხოლოდ იციან, რომ აქაურ დასტურ-ჯელოსნებს ძალიან წმინდობა სცოდნია. ხუცესი და ჯელოსანი ორი კვირით ადრე მივიდოდნენ ჯვარში და ცხოვრობდნენ იქ; ამას ჰქვიან „საწმიდრად გასვლა“. დასტურები კი ლუდს რომ აიღებდნენ, მერე იწყებდნენ აქ ცხოვრებას, ე. ი. ერთი კვირით ადრე დღეობამდინ. მათი საწმიდრობა გამოიხატებოდა იმაში, რომ სადაც ქალები დადიოდნენ, იქ არ გაივლიდნენ, ისე სამუშაოზე არ გავიდოდნენ, რომ ოფლი მოსვლოდათ და ეს თუ მოხდებოდა მაშინვე მდინარე წყალში დაიბანდნენ ტანს“.

2. ადგილისდედა ლიქოკში

ა დ გ ი ლ ი ს დ ე დ ა ყველა სოფელშია. იმას ილოცავენ აკვსებას, ამაღლებას, მარიანობას, გიორგობას.

ადგილისდედა და ხთიშობელი ერთია. ჩვეულებრივ, ადგილისდედის სალოცავში კოშკი დგას, მაგრამ არაიშვიათად მას დარბასიც ჰქონდა.

ქობულოში, მაღრანის გორზე ადგილისდედას დარბაზიც ჰქონდა აშენებული. ეს დარბაზი ეხლა დაშლილია და იქ მხოლოდ კოშკიღა დგას. ამ ადგილისდედის დღეობა აკვსებას და გიორგობას იმართებოდა. გიორგობის გა-

დახდას თავი მიანებეს. აკვსებას კი ეხლაც „ხავიწიან კვერები“ მიაქვთ და ადგილისდედას მოიხსენიებენ.

კეოში, სადაც ქობულოელთა საზამთრო ბინებია, კოპიტისა და იფნის ხეებს შორის, წყაროს მახლობლად კოშკი დგას, რომელიც ხალხში ჯმალას ნიშად არის მიჩნეული. ქობულოელი ქალები ლოცულობენ ამ კოშკთან და შესთხოვენ თავის საქმეებში გამარჯვებას. თუ ქალმა ამ კოშკთან გაიარა, მას მუწუკები დაესხმის. აქ დღესასწაულობენ ამაღლებას. ამჟამად მისი დასტურია მგელა (ჩემი მთხრობელი). აქაურმა მკითხავმა იქადაგა — ეს კოშკი წმიდა გიორგისა არისო. ერთხელ ბარიდან აქ ამოვიდა ერთი უშვილო ქალი და კურეტი შესწირა იმისათვის, რომ ეთქვა ლიქოკში იფნებთან და წყაროსთან კოშკია „გ უ მ ბ ა რ ე ზ ა გ უ ბ ი ს თ ა ვ მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ა ო“. ამ სალოცავს კეცეულებს სწირავდნენ, რომლებსაც „ს ა გ უ მ ბ ა რ ე ზ ა ო“ ეწოდებათ.

ბ ო ქ ჩ ვ ი ლ ო შ ი ადგილისდედას ეხლაც უდგას დარბაზი და კოშკი. იქ წელწადს და ამაღლებას იხდიან.

კ ა რ წ ე უ ლ თ ი ს სასოფლო სალოცავს წარმოადგენს ფიწალე, რომლის კოშკი მოთავსებულია სოფლის თავში. ფიწალე ადგილისდედა არის. მას სანთლებს უნთებენ. იქ ალბათ აკვსებას თუ დღესასწაულობენ.

ა კ უ შ ო ს სასოფლო სალოცავს — ადგილისდედას ამჟამად მარტო კ ო შ კ ი აქვს. უწინ კი მას საქვაბეც ჰქონდა, მაგრამ იგი უკვე მოშლილია იქ იხდიან აკვსებას, ამაღლებას და ხთიშობლობას.

8. ღვთისშობლის ჯვარი, სოფ. ქობულო

მაღრან-ქობულოს ღ ვ თ ი ს შ ო ბ ლ ი ს ჯ ვ ა რ ი (M^7) ქობულოს რომ გაცდებით მთის ფერდობზე, გზის მარჯვენა მხარეს დგას. მისი უნჯი ყმანია— სისაურთ გვარის დ ა დ ღ ა თ მამის წევრები. ჯვარის კომპლექსი მოიცავს ორ კოშკსა და ერთ ორფერდასახურავიან შენობას, რომლის გადახურვა საბძლური ტიპისაა. სახურავი გადახურულია ყავრით. შენობაში სამხ.-დას. კედლის შუა ნაწილში დიდი ზომის თაროა. მის გვერდებზე კედელში ჩადგმულია ორი დიდი ნაგლეჯი ქვა ოთხკუთხა ფორმისა, რომლებიც გადებულია ორ დიდ სიპს შუა. სამი კედლის გასწვრივ, გარდა ფასადის კედლისა, ფიქალის ამაღლებულ ქვებზე ხის სკამებია დაყუდებული. ფასადის წინ ჯვარის კარია: მოტკეპნილი მოედანი, კედლის გასწვრივ განლაგებული სიპებით ჯვარიონთა დასაჯდომად („სკამი“), ფასადის კედლის მარცხენა კუთხის მახლობლად გაჭრილია შენობაში შესასვლელი კარის ღიობი. კარის ხელმარჯვნივ კედელში დატანებულია ფიქალის სოლი ზარის ჩამოსაკიდებლად.

ჯვარის კარის ნაპირზე შენობის ფასადიდან ხუთი ნაბიჯის დაშორებით და მის წინ დგას მშრალად ნაგები თავმონგრეული კოშკი.

მეორე კოშკი დ რ ო შ ა თ ს ა ბ ძ ა ნ ი ანდა ს ა ნ ა თ ლ ა ვ ი დგას მთავარი შენობის გვერდით, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. იგი მშრალად ნაგებია; აქვს ორი თახჩა და თავზე კოშკის წვერი. ამ კოშკზე მიყუდებულია ბრტყელი ფიქალის ქვა ზედ ამოკაწრული ხელით.

4. კოპალას ჯვარი, წმინდა გიორგის ჯვარი, ღვთისშობლის ჯვარი, სოფ. აკუშო

სოფ. აკუშოში სამი სალოცავია: წმ. გიორგისა, რომელიც წარმოდგენილია ხეებშუა აღმართული „კოშკის“ სახით — მშრალად ნაგები ყორის ნიშით და იქვე ნანგრევი შენობით (M[1]. რვ. 4, გვ. 117—118).

კოპალას ჯვარი დგას წმ. გიორგის სალოცავის ზემოთ, მთის შიშველ ფერდობზე. იგი რამდენიმე შენობისაგან შედგება: დარბაზი, საკოდე, ბეღელი, საქვაბე და სამი კოშკი, ერთ ჭერქვეშ მოთავსებულია დარბაზი და საკოდე (ტაბ. 33).

დარბაზი წარმოადგენს სწორკუთხა ფორმის მოზრდილ ოთახს, მისი სახურავი ორფერდაა, სახურავს ამაგრებს სამი მოზრდილი მრგვალი ხე, რომელთაგანაც ორი გვერდებზეა გადებული, ხოლო მესამე თავხე ქმნის სახურავის ამაღლებას. მათზე ზევიდან მიჯრით დაწყობილია ფიცრები, რომელზედაც შემდეგ თუნუქია გადახურული.

სამხრეთის კედლის სიგრძეზე იქ, სადაც ამ კედელს უერთდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები, გადებულია ხე. ამ ხეზე და სამხრეთის კედელზე ეყრდნობა თავხეს აქეთ-იქით მოთავსებული ხეები, ხოლო თავზე კედელშია დამაგრებული. მოპირდაპირე კედელზე კი ეს ხეები უშუალოდ კედელში მაგრდება. სახურავში სამხრეთისაკენ ამოჭრილია მცირე ზომის ოთხკუთხედი საკვამლე და შუქის შემოსასვლელი „საკვამი“, სამხრეთის კედელზე, იქ სადაც შევიწროება იწყება, მოთავსებულია პატარა სარკმელი. ამავე კედელზე, დაახლოებით მის შუა გულიდან აღმოსავლეთისაკენ კედელში დატანებულია ორი ბრტყელი სიპი ქვა, რომელიც უერთდება, აღმოსავლეთის კედელშივე დატოვებულ ასეთსავე ორ ბრტყელ სიპს და იქმნება სწორკუთხოვანი თაღო. თაღოზე შერჩენილია სანთლის ნაღვენთები. სამხრეთის თაღოზე დევს ხის ორი სასანთლე.

აღმოსავლეთის კედელზე — სიპის თაღოს ზემოთ, დატანებულია ერთმანეთის გვერდით ორი პატარა ზომის „შუკუმი“. მარჯვენა შუკუმში სამი ქრისტიანული ხატი დევს — წმინდანების გამოსახულებით. ორივე შუკუმს ზემოთ, კედელში დატანებულია გრძლად გამოშვერილი სიპი. შუკუმთა კედლები და მათ თავზე მოთავსებული სიპი შებოლილია და ამჩნევია სანთლის ნაღვენთები. ამავე კედელზე შუკუმთა გასწვრივ ჩრდილოეთისაკენ სახურავის ცოტა ქვემოთ კედელში სამი ჩხირია დატანებული, რომელთაგანაც ორი ერთმანეთის გასწვრივაა, ხოლო ერთი, რომელიც ამ ორს შუაა მოთავსებული, შედარებით დაბლაა. ჩხირების გასწვრივ კედელშივე დატანებულია ორი მოგრძო და წვრილი ქვა, ასევე სანთლის ნაღვენთებით. ჩრდილოეთის კედლის ცენტრში მოთავსებულია საკოდეში გასასვლელი კარი.

დარბაზის სამი კედლის (აღმ., დას., სამხრ.) სიგრძეზე დგას ფიცრისაგან გაკეთებული უფეხო სკამი. ამ სკამს ფეხებად შეუყენებული აქვს ქვის ყორე. სამხრეთის კედელთან მოთავსებული სკამი მთლიანად გრძელ, ბრტყელსა და კუთხოვან სიპს ეყრდნობა, რომელიც თავის მხრივ ქვის ყორეზეა დაბჯენილი. დარბაზის იატაკი მიწისაა. სამხრეთისკენ ახლო საკვამის პირდაპირ ჩვეულებრივი ხევსურული კერაა, რომლის სამხრეთის კედელზე ჩანს ცეცხლის კვალი (ნაცარი, ნამწვავი შეშები).

დასავლეთის კედლისა და ჩრდილოეთის კედლის კუთხეში მიყუდებულია ერთი სამფეხა მოგრძო ტაბლა და მეორე გრძელი ფიცარი, როგორც ჩანს, ტაბლადვე გამოყენებული. სამხრეთის კედელთან მდგარ სკამზე დევს „სანაყე“ — ოთხკუთხედი სქელი ხე, რომელსაც ძირიდან სანაყის ორმომდე ნახვრეტი აქვს. თაროზე დევს ფიცარი, რომელზედაც აწერია: „კოპალა წმიდა გიორგის ჯვარი დევ-ქარების მეომრისა“.

დ ა რ ბ ა ზ ი ს კ ა რ ი წარმოადგენს სწორკუთხედი ფორმის ნაგებობას. შესავალ კართან ახლოს დასავლეთის კედელში დატოვებულია პატარა „შუკუმი“, რომელშიაც დევს პატარა ზარი.

დარბაზის კედელი, რომელიც ამ ნაწილის აღმოსავლეთ კედელს ქმნის ქვიტკირია, ხოლო დანარჩენი სამი კედელი მშრალადაა ნაგები, დარბაზი გადახურულია თუნუქით და ეს ნაწილიც ამ საერთო სახურავის ქვეშ ექცევა. დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლის მიერ შექმნილი კუთხე სწორკუთხეს არ წარმოადგენს. იგი მომრგვალებულია.

ჩრდილოეთის კედელზე ჭერთან ახლოს კედლის გამოშვერილ ქვებზე დევს ორი მომცრო ზარი, ერთი მოზრდილი უფრო მაღლაა, ხოლო მეორე მის ქვემოთ. დასავლეთის კედელში ჩრდ.-დას. კუთხესთან მოთავსებულია დარბასში შესასვლელი ღიობი ხის კარებით.

ს ა კ ო დ ე წარმოადგენს დარბაზის ჩრდილოეთის კედლის სიგრძივ მოთავსებულ ვიწრო სწორკუთხედი მოყვანილობის ოთახს. მისი ჭერიც ორფერდაა, ოღონდ სახურავის ხეები დარბაზის ხეების გაგრძელებას არ წარმოადგენს. მას თავისი საკუთარი თავხე და გვერდითა ხეები გააჩნია. მათზეც ფიცრებია დაწყობილი. საკოდეში დგას სამი სპილენძის კოდი.

ს ა ქ ო ბ ე ა ნ უ ს ა ქ ვ ა ბ ე — მდებარეობს ბეღლიდან დასავლეთის მხარეს. იგი მოგრძო სწორკუთხედის ფორმისაა, ყორით ნაგები, მიწური ქაზდარით და სწორი დაბალი ჭერით, რომელსაც სიგრძეზე დაყვება ტლანქად გათლილი მორები და სიგანეზე მორებს ზემოდან აფენია წვრილი ხეები; ხოლო ქვემოდან მათ ამაგრებს საქობეს ცენტრში და მის დაყოლებაზე კედლებთან აღმართული სვეტები; — მორი ამ სვეტებზეა დაყრდნობილი. საქობეს სახურავი მიწური ბანია, ხოლო კარი მოთავსებულია სამხრეთ-დასავლეთის მხარეს კუთხეში და წარმოადგენს ოთხკუთხი ფორმის ღია ფართობს. მისი ზომა უდრის კედლის სიმაღლეს და განით სამხრეთი კედლის დაახლოებით ერთ მესამედს უნდა შეადგენდეს. საჭირო შემთხვევებში იმ ღია შესავალზე აყუდებენ ფიცრებს და საქობეს კარს ამგვარად ხურავენ. საქობეში ჩრდ.-აღმ. კუთხე უჭირავს ქურას, რომელზეც დადგმულია უზარმაზარი სალუდე ქვაბი. იგი ხევსურეთისათვის დამახასიათებელი სალუდე ქვაბებისაგან განსხვავებულია თავისი ფორმით — სწორგვერდებიანი და მრგვალძირაა. გარედან ზედა ნაპირზე ფართო არშიად შემოკრული აქვს ფოლადის წვრილწვრილი ფურცლები და ბრტყელთავიანი ლურსმნები. წვრილი ფოლადის ფურცლებისაგან შემდგარი და ფოლადისავე მსხვილთავა ლურსმნებით შეკრული ლათბა, მოთავსებულია აღმოსავლეთის კედელთან. იქვეა სხვა სალუდე მოწყობილობანი: ჩხირები, პირსაკრავები, კედნი, სარევი და სალუდე ჭურჭელი: კოში, ჩამა, რვლის ჩხუტა, ჩხუტი, რვილის თასები; საარაყე დიდი ქვაბები და სხვა ჭურჭელი. საქობეს ცენტრალურ სვეტთან დირეზე დამაგრებულია და ძირს ეშვება ორიგინალური სახისა და მშვენიერი ორნამენტებით

შემკული ნაჭა, რომლის ქვეშ მიწაზე დაგროვილია ცეცხლის ნამწვარი — ნახშირი და ნაცარი. მის მახლობლად, დასავლეთის კედლის გასწვრივ დგას დიდი სუფრა — გრძელი და განიერი, რომელზეც რვილის თასების ნაწილი აწყვია. საქობეს კარის წინ გარედან პირქვე ამხია უზარმაზარი თუჯის ქვაბი. დარბას-საქვაბის მეორე გვერდზე კოპალეს „ბ ე ღ ე ლ ი ა“ (ტაბ. 34). მგელა ლიქოკელის (ქობულო) და ბეწინა ლიქოკელის (აკუშო, ხვთისმშობლის ჯვარის ხევისბერი) გადმოცემით, ეს „ბეღელი“ ფშავლების ნაგებია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც აკუშო ფშავლებს ეკუთვნოდათ და იქ მოსახლეობდნენ ფშაველთა გვარის — ცერაულებისა და სამხარაულების — ხალხი. ცერაულები და სამხარაულები აკუშოდან ხევსურებს, — ლიქოკელებს, აუყრიათ აქეში მცხოვრები ჭილჭას მეთაურობით. ამიტომაა, რომ ჭილჭას შთამომავლობას აკუშოში წილი უდევს. ბეღელი გეგმაში კვადრატია. კედლები ლამ-კირითა და ნაგლეჯი ქვითაა ნაგები; აქვს ბრტყელი სიპით მოკირწყლული იატაკი, გვირგვინად აყვანილი ჭერი და სამხრეთის მხარეს დაბალი სწორკუთხოვანი ფორმის შესავალი სქელი ხის კარით, რომელიც ურდულით იკეტება გარედან, შესაფერის ადგილას კედელში დაყოლებული ღრუს საშუალებით, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებთან დადგმულია ხის ჩარჩოები, იქვე მიყუდებულია ფიცრები, რომლებიც ადვილად ჩაისმება ჩარჩოებზე. საამისოდ გაკეთებულ ღარებში და ამგვარად მიიღება ორი ხარო შესასვლელიდან ერთი მარჯვენა და მეორე მარცხენა მხარეს. ახალგაზრდა პავლე ლიქოკელისა (სოფ. აკუშო) და 55 წლის ჩაჩაულ ლიქოკელის (სოფ. ქობულო) თქმით, ძველად ბეღელში ჯვარის ხოდაბურებიდან მოწეულ ჭირნახულს ინახავდნენ, — მას მარცვლის სახით ბეღელის ხაროებში ყრიდნენ. ბეღლის სახურავი წარმოადგენს ცხრაკიბურა სიპერდის ოთხწახნაგოვან კონუსს, რომლის წვერზე ვერტიკალურად აღმართულია ფილთაქვასავით გრძლად დამრგვალებული თეთრი ფერის ქვა (მთის ბროლი). გარედან სამხრეთის კედელზე მარცხენა მხარეს მოწყობილია ხის ზოლი, რომელზეც ჩამოკიდებულია ზარი, დიდი ზომისა, სადა. ბეღლის კედლები გარედან კირით არის თეთრად შელესილი.

ბეღელში იყო ორი ყავარჯენი I — ვერცხლისტარიანი, სიგრძე — 1,28 მ, ერთ მხარეს რუსული წარწერით და თარიღით 18 $\frac{31}{1}$ 98; ტარზე კოპებია დასხმული (19 ცალი) და ლურსმნებით დაჭედილი. ტარის მეორე მხარე მცენარეული ორნამენტით არის მოსევადებული.

II. ყავარჯენი, სიგრძით 1, 24 მ ვერცხლისტარიანია წარწერით: „კოპალას ჯევისთავს ყავარჯენი 1932 წ. მოშაების მცველი ლ. ლიქოკილა“. ტარის ცენტრში არის წმ. გიორგის გამოსახულება, გვერდებზე კი, ორივე. მხარეს ღვთისმშობლის გამოსახულებანია. წმ. გიორგის გამოსახულების ქვემოთ ჯვარია სევადით შესრულებული.

აქვე იყო დროშის 6 ტარი.

I. ვერცხლისთავიანი და მრგვალი ბუნიკიანი, რომელსაც ჯვარი ასრულებს. ხის სიგრძე 1,33 მ (ტარიანად).

II. ესეც მდარე ხარისხის ვერცხლისაა, სიგრძე — 1,43 მ ოღონდ ამის ბუნიკი ჩაზნექილი ბურთის ფორმისაა, ზედ ჯვარი ადგა, რომელზედაც ერთ მხარეზე კიდევ ჯვრებია ამოკაწრული სპირალისებური ხაზებით.

III. ზუსტი გამეორებაა მეორე ბორაყისა.

IV. ხის ტარი, სიგრძე 1,07, წრე 12 სმ.
V. „ „ „1,29 წრე 11 სმ.
VI. „ „ „ 1,29 წრე 11 სმ.

შიგნით ბეღელში — ზემოთ ხის კოჭზე სამი ზარი დევს. ერთი 8 სმ, მეორე 12—14 სმ და მესამე 20 სმ. დიდ ზარს აქვს წარწერა: „წელსა 1870 თაბათვს 22 ივანე მაჩურეშვილმა გოგოლაურმა შევწირე ზარ კოპალის ეკლესიას 6. 1. 4".

ზემოაღნიშნული მთხრობლების ცნობით, ანალოგიური ბეღელი არის სოფელ კიმხში, რომელიც აკუშოდან ერთ კილომეტრზეა (მაგრამ ჩვენ იქ წასვლა უდროობის გამო ვერ მოვახერხეთ). ის ბეღელიც კოპალეს ჯვარს ეკუთვნის და მასაც ორი ხარო აქვს გაკეთებული, თითო ხაროში 40 ფუთი მარცვალი ჩადის. კომხის ხატი ხევსურებისა და ფშავლების სალოცავია. მის ყმებად ითვლებიან კიმხელი ხევსურები და ფშავლები ბულალაურები და უძილაურები. მათ აქვთ საზიარო ხატის მიწა, რომელსაც ერთად ამუშავებენ და რომლის მოსავალსაც ბეღლის ხაროებში ინახავენ. კოპალეს ჯვარის კომპლექსში შედის აგრეთვე 3 კოშკი:

1. დ რ ო შ ი ს ს ა ბ ძ ა ნ ი ს ი, მოთავსებულია „ბეღლის" უკან, მისგან ჩრდილოეთით. მშრალად ნაგები მკვრივია, მაღალი ოთხკუთხედის ფორმისა, ფასადით სამხრეთის მხარეს. აქ მას აქვს კვადრატული მოყვანილობის შუკუმი და უკანასკნელიდან მარცხნივ კვრივიდან გამოეყოფა პატარა, ბრტყელი და შუაზე მრგვალად გახვრეტილი ფიქალის ნაჭერი. ამ ნაჩვრეტში, უეჭველია, დროშის ტარს ჩააყუდებენ ხოლმე; დღეობების დროს, როდესაც დარბაზიდან დროშის გამობრძანება ხდება. ორ სართულად განლაგებული ორი შუკუმი სხვადასხვა სიდიდისა— ზედა მცირე და ქვედა დიდი ოთხკუთხედები, დატანებულია კოშკის დასავლეთის კედელში;

2. „კ ო შ კ ი"—მდებარეობს ბეღლის სამხ.-აღმ. იგი წარმოადგენს პირამიდის ფორმის სიპერდიან რვაკიბურა კვრივს, რომელსაც თავზე ადევს მთის ბროლის ნაჭერი და სამხრეთ კედლის ქვედა ნაწილში შუაზე დატანებული აქვს მცირე შუკუმი. უკანასკნელი შესაძლებელია, მაჩვენებელი იყოს იმისა, რომ ეს კოშკი „სასანთლეა";

3. „კ ო შ კ ი", პირველი ორის მსგავსად, კვრივია, მაგრამ მათგან ფორმით განსხვავდება. აქვს სწორკუთხედად აღმართული ტანი და ოთხწახნაგოვანი კონუსის ფორმის სახურავი, რომელიც დასავლეთის მხარეს ექვსკიბური სიპერდებისაგან არის შემდგარი, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს ხუთკიბური სიპერდებისაგან.

კოშკები ერთმანეთისაგან რამდენიმე ნაბიჯით არიან დაშორებული და ამავე დროს ისინი სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან უდგანან ჯვარის სამეურნეო ნაგებობას.

ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ჯ ვ ა რ ი (M7) მოიცავს მხოლოდ ორ შენობას— საქობესა და დარბასს, აგრეთვე ქვის გალავანს, რომლითაც შემოზღუდულია ჯვარის ფართობი; ამას გარდა ჯვარის კომპლექსში შედის წმ. ხეები.

საქობე მოთავსებულია ჯვარის სამხრეთის კიდეზე, გალავნის გარეთ. იგი ყორით ნაგები ხანიანი შენობაა, ისეთივე, როგორიცაა ამავე სოფლის კოპალეს ჯვარის საქობე თავისი საერთო გეგმით, კედლებით, ჭერით, სახურავით, მიწურით, სვეტებით, კარითა და შუაცეცხლით. ისევე, როგორც კო-

პალეს საქობეში, აქაც სახურავი თუნუქისაა ორფერდა, ადრე ბანიანი ყოფილა. შიგნით სვეტებია და შუაცეცხლი. ქურა მოთავსებულია ჩრდ.-აღმ. კუთხეში, მაგრამ ქურაში ჩადგმული სალუდე ქვაბი აქ ჩვეულებრივი წოწოლა ფორმისაა, მთლიანად სპილენძის წვრილი ფირფიტებისაგან შეკერილი სპილენძის მსხვილთავა ლურსმნებიანი და წყვილი ყურიანი, რომლებზეც გამობმული აქვს მსხვილი ჯაჭვების ენები. ჯაჭვი დახვეულია ჭერთან დამაგრებულ დირეზე. ლათბა აქ მთლიანი ხისგანაა გათლილი და მოთავსებულია დასავლეთის კედელთან. ქურასთან, ლათბასთან და საქობეს სხვა ადგილებში სალუდე და საარაყე ჭურჭელია—პატარა ქვაბი, რვლის ჩხუტა ორსახელურიანი, კოში რვლისა, თასები და სხვ. აქვეა კედნი, ჩხირები, პირსაკრავები, გლახა და მისთანანი. სამხრეთის კედლის კუთხეში სამკუთხა სიპის თაროა. აღმოსავლეთ კედელში შუკუმია დატანებული. საქობეს წინ გარედან დავაკებაა, რომლის პირებზე აღმართულია წმინდა ხეები. ხეები დგას გალავნის შიგნითაც.

გალავანი წარმოდგენილია ჯვარის ვიწრო და გრძელი ფართობის კიდეებზე მიწაში მიჯრით ჩაწყობილი დიდი და ბრტყელი ფიქალის ქვებით. გალავანს აკრავს დასავლეთითა და ჩრდილოეთით უზარმაზარი და სიბერისაგან მთლად გამოფუღრული წმინდა ხეები. შედარებით უფრო ახალგაზრდა ხეებით ისაზღვრება აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხარე.

გალავნის შიგნით, ხეებსა და ჯაგებს შორის დგას დ ა რ ბ ა ს ი—პატარა ოთხკუთხედი, ყორით ნაგები, კეზიანი ორფერდა ჭერით („თაღიანი"). დარბასის სამხრეთი და ჩრდილო კედლები ცერად იწვერება ცენტრისაკენ, ხოლო ორივე ცერზე დაყრდნობილია თავხე ანუ კეზი. მას პარალელურად აქეთ-იქიდან გვერდითი ხეები გასდევს. სიგრძეზე გადებულ ამ ხეებზე დაწყობილია ბრტყელი ფიცრები, რომელთა დიდი უმრავლესობა დამპალი და ჩამოცვენილია. ფიცრების ზემოთ მოწყობილია ორფერდა თუნუქის სახურავი, მაგრამ სიძველის გამო თუნუქიც მოსძრობია. ადგილ-ადგილ დარბასიდან ცა ჩანს. კედლებში დატანებულია სამი შუკუმი, სამხ.-აღმ. კუთხეში აქვს სიპის თარო. ერთ-ერთ შუკუმში დევს ზარი სლავიანური წარწერითა და თარიღით 1890 წელი. ცენტრიდან სამხრეთისაკენ წაწევით მოთავსებულია ყველაფი ჩვეულებრივი ხევსურული ტიპისა: მიწაში ჩაჭრილი ოთხკუთხედი და გარშემო სიპებით შემოწყობილი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლების გასწვრივ ფიქალის სკამებია. კუთხეში მიყუდებულია უფეხო ტაბლა. კარი გაჭრილია აღმოსავლეთის კედელში ჩრდილოეთის კედლის მახლობლად და აფარებულია ფიცრებით, რომელთაგან ერთი უფეხო ტაბლას წარმოადგენს. კარის მახლობლად შიგნიდან კედელში ვნახეთ დროშის შუბის პირი და ზარაკი, ხოლო სამხრეთ კედელში გარჭობილი დროშის ხის ტარი, ბოლოზე ამოჭრილი ჩუქურთმით. სამხრეთის კედელზე გარედან შუა ადგილას ჩამოკიდებულია ზარი, რომლის ენაზე აბია ჭრელი (თეთრ-წითელი) თავსაფრის ნაგლეჯი. ყორის კედელში გარედან შერჭობილია მეორე დროშის ხის ტარი, ცალ მხარეს ჩუქურთმებით დაჭრილებული და პატარა ზარაა, რომელიც ამ დროშის ტარზე შესაბმელი უნდა იყოს.

გზად აკუშოში შევისვენეთ აბიკა ლიქოკელის სახლში (66 წლის მოხუცია); ჩამოგვითვალა ს. აკუშოს სალოცავები: 1) ადგილისდედა ღვთიშობელი, აქაა დარბასი და საქობე, საზარე, სასანთლე, გალავანი, 2) კოპალეს ნიში,

აქაა ბეღელი, ეს ბეღელი სოფლისა იყო, ადრე ფშავლები მდგარან, მერე აყრილან. ეს ბეღელი სოფლისათვის ყოფილა აგებული ფშავლებისაგან, სამხარაულები იყვნენ გვარად. ზურაბ ერისთავის დროს ქუდნისლას ციხეში მდგარან. კოპალეს რომ წასულან სალოცავად, ზურაბის ლაშქარს დაუხოცია ფშავლები. ლიქოკლები დახმარებიან, მაგრამ აქ მერე ვეღარ დარჩენილან, ადგილები კი ლიქოკელებისათვის მიუციათ (აჭეს ლიქოკელები დახმარებიან) და ამის მერე ფშავლები რომ წასულან, კოპალას დაუჭერია ეს სასოფლო ბეღელი, ასევე მოხდა კიმხშიც. კოპალა ასე მოქცეულა: ბეღელი თავისად დაიჭირა (იქ, კიმხში ფშავლები მდგარან). შემდეგ იქაც ლიქოკლები დამდგარან. კოპალას ნიშთან ბეღლის გარდა არის საქვაბე, დარბასი (ბეღლის გვერდით), კვრივი. კვრივი ადგილია, სადაც პირველად ხატი მოსულა, იქ მერე თასს უდგამდნენ და ზედ ხატი დაჯდებოდა. კვრივს ვეძახდით ადგილს, სადაც არ შეიძლება ადამიანის შესვლა, გინ კოშკი იყოს, გინ სხვა ადგილი (M[7]).

კიმხის შესახებ აბიკამ გვიამბო: იქ არის ნიში შუბნურისა, მას ნერგის ანგელოზობით ლოცულობენ, მკითხავების ენით კი ეს წმინდა გიორგიაო. თვითონ კი არ აცხადებს თავის სახელს. პირველად კი კოპალეს დაუჭერია კიმხში ადგილი, მერე დაუპატიჟია შუბნურის ჯვარიანები და ნიშიც მერე გაუკეთებია.

სამწირველო ადგილია, სადაც ქადები და თასები იდგმოდა. კიმხის ლიქოკლები თეთრწყლებში გადასახლდნენ, კიმხში კი ერთი კომლია ჭიედან გადმოსული ჭინჭარაულებისა. დედის ძმების ოჯახში ცხოვრობენ. კიმხში ორივე ხატს ერთი საერთო საქვაბე აქვს.

პატარა რომ ვიყავი, მახსოვს კოპალაშიც და ღვთიშობელშიც საქვაბე მიწური იყო, ბანიანი და რომ ვეღარ მოუარეს, ჟესტით დახურეს. ეხლა ხატებში მიწურს (ბანურს) იმიტომ არ აკეთებენ, რომ ბანურს მეტი მოვლა ჭირდება, ამიტომ სოფელს თავად მახქონდა სახურავი და თვითონ ხურავდა. დარბასს კი თავიდანვე სპილენძის გადახურვა ჰქონდა. ბეღელს წყლის გადასაწურავად უკეთებდნენ „ჩარდახებს“ (სანაწვთე ან სიპერდა არ გამიგია). ისე ჟესტს მიწური ჯობია, მიწა კარგია, გაზაფხული რომ გაიზიკება, წყალი აღარ ჩამოვა, სიცხესაც იჭერს და სიცივესაც.

ბანიან მიწურ გადახურვას ასე გავმართავდით: ჯერ დედაბოძია, მერე კეზი, ზედ ხეები, მერე ჭერი, ზედ ადეში (წკნელია), მერე ყარტი (ჩალა) და ზედ მიწა. კიმხში საქვაბე ეხლაც ბანიანია. დარიფანს წინგარდა ქვია, წინ დაფარებული შესასვლელია, ეხლა ბალკომს ' ვეძახდით, ჯვარში ეგეთი არ ვიცოდით ადრე, ვიტყვით „სახლის წინა კედელია-ო“, როცა სახლს წინგარდა ჰქონდა. კედელში გამოჭრილ თაროს შუკუმი ან განჯინა ეწოდება (M[7]).

5. შუბნურის წმინდა გიორგის ჯვარი, სოფ. ჭალაისოფელი

შუბნურის წმინდა გიორგის ნაგებობებია: სალუდე // საქვაბე, დარბაზი, საზარე კოშკი, საკოდე, კვრივი, ორი კოშკი — სადროშე და საზარე.

სალუდეს კარი და სარკმელი სამხრეთის მხარეს აქვს. სამხრეთ აღმოსაელეთ კუთხეში გამართულია ლუდის მოსახარში ღუმელი. დგას ოვალური ფორმის სპილენძის სალუდე ქვაბი ორი სახელურით, რომლებიც დამაგრებუ-

ლია ჭერზე ჯაჭვით. აღმოსავლეთის კედელში გამოჭრილია ორი სენე ან თარო. ერთ-ერთ მათგანში აწყვია სპილენძის ორი თასი. აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ ვიდრე ჩრდ.-აღმ. კუთხემდე, სიპი ქვებისაგან ნაგები საჯდომია. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხიდან ვიდრე ჩრდ.-დას. კუთხემდე სიპებისაგან ამაღლებული (მინიმალური სიმაღლე — 12 სმ) განიერი საწოლია. საწოლზე დარჩენილია ლოგინად ნახმარი თივის ნაშთი. საწოლზე აქა-იქ მოთავსებულია სპილენძის სალუდე საწყაო და ხის ჩხუტი. ორი სპილენძის ქვაბი. წითელი სპილენძის ვედრო, სპილენძის ჩხუტი, სპილენძის ორი მოზრდილი ქვაბი. დასავლეთის კედლის გასწვრივ მოწყობილია სპილენძის ლათბა, კედები და ტომრების ოთხი რგოლი. სპილენძის ზარფუშის მსგავსი სინი გადადებულია ლათბაზე და იმავე ლათბაზე ოთხკუთხი ფორმის თუნუქის ნაჭერი დევს. ლათბასთან, კარისაკენ კვლავ სპილენძის ქვაბია, ხოლო სალუდე ქვაბთან მოთავსებულია სპილენძის კოში, საქვაბის ცენტრში მოთავსებულია თუნუქის ღუმელი, რომლის მილი აყვანილია ჭერამდე, ჭერი ამ ადგილას ოთხკუთხედად გამოჭრილია, იატაკი მოტკეპნილი მიწისაა („ქაზდარი"). აქვე, ღუმელის უკან გდია ოვალური მოყვანილობის და შუაზე მრგვალად ჩაღრმავებული მორის ნაჭერი. საქვაბის კედლები ნაგებია ნაგლეჯი ქვისგან მშრალად (ტაბ. 35). ჭერზე სიგანეზე გადებულია რვა ხის მრგვალი კვეთის კოჭი. კოჭებს ზემოდან ეყრდნობა ხის ლარტყები. კარი გაკეთებულია ხის ორი ფიცრისაგან, რომლებიც შეკრულია გარედან ოთხი ლურსმნით დამაგრებული პატარა ხის ნაჭრით; გარედან ფასადის მხარეს საქვაბის კარებიდან ვიდრე ამ შენობის კუთხემდე, სიპი ქვის სკამია, რომელზედაც დაგდებულია ხის ორი ფიცარი და ზედ ხის ჩხუტი დვას. გარედანვე აქ ჭერის თავი გადახურულია სიპებით და მის შუა ადგილას სიპზე დევს სპილენძის სალუდე ქვაბის თავის მოჭრილი ნაწილი; სკამის ასწვრივ სახურავი გადმოფარებულია. სახურავი ორფერდაა, თუნუქით გადახურული (1962 წლის 9 ივლისი).

საქვაბის უკან მოთავსებულია დ ა რ ბ ა ზ ი. დარბაზსა და საქვაბეს გვერდით, მის ჩრდ.-აღმ. დგას ს ა ზ ა რ ე კ ო შ კ ი (ტაბ. 35, 36) სამსვეტიანი „შიბით" ნაგები და გარედან კირით შელესილი, კირზე ფასადის მხარეს წითელი ფერის ჯვრებია გამოსახული. წინა სვეტების ფასადი დაჭრელებულია წყობაში დატანებული წვრილი შუკუმებით სამ სართულად. სახურავი ორფერდაა, ხუთსიპერდიანი, ზემოდან ადევს ქვა — უკანა ფეხის მხარეს სახურავი შემომრგვალებულია. ფასადის მხარეს სიპერდზე დადებულია მთის ბროლი, ჩამოკიდებულია ზარი. უკანა სვეტის შიგნითა მხარესაც აქვს სამი წვრილი შუკუმი (შესამკობია მხოლოდ). აქვე, დარბაზსა და საზარე კოშკის გვერდით უზარმაზარი იფნის ხე დგას.

დ ა რ ბ ა ზ ი (ტაბ. 36) ფასადით სამხრეთის მხარესაა: ნაგებია სიპის ნაგლეჯი ქვისაგან მშრალად. აქვს ორი კარი, ერთი დატანებულია სამხრეთისა და მეორე მის პირდაპირ ჩრდილოეთის კედელში. სამხრეთის მხრიდან დარბაზში შესავალი კედლის ნაწილი ოვალური ფორმისაა, ჩამოკიდებული მთლიანი ხის კარით (მეორე ნახევარი აკლია). მის მოპირდაპირე მხარეს ამავე ტიპის შესასვლელია, რომლითაც უკავშირდებით საკოდეს; ესეც სიპითაა ნაშენი, მშრალად, სულ ბნელია. დარბაზის აღმოსავლეთის კედელში სამი მოზრდილი შუკუმია, რომლის თავზე ხის სასანთლეა გადებული. ეს შუკუმები სასანთლითურთ წარმოადგენენ ს ა მ წ ი რ ვ ე ლ ო ს, იმავე კედელზე და-

მაგრებულია კბილებიანი სასანთლის მსგავსი მოგრძო საგანი (ალბათ ესეც სასანთლეა), ამავე კედლის გასწვრივ და მის მოპირდაპირე კედელთან ქვის სკამებია. ჭერად აქვს ორფერდა სახურავი ხუთი კოჭით, რომელთაგან შუათანა წარმოადგენს კეზს, კოჭებზე ზემოდან ბრტყელი ხის ჭერებია გადებული თხლად და გარედან გადახურულია თუნუქით. შუაში კერაა გამართული. შუკუმი დატანებული აქვს დასავლეთის კედელშიც. სამხრ. მხარეს კარსა და სამწირველოს შუა კედელზე დამაგრებულია ახალი, მოხატული ხის სასანთლე (ტაბ. 37), თავზე აქვს ნაჩვრეტები (9 ცალი) მთელ სიგრძის გაყოლებით ნამწვარი ცვილის ნაშთებია. სამწირველოს და სასანთლეს ზემოთ, კედელსა და სახურავს შორის გადებულია ოთხი დროშის ტარი, ხოლო მეხუთე იყო საკოდეში. საკოდე და დარბაზიც სხვა მხრივ ცარიელია. დარბაზში შესასვლელი კარის ზღურბლი გაჭრილია მაღალზე.

ახალ სასანთლეზე დადებული იყო ახალ თეთრ თავსაკრავში გამოკრული ოთხი „სამკადრეო". ერთი წითელ ფონზე ჭრელი, მეორე ლილისფერი აბრეშუმისა, მესამე — თეთრი ბამბისა, მეოთხე — წითელ ფონზე თეთრყვავილიანი (ყველა სამკუთხაა); ამასთან ერთად, დროშის თავზე ვერცხლის ბუნია ჩამოცმული ჯვარის გამოსახულებით და ძეწკვი, შემკული ფოთლოვანი სახის სამკაულითა და რუსული აბაზიანით. ჯვარი გარშემოვლებულია ვერცხლისავე რგოლით. ჯვარზე გამოსახულია ჯვარცმული ქრისტე, აქვს მცენარეული და გეომეტრიული სახეები, ფონი წერტილებად არის დაჩხვლეტილი და სევადით შემკული. მეორე მხარეს თარიღი და წარწერაა: „1920 წ. გიორგისა გამიკეთების", და მეორე სტრიქონზე: „კოპალისია".

დროშის ტარების აღწერილობა:

I. სიგრძე — 1 მ 70 სმ. იგი ლაქითაა შეღებილი და ჩამოცმული აქვს ხევსურული ბეჭედი. წარწერიანია: „1960 წ. ყუდია ჭინჭარაულისაგან შუბნურისათვის";

II. სიგრძე — 1 მ 45 სმ. ნახევრად დაჭრელებულია გეომეტრიული ნიშნებით;

III. სიგრძე — 1 მ 38 სმ. ესეც ნახევრად დაჭრელებულია.

IV. სიგრძე — 1 მ 42 სმ. ნახევრად დაჭრელებულია გეომეტრიული სახეებით.

V. სიგრძე — 1 მ 48 სმ. წარწერიანია: „1927 წელს. ბირაყი ამიშენებია ნერგის ანგელოზისთვის, გიორგი აბიკაისძემ".

აღმოსავლეთის კედელზე სამწირველოს თავზე მოთავსებულია ძველი სასანთლე ხისა, რომელიც შემკულია გეომეტრიული ორნამენტით. ბუნი და ჯვარი ჩასმულია რგოლში და აქვს ძეწკვები. ჯაჭვი სხივებია, რგოლი კი მზის სიმბოლური გამოსახულებაა, ისევე, როგორც ბუნი (ტაბ. 38). ჩრდილოეთის მხარეს მეორე თვალი საკოდეა, ჩრდ. კედლის გასწვრივ აქვს ქვების სკამი, კედელზე მიყუდებული დროშის თავით. დარბაზის იატაკზე გარედან იფნის ფესვებია შემოსული. დარბაზის კარზე, მის მარჯვენა კედელთან ქვის სკამებია, დასავლეთიდან ქვის ნაგებობის კვალია.

საზარეკოშკის წინ ქვებისგან ნაშენი და ზემოდან ერთი ბრტყელი სიპით გადაფარებული სიმაღლეა; იგი თასების დასადგმელ ადგილს უნდა წარმოადგენდეს.

დარბაზიდან ჩრდ.-აღმ-ით დგას უზარმაზარი ბებერი იფნი და მის წინ

მშრალად ნაგები კ ო შ კ ი. კედელში დატანებული და წინ წამოწეული ფიქალია. იგი სანთლის სანთებს უნდა წარმოადგენდეს. შესაძლოა, ეს სასანთლე კოშკია, შესაძლოა, კვრივი, ან სადროშე კოშკიც იყოს.

როგორც დარბაზისა და საკოდის, ისე საქვაბის შენობა სამი მხრიდან მიწაშია ჩასმული და მიწის ზედაპირზე მოჩანს მხოლოდ მათი ორფერდა სახურავები, თუნუქით გადახურული და წითლად შეღებილი.

კვრივის ჩრდილოეთით მდებარეობს ორი ერთმანეთზე მიშენებული კოშკი, ერთი ს ა ზ ა რ ე, რუსული ზარათი, რომელიც თუნუქის გუმბათზეა ჩამოკიდებული, მეორე ს ა დ რ ო შ ე კ ო შ კ ი, გამოწეული ოთხკუთხა სიპით სამხრეთის კედელში. სადროშე კოშკის ჩრდ.-აღმ. კედელი ჩანგრეულია (ტაბ. 39).

ხატის გარშემო ბევრი ნაშალია, ზოგი დაქცეული ხოვლებია, როგორც გიგა ბასხაჯაური ლიქოკელი გადმოგვცემს, ასეთი ხოვლი უნდა იყოს 63. ამჟამად ამ ხოვლების დიდი უმრავლესობა შამბნარითაა დაფარული. ჯვარის ჩრდილოეთით მდებარეობს სოფლის სასაფლაო (1962 წლის 28 ივლისი. ჭალასოფელი).

„შუბნურში ერთი შულტაა,—გვიამბობს გიგა ბასხაჯაური—აღარ არის ხალხი და იმიტომ, ძველად ორი იყო; შუბნურს ჰქონდა თავისი „ხ ო დ ა ბ უ რ ი“, შუბნურის დიდ დღეობა ამაღლება და წელწადი იყო, ამ ორში შევიდოდით დარბასში, სხვად არა.

შუბნურში ერთ ქვაბ ეყოფა ლუდი. ორს საარყეს გააკეთებენ წელწადში და ორს ამაღლებაში. შუბნობა მოდის დიდ ხუთშაბათის მესამე ხუთშაბათს. ეს დიდდღეობაა. იქ მარტო ხუთშაბათს, ერთი დღე, გადიოდნენ. დარბასის კარი არ ილახებოდა. ლუდი აქედან გაგვქონდა, კარატედანაც მოდიოდა ლუდი. ორი დროშაც აქედან გაგვქონდა“.

ანდრეზი ვეშაპსა და გველისფერზე: „შუბნურს აქვს ნავთისწყალი და მათრახი, ვეშაპს კი იაგუნდი ხქონივ და შუბნურს უნდოდა იმის წართმევა. გადაასხა ზეთი და დაარტყა მათხარი, იწვების ვეშაპი. გამაართვა იაგუნდი და გაუშვა. ვეშაპს ქერქი გასძვრა და სად წავიდა, არვინ იცის.

გველისფერს ჩვენ იმას ვეძახით, რომ დედამიწას რომ ცხოველები ხყავ, ისე ხყავ ამასაც, — შუბნურს ლაშქარი ზოგ კატის სახით, ზოგ გველის სახით და ამას ვეძახით. გველისფერიც ამ ლაშქარში შედის. ვინ იცის, ეს იაგუნდი სად არის, ღულს იყო, უკანახოელები გაძარცვეს და, ვინ იცის, სად წაიღეს.

სვეს ვეშაპი დარაჯობდა. ეხლა აღარაა ეს სვე. იმან მოსპო, რომ აქ ომიანობა იყო, სვე კახეთიდან მოქონდათ მერე.

შუბნურს ყავს თავისი მეგანძური.

კარატეში ცალკე იყო მეზარე, პატარა ბიჭი დგას იქ, ბასხაჯურია. შუბნურსაც თავისი ხყავ, იქ ხუცესი იყო მეზარედ. შულტაები ხყვანდა და დასტურიც. ქადაგი კარატეს ხყვანდა ძველ დროში. ხუცესი აქ აკუშოელი იყო წიქა სისაური, ქადაგი კი — მინდია ბასხაჯაური. (ბასხაჯაურები სულ პირველები იყვნენ აქ მოსულები). ჯელოსნები ხატებს ხყვანდა და ახლაც ხყვან. ძველად ათი მაინც ხყვანდ კარატეს. იაჯსარს — ცოტა ხყვანდა, შუბნურსაც ხყვანდა და ახლა აღარა ხყავ.

ჯელოსანს მკითხავ (ან ქადაგ) ჯვარისა დააყენებდა. უნდა მოხვიდეო ხატშიო, ეტყოდა. მოიყვანდა ჯელოსანი საკლავს დღეობაში, გაინათლებოდა,

გამოუტანდნენ ლუდს ჯელოსნები დედაკაცებს და დაალევინებდნენ. იმას წელწადში ერთი სანათლავი უნდოდა.

დარბასის კარში წინ-წინ მარტო ზღუბლდალახული შევიდოდა. ზღუბლის დალახვაში ორი საკლავი უნდოდა — ერთი დიდი და ერთი პატარა. არაყს მოიტანდნენ, პურს არა.

ზღუბლს მაშინ დალახავდა, როცა ქადაგ ეტყოდა, დიდ დღეობაში. ბავშვის მიბარება თავ-თავის ხატშიც ხდება, სხვაგანაც: გუდანში, ხახმატში; კარატეში ის მიყავთ, ვინც დახელთულია — კაცი თუ ქალი (თუ გაგიჟებულია).

გოგოს ხახმატის ჯვარში აბარებდნენ, ბიჭს სადაც გინდა, გინდ იაკსარში, გინდ შუბნურში, მერე ყოველწელს უნდა გაინათლოს ერთი საკლავით, იქ სადაც მიბარებულია.

ჯვარის ტყეს ვეძახით პირდაპირ რომაა. სამივ ჯვარისაა ის დიდი ტყე, იმაში სალოცავ არის „საღმთოს კარი". იქ წინ იცოდნენ საღმრთოობა; იქ რომ ნასოფლარია, იმ ხალხის სალოცავ იყო. ეხლა აღარავინ მიდის, მარტო მიდიოდნენ ათენგენობას ბოქჩვილოელები. ბოქჩვილოელები ლუდს ხარშავდნენ, საკლავი მიხყვანდათ".

6. კარატეს ჯვარი, სოფ. ჭალაისოფელი

კარატის ჯვარის ნაგებობებია: 1. ორი შენობა, ორფერდა ა) „დარბაზი" და „საკოდე", ბ) „საქვაბე"; 2. „საზარე" თუნუქიანი გუმბათით: გვერდით „კვრივი"; 3. ზემოთ, საზარედან 20 ნაბიჯით დაშორებული — „ციხე"; 4. ოთხი კოშკი: „საკვირაო კოშკი", „საბჭოს ხე", კოშკები (ტაბ. 40, 41).

ლიქოკლების სათემო სალოცავი კარატის ჯვარია. კარატის ჯვარი ჭალაისოფელში მდებარეობს. მისი კოშკი, რომელიც მთავარ სალოცავად ითვლება, კარატის მთაზეა.

კ ა რ ა ტ ე ს ჯ ვ ა რ ი მდებარეობს ზღვის დონიდან 1700 მ სიმაღლეზე. 1. დარბაზი ორფერდა თუნუქის სახურავიანია. სახურავზე დგას ლითონის გუმბათი ჯვრით, კედლები მშრალად ნაგებია, კარი აქვს ხისა აღმოსავლეთის მხრიდან, სამხ.-აღმ-ით აქვს თარო, რომელშიც დგას წმიდა გიორგის ხატი, მასზე გამოსახული წმ. გიორგი ლახვრავს გველეშაპს (ამ თაროს „სამწირველო" ქვია) და მეორე ხატი ალექსი მიტროპოლიტისა (ორივე ხატი რუსულია). აქვეა გრაფინი და ფინჯანი, აგრეთვე ცვილის ნაჭერი. თაროს თავზე კედელში დამაგრებულ ორ ხის ნაჭერზე გადებულია ხისავე გრძელი გეომეტრიული სახეებით მოჩუქურთმებული სასანთლე სანთლის ნაღვენთით. სამხ.-აღმ. კედლის კუთხეში სიპის ორი ქვაა თაროდ გადებული, ხოლო სამხ.-დას. ასეთივე თაროა ორ სართულად. იქვე, კუთხეში, დგას მთლიანი ხისაგან გამოჭრილი უძირო კოდი, რომელშიც ჩაწყობილია სამი არგანი ხევისბრისა. დასავლეთის კედელში ორი მცირე ზომის შუკუმია. ოთხივე კედლის გასწვრივ გაწყობილია სიპების საჯდომები, შუაში კერაა, იგი ამჟამად გაუქმებულია და მის ადგილას დგას თუნუქის ღუმელი. ორფერდა სახურავის ორ თავხეზე გაწყობილია ნივნივები და შუაში კეზის მორითაა შემაგრებული. ჩრდ.-აღმ. კედლის შუა ნაწილი წარმოადგენს გასასვლელს მცირე ზომის ოთახში, რომელიც ძველი საკოდე(?) უნდა იყოს.

ყავარჯნებს თავები ვერცხლისა აქვს. პირველი ყავარჯნის თავის ერთ მხარეზე მამალია გამოსახული, მეორე მხარეს კი წმინდა გიორგი ლახვრავს გველეშაპს. პირველი ყავარჯნის თავის მეორე მხარეზე არავითარი გამოსახულება არ არის.

მეორე ყავარჯნის თავის ერთ პირზე გველია გამოსახული. მეორე მხარეს კი ჯვრები (ერთი ურგოლოდ, დანარჩენი ორ რგოლშია ჩასმული, რომლებზეც აგრეთვე სხივებია გამოსახული, და წარწერა: „1941 წ. დათიარ“).

გიგია ბასხაჯაურ-ლიქოკელის თქმით, დასტურებმა უნდა უგდონ ყური ამ ყავარჯნებს. ეს ყავარჯნები გიორგი ლიქოკელის გაკეთებულია. ეს მჭედელი აჭეში ცხოვრობდა (გიგია ყავარჯნის თავს „ყავარჯენს“ უწოდებს, ტარს კი „ხეს“).

დარბაზის შესასვლელი კარით შიგნიდან გადიხარ ს ა ბ ე რ ო შ ი (ტაბ. 42) იგი ცალფერდა სახურავიანი, მშრალად ნაგები, გრძელი, ოთხკუთხა ნაგებობაა, რომლის დას-თი კედელი დარბაზის აღმოსავლეთ კედელს ქმნის, ამავე კედელზე რიყის ქვაზე კართან გაშლილი ხელის გამოსახულებაა ამოკვეთილი. ჩრდ.-აღმ-ით სიპებისაგან განიერი საწოლია გაკეთებული, ამჟამად მასზე დევს ჩალის კონები (რომლებსაც გაშლიან და ზედ წვებიან, როცა ჯვარიანები ღამეს ათევენ ჯვარში). დარბაზს საბეროსთან ერთად აქვს თუნუქის გადახურვა. აღმ. და დას. კედლის გასწვრივ ქვისა და ფიქალისაგან საჯდომებია მთელ სიგრძეზე. საბეროს კარი და დარბაზის კარიც სამხ.-დას. მხარეზეა. მათი ფასადიც სამხ. დასავლეთითაა.

საბეროს დასავლეთ კედელზე (რომელიც დარბაზის აღმ-ის კედელს წარმოადგენს); ხელის გამოსახულების ზევით კედელში ჩატანებულ ქვაზე ამოჭრილია სამი ჯვარის გამოსახულება, შუა ჯვარის მხრებს შორის ამოღარული 4 რგოლით. ამავე კედლის ორ სხვა ქვაზე თითო-თითო ჯვარია ამოკვეთილი.

ს ა ქ ვ ა ბ ე მშრალად ნაგებია ფიქალისაგან (ტაბ. 43.). მრგვალი მორის რვა კოჭზე გაწყობილია ჭერები და ჭერის ზემოთ დაყრილია მიწა, რომლის ზემოთ გამართულია ორფერდა თუნუქის სახურავი, დაყრდნობილი მთავარი ფასადის მხრიდან ხის მილიონაზე. ფასადი და შემოსასვლელიც აღმოსავლეთ მხარეზეა. სამხ.-აღმ. კუთხეში მოწყობილია „ქობის ძირი“, რომელზეც დადგმულია სპილენძის სალუდე ქვაბი. მის გვერდით, სამხრეთის კედელთან კერაა ჩამოკიდებული ჯაჭვით (გიგიას თქმით „ქაჯაველთური“ ჯაჭვია, მეგრელაურის ლაშქრობის დროინდელია. რო გაუყავ ნადავლი, კარატეს ერგო ეს ნაწილარი). აქვე, სალუდე ქვაბთან სარევია — გრძელი ხის ჯოხი, რომელსაც წაკვეთილი პირამიდის ფორმის წვერი აქვს. „იმისთვისაა, რომ ქვაბმა არ მიიწვას“. სამხრეთის კედლის გასწვრივ დგას მთლიანი ხისაგან გამოჭრილი ძველი ლათბა, რომელიც გადახურულია მუხისაგან გაკეთებული სახურავით. ზემოდან თუნუქის ნაჭრები აწყვია. კედლის გასწვრივ დალაგებულია თუჯის ქვაბები. სამხრეთის კედელში დატანებულია ხუთი შუკუმი, შიგ შედგმულია ხის ტაგრუცი. დასავლეთის მხარეს მიყრილია ფიქალი ქვები, ზემოდან გდია კოდი. შუაში დგას თუჯის გადაყირავებული უზარმაზარი ზომის ქვაბი ლუდის სახარშად. ამის გარდა, აქვეა სამი უზარმაზარი კოდი, ერთი ზედ გაწყობილი საათენგენო ქადებისა და სატნის ნაჭრებით. აქვე დევს სპილენძის ტაფა. ჩრდილოეთის კედელთან დგას შვიდი სპილენძის ჩხუტი. ერთი პატარა

თუნგი და ერთი თულუხი; აქვეა საარყე კონჩხა ორთვალიანი, მთლიანი ხისგან ამოჭრილი. ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ სპილენძის ლათბა დგას, ზედ მიდგმულია ხის სკამი. ზემოდან ქანდარაა, დამაგრებული „ქაჯავეთიდან მოტანილი ჯაჭვით. აქვეა ტომარათ საკიდები, პირის საკრავები (3 ცალი), ქიტი სპილენძისა და კედები (2 ცალი), აქვეა თუჯის ქვაბი, საარყე ქვაბი, სახურავი და ხანჯარი, — „ხატში გაწირულია“-ო. საქვაბის ფასადის ორივე კედლის გასწვრივ ქვის საჯდომებია. ჩრდილოეთის მხრიდან საქვაბეს აკრავს საზარე ნიში თუნუქის გუმბათით და ზარით და დროშათ საბძანი კოშკი, რომელსაც ამკობს ხარის რქები (ტაბ. 40). ამ კოშკებთან იფნის ბებერი ხეა, რომლის ტანზე მიკრულია ხარის რქა, ერთი დროშათ საბძანი კოშკი აგებულია დარბასის ჩრდილოეთ მხარეს, იფნის ხის მახლობლად, საზარე კოშკის წინ სიპებით ნაგები ამაღლებული ადგილია თასების სადგამად, ამ სიპებს ქვემოთ გრძელი სიპებითვე ნაგები საჯდომი ქვებია ჩამწკრივებული, რომლებიც საქვაბის ნაპირის მხარეს წარმოადგენს მსხვერპლის სასაკლაო ადგილსაც. საქვაბის უკან ყორით ნაგები სასანთლე კოშკია ოთხკუთხა ფორმისა, რომელსაც გადაჰყურებს უზარმაზარი ცაცხვის ხე და მის მახლობლად კლდეზე აგებულია ციხე, რომელსაც თამარის ციხე ეწოდება. სასანთლე ნიშის კომპლექსი, თამარის ციხე და ცაცხვი წარმოადგენს ჯვარის კვრივს. საზარე კოშკის ქვემოთ „საარაყე საწურავა“ დგას. მის ზემოთ კი „საკვირაო კოშკია“ (ტაბ. 41).

კოპალას ჯვარში მრავალი ზარია შეწირული. იშვიათად მოიყვანდნენ საკლავს, რომ ზარი არ შეებათ ყელზე. საკლავი იკვლებოდა და ზარი იქ რჩებოდა. ამიტომ მოგროვდა აუარებელი წვრილი ზარები. კოპალას ხარებსაც ყველას ზარები ეკიდა ყელზე. ტყის ახლო რომ გაგევლოთ, ზარის ხმას გაიგონებდით და ამით გაიგებდით რომ აქ სადღაც კოპალას ხარები იყო.

ხევსურეთში სხვაგან ტყე ნაკლებად არის, ლიქოკში კი ძალიან ხშირი და წიფლიანი ტყეებია, რადგან აქ ბარი ადგილია ხევსურეთისა. აქ არის ეს ხარები გაშვებული (ალ. ოჩიაური, სახატო მიწები, რვ. № 58, გვ. 686—692).

ყოველ მეშვიდე წელს, ათენგენა დილას კარატის ჯვარის კოშკიდან წამოვა ერთი დიდი გველი. მას ვერავინ ვერ დაინახავს, უხილავია. ჩაივლის ბულალაურთაში, ადგილისდედასთან მივა და იქ მიწაში ჩაძვრება.

სოფელ ბულალაურთაში არის ადგილისდედა, რომელიც ძალიან მავნეა და ძალიან ემტერება საქონელს, თუ ახლომახლო სოფლებში საქონლის ჭირი გაჩნდა და საქონელი იხოცება, მკითხავთან წავლენ და მკითხავი ეტყვის: ადგილისდედა გამიზეზებთ, ერთი თიკანი გინდათო. წაიყვანენ თიკანს, — სოფელი მას ზიარად იყიდის: თიკანს თან „სადობილოსაც“ (აშალს ანუ ტოშოლს) დაატანენ. ხუცესი საკლავს დაკლავს ადგილისდედაში და თან იტყვის: „დიდო ადგილისდედაო, შენ იხვაიშნე, შენ შაუნდევი კაცსაც და საქონელსაცო“ (ნ. მაკალათია, მ. ბალიაური. ხევსურეთის დღესასწაულები. პირაქეთ ხევსურეთი, რვ. № 3, გვ. 254—257).

„კოპალა, ხევსურების რწმენით, ეშმაკებისაგან მოკლული ადამიანის სულსაც დაიხსნის მათი ხელიდან. ვინც ხევსურეთში ზვავისაგან კვდება, ან წყალი მოკლავს და ან თვითმკვლელობას ჩაიდენს, — მისი სული ვითომ ეშმაკებს რჩება, მანამდი კარატის ჯვარი არ დაიხსნის მათი ხელიდან. კარატის ჯვარს აქვს მგზავრთ დროშა, რომელიც იქ დაჰყავს, საიდანაც ჯვარის მაწევარი მოუვა.

ჯვარის მაწევარი ჰქვია იმას, რომ ვინც მოკვდება ზემოაღნიშნული შემთხვევით, მისი მეპატრონე დაპატიჟებს, ე. ი. აწევს, ან მოიყვანს კარატის ჯვარს. კარატის ჯვარის მედროშავე ააბამს მგზავრ დროშას, შეაბამს ზარს, ვერცხლის ჯვარს და ხელსახოცებს. გაჰყვება ერთი დასტური და წავლენ იქ, სადაც მოკვდა ის კაცი. იმ ადგილს რომ მიუახლოვდებიან, სადაც ის ან ზვავმა მოკლა ან წყალმა, მაშინ ვითომ ის მედროშავე გადაქადაგდება. დაიწყებს ქადაგობას და ყვირის კოპალას ენით:

„პირმზორიანო, სა წახოლ, ჩემი ლახტით მათრაჯით მიწაში გაგრეგ. ჯელი არ გაქვს, პირმზორიანო, ხთის სულჩადგმულ ჯორციელსთან. მე ორ გმირ კოპალა, მე მაქვის ძალი, შაძლება ხთისგან მალოცვილი პირმზორიანთ გასათელავად“ და სხვა ამისთანები.

კარატის ჯვარის დროშას ვინც წაიყვანს, ერთი საკლავი იქ უნდა დაკლას, როცა დროშას ააბამენ, ხოლო ერთი საკლავი ცოცხალი უნდა მისცეს დროშის გამყოლთ სასარგებლოდ. ცხვრებს დასტურები და მედროშავე ერთად მოაგროვებენ და ბოლოს გაიყოფენ.

ხევსურების წარმოდგენით, გმირ კოპალას აქვს ლახტი. ის ამას დაარტყამს ეშმაკი იქნება, თუ დევი და გაანადგურებს. მას ასეთი ძალა ხთისაგან აქვს მიცემული (დევებისათვის ბრძოლა იაჯსარს ევალება).

გ მ ი რ-კ ო პ ა ლ ა ყოფილა დევების მტერი, დიდი მებრძოლი, იგი ცხოვრობდა თურმე „მუჭის ღელეს“, ხოლო დევები — ციხეგორ. დევებს ჰქონდათ გამართული სამჭედლო. ყოფილან რიცხვით ბევრნი და ჯანით ღონიერნი. წაჰკიდებიან კოპალას — „მუჭის ღელეზე“. კოპალას უთქვამს: დავნაძლევდეთ და ვინც გაიმარჯვებს, იმას დაუთმოს ადგილი დამარცხებულმაო. დანაძლევებულან შემდეგზე: უნდა ესროლათ სამი ფუთის სიმძიმის ქვა. თუ დევები ამ ქვას მუჭის ღელეს გადაისვრიდნენ, გამარჯვება მათ დარჩებოდათ. და თუ კოპალა მუჭის ღელიდან ციხეგორ მიაწვდენდა, მაშინ კი კოპალას. დევებს ეს პირობა გაეხარდათ, რადგან კოპალა ვერ გვაჯობებს და ადგილი უბრძოლველად დაგვრჩებაო. უსროლიათ პირველად მათ, მაგრამ დახიშნულ ადგილამდე ვერ მიუწვდენიათ, ხოლო კოპალას მიერ ნასროლი ქვა პირდაპირ დაცემულა ციხეგორ. სწორედ იქ, სადაც დევებს სამჭედლოები ჰქონდათ აშენებული (ის ქვა ეხლაც ციხეგორ დევს და კ ო პ ა ლ ა ს ქ ვ ა ე წ ო დ ე ბ ა). მისულა კოპალა დევებთან და უთხოვია დანაპირების ასრულება. ამაზე დევებს სიცილი აუტეხიათ: „შენ ვინა ხარ, შენი გამარჯვება რა უნდა იყოს! ადგილს მოგცემთ კი არა, რაც გაქვს იმასაც წაგართმევთ“-ო. კოპალას დევების პასუხი მეტად სწყენია. დარევია ლახტით და მუსრი გაუვლია მათთვის. კოპალას ქვას დევის ნაფეხური ატყვია, ჩხუბის დროს დაუდგამს დევს მასზე ფეხი. ორი დევი გაქცეულა, ერთი ცალთვალა აბუდელაურის ტბაში დამხრჩვალა, მეორე კი — ციხეგორის ახლო ეხში (გამოქვაბული) შემძვრალა. კოპალა შეყოლია შიგ და უომია მასთან. გარეთ დევი არ გამოსულა და მაშინ კოპალას ჯაჭვით იქვე მიუბამს. ეს დევი დღესაც იქ არის და იმ ეხის წინ ვერავინ გაივლის. თუ ვინმე გაეკარა, ის ცოცხალი არ დარჩება, აუცილებლად მოკვდებაო“ (ნ. მაკალათია, მ. ბალიაური, ხევსურეთის დღესასწაულები, გვ. 2, გვ. 108—110).

კარატის ჯვარში იცოდნენ წვრილი ს ა შ უ ლ ტ ა ო დ ღ ე ო ბ ე ბ ი. ა ღ ე ბ ა რ ო მ ჩ ა მ ო ვ ა — ა ღ დ გ ო მ ა-ა ღ ვ ს ე ბ ა მ ო დ ი ს, ისევ ლუდს მოვ-

ხარშავთ, როგორც აღებას, მერე ა მ ა ღ ლ ე ბ ა მოვა, იქაც მოვხარშავთ, მერე ს ა კ ვ ი რ ო ბ ო (ათენგენის ცოტა წინ, ორი კვირით ადრე); მერე ა თ ე ნ გ ე ნ ა; მერე მ ა რ ი ა ნ ო ბ ა მოვა, აქაც ლუდი იდუღებს, მერე ს თ ვ ლ ი ს გ ი ო რ გ ო ბ ა, აქაც ლუდი იდუღებს, და, ბოლო, ქ რ ი ს ტ ე. დასტური და შულტა ახალწელს დგებოდა, 2-წლიანი იყო როგორც საშულტაო, ისე დასტურიც. შულტაზე წილს ვყრიდით. დიდი დასტურნი ქადაგით დგებოდნენ ორი წლით. შულტა კი წლით. წილს აღვსებას (აღდგომას) ვყრიდით. თითო დღეობას ორი შულტა ჰყავდა. მედიდდღეობე წ ე ლ წ ა დ შ ი ოთხი იყო, ორი შუბნურში და ორი აქ. შუბნურშიც ქადაგით დგებოდა მედიდდღეობე. შულტა ორივე ხნავდა მორიგეობით— ერთ წელს ერთი ხნავდა, მეორე ამ დროს ლუდს ადუღებდა. მეორე წელს პირველი, ლუდს მოადუღებდა, მეორე კი მოხნავდა.

წელწდის შემდეგ აღება მოდის, ორი დღე ვიცოდით, შაბათ-კვირას. ოთხ ან სამ ფუთს დავყრიდით სალუდედ. აღვსებას არაყი შეიძლება არც იყოს. მაშინ გაიღება დარბასის კარი. იქ შევლენ დასტურები, დაანთებენ სანთლებს, მეზარეც არის. მე თვით არა ვარ ხუცესი, ეგრე კაც რო მოვიდეს, მთხოვოს, წავალ, ისე მე არა ვარ ჯვარის არჩეული. ხუცესი არ არის, იმითა ვარ მე რომ უფროს კაცი ვარ. კარატის ჯვარში ორი ხუცესი იყო. შუბნურში კი ერთი. კარატის ჯვარს ყავს მაგანძური. ჟ ა მ ი ს წ ი რ ვ ა ზ ე ხუთი ან შვიდი თასი დაიდგმოდა. ეხლა დობილთ რო ვახსენებთ, მაშინ ვიცით 14—15. გაღმა ჰყავდა შუბნურს დობილი და მათზე ვახსენებდით. კენტაზე უნდა იყვეს. დობილთ ხსენება იცოდნენ ჟამის წირვაზე. ქადაზე სანთელს დავანთებთ, ზარს დავრეკავთ, წყალობას ვიტყვით. სულ პირველად კოდ გაიხსნება, მერე საკლავ დაიკვლის (თუ არის) — ეს ყველა დღეობაშიც ასე იქნების, როცა დარბაზ ილახების (ამაღლებას, აღვსებას, ათენგენას, წელწადში — კარატეს ჯვარში); დანარჩენ დროს საქვაბის კარი ილახება. როცა დარბასის კარი ილახება, მაშინ და პატარა დღეობაშიც უნდა დობილთ ხსენება. დობილთ ხსენების შემდეგ, თუ მიცვალებულ იქნებოდა, იმას მოვიგონებთ და დავლევთ. სოფლის ჯერი (თემი) მოვიდოდა, იმას თავის ნაწილარს (ცოშის წილს) მიუტანდით. მელუდენი და მეთასენი სულ დასტურნი იყვნენ. ისინი არიგებდნენ ყველაფერს. ყველას ისინი მიუტანდნენ.

დობილთათვის 14—15 სახსენებელი თასი იყო. „კოდების მამჯდეთ ანგელოზნო, თქვენამც იდიდებით, შუბნურის ლაშქარნო უთქვენოდ არაფერ მაჯდების, თქვენ შველდითად წყალობდით“. ეს წინ-წინ იტყოდეს, მერე კი „კვლოვ დიდხანს გალოცვივასთო“. თითო თასზე მარტო დობილნი და ლაშქარნი დიდებოდეს. დობილნი მანდ გველის სახისა იყო. დობილთ ხსენება ვიცით კოდზე, მერე კოდ გაიხსნება ნათავარი ლუდია — კოდთან ორჯერ გავადიდებთ. ჯერ კოდი გადიდებოდა და ნათავარი ამოიღებოდა ჩხუტაში. სახუცო კოჭობი ვიცით. მეგანძური აქ ძველად იყო. მესაფუვრე ანუ მეკოდე იგივენი იყვნენ. დასტურები, მედროშაეც დასტური იყო. ოთხი დროშა იყო სულ. ორი აქ. ორი შუბნურში. ჩხანჩხიც იცოდეს — წყალს, შეშას მიიტანდა. ჩხანჩხი ორიც იქნებოდა, ერთიც. უწინ ბევრი ხალხი იყო და მეტიც დუღდა. ძველ დროს 12 ფუთს იყრიდა ქვაბი. კარატეში 2 ქვაბი დუღდა, ახლა პატარა ქვაბია, 7—8 ფუთს დაიყრის, თუ ქერი დაჰყარე — მეტი უნდა, თუ სვილ დაყარე, ცოტა; ბევრ სვილ არ უნდა.

აღების შემდეგ აღვსება მოდის. ძველ დროს ჩვენ ასე ვადუღებდით: ორი შულტა ადუღებდა სააღვსებოს, 2 დასტური ადუღებდა სადიდხუთშაბათოს.

ჟამის წირვის დროს 5 ან 7 თასზე იცოდნენ დალოცვა. პირველად ახსენებდნენ: „მაღალო ღმერთო, შენამც იდიდები, შენ ძალი, შენ სამართალი. 2. დიდო კვირეო, შენამც იდიდები, შენ ძალი, შენ სამართალი, 3. ლაღო ლახტიანო შენამც იდიდები კარატის ჯვარო; 4. გმირო იახსარო, შენამც იდიდები, შენ ძალი შენ სამართალი, 5. შუბან ნერგის ანგელოზო, შენამც იდიდები, შენ შველელო, შენ საყმოს შენ უშველი (შუბნურზე).

კარატის ჯვარს ახმეტაში ქონდა ვენახი, იქიდან მოქონდათ კულუხი ათენგენობას.

სამნები კარატეში იყო, მაგრამ ახლა არა ჩანს ბალახში. სამნები იყო ზოგი: 1. ძმობისა (ბასხაჯაურთ-ლიქოკელთ); 2. ერთმანეთში ქალის არ მოყვანისა; 3. სისხლზე, შურისგებაზე. ეს სამივე კარატეში იყო, არც იახსარში და არც შუბნურში სამანი არ იყო, ჯვარის ზემოთ რომაა — ნეფის აშენებულია ის ციხე (1962 წლის 27 ივლისი, ჭალაისოფელი. მთხრ. გიგია ბასხაჯაური. ლიქოკელი).

7. იაკსრის ჯვარი, სოფ. ჭალაისოფელი

„იაკსრის ჯვარი სათემო, სალიქოკო იყო, მაგრამ 15—16 წელიწადია, რაც მისი დღეობა მოიშალა. იმას აღარც ყმანი ჰყავს, აღარც ჯელოსნები, არც დროშა აქვს და არც რა სხვა. მხოლოდ-ღა მისი დარბაზი დგას ჭალაისოფელში, კარატის ჯვარის მახლობლად (1943 წლის 28 აგვისტო. ს. ქობულო. მთხრ. 65 წლის მგელა ლიქოკელი. კარატის ჯვარის ჯელოსანი).

საშულტაეები კარატის ჯვარსაც ქონდა, ზოგს საკარატო ქონდა, ზოგს სამარიანობო, საათენგენო.

გინდა საშულტაო თქვი, გინდა სადასტურო, შულტას წვრილ დასტურს ვეძახით, დიდს კი დასტურს. ერთი ახალწელს იქნების, ერთი ათენგენას ვიცით დიდი დასტური, სამთიბლოს, მარიანობას და სხვ. წვრილ დღეობებში კი შულტა ვიცით. აი, პირდაპირ რომაა მამულები, ისაა სადიდჯვარო ახალწლის და ათენგენობისა. ერთობლივ მოვხნავთ, იმას ზოგს საახალწლოდ მოვიხმარებთ, ზოგს ათენგენობას. 12 ფუთ ქერს დავაყრიდით. აქედან 9 ფუთი სალუდედ იყო, დანარჩენებისა საარაყედ. ეს საერთო ქვაბი იყო. არაყი კი დაახლოებით იქნება 13—14 ხელადა. ხელადაში ჩადის 2 ჩარექი თითოში. ეს მთელ ლიქოკის ხეობის გასამასპინძლებლად იყო. წელწადშიც და ათენგენობასაც. წელწადში 5-ზე მეტი დღე ვიცით. 7 დღეა დღეობა, მაშინ არაყი მეტი ჭირდება, ცივა და იმიტომ; 2 ქვაბი არაყი დასჭირდება, იმას უნდა დავაყაროთ 3/2 ფუთი, ამან თუ კარგად იფუვლა, გამოვა 13—14 ხელადა. მეორე ქვაბშიც ამდენივე გამოვა წელწადს. მერე გავალ-გამოვალთ ხალხში, ყველა თავთავისათვის გამოვხდით. ესაა სადიდჯვარო. თუ სადიდჯვაროს მოსავალი გადარჩა შეინახვების (სხვა დღეობისათვის).

ი ა კ ს რ ი ს ხ უ ც ე ს ი ახლა არავინაა, სიტყვაზე მე მეძახიან. მე ხუცესი არა ვარ, მარტო შეუსახელებ. აქ ხუცესი ლიქოკელი იყო (გიგუა სისოური, ის იყო დეკანოზი (ხევისბერი) იახსრისა, მაგათ მოუდიოდათ ხევის-

ბრობა, უნჯი ყმანი იყვნენ, კარატეს ჯვარში კი ბასხაჯაურებს მიუდიოდათ. შუბნურშიც ბასხაჯაურები იყვნენ, ჩვენ შუბნურის და კარატის უნჯნი ყმანი ვართ, აკეში რომ ღვთიშობელია იქ სისოურები იყვნენ ხუცესად. ახლა იმის ხუცესიც მოკვდა. ეს ოთხი ჯვარია სალიქოკოსი (შუბნური, იახსარი, კარატე, ღვთიშობელი). იახსარში ორი დღეობა იყო დიდი. ათენგენა და წელწადი (1962 წლის 27 ივლისი. ჭალაისოფელი. მთხრ. გიგია ბასხაჯაური-ლიქოკელი).

ი ა ხ ს რ ი ს ჯ ვ ა რ ი ს კ ო მ პ ლ ე ქ ს ი: საქვაბე, სიმაღლე —1750 მ ზღვის დონიდან (ტაბ. 44). იგი მშრალად არის ნაგები „შიბის“ ქვისაგან. დასავლეთის მხრიდან აქვს ოვალური ფორმის შესასვლელი. აღმოსავლეთის კედელში დატანებულია წყვილი დიდი შუკუმი. კარისთავი ხისაა. შუაში „კულაა“ რომელიც კეზს (თავხეს) იჭერს. კულა ოთხკუთხედად არის ამართული. მის ჩრდილოეთის მხარეს კერაა, კულას გვერდით წვრილი ჯაჭვია ჩამოკიდებული („საკიდელი“), სამხ. და ჩრდილოეთის კედლების გასწვრივ ქვაზე გადებულია ხის დასაჯდომები, ხოლო ჩრდ.-აღმ. მხარეს ქვებითა და მიწით ამაღლებული განიერი ბაქანია — შესაძლოა საწოლი. ჭერზე 7 კოჭზე („ხე“) დამაგრებულია „ჭერები“, ზემოდან ქვა არის დაფენილი, სახურავი ბანიანია. ჩრდ. და აღმ. კედლებში ორ-ორი ნიშია დატანებული.

ს ა ზ ა რ ე კ ო შ კ ი (ტაბ. 45) საქვაბის გვერდითაა, მარჯვნივ უდგას მას. ამ კოშკის ზარზე არის შემდეგი წარწერა: „ქ. შემოვწირეთ ჩვენ წოწკორულნი ორთავ სახლის კაცეთა ხუმართ. არჯალას და გამიხარდის ჩვენ ჯალაბობრივ ეს ზარი კარატის ჯვარ. ჩვენ სამწყალობლოთა“.

ამ საზარე კოშკის (იგი სიპერდიანი ოთხფერდაა, ზემოდან ბროლის ქვით შემკული) გვერდები ადის სამ სვეტად, უკანა სვეტზე შიგნიდან შუკუმია დატანებული.

დარბაზში შესასვლელი სამხრეთის მხრიდანაა. დარბაზის გადახურვა ნაწილობრივ თუნუქისაა (ტაბ. 44). დარბაზის სამხ.-აღმ. კედლიდან გასასვლელია საკოდეში, რომელიც პატარა ზომის სათავსოს წარმოადგენს. სამხრეთის კედლიდან კი, სადაც დარბაზის კარია, ს ა ბ ე რ ო შ ი ა (დანგრეულია) გასასვლელი.

დარბაზის ჩრდილოეთ კედელში ორსართულიანი შუკუმია; ზედა სართულში დევს ორი ძველი ზარი. შუკუმია აგრეთვე სამხრეთის კედელში, ხოლო დასავლეთის კედელში ორ ძელზე გადებულია სინათლე ჩრდ.-აღმ. კედლის გასწვრივ ქვის საჯდომებია, ხოლო დასავლეთ და სამხრეთ მხარეს ქვებზე შეყენებული ფიცრის სკამები. ჭერი ორფერდაა, ნაწილობრივ ფიცრით გადახურული. დარბაზის ცენტრში კერაა, კერის საკიდელი ჩამოგდებულია. კარი, საბეროში გასასვლელი, ჩამოღებულია. აქვე დგას ორი ხის კოდი და სპილენძის ლათბა.

დარბაზის უკან, მთის დაფერდებაზე, მდებარეობს სიპერდიანი კოშკი „თ ა მ ა რ ი ს კ ო შ კ ი ს“ სახელწოდებით (ტაბ. 45). დარბაზის სამხრეთის კედელში შუკუმია დატანებული, ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლის კუთხეში კი დგას ძველი ტაბლა.

იახსრის ჯვარში, დარბაზიდან სამხრეთით, მდებარეობს სასანთლე კოშკი ოთხკუთხა ფორმისა, შუკუმიანი. დარბაზის ზემოთ სამხ.-აღმ. პატარა, ოთხკუთხა ფორმის კოშკი, შესაძლოა, დობილთ კოშკია. დარბაზის უკან, გორაკის წვერზე მიშენებულია სიპერდიანი კოშკი, პირამიდული ფორმისა, ორ-

ფერდა. შუაზე დატანებული დიდი ზომის შუკუმით ორადაა გაყოფილი. გარედან ადგილ-ადგილ კოშკს წასმული აქვს კირი. ეს კოშკი „თაძარის კოშკად“ იწოდება.

აღნიშნული ჯვარის ტერიტორიაზე ნახოვლარია (გიგიამ გვიჩვენა რამდენიმე), „აქ სისოურები ყოფილან. ძალიან ადრინდელნი არ არიან, მემრ გამოცხადდენ ჯვარნიდ, გადაასახლეს აქედან“.

ბ) ბისო-ხახმატის ხეობა

1. შიგან-ჯვარი, ნასოფლარი ჭორმეშავი

ნასოფლარის ხატში არის ორი კოშკი: 1. თაღისებური ფორმის, შიგ ჩამოკიდებული მცირე ზარით; 2. კონუსის ფორმისა, შეწირული ჯიხვისა და ირმის რქებით.

ხატი შედგება სამი ნაწილისაგან: ს ა ლ უ დ ე, ს ა კ ო დ ე-დ ა რ ბ ა ზ ი. ხატის ინვენტარი: სამი კოდი, სამი ტაგრუცი შეწირული ნივთებით: ყაწიმები, ვერცხლის რუსული ფული ხელსახოცში გამოხვეული, დროშის ჩიქილები და სხვა (აქედან წამოვიღეთ ხუცესის ჯვარი, ინახება საქართველოს მუზეუმში). ნასოფლარი ყოფილი სოფელი ჭორმეშავია, რომელიც ზურაბ ერისთავის ლაშქრობის დროს დაუნგრევიათ. ეს ხატი გოგოჭურების სალოცავია.

ს ა მ ა გ ა ნ ძ უ რ ო ს გ ვ ა რ თ ა დ ა ძ ვ ე ლ-მ ა მ ა თ ჯ ვ ა რ ე ბ ი. სამაგანძუროში გაერთიანებულ გვარებს და ამათგან არაბულების ძველ-მამათ თავ-თავიანთი ჯვარები ჰყავდა.

მთელი სამაგანძუროს საერთო სალოცავი იყო გუდანის საღმრთო ჯვარი, რომლის საბრძანებელი მოთავსებულია სოფელ გუდანში. სამაგანძუროში შემავალი გვარებიდან საჭინჭარაულოს საგვარო სალოცავს „ნაჯარელა ხთიშობელი“ წარმოადგენდა, რომლის ჯვარი მოთავსებულია სოფელ გუდანში.

საგოგოჭუროს საგვარო სალოცავი იყო „წ მ ინ დ ა გ ი ო რ გ ი ფ ი ცრ უ ლ ი“, რომლის ჯვარი ს ო ფ ე ლ ჭ ო რ მ ე შ ა ვ ში მდებარეობს.

საარაბულოს საერთო საგვარო სალოცავის არსებობაზე ხევსურნი პირდაპირ არას ამბობენ, მაგრამ იმდენად, რამდენადაც არაბულების თავდაპირველ საცხოვრისად ზეისტეჩო ითვლება, უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია თავდაპირველად მათი საერთო საგვარო სალოცავი „ზ ე ი ს ტ ე ჩ ო ს ჯ ვ ა რ ი“ იყო.

პირდაპირი და სავსებით უეჭველი ცნობები ჩვენ მოგვეპოვება საარაბულოს ძველმამათა სალოცავებზე. საჩუჩაყეუროს სამამო სალოცავი „პირქუშის ჯვარი“ იყო, რომლის „საბრძანისი“ სოფელ ბაცალიგოში მდებარეობს. ხოლო საბიჩინაგუროს სამამო სალოცავს „ზეისტეჩოს ჯვარი“ შეადგენდა, რომლის „საბრძანისი“ ზეისტეჩოშია.

2. წმ. გიორგის ჯვარი, სოფ. ჭორმეშავი

ჯვარი მოიცავს შემდეგ ნაგებობებს: 1. საქვაბე, 2. დარბაზის კარი, 3. დარბასი, 4. საკოდე, როგორც დარბაზის თვალი, 5. საზარე, მარტო წმ. გიორგის ჯვარისა, შვიდსიპერდიანი, 6. საზარე, საზიარო ფიცრულის ჯვარ-

თან, 7. კვრივი I, 8. კვრივი II. 9. ძველი გალავნის ნაშთი, 10. სასაფლაო. ჯვარს ტყე აკრავს, რომელსაც გერეგო ჰქვია. გერეგო ადგილის სახელია.

დ ა რ ბ ა ზ ი ს კარის წინ ორი სიპი დევს — „საკლავთ-სახოცი“.

დ ა რ ბ ა ზ ი. დარბასის კარი სამი მხრივ ამოშენებულია, ხოლო მეოთხე მხარეს (ჩრდ.), შესასვლელია საკოდეში. ჩრდ. კედლის მარჯვენა კუთხესთან დარბაზის კარებია. დარბასის კარის გადახურვა დარბაზის გადახურვის გაგრძელებას წარმოადგენს (ორფერდაა). კარის სამივე კედლის გასწვრივ ქვის სკამებია გამართული, რომელზედაც დგას დაახლოებით ერთი ზომის 4 სპილენძის ქვაბი, ერთი მათგანი ხელქვაბია. დარბაზის კარზე საკოდის შესასვლელთან მიყუდებულია ყავარჯენი, ცვრებიანი ტარით (ერთ მხარეზე 8 ცალია და 4 აკლია, მეორეზე 10 და ერთი აკლია) ტარის გვერდებიც 7 ცვარით არის შემკული (8 ყოფილა, ერთი ამოვარდნილია), აქვეა ორი დროშის ტარი. ერთზე რკინის ვიწრო ბეჭედია ჩამოცმული. საკოდის ფასადზე, რომელიც დარბასის კარის ჩრდ. კედელს წარმოადგენს, ცენტრში პატარა შუკუმია, რომელშიც მოთავსებულია ორი თასი სპილენძისა, ძველი აბაზიანები, წითელი სამკადრეო, ორი სანთელი და ერთი რქა.

დარბაზის კარის წინ ქვის საჯდომებია რომ წყდება, ორი, სამკუთხედად მიდგმული სიპი „საკლავ-სახოცს“ წარმოადგენს.

დარბაზის ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ დგას მთლიანი ხისაგან გამოჭრილი ტაგურუცო, ორნამენტით შემკული, ხოლო სამხრეთის კედლის კუთხეში დგას ხის „სამწირველო“ 1,30 მ სიგრძისა, რომელიც წარმოადგენს ორი ფიცრისაგან შექმნილ თაროს და ოთხ ფეხზეა შეყენებული. აქვე დევს პატარა მაქალოზი, რომელშიც ახალი აბაზიანებია ჩაყრილი. სამხრეთის კედლის გასწვრივ მთელ სიგრძეზე „თას-საინ-ქადა-სანთელ-თასებისათვის“ გადებულია ფიცარი („ესეც სამწირველოა“), რომელზედაც დიდი ზომის ჯიხვის რქები აწყვია. აღნიშნულ ფიცრის თაროს კუთხეში, დასავლეთის კედელთან უერთდება და გრძელდება მთელი კედლის გასწვრივ, ვიდრე კარამდე მეორე ფიცარი. სამწირველოს თავზე გრძელი ფორმის შუკუმია გამოჭრილი, რომელშიც ხისტარიანი ყუთია შედგმული. აქაა ერთი ზარა და ორ რქა. ცენტრში კერაა და ზედ ჯაჭვია ჩამოკიდებული.

'ს ა კ ო დ ე — ოთხკუთხა ფორმის შენობაა, ჩრდ.-დას. კუთხეში დიდი ზომის ხის კოდი დგას, სამხრეთ კედელში კი ქიტია გარჭობილი.

ს ა ზ ა რ ე კ ო შ კ ი მდებარეობს დარბასის სამხრეთით, პირდაპირ მიდგმულია მასზე და წარმოადგენს სამხრეთის მხრიდან სამსიპერდიან, აღმ. მხარეს რვასიპერდიან, დასავლეთიდან კი შვიდსიპერდიან ნაგებობას. მის დას. და აღმ. კედლებში პატარა სარკმელებია ამოჭრილი; შიგ კი ზარია ჩამოკიდებული. დას. კედლის სიპერდებზე, სხვადასხვა ზომის „ზარები“ ჰკიდია. კოშკის თავზე უსწორო ფორმის ქვაა დადებული.

დარბასის აღმოსავლეთ მხარეს ორი კვრივია განლაგებული. ჩრდ.-დას. ნაწილი სასაფლაოს უჭირავს, სამხრეთის მხრიდან ძველი გალავნის ნაშთი ჩანს. კომპლექსის ჩრდილოეთით დგას ძველი, ორფეხა, ნახევრად ჩაქცეული საზარე. ის ორივე ჯვარის საერთო საზარეა.

ს ა ქ ვ ა ბ ე, მისი შესასვლელი კარი ორი სამკუთხა თაღისებური მოყვანილობის სიპებისაგანაა ამოშენებული. თვითონ კარი კი ხისაა, ეტყობა, ახალი გაკეთებულია. საქვაბე დარბასის დასავლეთით მდებარეობს, შესასვლელი

კარი კი სამხრეთის მხარეს აქვს. საქვაბეც ოთხკუთხა ფორმის, ორფერდა სახურავიანი შენობაა. დას. კედელთან დგას მთლიანი ხისაგან ამოჭრილი ლათბა. ჩრდ.-აღმ. კუთხეში მოთავსებულია სპილენძის დიდი ზომის ბრტყელძირიანი და გვერდებგამობერილი ქვაბი ლუდისათვის, აქვე კედლებია მიყუდებული. აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლების გასწვრივ ქვის საჯდომებია მოთავსებული, ზედ დგას სპილენძის დიდი კოში, ქიტი, ხის დიდი ჩხუტები. ცენტრში გდია მრგვალად, ლასტით დაწნული „გოდორი", მოხარშული ლუდის დასაწურავად. აღმ. და სამხრეთ კედელთან ქვით შექმნილი ამაღლება „ლოგინია". შესასვლელი კარი არა აქვს ცალკე (1963 წლის 6 აგვისტო, ჭორმეშავი. ტერმინები ჩავიწერეთ ჯვარის ჯელოსნის ბერდია გოგოჭურისაგან).

8. ფიცრულის ჯვარი, სოფ. ჭორმეშავი

„ფიცრულთ ჯელო სამძიმარო" — ასე ახსენებენ. ჯვარი გახუა მეგრელაურის ნასახლარში მდებარეობს; ადრე შენობა ხისა ყოფილა და მერე ქვით აუშენებიათ. ამ ჯვარის ნაგებობანია: 1. დარბაზი, საკოდითა და „აივნით", 2. საწოლა, 3. ჯვარის კარი, 4. ქალების შესაწირავების დასაკლავი კოშკი, 5. სადობილო კოშკი, 6. ახალი საზარე კოშკი, 7. ძველი საზარე კოშკი, 8. I კვრივი, 9. II კვრივი.

დ ა რ ბ ა ზ ი (ტაბ. 46) ჩამოქცეულია. სახურავი ორფერდა ჰქონია კარი სამხრეთის მხარეზე აქვს, მარჯვენა კუთხეში. შუა ადგილას ძველი კერის ადგილია, გარშემო კი ქვის სკამებია გაწყობილი (დას., აღმ. და ჩრდ. კედლის ნახევარზე). სამხრეთის კედელთან, ქვის სკამზე ხის პატარა ტაგრუცია, რომელშიც ყაწიმებია ჩაყრილი. სამხ.-აღმ. კედლის კუთხეში სამკუთხა „ს ა მ წ ი რ ვ ე ლ ო ა" — სიპი, სანთლის ნაღვენთით, მის ქვემოთ კი ხის თაროა. ესეც „სამწირველოა", ზედ პატარა რქა დევს. აქვე გდია ძველი ფიცარი და ზედ ჯვრებია ამოჭრილი. ეს ფიცარი თურმე ადრე აივნის მოაჯირს წარმოადგენდა. აქვე გდია სპილენძის შებოლილი კოში, სამი დიდი ზომის ხის კოდი. დარბაზის ჩრდილოეთი ნაწილი ამაღლებულია — ეს საკოდეა, სადაც სამი დიდი კოდი გდია. დარბაზის დასავლეთის კედელში პატარა შუკუმია გამოჭრილი.

დარბაზსა და ს ა წ ო ლ ა ს შორის მოედანი ქვით ნაშენი დაბალი ფართობია, რომლის მარცხენა მხარეს სწორი ოთხკუთხა ფორმის ქვით ნაშენი ამაღლებაა, რომელსაც სწორი დიდი ზომის სიპი ადევს. მისი სახელი უცნობია და გამოყენებაც ვერ ახსნეს. დარბაზის გარეთა აღმოსავლეთ კედელზე, რომელიც ჯვარის კარზე გამოდის, ორი სიპისაგან გამოწეული თაროა გამართული, მასზე დევს სპილენძის თასი||საინი და სანაყავის მსგავსი ფორმის სპილენძის ნივთი წარწერით: „ქავს უმზ ქდო ლმაზ შვლი სარაჯი არუთინასია". დარბაზის კარის მარჯვენა მხარეზე ს ა წ ო ლ ა ა. შიგნით არის კართან ამაღლებული ადგილი, ამასაც ცალკე საწოლას ეძახიან. აქვე გდია ორი სამწდეო, ქიტი, ჩანგალი ხორცისა, ბაკანი ხისა. საწოლას ჭერზე დევს ორი დროშის ტარი. I — სიგრძე — 1,46 მ, II — 1,24 მ. ჯვარის კარის ჩრდილოეთით, დგას ორი ძველი და ახალი საზარე კოშკი. ძველი საზარე შვიდსიპერდიანია, ახალი საზარე კი ხუთსიპერდიანი და ორფეხა. ძველი საზარის გვერდით პატარა კრივია ამართული (ტაბ. 47).

ს ა წ ო ლ ა. ფიცრულის ჯვარის საწოლას (ტაბ. 48) ჩრდილოეთის მხრიდან კარი აქვს, დასავლეთის კედლის კუთხესთან. კარის გასწვრივ სამხრეთისაკენ იატაკი დადაბლებულია, რომლის ზემოთაც ძველი ჭერის ნაწილი ერთგვარ თაროსმაგვარ გადახურვას ქმნის; იგი მხოლოდ კარის გასწვრივ დადაბლებულ ადგილას გასდევს, რომელიც მთელ შენობას მოიცავს.

დასავლეთის კედელზე, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, კედლის გაყოლებაზე ცენტრამდე ქვის გრძელი სკამია, რომელზეც საარაყე ქვაბი დგას; სკამის წინაც ერთი საარაყე ქვაბია. სამხრეთისაკენ, კედელთან, საცეცხლურია მოწყობილი — ცეცხლის დასანთები ადგილი უყვერფოდ.

სამხრეთ კედელზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გრძელი ქვის სკამია ამაღლებულ ადგილამდე. შემდეგ დევს ხორცის ამოსაღები რკინის ჩანგალი; იქვე შუკუმია კედელში გამოჭრილი. კედლის ბოლოს ერთი თასი დევს.

აღმოსავლეთის კედელზე სიპის თაროა გაკეთებული, რომელზედაც სამი პატარა სიპის ქვა და ძალიან პატარა ზომის თუნუქის სანავთეა მოთავსებული. გვერდზე მას მეორე თარო აქვს, უფრო პატარა ზომისა, რომელზედაც კოში და ქიტი აწყვია.

ჩრდილოეთის კედელზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ამაღლებულ ადგილზე, კედლის გაყოლებით აწყვია სპილენძის თეფში, ქიტი, სამწდეო, კოდი, კოში და ჩხუტი. ცოტა მოშორებით სამი დიდი ზომის ბრტყელი ქვაა, ალბათ, სკამის მოვალეობის შემსრულებელი, იქვე ხის სუფრაა. კედელში დევს ძველი ოთხკუთხა ფორმის, ფაბრიკული წარმოების ვერცხლის სარძევე. ჭერზე აწყვია: ჩხუტი, საარაყე ქვაბი, თასი, თუნუქის თეფში, ორი დაჭრელებული ხის დროშის ტარი, ხელთქვაბი და სამწდეოს მსგავსი ჭურჭელი.

ჭერი ამჟამად ნაწილობრივ ჩამონგრეულია. კედელსა და სახურავს შუა, კართან, სამხ.-დას. კუთხეში, კედელზე შემოდებულია ორი პატარა ზარი; ერთს წარწერა აქვს: Дарь Валдая.

4. წმ. გიორგის ჯვარი, სოფ. ჯაჯმატი

სოფელ ხახმატსა და ბისოს შუა ხახმატის ჯვარია, იგი ორივე სოფლის საერთო სალოცავს წარმოადგენს. მას უპირავს საკმაოდ ფართო მინდორი წმინდა ხეებით და სალოცავი კოშკებით, ეს კოშკებია:

1. „სამანანულო“ — აქ აღდგომის დღესასწაულს იხდიან.
2. „მწევრის საფლავი“,
3. „თამარის კოშკი“ ანუ „ჯვარის ციხე“ — გადმოცემით აქ ინახება წმ. გიორგის მიერ ქაჯავეთიდან გამოტაცებული ფანდური, ფურის რქა-ჩხუტი, რომელსაც აგრეთვე „მარტორქას“ უწოდებენ და სიდიდით კოდის ნახევარიაო,
4. „ნაციხვარი“,
5. „საზარე“ — აქ ახალწელიწადს დილით ზარს დაჰკვრენ. სამძიმრის კოშკია. ორი ზარია — დიდი და პატარა. ქაჯავეთიდან გრდემლი. დიდი ზარი ქართულია (ტაბ. 49),
6. ორი კოშკი. ხევსურები მათზე არას ამბობენ. მე მგონი დანარჩენი ორი დის—აშექალის და მზექალის კოშკები შეიძლება იყოს,

7. ქალების „სასანათლავე“ — პატარა კოშკი, სადაც შესაწირავი საქონელი იკვლის,

8. წმ. გიორგის, ჯაჯმატის გიორგის კოშკი ზედ შეწირული ჯიხვის რქა, ცენტრში და გვერდებზე სხვა მრავალი რქებია. ნიშის თაროზე, ცენტრში დასვენებულია წმ. გიორგის ხატი, რუსული ხელობის. ათენგენობა დღეს აქ, ამ ნიშზე ეყუდა დროშა,

9. ნიშის მაგვარი ნაგებობა, ნაწილობრივ დარღვეული (ხატის შენობის უკან). (ტაბ. 49),

10. „ხატი“ — ხატის შენობა ერთ სახურავის ქვეშ მოქცეული სამი საკავსოსაგან შედგება[5]: სალუდე, დარბაზი და საკოდე.

ფასადზე ზარი და ირმის რქაა (ტაბ. 50, 51, 52, 53).

5. ჯაჯმატის ჯვარის ინვენტარი

1. თასები ვერცხლისა სხვადასხვა ზომის და ფორმის. ერთ მათგანზე— „თამარის თასი“ — ჩამოკიდებულია ვერცხლის შეწირულებანი: ჯვრები, ქალის საყურეები, ძეწკვები, პატარა მოდელი ვერცხლის ხანჯლისა, ფული, ბეჭდები და სხვ. თასები სხვადასხვა დროისაა. უადრესი XVIII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. არის აგრეთვე ოქროცურვილი თანამედროვე რუსული ხელობის წვრილი ჭურჭელი.

დ ა რ ბ ა ზ შ ი ხის სალუდეებია სხვადასხვა სიდიდისა, მეტწილად მთლიანი ხისგან გამოთლილი, კედლებზე შეწირული რქებით. საკოდის მომიჯნავე კედლისაკენ, ხის დაბალი მოგრძო მაგიდაა ოთხფეხზე, ზედ თასები (ხატობაში), თაროებზე დაეკვრის „სანთლის ფეჯები“, ინთება დასტურების მიერ და ხუცესი „დაამწყალობნებს“.

დარბაზში შენობის ცენტრალურ ადგილზეა სალუდესა და საკოდეს შუა. დარბაზში კედლების გარშემო ქვის ამაღლებული სკამებია. შუაზე კერაა — ოთხკუთხად ამოჭრილი მიწა და ნაპირებზე ქვით შემოზღუდული. აქა-იქ სკამებზე სალუდე ხის დიდი ჭურჭლებია დაწყობილი. აქ ამ დარბაზში, ლუდის კურთხევის შემდეგ, ხდება თასების დამწყალობნება ხუცესის მიერ. „იმ დროს, როდესაც ხუცესი საკოდეში მარტოდ ილოცება, დასტურები დარბაზში გრეხენ ბამბის ძაფს, ალღობენ ცვილს და გრძელ სანთელს ჩამოქნიან, რომლისგანაც იჭრება 9—10 მოკლე სანთელი. როდესაც ხუცესი კოდის დალოცვას მორჩება, საკოდიდან დარბაზში გამოდის. აქ კედელზე ჩამოკიდებული დიდი თუჯის ქვაბიდან იღებს და მაგიდაზე აწყობს ვერცხლის თასებს. პირველად ხუცესმა უნდა აავსოს 1—2 თასი ლუდით, შემდეგ დანარჩენ თასებში დასტური ჩაასხამს ლუდს. ამის შემდეგ სანთლის ფეჯებს დასტური თასებს დააკრავს. ყველაზე პატივცემულ თამარ მეფის თასთან დგება ხუცესი, საკოდედან გამოსავალი კარების გვერდით. დამწყალობნების შემდეგ ხუცესი დამსწრეთ მიუბრუნდება და იმათაც დაამწყალობნებს. მლოცავები ერთხმად უპასუხებენ მადლობას. შემდეგ სვამენ ლუდს ამ თასებით; რამდენ-

[5] 1929 წ. ხატის ფეიმები, ფასადები და ჭრილი იხ. წიგნში В. Бардавелидзе, Опыт социологического изучения хевсурских верований, Тифлис, 1932, გვ. 26 და 28. ანაზომები შესრულებულია ვ. ბარდაველიძისა და გ. ჩიტაიას მიერ.

ჯერმე აივსება და დაიცლება ისინი. სმას რომ მორჩებიან, დიდ ცეცხლს გააჩაღებენ კერაში, საკიდელზე ჩამოკიდებულ ქვაბში საკლავის ხორცს ჩაყრიან და ადუღებენ. ეს ხორცი და ლუდი ხატისაა და ამიტომ ყველა მლოცავებს იმით უმასპინძლდებიან. ხუცობის დროს ყველანი ფეხზე დგანან ტაბლის გარშემო, სმის დროს კი ქვის სკამებზე სხედან".

„თამარის თასი" განსაკუთრებულ პატივშია. შენახვის დროს მას ქსოვილში შეახვევენ. თასზე ასეთი წარწერაა: ქ. წმიდავ: გიორგი: ა. მატის 2 ჯვარის ვ. შემოგვიწირავს მცირე ესე ჩვენ მეფეს პატარ მ. 4. ყველა თასი შენახულია თუჯის ქვაბში და ირმის რქით ჩამოკიდებულია საკოდის მომიჯნავე კედელზე. მისგან პირდაპირ სალუდისაკენ კედელზე კიდია მეორე ირმის რქა;

2. საკოდეში დიდი მთლიანი ხისგან გამოთლილი ლუდის შესანახი ჭურჭელია. არის ერთი მთლიანი თიხის პატარა საღვინე ლიტრა; თაროზე სანთლის ნაჭრები, ჯამი ხისა და სხვა წვრილმანია,

3. საქვაბეში მოთავსებულია უზარმაზარი ლუდის მოსახარში ქვაბები, არყის ქვაბი, კოდი, ზარფუში და გეჯა, ქვაბის ბუდე, ლატფა, 2 კოდი.

ჯაჯმატის ჯვარის (ტაბ. 51, 52) საქვაბე ჩამონგრეულია, წმინდა ხეები გამხმარი დგას. გზის შენებლობის დროს, მოგლეჯილი კლდის ნაჭრები ხეებს დასცემიათ და ქვეშ დაუტანიათ. საზარე კოშკის წვერი მონგრეულია და იქვე კოშკის თავზე აგდია, მეორე — ეგების, სამანანულოს კოშკის თავზე, უზარმაზარი ჯიხვის რქებია დამაგრებული. ჯიხვ-ირმის რქები დიდი რაოდენობით ამკობს საქვაბესა და დარბაზს როგორც გარედან, ისე შიგნიდანაც. მწვერის საფლავი მოთავსებულია ხის ქვეშ; მის თავზე ოდესღაც ვერტიკალურად აღმართული ყოფილა ქვის ფალოსი, რომელიც ამჟამად იქვეა, მაგრამ უკვე წაქცეულა.

ჯაჯმატის ჯვარის საქვაბეში, სალუდე ქვაბის უკან, კედლის წყობაში დატანებულია ბრტყელი ნაგლეჯი ქვა, რომლის ზედაპირზე ამოჭრილია მხედრები, ჯვარი და ორი ასომთავრული ასო. მეორე მსგავსი ქვა დატახებულია დარბაზის კედელში კარის მახლობლად და მასზეც ამოჭრილია ცხოველებისა და სხვადასხვაგვარი სახეები (ტაბ. 52).

სალუდის, დარბაზისა და საკოდის ჭერი ერთნაირია: შუაზე აწვერილი და გვერდებზე დაქანებული, კერასთან დარბაზში ორი ოთხკუთხად გამოჭრილი საკვამით.

„საზარე" — (ტაბ. 49) ყველაზე დიდი ნიშია ხახმატის ხატში. ის ქვიტკირით ნაშენია და თეთრად შელესილი. დანარჩენი ნიშები და თვით ხატის შენობაც ან ყორით ნაგებია ან ლამ-კირით. საზარის გასწვრივ ოთხკუთხედი ნიშია უსახელო, შესაძლებელია დანარჩენი ორი დის — მზექალა და აშექალის სახელობისა იყვნენ. ეს კოშკები შესამჩნევად პატარებია „საზარეზე". ამგვარი ნიშები, მე მგონია, უფრო ძველი უნდა იყოს საზარეს ნაგებობასთან შედარებით.

შემოწმების შედეგად დადასტურდა 1952 წელს ჩემ მიერ გუდელაში, დედიკა გაგას ასული ჭინჭარაული-ალუდაურისაგან, ჩაწერილი ცნობები ალუდაურთ გვარის მამებად დაყოფისა და ამ მამათა სალოცავების შესახებ. დაგვისახელეს და გვიჩვენეს ალუდაურთ გვარის შემდეგ მამათა შემდეგი სა-

ლოცავები: 1. გორის მცავნი — გამღივარაულთ და ბაჩიქოურთ დობილნი, 2. ციხურნი — მშაველა-ფერაულთ დობილნი, 3. ზენაციხე — ალექსაურთ დობილნი.

ამას გარდა, სოფელ ჯაჯმატის მცხოვრებთ საკუთარი ჯვარი აქვთ „გიორგი ბოსლოვნისა“[6] და ამავე დროს გააჩნიათ „ხოდაბურის მამცაურნი“, რომლებიც—ხალხის რწმენა-წარმოდგენებით—ხოდაბურებს იცავენ და ზედამხედველობენ. ამ დობილთაში ყველა ჯაჯმატელი ლოცულობს.

ხალხურ წარმოდგენებში დობილთ სახით პერსონიფიცირებული სამამო სალოცავების საკულტო ადგილებია: ერთნი ციხის ნაშალნი, მეორენი კოშკის ნანგრევი, მესამენი კლდის ნაწილი[7].

ჯაჯმატის ჯვარში ორ დღესასწაულზე—წელწადსა და ათენგენას—ორივე სოფელი ემსახურება ჯვარს თავისი დასტურით. ამ დღეობებში ორი დასტური ბისოდან დგება და ორი ჯაჯმატიდან.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც მე მაინტერესებდა, ჯაჯმატში არსებული ციხესიმაგრის რაობა იყო. ამ ციხესიმაგრეს, რომელიც ვინახულე უკანასკნელად 1962 წ. ჩვენი ექსპედიციის მგზავრობის დროს არაგვის ხევსურეთიდან მთასიქითში, 1963 წ. მე ვერ მივაკვლიე. ჯაჯმატში, ძველად შეგროვებული ცნობებით, იგი მამაკაცის სახელის მატარებელია. საჭირო იყო დამოწმება არსებობს კიდევ ეს ციხე, თუ არა და რა ეწოდება მას?

თევდორეს ცნობით, ეს ციხე დღეს აღარ არის, ორი თვის წინ იგი ააფეთქეს გზის მშენებლებმა. მისი თქმით, ჯაჯმატის ციხესიმაგრეს ზენალაგაზათ ქვიტკირი ეწოდებოდა. ლაგაზანი ერთ-ერთი მამაა ალუდაურთ გვარში. ამ მამის წევრებიდან ჯაჯმატში ამჟამად აღარავინ არ ცხოვრობს,—ყველანი თიანეთის რაიონში გადასახლდნენ და იქ სოფელ ფიჭვთანაში სახლობენ.

მესალმე, მეზღვნე, უყმო-ყმა, სამანანულოს კოშკი ჯაჯმატის ჯვარში

ჯაჯმატის ჯვარში დღეობების დროს „მესალმენი“ მოდიოდნენ იმდენი, რომ ტევა არ იყო. „მესალმე“, „მეზღვნე“ და „უყმო-ყმა“ ერთია ასე ვეძახდით სხვა სოფლიდან — გუდანიდან, ჭორმეშავიდან, რომ მოდიან ჯაჯმატის ჯვარში „ზღვნით“.

სამანანულოსა და მწევრის საფლავზე უშვილო დიაცები მოდიოდნენ და ფაშატი ცხენებიც მოჰყავდათ; მოდიოდნენ ფშავიდანაც, თუშეთიდანაც.

ჩამოთვლილი სალოცავები ყველა ჯაჯმატის ჯვარის დობილებად ითვლებიან. მამ-მამის ოჯახები თავის დობილთ სალოცავში ტოშოლს აშლიან ხოლმე და დეკეული რომ პირველად ბოჩოლას მოიგებს, იმას შესწირავენ. ამ დროს ჯაჯმატის ჯვარის ხუცესს მიიწვევენ დობილთ კოშკთან და მას შეაწირვინებენ. ბოჩოლის თავი ხუცესს რჩება, ტყავი და ხორცი კი საკლავის პატრონს შინ

---

[6] იხ. ქვემოთ, ა. წ. 12 აგვისტოს აღწერილობა, სადაც ამ ჯვარის საკითხია დაზუსტებული.

[7] ეს ძეგლები ფოტოგრაფიულად დააფიქსირა მირიან ხუციშვილმა, ხოლო სიტყვიერი მასალის შეგროვება მათ შესახებ თავის თავზე იდო ასპირანტმა გივი ჩიგოგიძემ.

მიაქვს. მისი განაწილება მამის წევრებზე მიღებული არ არის (1952 წლის 21 ოქტომბერი, გუდელა, მთხრობელი 66 წლის დედიკა გაგას ასული ჭინჭარაული — ალუდაურისა, ჯაკმატიდან გადმოსახლებული).

4—5 წელიწადი იქნება, რაც ჯაკმატელებმა ახალი სალოცავი და დღეობა დააწესეს. ბისო-ჯაკმატს სეტყვა აწუხებდა. მოიწვიეს მკითხავი, რომელმაც თქვა, რომ რუხის წვერზე კოშკი უნდა ააგოთ და დღეობა დააწესოთო. მართლაც, მითითებულ ადგილზე სეტყვის საწინააღმდეგოდ რუხის წვერის სალოცავი გაჩნდა, — ააგეს კოშკი და დააწესეს დღეობა „რუხისწვერობა". რუხისწვერობას დღესასწაულობენ ათენგენის კვირა დილას. ბისოელებსა და ახლომახლო სოფლელებს საკლავი მიჰყავთ, ხავიწიანი ქადები მიაქვთ და რუხისწვერ სალოცად მიდიან ხოლმე (1943 წლის 23 აგვისტო, გუდელა, მთხრობელი 67 წლის დედიკა გაგას ასული ჭინჭარაული).

„საერთო საქონის სამხვეწროს ჯაკმატის ჯვარს უსახელებენ. მთელი ხევსურეთი ეხვეწება ამ შემთხვევაში ხახმატის ჯვარს და მას ახვეწებს თავის საქონს. საქონის ნაწველ-ნადღვების და საქონის გამამრავლებელი არის ჯაკმატის ჯვარიო. ჯაკმატის ჯვარს შეუძლიან კაცს საქონნი სულ დაუკოცნას, გაუმრავლნას კიდეცო".

ცხენის „სარემაოს" და ცხენის „მისამბარეოსაც" ჯაკმატის ჯვარში იხდიან. როცა საქონელი დაეკარგებათ, ჯაკმატის ჯვარს „მ ა ს ა ნ თ ო ო თ" შეუსახლებენ. სამ ხავიწიან ქადას გამოაცხობენ და მას „მ ა ა ნ თ ე ბ ე ნ" ჯაკმატის ჯვარის სახელზე. პატრონი შესახელების დროს იტყვის: „დალოცვილო დიდო ჯაკმატის ჯვარო გიორგივ, გიორგის მოდენო, სამძიმარო ყელღილიანო. შენ შამაგძახთ, შენ გეხვეწებით, — შენ უშველი ჩვენ საქონს, შენ გაადრჩინი გაჭირვებას, შენ მაგვაჯელვი (გვაპოვნინე) დალოცვილო. შენ ააშორმააშორი, დალოცვილო, მტერს, მგელს, დალოცვილო, ნუ რაით დაგვიზიანებ. შენ დაუყენი წყემსი, მააშორ-მაარიდი მტრის ჯელი, მგლის პირი. შენ გეხვეწები, დალოცვილო, შენ შამაგძახ შენ გეხვეწები"-ო (ნ. მაკალათია და მ. ბალიაური. მესაქონლეობის წესები ხევსურეთში. არხოტის თემი, პირიქით ხევსურეთი, რვ. IV, გვ. 148—149).

6. გიორგი ბოსლოვნის ჯვარი, სოფ ჯაკმატი

გიორგი ბოსლოვნის ჯვარი საკუთარი სალოცავია სოფელ ჯაკმატისა. ხუცობაში ეს ჯვარი მოიხსენიება: „გიორგი ბოსლოვნისაო, აბუღას მაბურთვალო". ჯვარი მოთავსებულია სოფლის ბოლოს, მას შუაზე ჰყოფს მთიდან ჩამომდინარე ჯვართ-ჭევი ანუ ჯაჭნიელოური. აქედან კარგად მოჩანს ჯვარის უკან აწვერილი მთები: — ნაბაკური, კვერნაულთის მთა და სხვა. მათ შორის ყველაზე მახლობელი და ამასთანავე ყველაზე შვეული აბუღას მთა არის. აბუღა ორია: გაღმააბუღა და შეღმააბუღა. ეს უკანასკნელი გიორგი ბოსლოვნის ჯვარის სამთოა. იქ მიდიან ჯაკმატელები თავიანთი ჯვარივნითურთ წელიწადში ერთხელ — ათენგენობას. რადგან შეღმააბუღა შეუვალია, მედღეობენი მხოლოდ მის ქვედა ნაწილს აღწევენ. იქ ხოცავენ თან წაყვანილ საკლავებს და უკან ბრუნდებიან. მთხრობელები აღნიშნავენ — „ჩვენგან არავინ იცის არის იქ კოშკი, თუ არა, რადგან შეღმააბუღას ქვედა ნაწილს არავინ ჩვენგანი არ გასცილებია"-ო. ეს სამთო სალოცავი მთა ტყით არის შე-

ფენილი. მლოცავები და მათი ჯვარიონნი დროშითა და საკლავებით მხოლოდ ამ ტყის ბოლომდე, ქვედა ნაპირამდე ადიან (1963 წლის 15 აგვისტო, სოფ. ხახმატი, მთხრობელი 47 წლის მამუკა ალუდაური ბაჩიქოურთ მამიდან და 35 წლის წიქა ღვთისოს ძე ალუდაური შალიკათ მამიდან).

გ ი ო რ გ ი ბ ო ს ლ ო ვ ნ ი ს ჯ ვ ა რ შ ი ბებერი იფნებითა და გამხმარი, მრავალი წაქცეული სხვადასხვა ჯიშის ხეებით შემოზღუდული ჯვარის კარზე დგას ჯვარის სამეურნეო და საკულტო ნაგებობანი: ს ა ქ ვ ა ბ ე, მთავარი ფასადით დასავლეთისაკენ მიქცეული და გზის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოებული კლდეების აფეთქებისაგან ნახევრად დანგრეულ-ჩაქცეული ჯვარის დ ა რ ბ ა ზ ი დ ა ს ა კ ო დ ე.

ს ა ქ ვ ა ბ ე ს აქვს თუნუქის ორფერდა სახურავი. მის დასავლეთის კედელში გაჭრილია განიერი ღიობი კარისა, რომლის თავზე ძელია გადებული. მეორე ღიობი, მასიური ხის კარით, ჩრდილოეთის კედელშია დატანებული. ამ კარით საქვაბე უკავშირდება დარბაზსა და საკოდეს. ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში, აღნიშნულ ორ კარს შორის, ძევს ბრტყელძირიანი სალუდე ქვაბი, სპილენძის ნაჭრებისაგან სპილენძისავე ლურსმნებით შეკერილი, რომელსაც ბაძიგათეული ეწოდება. ერთხელ ამ ჯვარში გაცარცვის მიზნით ქისტები შეპარულან, მაგრამ ვერავითარი განძი გასატაცებლად ვერ მოუხელავთ. გაბრაზებულებს სალუდე ქვაბი გამოუთრევიათ გარეთ, ჯვარის კარზე და დაუმტვრევიათ. შინ მისულებს წვერ-ულვაში დასცვენიათ. შეშინებიათ ამ ქისტებს, რომელთაც ბაძიგანი ჰქვიებიათ, შეუძენიათ ახალი ქისტური (ბრტყელძირა) სალუდე ქვაბი, წამოსულან გიორგი ბოსლოვნის ჯვარში და ეს ქვაბი იქ მიუტანიათ. ამის შემდეგ მას ბაძიგათეული ეწოდება. წიქას განმარტებით, ბრტყელძირა სალუდე ქვაბი ქისტურია, ხოლო წოწოლაძირიანს ხევსურები ქართულ სალუდე ქვაბს უწოდებენ (ის ქვევრის მაგვარია თავისი ძირით).

საქვაბის კედლები კლდის ნაგლეჯი ქვისგან არის მშრალად ნაგები. ჩრდილოეთის კედელთანვე, ოღონდ ამ კედლის შუა ნაწილთან, დგას „ქართული“ სალუდე ქვაბი, მისთვის საგანგებო ნაშენი საცეცხლურის გვერდებზე დაყრდნობილი. საწინააღმდეგო, სამხრეთის კედლის გასწვრივ, ლათბის ადგილი ყოფილა. ამჟამად იქ ლათბა არ დგას, მაგრამ ამ ადგილზე ზემოდან ჩამოკიდებულია სამი ხოტით გავსებული ტომარა შესაფერისი კედებით, ჩხირებით, „ტომარათ ჩამოსაბმელი წნელებით“. ამის გარდა, საქვაბეში მრავალი ჩხუტია, ხელქვაბები, ზარფუში, 2 დიდი სპილენძის ვარცლი, ჭუჭკა, 3 ცალი ჩამა რვლისა (ჩამა ნახევარია ჩხუტისა), ერთი რვლის ჩხუტი. წიქას თქმით, ბაძიგათეულში ჩადის 7 ჩხუტი ლუდი, ხოლო ქართულ სალუდე ქვაბში 20 ჩხუტი უნდა ჩადიოდეს. ბაძიგათეულში დევს სპილენძის კოში ქართული წარწერით: „ბეწიკა ბერაშვილი“ (მთხრობლის განმარტებით, ფშაველი უნდა იყოს, იმას შემოუწირავს). საქვაბის ჩრდილოეთის კედელში დატანებულია საკვამი. კარებთან, რომელიც ჯვარის კარს აკავშირებს ამ შენობასთან, საქვაბის კედლის წყობიდან გარეთ გამოწეულ ქვებზე აწყვია სამი სპილენძის თეფში — ამათგან ორი პატარა თეფში წითელი სპილენძისაა და ერთიც—თეთრი სპილენძისა. ჯვარის კარზე გდია ლათბა მთლიანი ხისა, გულამოღებული, რომელიც ჯერ კიდევ საბოლოოდ დამუშავებული არ არის.

საქვაბეს ჩრდილოეთიდან მიდგმული აქვს დ ა რ ბ ა ზ ი (ტაბ. 54). ისიც

მშრალად ნაგები და ორფერდა სახურავით ყოფილა გადახურული. დარბაზის აღმოსავლეთ კედელში დატანებულია 4 ცალი შუკუმი, რომლებშიც ჩვეულებრივ თასები ინახებოდა. ამავე კედელში სამხ.-აღმ. კუთხის მახლობლად, შედარებით დიდი შუკუმის ქვემოთ, კედლის წყობიდან წინ წამოწეულია მოგრძო ფიქალის თარო, რომელსაც ს ა დ ო ბ ი ლ ო თ მ ა ს ა ნ თ ე ბ ი ეწოდება. დღეობებში ხუცესი აქ დობილთ სახელზე „მაანთებს ხოლმე 15 ცალ სეფეს — ტოშოლზე ბევრად უფრო დიდი ზომის კვერს, ყველის გულიანს. მათი მონთების შემდეგ, ნაწილს ჯვარიონში იტოვებენ და ნაწილი პატრონს მიაქვს. დობილთ მასანთები კვერები — 15 ცალი ტოშოლი და 1 ცალი სეფე, დღეობებში ყველა ყმის ოჯახიდან მიაქთ ჯვარში (ერთ დღეობას ერთნი მიიტანენ, მეორე დღეობას მეორენი და ა. შ.). თითოეული ყმის ოჯახმა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მიიტანოს ისინი ჯვარში იმისათვის, რომ მის ჯალაფთ დობილებმა ზიანი არ მიაყენონ, — ერთხელ მიტანა წელიწადში აუცილებელია. მაგრამ შეიძლება ოჯახმა დობილთ მასანთოები ყოველ დღეობაში წაიღოს ჯვარში — ეს მის სურვილზეა. თუ ეს მასანთოები ჯვარის ყანის მოსავლიდან არის, მაშინ ისინი ან ჭვავისაგან იქნება გამომცხვარი, ან ქერისაგან. ყმის ოჯახიდან მიტანილი ქადა-კვერები კი უპირატესად წმინდისაგან ცხვება. ქადა (სეფე) ჩვეულებრივად დიდი ზომისაა, მასანთოები კი სამუალო და ორივენი მეტწილად ხავიწისგულიანებია. „მასანთოები ჯაკმატის ჯვარის სახელზე მაინთებიან, ქადით კი ყველა ჯვარი ჯსენდების“.

გიორგი ბოსლოვნის ჯვარში ჟამის-წირვა 9 თასზე სრულდება, ჯაკმატის ჯვარშიც 9 თასზე, ხოლო შატილის ღვთისმშობლის ჯვარში,—როგორც ამას გვიდასტურებს აქ შემოსწრებული შატილის ღვთისმშობლის ჯვარის ხუცესი ბეწინა ჭინჭარაული — 18 თასზე.

ბეწინა ჩამოთვლის თუ რომელ ჯვარებს მოიხსენიებს ხოლმე ის თასებზე თავის ჯვარში და როგორი თანამიმდევრობით: 1. მაღალო ღმერთო. 2. დიდო კვირაევ, 3. ჯელმწიფე ღვთისმშობელო (შატილის ჯვარია), 4. თავადო გორის ანგელოზო (შატილშია მაღლა), 5. კილდის გორ ზღუბლის ანგელოზო—(შატილაშია), 6. ლაღო განძის ანგელოზო — (თას-განძის მცველია), 7. თავადო მთავარანგელოზო—შატილშია (ანატორის ჯვარია), 8. გიორგი ბეკენგორს მაბურთალო — (შატილშია), 9. ქვაბ-საკიდელზე მდგომო ანგელოზო, 10. ღვთისმშობლის ლაშქარნო-ლაშქარნი (ყველა ჯვარსა ყავს), 11. მედარბასე ანგელოზნო, 12. ნაჯარელა ზღურბლის ანგელოზო (კისტნის ჯვარია), 13. საღმრთო ღუბისთავ სვეტის ანგელოზო (გუდანის ჯვარია, სანეზე), 14. კოპალა წვერისანგელოზო — (კარატის ჯვარია), 15. სანება ცროლის წვერისაო — (უკან-ჯადუს ჯვარია), 16. გიორგი ნაღვრის პირისაო — (ჯაკმატის ჯვარია), 17. გიორგი მუხის ანგელოზო — (ლაშქრის ჯვარია), 18. ფიწალე დოჭუს თავისაო — (თუშეთშია).

დ ა რ ბ ა ზ ს ამჟამად შესასვლელი უჩანს მარტო საქვაბიდან. აშკარად ეტყობა, რომ მას ოთხივე კედლის გასწვრივ ნაგლეჯი ქვისგან ნაგები სკამები ჰქონია. აქ, ჩრდ.-დას. კუთხესთან, ხუცესის ადგილი იყო, ჯვარიონთა ადგილი, — სხვა ვერავინ მივიდოდა, ვერავინ დადგებოდა. იმ ადგილას დგამდნენ ხის სამწირველოს, — იგი ჩვეულებრივი, გრძელი, ოთხფეხზე შეყენებული ტაბლაა, რომელზეც გააწყობდნენ ქადებს და მასანთოებს, ზედ დად-

გამდნენ ლუდიან თასებს, დაანთებდნენ სანთლებს და ჯევისბერნი ხუცობას იტყოდნენ. ჯაჯმატის ჯვარში ორი სამწირველო ვნახეთ — ერთი საკოდეში ყოფილა — ყვერფი, რომელზეც საკიდელი ეშვებოდა, როგორც ამაზე მიუთითებს ამჟამადაც კეზზე შემოხვეული და დამაგრებული საკიდელი. აქვეა თუნუქის ღუმელი, რომელმაც უკანასკნელ ხანებში ყვერფის ადგილი დაიჭირა.

დარბაზს ჩრდილოეთის მხრიდან აკრავს ს ა კ ო დ ე, რომელთანაც დაკავშირებული იყო კარით. საკოდისაგან ამჟამად გადარჩენილია მხოლოდ მისი კარის ჩარჩო და კედლის მეტად მცირე ნაწილი, დანარჩენი ჩაქცეულია. მთხრობლების განმარტებით, გიორგი ბოსლოვნის ჯვარის აღნიშნული სამი თვალი შენობა ერთ ორფერდა სახურავ ქვეშ იყო მოქცეული.

ჯვარის კარიდან ჩრდ.-დას. ამ ჯვარის კარის მახლობლად, მოჩანს კედლის მშრალი წყობა, — დაფარებული საჯარის ნაშთი. წიქას განმარტებით, საჯარე გადახურული იყო იმიტომ, რომ აქ სოფლის ჯარი ზამთრის დღეობებში იკრიბებოდა, მაგალითად, წელწადს. ასეთივე გადახურული საჯარე ჯაჯმატის ჯვარშიც იყო.

საქვაბიდან ჩრდ.-აღმ. დგას ს ა ზ ა რ ე კ ო შ კ ი მშრალად ნაგები კლდის ნაგლეჯი ქვისგან, კვადრატული ფორმისა, გეგმაში ოთხსვეტიანი, მას ჯერ კიდევ ემჩნევა ოთხიარუსიანი სიპერდიანი გადახურვის კვალი. ზარის ჩამოსაკიდებელი ცა გვირგვინს გვაგონებს. შიგნიდან ზარს ორჯერ რეკავენ დღეობაში ხუცობის დროს, — დილისა და საღამოს ჟამის-წირვაზე. ამ დროს სამწირველოზე გაწყობილია 3 მასანთო და 1 ქადა. ზედ ანთებულია სანთლები. შატილელი ხუცესის ბეწინა ჭინჭარაულის თქმით, შატილში სიტყვა „სამწირველოს“ არ ხმარობენ. იქ დიდი სიპია, რომელსაც „ჟამსაწირი“ ჰქვიან და რომელიც იქ „სამწირველოს“ ფუნქციას ასრულებს.

საზარედან ჩრდ.-აღმ. თ ა ვ ა ხ დ ი ლ ი ნ ა გ ე ბ ო ბ ა ა — მოგრძო სწორკუთხი ფორმისა, რომელსაც ორფერდა გადახურვა უნდა ჰქონოდა, როგორც ამას აშკარად ამჟღავნებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლების ცენტრისაკენ აწვერილი კონსტრუქცია. ეს შენობა ძველი დარბასია, როგორც ეს წიქამ განმიმარტა. მას შემდგომ, რაც ეს დარბასი მიატოვეს და ახალი დარბასი (ზემოთ აღწერილი) ააგეს — ძველი დარბასი კ ვ რ ი ვ ი გახდა. მანამდე კვრივად ითვლებოდა მარტო ამ ძველი დარბაზის უკან გაშენებული გალავნის შიგნით ფართობი და ამ ფართობზე აღმართული ს ა ს ა ნ თ ლ ე კ ო შ კ ი. ახლა კვრივი ეწოდება არა მარტო აღნიშნულ ნაგებობებსა და ფართობს, არამედ ჯვარის დიდ ნაწილს, მოთავსებულს ჩრდილოეთით — ჯვართ-ჯევსა, სამხრეთით — საცალფეხო ბილიკსა, აღმოსავლეთით — ახალ გზასა და დასავლეთით — არაგვს შორის. ჯვარიონნი წელიწადში ერთხელ — ათენგენას, ძველ დარბასთან დროშას „მიაბრძანებენ“ და იქ დააყუდებენ. სხვა დროს იქ ფეხს ვერავინ შეადგამს. ხოლო, რაც შეეხება ყორის გალავნით შემოვლებულ მიდამოს, იქ ვერც ჯევისბერი და ვერც ვერავინ ხევსურთაგან ფეხს ვერ დგამს თავის სიცოცხლის მანძილზე.

ძ ვ ე ლ ი დ ა რ ბ ა ს ი მთავარი ფასადით მიქცეულია დასავლეთისაკენ. აქ კედლის შუა ადგილზე დატანებულია დაბალი ღიობი, ზემოთ შევიწროებული. ამ ფასადის წინ პატარა დავაკებული ფართობია ე. წ. დარბასის კარი,

რომლის ნაპირას ბებერი იფნის ხეა. ყორის გალავანს, რომელიც ძველი დარბასის უკანაა, ოვალური მოყვანილობა აქვს. მის აღმოსავლეთ ნაწილის მახლობლად ნაგები ზემოაღნიშნული სასანთლე კოშკია, რომელიც თავისი საერთო იერით ხახაბოს ე. წ. ვაკისჯვარნის კოშკს მაგონებს — ისევე ვიწრო, ზემოთ აზიდული ნაგებობაა, მთავარი ფასადით დასავლეთისაკენ; ხახაბოს ჯვარის კოშკისაგან ეს კოშკი განსხვავდება ნაკლები სიმაღლით, საერთოდ ნაკლები სიდიდით და იმით, რომ იგი კვრივად ნაგებია, ე. ი. სვეტივით გულამოვსებული ნაგებობაა.

თავთავისი სამთო ყველა ჯვარსა აქვს. ჩვეულებრივ სამთო სალოცავში გაშენებულია საზარე კოშკი. წელიწადში ერთხელ ჯვარიონნი დროშას იქ „მიაბძანებენ", მთავარ საკლავსაც იქ მირეკავენ, იხუცებენ იქვე დაკლავენ და ხუცობის დროს ზარს რეკავენ. ეს ხდება, როგორც წესი, ათენგენას დღეობაში.

ჯაჯმატის ჯვარს ორი სამთო აქვს — აბუღისწვერი და დათვისჯვარი, ხოლო ბისოს სამთოა ე. წ. რუხისწვერი. (ჯაჯმატელები ვაჟიშვილებს დათვისჯვარში მიაბარებენ ხოლმე; პირველად „მისამბარეო" იქ უნდა გადაიხადონ და მერე უკვე სოფლის ჯვარში).

მასალები ხახმატის ჯვარის სხვადასხვა საკულტო ძეგლებისა და მათი კულტის შესახებ

ლაგაზათ ციხე „ქვითკირი"

ერთი ციხე იქით იდგა გზის ძირში, დაშალეს; ამ ციხეს „ქვითკირა" ერქვა. ლაგაზათი (ქათნიათი) იყო ეს ციხე. მათ 8 ჯორ ხყვანივა და შორით უზიდავ ქვა ციხისათვის. მერე მათ სხვა ციხე აუგიათ, ერთი თვალი დაკლებიათ, ლეკებმა მოუსწრეს და დახოცეს ქათნიანი.

თათრებს, ლეკებს, მაჟეველებს, ზურაბს ულაშქრია და იმისთვის აუგიათ ციხეები, სოფელი შევიდოდა ციხეში და იქ დაიმალებოდა. ლაგაზათ ზემო ციხის ამშენებელი იყო ქათნია, ხალხისათვის და თავისთვის ზრუნავდა, წყალი გაუყვანია, მორები წამოუღია. ქან-ქან წამოუღია ქვა. ციხე ქვითკირით იყო ნაგები. ქვითკირით აგების ოსტატები თავად ჯევსურნი იყვნენ.

ალექსაურთ და ფერაულთ ციხე — ორივე გუროელი ქალუნდაურის აგებულია. მოუყვანიათ ის აქ ხუროდ, ფული მიუციათ, ის მეომარიც იყო, ჯძალი ხქონდა მეხისპირიანი. ის გუროელი იყო, კარგ ყმა იყო. საკარგყმო მაგისა ბეკენგორს რომ სამანი იდვა ისაა, ის სამანი ჩაუდგამს (გუდანისაკენ რომ არის, აყნელში): ზურაბს ბეგარი უთხოვნია, ქალუნდაურს უთქვამს — არ არის მამულის სწორების დროო, გადმოსულა სანეს ჭორმეშავთან, იქ ზურაბის ჯარი იყო მოსული ბეგარისათვის, მაგრამ ქალუნდაურს უარი უთქვამს. მაშინ ჯარს ბევრი ხალხი დაუხოცია, სამანი ჩაუგდია. ახლა წიქარაული იყო ხევსური, თუშეთს გადასულან, რადგან სახლის საცეცხლურში იფნი ამოსულა. წიქარაულს მოუჭრია, მეორედ ამოსულა, კიდე მოუჭრავ, მესამედ ისევ ამოსულა და წითელი გველი ამოხყოლია. გაიგო რომ ეს ჯვარნია და წასულა

თუშეთს. მისი სახლი კი ჯვარს დაუკავებია. ახლა თუშეთში გვარი აქვს გამოცვლილი. წიქარაული რომ აქ იყო, მაშინ აქ ალუდაურებიც ყოფილან და ქეთელაურებიც. ალუდაურების რამე იქნებოდა, მათი სოფლელია.

ჩვენი გ ვ ა რ ი უშიშაური ყოფილა, მერე ალექსაურებზე ჩაუწერიათ, მერე კი ალუდაურები გავხდით. მშაველა ფერაულნი რომ იყვნენ, იმათგან ცალკე ყოფილან უშიშაურნი — ჩვენ ცალკე ვიყავით იმათგან გიორგი — გილაური იყო ადრე, ახლა გამღივარაულნი გახდნენ. ეხლა ალუდაურნი ვართ ყველა, სხვადასხვა მამის ხალხი. ალუდაურებიდან მარტო ჩვენა (ალექსაურნი) და მშაველა-ფერაულნი ვართ ხახაბოდან.

ბაჩიკაურნი და გამღივარაულნი სხვანი არიან, ერთი მამისა არ იყვნენ; ახლობლები იყვნენ კი. ნამღივარაულნი გილაურნი იყვნენ, ბაჩიკაურნი კი თუში მწყემსიდან მოდიან. პირველად ჩვენა და გამღივარაულნი ვყოფილვართ, სხვა არავინ ყოფილა.

გიორგი ბექთაურისა არ გამიგონია.

კოშკი იყო ს ა მ ა ნ ა ნ უ ლ ო. ზარი იყო შიგა, ეხლა შიგნით არის ჩაქცეული, ზარი გამოიტანეს, სამანანულო კი ხელახლად ააგეს, მერე კი გზის მშენებლობას მოყვა, ქვევით რომ ბორტვია, ქვიშა, იმაშია დაფარული.

ს ა ჯ ა რ ე გამაჯეით იყო წყალთან (ნაღვარმშენიერთან) ჩაქცეულა ახლა. დედაკაცებიც მიდიან იქ და კაცებიც ათენგენობას მთაზე, დათვის ჯვარზე მიაბარებდნენ პირველად ვაჟიშვილს. ანდრეზით რაც ღვთიშვილებია ყველათგან იქ (მთაზე. დათვის ჯვარზე) ქვაა წამოღებული და იქ დადებული. მეორე წელში რომ შევა ბიჭი, წამოიყვანენ, წელგამოშვებით კი მიიყვანენ ცხვარს, მიიტანენ ლუდს, არაყს, წყალობას ეტყვიან. მისაბარეო მარტო იქ უნდა, დათვისჯვარში, სოფლის ჯვარში არა, გოგოს კი აქ აბარებდნენ, ს ა მ ძ ი მ ა რ ს. საქვაბესთან რომ წყლის პირში დგას, იმაში მიდიან სანათლავად, ხელებზე სისხლს იწევენ, დაკლავენ საკლავს, სისხლს ხელებზე დაიცხებენ, როგორც მირონს.

მ წ ე ვ რ ი ს ს ა ფ ლ ა ვ ზ ე მიდიან ცხენის თაობაზე. ეს საფლავი ქვისგან არის. იქ ფაშატსაც და სხვა ცხენსაც აბარებდნენ, თიკანს კლავდნენ, ვაცს უხოცდნენ — კვიცი ეყოლოსო, ანგელოზი დაჰპატრონდესო. მწევრის საფლავზე უშვილო ქალებიც დადიოდნენ საკლავით.

დიდ სამანანულოს ხევსურები ეძახდნენ მწევრის საფლავის ზევით რომ კოშკი იყო, იმას. იქ კლავდნენ საკლავს აღვსებას. მარტო თუშ-ფშავლები მოდიოდნენ მოიყვანდნენ კურეტებს, საკლავებს დახოცავდნენ — სამანანულობა მხოლოდ აღვსებას იციან. მწევრის საფლავზე კი ათენგენობას იციან მოსვლა.

ყამისწირვის დროს იციან 9 თასი. არ ვიცი რა სახელისაა. სულ თასი 9 ან 12 ვიცით, პირველად მაღალ ღმერთ, მეორედ — კვირაე, მესამედ — გიორგი ნაღვარმშვენიერი, მეოთხედ — დარბასის ყარაული, მეხუთედ — ჯვარის მოდე-მომხრენი.

ქეთელაურებს (ბისოელებს) არ ყავდათ ცალკე ჯვარი, საერთო იყო. ჩვენ გვყავდა გიორგი ბოსლოვნისა, მაგათ არა. ანდრეზი არის ისეთი, რომ სამი ძმა ყოფილა ასკაისძენი. უფროსი გიორგი (ნაღვარმშვენიერი) აქ დამდგარა, ერთი კიდევ ჭორმეშავს წასულა, გიორგის მოძმედ. ილოცავენ მას ფიცრულში, მესამეც — ბოსლოვნისაა, იქ ბოსლები ყოფილა, აუარება

ბოსლები და იქ დამდგარა. აუყრია ბოსლები. ბევრი ყოფილა ჩვენში კაცხატი. გუდანის ჯვარი კაცი ყოფილა ჯერ (ბერ-ბაადური), ნაღვარმშვენიერიც ჯერ კაცი ყოფილა და მერე გამხდარა ღვთიშვილი. როცა ქაჯეთი დალაშქრა, მაშინ კაცი ყოფილა. ქაჯებს არ სწამთ არც ღმერთი, არც კაცი. წესი ჰქონიათ რომ თითო შვილი უვლევავ ზღვის პირს, ვეშაპისად უძლევავ. ერთი ქალი ჰყოლიათ — სამძიმარი, ჩაუცვამ აბრეშუმი და მოვიდა ვეშაპი, წაუყვანია ზღვის პირს და იქ დაუსვამს. ამ დროს არსკაიძე გიორგი მისულა და სამძიმარს უთქვამ მისთვის — შემჭამს ვეშაპიო. მაშინ ჩვენ გიორგის დაურტყამს ვეშაპისათვის შუბი და წამოუყვანია სამძიმარი. მოიყვანა თავის ჯვარში, მოუნათლია სამძიმარი თავის რჯულზე. დასდვა საფარველი და ვეღარ ნახა სამძიმარი ხალხმა. მთავარი ეს სამძიმარ იყო შვიდ შვილში. მისი კოშკი ჯევის პირში დგას (სადროშე კოშკის ქვემოთ), შუკუმი აქვს. ჯვარში არ წავა. იქ ვერ შევა შიგ. ჯ ვ ა რ ი ო ნ ნ ი ჯ ე ლ ო ს ნ ე ბ ი დ ა ნ დ გ ე ბ ო დ ნ ე ნ. ორი წლით დადგების მედროშაე, მერე სხვა დადგების მაგ ჯელოსნებიდან, სრუ ორწლიანია. ხოდაბურებს მახჯვნენ, ლუდს ადუღებენ. მედროშაე და დასტური ერთია. ძველადაც ერთი იყო. იმათ ხბარავ დროშაჲ, რომენიც მეწელწდეია. ორის მეტ არ იყო. ორ წელს დროშას ისენი ამგზავრებენ.

წვრილდღეობას, მარიემობას, აღვსებას, ამაღლებას ვეძახით. წვრილ-დასტურებ ამ დღეობებში არიან.

ს ა ი ფ ქ ლ ე ე ბ ს მაღლავ ეძახდეს. საიფქლეს სოფელ ხპატრონობდ. გაყოფილ ხქონდ თავთავის მამული. ჯვარის არ იყო (წმინდა არ მოდის, მარტო სვილას და ქერს თესენ. მადის ტრუპკა და შვრია).

ლუდი ქერისაგან და სვილისაგან მზადდება, სხვად არა. თხელ იქნების უსვილო. ხოდაბურებს დასტურ ხნევდ. მედროშეებ მოხჯნევდ ერთ წელს, მეორე წელს დასტურები.

მ ე დ რ ო შ ე ე ბ ი ხატ დაუყენებდ, ქადაგის პირით იძახებს: ჩამიბარებავ ბორაყებო. ზღურბლის დალახვა იცოდნენ. საკოდეში შავიდოდნენ. ჯელოსნებ ვეღარ მივლ თუ ზღუბლ არ დაულახავ. ერთხან უნდა. მემრ წელში თითო საკლავს დახკლავს, გაინათლება. დღეობისთაოდ მისვლა უნდა.

მ ე წ ვ რ ი ლ დ ღ ე ი ბ ე ორწლიანი იყო; სადასტურო მიერგება საზამთრო, საზაფხულო, ფორიც, შეშაიც უნდა დაემზადათ. ეს წელწადს. აღებას, ათენგენას ორ დასტურ ხყავდა, ორწლიანი.

სუყველა ორწლიანი იყვნენ მ ე დ ი დ ჯ ვ ა რ ე ნ ი ც და მეწვრილდღეობენიც. ქვაბი ხან სამ ადუღანან. ერთ ზიარი, ორი საკუთარი (ბისო და ჯაჯმატი). სალუდე ქვაბში ჩადის, 17—18 ჩხუტი. ჩხუტში ორი ჩამა ჩავა. კ ო შ ი ს წ ი ლ ი არ იცოდეს, ჯარს ჩხუტში ჩაუსხამდეს, სათემოს ეძახდეს. ჩხუტ-ჩამას მისცემდეს. ჯარს (ლუდი) თავისთავად მოხქონდა, ჯაჯმატელს თავისთავად, ბისოელს თავისად. ეს ჩხუტ-ჩამა უნდა მიეტანათ საჯარეშიც ან ველზედაც, ქვეითაც. ორჯერ იციან წელწად და ათენგენას არაყი. საწვრილდღეობოში ძვირად იციან.

დ ა რ ბ ა ს ი ს კ ა რ ი რო გაიღებოდა, დროშას არ გამოიტანდნენ, მარტო ალდგომას და ათენგენას, გიორგობას გამოდიან ქვეით ხატში. წელწაღს (დროშები) არ გამოდიან.

ღამისთევა ათენგენას იციან. აღვსებითვე დაიწყებოდა, ქვაბები რო დაეყრების აქ, მემრ დაიწყებდეს ღამისთევებას. იორზეით, თეთრ წყლებზეით მადიოდეს, აქ ლუდი მახქონდ. თუშეთშიც უდენავ ძველად. თუ მესამე უქმ რო მოვა, ათენგენა იქნების, მაშინ, ამაღლებიდგან მეექვსე კვირეს, დროშას ორსავ წაიყვანდნეს იქ. იქ თუშებ ზღვნობს. ჩვენებურნი და ლიქოკურნ დადიოდეს, ერთად დიოდეს პირობას მისცემდეს და ისე. კარატის ჯვარ, შუბნური, ორნივ დროშანი წავიდოდის, აქედანაც — ორნი. მანამდე ხატში არ მივიდოდეს, დიფჩა ვერ მოღგლეჯენ. აი ეგ დიყი, იმის ღეროებს ჭამენ, აი ის არ უგლეჯავ მანამდე, უხიბლავ ის შუბნურს.

გიორგი ნაღვარმშვენიერს ორი ხ ო დ ა ბ უ რ ი არ ჰქონია, ორი ბისოს (საწელწდო და საათენგენო); თითო ორი დღისა იყო. დანარჩენი საწვრილ-დღეობო იყო. აქ იყო ქრისტე, წელწადი, აღება, აღვსება, ამაღლება, თუშთ ჯვარმიეი, ათენგენაი, სამთიბლო, სამამკლო, სამარიანობო (ენკენია არ ვიცით) გიორგობა. ენკენია გუდანს იციან და პირიქით (ნოეს კიდობანს რომ ხალხი გამოსულა ენკენიის 22-ში, იმისი მოსაგონარია, იმას ლოცულობენ).

ს ა დ ა ს ტ უ რ ო შ ი არ შეიძლება ვაჟის შეყვანა, სანამ ჩხუტის ამტან არ იქნების (ჩხუტის ამწევი), თავად მამრეე უნდა იყოს. ხმალს ვაჟი 16—17 წელში შემოირტყამდა, 20 წლის კი ვაჟკაცია უკვე.

ზღუბლის დალახვის შემდეგ მაშინვე ჯელოსნად ითვლებოდა. ეხლა მანამ არ დაამიზეზებს, არავინ არ მივა. ჯერ უნდა დაამიზეზოს, მერე ზღუბლის სალახავს მოიყვანს საკლავს და მერე სანათლავს ყოველ წელს. მაშინვე ჯელოსანი ხდება, როცა ზღუბლს დალახავს. ხუცესი ზღუბლდალახულია, ჯვარი ამიზეზებს. ხუცესს უნდა სულ განათვლა წელწად-ათენგენაში. წმიდობს ჯვარში. დღეობამდე ჩვენ ეს არ ვიცით. იციან არხოტს, ერთი კვირა სცოდნიათ წმიდობა ხუცესისა არხოტიონთ. ფშაველთ ერთი წელი სცოდნიათ. საბერო და საწოლა აქ არ იციან.

ს ა ე ლ ი ა ო კ ო შ კ ი ა ს. ჯაჯმატის პირდაპირ გორაზე — ელია წმინდა საერთოა ბისო-ხახმატისათვის. ერთ წელს ბისოელები წავლენ, მეორე წელს ჯაჯმატელები. საელიაო სამთიბლოში იციან. ლიქოკელთაც იციან. კარატის წვერზე ჯაჯმატელებიც დადიან, ფშავლებიც, პირიქითლებიც.

დ) გორშელმის ხეობა

1. კვირაეს ჯვარი, სოფ. ატაბე

კ ვ ი რ ა ე ს ჯ ვ ა რ ი მდებარეობს სოფელ ატაბის თავზე. გარშემორტყმულია იფნის, წიფლისა და ლეკის ხეებით. დგას ორი შენობა — ყორით ნაგები ბანიანი ფართო ნაგებობა და მის გვერდით აგრეთვე ყორით ნაგები „დროშათ საბძანი კოშკი“. კოშკი უსწორმასწორო ოთხკუთხა ყრუ ნაგებობაა, ჩრდ. -დას, აქვს პატარა თარო, თავზე წოწოლა ქვა — ე. წ. „კოშკის წვერი“, ამ კოშკის აღმოსავლეთით მდებარე ადგილს, სადაც წიფლის და ლეკის ხეები იზრდება, ხუცესი (47 წლის ყუდია გიგიას ძე გოგოჭური ჩიტოთ მამიდან) „კვრიეს“ უწოდებს — დროშათ საბძან კოშკს იქით, კვრიეში მე ფეხს

ვერ შევდგამო. კოშკის თავზე წვერთან დამაგრებულია ირმისა თუ ყოჩის რქები. ყუდიას მამა გიგია ამანათად იყო ბაცალიგოში მოსული. სამი მამა ერთი წინაპრის შთამომავლობაა, ჩიტონი კი სხვანი არიან. მათი წინაპარი ბარიდან არის მოსული. პირველად ის ჯუთაში ცხოვრობდა, ჯუთაში გადასული არაბულების ორ წინაპართან ერთად. შემდეგში ჩიტოთ წინაპარი ჯუთიდან ხევსურეთში გადასულა, ატაბის კვირაეს ჯვარს ყმად გახდომია და იქვე დასახლებულა. სამი დანარჩენი მამები, აღზევებულები არიან და მუდამ ჩაგრავდნენ ჩიტოთ, ამის გამო გიგოს ატაბეში კაცი შემოკვდომია და აქ გადმოხიზნულა ამანათად. მისი თქმით ამანათობა უბედურებაა, აქაურებს თვალსა და ხელში შევყურებ, კიდევ უფრო დაბეჩავებული ვარ, ვიდრე აქამდე ვიყავიო. ჩიტოთ ხუცობა არ მოუდიოდათ ატაბეში. ეს თვით ყუდიამაც დადასტურა. მაგრამ ბოლო ხანს—მისი თქმით—მას შემდეგ რაც ატაბეში ხალხი შეთხელდა ბარში გადასახლების გამო, მას პირველს ჩიტოთ მამიდან ხუცობა მოუწია. „სიზმარში ვხედავდი ჯვარს, მიბრძანა ხუცესი უნდა გახდე, უნდა მემსახუროო, ავად გამხადა და მეც ხუცესად მივედი, რადგან სხვა გზა არ მქონდაო“. (საინტერესო ფაქტია! ყუდიას, ნებსით თუ უნებლიეთ, თავისი პოზიცია სოფელში გაუმაგრებია, უეჭველია, ხუცესად გახდომის წყალობით, შეიძლება ბარში გადავსახლდე, მაგრამ კვირაეს ჯვარი უნდა შევაკეთებინო, ამისათვის მუშა უნდა შავყაროო — ბარიდან ამოვალ ხოლმე ჩემს სალოცავში, მის სამსახურადო).

ბანიანი შენობა მოიცავს დ ა რ ბ ა ზ ს, ს ა ქ ვ ა ბ ე ს და ს ა კ ო დ ე ს, ე. ი. ერთ ჭერქვეშ მოთავსებულია ეს სამი თვალი, რომელთაგან საკოდეს ჭერი ჩამოქცეულია და თვით ეს თვალიც თითქმის მთლიანად დაშლილია. შენობის აღმოსავლეთ ნაწილს ეწოდება „დარბაზი“, სამხრეთ ნაწილს „საკოდე“ და სამხ.-დას. „საქვაბე“. საქვაბესა და დარბაზის წინ, იმავე შენობაში, კარის გასწვრივ ფართობს ყუდიამ „დერიფანი“ უწოდა. დარბაზის აღმოსავლეთ კედელში, შუა ადგილას, დამაგრებულია წყვილი, ერთმანეთისაგან რამდენადმე დაშორებული, ჭოლოკი, რომლებზედაც გაწყობილია ორი ვიწრო ფიცარი. ყუდიამ ამ თაროს „თასთ საბძანი“ უწოდა. ჩრდ.-დას. კედელში ორი კვადრატული ფორმის სარკმელია გამოჭრილი, რომელშიც დატანებულია ხის ფართო ჩარჩოები ზედ დამაგრებული ხისავე დარაბებით — უკანასკნელი ყრუდ აკრავს სარკმლებს. ამ კედლის გასწვრივ ჭიისაგან დახრულ ძელზე და მიწაზე ყრია სპილენძისა და ხის ჭურჭელი—ქვაბები, რვლის ჩხუტი, თულუხი, თასები, „კრუშკები“ და სხვა. ამათ შორის ყურადღებას იპყრობს ხის ლამაზი ჭურჭელი — ოვალური ფორმისა (სიმაღლეზე), გარედან ვერტიკალური ღარებით შემკული და დაბალი მრავალი ფეხით. ამას გარდა, ყურადღება მიიქცია ჭერსა და კეზს შუა მოთავსებულმა პატარა ხის „მაქალოზმა“, რომელშიც დროშის ძველი, ნაფლეთებად ქცეული, სამკადროები ეწყო. მაქალოზი ხის მოგრძო კოლოფია ზემოდან მოძრაკი სახურავით. ყუდიამ სამკადროებს დროშათ „ჯელსახოცები“ უწოდა. ამ შენობის კარი ხისაა და მოთავსებულია დასავლეთის კედელში. მას აქვს „ზღუბლი“ ხისავე და „კარასტეთ თავი“ — კარის უკანა ჩარჩოს თავზე კაუჭია, რომელზეც კარია ჩამოკიდებული. „დარბაზის კარზე“ დღეს ჭიით გამოხრული ძელი დევს შენობის კედლის გასწვრივ (დარბაზის კარი შენობის მთავარი ფასადის წინაა, ჩრდ. დასავლე-

თის მხარეს) — ჯვარიონთ საჯდომი „სკამი“. ამავე კედლის მარცხენა მხარეს, ე. ი. ჩრდ.-აღმ. კუთხესთან 5 ზარია, მათგან ორი მცირე ზომისა; სამი ზარაკი ძირს მიწაზე გდია, ორი — კედელში გამაგრებულ ძელზე ჩამოკიდებული. უკანასკნელებიდან ერთ დიდ ზარს აქვს შემდეგი წარწერა: 1. „ქ. შემოგწირეთ ესე ზარი ჩვენ ოთხი მამის კაცთ წელაურთ ბეიდოურთა ქუცნურთა წითელაურთ ჩ ვნო ბატონო ჭეშეს წმინდო გიორგი“: 2. :. 14:. 1/2 „ჩვენი და ჩვენისა ბოლოს სამწყლობლოთა მოგვე შენი წყლობა ჩყლგ (1833) წელსა“. ერთ-ერთი ზარაკი სლავური წარწერიანია. აქვე იმ ბოძზე რომელზეც ქართულწარწერიანი ზარი ჰკიდია, გამაგრებულია ვერძის რქა. აქვე, კედლის კუთხესთან კედლისავე წყობაში დატანებული ბრტყელი სიპი წინ სივრცეშია წამოწეული; — მისი ფუნქცია და სახელწოდებაა „თასთ საბძანი“.

კვირაეს ჯვარის საზღვრებია: სამხ.-დას. „ვეძათ ჯევი“, სოფლის თავზე მას საზღვრავს „ჯვრის ტყე“, აღმოსავლეთით „ჯევი“, ხოლო სამხრეთით „გორომის ყანა“.

როგორც ზემოთ აღვნიშნე — და ეს ყუდიამაც დამიდასტურა თავისი მონათხრობით — ჩიტოთ მამის კაცს უკანასკნელ წლებამდე (ყუდიას ხუცობამდე) კვირაეს ჯვარში ხუცობა არ მოუდიოდა. უწინ კვირაეს ჯვარში 20 ჭელოსანი იყო. კვირაე თავის ყმებს დაამიზეზებდა, ავად გახდიდა — ჩემი ჭელოსანი უნდა გახდეთო (სიზმარში შთაგონებდა ან მკითხავის პირით აცნობებდა). ჭელოსნად გახდომის წინ არჩეულ ყმას ერთი წელგამოვლილი ბატკანი უნდა დაეკლა „ჭელ-მჯრის სანათლავი“ და ერთიც ჭედილა ჯვარში „მისაბარები“; „ზღურბლის სამლახაო“ აქ არ იცოდნენ.

მედროშაე და მაგანძური ჭელოსნებიდან დგებოდნენ. მაგანძური ერთწლიანი იყო და რიგით დგებოდა. ორი დროშა იყო და ერთი მედროშაე. მეორე დროშას ხუცესი ააბძანებდა. „მეზარეს“ კვირაე თითონ მოითხოვს. მეზარე დიდხანს ვერ ცოცხლობს. ჩემს ხსოვნაშიო — აღნიშნავს ყუდია — მიყოლებით ოთხი მეზარე მოკვდაო.

ატაბეში ოთხი ყანა საღმრთო გუდანის ჯვარისაა. თითო ყანა ნახევარი დღიური იქნება. როცა აქაური კაცი გუდანში საღმრთოს ჯვარის დასტურად დგებოდა, იმ წელს ის მოხნავდა ამ ყანებს და ფქვილის სახით გუდანის ჯვარში მიჰქონდა, სადაც სხვათა მიერ მოტანილ ჯვარის სახელობის ფქვილებთან ერთად მისგან ლუდს ხარშავდნენ. იგულისხმება, რომ დანარჩენ წლებში გუდანის ჯვარის ყანები ყამირად რჩებოდა, რადგან ყუდიამ წყრომით აღნიშნა, რომ ბოლო ხანებში ატაბიონნი ძველ წესს გადავიდნენ და ზოგიერთი მათგანი (ყამირად დატოვების მაგიერ) გუდანის ჯვარის ყანებს თავისთვის ამუშავებს იმ წლებში, როცა ატაბედან გუდანის ჯვარში დასტური არავინაა. ამ ჯვარში დასტურებს თითონ გუდანის ჯვარი მაითხოვსო — ამბობს ყუდია.

ატაბეში კვირაეს ჯვარი სოფლის სალოცავია, თუმცა ჩვენ ვიცით, რომ კვირაეს დიდი ძალა აქვს, ის მორიგე ღმერთის შემდეგ ხსენდებაო — აღნიშნავს ხუცესი.

სოფლის მეორე ჯვარი ა დ გ ი ლ ი ს დ ე დ ა არის. ხუცობაში ამ ადგილისდედაზე ასე ითქმება: „ადგილისდედაო ციხის, მეწვერე ანგელოზო“. იგი მოთავსებულია სოფლის ბოლოს. იქვეა — „დობილთ კოშკი“.

„კვირაე ხვთიშვილებს სარდლობს“, ის წინ მიდის ღმერთთან. კვირაეს ლოცულობენ როგორც ხთის ძალას.

კვირაეს ხატი. საყურადღებო შენობაა, ბანიანი წ ი ნ ნ ა ხ ე ვ ა რ ზ ე ბ ო ძ ე ბ ი ა ნ ი. დარბაზი და საკოდე ერთადაა ერთ ოთახში, საქვაბე გადაკედლილი. ესენი ერთ ჭერ ქვეშ არიან. ხატის მახლობლად ნიშია ოთხკუთხი ფორმის ყორისაგან, იქვე გვერდით მოჭრილი ხეა და ზედ კიდია ზარა წარწერით:

1 სტრ. ✠ ქ. შემოგწირეთ ესე ზარი ჩვნო ოთხი მამის კაცთ წელაურთ

ბეიდოურთა ქუელნურთა და წითელაურთ ჩვნო ბატონო ჭებეს წმინდო გიორგი.

2 სტრ. 2.: 14:. 1/2 ჩვენი და ჩვენისაბოლოს სამწყლობლოთა მოგვე შენი წყალობა ჩყლგ წელსა (1833 წ.)

ნიშზე შეწირული რქებია და თეთრი ქვა.

კვირაე მაღალ ძნელად ასავალ მთაზეა ხშირი ტყით დაფარული, იფნზე შეწირული რქებია და ზარები. გვერდით ხატს წყარო ჩამოუდის. ხატის კედლებში გარედან მრავალი ზარია ჩამოკიდებული, ხევსურების თქმით კვირაე ჯვარს არ იკარებს.

ამ ხატის ყმებია სოფელ ატაბეს მცხოვრებნი. გოგოჭურები. სულ 12 კომლიდან კვირიას დასტურებია 6 კაცი, თითო დასტური ორი კომლიდან. ხატში ორი დროშაა შუბებით, — ერთი მათგანი ტარზე დაკაწრული ორნამენტით. ამას გარდა მეტად საყურადღებოა კათხა და ხუცესის ყავარჯენი. ზემოთ აღნიშნულ ნიშს „კვირიას ძალის კოშკს“ უწოდებენ. მას ზემოდან მოგრძო ქვა ადევს.

2. პირქუშის ჯვარი, სოფ. ბაცალიგო

(ტაბ. 55, 56, 57, 58, 59, 60)

„პირქუში“ იმით ხქვიან რო ისი შახედულად ცუდის სახისაი ას. წინავ ის ძალიან კაის სახისა ყოფილად, ოცდა სამ ქალ ყოფილ ვისაც ის ხყვარებივ. უთქომად შაუთხოვავ ხთისად, რო ძალიან ბევრს უყვაროროაოდ, ღმერთო ისეთ რა მიქენიე, რო ამ ქალებს აღარ უყვარდავ, მერიგემ ღმერთმ შასთხოვა გაუგონად გააჩინ ყვაილი. ყვაილმ ისრ მაუთოკნ პირსახეიდ გააჯუღურ, რო აღარავინ ახლოს არ ეკარებოდ. სხვამ ყველამ თავ დაანებად სამმ ქალმ არ დაანებ თავი. ერთ ქალი ელენე ყოფილ, რომენსაც პირქუში უყვარდად იმას მაინც თავ არ დაუნებებავ. პირქუშმ თქვისავ: რახან ელენა ყვარელშიით ჩემკე წამაკიდისავ, იმის სამკაულის ჟიჟინივ სამჭედლოში მამდიოდისავ. პირქუში წინწინ კაც ყოფილ მჭედელი. ის ყოფილ „მგელაის შვილი დავითი“. ნაწილიან ყოფილას. რახან დაიძინისავ, მჯართ შუაშიით შუქ ამავარდისაოდ გაანათისავ იქაობაივ. სხოდაც მანათის ოდნავ ხქონდისავ მჯართ შუაშიავ თეთრ კვერივ. ლამაზიც იმით ყოფილ რო, ნაწილიან ევსეთაი ას ყველაზე ძალიან ლამაზი, ისით ჯ ო რ ც ნ ი ხ ქ ო ნ რ ო მ ზ ე ს ა ვ ი თ შ უ ქ ს უ შ ო ბ ე ნ. პირქუშს უთქომ რო ახმეტას წავედივ ვენაჯის მოსავლელადაოდ რო მაევდივ, გრდემზე ეწერავ რო მგალაიშვილ დავითივ ამადაამ დღეს უნდა მაკვ-

დასავ. ვიწვალევ, უთქომ პირქუშს, რამთვენჯერამავ გრდემივ ცეცხლში ჩავაგდიოდ, მაინც არ წაიშალავ, მე მინდოდავ რო ის დაწერილ წაშლილიყვავოდ არ მაემკვდარიყავივ, მაგრამ მაინც არ იქნავ, როსაც დალიშნულ იყავავ დროივ. სწორედ იმ დროს აპამივიდავ სულივ. ესრ მჭეღელ ყოფილ პირქუში ღა ისეთ წმიდა კაც ყოფილ რო, რო მ ო მ კ ვ დ ა რ ხ თ ი ს ნ ა ს ა ხ ა დ გ ა დ ა ქ ც ე უ ლ. მემრ რო სულწმიდად გადაქცეულ აჯადს (ფშავში ერთ-ერთ სოფელში მასულასად იქ დაარსებულ. მაშინ ბაცალიგველნიც იქ მდგარანად' ძმობა ხქონავ აჯადელთან).

პ ი რ ქ უ შ ი ს გ ა ნ ყ მ ე ბ ი ს ძ ა ლ ი თ მ ო პ ო ვ ე ბ ა. პირქუშ რო დაარსებულ აჯადს, მკითხავ გაუქადაგებავად მაუთხოვიან ყმანი. ბაცალიგველ-აჯადელთ სცოდნივ რო პირქუშივ კაცი იყვავ მჭედელიოდ იმას რაჯელ დავეყმანათავ — უთქომ, არ დახყმობიონად. გამწყრალ ძალიან პირქუში. ზოგისად ცეცხლ გაუჩენავ. ზოგ აოდ გაუჯდავად, ისრ შაუშინებიან რო, ბოლოს, პირქუშის ყმათ ჯარჯ-გირკლიანებს უდენავ (ჯარჯ-გირკალი ძროხის დასაბმელია, წნელის რგოლები არის ჯაჭვისებურად გაკეთებული და ზედ მიბმული აქვს წრილი ხისგანვე მოხრილი რკალი, რომელიც ნაპირებზე თოკის აპაურით შეიკვრის). გაუკეთებავ აჯად პირქუშის კოშკი, დარბასიდ საქვაბეი, და დაუწყავ ლუდის დუღილიდ, ლოცვა პირქუშისა. პირქუშს ყმან ისით დატეხილნი ხყვანიონ, რო დღეობა რო მავიდისავ, ყველას ხქონდისავ ჯარჯ-გირკალივ დამზადებულივ კაცებსავ, ჯვარჩიაც ჯარჯ-გირკალიანებ დადიოდიანავ; ღამითაც ჯარჯ-გირკალიანებ იძინებდიანავ დღეობაშიაკ. თუ ვინ ჯარჯ-გირკალს მაიშორებდ, მაშივ აოდ უკიდავად უმიზეზებავ ჯვარს—პირქუშს. ბოლოს სრუ სალოცავ ძლიერ ჯვარად გადაიქცავ უბრალო კაცივ, იცოდიან. ჯვარჩი რახა ჯარზე დასხდიანავ პირქუშის ყმანივ, ჯარჯ-გირკლსავ ჯღარ-ჯღურ გახქონდისავ, იცოდიან. როდესაც ჯარჯ-გირკალს ჩაისხემდესავ, მაშინავ იარაღიც სრუ დაყარიანავ პირქუშის ყმათავ. ჯარჯ-გირკალივ პირქუშმავ იმით გაუწესავ რო წინ-წინ რო არ დაღმორჩილდესავ, მაშივ დაემუქრავ რო დაგიმორჩილებთავ, კი არაოდ საქონივით ჯარჯ-გირკლიანებს გადენთავ. შაუსრულებავ კიდევაც ყმათად ეს მუქარაი. მაშინდელ ჯარჯ-გირკალი ნელობამდინ ხქონივ შანახული ხალხს, ბოლოს ჯვარში მიუტანავად იქით ას დაკარგული. ჯარჯ-გირკალი რომ მაუშლავ, მას იქითავ მაუვიდისავ ქადაგსავ 'ჯვარიოდ' ატანებიებდისავ: „მე მაშინ მქონდავ ძალიოდ შაძლებაივ, როსაც ყმანივ ჯარჯ-გირკლიანნ დამიდიოდესავ, აეხლადავ მკლავივ მკლავს, გამისწორეთაოდ კისერივ კისერსავ, მაგრამ აისივ პირქუშ კი ორავ; თუ ჩემ ცხრა ფესვიან მათრაჯ დავიბრუნევოდ' ჩემ უწამებივ მიწასთან გავასწორებ, მაშინ გაიგებენავ ჩემნ ყმანივ რო პირქუშსავ აისივ ძალი-შაძლება ხქონივავ.

პ ი რ ქ უ შ ი დ ა მ ი ს ი მ ო ძ მ ე ნ ი. ესრ ჯერ ჩვენაც აჯადს ვყოფილ-ორთად' პირქუშიც იქ ყოფილ, ხოლოთ წინ-წინ იორზე მდგარი აჯადს იქით მასულად'იქაც უდენავ ძველებს სალოცავად, იქაც ყოფილ იმის ნიში. მემრ რო ბაცალიგველნი ბაცალიგოს წამასულან, პირქუშიც გამახყოლივ, რაიც თავ ხთიშვილ იყვ, ხოლოთ მოძმე აჯადს დამრჩალ, ერთ მოძმე იორზე ხყავის დამრჩალიდ, ყველა ერთნაირ სალოცავი. ხოლოთ ძალა კი უფრო ბაცალიგოს პირქუშს ხქონივას წინავ, რაკი ის თავ იყვ. პირქუშ ყოფილას დევებსთან მებრძოლიდ უკოცავ დევები. მემრ რო მთავარ რაიც იყვ ის ბაცალგიოს წასულა-

სად' აკადს იმაზე ჩამით დამრჩალად' იმთვენ შაძლება აღარ ხქონივ. ემისად დევებს დაუწყავ ბრძოლაი-დ' ჩაგვრაი. ქადაგ რახა დასვიანავ, მაშინ მაატანებივისავ აკადის პირქუშმავ დევების მუქარაივ: „თქვენავ პირმზორიანნო, მე თუ ძალიოდ' შაძლება არ მაქვავ იმთვენივ, რო თქვენ გაგამტვერნათავ, მე გავაგებიებავ ბაცალიგოს ლეკურთაში მდგარს ჩემს მოძმეს პირქუშსაოდ' ცეცხლით დაგწვავთავ ერთიანადავ.

კ ვ ლ ა ვ პ ი რ ქ უ შ ი დ ა მ ი ს ი ძ მ ო ბ ი ლ ნ ი. პირქუში წინ-წინ იორზე რო მისულას, იქ ზდობნივ დადგომა-დაარსება, სადაც დევები მდგარან. ხთიშვილ უთქომ „პირქუშივ ქალის პირაი ასავ, ეგივ დევებს ვერას ეტყვისავ, იქით ვერ ახყრისავ, ვერას ეტყვისავ, ეშინიანავ. მაგრამ კოპალაიდ' თავის ძმობილი წყაროსთავ წმიდა გიორგი დაშველებიონ. იმათ დაკმარებით დევებ ამაუწყეტიანად თაოდ დაარსებულ პირქუში იმათ ნამყოფლავში. მემრ კი გაუგავ ხთიშვილთ რომ კოპალაიდ წმიდა გიორგი პირქუშს ძმობილები ხყვანდესავ გაჭირვებაში ისენ უშველდეს თავის ძმობილს. ამის გაგებაზე პირქუშს უფრო პატივ დაზდვეს ხთისშვილთაცად' თავის ყმათაც. უფრო მეტად ილოცევდესად' სწირევდეს შასაწირავსაც, ზღვენსაც. გააჩინესად' ააბეს პირქუშის დროშაიც. პირქუში მჭედელი იყვად წყაროსთაულს წმიდა გიორვის ის უკეთებდ მშვილდ-ისარს, რაკი წყაროსთაულიც მშვილ-ისრით მეომარიდ' მებრძოლ ყოფილ. რაკი კოპალაიდ წყაროსთავ წმიდა გიორგი ძმობილები ხყვანდესად' დევებს ანადგურებდეს — იმაზე დევებს სამთაივ ჯავრი შჭირდად ცდილობდეს რო ევნ საით იმეებისად. მაგრამ პირქუშს რაიც არ ვერ სწონდეს. პირქუშს იმთვენ ძალ ვერ ხქონივ დევ-კერპთან საბრძოლად, როგორც სხვებსად' იმით იმას უფრო იძევდეს თუ მარტოს სად მაიმწყვდევდეს. ერთხნ ჯიჯეთის ყელჩი დედუფლის წყალთან შახვდ ბევრას დევებსად დაიჭირეს პირქუში. „მიშველეთავ კოპალაოდ' წყაროსთავ წმიდაო გიორგიო", შამაზძახნ თავის ძმობილებს პირქუშმ იმავ წამს ცეცხლის გირკლებივით გაჩინდეს პირქუშსთან გიორგიოდ' კოპალაიდ' სრუ ცეცხლში ჩაწვეს რაიც იქ დევები იყვ, გამაღგლიჯეს პირქუშ ჯელჩიითად წამაიყვანეს. პირქუშს რახან შამაზძახნან გაჭირვებაში, მაშინ იტყვიან: „მიშველე დიდო პირქუშო, ცეცხლის ალიანო, ლეკურთის ვაკეს მებურთვალო".

პ ი რ ქ უ შ ი თ ა ვ ი ს ყ მ ებ ს ე ხ მ ა რ ე ბ ა. კოპალაიდ' წყაროსთაულ გიორგი რო ძმობილები ხყვანიონ, იმათ გამაუჩვევავ პირქუშიდ' ძალიან დაუწყავ დევებისადაც ბრძოლაი, მტერსთანაც შველა თავის ყმათად ერთ მიგრიაულ მშაველ ყოფილასად ცხვარ ხყონივ. მიმავალ მშაველი ცხვარში შირაქისესად გზაში თათრის ყაჩაღებ დასცემიან. შამაუძახნებავ მშაველს პირქუშისად: „დალოცვილო პირქუშო, ნუ მამრევავ მტერსავ, შენ მიშველეოდ ერთს ჭედილას მავიყონავ შენ კარზედაოდ' ვარდის დღეობას შამაგწირავავ". პირქუშს შამაძახნება გაუგავად' იმ წამს ჩაშველებივ: თათრებივ თოფებს უყურებდიანავ; მშაველსაოდ არც ერთს არ გაუვარდავ. მშავლის თოფ გადიოდისაოდ' ზოგ დაუკოცავ თათრებიდ ზოგებ გაქცეულან. მემრ რო ათენგენა მასულ, მაუყვანავ მშაველს ერთი ჭედილა თავის ცხერის ფარაში არჩეულად' დაუკლავ პირქუშისად. პირქუშ რო არ ყოფილიყავ თქვისავ მშაველმავ, ან მალე არ მამგონებიყვაოდ' არ შამამეძახნავ ეხლადავ აღარც მე ვიქნებოდიოდ აღარც ჩემ ცხვარის ფარაივ, მიაც მამკლევდესავ თათრებიოდ'

ცხვარსაც გაღლალევდესავ. . იმან დაუკედავ თათრებსავ თოფებიოდ მე გადამრჩინავ. ერთ ბაცალიგველ კაცი იყვ გორგიიდ' გუროს ორწყალაში დევ შამახყრივ. შამაუძახნებათ პირქუშისადად' რაკი ის ვერ ებრძოდ დეევებს ძალიან, იმავ წამს გაუყოლებავ კოპალაი. ერთად მავიდესავ უუბნავ გიორგს კოპალაიოდ' პირქუშივ. პირქუშივ ცეცხლის მათრაჯით შამაეტივავ დევსაოდ' დეევ იმას არ შეუპოვავ. კოპალამ ესრივავ ლახტიოდ' ცეცხლ გაშჩინდაოდ' დაიწვავ დეევ. დეევს რო კოპალამ ლახტ დახკრავ, ისეთ ჭექა-ქუხილიოდ' ღევის ღრიალ დადგავ, რო მთა-ბარ სრუ დაიძრავ, უგონთ გავსულიყავიოდ რო გონთ მავედივ, იქ აღარა იბადებოდავ აღარც დეევიოდ აღარც ხთის ნასახნივ. ავდეგიოდ წამავედივ, სად დავდიოდივ, ის კი არ ვიცოდივ, ისრ ვიყავივ გაქეფილივ. ერთს წელს გიორგი იმის შემდეგ სრუ აოდ ყოფილ, მემრ ჯვართად მიუმადლებავ ბევრიდ მამრჩალ (M13, რვ. 33, გვ. 552—555; რვ. 18—19, გვ. 371—378).

პ ი რ ქ უ შ ი ს ა გ ა ნ დ ა წ ვ ა-დ ა ლ პ ო ბ ა. პირქუში წყრებოდ ზოგიერთ დანაშაულებზედა და წვევდ ცეცხლში თავის ყმებს. ამას ჯევსურები დალპობას ეძახდეს. თუ პირქუშში იშუღლებდ ვინ, შუღლს უფრო არ იკდენდ, შუღლი თავის სამკვიდროში ისრ აკრძალული ხქონდ, რო ჯმამაღლად აძრახდომა არავის შაეძლიყვ. ერთხან უშუღლავ ბაცალიგველებსად ზეისტეჩოვლებს, ბაცალიგველს ბეწიწას ზეისტეჩოელ დევათ ფიცხელა უჭრავ დიდ ხუთშაბათ დღეს (ჭრა: ხანჯლით ან ხმლით, კაცის დაჭრას ჰქვიან). ეს ჭრა ისრ მამკდარ რო როსაც დაუკრავ, ვერვის გაუგავ იმის ჭრაი, ვინ დახკრ. რაკი მაშინ დიდ შუღლ ყოფილ გვარებისაიდ ვინ რა დახკრ ერთუცს, ეს ვეღარავის გაუგავ. გაკდილ ფიცხელაის ნაჭვრეტ სადავიდარაბოდ ერთუცისად ორი კვირაი დგესავ პირისახე დაუწყრულდაოდ' ჩავარდნილ ლოგინში. გამასვლივ შუღლისად ტყუილად დაფიცვის მიზეზი. მაგრამ მაინც აღარა შველებივ. პირქუშს ქადაგისად მაუტანებებავ, რო მე ნავთის წყალ გადავასხივ შანაცოდვარზე დავწვივ. ეხლა ვეღარას უშველავ, რაკი მაგის ჯორცნივ დამწვარნიავ. ჩავარდნილ ლოგინად. ჯერ ჯელფეჯიდ პირისახე დახლპობივ, მემრ ერთიანა ტანიდ მამკვდარ. ჯვარისგან დამწვარ თუ დალპებოდ, ის ჩამამავლობაზე არ გადადიოდ. თუ თავისთავად ვინ იყვ ისეთის ჯიშისა, დალპობა ჩამამავლობაზედაც გადადიოდად ლპებოდ ყველა. იმით იყვ რო დამპლის ჯიშისასა ჯევსურები არც ქალს ითხოვდესად, არც ქალს მისცემდეს ასეთ ჯიშის გვარში. ასეთს ჯევსურებ ეძახდეს დამპალს, უჯიშოს, დამშმარს, დამჟაულს, სულიანსად სხვა. უწმინდურ თუ ვინ მივიდოდ პირქუშის საარსებოში, იმაზედაც ძალიან წყრებოდ პირქუშიდ წვევდ დამნაშავეს. უწმინდური ისეთი, რო ან გაევლ ისეთს ალაგში, სადაც უწმინდურ დიაცებ დადიან, ან დიაც (ცოლი) ხყვანდ სამრელოს ან ქოხში ხყონიყვ დიაცი, ან დიაცსთან თუ იყვ ნამყოფი, ასეთას ხქვიან უწმინდურიდ ამაზე წყრებოდ ძალიან პირქუში. პირდაპირ ასეთს დამნაშავეს დაასხმედ ნავთის წყალს (მკითხავების გამოთქმა არის ნავთის წყლის დასხმა). ნავთის წყალ დასხმული სრუ დაწყრულდებოდად ჩალპებოდ ლოგინჩი.

პ ი რ ქ უ შ ი ს ძ ა ლ ა პირქუშს აბრალებდეს ჯევსურეთ ზოგიერთის ჯიშის შარევას — თუ შუღლად ვინ გახჯდიდ პირქუშის ადგილში სადღეობოში, მაშივ უნდა შაენან, თორმე, თუ გაწყრებოლად ნავთის წყალს გადაასხემდ,

მაშინ ტყუმლიღ იყვ რო ამ კაცს შველებოდ. მექადაგეებმ ჯშირად იცოდეს: „პირქუში ორავ ძალიან—მადლიანივ, დავიბრუნებავ ჩემს ცეცხლის ძლიანს, ცხრა ფესვიანს მათრაჯსაოდ მეძალესაოდ შამწყენს ჩემის მკლავით გაუსწორდებიდ გავანადგურებავ ჩემს ურჩს ყმებსავ. მკითხავს სცოდნივ რო პირქუშივ ღმერთს ეხვეწებისავ: „ღმერთო ნუ ჩამამყრივ ძალსა შაძლებასავ. ნუ ჩამამრთომავ ლეკურთის ცეცხლის ალსავ, ნავთის წყალსავ, ლეკის ბოლქვთავ (ლეკის ბოლქვი-ლეკი არის მაგარი ჯიშის ხე, დიდი ხეები არ იზრდებოდა არის სულ წვრილი ტყე, ფერი აქვს ყვითელი ხევსურები ზამთარში ამ ხისგან კოვზებს აკეთებენ, რაკი კარგი ფერი აქვს და მაგარიც არის) ცხრაფესვიან მათრაჯსავ, ღმერთო, ნუ ჩამამრთომაოდ' ნუ ჩამამყრივ ჯარ-მანიშთავ (ჯარ-მანიშნი მკითხავების სიტყვით ნიშნავს ხარებს, რომლებიც წინათ ხევსურეთში ბევრ სალოცავებს ჰყავდა). პირქუში იკვეხდად სახელობდ თავის ჯარმანიშთ, ქადაგები ამას ჯშირად იძახდეს. მკითხავები ხალხს იმაშიაც არწმუნებდეს, რო პირქუშსავ ცეცხლის მათრაჯი აქვავ ცხრაფესვიანივ. ცეცხლის ალი აქვაოდ ნავთის წყალივ დამნაშავის დასაწვაოდავ. გადაასხამსავ პირქუშივ ნავთის წყალსავ, წამარხკრავსავ ცხრაფესვიან ცეცხლის მათრაჯსაოდ დასწოვსავ კაცსავ. დამწვარნ ჯორცნივ წყრულად გადაიქცევიანაოდ დალპებიანავ. პირქუშს ხყვანივ წითელ ცხენიდ სადაც თვალთ დახკრევდ, ცხენიც იქ დაიბადებოდ შამაძახნებაზე. წითლით ცხენით სცოდნი დაშველებაი“ (M³, რვ. 19, გვ. 371—388). საარაბულოს ძველ-მამათაგან თავისი საერთო-სათემო ჯვარი საჩუჩაყეუროს აქეს. საჩუჩაყეუროს სალოცავია ბაცალიგოს პ ი რ ქ უ შ ი ს ჯ ვ ა რ ი.

საბიჩინაგუროს სალოცავი ართხმოშია, ღ ა ლ ა ნ გ უ რ წ მ ი დ ა გ ი ო რ გ ი ს ჯ ვ ა რ ი. დათვისის ბიჩინაგურები და სხვა სოფლების ბიჩინაგურნიც სალოცავად იქ დადიან. ბაცალიგოს პირქუშის ჯვარის დ ა რ ბ ა ზ ი ცალკეა: მას წინ აქვს შესავალი პატარა ოთახი, რომელსაც ბ ე ღ ე ლ ს უწოდებენ. ამ ბეღელში ზამთრობით ღამეს ათევს დღეობებში დეკანოზი და ხელოსნები. დარბაზში შესასვლელად ქვის კიბეების ავლაა საჭირო. დარბაზს შუაზე სანათური აქვს, გვერდებზე ხის გრძელი ლამაზად დაჭრელებული სკამები. დარბაზის აღმოსავლეთი ნაწილი ნაწილობრივ ამაღლებულია. აქვე კედელში ჩატანებულ თაროებში ზარებია და ჩამოკიდებული სპილენძის „ტაბლა“ ზედ დაკრული სამი სპილენძისავე თასით. დღეობებზე ტაბლაზე დასტურები დაიწყობენ 9 ცალ ჭიქა-ბარძიმს და ხუცესი დაილოცება.

ს ა კ ო დ ე და ს ა ქ ვ ა ბ ე ერთ ჭერ ქვეშაა. ორთავეში მრავალი კოდები და სხვა ინვენტარი დგას: ხახმატის ხატის მსგავსი ლატფაა, მაგრამ ლატფა აქ სახურავიანია. ხატის სახურავი ორფერდაა. ხატს წინ უდგას იფნის ხე.

ხატის მახლობლად ა დ გ ი ლ ი ს დ ე დ ა ა, — ქვისაგან ნაშენი ოთხკუთხი, პატარა კოშკი. იგი ჯაგებშია, მთის დაქანებულ ადგილზე. მის უკან ამართულია ციხე-კოშკი, ნაწილობრივ დანგრეული, გადმოცემით ეს ციხე-კოშკი აგებულია ვინმე ქისტის კვირიკას მიერ.

„პირქუში“ არაბულების სალოცავია ბაცალიგოს ხეობაში. სოფელ ბაცალიგოშივე სასაფლაოსთან მთის წვერზე, რომელსაც „ქავი“ ეწოდება, დგას პირქუშის ნიში ზარით. აქ ათენგენობას მოდიან ხევსური მამაკაცები, მოაქვთ სასმელი — ლუდი, არაყი და საჭმელი — საკლავის ხორცი, და ქა-

დები. ხუცობის შემდეგ პურობენ მის მახლობლად ფერდობზე, მაგრამ თვით ნიშთან ვერც ერთი ხევსური ვერ მივა. აქედან დასავლეთით მთის მწვერვალზე მოსჩანს პეტრე მოქიცულის ნიში.

პირქუში თავის ყმებს სჯის იმით, რომ მათ სიდამპლეს, გონჯობას, მონობას უჩენს. პირქუშის ყველაზე დიდი დღეობა ათეგენობა „ლეკში" იმართება. „ლეკი" პირქუშის საკუთრებას შეადგენს. იქ შესვლა არავის არ შეუძლია უბრალო დღეებში. თუ საქონელი შევიდა ლეკში, იქიდან იმას ვერ გამოიყვანენ, თუ თვითონ არ გამოვიდა. ეს აღკვეთა ბუღნიაურთ კაცს დაეღღვია და ამიტომ პირქუშმა მას გონჯობა შეჰყარა. იმის შემდეგ ბუღნიაურებს გონჯობა მაუდით. ამიტომაა, რომ იმათ ქალს არავინ თხოულობს. დობილები მონათლული ეშმაკებია. ამბობენ ისინი პირქუშმა დანათლა და თავის დობილებათ გაიხადაო*.

ბაცალიგოს ჯვარის პირქუშის ლაშქარნ-დობილნი. პირქუშის ლაშქარნი ყოფილან ყმაწვილების სახით. რო ჩამავლენ ცააშით, ფრინვლის სახით მავლენად დაბლა ყმაწვილების სახით არიან მაშინდელის მკითხავების თქმით, მავნენ ლაშქარნიც ხყვანდეს პირქუშსად მარგენიც. შაიძლებოდ რო გაჭირებულს კაცს პირქუშისად შამაეძახნ, იმას თავის ლაშქარნი დაეკმარნეს გაჭირვებულის კაცისადად' დაეკსნ. პირქუშის ლაშქარნი დასაშველებლად ფრინველივით ჩქარად მიფრინდებოდესად გაანადგურებდეს პირქუშის ყმათ მტერს. დობილნი ჯსენდებოდეს იქავ ჯვართან ახლოსად იმათ უშლიდეს ტოშოლეებს, ან თიკანს დაუკლევდეს. ტოშოლეები იყვ ძალიან თხელეები, ცო-ცოტეებ პურეებიდ' დობილნი ამეებს სათამაშოდ ჭმარობდეს. ხუცესებმაც იმით იცოდეს ხუცობაში, რომ „თქვენა სამთავროდ, თქვენა გასამარჯოდ მაიკმარეთა პირქუშის მოლაშქრემ ანგელოზნო ეს სათამაშო შამაწირული. თქვენის ძალისად დიდების შასამატებლად ხთის კარზე შაიტანეთ, მეხვეწურს კი თქვენს წყალობას ნუ დააკლებთ, აგრემც გაემარჯვების თქვენს ბატონობას, თქვენს გამჩენის ხთის კარზე. ამ სიტყვებს სხვა ჩვეულებრივ ხუცობასაც მააყოლებდესად დაუშლიდეს ყმაწვილებს ამ ტოშოლებს (არხოტში აშალს ეძახიან, ხოლო პირაქეთს ანუ ბუდე-ხევსურეთში ტოშოლებს, ხუცეს-მკითხავების ენით კი ორივე ხევსურეთში სათამაშოს სახელწოდებით იყო).

დობილნი სათამაშოდ გამადიოდეს მზის ამოსვლის და მზის ჩასვლის დროს. ეს რა თქმა უნდა, მკითხავების თქმით, როსაც დობილთ გამასვლის დრო იყვ, მაშინ იმ არემარეზე ყმაწვილებს არ გაუშობდეს, დობილნ გამაგლახვნარდ გახჯდებითავ. მკითხავების თქმით ისიც იცოდეს დობილნი რას ალაგზე გამადიოდეს სათამაშოდ, ან რაჯელ თამაშობდეს, უფრო ტოშოლეებით იცოდეს თამაშობაი. ყველას ხქონდ ტოშოლეები აკრეფული დობილებს. იმას აჯლიდეს ერთუცსად ნასრევს იქავ იტაცებდესად კიდევ აჯლიდეს ერთუცს. დობილთ თუ ძალიან ვინ გააჯავრებდ, გამეებმოდეს კოჭ-ბაწრადად ძალიან დააღონებდეს, ლოგინშიით აღარ აუშობდეს. დარისხების დროსაც სცოდნივ წინათ კაცთ: „გაგიწყრასთავ პირქუშიოდ გამაგაბნასთავ კოჭ-ბაწრადავ თავის

* ამ რეშენაში, ვფიქრობ, აისახება უძველესი მატრიარქალური გვაროვნული წყობილების დროინდელი ფენა საკულტო ობიექტებისა, რომლებიც დაქვემდებარებული იყვნენ უფრო გვიანი ხანის ღვთაებისადმი (როგორიცაა მაგ., პირქუში და სხვა ღვთისშვილნი).

ლაშქარნივ. (კოჭ-ბაწრად გამობმა ნიშნავდა გადაკიდებას და, როგორც ქუსლ-ზე ქალამანის ბაწარი დაჰყვება თან, ისე გადაკიდულნი დობილნიც თან და-ჰყვებოდნენო და ყოველ ნაბიჯზე მავნეობას იჩენდნენ, ცხოვრებაში ხელს უშლიდნენ). კაცი კაცს თურმე ეტყოდ: „მამშორდი, რა პირქუშის დობილი-ვით კოჭ-ბაწრად გამამები“. ეს დობილნი დადიოდეს საყურიადოდაცად' ყურობდეს წუხრ-წუხრ რას ვინ ამბობდ, ან ფიქრობდ, აუცილებლად ცუდს არ ააცილებდეს ესეთს კაცს ვინც ცუდს ამბობდ', თუ კას ვინ ამბობდა, კას ვინ ფიქრობდ ჯვართადაცად კაცდაც, ის კიდევ კას არ მაშჩებოდ. მივიდოდეს დობილნიდ პირქუშს უამბობდეს ყველას, რაიც ნახესად' გაიგეს. პირქუში კი-დევ იმათავ დაავალებდ კაის მთქმელისად' კა მიეცად' ავის მაქმედისად ავი. დობილთაც სხო რა უნდოდად საქმიანობდეს სრუ ეესეთურას.

ბ ა ც ა ლ ი გ ო ს პ ი რ ქ უ შ ი ს დ ა ხ მ ა რ ე დ ა თ ვ ი ს ა ღ ი თ. პირ-ქუშს საზარვად ხყვანდ კიდევ დათვის აღით. ვინაც გააჯავრებდ პირქუშს, იმას მიუსევდ, ის სხვას კი ვერას ავნებდ, მარტო სიზმარში მაჩვენებოდ და შააშინებდ. თავს არ დაანებდ, მანამ პირქუშს საკლავს არ დაუკლავს.

ბ ა ც ა ლ ი გ ო ს ა დ გ ი ლ ი ს დ ე დ ა დ ა მ ი ს ი ბ ო ლ ო ც ე ც ხ ლ ი ა-ნ ი. ადგილისდედაიც პირქუშს ემორჩილებოდ. რასაც პირქუშ ეტყოდ, ად-გილისდედა იმას ასრულებდ. ადგილისდედას კიდევ, თავის დამჯმარე ძალაი ხყვანდ გველის სახით. მკითხავებისად ხუცესების თქმით, გველს ბოლო ცეცხლიანი ხქონდ. თუ ვინ პირქუშს შამაზძახნებდად ლაშქარნ არ ექნებო-დეს მზას დასახმარებლად, მაშინ ადგილისდედას ეტყოდად. ადგილისდედა დასაშველებლად ბოლოცეცხლიანს გაუგზავნიდ მაშივ. ბოლოცეცხლიანი ისეთ სწრაფ იყვ, რო ვინც შამაზძახნებდ იმ წამს იქ დაიბადებოდად' მიეშველებოდ გაჭირვებულს პირქუშის ყმას. პირქუშის ყმას რაიც ებრძოდ, მტერი იყვა თუ ეშმაკი, იმავ წამს შამახკრევდ თავის ცეცხლიანს ბოლოსად დასწვევდ, ცეცხლს გააჩენდ“.

ბაცალიგოს ჯვარს ეყმობა შემდეგი სოფლები: ბაცალიგო, აყნელი, ჩხუ-ბო, მისახი, ზეისტეჩო და აჭეხა. ამ სოფლებიდან განურჩევლად გვარისა, დგებიან დასტურებად, ჭელოსნებად, მეგანძურეებად და ხუცესადაც. დანარ-ჩენი სოფლებიდან კი მას ზოგიერთი გვარი ემსახურება. მაგ., სოფ. ბარისახო-დან ადონანი ემსახურებიან, უდგებიან სადასტუროში; სოფ. დათვისიდან ბი-ჩინაგურები და მანგიაურანი, ოღონდ სადასტუროში არ უდგებიან; სოფ. მოწ-მაოში მცხოვრებლები ყველა ეყმობა და დასტურობს კიდევაც: ასევე არიან სოფ. ოხერხეველები; ბაკურკველები ეყმობიან, ოღონდ არ დასტურობენ და ა. შ. რომელი სოფლებიც ყმობს, ისინი ბაცალიგოს ჯვარში საკლავებს ხო-ცენ და ღამისთევის დროს ამ ჯვარის ბორაყს (დროშა) მიიყვანენ. ყმა „სამე-შველოსაც“ შეუთქვამს და გაჭირვების დროს შესძახებს — დიდო პირქუშო, დამეხმარეო.

„უყმო ყმა“, რომელიც სხვა ჯვარს ემსახურება, — ადვილად ვერ შე-ეხვეწება, რადგან მას ჯვარი არ დაეხმარება. ამავე დროს მას თავისი ჯვარი გაუწყრება, რადგან ითაკილებს, ნუთუ მე დავკარგე ძალი და შეძლება ისე, რომ ჩემი ყმა სხვა ხთიშვილს ემსახურებაო.

გამონაკლის შემთხვევაში ხდება „უყმო ყმისაგან“ ჯვარში საკლავის დაკვლა. ეს ხდება მაშინ, თუ ჯვარმა მაამიზეზა, მაგ., სხვა ჯვარის ყმა დაჭრა,

ან მოკლა, ან გალანძღა სხვა ჯვარი. ასეთ შემთხვევაში ჯვარი მას „მაამიზეზებს“, რათა შეანანოს ხატის შელახვა. უყმო ყმა კლავს საკლავს, ხუცესი იტყვის: „დალოცვილო (ჯვარის სახელი), შენ შამაგეხვეწების ეეს უყმო ყმა ზღვნითად სანთლით, შენ შაუნდევ, იხვაიშნი, ავ თვალ-გულს ნუ გააყოლებ, ნათქვამ-ნაქნარ აპატივი, მაუტი შანაცოდვარი“. შემდეგ საკლავს თავს მოჭრის. ხუცესს რჩება ფეკი და თავი; თუ უყმო ყმამ დაკლა, იმ შემთხვევაში კი ბეკი და თავი.

ბაცალიგოს ჯვარში „პირქუშში (წმინდა გიორგი) დასტურები დგებიან ორი წლის ვადით, რაოდენობით ექვსი. მათ ამოირჩევს ქადაგი ისე, როგორც ლიქოკში. მეგანძურეებსაც იგი ამოირჩევს. შეიძლება ისინი იყვნენ ცოლიანები, ოღონდ დღეობის მოახლოვებისას ქალთან დაძინება ეკრძალებათ. დასტურ-ჯელოსნებსა და ხუცესსაც ეკრძალებათ ცოლთან წოლა, სწორფერთან კი შესაძლებელია.

ბაცალიგოს ჯვარში ხოცავენ ხარს, ვერძს, მოზვერს, ბატკანს და ახლად დაბადებულ ხბოს. თიკანსა და თხას მხოლოდ სადობილოდ დაკლავენ, რადგან პირქუში არ კადრულობს „მბღავანს“.

ბაცალიგოს ჯვარში ფურის (ძროხის) შეთქმა არ შეიძლება, იგი ითვლება უწმინდურად, რადგან ხბოს აჩენს. დედალი ცხვარის დაკვლა კი შეიძლება, რადგან ცხვარი კრავია, წმინდად ითვლება.

ბაცალიგოს ჯვარის ყმა მონადირეები, როდესაც სანადიროდ მიდიან, ჯვარს შეეხვეწებიან: „დიდო პირქუშო, შენდ შამამიძახნებავ, შამამიხვეწებავ ნადირთ ჯოცაში ჯელ მამიმართი, ავ თვალ-გულს ნურაზე გამამაყოლებ მეთვალყურედ. რქაჯანგიანი (ჯიხვი) მამაკვლევი დალოცვილო, იმის რქათ შენდ არ დავიშურებ, შენ დარბაზის კართ დავხკიდებ“. თუ მონადირემ მართლა ჯიხვი მოკლა, დანაპირებს ასრულებს, რადგან, თუ ასე არ მოიქცა, მეორედ ნადირობის დროს ხელს არ გაუმართავს (შეუწყობს). რქებს ჯვარში მიიტანს და დარბაზის კარზე ხეზე ლურსმნით მიაჭედებს. ბაცალიგოს ჯვარში მის ყმათ ირმის რქებიც მიაქვთ (წინეთ განსაკუთრებით, მიჰქონდათ, როცა ირმები უფრო მრავლად იყო). ირმის რქებს აწყობენ კოშკზე. აგრეთვე თუ მეზღვნემ დაკლა ვერძი, რომელსაც დიდი და დაგრეხილი რქები აქვს, მის რქებსაც დარბაზის კარში ხეზე მიაჭედებენ.

3. სანების ჯვარი, სოფ. უკანჯადუ

სანების ჯვარი, როგორც ნათქვამია, ილოცება სხვადასხვა ადგილებზე. მხოლოდ მთავარი მისი სამლოცველო ადგილი არის ერთ მაღალ მთაზე, რომელსაც ცროლი ეწოდება. სანება ილოცება სახელწოდებით: „მფრინაო ანგელოზო, ბატონო სანებავ ცროლის-წვერისაო“. იგი მინდორში ერთ სოფლის ახლო ყოფილა. ის რომ მინდორჩი მდგარა, ხალხს ძალიან სწამებივ. ბარის კაცებს ძალიან წმიდად ულოცავისად ყოფილ იქ. ჯვარჩი მისვლა გაწმიდებამდინ არ იქნებოდ. როსაც ჯვარჩი მისვლა ეგულ, დღეობა იქნებოდ მმაახლოებული, ერთი თვით წმიდად ეჭირ თავი. არ გაივლიდეს რიოშიანში („რ ი ო შ ი ა ნ ი“ ადგილი სადაც დადიან ქალები სამრელოში ყოფნის დროს), არ შაიძლებოდ ქალის სიახლოვე და, თუ ასეთ რა მახდებოდ, მაშინ ჯვარჩი

ალარ მივიდოდ კაცი — თუ ჯვარჩი მივიდოდ, სანაწყევრო იყვ, ძალიან ცუ-
დად წაუვიდოდ საქმე. ჯერ თითოოროლამ დაიწყ უწმინდურმ ჯვარჩი სიარუ-
ლიდ მემრ ყველამ ერთუცს მიხენად აღარას ვინ ერიდებოდ, არც რიოშსად
არც დიაცსთან ყოფას. არც კი გაიბანებოდესად, აისეთეებ დაიწყებდეს ჯვარ-
ჩი სიარულსად თას-განძსაც რაკელგანდად ჭელევდეს. ბოლოს, სანება იქამ-
დინ გაწყრ რო აიყარ მინდორჩიითა წამავიდ მთაჩი სიწმინდის გულისად.
სოფელს არც აქ მიეკარად მაღალს მთაზე, — ცროლს დაარსად, ჭმელთ შუა-
ში (ე. ი. შუა ადგილი, ასე იტყვიან: წმიდა სანება მფრინავი ანგელოზი დაარ-
სებულია ჭმელთა შუა ადგილზე ცროლის წვერ-ო). სანება მფრინავ ანგე-
ლოზ რო ცროლის-წვერ დაარსდ, იმ დროს ჭადუს ცხოვრობდ ჩარგლით მა-
სულ ქერაი. ქერა ყოფილ ჩარგალალ კაციდ უკენჭადუ მასწონებიოს საცხოვ-
რებლად. იმ დროს ჭადუს არვინ ცხოვრობდ, თავისუფალ ალაგი იყვ. ქერამ
გაიგ სანების დაარსება იმით, რომ ღამისთაოდ ცროლისწვერი განათდის, რაპ-
რაპ დარჩის. ჯერ კი ვერ გაბედ ქერამად ბოლოს თქო: წაოლაოდ გავიგებავ
იქ რა ანათებსავ. წავიდად ნახ რომ ტრედის სახით იჯდ მაღალს ქვაზედ
მფრინავ ანგელოზიდ თვალთ არ იყრიდ. ქერას გონ ახჯდივად გონთ რო
მასულ, იქ აღარა იბადებოდ. მუჭლ-მაყრილ ვიჯედივ იმ ადგილზედავ, სადაც
მფრინავ ანგელოზი ვნახევ—თქვის. მეორე დღე რო გათენებულას, აუგავ იქ
კოშკი. ჯერ კოშკ აუგავ, მემრ დარბასიდ საქვაბეიც მაუთხოვავად ისიც აუშე-
ნებავ. ამის მემრ გაჩენილ აქ დღეობაი. ქერასაც დაშჩენივ შვილები. ადგილ
ბევრი ყოფილასად კაც ქვე არ ხყონივ ჭადუს. იმით მაუყვანავ ქერას ზესიძე
რკინაული. რკინაული ძირად ჭევსურ ყოფილ, გვარად არაბული ზესიძე ჭევ-
სურებმ არ იცოდესად ის რაკი მშაველ იყავ, იმით მაიყვან ზესიძეიდ გა-
თესლდ რკინაული.

წმიდამ სანებამ რკინაულ ყმად გაიჭადად რაკი სანების ყმად გაჭდეს,
გამრავლდეს ძალიან. რკინაულები კიდევ დაიყვნეს მამებად: 1) ატაბურანი,
2) მანგიანი, 3) სისკარანი, 4) მწარიანი და 5) გოგოთურანი. ამათაც ყმებს,
გააჩინეს საჭნავ-სათეს მამულები, ხოდაბურები საჯვაროდ, დაიწყეს ულავით
ჭენათ, დასტურობაიდ ჭელოსნობაი.

ღილღოდან წამოსულმ სანების ჯვარმ სამი-ოთხკან მაიკიდ კოჭი, სადაც
მემრ ააგეს სამლოცველო კოშკები (კოჭი მოიკიდა: დაჯდა, დაბძანდა). ამა-
მავალი კალოთანას სოფლის გვერდზედ დაჯდად იქ მაიკიდ კოჭი. იქით რო-
წამავიდ, გამძღოთ იქ დალიშნეს ის ალაგი, სადაც მემრ კოშკ ააშენეს. დარ-
ბას-საქვაბეიც გააჩინესად, დაიწყეს ლოცვაი. ყველა დღეობებ რაიც ცროდ
იცოდეს, ამის შემდეგ კალოთანასაც დაიწყეს ის დღეობები. იქით წამასულმ
შიტუს მაიკიდ კოჭი. შიტუს სოფელ არ ას, აქ საზაფხულო სამთოი ას, მაგრამ
აქაც ააგეს კოშკიდ ზაფხულის აქაც მადიან სადღეობოდ კალოთანლებიდ ამ-
ღივნები, რაკი იმათ სამთოი ას. შიტუს ძალიან კა სადღეობო ალაგი, ვაკე,
სამთო ადგილიად, აქაც ათენგენას მიდიან. იქით წამასულ წინჭადუს დაჯდ,
იქაც სალოცავი. მემრ ბარის სანებას და იქაც კოშკ ააშენეს. ბოლოს, გოგო-
თურთ ბანის კანჭზე დაჯდად იქაც ილოცვენად აწმიდებენ ამ ბანს. აქ დია-
ცი არ გაივლის, როგორც არწმიდაი, კიდევ ზაის დაჯდად აქ სამკვიდროდ
დაარსდ. აქ აშენდ ყველა რაც ჯვარჩი წესი: ჭერობეღელი, დარბასი, საქვაბე.
გააჩინეს ლუდის დუღილიდ ყველა დღეობები აქ გადმაიტანეს, რაიც ცროლს

იცოდეს, გარდა ათენგენისა; ათენგენას კი მიდის ყველა ხალხი ცროლს, იქ მიავარ დღეობაი ას, რასაც ეძახიან ივარდის დღეობას. ვარდის დღეობას იძიო რო იმ დროს ზაფხული ასად ვარდიცად იაიც ყველა ყვავის ვარდის ყვავილობის გამო ხქვიან ვარდის დღეობა. ეს დღეობა დარჩ ცროლს, დანარჩენ დღეობებ ყველა ჩამაიტანეს ბარში ზაის.

წინავ ცროლს ყოფილ დარბასიცა, საქვაბეიც სანების ჯვარისაი. იქ უდენავ ჯადუელთაცა, კალთანელთაც, ზამთარ-ზაფხულ სადღეობოდ. იქ წასულს ხალხსავ არც სციოდისაოდ, არც ზვავ მაუვიდისავ. იქ ტყე არ ასად ზამთრის შეშა ვერცაით უზიდავად. ჯორცივ უცეცხლოდ დუღდისავ დარბასშიავ. საკლავ რო მიგვყვანდისავ, თოვლზედ ისრ გაიარისავ რო თოვლ არ გაუტყდისავ, იქ წასაყვან საკლავი ხალხს წინ თუ დაუდგისად თაოდ შაჯდის ცროლს ზამთრის. სხვაკანავ რო ქარბუქვ იყვისავ, იქავ თბილ იყვისავ, როსაც დღეობა იქნებოდ. იქ ყოფილ გამართული ყველაით — ქვაბი, საქვაბე, დარბასი, სუყველაი. წელწადში მეკვლეთაც იქ უდენავად მანამდენ იქით მეკვლენ არ მავიდოდეს ხალხ შინ ყოფილას პატიმარი. ცროლი ხევსურეთში ყველაზე მაღალი გადასასვლელია კავკასიონის ქედზე. ამ სიმაღლეზე არის სადღეობო ცროლი. ჯადუს სოფლიდანვე იწყობა აღმართი და ზედ კავკასიონის ქედის მწვერვალზე ადის. მეკვლეთ მიხქონივ მარტო სანთელიდ ღამე იქ უთენებავის. სიცივე არ სცოდნივ. ისეთ თბილად ყოფილასავ ხალხივ, რო მთელს ღამესავ ოფლ გადაზდიოდისავ. ჯელ რო მიგეხლათავ ქვაიც თბილ იყვისაოდ მიწაიცავ. მიხქონებივ სეფეები, როგორც მეკვლეთ წესიასად სეფეებზე დაკრულ სახთლებსავ თაოდ გაეკიდისავ. თუ ვინ წმიდად არ ნამყოფ მივიდოდად ან სოფელჩი ნამყოფს ნაღალატარ რა ვისად ექნებოდ, იმის სანთელს არ მეეკიდისავ ცეცხლიოდ მთელ მეკვლენ თუ მასთხოვდეს მადლსად შაეხვეწებოდეს. დალოცვილო წმიდაო სანებაო, აპატივევ, ზღვნითაოდ სანთლის გადააჯდიევ, ჩვენ ორთავ თავზდებნივ, ერთიანა შენ მეკვლე-პატიმარნივ. დამნაშავე უნდა გატეხილიყვ, მეკვლეთად ეთქვ თავის შანაცოდვარიდ ზოგს კი მაეკიდისავ ცეცხლივ იქავავ სანთელსაოდ, ზოგს კი აღარ მაეკიდისავ. სანების ჯვარ რახან მავიდისავ, განათდისავ იქაობაივ, თვალით კი ვერა-ი ვნახიდითავ, ნახისავ ან მკადრემავ ან ხუცესმაოდ იმას გამაუცხვდისავ თავის ბრძანებაივ. მაშინ ძალიან წამება ყოფილას, ძალიან სიწმინდე, ჯვარის ჯელკაცს არ შეეძლივყ დიაცის ახლოს გაევლ, ან დასტურსად, ან ჯელოსანს, ან ხუცესს. დიაცის ახლოს კი არად, რასაც გზაზე დიაცებ დადიოდეს, იმ გზაზ გავლაიც არ შაეძლიყვ, ხუცეს სრუ ცალკე იყვ ჭერხოჩი, იმის სამყოფოჩი ვერც კაც შავიდოდად ვერ დიაცი. ყველა დღეობაში თითო სანათლავ უნდოდ. ზოგში მეტიც. მემრ ეს წამება თანთან დაიკარგ, აღარ სწამდ ხალხსად ღვთიშვილიც თანთან აჯდ აღარც ჯორცმ დაიწყ უცეცხლოდ დუღილი, აღარც სანთლებს ეკიდებოდ ცეცხლი. ხალხსაც სციოდ, ქარბუქვისაგან ვეღარ დადიოდეს, დაანებეს თავი წვერს სიარულსად გაჩინეს დაბლა სალოცავი. ხოლოთ გაამწესეს წელში ერთხან დღეობა მარტო ათენგენას, რაკი მაშინ კა დროი ასა, ყველას შაუძლავ იქ ასვლაი. სხვა დღეობებს აქ იჯდიან, სოფლის გვერდზე რო ჯვარი. იმის მემრ მაიკარგნეს დარბასი, საქვაბეიც ცროლ, რო აღარც ვინ არ იცის სად იყვნეს, ვერც ვინ მიდიოდ იქ, სადაც ეჭვ იყვ. მაინც ამბობდეს რო საფარველ დაედვავ, ვეღარავინ იგებსავ. ერთხან ზვავმ კი მაიტან კარის ფიცარი. ერთ გვერდი ბობო-

ჩიკიანი (ბობოჩიკი: ძველად ხევსურეთში სქელი ფიცრის კარები იცოდენ. ამ კარებს ამოსვრიდნენ ორ აღგილას, ორივე ან სამივე ფიცარს, რამდენიც იქ-ნებოდა, გაუყრიდნენ პატარა ხის მკლავებს და გარედან ჩხირებს, ამას ეძახოდნენ ბობოჩიკით შეკრულ კარებს). ფიჭვის ფიცარ იყვ ძალიან სქელი, ერთ გვერდ კარისაიდ' საით რაკლა მაიტან, ისიც არ იყვ გასაგები, ვერავინ გაიგ. იმ ფიცარს ჯერ კი ინახევდეს ჯვარჩიად მემრ კი არ ვიცი სად წავიდ.

რაკი აღარავინ იცოდ სად იყვ დარბას-საქვაბე, აღარც კი ვის აკსონდ. მემრ ერთს მენადირეს, გუროელს კანათათ მანგიას დაღამებიყვ ნადირობაჩი. უჩინ ღამე ყოფილიყვად არ სცოდნიყვ სად იყვ. ეს ღგონებიყვ, შასულიყვ ღამითად და მდგარიყვ. სიზმარჩი მაშჩვენებიყვ თეთრცხენიან კაცი. თაოდაც თეთრი იყვავ, რო თვალთ არ იყრიდავ. მათრაკ ეკირავ ჯელჩიაოდ. წამამკრავ მათრაკის წვერივ—შენავ აქ რა გინდოდავ, რაად შამახვედივ აქავ. ამავ ღამეს უნახავ სიზმარში თავის ვერძი ოთხრქაი. უთქომ სიზმარში სხვა კაცს რო, ეგ ვერძივ აქ უნდა მაიყვანაოდ დახკლავ. რო გამაღვიძებივ მანგიას, ისით თბილად ვიწევივ, რო ოფლ გადამდიოდაოდ, გათენებულიყვავ კიდეცავ. ამ-დგარ მაშივ, მაუთხოვავ მადლიდ შაუთქომ ის ოთხრქა ვერძი, რო ზაფხულის აქ მავიყონაოდ დავხკლავავ. რო კარგად გასიანათლებულა, დაუაზრეოდ დარ-ბასში სადამ კი ვწეორავ თქვის მანგიამ. ყველა იყვავ განწყობლივ-სკამებივ, საცეცხლურივ, საკიდლეივ, ზედგანიც იყვავ. სუყველა გამართულობა იყვავ სპილენძის ქვაბ-ტაბლებივ. გაკვირვებულ დავრჩივ—აქ სად მავსულიარავ. გა-მოსულ იქითად უნახიან მეორე კარნი შასავალნი, შასულად აქ საქვაბე ყოფილ, გამართულ ქვაბ-საკიდელი. დიდი სალუდე ქვაბი, შეშანიც იქავ იყვნესავ ქვა-ბის ძირჩიავ (ანაბრივ აქ ზაფხულის მიხქონდ შეშა, ზამთარის კი არ მიიტანის რაკი აქ ტყე არცად არ ას), ლათბა, ტომარათ ჯელ-პირსაკრავები ყველა გა-წყობილ იყვავ. გამოსულ იქითაც, გაუგავად სანების ჯვარისად მოუთხოვავ მადლი, რომ მაპატიეევ რო შენს კარჩიად კამალაში შავარდნილორავ ღამის სიბნელის გამო თაოდ ათენგენას ჩემი ოთხ რქაით ვერძით აქ შამავკდებივ. წასულ აქითად ათენგენას მავიდავ მანგიათით, იციოდიან, ერთივ ოთხრქა ვერძ მაიყვანაოდ ერთიც სხვა ზღვენ მააყოლვ. მემრ უუბნავ ჯვარის გამძღოთად ყველა, რაიც გადახჯდ თავს. მაგრამ ის კი ვეღარც იმას გაუგავ, რომენჩი იყვ ან დარბაზსიდ, ან საქვაბეი. ამბობენ რო საფარველი მძესავ ხთიშვილთაგანა-ოდ ვერცვის ვერ შაუძლავავ იმის ნახვაიოდ' გაგებაივ.

სხვა ჯევსურეთთავ მაკლულზე, ზვავისად წყლის მაკლულზე, ყველგან მიხყავ კოპალის დროშა სულის საკსნელად, ჯადუის კი ეს არ უწესობს, აქ კოპალას არ უნდა მაყვანა: სანების ჯვარის ყმა სრულ თავისუფალი— ას დეევეკერპთაგანაც, ეშმაკებისაგანაც. იმის ახლოს გავლა არ შაუძლავ არცრას, ეშმაკს ნება არ აქვ, რომ სანების ჯვარის ყმას თუნდა ქალსად თუნდა კაცს ზიან რა მიაყენას. ამით თავისუფალი სანების ჯვარის ყმებიდ არც კოპალაის დროშას ავლევენ, როგორც სხვა ჯევსურეთ პირიქი-აქათ ყველკან. თუ სა-ნების ჯვარის ყმას დაეხედვ რაი ეშმაკისგან, ან სხო ბირკოლ რაი, მაშინ დასაკმარებლად სანებას ცეცხლის გირკალი აქვ: შამასძახნებს თავის ყმაი, თუ უყმო ყმაი, მაშივ იქ გაჩინდებისად' გაანადგურებს ცეცხლის გირკალი. საითაც უნდა შამაძახნას, სანების ჯვარი ყველკან გაიგებსად' დააკმარებს თავის ცეცხლის გირკალს.

წმიდას სანებას ხყავ მოძმეები: 1) თავი ას მ ფ რ ი ნ ა ვ ი ა ნ გ ე ლ ო ზ ი, თ ე თ რ ი ს ა ნ ე ბ ა ც რ ო ლ ი ს წ ვ ე რ ი ს ა, 2) ს ა ჯ ა ნ გ ე ს უ ნ ჯ ი ს ა ნ-გ ე ლ ო ზ ი. ეს გველის აღით ასასად ძალიანაც საშიში თუ გამწყრალი ხყავ კაცს, 3) გ მ ი რ ი ა ნ გ ე ლ ო ზ ი ბ ა ტ ო ნ ი ს ა ნ ე ბ ა ი. ეს ი ას ღორის აღი-თად იმთენად საშიშ არ ას. საშიში სამავნეოდ გველის აღით რომელნიც ას, ისი თუ ვისაზე სანება გამწყრალი, იმას მიუსევს. იმას ხალხის დაჟჯის მეტ არა ევალების. ასეთებივ ხყავ დობილებიც ქალის სახით, ყმაწვილების სა-ხით, ღორის სახით, გველის სახით. ესეები ყველა ბევრ-ბევრნი ხყონად ზოგ-ნი მარგებლად, მავნედ რომენნიც ხყონ, ისენი მავნებლობის მეტს არას უკე-თებენ: ვისაზედაც უბრძანებს სანებაი, იმას გადაეკიდებიანად' თუ სანება არ უბრძანებს, სრუ გაანადგურებენ კაც-საქონიანად. თუ სანებას მიღმადლესად' იმის გულ მიიკერძეს, მაშინ კი სანება დობილთ უბრძანებსად' მააშორებს, მაშინ სანებასაც საკლავ უნდა მიღგვარანად' დობილთაც. ის რო საკლავებს დახჯოცს, მემრ დობილთ უბრძანებს სანებაი, მავნეთ მააშორებს, მარგე დო-ბილთ გაუგზავნის სანებაიდ, მაარჩენიებს აოდ მყოფს. დობილთ თხასაც უკვლენად თიკანსაც. ხოლოთ თავხთიშვილს თხა-თიკან არ ეკვლის .ან ცხვა-რიდ ან ჯბო-კურეტი, ან ჯარი-ღირსეულ საკლავ უნდა დაიკლას. ან შასწირ-ვენ ძვირფასს რას, ან სპილენძის ქვაბს, ჩხუტს, ან ვერცხლის თასს, ან დრო-შათ სამკაულს რას, მაგ., ბაღდადს, ზარს, ვერცხლის ბურთვსად სხვა. დო-ბილთ კი არც ეკვლის, არც ჯბო, არც ჯარკურეტი, არც მამულ ეწირების, არც სხო სამკაულ რა.მარტო სადობილოი აშალიდ ან ცოტცოტეებ ქადისკვერები; ზედ სანთელს დაანთებენ, ამას სადობილო ხქვიანად ამით კმაყოფილდებიან დობილნიც.

4. სოფელ უკანჯადუს ადგილისდედა გუნდარი, ქერაულებისა და რკინაულების სალოცავი

„აქ სოფლის შუაში ას სალოცავად ადგილისდედაი. (ადგილისდედას ხევ-სურები ყოველთვის ილოცავენ სოფლის შუა ადგილზე, სოფელში რაც გინ-და უწმინდური და ნაგვიანი ადგილი იყოს. ხევსურებში რომ სოფელ'ში მიდიხარ ხშირად ადგილობრივი კაცი თუ მიგაცილებს, გეტყვის შუა სოფელში რომ „აქათაზედ გამაიარო, ამაგაში ადგილისდედაი ასად არ და ვდით ჩვენ". აქ თუ დაიკვირდები მაშინ მიხვდებით, რომ რაღაც ქვები აწყვია ერთიმეორეზე და რაღაც მნიშვნელობით არის დაწყობილი ეს ქვები. სხვაფ-რივ მთელი სოფლის უსუფთაობა რომ აქ იყრიდეს თავს, ამას კი არავინ აქ-ცევს ყურადღებას. ადგილისდედა ჩვეულებრივად სულ ასეთ ადგილზე ილო-ცება და ყველას თვალი აქვს შეჩვეული). ჯევსურეთ ადგილისდედა ყველკან ას, მაგრამ ეს ჩვენ ჯადუელთ ადგილისდედა ყველაზედ ავი ას. ერთ კაცი ყოფილ ძალიან ავი, რო იმის შიშით ჯევსურეთის ჭალაზე ვერვის უვლავ. ამას თუ ებრძოდ მთელ ხალხიდ' ვერას შჩებოდეს. მემრ იმას უთქომ, რომ მე რას ვინ გამამჩებისავ, მე კიდეც ვინ მამკლასაოდ, ჩემდ ისი ჯობავ. მე ხთის-გან მაქვავ მალოცვილივ, რო ცოცხალიც თქვენ უფროს უნდა ვიყვაოდ მკვდა-რიცავ. რასაც მე ვიტყვივ, აქაც ის უნდა შაასრულოთაოდ, რო მავკვდებივ ეს ადგილიც ჩემს სულს უნდა ჩაღბარდასავ, ესრ ასავ ხთის ბრძანებაივ. ხალ-

ხი ემორჩილებოდ იმის სიტყვასად ის კას კი არას ფიქრობდ ხალხზე. იმ კაცს სახელად გუნდარი ექვივნ. მაკვდ ის კაცი ბოლოს. რაიც ვის უფერ მაუვიდის ან დიაც-ყმაწვილითად ან საქონით, ყველას გუნ-დარის სულს აბრალებდიან. ის თქვიან რო კაცს დიდი ანგელოზი ხპატრონობსაო გუნდარის სულს იმთვენ ძალა არ ექნებისავ, რო კაცის ანგე-ლოზ მაეროოსავდ. დიაც-ყმაწვილსად საქონს კი რასაც გინდა უზამსავ იმის სულივ, რაკი არც დიაც-ყმაწვილს ხპატრონობსავ დიდ ანგელოზო, არც სა-ქონსავ. ამით საქონის სიკვდილსაც გუნდარის სულს აბრალებდესად' დიაც-ყმაწვილის აოდ გაჯდასაც. ბოლოს ხკითხეს მკითხავსად იმან იმკითხავა, რო გუნდარის სულივ გამიწრივლებული-ასაოდ ის უნდა ილოცავთა ადგილისდე-დადავ, ადგილისდედობა იმას აქვავ მასვენებას არ მისცემსავ საქონსაოდ' დიაც-ყმაწვილსაც მუსრს გაავლებსავ, მკითხავის პირით თქო გუნდარმ, თუ კომლზე სამ სეფე არ გამიმწესეთავ, სამ სანთელიოდ დეკეულის პირველა ჯბო თუ არ დამიკალითაოდ თიკანივ. იმის აქეთ დაიჯერეს ესიდ აოდ თუ ყმა-წვილ გაჯდ, მაშივ თიკანს დახკვლენ იქ, წელში ზოგ თითოჯერად, ზოგი მეტ-ჯერაც, ვისაც რაჯელ აქვ ნაქადები, იმოვენჯერ ანთებენ სეფე-სანთელს. თი-კანს აოდობაზედ უკლვენ — ზოგ მკითხავის თქმითად ზოგი თავის ჭკვით. დე-კეულის ხბოები ყველა იქ იკვლის. წინწინ რასაც ჯბოს გააჩეხს დეკეული, ში-იყვანენად გუნდარს დაუკლვენ; ადგილისდედობით კი ეძახან. მკითხავებიდ ხუცესები ხუცობაშიაც ესრ მააჯსენებენ: „გუნდარის ციხის მეწვერეო ად-გილისდედაო, ჯადუს მიწაწყლის მცაო, მფარაო". ისეთ ადგილზე კი ას ეს გუნდარის სალოცავ ალაგ, რო გასავალ-გამოსავალ არც კი ას ტალახისგან.

ერთხან ჯადუელთ ჯვარიონნი ბეგრის ასაღებად მივიდეს ხამხასად ღილ-ღვლებმ რაიმ აწყინეს საბძანსთან. გაწყრ სანების ჯვარის კიდობანჩიით ამახ-ტა, მაღლა დაჯდ. მახკრეს თვალ ღილღვლებმაცად ხალხმაც. ღილღვლებმ რო ნახეს, მაშინდესად მუკლ-მაყრით სთხოვეს პატივება, მაგრამ სანება ძალიან გამწყრალ იყვად წამავიდ, აღარ დადგ იქ, გამახყვ მკადრეიცად დასტურე-ბიც. რო მადიოდეს, წინ მაუძღვებოდად, უკენ ჯვარიონნ მახყვებოდეს. ნეთ-ხის კარ რო მავიდეს იქ ერთი ძალიან ლამაზ ღილღვლის ქალ შახვდ ჯვარი-ონთ, რომ იმისთანა ლამაზ ქალ მეორე არ იქნებოდ. მკადრე არ იყვ ხნიერ კაციდ ამ ქალზე გულში რაიცაღ ცუდ გაიფიქრ. აბა სანება გულთამხილავი ასად გაიგ ეს ამბავ, რომ ჩემმ მკადრემავ გულში ცუდ რაიმ იფიქრავ ქალ-ზედავ გაწყრად ამ მკადრესად სხვათ ჯვარიონთაც თვალშიით. გაუქრ ბევრ მადლი სთხოვეს, ბევრ ეხვეწნეს, მაგრამ მაინც გულ არ მაიბრუნად ახლოს აღარ მივიდ იმათთან, შორ-ახლოს კი ხანდახან თვალს მახკრევდესად მახყვე-ბოდეს უკენ[8].

5. ცროლის ანგელოზის ჯვარი, სოფ. უკანჯადუ

ჯვარი სოფლის განაპირა მთის შეფენებაზე მდებარეობს. მოიცავს მრა-ვალ შენობას, რომლებიც მოთავსებულია ხშირ იფნის ხეებს შორის სოფლი-დან სამხრეთ-დასავლეთით.

---

[8] M^3 რვ. 1, გვ. 1—3; რვ. 4, გვ. 56; რვ. 9, გვ. 172; რვ. 10, გვ. 203—206; 208—210, 212—213, 215—218.

1. დარბასი, დარბასის კარით, 2. საქვაბე, საქვაბის კარით, 3. საკოდე, 4. საჯელოსნო, 5. საწოლა, 6. საჯარე, 7. სადროშაე კოშკი, 8. კოშკი I, 9. კოშკი II, 10. კვრივი ცალკე გალავნით, 11. გალავანი ყორისა.

საქვაბე (ტაბ. 61) შესასვლელი კარი სამხ.-დას. კუთხეშია. დას. კედელთან, კარიდან ვიდრე საკომამდე სიპებში („სკამი") ჩასმულია სპილენძის ლათბა (3,33 მ×0,59 მ).

სიპების სიმაღლე ქაზდარიდან 34 სმ, სიგანე 46 სმ სიპების ზემოთ, ჭერებზე ჩამოკიდებულია 7 საკიდელი, ერთ მათგანზე ცოცხი ჰკიდია. ამავე სიპებზე აწყვია ტომარა კარგად გათლილი შვიდი ჩხირი ხისა, ძირმოკერებული სპილენძის თუნგი, ხის ჯამი, პატარა უენო ზარაკი, პატარა ღრმა ხის ჭურჭელი, ხის ამოსახვრეტი ნამგალივით („შალფი"), ხის ჩხუტი, ხის ჩამა, რვლის ჩხუტები, სამფეხა ტაბლა ხისა, რვლის დაბალი სამფეხა ტაბლა, ორნამენტირებული.

ჩრდილოეთის კედლის ცენტრში გამართულია კულა, მის წინ სიპების სკამია გაწყობილი, რომლის ჭეროზე ხის ყავარჯენი დევს (რომლის სიგრძე 1,36 მ, ტარის სიგანე კი 18 სმ), ტარი რკინისაა. შესასვლელი კარის თავზე „საკვამია", აქვე დგას სასისწვნე ხის ჭურჭელი; ჭურჭელს ლათბაში ჩადგამდნენ, შიგ ტომარას მოათავსებდნენ და წვენი სუფთა გავიდოდა ცენტრში, ცეცხლის თავზე „სალამფაეა" ჩამოკიდებული, ჩანგალი საცეცხლურით.

ჩრდილოეთის კედელთან დგას დიდი ზომის სპილენძის ქვაბი, რომელზედაც ხის ღარია გადებული. წყლის გამოსაშვები შუკუმი ქვაბის უკანაა, ღარს გასდებენ ამ შუკუმიდან, მეორე ბოლოთი კი ქვაბში ჩაუშვებენ. ქვაბი ქვებზეა შეყენებული. აქვეა საზომი ჭკდე ხისა (2 ცალი), აქვე პატარა პირიანი, ლუდის ამოსაღები ცილინდრული ფორმის ტარიანი სპილენძის ჭურჭელი — „საკოდზედო", რვლის „საწველელი" (ვედრო), ლანგარი სპილენძისა, საწყაო ხისა, მრგვალი ერთფუთიანი; რვლის მაღალი თასი, „სანაბარშე" ხელქვაბი. კონჩხა ხისა (კოშსა ჰგავს).

საქვაბის წინ საქვაბის კარია, დასავლეთიდან საკოდეს კარი, მის მარცხნივ კი საჯელოსნო (ტაბ. 61)— ეხლა ჩანგრეულია. შესასვლელი კარი ფიცრებისაგანაა. საკოდის კარი სამხრეთის მხარესაა. აქაა ქვაქი, ჩხუტი რვლისა, 5 ჩხუტი ხისა, ხის დიდი კასრი, ჭაჭუნაიან ჩხუტი დიდ პირიანი (ჭაჭუნას მის პირს უწოდებენ).

საკოდესა და საჯელოსნოს დასავლეთის კედლის გაყოლებაზე არის საწოლა და საჯარე (ტაბ. 62), ორივე დანგრეულია.

საკოდის ჩრდ.-დას. კედლიდან ზემოთ, მთის ამაღლებაზე დგას დარბასი (ეს ბეღელია და არა დარბასი ვ. ბ.) (ტაბ. 63), ორფერდა სახურავით (6-სიპერდიანი) მოგრძო ფორმისა, წინ თეთრად შელესილი. ზემოდან ორი გამოწეული დიდი ოთხკუთხა ქვა ადევს. შესასვლელი კარის წინ ამაღლებული ადგილია კედელში, მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს გამოწეული სიპებია დალაგებული. აქვე გდია ზარი წარწერით: „ქ. შემოგწირე მაღალ მთის წმიდას სამებას ხირსილა შვილებმა აპარეკამ და აბამ და კურდღელა-შვილებმა ვეფხიამ და აპარეკამ".

კარები ორი ხისაგანაა ხისავე ლურსმნით დაჭედილი. ფასადზე მარჯვე-

ნა კედელში, დაბლა, პატარა შუკუმია. დარბასის ჩრდილოეთის კედლის ცენტრში ორი შუკუმია — ქვედა — დიდი, ზედა — უფრო პატარა. მათ ორივე მხარეზე აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლებამდე, ორ-ორი სიპია თაროსებურად კედელში დატანებული. ამ კედლის კუთხეებში გვერდიგვერდ ორი შუკუმია, ასეთებივეა ამავე კედლის მეორე მხარეზედაც, რომელთა ზემოთ ისევ ერთი გრძელი სიპია თაროსებრად გადებული, დასავლეთის კედელში აღნიშნული შუკუმების პირდაპირ კიდევ ორი შუკუმია გამოჭრილი. ასევეა დასავლეთის კედლის ბოლოშიც.

დარბასის ჩრდ.-დას. და აღმოსავლეთის მხარეს სიპებისაგან საჯდომებია კედლების გასწვრივ გამართული, რომელზედაც დგას სამფეხა ორგანყოფილებიანი ხის სამწირველო, რომელიც ჩირდილის სამწირველოსნაირია, ოღონდ უკანა კედელი არ აქვს დაჭრელებული, იგი 6 ერთმანეთზე მიდგმული პატარა ფიცრისაგან არის გაკეთებული. აქვე დგას კვადრატული ფორმის ოთხფეხა „სამწირველო" (?) ესეც ხისაა, რომელსაც ზედაპირიდან ოდნავ ამაღლებული გვერდები აქვს და დაჭრელებულია. აქვე დგას დამტვრეული ტაბლა და გატეხილი ქვაბი სპილენძისა, სპილენძის ძველი კოშკი.

ს ა დ რ ო შ ე კ ო შ კ ი (ტაბ. 62) წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის ორსიპერდიან შენობას, რომლის ფასადზე ორი პატარა ნიშია, ჯიხვის რქებით. შენობა კვრივად არის ნაგები.

დარბასის ზემოთ დგას წაკვეთილი პირამიდის ფორმის 7-სიპერდიანი შენობა, რომელსაც დიდი სარკმელი აქვს ფასადის მხრიდან.

ამ ჯვარში სამი დღეობა იყო. 9-დან 12 თასამდე იდგმებოდა. ახალწელიწადს 16 ქვაბი ლუდი იხარშებოდა. თითო ქვაბში 8 ჩხუტი ჩადიოდა. თითო ჩხუტი თითო ფუთი იყო. წელწადს 8 დასტური ემსახურებოდა უწინ, პირველად კი 2 დასტური იყო. ოთხი დროშა ემსახურებოდა. 3 დროშა მგზავრი დროშა იყო, ერთი აქ რჩებოდა მუდამ. მარტო დიდ დღეობაში: აღვსებას, ამაღლებას, ათენგენობას, ახალწელს „გამოაბძანებდნენ" დროშას.

ორი-სამი ჭევისბერი ყავდათ, ჭელოსნები კი 16 იყო. მომიზეზებით იყო ჭელოსნები. „მისამბარეო". ან მაღლა წვერზე, ან აქ დარბაზის კარზე იყო. ქალები ჯაჯმატში დადიოდნენ. ვაჟი ნახევარი წლისაც გაინათლებოდა. „მისამბარეოს" ერთი თოხლი და ერთი ჭედილა უნდოდა; ადგილზე რჩებოდა როცა ჯვარიონი იყო. მერე როცა აქ არავინ იყო, უკან მიგვქონდა.

ბ ე ღ ე ლ ი ც (ტაბ. 63) და კ ვ რ ი ვ ი ც ქისტების აშენებულია. ხოდაბურები თითო დღიურია. მესამედი სახლში რჩებოდა. ორი მესამედი ხატში მიჰქონდათ.

„ც ა-ღ რ უ ბ ე ლ თ ა" ხატია ცროლის ანგელოზი (უკანჯადუში). ზეისტეჩოელები გუდით გველ-მყვარს სოფელ ხადუს მთას იქით გადაყრიან — გადიდარებსო. ამისათვის მთელი ხევსურეთი ზეისტეჩოელებს თითო სროლა ქართული თოფის ტყვია-წამალს აძლევდა.

„სანება წმ. გიორგი"

„სანება ხჭკაზმებს ზერდაგსა (ცხენი),
სამშუარსა, სამის ფლისასა,
დაახვევს მასართავებსა,
წითელის ატლასისასა,

აღვირ-ავშარას ამასდებს,
წვრილ-წვრილის მასკვლავისასა,
ზედ თაოდ გადაბრძანდების,
კიდურს აპეხებს ცისასა.

საველგუჯაუროს წინკადუელთა და ბარისაჯოს ბარისაჯვათა „შიგათა ჯვარი“. წინკადუს სახების ჯვარი „ძიგათა ჯვარია“ წინკადუელების ველგუჯაურთა და ბარისაჯოს ბარისაჯვათა. ბარისაჯვანი ამ ჯვარს (წინკადუვლებთან ერთად) სადასტუროში უდგანან. მთხრობელი ბარისაჯოელი 81 წლის ადუა გამახელას ძე არაბული.

6. სახმთო ჯვარი, სოფ. ზეისტეჩო

ზეისტეჩოს სახელწოდებით გაერთიანებულია 5 სოფელი: უსტამალაე, ორბეულთა, ჭიღონი ანუ ჭალისოფელი, ესაჩუ და კორიელი (ამჟამად ეს სოფლები თითქმის სავსებით დაცარიელებულია). მაგრამ ძველად ზეისტეჩოელები ასე გაფანტულად სხვადასხვა სოფლებში დასახლებული არ უნდა ყოფილიყვნენ, როგორც ამას შემდეგი ფაქტები გვაფიქრებინებს.

1. ზეისტეჩოს ჯვარი გაშენებულია მისი სოფლებიდან რამდენადმე დაშორებით, მიკრორაიონის ცენტრალურ ადგილას მდებარე, მეჩხერი ტყით შეფენილ, მთის ფერდის კალთაზე. ამ ჯვარს ზეისტეჩოს სოფლები არტყია ჩრდილოეთიდან, ჩრდ.-აღმ-დან, სამხრეთიდან და სამხ.-აღმ-დან. ჯვარის საკულტო და სამეურნეო ნაგებობანი ზურგით მიბრუნებული არიან დასავლეთის მხარეს, სადაც ზეისტეჩოს მთაა აღმართული. ყველა მხრიდან, გარდა ამ დასავლეთის მხარისა, მთის კალთა ღიაა, ფართოდ გაშლილი ვაკეა. ზეისტეჩოს ჯვარს ამ ვაკისა მხოლოდ მთის ფერდობისაკენ მდებარე ნაწილი უჭირავს, სადაც მას შემოვლებული აქვს მშრალად ნაგები ყორის გალავანი, ამგვარად, ჯვარი იფარგლება მთის კალთის ამ ღია მხრიდან და აი სწორედ აქ, გალავანს გადაღმა და ნაწილობრივ გალავნის შიგნით (სამხრეთ მხარეს), მრავალი ძველთაძველი ნასახლარია — აწ შამბნარით დაფარული ოღრო-ჩოღრო ადგილები სახლების დაქცევას, მათი საძირკვლამდე ჩაშლას გაუჩენია.

2. საყურადღებოა ამ ვითარებასთან დაკავშირებით ხალხური გადმოცემა, რომელიც ჩვენთვის ადრიდან ცნობილი იყო და ახლაც მოვისმენთ ადგილობრივი მთხრობელისაგან. გუდანში სამაგანძუროს გაყრის შემდეგ არაბულის გვარის ხალხი ყველა ზეისტეჩოში გადმოსულა და ამ მთის კალთაზე დასახლებულა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ზეისტეჩოს ჯვარს ისინი აუყრია აქედან — ჩემს მახლობლად ნუ ხართო. ზოგი ზეისტეჩოს მიდამოში გადასულა და იქ გაჩენილა სოფლები; ზოგი ხევსურეთის სხვა ადგილებში გადასახლებულა. რაც რომ არაბულებია ხევსურეთში და მის გარეთ, თავდაპირველად ყველა ისინი (ნამდვილად კი ივარაუდება: არა ისინი, არამედ მათი წინაპრები) ზეისტეჩოდან გაყრილებიაო, მოგვითხრობს ეს გადმოცემა.

3. ძველ ნასახლარებს შორის (ჯვარის გალავნის გაღმა) გაშენებულია ადგილისდედის კოშკი (ტაბ. 64) ეს მანიშნებელი ფაქტია იმისა, რომ ზეისტეჩოს ძველი მოსახლეობის ადგილსაცხოვრისი მართლაც ამ ნასახლარებში უნდა ყოფილიყო, რადგან ხევსურეთში, როგორც წესი, ადგილისდედის საკულტო ძეგლი შიგ სოფელში იყო და არის ხოლმე გაშენებული.

4. ჯვარის გალავნის გადაღმა, მთის დავაკების პირზე ერთმანეთის პარალელურად ნაგები სამი კედლის ნაშალია და მათგან ოდნავ დაშორებით, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს დგას, თავმონგრეული ციხე, რომელსაც „საარაბულოს ციხე“ (ტაბ. 64) ეწოდება. ხალხური გადმოცემით ეს ციხე ზეისტეჩოს ჯვარის გალავნის გარეთ, მთის კალთაზე მცხოვრები—არაბულებისა იყო.

ჩამოთვლილი ფაქტები (ზეისტეჩოს ჯვარის გალავანთან და მის გადაღმა ძველი ნასახლარები, გადმოცემა რომ არაბულები ძველად ზეისტეჩოს ჯვარის მეზობლად სახლობდნენ და რომ აქედან ისინი ჯვარმა აყარა და აიძულა ჯვარის მომიჯნავე ტერიტორიაზე ხელი აეღოთ, და მოშორებით გადასახლებულიყვნენ, ნასახლარების განაპირას ციხესიმაგრის არსებობა, რომელსაც „საარაბულოს ციხე“ ეწოდება და რომელიც ძველი დროის არაბულების სიმაგრედ არის მიჩნეული, და, ბოლოს, ადგილისდედის საკულტო ნაგებობის——„კოშკის“ არსებობა ამ ძველ ნასახლარებს შორის) საკმაო საბუთებია, მაუწყებელი იმისა, რომ უძველეს დროს არაბულები ზეისტეჩოს ჯვარის მეზობლად სახლობდნენ, სადაც მათ საგვარო ციხესიმაგრე ჰქონდათ აგებული სათვალთვალო ადგილას, ხოლო შიგ სოფელში — წესისამებრ, ადგილისდედის კოშკი იდგა. მაშასადამე, ზეისტეჩოს ჯვარის განმარტოებული მდებარეობა ამ მიკროარაიონის სოფლებიდან როგორადაც ჩვენ ამას დღეს ვამოწმებთ, შედარებით გვიანი დროის განსახლების ამბავი უნდა იყოს.

ზ ე ი ს ტ ე ჩ ო ს ჯ ვ ა რ ი, რომელიც „საღმრთოობით“ მოიხსენიება, შემდეგ ნაგებობებს მოიცავს: ბეღელი საკოდითურთ, საქვაბე, ჭერო ანუ საჯელოსნო, ჯვარის კარი, კვრივი და ჯვარის გალავანი.

ჯვარის ბ ე ღ ე ლ ი, დ ა რ ბ ა ზ ი და ს ა ქ ვ ა ბ ე (ტაბ. 65, 66) მწკრივად ერთ ხაზზე არის გაშენებული. მათი მთავარი ფასადი აღმოსავლეთ მხარეზეა. სამივე თვალი ლამზეა ნაგები ნაგლეჯი ქვისაგან, ხოლო დარბაზი შიგნიდანაც ლამით არის გალესილი.

ბ ე ღ ე ლ ი (ტაბ. 66) მოგრძო ოთხკუთხი შენობაა. ძველად მას სიპერდიანი ორფერდა სახურავი ჰქონია: სიპერდები ეხლაც კარგად შეიმჩნევა, თუმცა ზემოდან მათ ორფერდად თუნუქის გადახურვა აქვთ. საყურადღებოა, რომ ამ ბეღელს ჩვენმა გამყოლმა ვანო ოგბაიძემ „ეკლესია“ უწოდა. საფიქრებელია, რომ მან ეს სახელი ბეღელს შეარქვა თავისი სოფლის ჯვარში არსებულ ეკლესიასთან მისი მსგავსების გამო[9].

ბეღლის ჩრდილოეთის კედელში გაჭრილია დაბალი შესავალი ხის კარით; ხოლო აღმოსავლეთ ფასადის მხარეს აქვს „შუკუმი“, მარცხენა კუთხესთან დამაგრებულია ოთხი შეკვრა „ზანზალაკებისა“, საერთო რიცხვით 24 ცალი[10]. და, აქვე, მთავარი ფასადის კედელში ჩატანებულ ძელზე ჩამოკიდებულია დიდი ზარი ქართული წარწერით: „შემოვწირე თემისა ფულითა ზეისტეჩოს სამხთოს ბაბოა აბა შვილი სამი თუმანი ფასი ბათირა გუა ჯან შვილი (ny 13. 1. 4).

---

[9] იხ. აქვე ქვემოთ უკანაკოს ფუძისანგელოზის ჯვარის კომპლექსში წარმოდგენილი ეკლესიის აღწერილობა.

[10] ზანზალაკებს ჯვარში მოყვანილ მოზვრებსა და ცოჩებს კისერზე აბამდნენ (და ეხლაც აბამენ) და მათი მსხვერპლად მიტანის შემდეგ აქვე ჯვარში სტოვებდნენ.

ამას გარდა, ბეღლის ფასადს ამკობს ნადირის რქები — ჯიხვისა 3 ცალი და ირმისა 1. ბეღლის ჭერი სახურავს იმეორებს, ე. ი. ისიც ორფერდაა, აქვს ორი გვერდითი თავხე და 8 ცალი ჭერი.

ბეღელში დგას ორი „ტაბლა" — ერთი რვლისა, მრგვალი, სამფეხა და მეორე ხისა, მოგრძო, ოთხფეხა. რვლის დიდი, მრგვალი და ოთხფეხზე შეყენებული „ტაბლა" დარბაზშიცაა. თითოეული მათგანი ე. წ. „საწირის ტაბლას", „სამწირველო ტაბლას", ანუ „ჟამსაწირის ტაბლას" (ტაბ. 64) წარმოადგენს. ბეღელში ხუცესი მარტო „წელწადსა" და „ათენგენას" შედის, იქ რვლის ან ხის ტაბლაზე თასებსა და ქადებს გააწყობენ და ხუცესი იხუცებს. სხვა დღეობებში ბეღლის კარი არ გაიღება.

ზეისტეჩოს ჯვარიდან დროშის „გამაბძანება" მარტო ათენგენას და „ღამისთევებში" იციან. ჯვარს აქვს სამი დროშა, ჰყავდა ოთხი ხუცესი და ორი მედროშე (შდრ. ძველ მასალებთან).

დ ა რ ბ ა ზ ი საკოდითურთ და საქვაბე მოქცეულია ერთი საერთო სახურავის ქვეშ. სახურავი საბძლური ტიპისაა — ორფერდა, გადახურვის მასალა თუნუქია. ორივე თვალს კარი გაჭრილი აქვს მთავარი ფასადის კედელში. კარის ჩარჩოს გვერდები — „კოჭაკები" და თავი — „კარასტე" ხისაა, ხოლო „ზღურბლი" ქვისაგან ნაგებია. დარბაზის ჩარჩოს მარჯვენა კოჭაკზე ხის კარი ჰკიდია. საქვაბის შესავალი კი უკაროა, რის გამო ჩვენი იქ მისვლის მომენტში საქვაბე ხარებით იყო გამოვსებული.

დარბაზში სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის კუთხესთან „საკვამია" და თითო-თითო „შუკუმი" სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებში. ამათგან ჩრდილოეთის მხარეს მოთავსებული „შუკუმი" ფაქტიურად დარბაზ-საქვაბის შუა აღმართულ კედელში გაჭრილ სარკმელს წარმოადგენს.

დარბაზში დასავლეთის მხარე, ვიდრე კედლამდე, საკოდეს უჭირავს. საკოდეს აქვს მიწაყრილით ამაღლებული „ქასდარი" და მარტო ამ ამაღლებული ადგილმდებარეობით გამოიყოფა დარბაზისაგან. საკოდეში მოთავსებულია ხის კოდი, სალუდე, „ქვაბის სარევი" და სხვა სალუდე იარაღი და ჭურჭელი.

დარბაზის ცენტრალურ ადგილას მოწყობილია „ყვერფნი" ზემოდან ჩამოკიდებული „საკიდელით", რომელიც კეზზე არის მოხვეულ-დამაგრებული. „ყვერფთაზე" ამჟამად დადგმულია თუჯის ღუმელი, რომელიც უკანასკნელ ხანს ჯვარებში ყვერფის ფუნქციას ასრულებს. ყვერფის გარშემო აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების გასწვრივ ქვებზე დაყუდებული სიპების მერხებია, ე. წ. „სკამები", ხოლო დასავლეთის მხარეს ასეთივე „სიპების" სკამი გაწყობილია საკოდის ამაღლებული „ქასდარის" ნაპირზე, მის მთელ სიგრძეზე. კერის მახლობლად ჭერზე ჩამოკიდებულია თეთრ თავსაფრებში გახვეული ორი ფუთა. ფუთებში გამოკრულია სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ხელსახოცები („სამკაედროები") და ერთი თანამედროვე ყანწი ნაპირზე თეთრი სპილენძის სარტყლით დამშვენებული. დარბაზში ჭერებსა და სახურავს შუა გარჭობილია სამი დროშის ტარი ხისა, ერთ-ერთი „ჭოპოშრით" (მსხვილკბილანებიანი ქლიბით) დაჭრელებული, სიგრძით 166 სმ. მეორე დროშის ტარი სიგრძით 147 სმ და მესამე სიგრძით 135 სმ. „შუკუმებში" შეწყობილია სპილენძის თასები სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის.

კარებთან აღმოსავლეთის კედელზე მიუუდებულია ორი ხის „ჭელტაბლა“, იქვე დგას ოთხ ფეხზე დაყრდნობილი მოგრძო, ტაბლა და ოთხ ფეხზე დაყრდნობილი მოგრძო, ხისავე „ტაბლა“. უწესრიგოდ, სხვადასხვა ადგილას „სკამებსა“ და „ქასდარზე“ აწყვია: სპილენძის დიდი თასი, სპილენძის დიდი ქიტი (მთხრობელი ვანო ობგაიძე განმარტავს: „ქიტს“ რომ ვიტყვით—სპილენძისაა, ხისა რომ იყოს „კოში“ ერქმევა), დაღესტნური ტიპის (სახელურიანი) სპილენძის ქვაბი, რომელსაც ვანომ „ჩხუტი“ უწოდა, სპილენძის „ქიტი“ საშუალო ზომისა, სპილენძის „კასრი“ ტარიანი, ასეთივე ფორმის ოღონდ მომცრო „სამწდეო“, სპილენძის „ბაკანი“, „ჭელთქვაბი“, „კირჩხა“ — კაპებიანი ხე, ხის „კოკოშა“ ორტარიანი, „ქვაბის სარეევი“ ხელტარის ბოლოზე წამოცმული სპილენძის ნიჩბით, მდარე ვერცხლის პატარა „მაღალა“, ორი ცალი დროშის წვერი— ერთი ძველი შუბი, მეორე ახალი შუბის ბოყვანილობის ლითონის რკალი მასში ჩასმული ლითონისავე საბჭოური სახელმწიფო ღერბით (ნამგალ-ჩაქუჩი და ხუთქიმიანი ვარსკვლავი).

ს ა ქ ვ ა ბ ე (ტაბ. 65) რომელიც დარბაზს აკრავს მარჯვენა მხრიდან, გამოვსებულია სპილენძისა და ხის სხვადასხვა მოყვანილობის სალუდე და საარაყე ჭურჭლით. მის ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ სპილენძის „ლათბა“ არის მოწყობილი, იქვე ხის ჩამა „საწყაავი“ (რომელშიც, ვანოს განმარტებით, 2 „გვერდა“ ფქვილი ჩადის), ხისავე „ჩხუტი“, სპილენძის „ჩხუტი“— დაღესტნური ტიპის ძველი ქვაბია პირზე ორ მოპირდაპირე მხარეს გამაგრებული, ოვალური მოყვანილობის სახელურით, „თასი“, „თეფში, სპილენძის კასრი — ვანოს თქმით, „ჩხუტად ჩაითვლება“ (ე. ი. ჩხუტის ფუნქცია აქვს მინიჭებული), სპილენძის (სპილენძისავე ლურსმნებით შეკერილი)“ „წყალსაზიდი ქვაბი“, რელის სამწდეო“ სპილენძის „თასი“, ხის „ჩამა“, „სპილენძის დიდი“ „ქიტი“, 7 ცალი „ტომარათ ჩამოსაკიდები“, 3 ცალი „ჭუჭკანი“, 2 წყვილი „ტომარათ კედები“, „ლუდის სარეევი“, „ჩანგალი“ (ხორცის ამოსაღები ქვაბიდან), საქვაბის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში „თავსადებ ხეზე“ ჩამოკიდებულია „სალუდე ქვაბი“ და იქვე „შუკუნში“ დევს „ტომარათ ჩხირი“.

საქვაბის კედელში გარედან, მთავარი ფასადის მხარეს, შერჭობილია „ჩრაქვი“ — ერთი კონა არყის ხის ქერქი, რომელიც გასანათებლად და ცეცხლის დასანთებად იხმარება, და კვერი ანუ ჩაქუჩი.

დარბაზისა და საქვაბის თავზე მათ საერთო ორფერდა სახურავის ქვეშ ე. წ. ჭერია მოწყობილი. იგი წარმოადგენს „საკელოსნოს“, სადაც დღეობებში ღამ-ღამობით, პირდაპირ მის ქაზდარზე დაფენილ თივაზე „ჭელოსნები“ იძინებენ ხოლმე. ადგილობრივი მთხრობლის თქმით ზეისტეჩოს ჯვარს 40 ჭელოსანი ჰყავს.

ბეღლის, დარბაზისა და საქვაბის მთავარი ფასადის წინ ამ ნაგებობათა მთელ სიგრძეზე მოსწორებული მოედანია— ე. წ. ჯ ვ ა რ ი ს კ ა რ ი. იგი (ღია) სამი მხრიდან შემორაგულია ხის მეჩხერი ღობით, რომლის დიდ ნაწილს გარედან იფნები და შამბნარი ფარავს. ჯვარისკარის სამხრეთ ნაპირზე, ბეღლის ფასადის გვერდით ამოსული ახალგაზრდა იფნის ტოტებზე ჩამოკიდებულია წყვილი ოთხ-ოთხრქიანი ვერძის თავის ქალა, ორი ნარი და თეთრი თავსაფარი. ესენი ზეისტეჩოს ჯვარს შესწირეს სამიოდე წლის წინათო—

განგვიმარტა ადგილობრივმა მთხრობელმა მახარამ. ბეღელსა და დარბაზს შუა ჯვარის კარზე „სასაკლაოა“ სამსხვერპლო ცხოველებისა. „სასაკლაოსთან, რომელიც ცხოველთა სისხლში არეული, გამხმარი და გაშავებული ნიადაგით გამოირჩევა, — ნაგლეჯ ქვებზე დაყუდებულია დიდი, რამდენიმე მომრგვალებული სიპი, რომელზეც ჯვარის ყმის მიერ საკლავთან ერთად მოტანილ ქადისკვერებს (და არაყს) აწყობდნენ და ხუცესი მათზე ხუცობდა (—ჯვარს მაიკსენებდა). ამ სიპს ვანო ობგაიძემ შეცდომით „კევისბრის შესაჯდომი“ (ტაბ. 67) უწოდა და განმარტა — ჩვენი სოფლის (ე. ი. უკანაჯოს) ჯვარში ამ სიპზე ხუცესი შაჯდების და საკლავს შაუსახელებს. ამ დროს სიპის წინ — „სასაკლაოზე“ დასტური და საკლავის მამგვრელი ცალ მუჯლისკვერზე დგანან საკლავის აქათ-იქიდან და საკლავი ჯელთ უჭერავთ. ხუცეს რო საკლავს მააკსენებს, სიპიდან ჩამოჯდების და საკლავს დახკლავს.

ჯვარის კარზე დარბაზის კედლის გასწვრივ კარიდან ვიდრე კედლის კუთხემდე სიპებისაგან ნაშენი „სკამია“. სკამზე დევს დაჭეჭყილი ალუმინის ქვაბი და კუსტარული ხელობის ზარი ქართული წარწერით: „ქ. შემგწირე ხოდაშნის წმდა მარინეს სირაჯი ბეჟანას ბარბარემა მოსახსენებელთ სულთა ჩემთათვნ ჩყკგსა“ (1823 სა).

ჯვარის კარზევე საქვაბის ჩრდილოეთის კედელთან დევს „ჩაფი“ — სისწვნის საწურავი, რომელიც ხმარების პროცესში საქვაბეში ლათბაზე იდგმება ხოლმე. აქვე ჯვარის კარზე, საქვაბის კარის ჩარჩოს პირდაპირ პირქვე დაყუდებულია ხმარებიდან გამოსული სალუდე ქვაბი.

ჯვარის აღნიშნული შენობებიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს „კვრივი“ (ტაბ. 64) — ლ ე კ ი ს ხ ე, მის ძირთან დაწყობილი სიპის ქვებით.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ჯვარის გალავნის გადაღმა, ძველ ნასახლარებს შორის ა დ გ ი ლ ი ს დ ე დ ი ს „კ ო შ კ ი ა“ (ტაბ. 94), ხოლო ამ ნასახლარებით მოცული მთის დავაკების პირად ძველი, უკვე თავმონგრეული ნასახლარებით მოცული „საარაბულოს ციხე“ M^7.

ე) წყალსიჭითის ხეობა

საროშკ-ქმოსტოში შედის შემდეგი სოფლები: 1) როშკა II, გაღმა როშკა, კიბალაურები, ქირცინანი; 2) კილდეშუ, გურიანი, გარდალახულანი; 3) ყერყეტა, მეფაფიანი, ბასილნი, კობლენი; 4) გარბანი, ყაბელნი; 5) ფაფარენა: თურმანაულნი 1) კიბალაური, 2) ბერდიშვილი; 6) ღელისვაკე; 7) ღელე; 8) ქმოსტნი; 9) ხორნაულთა; 10) ბლო.

ს ა რ ო შ კ-ქ მ ო ს ტ ო ს ს ა თ ე მ ო დ ა ს ა ს ო ფ ლ ო ჯ ვ ა რ ე ბ ი. საროშკ-ქმოსტოს სათემო ჯვარია დ ი დ გ ო რ ი ს ჯ ვ ა რ ი, რომლის უნჯნი და ტ ა ხ ტ ი ს ყ მ ა ნ ი ველთაურები არიან. ამ ჯვარს სხვანაირად ეძახიან ვ ე შ ა გ ი ს წ მ. გ ი ო რ გ ი ს.

სათემო ჯვარის გარდა საკუთრივ როშკიონთ, როშკის წიკლაურების სალოცავია რ ო შ კ ი ს მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ჯ ვ ა რ ი. ამას გარდა როშკიონთ სალოცავებია ც ი ხ ე გ ო რ ი, ს ა ჯ ო რ ო ბ ო, ან უ დ ი დ გ ო რ ი ს

ლაშქარნი და დიდგორის დობილნი ანუ გიორგის ლაშ-ქარნი.

ქმოსტელთ სალოცავებია: კოპალა უნჯის ანგელოზი, რომელიც მოთავსებულია სოფელ ღელეში და რომლის უნჯნი ყმანი თავბერულ-ნი არიან: თეთრი გიორგი მინდორის ჯვარი, რომელიც ქმოსტშია და რომ-ლის უნჯნი ყმანი საბურდულოს უსაჯურნი არიან: ადგილისდედა ხთიშობელი, რომელიც მდებარეობს ს. ღელისვაკეში და რომლის უნჯ-ნი ყმანი, საველაუროს საგინანი არიან.

1. დიდგორის ჯვარი, სოფ. როშკა (M7)

დიდგორის ჯვარში შემდეგი ნაგებობებია: 1. საქვაბე, დარბაზი, საკო-დით; 2. საჯელოსნო; 3) I კოშკი, ორსიპერდიანი; 4. II კოშკი მაღალ წვერ-ზე; 5. დარბასის კარი ხით შემოსაზღვრული.

საქვაბე. დარბაზი, საკოდე (ტაბ. 68). წარმოადგენს გრძელ ოთხკუთ-ხა ფორმის, ორფერდასახურავიან შენობას, რომლის კარი აღმოსავლეთ მხა-რეზეა. კარი ხისაა, ხისავე ჩარჩოში ჩასმული. ჩრდილოეთის კედელთან მთელ მის სიგრძეზე დგას დაბალი მთლიანი ხისაგან გამოჭრილი სკამი. ზედ ცოც-ხი და ნიჩაბია. ჩრდილოეთის კედლის ბოლოზე, მთელ დასავლეთის კედელ-თან ადგილი წარმოადგენს საკოდეს, რომელიც დარბაზისაგან ერთი ხის მო-რითაა გადაღობილი, აქ მოთავსებულია დიდი ზომის საარაყე ქვაბი, ხის ჩხუტი, 5 ხელქვაბი, 3 დიდი ხის კოდი. ხისსახურავიანი პატარა სპილენძის თუნგი, რომელშიც სანთლის ნამწვავებია, ბამბის ძაფზე ჩამოკიდებული იყო სანთლისაგან გაკეთებული ბურთები და ახალი სამმანეთიანი.

სამხრეთის კედელთან (საკოდიდან, ვიდრე დარბასის სამხრეთით) დგას საწოლი (თუ საჯდომი) ხისა, ზურგიანი და გვერდებიანი (ზომებით 2,35 მ. ×0,44 მ×0,39 მ), ზედ სპილენძის ქვაბებია შეწყობილი და დევს სპილენძის სამფეხა დაბალი ტაბლა. საწოლის ზემოთ კედლის ცენტრში შუკუნია გა-მოჭრილი, ხოლო მის ზემოთ ჭერიდან ჩამოშვებულ ორ ხეზე, კედლიდან ოდნავ განზე დამაგრებულია ხის თარო (2,45 მ×0,22 მ) რომელზედაც აწ-ყვია სხვადასხვა ზომის სპილენძის თუნგები, ხის პატარა ზომის ფიცარი, ერთი ვერცხლის თასი და სამი თასი სპილენძის, ორნამენტირებული. საწოლას მარცხენა მხარეს მიდგმულია დიდი ქვის ჩხუტი. დარბასის ცენტრში ყვერ-ფია და ზედ მის თავზე ჯაჭვია ჩამოკიდებული. დარბასის სამხრეთი კუთხე უჭირავს ბრტყელძირიან სალუდე ქვაბს, რომელიც ყურებით ხის მორზეა ჩამოკიდებული: აქვეა საკვამი, რომელიც ნაწილობრივ ამოშენებულია დარ-ბასის შესასვლელთან. მარცხენა კედელთან დგას დიდი ზომის მთლიანი ხისაგან გამოთლილი ლათბა (2,45 მ×0,34×0,21 მ), მის თავზე სარკმელია გამოჭრილი, დათბის გასწვრივ კი საკიდლებია მოთავსებული.

საქვაბის ჩრდილოეთით მიდგმულია ოთხკუთხი ფორმის გრძელი შენო-ბა სახელოსნო (ტაბ. 69) ორფერდა გადახურვით (თუნუქი). შესასვლე-ლი კარი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეზეა. ფასადზე კარს ზემოთ მთელი კე-დლის გაყოლებაზე ქვის თაროა გამართული, რომელზედაც ჯიხვის რქები, სხვადასხვა ზომის თასები და უამრავი ზარაკებია მოთავსებული. მარჯვენა

მხარე ფასადისა სისხლითაა შეღებილი. თაროს ზემოთ, ცენტრალურ ადგილზე ოთხკუთხა ფორმის ქვაა გამოჭრილი კედლიდან მართი კუთხით, რომელზედაც ორი ზარია ჩამოკიდებული და ზედ ჯიხვის რქებია დადებული. თაროს მარჯვენა კუთხეშიც დევს დიდი ზომის რუსული ყაიდის ზარი ქართული წარწერით „საგინაშვილებმა ნანაძემ და აპირეკამ დასამწყალობლად შემოგწირე მაღლა წმინდა გიორგის“.

შესასვლელი კარი ორი დიდი ფიცრისაგან ხისავე ლურსმით არის შეჭედილი. მარჯვენა კედელთან ხატია, რომელზედაც სერობაა და ზედ წარწერა აქვს. აქვე დევს მიწაში ჩასმული ფერადი სურათი, რომელზედაც გველეშაპის დამლახვრელი თეთრ ცხენზე წმინდა გიორგია გამოსახული. აქვე, კუთხეში შუკუმია და ხის ბოძზე კედელთან ორი ზარია ჩამოკიდებული და ძაფზე აცმული სანთლის ორი ბურთულა. ძირს დგას სამი თასი სპილენძისა, ძველი ბუნი და უამრავი ყაწიმები, ძველი ხის ტაგრუცი უამრავი სამკადროებით და შიგ ჩადგმული მეორე ხის პატარა ტაგრუცით, რომელიც ძველი ქაღალდის ფულით არის დატენილი, შიგვე აღმოჩნდა ქაღალდი ჯვარის განძის გასწორებისა. ხის სკამების ზემოთ არის დროშის ტარზე ჩამოსაცმელი ჯვარი წარწერით, „შემოვწირე ბოჟორნის წმინდა გიორგის ეკლესიას ნინო ქისტაურმა იანვრის ქ(ქ) ქისტაურის მეუღლემ“.

ფასადის კედელზე ჩამოკიდებული ზარების წარწერები: I. „წმ. გიორგის ეკლესიის ნადირა ბერდიაშვილია ხირჩლამ ბერდიაშვილმა ჩვენისა შვილებითა სახსენებლად 38 32 შემოვწირეთ ეს ზარი“.

II. „შევწირე აბა წიკლაური ხირჩლაშვილი დიდგორის წმინდა გიორგის ჩყ ე“.

დარბასშივე აღმოჩნდა 6 დროშის ტარი, ექვსივე ბოლოებწაწვეტილი. ჯვარის განძი (მთლიანად ვერცხლისა: ორი დიდი ზომის ჯვარი, სურა, უამრავი საკიდელი და გულსაბნევი, ცხენის მოკაზმულობა, ყავარჯნის ტარი, ზანზალაკები, ფული) დარბასის ჭერზე აღმოჩნდა პატარა სკივრში დამალული. დარბასის შესასვლელ კართან კედლის ქვაზე ჯვარია ამოკვეთილი. მის გვერდით კი ასეთივე ზომის მეორე ჯვარი საღებავითაა დატანებული.

ს ა ქ ვ ა ბ ე ს აქვს ჭ ე რ ო, რომელშიც ასასვლელად ხის კიბეა გარედან მიდგმული, სადაც ერთი დიდი გოდორი გდია.

ჩრდილოეთის მხარეს კვრივად ნაგები კოშკია, სამხრეთის მხრიდან პატარა ნიშით და შიგ ზარით. კოშკი 3-სიპერდიან მაღალ ნაგებობას წარმოადგენს და სრულდება ოთხკუთხა ფორმის ვიწრო სიპით.

დარბასის ჩრდ.-დას-ით მეორე გორაკზე, წვერზე დგას მეორე კ ო შ კ ი (ტაბ. 68). მისი ფასადი ჯვარის კომპლექსს გადაჰყურებს, ზომით I კოშკის ოდენაა. ესეც კვრივად არის ნაგები და ფასადზე პატარა ნიში აქვს დატანებული (სამხრეთის მხარეს).

ხალხის რწმენით დიდგორის ჯვარი როშკისად ქმოსტის სალოცავებში ყველაზედ უფროსი ას. ხთისგან აქვ მალოცველი ძალიდ შაძლებაი. დიდგორის ჯვარი დევ-კერპთაც ებრძვისად გაჭირვების დროს მტერსთანაც შაუძლავ დაკმარება; თუ ვინ შამაზძახნებდ, დიდგორის ჯვარი დაეშველებოდ. წინავ აქ დიდგორის ჯვარ არ ყოფილ. შარვანით მენადირეს გამახყოლივ, მასულასად დიდგორ დამჯდარ. მენადირეს მიუზიდავ ქვებიდ სადაც ის დაარსებულ

უნახავ, იქ კოშკ აუგავ. (შ ა რ ვ ა ნ ი არის ყაზბეგის რაიონში სოფ. ჯუთის მთაში, სადაც წმინდა გიორგის ილოცავდნენ). იმის აქეთ დაუწყავ აქ ლოცვაი. ეს ალაგი, სადაც დიდგორის ჯვარი — ას დაარსებული, ქმოსტელთ შეერიოსად ჯვარს დაუჭერავ ძალით. ტახტის ყმად ქმოსტელ — როშკიონნ დაუჭერიან. წინ-წინ ეეგრ ილოცევდეს, როსაც რაჯელ ვის უნდოდ. ბოლოს გაუჩენავ ჯვარის ყანები, დასტურები, ხუცეს-ჯელოსნები. შაუწირავ ხალხს თასები, დროშა — დროშაის მასალა. გაუჩენავ დღეობები, ლუდის დუღილიდ' გაძლიერებულ დიდგორის ჯვარიც. დიდგორის ჯვარ არჩენდ დაჯელთულებსა ეშმაკეულებს. აკოჭვიებდეს აქ ასეთებს, დიდგორის ჯვარს დობილნი ხყვანდეს წვრილის ყმაწვილების სახით (M[3], რვ. 16, გვ. 340, 342).

დ ი დ გ ო რ ი ს ჯ ვ ა რ ი ს ს ა თ ე მ ო ჯ ვ ა რ ა დ ქ ც ე ვ ა. წიკლაურები და ჩვენ (ბურდულები) ახლო-ახლოს ორთად ალბათ იმით გვაქვ საერთო ჯვარი. წინ-წინაზე ეგ ჯვარი ჩვენი სოფლის ახლოს ყოფილად მარტო ჩვენ ვყოფილვართ იმაში. ამ ჯვარში სხვებ არ ყოფილან მიბარებულები. მემრ,— სოფლის ახლოს ორავ, — ამდგარა და მაღლა წასულ. მემრ როშკიონნიც მისულან შაუყენებავ ყმადა, და ჩვენაც ორთ. M[11].

დ რ ო შ ა ნ ი, დ რ ო შ ა თ წ ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ა (დ ი დ გ ო რ ი ს ჯ ვ ა რ ი). „დიდგორის ჯვარში სამ დროშაი. ორ უჭერავ ჯელოსნებს, ერთ დასტურს. იმ ჯელოსნებს მედროშავეებ ხქვიან.

რამდენსაც დახპატიჯებენ, იმდენ დროშა წავ. დღეს რომ მე დავხპატიჯ დროშაი, ხვალ სხვამ. მაშინ პირველ დროშა აღარ წავ, სხვის რიგ იქნების: რიგით მიდიან. ერთ დროშა ხუცესს ჯვარში უნდა დაშჩას, სხვებ მიხყვებიან. ჯელოსნებს თუ დახპატიჯებენ ჯვარივნები, წავლენ თუ არა, არ. მეგანძურიც წავ, განძ იმან უნდა წააბრძანას. დაპატიჯებულ ჯელოსნებიც თითოთითო თასს ყველა წაიღებს. მეგანძურიც ხო სამ-ოთხ თასს წაიღებს M[10].

ს ა ჯ უ რ უ მ ო დ რ ო შ ა დ ი დ გ ო რ ი ს ჯ ვ ა რ შ ი. „საჯურუმო დროშაი" გვაქვ. დროშან რო გამოვლენ, მიხყუდებენ იმათ კოშკზედა და საჯურუმო დროშას მაღლიდან წამაადებენ. აუჯსნიან ხალხს, რო აი, ყველამ იცით, თუ ჩხუბად გაჯდ. ეს დროშა არ ჩამობძანდების, მანამ არ გადაიჯდიან ჯურუმს; ხუთი წლის ჯარს ან ხუთი წერის მამულს, ხუთ ნაყარ ქვაბს (ხუთ ჩხუტ ჩამდინარი).

ეეხლა ეჩხუბ ღელისვაკეში მედროშაესა და ხუცესს. დიდგორისკე რო წამასულიყვნეს გზაში. მანამ ხალხ გაიგებდ, ერთ საკლავ თან მიეყვან, მაგრამ მაინც არ აპატივეს. თუ ცალ-ცალკე იქმენ, ორ-ორი წლის კურეტებ უნდა მიიყვანან, თუ ერთად, მაში ხუთის წლის ჯარი და ლუდიც უნდა მახარშან.

ის მამული ხატისა იქნების, იმ ლუდს ხალხი სომს, ჯორცსაც ხალხი ჭამს. როსაც ეტყვიან, მაშინ უნდ ჯურუმს მიტანა. M[10].

დ ი დ გ ო რ ი ს ჯ ვ ა რ ი ს ს ა ყ მ ო ბ უ რ დ უ ლ ე ბ ი დ ა ვ ე ლ თ ა უ რ ე ბ ი. სოფლები: ქმოსტი, ღელე, ღელისვაკე, იღლიე და საბერწე დასახლებულია ერთი გვარის ხალხით — ბურდულებით.

ბ უ რ დ უ ლ ე ბ ა დ იწოდებიან ძველი გვარები: ველთაურნი და საკუთრივ ბურდულები. ველთაურნი ჯარ-ქვაბით შეყრიან ბურდულებს და იმდროიდან თითონაც ბურდულებად იწერებიან. ველთაურები სახლობენ სოფლებში: ღელისვაკე, ქმოსტი, საბერწე და 3 კომლი არის აგრეთვე ბაკურკევში. ველთაურები შემდეგ მამებად იყოფიან: ჩაკურაული, ყარდანაული (სოფ.

ქმოსტი), ტოლანი (სოფ. ქმოსტი), საგინანი (სოფ. ღელისვაკე), ტაუზანი (სოფ. ქმოსტი) და ბაჩიკელანი.

ველთაურები წარმოშობით მთიულები ყოფილან. მათი უფროსი მთიულეთიდან გადასულა ჯერ ჯუთაში და შემდეგ ქმოსტის თავზე მდებარე მინდორზე, ე. წ. „ველის ყანაში“ დასახლებულა ანდრეზის მიხედვით. მას თურმე ერთი მონადირე შვილი ჰყავდა, რომელმაც წყალს — იქითს ნადირობის დროს ერთი მსუქანი ნადირი მოჰკლა. ეს ნადირი რომ მამას ენახა, — შვილისათვის ებრძანებინა — ნანადირევ ადგილზე, ქერი წაიღე და დათესეო. ასეც მოქცეულა, ქერი „ველის ყანაში“ დაუთესია და მშვენიერი მოსავალი აუღია. მაშინ აყრილა ველთაურთ უფროსი ჯუთიდან, დასახლებულა „ველის ყანაში“, ჯარ-ქვაბით ძმად გაფიცვია ბურდულებს და უკანასკნელის გვარზე დაწერილა. შემდეგში ველთაურთ ოჯახი გაბევრებულა და მას ზემოაღნიშნული სოფლებიც დაუჭერია.

ბ ურ დ ულ ე ბ შ ი შედიან აგრეთვე: თავბერაულნი და უსაჯურნი. თავბერაულნი სოფ. ღელესა და იღლიეში სახლობენ, ხოლო უსაჯურნი—ს. ქმოსტში. ყველა ბურდული, წიკლაურებთან ერთად, დ ი დ გ ო რ ი ს ჯ ვ რ ი ს ყ მ ა ნ ი არიან. მაგრამ ამ ყმათა შორის ჩ ა კ უ რ ა უ ლ ე ბ ი (ველთაურ-ბურდულთა გვარიდან) მისი უნჯნი ყმანია (M[14]).

ვ ე ლ თ ა უ რ ე ბ ი ს უფროსი ჩაკურა ყოფილა, რომ შამოსულა აქ იმას ჯუთიდან წამოუყვანია დიდგორის ჯვარი წმ. გიორგი. ამიტომაა რომ ჩაკურაულები დიდგორის ჯვარის უნჯნი ყმანია.

ბ ურ დ ულ ე ბ ი და წ ი კ ლ ა უ რ ე ბ ი ერთმანეთთან მოყვრდებიან, მიუხედავად იმის, რომ (სათემო) ხატის ყმანია.

ერთმანეთს ჯარ-ქვაბით ეძმობოდეს ბურდულები და ველთაურები. ამდენად ისინი ერთი ძვალ-გვარნი არ არიან. ამიტომაც ვ ე ლ თ ა უ რ ე ბ ი და ბ ურ დ ულ ე ბ ი ერთმანეთს ქალს მიათხოვებენ. ველთაურები ჯ ე ლ ო ს ნ ო ბ ე ნ, ი ნ ა თ ლ ე ბ ი ა ნ და ე ბ ა რ ე ბ ი ა ნ დიდგორის ჯვარში.

უ ს ა ჯ ურ ნ ი უფრო ბურდულებია და არა ველთაურები; უსაჯურნი შთამომავლობით ოსები არიან. ერთხელ ხევსურებს მაღრან-დოლეთიდან (დვალეთი) ტყვე წაგოეყვანათ. აი იმ ტყვის შთამომავალნი არიან უსაჯურნი. როცა ხევსურები ურჯულოებს ებრძოდნენ, მათ ლაშქარს ერთი ქმოსტელი წინამძღოლი ჰყავდა. სახელგანთქმული ხევსური ბერდიაული. ეს ბერდიაული „უბედური“ იყო, ე. ი. უვაჟიშვილო. დაბერდა უკვე, მაგრამ ხევსურები მაინც არ ეშვებოდნენ და მას თავის ლაშქრის წინ იმძღვანებდნენ. ასე იყო მაღრან-დოლეთზე გალაშქრების დროსაც, როცა ხევსურებმა ტყვე—ოსი ხელთ ჩაიგდეს, მათ მაშინ გადაეწყვიტათ — ეს ტყვე ბერდიაულს ვაჩუქოთ და მისი უსაჯი (უკანონო) შვილი იყოსო. მართლაც გაზარდა ბერდიაულმა ოსი ტყვე შვილად და მის შთამომავლობას უსაჯურნი დაერქვა. M[14].

2.. ადგილსდედა ღვთისმშობლის ჯვარი, სოფ. ღელისვაკე

ხვთისმშობლის ხატი პატარა გორაკზეა, რომელიც ხელოვნური ყორღანის შთაბეჭდილებას ახდენს. მის წვერზე ნიშის ნაშალია. იგი უფრო მეტად ლოდების ხროვას წარმოადგენს. გორაკზე შეფენილია მუხის ბებერი ხეები, მას შემოვლებული აქვს ლოდები წრის სახედ. ამ სალოცავს ეწოდება „კ ო შ კ ნ ი“, ხუცობაში — კი მას ხ თ ი შ ო ბ ლ ი ს სახელით მოიხსენიებენ.

სალოცავს აქვს საკუთარი მამული ე. წ. ხთიშობლის ხოდაბური, რომელიც მოთავსებულია მის გვერდით. ეს ჯვარის მიწა აბარიათ დასტურებს. M[14].

3. უნჯის ანგელოზის ჯვარი, სოფ. ღელე

სოფ. ღელეში მდებარეობს სალოცავი — „უ ნ ჯ ი ს ა ნ გ ე ლ ო ზ ი“, რომელსაც ხუცობაში „კოპალეს“ უწოდებენ. მისი უ ნ ჯ ნ ი ყ მ ა ნ ი თ ა ვ ბ ე რ ა უ ლ ე ბ ი (გ ვ ა რ ა დ ბ უ რ დ უ ლ ე ბ ი) არიან. სასაფლაო, აკლდამები ყველაფერი ეს სოფლის თავზეა. სასაფლაოს გვერდით, კიდევ უფრო ზემოთ უ ნ ჯ ი ს ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ჯვარის კომპლექსია;

ირმის რქებით შემკული კოშკი ს ა ქ ო ბ ე, რომლის კარზე დგას სალუდე ქვაბი, გადახურულია თუნუქის ორფერდა სახურავით. მის გასწვრივ მთის ფერდზე ყორით ნაგები შენობის ნანგრევია. სალოცავი გაშენებულია ბებერ მუხნარსა და სხვა ჯიშის ხეებში. სასაფლაოს მიჯნაზე კვლავ პატარა ზომის კოშკია უნჯის ანგელოზს ხუცობაში მოიხსენიებენ კ ო პ ა ლ ა ს სახელით (1947 წლის ხევსურეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია).

4. თეთრი გიორგი მინდორის ჯვარი, სოფ. ქმოსტი

სოფ. ქმოსტში მდებარეობს სალოცავი „თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი მ ი ნ დ ო რ ი ს ჯვარი“. რომელიც საბურდულოს, ე. ი. ველთაურთა სალოცავია; მაგრამ მათგან ამ ჯვარის უ ნ ჯ ნ ი ყ მ ა ნ ი უ ს ა ჯ უ რ ნ ი (გვარად ბურდულები) არიან. ამ სალოცავს უსაჯურნი მ ი ე ბ ა რ ე ბ ი ა ნ ხოლმე და ჭ ე ლ ო ს ნ ე ბ ა დ ა ც უსაჯურნი დგებიან.

დასტური კი ამ სალოცავში რიგით დგება ყველა ბურდულებიდან. ბოდავიდან, სადაც ხევსურებიც ცხოვრობდნენ და ფშაველებიც, მოაბრძანებდნენ ხატს, რომელსაც დ ა რ-ა ვ დ რ ი ს თ ე თ რ ი-გ ი ო რ გ ი ერ ქ ვ ა. მას ხევსურები ორწყალში ხარსა და საკლავს მიაგებებდნენ. ხატს მოაბრძანებდნენ, სადაც მისი ნიშია.

წელიწადში ერთხელ ყველა ბურდულები წილს ყრიან ერთმანეთში და ვისაც წილი ამოუვა, ის იგზავნება ბოდავში ბოდავის წმ. გიორგის ჯვარიონის დასაპატიჟებლად. იქიდან მოაბრძანებენ ხოლმე ბოდავის წმ. გიორგის დროშას იქაური ჭევისბერი და მედროშაე. ჯვარიონი მობრძანდება ქმოსტში და თეთრი გიორგის სალოცავში დაიდებს ბინას. აქ რჩება ერთი ან ორი თვე. ბურდულები მას ვერძს დაუკლავენ ხოლმე. ამისათვის მთელს საბურდულოში საკლავის საფასურს შეაგროვებენ. ქმოსტიდან ჯვარიონს პატიჟობენ ბუდე-ხევსურეთის სხვადასხვა სოფლები თავისთან და ბოდავის ხატიონიც დაბრძანდება თავისი დროშით. ჩვეულებრივ ბოდავის დროშას მიაბრძანებენ ხოლმე შემდეგ სოფლებში: რ ო შ კ ა, ბ ლ ო, ზ ე ი ს ტ ე ჩ ო, წ ი ნ ჭ ა დ უ, უ კ ა ნ ჭ ა დ უ, ბ ა ც ა ლ ი გ ო, ა ტ ა ბ ე, ჩ ხ უ ბ ა, ა ყ ნ ე ლ ი, ჭ ა ჭ მ ა ტ ი, ჭ ი ე, ო ჭ ე რ ჭ ე ვ ი, ძ ე ძ ე უ რ თ ა. ადგილობრივი მოსახლეობა მასთან საკლავებითა და შესაწირავებით მიდის. ხევსურებს დაცდილი ჰქონიათ: თუ ბოდავიდან ეს ხატი არ მოაბრძანეს, ნათესებს დასეტყვავსო.

წინ-წინათ თურმე, ვიდრე ბოდავიდან დროშას არ მოაბრძანებდნენ ხევსურეთში (იგულისხმება ბუდე-ხევსურეთი) ქერს არც ღალა ჰქონდა და არც

ღარი ქერის მარცვალს. ხევსურებისათვის ერეკლე მეფეს უსწავლებია: ამ ხატს ერთი საკლავი დაუკალით და ერთიც უქმე დაიდეთო თიბა-მკაში ორშაბათი დაიუქმეთ და სეტყვა აღარ მოვაო. ასეც მოქცეულან.

ანდრეზი ბოდავის ხატზე. ბოდავიდან, რომ მოდიოდნენ ჯვაროვნები, იმათ მთელი ხევსურეთის ყოველი მოსახლეობისაგან იმდენი „საწყავის გვერდი" პური მიჰქონდათ, ოჯახში რამდენი გოდორიც იდგა. ისინი მარტო ცვერცის ღალას არ იღებდნენ. ამიტომ უსაჯურმა პურის გოდრებს ცვერცი დააყარა ზემოდან,—მომეცი ამისი ღალაო — წაეკიდნენ. უსაჯურმა მოჰკლა თეთრი გიორგის დეკანოზი და ხატ-განძი მის ოჯახში დარჩა. სამაგიეროდ ამოსწყდა ამ უსაჯურის ოჯახი და იქ თეთრი გიორგი დაარსდა, ხოლო უსაჯურის ბიძაშვილები ამ ხატის ყმები გახდნენ. ასე გახდნენ თეთრი გიორგის უნჯნი ყმანი უსაჯურების სახით. თეთრი გიორგი სეტყვის საწინააღმდეგო ჯვარია.

თეთრი გიორგი მინდორის ჯვარის დარბასის (ტაბ. 70) ფასადი დასავლეთის მხარეზეა. მარჯვენა კუთხეში კიდია სალუდე ქვაბი ბრტყელი ძირით. დარბაზის წინ დარბაზის კარია. გადახურვა სწორია, ბანიანი მიწაყრილით. ფასადის მარჯვნივ დგას კოშკი, ზარი კი მის გვერდით მდებარე ხეზეა ჩამოკიდებული. დარბაზის კარის ნაწილი (ქარიპანი) არის გადახურული სწორი, ბრტყელი სახურავით (მიწაყრილით). აქ დევს ხის ორი კოდი, სპილენძის ფურცლებისაგან ნაკერი ქვაბი. დარბაზის კედლები მშრალად არის ნაგები. დასავლეთით კერაა გამართული „ოჩაყითა" და „საკიდლით". დასავლეთის კედლის კუთხეში ორი დროშის ტარია, ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ ქვის სკამია გაწყობილი. აღმოსავლეთის კედელთან კი ხის სკამი, ვიდრე კარამდე. აქვეა „საკვამი". საქვაბის ძირი მოტკეპნილია. ჩრდილოეთით მდებარე სკამზე არის თუნგი, ზარი; ხელქვაბი, ქიტი (2 ცალი), თასი სპილენძისა, თუნგა (პატარა ზომის თუნგი), კოში, ჩხუტის ძირი და ზედ პატარა თასი, სპილენძის ჩხუტა.

ჩრდილოეთის კედლის კუთხეში შუკუმია გამოჭრილი, ხით ამოყვანილ გვერდებითა სპილენძის თასით და სანთლებით. ჩრდილოეთის კედელთან რომ ქვა დევს — სამწირველოა, შუაში დგას გადმობრუნებული სამფეხა ხის ტაბლა. ჭერში ჩრაქვია (არყის ქერქი) გარჭობილი. სამწირველოზე თასების დალაგება იციან და ქადა-კვერის დაწყობა.

სამწირველოს ზევით, კედელში შუკუმია გამოჭრილი, დავითმა თქვა, აქ არაფერს ვინახავთ, სინამდვილეში კი იდო ახალი ხუთმანეთიანი და ვერცხლის მძივების ასხმა.

დარბაზის აღმოსავლეთით ჩაქცეული ბეღელია, მის ჩრდილოეთით კი დანგრეული ძველი საქვაბე. დარბაზში ეგდო მრგვალი ხისაგან გამოთლილი ქუბდის თავი სანთლისა და ნაჭრების შესანახად. ასეთი ჭურჭელი სახლებშიც იციან წვრილმანის ჩასაყრელად, თუ ასეთი ჭურჭელი დიდი იყო, მაგ. ბაკნის ხელა, იმაში ერბოსაც ინახავდნენ. სხვადასხვა ხისაგან აკეთებდნენ თვითონ ხევსურები.

კომპლექსი გალავანშია მოქცეული, აქვე დგას კოშკი — „კვრივი" (ტაბ. 71) აქ დღეობაშიც არავინ შემოდის, იმიტომ რომ გვამიზეზებს. ადრე საკოდეში დარბაზიდან იყო გასასვლელი კარი, ეხლა ამოშენებულია.

აქ ბოდავიდან მოდიოდნენ ჯვარიონნი საათენგენოდ (1963 წ. 9 აგვისტო, ნაგებობათა აღწერის ახსნა-განმარტებას გვაძლევდა ამავე ჯვარის ხუცესი დავით ბურდული — უსაჯურთ მამიდან).

5. მთავარანგელოზის ჯვარი, სოფ. გაღმა-როშკა

მდებარეობს მაღლა, მთის წვერზე მდ. როშკისწყლის მარცხენა სანაპიროზე. ჩრდილოეთით მდებარე უკანასკნელი ნაგებობა წარმოადგენს ქვით მშრალად ნაგებ კვადრატული ფორმის შენობას, რომლის სახურავი ჩაქცეულია. შესასვლელი კარი სამხრეთ მხარეზეა. შედარებით კარგად არის დაცული ფასადის მხარე (სამხ.-აღმ.) ნაგებობას ადგილობრივნი „ძენგლას" უწოდებენ.

ჯვარის საზღვარი აღმოსავლეთის მხარეს ადვილი დასადგენი ჩანს, ვინაიდან ძალიან ციცაბო კლდის მთის კალთას წარმოადგენს, რომელსაც ძირში ბლოს წყალი ჩამოუდის, ძენგლას ჩრდილოეთით და დასავლეთით გაყვება ყორის გალავანი, რომელიც სამხრეთისაკენ გრძელდება, ვიდრე არ შეუერთდება კვრივს და უხვევს სამხრეთისაკენ აღმოსავლეთით მდებარე დამრეცი ფერდობის დასაწყისამდე.

აღწერილი კვრივის სამხრეთით, უკვე უგალავნო ტერიტორიაზე, ჩაქცეული ს ა ზ ა რ ე კ ო შ კ ი ა, ზემოდან დიდი სწორი სიპედი ადევს და ზედ დაყირავებულ წოწოლა ფორმის ქვაზე ზარია ჩამოკიდებული.

უფრო სამხრეთით მეორე კოშკია მშრალად ნაგები, რომლის სამხრეთ ფასადზე ზედა ნაწილში ოთხკუთხი ფორმის ნიშია გამოჭრილი და სწორი სიპით გადაფარებული. ადგილობრივთა თქმით ს ა ს ა ნ თ ლ ე ა.

მის სამხ.-აღმ. მხარეს მდებარეობს ბ ე ღ ე ლ ი (ტაბ. 72) ჩამონგრეული ფასადით. მხოლოდ ბეღლის უკანა ნაწილია გადარჩენილი 7-სიპერდიანი გადახურვით. ბეღელი გრძელი ოთხკუთხა ფორმის შენობა ყოფილა. კედლები გარდა მთავარი ფასადისა, მთლიანად გარეთა მხრიდან მიწაშია ჩამალული. შემორჩენილია აგრეთვე აღმ. კედლის ნაწილი სამი სიპერდით, რომელზედაც დიდი ზომის რუსული ზარია მოთავსებული. ბეღლის სამხრეთით იფნის ხეებია, რომელზედაც პატარა 3 ჯვარია გამოსახული. M[7].

ბეღლის სამხრეთით მდებარეობს დ ა რ ბ ა ს ი (საკელოსნო), რომლის ფასადი სამხ.-აღმ. მხარეზეა. დარბასი წარმოადგენს მშრალად ნაგებ ოთხკუთხა შენობას შელესილი კედლებით. გადახურვა სწორია, ბანიანი, მიწაყრილით. დარბასის ფასადის მთელ სიგრძეზე ხის სკამებია გამართული. მის მარჯვენა კუთხეში ხის კარია დარბასში შესასვლელი, მარცხენა მხარეს კი სარკმელი. დარბასის გადახურვა ფასადის მხარეს ცოტა წინ არის წამოწეული დარბასის კარისაკენ (ქმოსტში ამას „ქარიპანი" უწოდეს); დარბასის ქარიპანზე ცეცხლის ადგილია ქვით ამოშენებული. დარბასის აღმოსავლეთის კედელთან დიდი ზომის ლასტისებურად დაწნული საწოლია (სიგრძე — 1,70 მ × სიგანე × 0,75 მ × სიმაღლე — 25 მ).

დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების კუთხეში ხის თაროა სამი თასით, რომლის გვერდები დაჭრილია. აქ დგას სისხლით დასვრილი დაბალგვერდებიანი და დაჭრელებული სპილენძის თასი, მეორე პატარა, ტარიანი და პირზე ორნამენტირებულია. მესამე თასში ძველი აბაზიანებია, ვერცხლის

ყაწიმები და სანთელი. აღნიშნული თაროს სიგრძე — 75 სმ, სიგანე 27 სმ. დას. კედლის მთელ სიგრძეზე ქვის სკამებია გამართული. კუთხეში გდია დიდი ხის კოდი, სპილენძის კოში (2 ცალი), ხელქვაბი, მთლიანი ხისაგან გამოჭრილი დაბალი სკამი. ხის თაროზე სხვადასხვა ზომისა და ფერის სამკადრეოებია ჩამოკიდებული. სამხ.-დას. კედლის კუთხეში მეორე დიდი ზომის ხის კოდი დგას. ცენტრიდან სამხრეთისაკენ კერაა გამართული და ჭერიდან საკიდელია ჩამოშვებული. საჯდომი ქვის სკამები დადგმულია სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ. კოდზე დადებულია დროშის ტარი (სიგრძე 1,63 მ, სიგანე — 7 სმ) ერთ ადგილზე დაჭრელებულია, აქვე დგას მაღალი ფორმის დაჭრელებული სპილენძის თასი, თოვლის გასახვეტი ხიჩაბი ხისა, ძველი ხის ტაბლა (უფეხო), დიდი ზომის სპილენძის თუნგი, რომლის ტარი დაჭრელებულია და ჯვარის მოყვანილობა აქვს. თუნგის ძირი გვერდებზეა შეკერილი სალუდე ქვაბების მსგავსად სპილენძისავე ლურსმნებით. აქვე დგას მრგვალი, დაბალი სპილენძის ტაბლა, მის ერთ გვერდზე რგოლია გაყრილი, გვერდები კი ტალღისებურად არის დაკბილული. ორნამენტი წაგავს ბაცალიგოში ნანახ ლანგარს. ოღონდ აქ არაა ადამიანთა სახის გამოსახულებანი. კოდზეა დადგმული პატარა სპილენძის ჭურჭელი. უამრავი ვერცხლის ფულითა და დახურულია ხისაგან გამოთლილი დიდი საცობით.

დარბასის სამხრეთით მ ა რ ი ა მ წ მ ი ნ დ ი ს კ ო შ კ ი მდებარეობს. კვრივად არის ნაგები, ჩრდ.-დას. მხრიდან პატარა ნიში აქვს დატანებული. ფასადი ამ კოშკისა მთავარანგელოზის ჯვარის კომპლექსს გაჰყურებს. კოშკის წინ ქვის გ ა ლ ა ვ ა ნ ი ა. კოშკსა და დარბასს შორის არის ძველი ც ი ხ ი ს ნ ა შ ა ლ ი. კარგადაა შემორჩენილი საძირკველი ციხისა, რომლის წინ ჩრდ.-აღმ. მხარეზე მიწაში დაგდებულ დიდ ლოდზე (სიგრძე 1,13 მ×სიგანე ქვისა 34 სმ ×სიმაღლე 16 სმ) გამოსახულია სამი „ცხენიანი“ ფიგურა.

6. დევთ დედა როშკის გორზე

როშკის გორზე ილოცევდეს — „დევთ დედას“. დევთ დედა ჯერ ეშმაკ ყოფილ კოპალაისგან გაწირული, არც ვინ ილოცევდ იმას. მემრ მუშს დაუწყეს ანთება, მემრ სანთელსად ბოლოს ისრ გახახდ, რო საკლავსაც უკლევდეს, თორე თიკანს ხო სრუ უკლევდეს. ბოლოს, იქამდენ გაუხახებავ რო, ჯარიც კი დაუკლავ ვისამ, რო ოღონდ თავ დამანებევ. იმას ვინც ჯარ დაუკლ, ცოლი ხყვანივ ავადმყოფი. ვითაჯერაც ქოხში წასულა შვილ გაშჩენივ, სრუ მახკდომივ. იმას ისრ ეჩვენებოდ რო სიზმარშიავ მავავ დიდ დიაცივ რაიმავ, ნაგაბარნივ ჩოკვიზძველნი ხქონავ, გრძელნივ კბილნივ რო კბილთავ მიწაზედ მიიარგნებსავ, გძელებივ ფირჩხილები აქვავ. მაოსაოდ' მააბნევსავ საშინელ სულსავ. რო შამავავ, შამამაწვებისავ ზედაოდ' დამბნედსავ. გამაეღვიძებოდა, მკვდარს მახკელვდ შვილსად', დაღბრალდებოდ დევთ დედას. ქოხში რო ჯევსურის დიაც მარტო იყვ, იქ ვინ მიეკარებოდად ვინიცის, რაით მახკლევდ' მემრ დევთ დედას დაედებოდ ბრალი. ეს არა მარტო იმ დიაცს ეჩვენებოდ. დიაც თუ ქოხში წავიდოდ, დევთ დედას თუ არას მიღმადლებდეს, ყველას მექოხეს ეშინოდად მაეჩვენებოდ. სრუ დევთ დედაზედა, იმის გამიწრივლებაზე ხქონდის წინავ დიაცებს საუბარი. დიაცები ვერც სამრელოშიად ვერც

თავის შინ მარტოებ ვერ იძინებდეს. დევთ დედა მაგვეჩვენებისაოდ' დავიჯელთებითავ. დევთ დედაივ, იცოდიან, ვერ მიუდგებისავ ახლოსავ კაცსაოდ' იმის ანგელოზსავ, რაკი კაცს დიდ ანგელოზი ხპატრონობსავ. დიაც-ყმაწვილს კი ანადგურებსავ, რაკი დიაცს სრუ არ ხპატრონობსავ ანგელოზიოდ' ყმაწვილსაც ცოტა, უძალო ანგელოზი ხპატრონობსავ, რო დევთ დედა მაერევისაოდ გამააღვიძლავსავ ყმაწვილსა. ხანდიხან თიკანს დახკლევდეს დაღგლეჯდესა დევთ დედის კოშკის მირგვლივ ჯელუკუღს დაისრევდეს. დევთ დედა ისრ ხქონდ წარმადგენილ წინავ, რო სრუ დიაცებს ყარაულობდად, სადაც ვის გაწეოდ, აოდ გახკდიდ, ან მახკლევდ. ერთხანავ იცოდიან, ერთ დიაც გაკდავ აოდად' სიკვდილზე მიიწურავ. სიზმარჩი ეჩვენებოდისავ ღამის თაოდავ აისეთ დიაცივ, რაკელიც ხალხს აქვ წარმადგენიად' მკითხავებ ამბობენ. სიზმარში რო მეეჩვენეისავ, დაიწყისავ ყვირილივ — მიეშველებავ. მამამთილი ხყვანდისავ ჯვარის ჯელკაციოდ აშინებდისავ დევთ დედასავ. რახან მამამთილ მავიდისავ, უჭირველ დარჩისავ, ბოლოს, დიდგორის ჯვარჩი დაუკოჭვიებაეად, მამამთილი სადაც წვებოდ, იმის ახლოს დაუწყაე წოლაი. აღარ გაუვლავ ახლოს დევთ დედას. ქალ რო ქმართას წავიდოდ (ყველა კი არად' ვინაც იმის ახლო-მახლო ცხოვრობდად' იმაზე საუბარი ჯშირად ხქონდ ოჯახში), ისეთ დაშინებულებ იყვნეს იმის ჯალაფნიცად, თაოდ ისიც, რო წასვლაში დევთ დედას დაღმადლებდეს რას, რო ქმართას არ გახყოლლიყვა. იქ აღარა ევნ. ეგ დევთ დედაივ მარტო არ ასავ, იცოდიან წინავ. ეგენივ ზალ-დედამთილნი არიანავ: ზალივ ხორნაულთას ასაოდ' დედამთილივ როშკასავ. იმათავ ერთ გზაი აქვაოდ აიმ გზაზე დადიანავ ერთუცისკესავ. მკითხავებმ იცოდესად ეუბნებოდეს ხალხს, რომენს გზაზედაც დადიოდესად, მემრ დიაცყმაწვილი იმ გზას ახლოს არ მიეკარებოდ. როშკა არის ერთს ხეობაზე, მაღლა გორზე ხორნაულთა — კი მეორე ხეობაზეა. მკითხავები არწმუნებდნენ მცხოვრებლებს, რომ აქედან, ე. ი. როშკიდან დედამთილი ჩადის ხორნაულთას, იქიდან კი ის ამოდისო იმ მჯარეზე გაავლილ დიაც-ყმაწვილს გაიგებდეს ავად გაკდილს, ხო მკითხავებს მეტ აღარ უნდოდ, მაშივ დევთ დედას დააბრალებდეს. ზალივ, რომენიც ხორნაულთას ასავ, ჭკვიანიასავ იცოდიან, არ უყორსავ ვნებაიოდ' ე — როშკას რაიც ასავ დედამთილივ, ეგ ძალიან მავნეიავ.. ხორნაულთ დევთ დედას არც სცემდნენ იოვენს პატივს, რამთვენსაც როშკიონთას, რაკი იმისგან ეშინოდ.

ეს დევების დედებივ მაშინ დამრჩალავ, იცოდიან, როსაცავ ჭიშეხითავ როშკის გორზე ნამყოფებ დევებ ამასწყვიტავ კოპალამავ. ღვარ აუტეხავ დევმავ ჭიშეხ მაკნავსაოდ' ჯარ-კაცის წაღებას აპირობდავ. შამაზძახნავ კოპალასავ, კოპალა მაშივ ჭიშეხ მავარდაოდ' იქითავ ლახტის ჯლა დაუწყავ როშკის გორზე ნამყოფს დევების მჭედლებსაოდ ცეცხლ წაუკიდაო დაბუგნავ ცეცხლშიავ. მაშინავ ის ზალ-დედამთილნივ იქ არ ყოფილანაოდ' გადაშრომიოხავ. მემრავ აღარც დაკოცნავ კოპალამავ რაკი დიაცებ იყვნესაოდ' ერთად ცხოვრების ნება არ მისცავ, ხოლოთ სიარულის ნება კი მიუცავ ერთად. მას აქეთ არიან დასახლებულნივ, იცოდიან ერთ როშკასაოდ' მეორე ხორნაულთასავ.

ხორნაულთასაც აქვ იმის ადგილზე ქვებით აგებული კაცის ოდენ კოშკი. დიაც-ყმაწვილი ახლოს არ უდგებოდ იმას, როშკასაც ხქონდ კოშკიდ' ამ კოშკსთან კლავდეს საკლავსაც. ხორნაულთას კი არც საკლავს კლევდეს. დევ დედაბერობით აკსენებდეს როშკას ხუცობაში (M³, რვ. 18 გვ. 364—367).

7. მუხის გიორგის ჯვარი, სოფ. ბლო

მ უ ხ ი ს გ ი ო რ გ ი ს ჯ ვ ა რ ი წარმოადგენს მშრალად ნაგებ, მოგრძო ტიპის, ბანური გადახურვის შენობას, რომელსაც მთავარი ფასადი სამხრეთით აქვს. შესასვლელი კარი აქვს შენობის სამხ.-დას. კუთხეში, რომელიც მთლიანად დაზიანებულია. კარის თავზე წყვილი ჯიხვის რქაა მიმაგრებული. კარიდან მარჯვნივ თასების დასაწყობი ცარიელი კამალაა, შემდეგ აღმ. კედელშია საკომი, რომელშიც აწყვია: თითბრის თასი, ხის კოში წარწერით: „ლაგაზა ლიქოკელი წიქას ძე გ“, კოშის ტარზე ჯვრის გამოსახულებაა; გატეხილი ბოთლი, პატარა ზომის ქვაბი სახელურით, სპილენძის ორნამენტირებული თასი და ზარი მის გაგრძელებაზეა დალაგებული. მიწაზე აწყვია ძალიან დიდი ზომის ქვის ლოდები, რომლებიც სკამის მოვალეობას ასრულებენ. შემდეგ ისევ საკომია ხის ჩარჩოთი, რომელშიც ორი სპილენძის თასი დევს. კედლის ბოლოს ხის ჩხირზე 7 ზარი კიდია, აქედან ერთი ქართულია. აქვეა. კედელში ჩამაგრებული ნამგალი.

ს ა ქ ვ ა ბ ი ს დასავლეთის კედელთან ხის გეჯა-სალუდეა. ზედ აწყვია ხის სუფრის ნამტვრევები და ფაიფურის ფინჯანი, აქვეა ლუდის საწური კედები.

ჩრდ. კედელთან ორი დიდი სპილენძის კოდია, რომელთაგან ერთი შეკერილია; მის თავზე აწყვია სპილენძის სამფეხა სუფრა და დაშლილი სპილენძის სალუდე ქვაბის ნაწილები, მეორე კიდეზე კი ხის დაზიანებული კოდი და სახორცე ქვაბია. აქვე ხის ჩხირებზე კიდია 3 პატარა თულუხი და სპილენძის ქვაბი.

ჩრდ.-აღმ. კუთხეში აწყვია შეშა და დგას თუნუქის დაჟანგული ღუმელი. ნაგებობის ცენტრში მოთავსებულია ბოძი, რომელიც ჭერს იჭერს. სამხ.-აღმ. კუთხეში კარის ღიობია, საიდანაც დარბაზში შევდივართ. იგი საკმაოდ განიერია. დარბაზის კედლების გაყოლებაზე გარდა ჩრდილოეთის კედლისა, ხის სკამებია, ხოლო ამ უკანასკნელის გასწვრივ კი ქვის სკამი.

დარბაზის ჩრდ.-აღმ. კუთხეში ქვევრია ჩაგდებული, ხოლო ჩრდ.-დას. კუთხესთან აწყვია სპილენძის პატარა ზომის ძალიან ლამაზი ფორმის მქონე ქვაბი, სპილენძის ტაბლა, ქვაბი გავსებულია ხელსახოცებით.

დასავლეთ კედელში ერთმანეთის გვერდზე ორი პატარა შუკუმია, ერთში ხის ცარიელი კოჭობია, მეორეში კი 4 ზარაკი, ხატის ყდის ნარჩენი და საკიდელის ნაწილები. აქვე კედელზე მიყუდებულია 5 დროშის ტარი და ხევსბრის ყავარჯნის ზედა ნაწილი (ტაბ. 73, 74, 75).

დარბაზის ცენტრში სახურავი ჩანგრეულია, თუმცა ბოძი შერჩენილია. შემორჩა საკიდელიც, რომლის ქვემოთ შეიმჩნევა შუაცეცხლის ნაკვალევი. აღმოსავლეთ კედელში საკომს შუშა აქვს ჩასმული.

ბ ლ ო ე ლ-ხ ო რ ნ ა უ ლ თ ურ თ ი ე რ თ ო ბ ა დ ა მ ა თ ი ჯ ვ ა რ ი

ბლოელნი (გიგაურები) და ხორნაულნი (ზარიძენი) ერთმანეთთან ჯარით შაყრილები არ არიან და ერთმანეთში ძველიდანვე ქალს ათხოვებენ. მაგრამ ამავე დროს ბლო-ხორნაულთას საერთო სალოცავი აქვს „წვერნი“, რომელიც მოთავსებულია ხორნაულთის ზემოთ, მთის წვერზე და რომლის

დღეობა წელიწადში ერთხელ მოდის. ბლოელნი და ხორნაულნი სალოცავად იქ დადიან.

გარდა ამისა, ბლოელნი მიდიან ხოლმე ხორნაულთის სასოფლო სალოცავში „ჭიშეხის ჯვარში", რომელიც სოფელ ხორნაულთის გაღმა მხარეს მდებარეობს. ბლოელნი იქ ლოცულობენ ჭიშეხის ჯვარის სათემო დღეობებში. ჭიშეხის ჯვარის მიწას ხორნაულნიც ამუშავებენ და ბლოელნიც. ხორნაულებთან ერთად ბლოელნიც დასტურობენ იმ ჯვარში.

ბლოელთა სასოფლო სალოცავში — „მ უ ხ ი ს გ ი ო რ გ ი ს ჯ ვ ა რ შ ი" კი ხორნაულნი წელიწადში ერთხელ მიდიან, ერთ-ერთ მის დღეობაში. ამ დროს ხორნაულთის ჭიშეხის ჯვარიდან ბლოს მუხის ჯვარში, ჯვარიონნი ჯვარს (დროშას) წააბრძანებენ ხოლმე (1950 წ. 17 აგვისტო, ბარისახოს სტაციონარი, მთხრობელი 45 წლის ხთისო ბიძურას ძე წიკლაური).

8. მთავარანგელოზის ჯვარი, სოფ. ბლო

ბლოში ახლა 2 კომლიღა ვართ. აქ სულ გიგაურები ცხოვრობდნენ. ეხლა თიანეთის რაიონში ყუდროში ვართ გადასახლებული, შირაქში, უზუნდარაში და სხვ. ანთაურები ჩვენი განაყრები არიან. ლუთხუმში და კაწალხევში არიან გადასახლებულნი. სოფელში ორი ჯვარია: არხოტის მოძმე მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი და მ უ ხ ი ს გ ი ო რ გ ი.

მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს დ ღ ე ო ბ ა მოდის — ათენგენობას, მარიამობას, დღეობებია: ენკენია, გიორგობა, ქრისტე, წელწადი, აღდგომა, ამაღლება. სასოფლო ხატი იყო. ქალ-დისწული, მამიდაშვილი მოდის — ლაფანყურიდან, იქ არიან ჩვენი ბევრები. აქ დეკანოზი არაა, ხან ქმოსტიდან და ხან როშკიდან მოგვყავს, რა ბედენაა, ისიც დეკანოზია. ეხლა უკვე დეკანოზიც იშვიათად მოდის და ხშირად საკლავის პატრონი თითონ კლავს.

მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს დ ა რ ბ ა ზ ი ჩაქცეული იყო, 4 წლის წინ გადახურეს თავიდან. გადახურვა ბანურია, უწინაც ასავე იყო გადახურული. დარბასის კედლები მშრალადაა ნაგები, მთავარი ფასადი სამხრეთით აქვს. შესასვლელი ფასადის მარცხენა კუთხეშია. იგი განიერია და ს ა ჭ ი პ ჭ ა ვ ი თ იკეტება. კარიდან მარჯვნივ შენობის ბოლომდე ქვის სკამია, რომლის ბოლოსაც დევს სპილენძის დიდი ზომის, შეკერილი ქვაბის ზედა ნაწილი, რკინის სახელურებით; შიგ დევს ნახევრად დაზიანებული ხის კოდი. კოდის თავზე პატარა შუკუმია, რომელშიაც აწყვია თუნუქის, ფაბრიკული, ფეხიანი ვაზა, სპილენძის პატარა თასი და რკინის საკიდელი. დარბასის კარის წინ ყრია ძველი გადახურვისაგან დარჩენილი კეზები.

კარიდან შევდივართ ნაგებობაში, რომელიც ორი თვალისაგან შედგება. პირველი საქვაბეა, რომლის სამხ.-აღმ. კუთხეში ღიობია ხის კარით, დარბასში შესასვლელი. კარიდან ჩრდილოეთით კედლის გაყოლებაზე აწყვია: 3 ფიცრის ნაჭერი, გადაჭრილი და შემდეგ ძირმიდუღებული ბრტყელძირიანი სალუდე ქვაბი, პატარა ზომის კოში, დიდი ზომის შეკერილი სპილენძის სალუდე ქვაბი, რომელზედაც ზემოდან აწყვია დაშლილი ქვაბის ნაწილები, 6 ორნამენტირებული სპილენძის თასი, რომელთაგან ერთს არაბული წარწერა აქვს, ხოლო მეორეს ქართული (წაკითხვა ვერ მოხერხდა). აქვეა კედელზე მიყუდებული ორი მშვენივრად ორნამენტირებული ხის დროშის ტარი და ქვაბის

საფხეკელი. ქვაბის თავზე, კეზზე კიდია საკიდელი. ჩრდ. კედელთან ალაგია ოთხი ქვაბი, ერთი ღრმა ჯამი და დაზიანებული ხის კოდი.

დასავლეთის კედელთან, სამხრეთისაკენ ხის სალუდე გეჯაა, რომელზეც დევს სპილენძის ვედრო. ლათბის თავზე ორი შუკუმია, ერთში — 3 პატარა და ერთი საშუალო ზომის ქართული ზარია წარწერების გარეშე, მეორე შუკუმი ცარიელია.

დარბაზში სამხრ. კედლის გაყოლებაზე ხის დიდი მორია სკამად გამოყენებული, რომლის თავზეც საკომია. აღმ. კედლის ცენტრში ვიწრო ფანჯარაა ხის დარაბით. მის ქვემოთ ხის მორი დევს ჩრდ.-აღმ. კუთხეში—3 ცარიელი, დიდი ზომის ხის კოდია. ჩრდ. კედლის გაყოლებაზე დასავლეთისაკენ — ქვევრია მიწაში ჩადგმული. შემდეგ მოდის ქვის სკამი თუნუქის ბიდონი და ჩხუტი. სკამის წინ დგას სპილენძის, სახელურებიანი ჩხუტი. დას. კედლის გაყოლებაზე ხის გრძელი ოთხფეხა სუფრაა. კედელში შუკუმია პატარა თასით და რქის ყანწით. საკოდეს ცენტრში (უფრო ჩრდილოეთისაკენ) ჩანს კერის ნარჩენი. დარბასიდან ჩრდილოეთით ნ ა ნ გ რ ე ვ ი ა, რომელიც ს ა ს ა ნ თ ლ ე ს მოგვაგონებს.

III. პირიქითი ანუ მთასიქითი ხევსურეთი

ა) გურო-შატილის მხარე

1. მთავარანგელოზის ჯვარი, სოფ. შატილი

ჯვარი (ტაბ. 76) მოთავსებულია შატილის წყლის გამოღმა, სამხ.-აღმ. მხარეს, კლდეში. დარბაზის აღმოსავლეთი მხარე უჭირავს სალ კლდეს, რომელიც გამოყენებულია დარბაზის აღმოსავლეთ კედლად. ჩრდილოეთის მხარესაც კედლის მეტი ნაწილი სალი კლდეა. დასავლეთით მდებარე დარბაზის ფასადი მშრალად ნაგებია ფიქალისაგან. აქვს მცირე ზომის შუკუმი და ხის დაბალი კარი, მოთავსებული მაღლობზე წინ ფიქალის კიბეებით. კარის თავზე კედლიდან გამოწეული ძელია, რომელთანაც ჯიხვის რქაა მიმაგრებული. კარის მარცხენა მხარეს ასევე კედლიდან გარეთ გამოწეულ ძელზე ჩამოკიდებულია ზარი, თეთრი სახიანი ხელსახოცით ზარის ენაზე. იქვე კედელში გამაგრებულია ჯიხვის რქები, ზარის დასწვრივ, მის ქვეშ ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები კოშკია ზედ მოთავსებული მთის ბროლის ნამტვრევით. აქვე დგას პანტის ხე. დარბაზის შიგნიდან ხოვლია, ნაშალი ქვებით სავსე. დარბაზის ფასადს აკრავს „დარბაზის კარი“.

დ ა რ ბ ა ზ ი ს კ ა რ ი, ანუ ბ ე ღ ლ ი ს კ ა რ ი (ტაბ. 77) წარმოადგენს ოთახის მსგავს ნაგებობას, რომლის აღმოსავლეთ კედლად გამოყენებულია დარბაზის ფასადის კედელი, ხოლო სამხრეთით — კლდეა ნაწილობრივ ყორით ნაგები. დასავლეთი მხარე (ნაწილობრივ ჩრდილოეთიც) ფიქალით, მშრალად ნაგები კედელია, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან აქვს ღია, უკარო შესასვლელი. ამ ღია მხარეს, ზემოდან გადებულია ძელი. სამხრივ დარბაზის

კარში ფიქალის საჯდომებია. შუაში ფიქალისგანვე მოწყობილია კერა. დარბაზის ანუ ბეღლის კედელთან ძელი ეყრდნობა კაპებიან ხის სვეტს. ბეღლის ფასადის გასწვრივ მოთავსებულ ფიქალის საჯდომებზე გაწყობილია თასები; თხუთმეტი თას-კოჭობი სხვადასხვა ზომისა დგას პირდაპირ ფიქალზე, ხოლო სამი თასი, — სახუცო კოჭობი, კვირიას სახსენებელი თასი და მთავარანგელოზის სახსენებელი თასი დადგმულია ქადაზე. იქვე მათ გვერდით დგას თუნგი ლუდით, რომელიც ამ დილით მოიტანა ჯვარის მეგანძურმა აბა ჭინჭარაულმა ხუცესთან (ხვთისო ანატორელი) ერთად. ამჟამად ამ ჯვარის ხუცეს-მეგანძური, შატილის ხთიშობლისა და წმინდა გიორგის ჯვარების ხუცესები სხედან ბეღლის ანუ დარბაზის კარში ქვის საჯდომებზე და ელიან მეზარეს გიორგიწმიდიდან. თუ მან ზარი არ ჩამოკრა, დილის ჟამისწირვას ვერ შეასრულებენ. მაგრამ ამ ძველ წესს გადაუხვიეს და ხუცესმა ხვთისომ ამასთან ერთად მეზარის ფუნქციაც შეასრულა — ზარიც მან ჩამოკრა და მანვე იხუცა. პირველი ტექსტი ხუცესმა რომ წარმოსთქვა, იყო მოხსენება. შემდეგ მან იხუცა, მერე სადიდებელი სთქვა, შემდეგ—კურთხევა. დაიჩოქეს და კვლავ გაიმეორეს მოხსენება. ამის შემდეგ მან წარმოსთქვა სადიდებელთაი (M[6]).

შ ა ტ ი ლ ი ს ს ა ფ ე ხ ნ ო დ ა ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ჯ ვ ა რ ი. (ტაბ. 78, 79, 80). საფეხნოში იდგა კისტან დასტურის სკამი. კისტან დასტური მთავარ (დასტური) იყო ეს ჯვარი ხთიშობლისა და კისტანის ჯვარი ორივ ერთია.

თავი ხატი ღვთისმშობლისა გუდანშია, შემდეგ კისტანში და შატილში. ყველა ეს ხატები ჭინჭარაულების სალოცავის გუდანში სალოცავად მხოლოდ „მეზღვნენი“ მიდიან, ე. ი. ვისაც საკლავი აქვს მისაყვანი ის წავა შატილიდან. ასევეა კისტანის ღვთისმშობლის დღეობაზეც. გუდანში ცალკე სკამი დგას ჩვენი (შატილივნების). კისტანში სკამები არ არის, მაგრამ საბინაოებია. გუდანელების საბინაო ცალკე არის აქ, კისტანელებისა ცალკე. ღვთისმშობლის ხატში ორი დროშაა. დროშის ნაწილებია: ჩიქილები, გუმბათი, ტარი, ბუნი.

შატილში ცხოვრობენ ჭინჭარაულები, რომელნიც იყოფიან ორად: საუთურგაულო და საგილაკაურო და ლიქოკელთა გვარიდან ანატორელნი. ანატორელნი ხთიშვილის მოყვანილნია. ისინი არიან ა ნ ა ტ ო ნ ი ს ჯვარის ყმანი. .ამიტომ საწულეობას ანატორის ჯვარში იხდიან და ანატორელთა ჯვარს მიებარებიან ხოლმე. ანატორის ჯვარის გარდა შატილში არის: „ხ ო დ ა ბ უ რ ი ს ჯ ვ ა რ ი“.

2. ანატორის ჯვარი

ა ნ ა ტ ო რ ი ს ჯ ვ ა რ ი ანატორშია, შატილის მახლობლად, გორაკზე. შედგება სამი ნიშისაგან! ქვითკირის პატარა „კოშკებია“, რომელთაგან ორზე ჩამოკიდებულია ზარი. ერთ ზარს აქვს ქართული წარწერა. შესაძლებელია ეს სამი ნიში სამ ჟამთა სახელობაზე იყო (იხ. ლეგენდა, ჩაწერილი არდოტში); მით უფრო საფიქრებელია, რომ ხალხის აზრით ამ ხატში ასვლა მეტად სახიფათოა, — როდესაც ერთმა მგზავრმა ქალმა დაგვინახა რომ ამ ხატიდან ვბრუნდებოდით, შიშით გვითხრა — თქვენ არ გადარჩებით, დაიხოცებითო (1929 წ. 15 აგვისტო, სოფელი არდოტი).

ანატორის ჯვარი საიდან მოსულა ეს არავინ იცის, რადგან მას თავისი ყმები ანატორელები დანაშაულისათვის სულ ამოუწყვეტია. ანატორის ჯვარს ჰყავდა კიდევ ორი მოძმე — არხოტის ჯვარი და ჯონის ჯვარი. მესამე კი თვით ანატორის ჯვარი იყო. სამივე ესენი მთავარ ანგელოზის სახელწოდებით იხსენიებიან. ამათში უფროსად ითვლება არხოტის ჯვარი, მეორე ანატორის ჯვარი და მესამე — ჯონის ჯვარი. ძალი და შეძლებაც მეტ-ნაკლები ჰქონდათ, როგორც უფროს-უმცროსებს. ხოლო ყმათათვის დახმარება სამივე მოძმეს მოლოცვილი ჰქონდა, ერთნაირად უფრო მტერთან ბრძოლაში. მტერი ხევსურებისათვის მაშინ იყო მეზობელი ქისტები და ლეკები, რომლებთანაც ხშირად უხდებოდათ შეტაკება, ცხვრებისა და ჯოგების მოტაცება და სხვა. ანატორის ჯვარის ყმები ყოფილან სოფელ ანატორში მცხოვრებნი და ბევრი ხალხიც ყოფილა. მათ ეკუთვნოდათ მთელი შატილის მთა და ბარი. მერე შატილივნები, გვარად ჭინჭარაულები მოსულან და ძალით ჩასახლებულან შატილის მახლობლად „ქაჩუში“ — (მათი ნასოფლარი კოშკების ნანგრევები ისევ დგას ერთ მაღალ კლდის თავზე). ანატორელებმა ანატორის ჯვარის დროშის ქვეშ მოიყარეს თავი და რამდენჯერმე დაეცნენ შატილივნებს, მაგრამ მათ მოიგერიეს მტერი. თავისი სიმაგრეებიდან ჰქონდათ გაყვანილი გვირაბი წყარომდე და იქიდან ამოჰქონდა წყალი, როცა მტერი დიდი ხნით შემოესეოდა და გამოსვლის ნებას აღარ მისცემდა. ანატორელები რომ ვერაფერს გახდნენ და ვერ აყარეს ჩასახლებული შატილივნები, წავიდნენ და სთხოვეს დახმარება თუშებს. მათ მოაგროვეს ბლომად ლაშქარი, ანატორელებიც შეუერთდნენ, ააბეს ანატორის ჯვარის დროშა და ქაჩუში მცხოვრებ შატილივნებს თავს დაესხნენ სრულიად მოულოდნელად. შატილივნების ცხვარი და სხვა პირუტყვი დარჩა თუშთა და ანატორელთ ხელში. შატილივნები კი თავის სიმაგრეებში გამაგრდნენ და მტერი ვეღარაფერს აკლებდა მათ.

თუშებს უნდოდათ გაეგოთ შატილივნებს წყალი საიდან მიჰქონდათ ამის გასაგებად ჯორს დიდხანს წყალი აღარ დაალევინეს. წყალმოწყურებული ჯორი რომ გაუშვეს, ის იმ ადგილს მივიდა, სადაც გვირაბიდან ასატანი წყალი იყო ჩამალული (გვირაბს ხევსურულად ეწოდება დარანი). ჯორმა წინა ფეხებით ამოთხარა წყარო, ლაშქარმა მოწყვიტა წყალი, მაგრამ შატილივნები მაინც არ დამორჩილდნენ. მათ ჰქონდათ დიდი თხორები (შალის მოსაქსოვად მატყლისაგან დამზადებული ძაფის, გორგოლები). ღამით ამ თხორებს გადაყრიდნენ სოფლის ბოლოზე მდინარე — არგუნში. რადგან იქ ციცაბო კლდე იყო, თხორები პირდაპირ მდინარეში ეშვებოდა და იქღინთებოდა წყლით. ამოათრევდნენ თხორებს, გაწურავდნენ და ამნაირად კოდებს წყლით ავსებდნენ. პურის მარაგიც ბევრი ჰქონდათ. ანატორის ჯვარს ყავდა ერთი ხუცესი, იგივე მკადრე. ეს ხატი იყო მთავარანგელოზის სურათის სახით, რომელიც ფრინავდა ჰაერში და თავისი მკადრე დაჰყვებოდა თან. სურათი ჩარჩოში ყოფილა გაკეთებული, როგორც ჩვეულებრივი ხატი. ეს ხატი ფრინავდა ხევსურეთშიც, თუშეთშიც და ქისტეთშიც. ის ხალხს კი არ დაბეგრავდა (ეს მარტო გუდანის ჯვარის საქმე იყო) არამედ დადიოდა იმიტომ, რომ ხალხი დაეყმო, თავისი სახელი აემაღლებინა და ბევრი მლოცველი ყოლოდა. ის როცა მიფრინავდა, თან დაჰყვებოდა მისი მკადრე, ვისაც ის ხელზე მოუდიოდა. მკადრე მოხუცდა, თანაც დაკოჭლდა და ვეღარ ჰყვებო-

ხატს. ამიტომ მან მოინდომა გაეკეთებინებინა მჭედლისათვის ოქროს ლურსმანი და დაეკრათ ხატისათვის მხარში, რომ ხატს სწრაფი ფრენა აღარ შეძლებოდა და მოხუცებული მკადრე დასწეოდა მას. ანატორის გაღმა მხარეს იყო ერთი სოფელი, რომელსაც ახლა უწოდებენ ძველ ნასოფლარს, იქ სახლების ნანგრევებია. ამ სოფელში ცხოვრობდა ოქრომჭედელი. ხატის მკადრემ გააკეთებინა ოქროს ლურსმანი და დააღირა ხატს დასაკრავად. ხატს დაეტყო ნალურსმნალი და ძალიან გაუწყრა მკადრეს, მის გვარს და მჭედელს. გააჩინა ჟამი და სულ გაწყვიტა ხალხი. ანატორში იყო აკლდამები და ერთ დღეს მარტო სამოცი ხმლიანი შესულა (ხევსურები ხმლიანს იტყოდნენ მამაკაცებზე). ეს ისეთი ჭირი ყოფილა, რომ გამოუვიდოდა მუწუკის სახით სხეულზე და აღარ აცოცხლებდა დიდხანს. ჟამისაგან მოკლულს აღარავინ ეკარებოდა დასამარხავად. ამიტომ, როცა მუწუკი გამოუვიდოდა, ავადმყოფი თავისი ფეხით შედიოდა აკლდამაში და იქ დალევდა სულს. მათი გვამები ანუ ჩონჩხები დღესნამდის არის აკლდამებში. ეს ხალხი რომ გაუწყვეტია, ერთი საწყალი კაცი გადარჩენილა რომელსაც თავი ჰქონია დაჭიავებული. ეს კაცი პირველად შეხიზნებია სოფელ მუცოში. შატილივნებს აქაც მოუხდო�ებიათ მის მოკვლა და ამით ანატორელთა გვარის სრული ამოწყვეტა, რომ ადგილზე აღარავინ წამოსდავებოდა. მაგრამ მუცუვლებს იგი გადაუყვანით და მიუბარებიათ თუშეთში. თუშეთში ის დაცოლშვილებულა: შატილივნები კი დამდგარან ანატორელების ადგილებში და დაუწყიათ ცხოვრება. ანატორის ჯვარსაც მოუშლია მჯრით ფრინვა და გადაქცეულა ჩვეულებრივ სალოცავად. შატილიონებმა ანატორის ჯვარის ლოცვა განაგრძეს და გაჩნდა დასტურჯელოსნები. ხოლოთ ხატი ხელზე აღარავის მოუდიოდა. დანარჩენი წესები კი განაგრძეს ჩვეულებრივ. შატილივნებმა როცა შატილი ააშენეს და ფეხი მოიმაგრეს, მოიყვანეს თუშეთიდან გადარჩენილი ანატორელი კაციც და თავის სოფლის ბოლოზე დაასახლეს.

ხატი როცა თავის მკადრეს ხელზე მოუდიოდა, მკადრეს თავს გვერდზე დააჭერინებდა, თვითონ კი ხელებზე გადაფენილ ხელსახოცზე დაბრძანდებოდა, ზურგი მუდამ მკადრისაკენ ჰქონდა მიქცეული, რომ ჯორციელის სული არ მისდენიყო (M^3, რვ. 46. გვ. 726—729).

8. სანება ანუ საღმრთო, სოფ. გურო

„ს ა ნ ე ბ ა იყო გურო-გიორწმინდის მთავარი სალოცავი. ეს სალოცავი პირველად დაარსებულა გუროს მაღლა, მთაზე. მაგრამ რადგან ზამთარში აქ ხალხის მისვლა ძნელი იყო, ჩამოსულა და სოფლის მარჯვეს დამკვიდრებულა. აქ დაუწყია ხალხს დღეობები. მხოლოდ ათენგენას, სამშაბათ დღეს დღეობობდნენ ისევ იმ მთაზე, სადაც პირველად დაარსებულა. ამ დღეობას ეწოდებოდა „მთავარი დღეობა“. ამ ჯვარს ყავდა ბუდე ხევსურეთში ორი მოძმე. ერთი გ უ დ ა ნ ი ს ჯ ვ ა რ ი ს ს ა ხ მ თ ო და მეორე უკენჯადუს ცროლის მთაზე ს ა ნ ე ბ ა. ეს ორივე სალოცავი ხევსურეთში უდიდეს სალოცავებად ითვლებოდა, გუროს სანებაც არ ყოფილა მათზე ნაკლები; გუროში ასე გადმომცეს, რომ ეს სამივე სალოცავი სხვა სალოცავებზე დიდები არიანო, ცროლის სანება არის ღმერთი, ეს სანება გუროშიც ღმერთია და გუდანის ჯვარი საღმრ-

თოც ღმერთიაო. ბუდე-ხევსურეთში კი მითხრეს, რომ გუდანის ჯვარი ბერი ბაადური მოხუცი კაცის სახით არისო. ზოგთა თქვეს — როგორც წმინდა გიორგი თეთრი ცხენით არისო. ეს ორი სალოცავი—გუროსი და ცროლისა—კი ყველგან სამებად ყავთ წარმოდგენილი და სანებას უწოდებდნენ. გუდანის ჯვარის დროშის ქვეშ უვლიათ ქისტებთან საბრძოლველად ხევსურებს, რადგან ის უდიდესი სალოცავი ყოფილა, ცროლურის და გუროს სანების დროშის ქვეშ კი არსად ყოფილა ასეთი ამბავი; ისინი ე. ი. მათი დროშები ადგილობრივ იყვნენ, ღამისთევაზე წავიდოდნენ და სხვა“ (M³, რვ. 56, გვ. 292—293).

4. ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარი, სოფ. კისტანი

ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარის საზარე კოშკი (ტაბ. 81) წარმოადგენს გეგმაში ოთხკუთხა ფორმის სიპებისაგან მშრალად ნაგებ შენობას სამსიპერდიანი გადახურვით, რომელსაც თავზე მოზრდილი ოთხკუთხა ფორმის ქვა ადევს. ამ ქვის გვერდით კოშკის თავზე ჯოხია ჩარჭობილი, რომელზედაც ბრეზენტის ნაგლეჯია ჩამოკიდებული.

კოშკის ფასადის მხარეს, ოდნავ გამოშვერილ ქვაზე პატარა ჯაჭვზე მოზრდილი რუსული ზარი ჰკიდია. ზარს წარწერა არა აქვს. კოშკის ირგვლივ მოზრდილი ქვებია უწესრიგოდ დაყრილი.

დობილთ ანგელოზი მდებარეობს ნახარელას საზარე კოშკიდან ორმოციოდე მეტრის მოშორებით, მისგან დასავლეთით (პატარა) დავაკებაზე. იგი მომცრო ზომის მშრალად ნაგები, კვადრატული ფორმის კოშკია, რომელსაც დობილთ ანგელოზს უწოდებენ.

ნაჯარელა ღვთისმშობლის ჯვარის დარბაზი (აღწერილია გარედან) ნაჯარელას საზარე კოშკიდან საკმაო მოშორებით, მისგან დასავლეთით მდებარეობს ღვთისმშობლის ჯვარის კომპლექსი: დარბაზი, საზარე კოშკი, საქვაბე და საჯარე (ტაბ. 82).

დარბაზი. ღვთისმშობლის ხატის დარბაზი წარმოადგენს თუნუქის ორფერდასახურავიან შენობას, რომლის კედლები მშრალად არის ნაგები. დარბაზის მთავარი ფასადი სამხრეთის მხარესაა, საითაც მას დატანებული აქვს ხის კარი, რომელზეც ბოქლომია დაკიდებული. კარის თავად გადებულია ორი ხე და ერთი მოგრძო ქვა. კარის თავზე ირმის რქაა მიმაგრებული. ზღურბლად ქვაა დადებული. კარის მარცხენა მხარეს, მისგან ცოტა მოშორებით, კედელში ჩარჭობილ წვრილ ჯოხზე, წვრილი ჯაჭვით ჩამოკიდებულია რუსული ზარი, რომლის ენაზე თეთრი საკადრისია შებმული. ზარს დასაცავად თუნუქის სახურავი აქვს გაკეთებული.

კარის მარჯვენა მხარეს კედლის გაყოლებაზე ერთი გრძელი „ხოხის“ ქვა დევს, ხოლო კარის მარცხენა მხარეს ორი სიპი ქვაა. დარბაზის უკანა, ე. ი. ჩრდილოეთის კედელი გარედან ნაწილობრივ მიწაშია.

დარბაზის დასავლეთ კედელში (შუაში) სახურავთან ახლოს დატანებულია მომცრო ქვა, რომელზეც ამოკაწრულია ჯვარი და სახელი—გიორგი. ღვთისმშობლის ხატის დარბაზს გარს არტყია გალავანი, რომელიც კარგად არის შემონახული. გალავანი სიპებისაგან მშრალად არის ნაგები. შესასვლე-

ლი გალავანს დასავლეთის მხარეს აქვს. ამავე დასავლეთის კედელზე საზარე კოშკთან ახლოს დევს რუსული ზარი. ღვთისმშობლის ხატის დარბაზი და საზარე ერთ გალავანშია მოქცეული.

ს ა ზ ა რ ე. დარბაზის დასავლეთით, ერთი მეტრის დაშორებით, გალავნის შიგნით, აღმართულია საზარე, გეგმაში ოთხკუთხედი, მშრალად ნაგები კოშკი, ხუთსიპერდიანი ოთხფერდა გადახურვით, რომელსაც თავზე ორი პატარა ზომის ქვა და მათ შორის დახრილად ერთი წოწოლა ქვა ადევს.

საზარეს მთავარი ფასადი სამხრეთ მხარეს აქვს, რომლის კედელში ჩარჭობილ ჯოხზე დაკიდებული რუსული ზარია. ზარი ჩამოკიდებულია წვრილი ჯაჭვით. ზარის ზედა ვიწრო ნაწილში მოზრდილი ბეჭდური ასოებით რუსული წარწერაა: «По заказу Тифлисского Т-ва торговли церковными вещами».

დარბაზის უკან, მისგან ჩრდილოეთით, 10—15 მეტრის დაშორებით, მთის ფერდობზე, აღმართულია მომცრო, საშუალო ზომის გეგმაში ოთხკუთხი ფორმის, მშრალად ნაგები კოშკი, ოთხფერდა ოთხსიპერდიანი გადახურვით. მას თავზე ადევს რამდენიმე ნატეხი სიპისა და პატარა ზომის ბროლის ქვა. ამ კოშკის უკან გდია ირმის რქა. კოშკის მთავარი ფასადი სამხრეთ მხარესაა. აქ პირველსა და მეორე სიპერდს შორის დატანებულია პატარა ნიში, რომელშიც საქონლის ძვლები ეყარა. კოშკის უკანა კედელი, ე. ი. ჩრდილოეთის კედელი ნაწილობრივ მიწაშია ჩასმული.

ს ა ქ ვ ა ბ ე. დარბაზიდან 50—60-ოდე მეტრის დაშორებით, მისგან დასავლეთით მდებარეობს საქვაბე. ეს არის მშრალად ნაგები, ორფერდა გადახურვის მოგრძო შენობა. ამჟამად ამ შენობის სახურავი ნახევრად დაზიანებულია. ადგილობრივი მცხოვრებლის გადმოცემით, ეს იყო ერთი მთლიანი შენობა, რომელიც წინათ ერთდროულად საქვაბესა და საჯარეს წარმოადგენდა. მაგრამ შემდეგ სოფელმა გადაწყვიტა საჯარე ცალკე აეგოთ, რაც შეასრულა კიდევაც, ხოლო ადრინდელი შენობა დააპატარავა და მარტო საქვაბედ აქცია. კარები ძველ ადგილას არის დარჩენილი (აღმოსავლეთ მხარეს). გაკეთების შემდეგ საქვაბეს მოზრდილი ოთხკუთხა ფორმის ოთახის შესახედაობა მიეცა. საქვაბის წინ პატარა ოთახია მიშენებული, ერთფერდა სახურავით, იგი სიპით არის გადახურული, რომელსაც შესასვლელი სამხრეთ მხარეს აქვს დატანებული ამ ოთახის გავლით შევდივართ საქვაბეში. ამ პატარა შემოსასვლელში (ოთახში) დგას ლუდის გამოსაწური მოზრდილი სპილენძის ერთსახელურიანი ქვაბი. საქვაბის ჭერი დაყრდნობილია სამხრეზე და ორ კეზზე.

საქვაბის სამხრეთ კედელში გამოჭრილია საკვამი ანუ ფანჯარა. საქვაბის სამხრეთ და დასავლეთ კედლების კუთხეში მოთავსებულია სალუდე ქვაბის ჩასაკიდი ადგილი. აქ არის სალუდე ქვაბის დასამაგრებელი ყორე, რომელშიც ჩადგმულია ძალიან დიდი ზომის სალუდე ქისტური ქვაბი. სალუდე ქვაბი ჯაჭვის საკიდელით არის ჩამოკიდებული კეზზე გადებულ წვრილ ჯოხზე. სალუდე ქვაბში ჩადებულია ხის სარევი.

სამხრეთ კედელთან გამართულ ქვაბის საყრდენ ყორეზე დგას სპილენძის სასანთლე თასი, ხოლო დასავლეთ კედელთან გამართულ ქვაბის საყრდენ ყორეზე სპილენძის პატარა ზომის სახელურიანი ჩხუტი, ლუდის ამოსა-

ღებად, აგრეთვე სპილენძის ქიტი და ორყურიანი მოზრდილი ჩხუტი, დაპირქვავებული.

საქვაბის დასავლეთ კედელში დატანებულია ოთხი შუკუმი. პირველში, რომელიც სალუდე ქვაბის ახლოს მდებარეობს, დევს ზარაკი და არყის დასალევი რქის ყანწი, მის გვერდით კი კედელში ქიტია ჩარჭობილი. მეორე შუკუმში შედებულია სარევი და ლუდის ტომრის გასაწურავად პირსაკრავი. აქვე დევს პატარა ზომის ყანწი.

მესამე შუკუმში შედგმულია ხელმომტვრეული კოში. მეოთხე შუკუმში დგას სპილენძის ყურიანი თეფში — შემოწირული, თუნგის მსგავსი ჭურჭელი.

საქვაბეში დასავლეთ კედელთან მიწყობილია გეჯის დასადგმელი, მასზე დაპირქვავებულია გეჯა (არყის გამოსახდელი), რომელზეც წამოქცეულია საშუალო ზომის სპილენძის თუნგი.

დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლის კუთხეში მოწყობილია არყის გამოსახდელი საცეცხლე, რომელზეც არყის ქვაბი დაიდგმებოდა ხოლმე. მის წინ დგას საშუალო ზომის ქისტური ქვაბი.

ჩრდილოეთის კედელთან აწყვია მოზრდილი სპილენძის თუნგი და ლუდის გასაფუებელი ხის კოდი. მასზე ზემოდან ხის კედებია დაწყობილი, რომელთაც ტომრებს შემოუჭერდნენ და წურავდნენ. ამავე კედლის კუთხეში სპილენძის სამი მრგვალი ბაკანია მიყუდებული (ერთი ასეთივე ბაკანი აღმოსავლეთ კედელზეა მიყუდებული).

აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ დგას ხისა და მის გვერდით გამწკრივებული მოზრდილი რვლის ჩხუტები. იქვე დევს ხის კუნძი, ამავე კედელში გამოჭრილია შუკუმი.

საქვაბის შუაში დევს გრძელი „ხოხის“ ქვა (გლუ ქვა). ადრე ეს ქვა საქვაბის ჩრდილოეთ კედელთან დებულა.

საქვაბის მთავარი შესასვლელის ზღურბლად ხეა დადებული. კარის თავიც ხისაა. კარები ხეებისაგან არის შეკერილი. საქვაბის კარების მარჯვენა მხარეს ქისტური მომცრო ლუდის ქვაბია წამოპირქვავებული.

საქვაბის აღმოსავლეთით, მისგან სამიოდე მეტრის მოშორებით მდებარეობს წაკვეთილი პირამიდის ფორმის პატარა კ ო შ კ ი, რომელსაც თავზე ბროლის მოზრდილი ქვა ადევს. მთავარი ფასადი დასავლეთის მხარესაა, რომელშიც დატანებულია ერთი შუკუმი. აქ სანთლებს ანთებდნენ ხოლმე. სამხრეთ კედელში დატანებულია მეორე შუკუმიც. ადგილობრივი მცხოვრებლის გადმოცემით ამ კოშკთან მარტო დასტურებს შეეძლოთ მისვლა. კოშკის წინ, მისგან სამხრეთით, სიპის ქვებისაგან პატარა ყორეა ამოშენებული, სადაც სანთლებს ანთებდნენ ხოლმე.

ს ა ჯ ა რ ე მდებარეობს საქვაბისაგან ჩრდილოეთით 30—40-ოდე მეტრის მოშორებით, შემაღლებულ ადგილას. იგი წარმოადგენს თუნუქის ცალფერდა გადახურვის მქონე მშრალად ნაგებ შენობას, რომელსაც მთავარი ფასადი სამხრეთ მხარეს აქვს მიმართული.

საჯარეში შესასვლელი ცოტათი შემაღლებულია სიპების წყობით, კარს ზღურბლად ხე აქვს გადებული. კარის თავად სამი სხვა ხეა გადებული. კარები ხუთი ფიცრისაგან არის ლურსმნით შეკერილი. კარების მარცხენა მხა-

რეს გარედან კედლის გასწვრივ სიპებზე გადებულია ერთი მთლიანი განიერი ფიცარი. კარის მარჯვენა მხარეს ასევე კედლის გაყოლებით დევს გრძელი ხოხის ქვა და ხის „ყუნჭი" (კუნძი).

საჯარის კარების მარჯვენა მხარეს კედელში გარედან დატანებულია პატარა შუკუმი, რომელშიც პატარა სპილენძის თასი დგას. სახურავიდან გარეთ გამოშვერილ ოთხ კეზზე დამაგრებულია ჯიხვის რქები. ასევე შესასვლელი კარების თავზეც მიმაგრებულია ჯიხვის რქა.

საჯარის კარების მარჯვენა მხარეს კედლის დასასრულთან კუთხეში სიპებისაგან მშრალად აგებული პატარა, სწორკუთხა ფორმის ყორე, რომელზეც ხალხის მიერ მოტანილ ქადებს აწყობენ.

საჯარის სამხრეთ კედელში გამოჭრილია საკვამი ანუ სარკმელი. შიგნიდან საჯარეში, კარების მარჯვენა მხარეს, სამხრეთის კედლის გასწვრივ ხის საკმაოდ განიერი საწოლია გამართულია, რომელზეც ჩალაა დაგებული. საჯარის დასავლეთი კედლის სიგრძეზე გადებულია მასიური ხის მორი — სკამი. საჯარის ჩრდილოეთ კედლის გასწვრივაც (კედლის ნახევრამდე) გამართულია ხის სკამი. დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლების კუთხეში ჩატანებულია გრძელი სიპი, რომელიც კუთხეს ქმნის.

ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ გამართულ ხის სკამს ზედ ებჯინება მშრალად ნაგები ს ა ს ა ნ თ ლ ე კ ო შ კ ი, რომლის უკანა კედელი საჯარის ჩრდილოეთ კედელს წარმოადგენს. ამ სასანთლე კოშკს ფასადი სამხრეთ მხარეს აქვს მიმართული. მას ამავე მხარეს ერთი შუკუმი აქვს დატანებული. რომელშიც შეწყობილია სპილენძის ქაფქირი, ვერცხლის სადა და ორყურა თეფშები. სპილენძის პატარა ერთყურა ქვაბი—„ერაწა", ხის კონჩხა, რომელსაც დაჭრელებული ტარი აქვს.

საჯარის ჩრდილოეთ კედლის დანარჩენ გაყოლებაზე ბოლომდე განიერი დაწნული ლასტია გამართული. ესეც საწოლს წარმოადგენს. მისი ერთი ბოლო დამაგრებულია ბოძზე, რომელიც თითქმის საჯარის შუაშია აღმართული. ამ ბოძს ერთ-ერთი კეზი ეყრდნობა. საწოლის მეორე თავი კი აღმოსავლეთ კედელზეა დამაგრებული. ამ საწოლზე საშუალო ზომის ჩხუტია წამოპირქვავებული. დგას სპილენძის თასი, ხისსახელურიანი კონჩხა — ლუდის დასალევად. ორი სხვადასხვა ზომის — ერთი მომცრო და მეორე მოზრდილი თუნგი. აქვეა წამოქცეული სპილენძის თულუხი და წამოპირქვავებული სპილენძის ქიტი.

საჯარის ჩრდილოეთი კედელი ნაწილობრივ კლდეზეა დაშენებული. ამავე კედელში ერთი შუკუმია დატანებული. დასავლეთ კედელში კი ორი საჯარის აღმოსავლეთ კედელში დატანებულია ერთი შუკუმი (ჩრდილოეთ კედლის კუთხესთან ახლოს), რომელშიც შედგმულია ალუმინის მოზრდილი ქვაბი. ამავე კედლის თითქმის შუაში გამოჭრილია პატარა საკვამი.

აღმოსავლეთ კედელთან წამოქცეულია ხის დიდი ზომის კოდი (ლუდის საფუვლებელი) მას მარცხენა მხარეს უდგას რვლის მოზრდილი ცალყურა ქვაბი, მის გვერდით კი უფრო მომცრო ასეთივე ქვაბი დგას.

საჯარის სამხრეთ კედელთან ახლოს დგას ხის დიდი კოდი — სალუდი საფუარი, რომელზეც ბრეზენტის წამოსასხამია, გადაფარებული, პირზე კი

თოკი აქვს შემოკრული. ზემოდან დაპირქვავებულია ერთი მრგვალი რვლის ტაბლა და მეორე კი მოგრძო რვლის.

საჯარის დასავლეთ ნახევარში, იქ სადაც საჯდომებია გამართული, კერაა მოწყობილი. მის თავზე საკიდელია ჩამოშვებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღვთისმშობლის ხატის ტერიტორიაზე ზემოთ, მისგან ჩრდილოეთით, მიუვალ ფერდობზე მოჩანს ნანგრევი, იქვე კედელში ჩარჭობილ ჯოხზე ზარია ჩამოკიდებული, რომლის ენაზე თეთრი ნაჭერია შებმული. გადმოცემით აქ თურმე ადრე დარბაზი ყოფილა. ზამთარში ამ დარბაზში ასვლა შეუძლებელი იყო. ერთი ხუცესი დაგორებულა და გარდაცვლილა კიდეც. ამის შემდეგ დარბაზი დაბლა მისავალ ადგილას გადმოუტანიათ (1968 წ. 22 ივლისი. ხევსურეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია. აღწერილია დალი გიორგაძის მიერ, სოფ. კისტანი). კისტანი შატილიდან დაშორებული იქნება დაახლოებით თხუთმეტი კილომეტრით. აქ იყო, ხალხის წარმოდგენით, ძალიან დიდი გავლენის პატრონი სალოცავი. შატილის თემში შემავალი სამი სოფელი მისი საკუთარი ყმა იყო. ამ სალოცავს უწოდებდნენ ხ თ ი შ ო ბ ე ლ ს და აგრეთვე ნ ა ჯ ა რ ე ლ ა ს. ეს ხთიშობელი სოფელ გუდანშიც არის და აქაც მისი სახელწოდება გადაუტანიათ კისტანში, როცა აქაც დაუარსებიათ სალოცავი. კისტნის ხთიშობელს ემსახურებიან ჭინჭარაულთ გვარის სოფლები: შატილი, კისტანი და ლებაისკარი. ამ სოფლებში სხვა გვარის ხალხი არ ცხოვრობდა. ქადაგის საშუალებით ჯვარი თვითონ ირჩევდა თითო სოფლიდან თითო დასტურს, ე. ი. სამ დასტურს სამი წლის ვადით. მთელი ხევსურეთის სალოცავებში ყველა დასტურებზე მეტი სიწმინდე მათ მართებდათ ამ სამი წლის განმავლობაში. ისინი „მრეცხელი“[1] — ქალის გამომცხვარ პურს არც სახლში და არც სხვაგან არ ჭამდნენ, თუ ხნიერი ქალი არ გამოაცხობდა. მიცვალებულისათვის ნალოც პურსა და მკვდრის ხარჯებისათვის დამზადებულ სასმელსაც არ დალევდნენ. არც სასმელს დალევდნენ სხვა ყანწით, მათ ყველას საკუთარი ყანწი ღვედით შებმული ჰქონდათ სარტყელზე, — ამით მხოლოდ თვითონ სვამდნენ, სხვას არ დაალევინებდნენ. ვერ გაივლიდნენ სოფლის ახლომახლო ქალების სასიარულო გზაზე; მათ არ ჰქონდათ ნება მდინარეზე წყალი დაელიათ თუ წყარო არ იქნებოდა. მდინარეზე წყლის დალევას იმიტომ უკრძალავდნენ, რომ მასში ბევრი რამ უწმინდური ირეცხებოდა. მათ ამ სამი წლის განმავლობაში გავლენაც დიდი ჰქონდათ და მკითხაობდნენ კიდეც.

როცა ჭინჭარაულები, გოგოჭურები და არაბულები გუდანიდან გაყრილან, მაშინ ჭინჭარაულები პირველად გუდანში დარჩენილან, სამნი ძმანი. დანარჩენი ორი მათი თანამოძმე გვარი ხევსურეთის სხვადასხვა სოფლებში წასულა. ამ სამი გვარის „მაგანძურის“ საერთო სალოცავი ყოფილა „ს ა ხ მ თ ო გ უ დ ა ნ ი ს ჯ ვ ა რ ი, ჭინჭარაულებს კი თავის საკუთარ ჯვარად ნაჯარელა ხთიშობელი დაუარსებიათ. ამ სამ ძმათაგან ორი აქვე დაცოლშვილებულა. მესამე კოჭლი ძმა ყოფილა და თავის დასთან „დაუჭორებიათ“, გამოხიზნულა ჩაქოლვის შიშით და კისტანში დამდგარა. ერთი ძმა გუდანში დამრჩალა, ერთი კი თავის შვილებით შატილში წასულა და ქაჩუში დასახლე-

---

1 „მრეცხელი“ — ქალი, რომელიც ასაკის მიხედვით „დედათ წესიანია“.

ბული. დამნაშავე კოჭლი ძმა თავის ძმებს ისევ შეუწყნარებიათ და კისტანში მის სანახავად მისულან. კოჭლ ძმას უთქვამს: თქვენ კარგი ადგილები აირჩიეთ და მე სად უნდა წავიდეო. ძმებს უპასუხიათ „შენს ადგილს „იჯე“ ჰქვიაო“. ამ ადგილს დღესაც იჯე ჰქვიან (იჯე ნიშნავს: იჯექი აქ და არსად არ წახვიდეო). რადგან ეს ძმა კოჭლი იყო და სიარული არ შეეძლო, ნაჯარელა ხთიშობელი აქ კისტანში დაუარსებია. სამივე ძმის შთამომავლობა ემსახურებოდა მას და გუდანში ხშირად აღარ გადმოდიოდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ სამი დასტური დგებოდა სამი სოფლიდან (M³, რვ. 49, გვ. 797—799).

5. სოფ. ლებაისკარის სალოცავები

ლებაისკარის ნასოფლარში არსებულა შემდეგი ხატები: ბ ო ს ე ლ ა თ ც ი ხ ე, ა დ გ ი ლ ი ს დ ე დ ა, ბ უ რ ჯ ი, ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი, მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი და ნ ა ჯ ა რ ე ლ ა.

ა. „ბ ო ს ე ლ ა თ ც ი ხ ე“ (ტაბ. 83) კონუსის ფორმის ლამაზი ციხეა გორაკზე (იხ. რადდე) ბოსელათ „მოშაბათის“, ე. ი. ახლო ნათესავების, მაშაპაპის აგებულია შამილის დროს, როდესაც მას ხევსურეთში ჯარები უდენია.

ამშენებელმა ციხის „ჩარდახზე“ (წვერზე) აიყვანა ვერძი, იქ დაკლა და კისტანის წყალში გადაისროლა. კისტანი წითლად შეიღება ვერძის სისხლისაგან. ამის შემდეგ ბოსელათ ციხეს მ ე კ ე ზ ი ს ა ნ გ ე ლ ო ზ ი დაეპატრონა. ციხეს ჩარდახზე გაკეთებული აქვს „ბურთი“ და „სამკაპი ჩანგალი“. ლებაისკარი და კისტანი მაშინ ერთი სოფელი ყოფილა. აქვე ციხის მახლობლად ეკლესიის ნანგრევებზეც ამბობენ ციხის დროს აგებულიაო.

ბ. ა დ გ ი ლ ი ს დ ე დ ა ძველი, კირით ნაგები შენობაა. მას გვერდზე მიდგმული აქვს უკირო, ქვის „საქვაბე“, სადაც დღესასწაულებში ადგილისდედას ლუდს უხარშავენ. ა დ გ ი ლ ი ს დ ე დ ა მოთავსებულია ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, მთელი ეს ადგილი ნასოფლარია. ადგილისდედის შენობა ეკუთვნოდა ძველად თამარის ძეს. მაგრამ ხალხის რწმენით შიგ მომრაელდა დობილები და მთელი სოფელი აიყარა და გადასახლდა ეხლანდელ ლებაისკარში.

გ. ბ უ რ ჯ ი ნანგრევია გუმბათიანი ეკლესიისა სოფ. ლებაისკარში „ბოსელათ ციხის“ მახლობლად.

დ. ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ შ ი ყ ვ ე ლ ა დღეობებს იხდიან. ეს ხატი საერთო სალოცავია სოფელ ლებაისკარის, კისტანის და შატილის მცხოვრებთა. ამ ხატში ინახება 3 დროშა, ერთი თვით ღვთისმშობლის სახელობის, მეორე მთავარანგელოზის და მესამე — „ნაჯარელასი“.

ამ ხატს ჰყავს: 2 ხუცესი — ლებაისკარიდან; 3 დასტური — 1 ლებაისკარიდნ, 1 კისტანიდან და 1 შატილიდან; 3 მედროშე — 2 ლებაისკარიდან და 1 კისტანიდან.

ე. მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ხატში მარტო ათენგენობა იციან, ნაჯარელაში—ამაღლება. დ. „ნ ა ჯ ა რ ე ლ ა“ მაღალ მთის წვერზეა. სწამთ რომ „ნაჯარელაზე“ იმყოფება ღვთისმშობლის მაცილი. ეს მაცილი ხალხს ნისლის ან ბარის სახით ეჩვენება ხოლმე და აგიჟებს მათ.

სოფ. მ უ ც ო. წინათ მიცუში (მუცოში) ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: ჭინჭარაულნი, დაიაურნი, შეთეკაურნი, ნაცაურნი, ბორჩაშვილები (ქისტები იყვნენ — განმარტა გ. ჭინჭარაულმა).

მუცოში შემდეგი ხატები ჰქონიათ: მთავარანგელოზის ხატი ხორეს გორზე, ბროლისკალოს წმ. გიორგის ხატი, ვაკის ანგელოზი, გიორგი მგზავრისანგელოზი.

1. ბროლისკალოს ჯვარი, სოფ. მუცო

ბ რ ო ლ ი ს კ ა ლ ო ს დ ა რ ბ ა ზ ი (ტაბ. 84) იგი მდებარეობს ნასოფლარ მუცოში, ზღვის დონიდან 1710 მ-ზე, სიპით მშრალად ნაგები შენობაა, მარჯვენა მხარეს შვიდსიპერდიანი, მარცხენა მხარეს ხუთსიპერდიანი ორფერდა გადახურვაა. მთავარი ფასადი სამხრეთის მხარესაა მიმართული. შესასვლელ კარებთან, გარედან 10 სმ-ის სიმაღლეზე სიპებისაგან მოწყობილია ბაქანი. მთავარ ფასადზე, შესასვლელი კარების წინ დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლები წინაა გამოწეული და ზემოთ უერთდება ერთმანეთს შეისრული ფორმით.

შესასვლელი კარების ღიობი ქვემოთ განიერია, ზევით ვიწროვდება და შეისრული ფორმისა ხდება. იგი მთავრდება კარის თავად გადებული გრძელი სიპი ქვით. ამ ქვის გვერდით ხეა გადებული ასევე კარის თავად.

კარის ზღურბლად დევს დიდი სიპი ქვა, რომლის გვერდით ხეა გადებული. კარის ღიობში ხის ორფრთიანი კარებია. კარის თავზე გამოჭრილია კედლის მთელ სიგანეზე და ვიწრო ღიობი სარკმელივით. შიგნიდან დარბაზის გადახურვა შეისრულია. დასავლეთის კედელში კედლის ქვედა ნაწილში გამოჭრილია დიდი და ღრმა შუკუმი. მის გვერდით ამავე დასავლეთის კედელში მიწის პირად გამოჭრილია ზომით დიდი ღრმა საკვამი, რომელსაც კედლის უკანა ნაწილში ბოლის გასასვლელი აქვს.

ჩრდილოეთის კედელში, მის ქვედა ნაწილში, დასავლეთის კედელთან ახლოს დატანებულია მოგრძო ფორმის, საშუალო ზომის შუკუმი.

აღმოსავლეთის კედლის მთელ სიგრძეზე კედელში ჩატანებული სიპებია გამოშვერილი — დასასხდომად ასეთივე სიპებია დატანებული სამხრეთ კედელშიც (კარის მარჯვენა მხარეს).

დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლებს შორის ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ მის მახლობლად გადებულია ხის ძელი, რომელიც ნაწილობრივ ჩამომტვრეულია და მხოლოდ დასავლეთის კედელშიღაა ჩამაგრებული. ასეთივე ძელი ყოფილა გადებული თითქმის დარბაზის შუაში (უფრო სამხრეთის კედელთან ახლოს) იატაკზე უწესრიგოდ ყრია რამდენიმე ქვა და ხის ნამტვრევი.

დარბაზს წინ გარედან აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან აკრავს სიპებისაგან აშენებული გ ა ლ ა ვ ა ნ ი, სამხრეთის და დასავლეთის მხარეს გალავნად ნაწილობრივ კლდეა გამოყენებული. გალავანში შესასვლელი სამხ.-დას. მხრიდანაა.

I. ნ ი შ ი. დარბაზიდან ჩრდ.-დას. მიმართულებით, მისგან ათიოდე მეტრის დაშორებით შემაღლებულ ადგილას აღმართულია ნიში. ეს არის სიპებისაგან მშრალად ნაგები, გეგმაში ოთხკუთხა ფორმის ორსიპერდიანი ნიში, რომელსაც თავზე მოგრძო სიპის ქვა ადევს. ნიშის მთავარი ფასადი სამხ.-დას. მხარესაა მიმართული. აქ გამოჭრილია ერთი ღრმა შუკუმი. შუკუმის წინ ორი სიპის ქვაა წინ გამოწეული.

II. ნ ი შ ი, ვიდრე დარბაზთან ავიდოდით, გზად შეგვხვდა ნიში, აგებულია კლდის შვერილზე. ეს არის სიპებისაგან მშრალად ნაგები, გეგმაში ოთხკუთხა ფორმის ნაგებობა, რომელსაც სიპებისაგან დაშენებული წაგრძელებული თავი აქვს. მისი მთავარი ფასადი აღმოსავლეთ მხარესაა, სადაც დატანებულია მოზრდილი შუკუმი. შუკუმის თავზე და ქვემოთ თითო-თითო მოგრძო ქვაა წინ წამოშვერილი.

ბროლისკალოზე ასე ილოცავდნენ: „გიორგი დიდი ბატონი, კახეთიდან მობრძანებულიო (მთხრობელმა დასძინა — კახეთში რო ალავერდის წმ. გიორგია, იქიდან უნდა იყოს მოსული მუცოში ეს ხატიო). ძველი მუცოდან რომ ხალხი წამოსულა, ეს ხატიც წამოუღიათ ვარლეს (ძვ. მუცოს მოპირდაპირე მხარეს) და იქ დაუარსებიათ. იქ ს ა ჯ ა რ ე ც არის, დ ა რ ბ ა ზ ი ც, ზარიც არის იქა, ბროლისკალოდან ჩამოიტანეს ის ზარი.

ბროლისკალოზე იყო კიდევ ხატი, გიორგის სახელობისა. ყორის გალავანი ჰქონდა. კაცები გალავანს შიგნით ვიყავით ხოლმე, მაგრამ დარბაზსში ვერ შევდიოდით. ქალები კი უფრო ქვემოთ იყვნენ, შორს. იმათ ახლოს არ მოესვლებოდათ. ბროლისკალოზე რომ შენობაა, იმას დარბაზს ვეტყვით.

მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ჯ ვ ა რ ი შიგ მუცოში არ მდებარეობდა, იგი არსებულა ხონეს გორზე, რომელიც მუცოს ეკუთვნოდა. იქ კოშკი იდგა უბრალო. კოშკზე ზარი ეკიდა, როგორც ეკლესიის სამრეკლოა, ისეთი მოყვანილობისა იყო კოშკი.მეტი სხვა შენობა იქ არ იყო.

საღირა ჭინჭარაული ყოფილა შატილიონი. ის ხატის კაცი იყო. საღირას მთავარანგელოზის ხატი ხელზე მოუდიოდა მაგრამ ერთხელ გაუფრინდა. ხატი ხელიდან გაუშვია, გაფრენილა და წუქვის გორზე დაბრძანებულა, იქიდან ხონეს წასულა და იქ დამრჩალა.

დ ღ ე ო ბ ე ბ ი: ბროლისკალოზე მარტო ორჯერ ავდიოდით — ახალწელსა და ათენგენობას. ახალ წელს ჯერ ვარლეში მივდიოდით, მესამე დღეს კი ბროლისკალოზე, ათენგენას კი მარტო ჯერ ბროლისკალოზე ვატარებდით, მემრე კი ხონეშიც ავდიოდით. ხონეში მარტო ათენგენობას წავიდოდით. მაგრამ თუ ვინმეს შეთქმული ჰქონდა, ის სხვა დროსაც წავიდოდა.

ახალი წელი ოთხი დღე ვიცოდით, ათენგენა 3 დღე, დანარჩენი დღეობები ერთი დღე — წინა საღამოს მივიდოდით ხატში, მეორე დღეს ვიდღეობებდით და საღამოს სახლში დავბრუნდებოდით.

ჩვენ ხატებში წელიწადში შვიდჯერ უნდა გვედღეობა. ახალი წლისა და ათენგენის გარდა, ჩვენი დღეობები იყო: აღვსება (აღდგომა), ამაღლება (ივნისშია, ხვნა უკვე დამთავრებულია იმ დროს, ძველზე 15 მაისს არის), ენკენობა, გიორგობა, ქრისტიშობა.

„ბ რ ო ლ ი ს კ ა ლ ო ს“ ჯ ვ ა რ ს საქონელი არ ჰყავდა. მარტო გიორგი მგზავრის ანგელოზს ჰყავდა საქონელი. ჩვენთან ხატებს არც ტყე ჰქონდა. საერთო სოფლის ტყე იყო და იქიდან მოტანილ შეშას ვხმაროდით ხატისათვისაც.

ხონეს ხატს გამოღმა, მზისპირისკენ ჰქონდა სახნავი ყანები. აქედან მოსულ მოსავალს ვხმარობდით ხატისათვის. ქერს ვთესავდით, სვილს, დიკას იფქლს ვეძახდით. წლის მოსავალი დასტურებს ბარდებოდა. ბ ე ღ ე ლ ი არ გვქონდა. ადრე ჰქონიათ ს ა ჯ ა რ ე (ბროლისკალოზე), იქ ინახავდნენ, მემრე კი უფრო წმინდა ოჯახში უნდა ყოფილიყო შენახული. ხატის კაცთან კი უკეთესი იყო.

ხატის მამული შეწირული იყო ხოლმე, უფრო უშვილოებისაგან. ანატორის ჯვარისათვის ჩვენ წინაპრებს ჰქონიათ შეწირული. მკითხავს უთქვამს: უღელი ხარი მოუყვანე, მამულები შესწირე და შვილები გეყოლებაო. მართლა ეყოლა შვილები. ამის შემდეგ ამაღლებას ყოველთვის დავდიოდით ანატორში სალოცავად. რომელსაც ხალხი შესწირავს ის უკვე (მამული) ხატისაგან იყო ხელდადებული.

ჯ ვ ა რ ი ო ნ ი: ჯვარიონში შედიოდნენ ხელოსნები, დასტურები, ხევისბერიც ხელოსანი იყო. დასტურობა მორიგეობით მოდიოდა. ზოგან კი ხატი თვითონ აყენებდა მკითხავის ენით. მაგ.: კისტან დასტური 3 წლით იყო, იმას ხატი აყენებდა მკითხავის პირით.

მეგანძური ჩვენ არ ვიცით. ხატის თას-განძი უფრო ხევისბერმა იცოდა, გამოუტანდა დასტურებს და მისცემდა, ხატობა რო დასრულდებოდა ისევ ხევისბერი შეინახავდა. დროშები ვისაც ებარა, იმას მედროშე ერქვა. ჩვენთან ლეგუა იყო დაიაური. ისე მოკვდა, რომ დღესაც არავინ არ იცის დროშები სად შეინახა. შულტა ხახაბოში იცოდნენ, დასტურის მოადგილე იყო, დასტური რომ ავად გახდებოდა, ის უნდა დამდგარიყო. როცა გადადგებოდა დასტური, მისი შულტა გახდებოდა დასტური, იმას კი სხვას შეურჩევდნენ შულტად. თუ ხევისბერი არ იქნებოდა, ხელოსანი შეასრულებდა ხევისბრის მოვალეობას, საკლავიც იმას უნდა დაეკლა და სადიდებელიც ეთქვა, ხევისბერი როცა იყო, ის მაინც გვერდზე ედგა ხოლმე. დასტურს სოფლისათვის მომსახურება ევალებოდა, ლუდის მოხარშვიდან დაწყებული, მოვლა, გამასპინძლება, ყარაულობა.

2. აკლდამები

აკლდამა № 1 (ტაბ. 85, 86) წარმოადგენს სიპებისაგან ლამკირით ნაგებ წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის ნაგებობას. აკლდამის მთავარი ფასადი სამხრეთის მხარესაა, სადაც გამოჭრილია კვადრატული ფორმის შესასვლელი. აკლდამის შესასვლელს სიპის ჩარჩო აქვს გაკეთებული. კარის თავად მეორე სიპია გადებული. შესასვლელის მარჯვენა მხარეს, ოდნავ ქვემოთ გამოწეულია გრძელი სიპის ქვა საფეხურად. ფასადის მხარეს კარის თავზე

ხუთი პატარა შუკუმია დატანებული. აკლდამის გადახურვა ეტყობა ოდნავ სიპერდიანი იყო, მაგრამ უმეტესად დაშლილია, ისე რომ ამის კვალი არც ჩანს. ამას ადასტურებს ისიც, რომ აკლდამა შიგნიდან შუა ნაწილიდან შეისრულია. აკლდამა სიპით არის გადახურული.

აკლდამის შიგნით ჩრდილოეთ კედელში დატანებულია პატარა შუკუმი. აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლები ყრუა. რომელთა გასწვრივ კედლის შუა ნაწილიდან ჩამწკრივებულია სიპის ქვები — საწოლები. აკლდამის იატაკზე ყრია ჩამოქცეული ჭერის სიპები, ძელის ნაწილები და ადამიანის უამრავი ძვლები: ნეკნების, მენჯის, წვივის, თავის ქალა და სხვ. აკლდამის დასავლეთი კედელი ნაწილობრივ მიწაშია ჩასული.

აკლდამა № 2 მდებარეობს პირველი აკლდამიდან ცოტა ქვემოთ, ხუთიექვსი მეტრის დაშორებით. ესეც წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის ნაგებობაა. მისი ფასადი დასავლეთის მხარეზეა. მთავარი ფასადის მხარეს არის აკლდამაში შესასვლელი, რომელიც გარედან მიწითა და სიპებით არის დაფარული. აკლდამის სახურავი მთლიანად ჩაქცეულია; კარები, რომელიც გარედან ამოქოლილია, შიგნიდან კარგად არის შემონახული. აკლდამის ჭერი შიგნიდან შეისრულია. სამხრეთ, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთის კედლების გასწვრივ საჯდომებია მოწყობილი.

აკლდამა № 3 მსგავსია № 2 აკლდამისა. იმ განსხვავებით, რომ მისი სახურავი დაცულია. მისი ჭერი შეისრულია. შესასვლელი მარჯვენა და მარცხენა მხარეს შიგნიდან კედლების კუთხეში საწოლების ზემოთ თითო სიპის ქვაა დატანებული. ასევე აღმოსავლეთის კედელში საწოლი სიპების თავზე გამოშვერილია ორი დიდი სიპის ქვა. აკლდამის ჩრდილოეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლების გასწვრივ გამართულია ქვის საწოლები—სიპის ქვები. სხვა აკლდამებთან შედარებით აქ უფრო მეტი ძვლები ყრია იატაკზე, ხერხემლის მალები, 5 თავის ქალა უამრავი მენჯისა და წვივის ძვლები, ნეკნების ძვლები და სხვ.

აკლდამის მთავარი ფასადი და შესასვლელი დასავლეთის მხარესაა მიმართული. შესასვლელი მიწასთან ახლოს არის მოწყობილი და ნაწილობრივ მიწით არის დაფარული.

აკლდამა № 4 მდებარეობს № 3 აკლდამიდან ორიოდე მეტრის დაშორებით მისგან ცოტა ქვემოთ. ეს აკლდამაც № 2 და № 3 აკლდამების მსგავსად ფასადით დასავლეთის მხარესაა, იმ განსხვავებით, რომ მასში შესასვლელი კარგადაა დაცული. შესასვლელი მარჯვენა და მარცხენა მხარეს კარის ჩარჩოსთან შუაში გამოჭრილია საურდულე.

ჩრდილოეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლების გასწვრივ საწოლებია გამართული სიპებისაგან. საწოლებზე და იატაკზე ყრია ძვლები. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებს შორის ჭერში ხის ძელია გადებული.

აკლდამა № 5 დაშენებულია კლდეზე. ეს არის სიპებისაგან ძაძრალად ნაგები ორფერდა ოთხსიპერდიანი გადახურვის მქონე შენობა. აქ აკლდამის მთავარი ფასადი დასავლეთით არის, საითაც დატანებულია შესასვლელი. აკლდამაში შესასვლელთან გრძელი სიპია გადებული. შესასვლელი ღრმად

არის. კარის ჩარჩო მოგრძო ოთხკუთხა ფორმისაა და სიპისაგან არის გამოჭრილი. კარის თავად დაგებულია ძალიან გრძელი და განიერი სიპის ქვა:

აკლდამის ჩრდილოეთის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლების გასწვრივ გამართულია საწოლები. საწოლები ორიარუსიანია. საწოლებზე და იატაკზე ყრია უამრავი ძვლები. აკლდამის ჭერი შეისრულია.

აკლდამა № 6 მდებარეობს № 5 აკლდამის პარალელურად. მისგან შვიდი რვა მეტრის დაშორებით, ცოტა ქვემოთ. ეს არის ოდნავ მოგრძო ოთხკუთხა ფორმის შენობა, სიპისაგან მშრალად ნაგები. მისი ფასადი სამხრეთის მხარესაა, საითაც მას დატანებული აქვს შესასვლელი. ეს აკლდამაც დაშენებულია კლდეზე და ამიტომ აკლდამაში შესასვლელად ერთ საფეხურს კლდის შვერილი წარმოადგენს, მეორე საფეხურს კი კარების ქვემოთ გამოწეული სიპი ქვა.

აკლდამის სახურავი ჩაქცეულია და ძირს არაფერი არ ჩანს. მისი გადახურვა ისეთივეა როგორც № 1—4 აკლდამებისა. შიგნიდან ჭერი შეისრულია. შესასვლელის მარჯვენა მხარეს საურდულეა გამოჭრილი.

აკლდამა № 7 მდებარეობს № 6 აკლდამის პარალელურად, მისგან ქვემოთ, ექვსიოდე მეტრის დაშორებით. მისი ფასადი ოდნავ სამხ.-აღმ. მხარესაა. ფასადის მხარეს დატანებული აქვს კვადრატული ფორმის შესასვლელი, მის ქვემოთ სიპია გამოწეული კედლის წყობიდან საფეხურად. აკლდამის სახურავი ჩაქცეულია.

აკლდამა № 8. № 7 და № 9 აკლდამებს შორის არის დანგრეული აკლდამა, რომელსაც შესასვლელიც კი არ ეტყობა. ზომით ეს აკლდამა სხვებთან შედარებით, მომცროა. სახურავი მთლიანად შენობაშია ჩაქცეული.

აკლდამა № 9 დანგრეული № 8 აკლდამის გვერდით მდებარეობს. მისი ფასადი სამხრეთ მხარესაა, საითაც დატანებული აქვს შესასვლელი. აკლდამას კედლებიც და სახურავიც მონგრეული აქვს. სახურავი მთლიანად ჩაქცეულია ისე, რომ აკლდამის შიდა ხედის დანახვა შეუძლებელი ხდება.

ძველი მუცოს ნანგრევებიდან ჩრდ.-აღმ. მხარეს, ფერდობზე რვა აკლდამაა.

აკლდამა № 10 ბილიკთან ახლოს მდებარეობს. იგი საკმაოდ დიდი ზომისაა. მისი ფასადი სამხ.-აღმ. მხარესაა. ეს არის სიპებისაგან მშრალად ნაგები მართკუთხა ფორმის ორფერდასახურავიანი შენობა. ფასადის მხარეს დატანებული აქვს კვადრატული ფორმის შესასვლელი. შესასვლელის ქვემოთ ერთი სიპია წყობიდან წინ წამოწეული საფეხურად. აკლდამაში საწოლი სიპები ერთიარუსიანია. საწოლებზე და აკლდამის იატაკზე ყრია უამრავი ძვლები. ზოგიერთს ტანსაცმელის ნაფლეთებიც კი აქვს შერჩენილი.

აკლდამას გარედან ფასადის მხარეს შესასვლელის თავზე ექვსი პატარა შუკუმი აქვს დატანებული.

№ 11 და № 10 აკლდამიდან ორიოდე მეტრით არის დაშორებული, მისგან ცოტა ქვემოთ მდებარეობს. იგი № 11 აკლდამასთან შედარებით ზომით უფრო მომცროა. ამ აკლდამის ფასადი შესასვლელით სამხ.-აღმ. მხარესაა, შესასვლელის ქვემოთ ოდნავ გვერდით წინ წამოწეული სიპია საფეხურად. აკლდამის სახურავი ჩაქცეულია. აკლდამის საწოლები სამიარუსიანია, რომ-

ლებზედაც ყრია ბევრი ძვალი. აკლდამის ჭერი შეისრულია. ეს აკლდამაც მსგავსია ზემოთაღწერილი აკლდამებისა.

აკლდამა № 12 მდებარეობს № 10 აკლდამის ჩრდილოეთით. იგი საშუალო ზომისაა თავისი მოცულობით. აკლდამა გარედან და შიგნიდან შელესილია მოყვითალო ფერის ლამ-კირით.

აკლდამის ფასადი სამხ.-აღმ. მხარესაა, საითაც მას დატანებული აქვს შესასვლელი. მისი სახურავი გარედან ოდნავ ორფერდაა, შიგნით კი შეისრულია. აკლდამაში საწოლები ორიარუსიანია. აქ შედარებით მცირე რაოდენობის ძვლები ყრია.

აკლდამა № 13 მდებარეობს № 12 აკლდამის ჩრდ.-აღმ-ით. აკლდამას აქვს სიპებისაგან ოდნავ დახრილი ორფერდა გადახურვა, შიგნით შეისრულია. აკლდამის ფასადი სამხ.-აღმ. მხარესაა, საითაც მას დატანებული აქვს მართკუთხა ფორმის შესასვლელი. აკლდამაში საწოლები ერთიარუსიანია. თაროებზე და იატაკზე ყრია მენჯის, ნეკნების, წვივის ძვლები.

აკლდამა № 14 მდებარეობს № 10 აკლდამის ჩრდ.-აღმ. მახლობლად, ეს აკლდამა ანალოგიურია № 5 აკლდამისა. ესეც ორფერდა ოთხსიპერდიანი გადახურვის მქონე ნაგებობაა. ამ აკლდამის ფასადი სამხ.-აღმ. მხარესაა, კვადრატული ფორმის შესასვლელით. მისი ჩარჩო სიპისაგან არის გამოჭრილი. ფასადის მხარეს არის შეისრული ფაორტალი. აკლდამა შიგნით შეისრულია. საწოლები ერთიარუსიანია. საწოლებზე და იატაკზე ყრია უამრავი ძვლები. აკლდამა ზომით საკმაოდ მოზრდილია. აქა-იქ ეტყობა, რომ აკლდამა შიგნიდან და გარედან ლამ-კირით ყოფილა შელესილი.

აკლდამა № 15 მდებარეობს № 14 აკლდამისაგან ერთი მეტრის დაშორებით, მის გვერდით. აკლდამის სახურავი ჩანგრეულია. აკლდამის მთავარი ფასადი სამხრეთ მხარესაა მიმართული, საითაც დატანებული აქვს კვადრატული ფორმის შესასვლელი. მის ქვემოთ სიპია გამოწეული საფეხურად. ეს აკლდამა მსგავსია სხვა აკლდამებისა.

აკლდამა № 16 მდებარეობს № 15 აკლდამიდან ერთი მეტრის მოშორებით. მისი ფასადი სამხრეთის მხარესაა, საითაც მას დატანებული აქვს კვადრატული ფორმის შესასვლელი. სახურავი უმეტესად ჩანგრეულია. შეიმჩნევა რომ ეს აკლდამაც ორფერდა გადახურვის იყო. შიგნით აკლდამა დაფარულია ჩაქცეული სახურავის სიპებით.

აკლდამა № 17 მდებარეობს № 16 აკლდამის მახლობლად. იგი მთლიანად დანგრეულია.

3. სომხოზ წმ. გიორგის ჯვარი, სოფ. არდოტი

შედგება ორი კომპლექსისაგან — ძველი და ახალი ჯვარებისაგან. აქვეა აკლდამები. მდებარეობს სოფ. არდოტიდან ჩრდილოეთისაკენ, სოფელზე დაბლა, ანდაკისა და არდოტის ხეობისა და წყლების შესაყარში, მაღალ, ძნელად მისაღგომ კლდეზე. ახალი კომპლექსი კლდის ჩრდ. უკიდურეს კუთხეშია მოთავსებული.

დ ა რ ბ ა ზ ი წარმოადგენს გრძელ ნაგებობას გადაჭიმულს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, რომლის უკანა კედელი კლდის პირზეა. შესასვლელი კა-

რი აქვს სამხრეთიდან. ნაგებია მშრალად: ორფერდასახურავიანი დახურული სიპებით. დარბაზის კარი მოხსნილია, სახურავზე აწყვია 3 მთის ბროლი, ერთი ფასადთან და 2 ნაგებობის ბოლოში. კარის თავზე ორი ირმის რქაა კედელში ჩამაგრებული. კარიდან მარცხნივ პატარა შუკუმია, რომელშიც თუნუქის ჭიქა დევს. დარბასის შიგნით აღმოსავლეთ კედლის გაყოლებაზე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ შუკუმია შიგ კონსერვის ცარიელი ქილით. ქვემოთ, იატაკზე, ორი შუშის ბოთლია, შემდეგ ხის სკამი და თუნუქის ჯამია. კედელში ქვის სასანთლე თაროა, რომლის ქვეშ ქვის სკამია.

ჩრდილოეთ კედლის გაყოლებაზე ქვის სკამია მოწყობილი. დარბაზის ჩრდ.-აღმ. კედელზე დამაგრებულია ძალიან დიდი ზომის შეწყვილებული ჯიხვის რქები.

დასავლეთის კედლის გაყოლებაზე, მთლიანად ქვის სკამია, რომელიც სამხრეთ კედელზეც გრძელდება კარამდე. დარბასის შუაში ხის ბოძია (იგი ახალია), რომელიც ზედ კერის ცენტრში დგას; აქვეა უსახელურო, სპილენძის პატარა შეკერილი ქვაბი.

დარბაზის სამხ.-დას. კუთხიდან ამოშენებულია, კლდის პირზე ქვის ყორეა, რომელიც შემდგომ უერთდება კლდეს და დასავლეთისაკენ უხვევს, ქმნის რა დარბაზის წინ პატარა მოედანს. ამ ყორეში სამხრეთის მხრიდან გაკეთებულია ნ ი შ ი სადაც ხეზე ზარია (რუსული) ჩამოკიდებული. ამ ნიშს ზემოდან მთლიანი სიპი ფარავს, რომელზეც ალაგია ორი მთის ბროლის ქვა.

ამ კლდისა და მასზედ მინაშენის მეორე მხარეს, დასავლეთისაკენ, გაკეთებულია ს ა ს ა ნ თ ლ ე ნ ი შ ი, გადახურული ორი სანაწვთით, რომელზეც 3 მთის ბროლი დევს. სასანთლის გვერდზე, აღმოსავლეთისაკენ კლდეზე აწყვია 5 ჯიხვის რქა. წინ კი, დასავლეთისაკენ ქვის სკამია, რომელიც შესასვლელ ბილიკთან თავდება. დასავლეთის მხარეს კლდეა, ხოლო აღმოსავლეთით ხრამია. რომლის პირზეც სასაკლაოა და იქვე ხის, დიდი ტოტებიანი ღეროა ჩარჭობილი მიწაში — საკლავის გასატყავებლად.

დარბაზისა და სასანთლის დასავლეთით კლდეზე დგას ფასადით სამხრეთისაკენ მშრალად ნაგები საზარე სასანთლე ნიშით, ზარი მოხსნილია და სასანთლე ნიშშიც არაფერია.

სასანთლის სამხრეთით დანგრეული შ ე ნ ო ბ ი ს ნ ა შ თ ი ა კლდეზე, რომელიც შესაძლოა კვრივს წარმოადგენდა (ეტყობა, რომ მთლიანად იყო ამოშენებული). ამ შენობის ქვემოთ, აღმოსავლეთისაკენ დგას ძლიერ დაზიანებული ნაგებობა, რომელიც ჩანგრეული ა კ ლ დ ა მ ა ა.

ამ კომპლექსის სამხრეთით, სოფლისაკენ, ფასადით აღმოსავლეთისაკენ დგას თითქმის დაუზიანებელი ა კ ლ დ ა მ ა, რომლის სახურავიც (ჭერი) ირღვევა. სახურავი ორფერდაა, მაგრამ იმდენად მცირე დახრა აქვს, რომ შორიდან გადახურვა ბანურს გავს. აკლდამის შესასვლელი ძლიერ ვიწროა, აქვს სიპის, თხელი ოთხკუთხა ჩარჩო. ჩარჩოს წინ ამოჭრილია კედის გასაყრელი. აკლდამის შიგნით. ჩრდილო და სამხრეთ კედლების გაყოლებაზე ქვის განიერი სკამებია. სკამებზე და აკლდამის იატაკზე აუარებელი ადამიანის ჩონჩხია. აკლდამის ჩრდილოეთით, ფასადის გაყოლებაზე ქვის ყორეა

ამოშენებული, აქვე აკლდამის ჩრდილო კედელზე გარედან ქვის სკამები დგას. ზოგიერთი სკამი კედელშია ჩამაგრებული, ზოგი კი მიდგმულია.

ამ აკლდამიდან სამხ.-დას-ით 2 აკლდამაა. ერთი მთლიანად დაშლილია, ხოლო მეორე მთელია და ზუსტად იმეორებს ზემოთ აღწერილს. სამხრეთით, კიდევ ერთი აკლდამაა, რომელიც, როგორც ჩანს, კლდეში იყო გამოკვეთილი და მხოლოდ ფასადის მხარეს აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა პატარა კედელი შესასვლელი ღიობით.

არდოტის სომხოზ გიორგის ჯვარში დგებოდნენ მეკვირაე დასტურნი. მეკვირაე დასტურნი წელწადში და დატიობაზე მეოთხე ქვაბს ადუღებდნენ და მათ ნადუღარი ლუდით დიდდებოდა კვირაე. კვირაეს აქ ცალკე ნიში ჰქონდა და წელწდის მეოთხე დღეს მის ნიშთან სრულდებოდა სადღეობო წესები (M³, რვ. 18, გვ. 213—214).

„სომხოს გიორგი თავის ყმებს უმართავდა ხელს მტერთან ბრძოლაში და თვითონაც ებრძოდა ეშმაკებს. ის აგრეთვე უმართავდა ხელს მგზავრებს. თუ ისინი გიორგის შამაზძახნებდნენ — გვიშველეო, არაფრით არ დაზიანდებოდნენ მგზავრობაში. ამას გარდა, სომხოზ გიორგი უშვილოებს ბედს აძლევდა. თუ უბედური კაცი მიუყვანდა და სომხოზ გიორგის საკლავს დაუკლავდა, მაშინ მას ბედი მიეცემოდა, ე. ი. ვაჟიშვილი ეყოლებოდა. ერთი უბედო ქისტი ყოფილა, სახელად ძორა. მას არ ჰყავდა თურმე ვაჟიშვილი. ამის გამო ბევრს წუხდა, ეხვეწებოდა ხატებს, ღმერთს, რომ მისთვის ბედი მიეცათ, მაგრამ არ ეშველა. ბოლოს, ერთმა მკითხავმა ურჩია: სომხოს გიორგის ერთი საკლავი მიუყვანე და ბედი შეგეძინებაო. ქისტი ძორაც ასე მოიქცა, მიუყვანა დიდი ჭედილა და დაუკლა სომხოზ გიორგის ჯვარში, თან შეეხვეწა ბედის მიცემაზე. ამის შემდეგ მის ცოლს შეეძინა თურმე ვაჟიშვილი, რომელსაც დაარქვეს ძუბეირი, მანამ ძუბეირი გაიზრდებოდა და დაცოლშვილდებოდა, მშობლებს ყოველწლიურად მიჰყავდათ იგი სომხოზ გიორგიში და თან ერთ ჭედილას მიაყოლებდნენ დასაკლავად. როცა წამოიზარდა და დაცოლშვილდა, თავისი ცოლშვილით თურმე ყოველთვის მიდიოდა ამ სალოცავში და მიჰყავდა საკლავები. მისი ჩამომავლობა ისე გამრავლებულა, რომ ერთი დიდი გვარი გამხდარა. ისინი თურმე ბიძაშვილებად იწერებოდნენ. მთელი ეს გვარი პატივს სცემდა და ემორჩილებოდა სომხოზ გიორგის. იტყოდნენ, — ჩვენ სომხოზ გიორგისაგან ვართ გამრავლებულებიო. ასეთი მაგალითები სხვაც ბევრი ყოფილა. ქადაგობის დროს ქადაგები იტყოდნენ გიორგის სიტყვებს: „გიორგი ორ მე, ჯმიან-ჯმლიანი, მე მაქვის ძალაიდ შაძლებაი. მე რჯულიანსაცად ურჯულოსაც ბედს ვაძლევ, უბედურს ვაბედიანებ“ (M³, რვ. 12, გვ. 133.) სომხოზ გიორგი ჰქვია იმიტომ, რომ ის მოსულა სომხეთიდან, მისი დაარსების შემდეგ ამ პატარა ადგილსაც დაარქვეს „სომხოზი“. ის ხატი სომხეთიდან გადმოფრენილა და აქეთ წამოსულა. მაშინ მას ჰყოლია მორიგე სომეხი, რომელიც თან გამოჰყოლია. მოდის გზაზე სომხოს გიორგი მტრედის სახით და მოჰყვება ეს კოჭლი სომეხი. როცა ეს კაცი დაიღლება ან დაეძინება, ეს მტრედიც მოუცდის და, როცა ადგება, გამოუძღვება. მოსდევს თავისი მორიგეც ანუ ხუცესი. ბოლოს, მოვიდნენ არდოტში და კოჭლს ჯვარი გაუქრა თვალიდან. სომეხი ნახეს არდოტელთა წინაპრებმა და ჰკითხეს ვინაობა ან რაზე გარჯილა. მან ქართული თურმე არ იცოდა და არც ხმა გასცა. მხო-

ლოდ ხელით ანიშნა იმ ადგილზე, სადაც მტრედი დაეკარგა და ტირილი დაიწყო. საჭმელი მოუტანეს. არაფერს ხელი არ ახლო, მერე მივიდა და იმ გორზე დაჯდა ეს სომეხი. იქ სამი დღე და სამი ღამე იყო, ბოლოს მეოთხე დღეს არდოტელები მისულან მასთან და ერთი საკლავი მიუყვანიათ, — მიხვდნენ თურმე რაში იყო საქმე. ერთი არდოტელი გაქადაგებულა, დაუკლავს ეს საკლავი და ძალაუნებურად უხუცებია სომხოს გიორგის. ბოლოს, გიორგის ამ სომხისათვის აუმოძრავებია ენა ქართულად სალაპარაკოდ. „ამ ხატს ჰქვია გიორგიო“ — უთქვამს მოსულ სომეხს. ამას მთელი სომხეთი ემორჩილებოდა და ბევრ დახმარებასაც უწევდა ხალხსო. ერთ დღეობაში გააწყრეს იმიტომ, რომ წესი თავის დროზე ვერ შეასრულეს. გამწყრალი გამომიფრინდა, მეც თან გამოვყევი და, ბოლოს აი აქ დაარსდა. სომხეთში აღარ აპირებს წამოსვლას, აქ რჩება და მე გულნაკლულად ვბრუნდებიო — თქვა თურმე სომეხმა და დაიწყო ტირილი. არდოტლებმა ანუგეშეს თურმე: რას იზამ, ხთიშვილთ ნება არის, თუკი მოიწადინებს, აქედანაც ხვალვე წავა, თუ ჩვენ ვერ შეუფერებთო. ამის შემდეგ სომეხი წავიდა, სომხოს გიორგი აქ დარჩა.

ერთი კაცი მაშინვე აუყვანია მეენედ, ე. ი. მკითხავად, და, რაც საჭირო ყოფილა ახლად დაარსებული ჯვარისათვის, ყველაფერი ულაპარაკნია მკითხავს. თურმე ეს გიორგი მკითხავ-ჯვარის ჯელკაცებს თეთრ ტანსაცმელში ქისტურად გამოწყობილი, ქისტურ ჩოხა-ახალუხში ეჩვენებოდა. ხშირად იტყოდნენ: წუხელ გიორგი ვნახე ქისტურად ჩაცმული და ესა და ეს დარიგება მომცაო. წუხელ გიორგი ვნახე, გამწყრალი იყო და მიჯავრდებოდაო. ბოლოს, ამ სალოცავს „ჭალაური“ დაუძახეს („ჭალაურნი“—ჭალაში მოსახლე ან მცხოვრებელი) (*M*³, 11, გვ. 127—128).

4. ღვთისმშობლის ჯვარი, სოფ. არდოტი

არდოტელი ხევსურების წარმოდგენით ხთიშობელი სომხოს გიორგის და ანუ დად გაფიცული ყოფილა და მკითხავები ამიტომ უწოდებდნენ მას „გიორგის მოდეს“. როცა გიორგი აქ დამკვიდრდა, მაშინ ერთ მკითხავს უქადაგნია, რომ მე ქალაქში ერთი მოდე მყავს, ჩემნი ყმანი უნდა წახვიდეთ და ის აქ მოიყვანოთო. იმ ჩემს მოდეს ხთიშობელი ჰქვიანო. არდოტლებმა წილი ყარეს და წასვლა ორ კაცს ერგო. წავიდნენ თურმე და ქალაქში შეხვდნენ ხთიშობელს ერთ საყდარში. ხთიშობელი იყო დიაცის სახით და დიაცის ოდენი. იმდენი სამკაული, თვალ-მარგალიტი ჰქონია, რომ სულ ბრჭყვიალებდა ღამითაც კიო, იტყოდნენ არდოტელთ წინაპარნი. წამოუყვანიათ იქიდან ღამით და აქ სულ ღამი-ღამ მოუყვანიათ და დაუარსებიათ სოფლის პირდაპირ, ერთ ვაკე ადგილზე. შეუწირავთ მამულები, აუგიათ კოშკი, გაუჩენია დასტურ-ჯელოსნები და მას აქეთ დაუწყიათ მისი ლოცვა. ლოცვა იცოდნენ ჩვეულებრივ. ხუცობაში — კი აყოლებდნენ „დედაო ხთიშობელო, მოდეო სომხოს გიორგისაო“.

მერე დასცემია არდოტელებს ქისტის ლაშქარი და წაუღიათ ხთიშობელი. ლაშქარი თურმე სულ დაბრმავებულა და არევია გზა. ბოლოს მოლას უთქვამს—„ეგ რომ მოგაქვთ რა არის, გადააგდეთ თორემ ვიღუპებითო“, რაც სამკაული ჰქონია ხატს, შემოუცლიათ და ის კი იქ დაუგდიათ. მაშინ

მოტეხია ხთიშობელს ერთი ხელი. დანარჩენი კი დღესაც ისევ ისე არის შენახული. გამოაბრძანებენ ბარტო წელწადში და დატიობაში. სხვა დროს ინახება საიდუმლოდ. მას მოტეხილი ხელი ზედვე აქვს მიბმული; სახით ძალიან ლამაზი არის და მძიმეც არის; ფერად რაღაც თეთრ ლითონს წააგავს. გარდა ერთი კაცისა, მას ხელს ვერავინ ახლებს; აბარია ერთ კაცს და იგიც, თუ საკლავით არ გაინათლებოდა, ვერ გამოაბრძანებდა მას" (M³, რვ. 19, გვ. 221—223) არდოტელების თქმით ის ვერცხლშია ჩასმული, ბავშვის ოდენაა, ვერცხლისაა. თვალებით და ჩიქილით შემკული (M³, რვ. 19, გვ. 223—224).

ღვთისმშობლის ხატის დარბაზი წარმოადგენს სიპებისაგან მშრალად ნაგებ შენობას, რომელიც შიგნიდან და გარედან ლამ-კირით არის შელესილი. დარბაზის გადახურვა ჯერ ბანურია, ზემოთ კი სიპებისაგან ცალფერდა გადახურვა აქვს მოწყობილი.

დარბაზის შთავარი ფასადი სამხ.-დას. მხარესაა. ამავე ფასადის კედელში ხის კარებია, ხისავე ჩარჩოზე ჩამობმული. კარები სამი ფიცრისგან არის შეკრული. კარის თავზე სამი პატარა ზომის ხეა გადებული.

სამხ.-აღმ. კედელში გაჭრილია ერთი საკვამი (სარკმელი), რომელსაც შიგნიდან ფიცარი აქვს მიფარებული.

დარბაზის ჩრდ.-აღმ. კედელი ნაწილობრივ მიწაშია და მასში ერთი საკვამია დატანებული. დარბაზის ჩრდ.-დას. კედელი გარედან მთლიანად მიწაშია. შიგნიდან ამ კედელში დატანებულია ექვსი შუკუმი. პირველ შუკუმში დევს დაჟეჟყილი ძველი ზარაკი, აქვეა წაქცეული ნახევარლიტრიანი ბოთლი, მეორეში — ერთი ვერცხლის პატარა თასი დევს, რომელშიც თაფლის ერთი სანთელია ჩაგდებული. აქვე დგას ალუმინისხელიანი სასმისი, მესამეში — ერთი კონსერვის ქილა დევს. მეოთხეში საშუალო ზომის თუჯის ქვაბია შედგმული, ხოლო მეექვსე შუკუმში ორი ხის ყუთი.

ჩრდ.-აღმ. კედლის მთელ გაყოლებაზე მიწიდან 5—10 სმ-ის სიმაღლეზე ბრტყელი სიპებისაგან ნაგები საჯდომივითაა გამართული. მასზე ჩალაა მიმობნეული.

შემოსასვლელი მარჯვენა მხარესაა, სამხ.-დას. და სამხ.-აღმ. კედლების კუთხეში სამი სიპისაგან თაროებია გამართული. სულ ქვედა თაროზე შემოდებულია ერთი საშუალო ზომის რუსული ზარი და ექვსი პატარა ზარაკი. შუა თაროზე დადებულია ექვსი პატარა ზარაკი, სულ ზედა თაროზე კი ერთი ზარაკი და თუნუქის მომცრო კონსერვის ქილა, თაროების ქვეშ, კუთხეში, დგას ხის სამფეხა სკამი.

სამხ.-აღმ. კედელთან კერაა გამართული სიპის ქვებისაგან, რომელშიც დამწვარი მუგუზლები აწყვია. კერის თავზე კედლის გასწვრივ გადებულ ხიდან ჩამოშვებულია საკიდელი. კერის გვერდით დგას ოთხფეხა მოგრძო ტაბლა, რომელზეც აწყვია ერთი ვერცხლის შანდალი, ოთხი უბრალო ალუმინის სასმისი, შვიდი სხვადასხვა ზომის ვერცხლის თასი, რომლებზეც ზემოდან გადებულია პატარა სპილენძის კოში. ტაბლის თავზე, კედელში ჩამაგრებულია პატარა ჯოხზე ჩამოკიდებული ხორცის ამოსაღები ჩანგალი. აქვე ერთ-ერთ კეზზე დამაგრებულ ჯოხზე გადაკიდებულია მუქი ფერის ნაჭრისაგან შეკერილი პატარა ზომის ხურჯინი, რომლის ორივე თვალი სავსეა თეთრი საკადრისებით.

ტაბლის წინ, კერასთან, სამფეხა სკამი დგას. ტაბლის ქვეშ დევს დიდი ხის ყუთი, რომელზეც დგას მოზრდილი ვერცხლის თასი. ამავე კედელთან წამოქცეულია ხის კოდი. ხის კოდსა და ტაბლას შორის კედლის გაყოლებაზე დგას ორი სხვადასხვა ზომის რვლის (სპილენძის) ცალყურა ქვაბი.

ჩრდ.-აღმ. კედელთან, კუთხეში დიდი სპილენძის ცალყურა ქვაბი დგას. ამავე კედლის გაყოლებაზე გამართულია გრძელი ქვის სკამი, თითქმის კედლის შუამდე. მასზე დადგმულია დიდი „ქეთლი" (ჩაიდანი) და აგრეთვე მომცრო ზომის სპილენძის თასი. აქვე დევს გრძელი ხის ტაბლა და დგას ხის სამფეხა სკამი. ქვის საჯდომის ქვეშ საშუალო ზომის სპილენძის თუნგია.

ამავე ჩრდ.-დას. კედლის გაყოლებაზე მიწაზე წამოპირქვავებულია სპილენძის სალუდე კასრი, მის გვერდზე კი კედელზე მიყუდებულია ხუთი მოზრდილი სიპის ქვა. დარბაზის სამხ.-აღმ. კედელში გარედან ორი ჯოხია გარჭობილი.

ს ა ზ ა რ ე. დარბაზზე გარედან ჩრდ.-აღმ. კედელთან მიშენებულია საზარე. იგი წარმოადგენს სიპებისაგან მშრალად ნაგებ კლდეზე დაშენებულ შენობას, რომელსაც ფასადი მოქცეული აქვს სამხ.-აღმ. მხარეს. ფასადი მთლიანად ღიაა, ასევე ღიად არის დატოვებული სახურავი, რომლის მაგივრობასაც წევს ერთი დიდი სიპის ქვა.

ფასადის მხარეს, მარცხენა კედლიდან ცოტა წინწამოწეულ სიპებზე დევს ერთი ჯიხვის რქა; ჩრდ.-აღმ. და სამხ.-დას. კედლებს შორის გადებულ ხეზე ჯაჭვით ჰკიდია დიდი ზომის რუსული ზარი, რომლის ენაზე მობმულია თეთრი თოკის სახელური.

ს ა ს ა ნ თ ლ ე კ ო შ კ ი. საზარისაგან სამიოდე მეტრის მოშორებით დგას სასანთლე კოშკი. იგი წარმოადგენს სიპებისაგან მშრალად ნაგებ ორსიპერდიან მაღალ ნაგებობას, რომელსაც თავზე შვიდი ჯიხვის რქა ადევს, მისი ფასადი სამხრეთის მხარესაა. ფასადის მხარეს დატანებული აქვს მოზრდილი შუკუმი.

ამ ნაგებობას მოგრძო ოთხკუთხა ფორმა აქვს. ჩრდ.-დას. კედელი მონგრეულია. ფასადის მხარეს კოშკის მარცხენა მხარეს კუთხეში გამოშვერილია ერთი მოგრძო სიპის ქვა. ადგილობრივი მცხოვრებლის გადმოცემით ხატობის დროს ამ კოშკზე დროშებს მიაყუდებენ ხოლმე. კოშკის წინ სიპებისაგან პატარა ყ ო რ ე ა გაკეთებული, სადაც საკლავები იკვლება.

ს ა ქ ვ ა ბ ე. დარბაზის მახლობლად, მისგან სამხ.-დას. აღმართულია საქვაბე. ეს არის სიპი ქვისაგან მშრალად ნაგები ბანური გადახურვის მქონე შენობა. ფასადი სამხ.-დას. მხარესაა. შესასვლელ ღიობს კარი არ ჰკიდია. მის თავზე ერთი ხეა გადებული. ღიობში ხის კოდია ჩადგმული. შესასვლელის მარცხნივ კედელში გარედან დატანებულია საშუალო ზომის შუკუმი.

საქვაბეში შიგნით სამხ.-აღმ. კედლის მთელ სიგრძეზე დადგმულია მთლიანი დიდი ხის ლ ა თ ბ ა, რომელშიაც ტომრებიდან ლუდი ჩაიწურებოდა. ამ ლათბის ზემოთ ჭერიდან ლუდის ტომრების ჩამოსაკიდებელი ორი ხის კოდი დევს, ამავე კედელში დატანებულია ერთი პატარა საკვამი. ჩრდ.-აღმ. კედელში—დიდი ღიობი. აქ ხარიხსავით გადებულია ლუდის სარეველა ჯოხი, ხის არნადი (/) — ცეცხლისა და ნახშირის გამოსახვეტი — ჯოხი, რო-

მელთაც ზემოდან ადევს ხის დიდი საწყაო—გვერდი (8 კილო ჩადის, ორი გვერდი ფუთია).

ჩრდ.-დას. კედლის მთელ გაყოლებაზე გამართულია სალუდე ქვაბის დასამაგრებელი ყორე. ამ ყორეში ორი ქვაბია ჩადგმული. ერთი დაძველებულია და აღარ იხმარება. მეორე ძალიან დიდი სალუდე ქვაბი სამი მხრიდან ყორეშია ჩასმული, მეოთხე მხარეს ნაწილობრივ არის სიპებით შეკავებული, ქვაბის ქვეშ ცეცხლის შესანთებად საკმაოდ დიდი სივრცეა დატოვებული. ეს ქვაბები შეკერილია.

საქვაბის სახურავად სამ ხის მორზე გაწყობილია უამრავი ჭერები. აქედან ორი ჩამომტვრეულია, მესამე კი მთელია და ეყრდნობა ორ საშუალო ზომის ბოძს. ერთი ბოძი საქვაბის შუაში დგას, მეორე კი ჩრდ.-აღმ. კედელთან.

მოქმედი სალუდე ქვაბის მარჯვენა მხარეს ქვაბის დასამაგრებელ ყორეზე ორი საშუალო ზომისა და ერთი დიდი რვლის ჩხუტები დგას, რომელშიც რვლის კოშია ჩადებული, ტარი კი ხისა აქვს.

ს ა ჯ ა რ ე. ნაგებობა სამკედლიანია. შესასვლელი სამხ.-აღმ-თითაა. მისი მოპირდაპირე კედელი ბუნებრივია. ამ კლდიდან 30—35 სმ დაშორებით ხის ორი სვეტია (გვერდითი კედლებიდან თითოეული დაახლოებით 1,3 მ-ის მანძილზეა. მათ შორის მანძილი — 1 მ). ეს ორი სვეტი აკავებს ხის კოჭებს, რომელიც თავის მხრივ მის პარალელურად გადებულ მეორე ხის კოჭთან ერთად წარმოადგენს სახურავის ქვეშ მოთავსებული ხეების — ჭერების საყრდენს. ამ უკანასკნელზე აფარია შენობის სახურავი — სიპის ქვები. გადახურვა ბანურია.

. ორი (გვერდითი) კედელი სიპით, მშრალადაა ნაგები. ერთ-ერთი ამ კედელთაგანი (ჩრდ.-აღმ -ის) საქვაბის სამხ.-დას. კედელს წარმოადგენს. ინტერიერში სამივე კედლის გასწვრივ ძირში შემოწყობილია საჯდომად განკუთვნილი სიპები.

ბ ე ღ ე ლ ი. ჯვარის ბეღელი აღმართულია საჯარე-საქვაბის თავზე გადმომდგარ კლდეზე, მათგან ჩრდ.-დას. იგი სიპებისაგან ლამ-კირით ორფერდა რვასიპერდიანი გადახურვის მქონე შენობაა, რომელსაც ზემოდან ოთხი ბროლის ქვა ადევს. ბეღლის სამხ.-აღმ. მხარეს ამოჭრილია ღიობი, რომელიც ფაქტიურად ბეღელში შესასვლელი კარებია. კარის ღიობში ზღურბლად ხეა დადებული, კარის თავს კი ბრტყელი სიპის ქვა წარმოადგენს. აქვს ხის ორფრთიანი კარები. ბეღლის კარებს საურდულეები აქვს გამოჭრილი.

ჩრდ.-აღმ. კედელში ერთი მოგრძო სიპის ქვაა წინ წამოწეული. შიგნით ბეღელი შესასვლელის მარჯვენა და მარცხენა მხარეს ორად არის გადაღობილი გადახურვამდე. თითოეული მათგანი ისევ ორად არის გადატიხრული, რომელთა სიმაღლე 90 სმ — 1 მ-ია.

შიგნიდან ბეღლის გადახურვა ხუთ ნაწილად შეისრულია. სამხ.-აღმ. და ჩრდ.-აღმ. კედლებს შორის სამი ძელია გადებული. ბეღელში იატაკზე მიმობნეულია მარცვლეულის ჩენჩო და ბზე.

კარის მარჯვენა მხარეს ერთ-ერთ გადაღობილში ჩადგმულია დიდი სპილენძის ქვაბი, რომელშიც აწყვია სპილენძის კოში და ორი ძველებური მაღალყელიანი, სახელურიანი სურა. ამავე შესასვლელის მარცხნივ მოთავსებულ გადაღობილში კი მარცვალი ყრია.

5. დობილნი

დობილნი, როგორც არხოტში, აქაც ბავშვების სახით იყვნენ წარმოდგენილნი. ისინი ბავშვებს დოყვს გაუჩენდნენ, სიცხეს მისცემდნენ მოარჩენდნენ კიდეც, სადობილოს გაკეთების შემდეგ. არხოტში ბავშვი რომ დაიბადებოდა, სადობილოდ თიკანს კლავდნენ იმისათვის, რომ დობილთ ამ ბავშვისათვის მფარველობა გაეწიათ და არაფერი ევნოთ. ამის გარდა, აქ ორჯერ იცოდნენ წლის განმავლობაში დღეობა — წელწადში — დატიობაში. ამ დღეობებში მოდიოდნენ ქალები (დობილნი იყვნენ იქვე სოფლის ახლო), მოჰქონდათ სადობილო ყველას. ამ სადობილოში იყო სამი დიდი ქადა გულიანი და თორმეტი უგულო თხელი პატარა პურები — „აშალი". ზოგს ეს სამპირად აქვს შეთქმული და სამთორმეტს მიიტანდა. ამ გულიან პურებს ერქვა „დობილთ უფროსნი". ვითომც დობილთ ჰყავდა უფროსები და ეს პურები იმათ ეკუთვნოდათ, დანარჩენი აშლები კი დობილთ უმცროს წევრებს. მიტანილ სადობილოებს დადგამდნენ ბაკნებით. დობილთ თასებს მოიტანდნენ, აავსებდნენ ლუდით და დადგამდნენ ბაკნებთან ფიცარზე. დობილთ ჰქონდა საკუთარი თასები, თიხისგან გაკეთებული და დაჭრელებული. ეს იყო თორმეტი ცალი. გარდა ამ ორი დღეობისა, ისინი არ გამოჰქონდათ და არ იხმარებოდა. მარტო ამ ორ საკუთარ დღეობაში ხმარობდნენ მათ როგორც სადიდებელთ დასადგმელად, ისე ლუდის დასალევად. აქ სხვა თასი ერც გამოჰქონდათ, დააკრავდნენ ყველა სადობილოზე თითო ფეკ სანთელს და ხუცესი შეუდგებოდა ხუცობას. სადობილოზე ხუცობაში ქალები ფეხზე არ ადგებოდნენ. ხუცობა რომ გათავდებოდა, დიაცები მაშინ ადგებოდნენ ფეხზე და დაიწერდნენ პირჯვარს.

ხუცესი და სხვა ჯვარივნებიც, ვინც აქ იყო, დამწყალობნებდნენ სადობილოს მომტანებს. მერე დასტური აიღებდა და ხუცესს მისცემდა მათში უფროს თასს, მერე დასტურებს და, ბოლოს დაურიგებდნენ უფროს ქალებს. ყველანი დაილოცებოდნენ: „გწყალობდეთ ის დობილნი, რათაიც სადიდებელი ას, ამ სადობილოს მამტანებსაც, წესის შამსრულებლებს. მშვიდობით გამყოფნასთ, თვალ-გულ ნუ ვისა მაგრივასთ, ბევრ დღეობა მშვიდობისა, კარგად ყოფისა მაგგვარასთ. ჭირს ვსომ თქვენს ყველაისას, ქუდიანისასაცად მანდლიანისასაც". ეს ქალების დალოცვა არის და ამის შემდეგ დალევდნენ თასებს. აქ თასში ლუდის დარჩენა არ შეიძლებოდა, სულ უნდა დაეცალათ თასს რომ ხელში აიღებდნენ. თასებს რომ გამოსცლიდნენ, ახლა სხვებსაც დაალევინებდნენ. აქვე ყველა ქალებს ჰქონდათ მოტანილი ლუდის წასაღები ჭურჭელი. რაც გადარჩებოდათ, დასტურის დიაცი ადგებოდა და გაანაწილებდა იმ ლუდს ქალები თავის ხვედრს ლუდს შინ წაიღებდნენ.

სადობილოების მეოთხედი მიჰქონდა დასტურ-ჯელოსნებს, სამი წილი — კი პატრონს რჩებოდა. ქალები გამოემართებოდნენ შინისაკენ, თან დობილთ ეხვეწებოდნენ: „გვაპატივეთ რასაც გაწყენთად ზღვნითა, სანთლით გადაგვაჯდიეთ". ისინი რომ წამოვიდოდნენ, დასტურ-ჯელოსნებისაგან მოითხოვდნენ დამწყალობნებას და ისინიც დაამწყალობნებდნენ: „წყალობა წაიღეთ გიორგის დობილთა, წყალობა! მოწაღმართენ ანგელოზნ დაგაყოლნასთ დალოცვილმ, თქვენი იყოს მწყალობელი"—ჩუმად ლაპარაკობდნენ ქალები და წავიდოდნენ

შინ. ამ დობილში „წელწადში“ და „დატიობაზე“ იკვლებოდა თითო საკლავი სარიგო, სოფლისაგან. ხორცი აქ არ იხარშებოდა და მისი ტყავ-ხორცი რჩებოდა დასტურ-ჯელოსნებს. აქვე იცოდნენ სადობილო თიკანი, ;აშალ-თიკანი, როგორც არხოტის ჯვარის დობილში. დობილნი ავნებდნენ უფრო ბავშვებს, დოყვს დაასხამდნენ, სიცხეს მისცემდნენ და, სადობილოს ქნის შემდეგ, ისევ მოარჩენდნენ. კაცის მფარველ ანგელოზს კი ეს დობილნი ვითომც ვერაფერს გაუბედავდნენ, რადგან ის მძლავრი იყო. დიაც-ყმაწვილის ანგელოზი რადგან სუსტი იყო, მას ყველაფერს გაუბედავდნენ, ბავშვებს ავად გახდიდნენ და ქალებს „სამრელოში დააგვიანებდნენ. შეიძლება ქალიც გაეხადათ ავად, მაგრამ ისე ადვილად, ვერა, როგორც ბავშვები“. (М³, რვ. 19, გვ. 221—223).

6. ვაკის ჯვარნი, სოფ. ხახაბო

ძველი ხახაბოს გვერდით, დავაკებაზე, საიდანაც ხეობა მიემართება წუბროვანის გადასასვლელისაკენ, მდებარეობს ხახაბოს მეორე საკულტო ნაგებობა, ე. წ. „ვაკის ჯვარნი“ ვაკე ადგილია. ჩრდ.-დას. ბორცვზე აგებული არის ოთხკუთხი ფორმის კოშკი, სიპერდიანი ორფერდა სახურავით, ფასადის მხარეს კამაროვანი სარკმლით და სარკმლის თავთან კოშკის სიგანეზე ჩატანებული, დაახლოებით 20 სმ სიმაღლის მთის ბროლის სარტყლით (ტაბ. 87). კოშკის ფასადი მიმართულია სამხ.-აღმ-ით. ამ კოშკის ქვემოთ, ბორცვის ძირთან ჩვეულებრივი ხევსურული ტიპის საზარე კოშკია სიპერდიანი ორფერდა სახურავით, რომელიც შემკულია მთის ბროლის ნაჭრით. საზარე კოშკში კიდია ზარი რუსული წარწერითა და თარიღით 1935 წ. მთავარ კოშკთან და საზარე კოშკთან, სოფლის მხარეს, ქვების ნაყარია — ორი ჩაქცეული შენობის ნაშთი, — შესაძლებელია ეს ხოვლები წარმოადგენს ოდინდელს სამსახურებრივსა და სამეურნეო ხასიათის ნაგებობას, დარბაზსა და საქვაბე-სალუდეს, ანდა ეგების გადახურულ საჯარეებს.

უეჭველია, „ვაკის ჯვარნი“, როგორც მას ხახაბოელმა ბიჭმა უწოდა, იგივეა რაც ხახაბოს ადგილისდედა, რომლის სამფლობელო ჯვარი, ალ. ოჩიაურის აღწერით „სოფლის ბოლოში“, „ვაკეში“ მდებარეობდა (იხ. რელიგია პირიქით ხევსურეთში, ხახაბო, რვ. 8, გვ. 86—89).

მთხრობელი ბიჭის ცნობით ხახაბოში მოსახლეობენ ოთხი გვარის ხევსურები: მამიაურნი, ხახიაურნი, ხოსიაურნი და მინდიკაურნი. მას ვერ მოაგონდა კიდევ ერთი მამიშვილობა, რომელიც ჩემის აზრით, ბოსელანი უნდა იყოს.

7. ლაშარის ჯვარი, სოფ. ხახაბო

ლ ა შ ა რ ი ს ჯ ვ რ ი ს ნიში მდებარეობს სოფლიდან სამხ.-დას-ით, იქვე კლდის ძირში. იგი წარმოადგენს სიპებისაგან მშრალად ნაგებ პატარა ზომის კოშკს, რომლის ფასადი სამხ.-აღმ. მხარესაა და დატანებული აქვს შუკუმი. ნიშის სამხ.-დას. და ჩრდ.-დას. კედლები ნაწილობრივ მიწაშია ჩასული. შუკუმის თავზე დიდი ზომის მობრტყო ბროლის ქვაა.

8. თავადი ბეღლისანგელოზის ჯვარი, სოფ. ხახაბო

ჯვარი მდებარეობს სოფლიდან ჩრდ.-აღმ. მხარეს მაღალი კლდის თავზე. ჯვარში პირველ ნაგებობას წარმოადგენს სიპებისაგან მშრალად ნაგები, ორ-ფერდა, ოთხსიპერდიანი შენობა. გეგმაში ოდნავ წაგრძელებული მართკუთ-ხა ფორმისაა. ბ ე ღ ე ლ ს თავზე ადევს: ირმის რქა, მთის ბროლის ორი და რამდენიმე უბრალო ქვა. შენობაში შესასვლელი ოდნავ შემაღლებულია და თაღოვანი, ზემოდან გადებული დიდი სიპის ქვით.

ბეღლის ფასადი სამხრეთ მხარესაა. კარის ღიობის მარცხენა მხარეს კედლის შუაში დატანებულია პატარა შუკუმი. აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში გაჭრილია თითო ფანჯარა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლე-ბის შუა გადებულია ორი ხის კოჭი, მასზე გარდიგარდმოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედელს შორის ასევე კოჭებია განლაგებული. შენობის შუა წამოქცეულია დიდი ზომის ხის კოდი, მასზე მიყუდებულია საწურავი სის-წვენისა, ტკბილისა (სვიანა რომ გასცილდეს). იქვე ყრია სპილენძის სახე-ლურწატეხილი კოში, ჩრდილოეთის კედელთან ორი მომცრო ზომის სპილენ-ძის ქვაბია. შესასვლელში, ქვის ზღურბლზე დაგდებულია ჯიხვის რქა. ამ ნაგებობის გვერდით წამოქცეულია ხის კოდი და ძველი სალუდე ქვაბი.

ბეღელს დასავლეთის მხრიდან მიშენებული აქვს ს ა ქ ვ ა ბ ი. საქვაბის მთავარი ფასადი აღმოსავლეთ მხარესაა მიმართული. ეს არის სიპებისაგან მშრალად ნაგები ბანური გადახურვის მქონე შენობა. შესასვლელში კარის ზღურბლად და კარის თავად ხეებია დაწყობილი. კარის ღიობში კიდია ერთ-ფრთიანი მოკლე ფიცრებისაგან შეკრული კარები.

საქვაბეში, სამხრეთის კედელში გამოჭრილია ორი სარკმელი — ერთი კედლის შუაში, მეორე კი დასავლეთის კედლის სიახლოვეს. პირველ სარ-კმელში შედგმულია, სალუდე ჭიქა ყურიანი, სამი პატარა ზომის სახელური-ანი თასი სპილენძისა და ერთი საშუალო ზომის მრგვალი სპილენძის თასი. სამხრეთის კედელთან სიპებისაგან აგებულია მოგრძო ყორე—საწურავის და-სადგმელი. მასზე მიყუდებულია ცალყურა სპილენძის ქვაბი და ზემოდან დევს ლუდის ჩასასხმელი დიდი სპილენძის ძაბრი. მის გვერდით კი აწყვია სალუდე ტომრების გასაწური—ხის საწურავები. აქვე, კედელზე ერთმანეთ-ზე მიყუდებულია სპილენძის მოზრდილი სახელურიანი ჩხუტები. მათზე მი-ყუდებულია სპილენძის კოში და მის წინ მომცრო ზომის ჩხუტი დგას.

სამხ.-დას. კედლის კუთხეში და დასავლეთის კედლის გაყოლებით ძა-ლიან ბევრი (15), სხვადასხვა ზომის სპილენძის ქვაბებია ჩამწკრივებული. დასავლეთის კედელში, შუა ადგილას, შეწირული ჯიხვის რქაა გარჭობილი და მიყუდებულია ხის მოგრძო ტაბლა, რომელსაც ერთი ფეხი აქვს შერჩე-ნილი. ჩრდ.-დას. კედლის კუთხეში მიდგმულია ცალყურა სპილენძის ქვაბი, შვიდი სპილენძის მრგვალი თასით. ამ ქვაბის გვერდით, დასავლეთის კე-დელთან დგას სპილენძის საშუალო ზომის თუნგი. ამავე ჩრდ.-დას. კედლე-ბის კუთხეში პატარა შუკუმია, რომელშიც შედგმულია თუნუქის კოლოფი. ორი შეწირული ყანწით. ჩრდილოეთის კედელთან დგას დიდი სალუდე ქვა-ბი, რომელზედაც ზემოდან ორი გრძელი ტაშტია შედგმული ლუდის გად-მოსაწურავად. მის გვერდით სპილენძის ჩხუტია. თავზე სიპი ქვა აქვს დაფა-

რებული, მასზე სპილენძის კოშია წამოპირქვავებული. იქვე კედელთან მიყუდებულია ლუდის სარეველა. ხოლო კედელში ჩამაგრებულ მოკლე ჯოხზე ორი პატარა ზარაკია დაკიდებული. სალუდე ქვაბთან ახლოს განლაგებულია: ხის ჩხუტი, ორი ცალყურა სპილენძის ქვაბი, პატარა კოში, სპილენძის თუნგი, ორი სპილენძის თასი (ძალიან პატარები), ბაკანი, სახინკლე სპილენძისა (ქაფქირი). ამავე კედლის წინ მოწყობილია კერა, რომლის თავზე საკიდელია ჩამოშვებული. საკიდელზე ჩამოკიდებულია ლუდის ჯოხი.

საქვაბის შუაში აღმართულია ბოძი, ერთი მეტრის მოშორებით კი მეორე ბოძი დგას, ბოძებს კოჭი ეყრდნობა. შუა კოჭზე 15 ძელია გადებული. ძელებს ზემოთ უამრავი ჭერებია, რომლებზეც ფიჩხია დაფენილი. შუა ბოძიდან ჩრდილოეთის კედლამდე გამართულია გრძელი „ხოხის" ქვის სკამი.

აღმოსავლეთის კედელთან მოწყობილია სალუდე ქვაბის ადგილი. აქ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებს შორის გადებულ ხეზე სალუდე ქვაბის დასამაგრებელი ორტოტა საკიდელით ჩამოკიდებულია ძალიან დიდი ზომის სალუდე ქვაბი (ნაკერიანი).

აღმოსავლეთის კედელში, სალუდე ქვაბის ჩასადგმელი ადგილის გვერდით, გაკეთებულია სასმელი წყლის აუზი, ისე რომ საქვაბის გვერდით აღმართული შენობის იატაკის ქვეშ არის შეჭრილი.

ს ა ზ ა რ ე. საქვაბიდან დასავლეთით, ათიოდე მეტრის დაშორებით შემაღლებულ ადგილას საზარეა აღმართული. ეს არის სიპებისაგან მშრალად ნაგები ორფერდა გადახურვის მქონე ნაგებობა, რომლის შუაშიც რუსული ზარია დაკიდებული. საზარეს აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს თაღოვანი სარკმელი აქვს დატანებული. ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები ყრუა.

აღმოსავლეთ მხარეს სარკმლის ძირში ორი სიპის ქვაა წინ წამოწეული.

9. გიორგი წყاროთგორულის ჯვარი, სოფ. ხახაბო

ახალ ხახაბოდან ძველ ხახაბოში გადასვლისას, ამ უკანასკნელის მახლობლად, მთის ფერდზე, საყანე ადგილში მდებარეობს ხახაბოს „გიორგი წყاროთგორულის ჯვარი". იგი წარმოადგენს ამავე სოფლის მეორე ჯვარის— „ვაკის ჯვართ" (იხ. აღწერილობა ზემოთ) მსგავს ნაგებობას.

ს ა ს ა ნ თ ლ ე — მშრალად ნაგები და მომცრო ზომისაა. ქვემოთ, ცენტრში პატარა ნიში აქვს. კედლის წყობაში ჩატანებულია მთის ბროლის ოთხი პატარა ნაჭერი. სასანთლის ფასადი სამხ.-აღმ. არის მიმართული.

ს ა ზ ა რ ე, მშრალად ნაგები და ორფერდა გადახურულია, თავზე ადგას ოთხკუთხა ფორმის სიპის ქვა. ფასადი სამხრეთითა აქვს. მარცხენა კედელში დასავლეთისაკენ პატარა, სიპის სასანთლე თაროა, ცენტრში კი, ზემოთ უფრო მოდიდო თარო. საზარეს ხის ძელზე ჰკიდია რუსული უწარწერო ზარი. გადახურვა ორფერდაა, მაგრამ ისევე დაკიბულია, როგორც სანაწვეთეები; თუმცა სანაწვეთეები არა აქვს.

მესამე, ბეღლის ტიპის ნაგებობა, დ ა რ ბ ა ს ი, ფასადით სამხრეთისაკენაა. ნაგებია მშრალად, კედლები ქვემოდან ზემოთ შეუმჩნევლად ვიწროვდება, გადახურვა სიპერდებიანია, 7 სანაწვეთით. თავზე 7 მთის ბროლის ხავსმოკიდებული ქვა აწყვია სიგრძეზე. მთავარი ფასადის მხარეს პატარა ზომის

შესასვლელია შეისრული ფორმის, რომელშიც კაცი ძლივს გაეტევა. ამ ნაგებობას ბეღელთან შედარებით შესასვლელი უფრო მაღლა აქვს გაკეთებული, იატაკი მიწისაა, სუფთად მოსწორებული. დარბასის წინ პატარა მოედანია, სადაც მაღალ ბალახში უწესრიგოდ ყრია პატარა ქვები და ერთი მთის ბროლის ქვა.

გიორგი წყაროს გორისა მოყვანილია მატნიდან. ამ სოფელში ამჟამადაც რამდენიმე კომლია, რომელთაც ბატარიათ ეძახიან. ისინი მოსულნი არიან კახეთიდან, სოფელ მატნიდან. მათი ჩამომავლობა აქაც ძალიან არ გამრავლებულა. მათ პაპას ბატარიას კახეთში კაცი შემოჰკვდომია და იქიდან გამოქცეულა. მოუპარავს და თან წამოუღია გიორგი წყაროს გორულის ხატი. წყაროს გორულს მისთვის ნება არ მიუცია, რომ ფეხსაცმელით ევლო, როცა ხატი მიჰყავდა. გაუხდია ფეხსაცმელი, გადაუყრია და ფეხშიშველი წამოსულა. მთაზე რომ ამოსულა, დიდი თოვლი ყოფილა და გასჭირვებია სიარული, ჩაწოლილა თოვლში ფეხშიშველი, პერანგიანი და გულზე გიორგის ჯვარი დაუდვია. ისე დამცხაო, იცოდა თურმე იმ კაცმა, რომ სულ არ ვგრძნობდი, თუ ზამთარი იყოო. მერე ამდგარა და წამოსულა. თურმე თოვლზე ისე მოდიოდა, რომ ფეხი დაბლა არ უვარდებოდა. გადმოსულა გზაზე და სწორედ წელწად—დილას მოსულა ხახაბოში. მისულა თუ არა წყაროს გორს, ჯვარი ხელიდან გაფრენია და იქ დაარსებულა. უნახავთ ხახაბოვლებს, რომ წყაროთგორს ფეხშიშველ-თავშიშველი კაცი დგას და იმის ახლო რაღაც მზესავით ანათებს. წასულან და გაუგით, რაც იყო. იმავ დღეს მიუტანიათ ქვები და აუშენებიათ კოშკი. ის ჯვარი იმაში თავისთავალ შებრძანებულა და გამქრალა ხალხის თვალიდან. ხახაბოვლებს მიუყვანიათ კომლზე თითო საკლავი და დაუკლავთ იმავე დღეს ამ კოშკთან. მიუტანიათ რაც ექნებოდათ სასმელი და გადაუხდიათ დღეობა. ეს ბატარიათ კაცი ჯერ ცალკე დაბინავებულა. სოფელს მიუცია ერთი წმინდა ქვიტკირი, სადაც დიაცი ვერ გაივლიდა და არც თვითონ გაივლიდა იმ გზით, რა გზითაც დედაკაცები დადიოდნენ. ყოველ დღეობაში სოფელი მიიყვანდა ერთ საკლავს და განათლავდნენ მას. იგი გახდა წმინდა კაცი, დაიწყო მკითხაობა ისე, რომ კაცის დღეს იგებდა. სამ წლამდის ასე იყო, მეოთხე წელს ჯვარმა მისცა ნება და შეირთო ცოლი, ისევე ხახაბოვლების ქალი. ცოლი კი ჰყავდა, მაგრამ უწმინდურ ადგილას მაინც ვერ გაივლიდა, ცხოვრობდა განცალკევებით. ერთ ათენგენა—დღეს ეს კაცი განათლეს სოფლელებმა და ჯვარს სთხოვეს მისთვის ეთქმევინებინა და ჩამოეყალიბებინა დასტურები, დღეობები, მედროშაე და დაეწესებინა დღეობის ყველა წესი. ბატარიამ იქადაგა მაღლის ხმით და აირჩია ორი დასტური, რომლებიც ჩამოაყალიბა სხვა წვრილი დღეობები, აირჩია ყველა დღეობაზე ორ-ორი დასტური და ამ დღეობებს დაარქვა წვრილი სადასტურო.

ამ ჯვარში კლდენი არიან ისე, რომ მას მისასვლელი მარტო ერთი ადგილიდან ჰქონდა. აქ წყალი არ იყო, მერე თავისთავად გაჩენილა წყარო. წყაროსათვის კლდე იყო ამოჭრილი და იდგა წყალი ერთ დონეზე. სიგრძე იქნებოდა ამ ამოჭრილი კლდისა დაახლოებით სამი არშინი და სიგანე ორი. წყალი იყო ძალიან ცივი ისე, რომ დალევაში კბილებს ყინავდა. ამ წყაროს ვერ შეამჩნევდა კაცი ვერც გამოდენას და ვერც გადადენას, — იდგა ისე თა-

ვისთავად. ქვაბს რომ აღუღებდნენ ლუდისათვის, მაშინ ამოჰქონდათ წყალი, ასხამდნენ ქვაბში, წყაროს კი არაფერი აკლდებოდა, — იდგა ისევ თავის დონეზე. როცა წვიმა იყო და წვიმის წყალი ჩავიდოდა შიგ, გაირეცხა და გადმოვიდოდა. ამ წყაროს ინახავდნენ ძალიან წმიდად. ვერ მივიდოდა იმის ახლო ისეთი კაცი, რომ გაბანილი და განათლული არ ყოფილიყო. თუ რამე ჩაიყრებოდა ამ წყალში, მაშინ უნდა მოსულიყო ძალიან წმინდა კაცი, ჩასულიყო შიგ და ამოეხვეტა. მისულნი აქ ჩაყრიდნენ ხურდა ფულს ვერცხლისას. ამოხვეტის დროს ამოქონდა ამომხვეტ კაცს და რჩებოდა ეს ფული იქვე, ჯვარში საჯვროდ. ეს წყალი თურმე მიჰქონდათ ავადმყოფების ტანის დასაბანადაც და დასალევადაც. ხალხის რწმენით იგი სამკურნალოდაც ვარგოდა. რაკი წყალი ჯვარისა იყო ამ ჯვარის ძალით განიკურნებოდა მისი დამლევი.

გიორგი წყაროთგორისას, ხალხის წარმოდგენით, დამხმარეები ჰყავდა. პირველი იყო ბ ე ღ ლ ი ს მ ფ ა რ ა ვ ი ა ნ გ ე ლ ო ზ ი, რომელიც მარტო ბეღელს პატრონობდა და აქ დამნაშავეს, თუ ბეღელში ვინმე რამეს ჩაიდენდა უწესობას, დასჯიდა. მეორე იყო ვ ა კ ი ს ა ნ გ ე ლ ო ზ ი. ამას მეტ სახელად „კვინტილა"-ს ეძახდნენ, რადგან ის ადვილად წყრებოდა და ცდილობდა ადამიანისათვის ვნებას; მაგრამ მას ბევრი არაფერი შეეძლო.

მესამე ჰყავდა დ ო ბ ი ლ ნ ი, დობილნი კი ჩვეულებრივად ბავშვებს ემტერებოდნენ, თვითონაც ბავშვების სახით იყვნენ. ხალხის წარმოდგენით ბავშვებს და ქალებს დაბალხარისხოვანი ანგელოზი პატრონობდა და დობილნი მათ მოერეოდნენ.

კაცის ანგელოზს ისინი ვერაფერს გაუბედავდნენ და კაცი მათგან თავისუფალი იყო, მას ვერაფერს ავნებდნენ და ვერც არგებდნენ. კაცის პატრონი ანგელოზი იქამდინ არ დაწვრილმანდებოდა და არ დაიმცირებდა თავს, რომ დობილის დასახმარებლად გაეხადა თავის საპატრონო კაცის საქმე.

თვითონ გიორგი წყაროთგორისა მტერთანაც ეხმარებოდა თავის ყმათ, მონადირესაც ხელს უმართავდა, თუ ის „შამაზძახნებდა". ეშმაკთან და დევებთანაც მებრძოლი იყო და იცავდა თავის ყმებს. გიორგის დახმარებით ხახაბოს ჟამიანობაც არ მოუდის. ხევსურეთში ჟამიანობა რომ ყოფილა, მაშინ მოსულან ჟამნი ხახაბოში და გიორგი წყაროთ გორულს „ვაკეს" არ გადმოუჩენინებია თავი ჟამთათვის. ერთი ხახაბოელი კაცი თურმე დაჰყვებოდა „ჟამთ" თან და როგორც ჟამთ, იმასაც ისე საფარველი ედო. ამ კაცმა ჟამიანობის შემდეგი ილაპარაკა: „ჟამთ ერთი თეთრი ჯორი ჰყავდა და მასზე ხან ერთი შეჯდებოდა, ხან მეორეო". ერთხელ ამ ხახაბოელ კაცს თურმე წააყვანინეს ეს ჯორი გორის იქით დასაბმელად და უთხრეს: „არ გაბედო და ზედ არ შეჯდე, თორემ გავნებსო". ეს კაცი ძალიან ეშმაკი იყო და იფიქრა: „რაც გინდა მომივიდეს, შეეჯდები და გავიგებ ამ ჯორზე შეჯდომას ეგ ჟამნი მე რატომ მიშლიან და თვითონ — კი სხდებიანო". გორს გაღმა რომ გადავიდა, შეჯდა ჯორზე და, დედამიწის ზურგზე რაც რამე იყო და სადაც რა ხდებოდა, ყველაფერი დაინახა. რასაკვირველია, რომ ჟამთ აქვე გაიგეს მისი მოქმედება. ის კაცი რომ დაბრუნდა და ჟამთან მოვიდა, მათ ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ არ უთხრეს — ეს რად ჩაიდინეო, მხოლოდ ჰკითხეს: „რომელი შვილი უფრო კარგი გყავს და რომელი გირჩევნიაო". ეს კაცი

მიუხვდა რატომ ჰკითხავდნენ და თავის შვილებიდან უარეს შვილზე უთხრა: „ეს მირჩევნიაო“. ეს შვილი კოჭლიც იყო და ისედაც ვერ იყო კარგი სხვა შვილებთან შედარებით. მამას ეს უფრო გამეტებული ჰყავდა დასასჯელად. ჟამთ გიორგისაგან უთხოვია ნება, რომ მის ერთ ყმას მოჰკლავდნენ, რადგან ამ კაცმა უღალატა (ეს კაცი ხალხის თქმით და წარმოდგენით, გიორგი წყაროთ გორულისაგან ჰყავდა ჟამთ დასახმარებლად მიცემული. გიორგიმ ნება მისცა, ოღონდ კარგი და მეომარი ყმა არ მომიკლათ, რომელიც თავისთვისაც ვარგა ხალხსაც გამოადგებაო. ჟამნი გიორგის ნებართვით ამდგარან და უკრავთ ისარი თავის გამყოლი კაცის კოჭლი შვილისათვის. გამობმია ნაისრალში მუწუკი ზედ გულზე და მაშინვე მომკვდარა. სხვას აქ არავის უზარალებია. გიორგის ხთისაგან ჰქონია მოლოცვილი, რომ მის საყმოში ასეთ მავნებელ ხთის იასაულთ ნებას არ მისცემდა, ხალხის ხოცვით დაებეგრათ მცხოვრებლები. რომელიც ჟამთ დაჰყვებოდა, ის კაცი თურმე იტყოდა: „ჟამნი რო ისარს ისროდნენ, ეს ფარული იყო და, ჩვენს გარდა, მას ვერავინ დაინახავდა, ხედავდნენ მარტო ჟამნი და მეო. სადაც ისარი მოხვდებოდა ადამიანს, იქ მუწუკი გამოუვიდოდა და ერთი საათის განმავლობაში მოკვდებოდაო“.

10. ხახაბოს ადგილისდედა და მეუბარაქოენი

ადგილისდედის პატარა ნიში იდგა სოფლის ბოლოში, „ვაკეში“. ათენგენის მეოთხე დღეს აქ მიდიოდა მთელი სოფელი, ქალი და კაცი. მიჰქონდათ ლუდი და იკვლოდა ერთი სასოფლო საკლავი, რომელიც მორიგეობით მოუდიოდათ. მიდიოდა მარტო ამ სოფლის ხალხი. სხვა სოფლიდან მოსული კაცის იქ მისვლა რატომღაც აკრძალული იყო. ვინც უნდა პატივსაცემი სტუმარი მისულიყო, ამ დღეობაში მაინც არ მიიყვანდნენ. და თუ ვინმე უცოდინარობით მივიდოდა, იმასაც მოხერხებულად სხვაგან წაიყვანდნენ, რომ არ მიხვედრილიყო იქიდან დათხოვას და შეურაცხყოფად არ მიეღო. ასეთ სტუმარს სოფლის ერთ-ერთი კაცი დაპატიჟებდა და წაიყვანდა თავის სახლში, ანდა გიორგი წყაროთ გორულის ჯვარში. ამ ადგილისდედას განსაკუთრებულ სახელს უწოდებდნენ მარიემ წმიდას. აქ, ამ დღეს რომ სასოფლო საკლავს დაკლავდნენ, დასტურები წაიღებდნენ გიორგი წყაროთ გორულში და იქ გაატყავებდნენ. ტყავსაც და ხორცსაც დასტურ-ჯელოსნები ხმარობდნენ, ლუდს კი სვამდნენ ყველანი.

ადგილისდედაში დღეობა აკვსების დილასაც იცოდნენ. იქ ამ დღეს ყველა მიდიოდა, ქალიც და კაციც. მათ მიჰქონდათ ხავიწიანი ქადა, სანთელი და სადიდებელი. არაყი უნდა ყოფილიყო „წინწანაქარი“ — პირველად გამოსული. ქადის საქერქე უნდა ყოფილიყო საუკეთესო პურის ან სვილის ფქვილიდან, ხოლო ხავიწი — გაზაფხულზე პირველად შედღვებილი კარაქიდან. ამას ეწოდებოდა „ნათავრის ქადა“. ქადებს რომ მოიტანდნენ, დააწყობდნენ, დადგამდნენ ზედ ლუდიან თასებს ანთებული სანთლებით და ჩვეულებრივად გაადიდებდნენ ჯვართ. პირველად ადგილისდედას, მარიემ წმიდას და მერე მოჰყვებოდა სხვა მათებურად მძლავრი ხთიშვილების ხსენება სადიდებულოზე (ხევსურეთში, სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა ხთიშვილი

იყო უფრო მძლავრად მიჩნეული. ერთი სოფლის მძლავრ ხთიშვილს ხშირად მეორე სოფლელები დასცინოდნენ კიდეც უმძლავრობაზე). სადიდებელთ წესი ჩატარდებოდა ჩვეულებრივად, მერე დასხდებოდა ხალხი. ჯვარივნები დასხდებოდნენ სათავის მხარეს და მერე სხვა ხალხი, მოიტანდნენ ლუდს და სვამდნენ. საკლავის დაკვლა ამ დღეობაში აქ არ იცოდნენ. ხავიწიანი ქადებიც შინ მიჰქონდათ გაუჭრელად.

ადგილისდედაში კლავდნენ დეკეულის ხბოს, რომელი ძროხაც პირველად მოიგებდა, მისი ხბო აუცილებლად უნდა დაკლულიყო. ხბოს კლავდა ხუცესი და თავი მას რჩებოდა. ხუცესის გარდა, აქ საკლავის დაკვლის უფლება ჰქონდა ყველა უცოლო კაცს. ხუცესს ჰქონდა ნება, რომ ცოლშვილიანი ყოფილიყო. სხვა კაცს-კი ნება არ ჰქონდა აქ საკლავის დაკვლისა, თუ მას ცოლშვილი ეყოლებოდა. ხუცესი როცა შინ არ იყო, მოძებნიდნენ სოფელში უცოლო კაცს და მას დაუძახებდნენ საკლავის დასაკლავად. ის ითვლებოდა წმინდა კაცად. სხვა ყველა უწმინდურები და უღირსნი იყვნენ ადგილისდედაში საკლავი რომ დაეკლათ. ადგილისდედა მიაჩნდათ სიუხვე-ბარაქიანობის მიმნიჭებლად. ის ვითომც მოსახლეობას უწყობდა ხელს უფრო მესაქონლეობის დარგში. ეს მაშინ, თუ გამწყრალი არ იქნებოდა ვინმეზე. ესა თუ ის მეკომური, თუ თავის წესებს კარგად უსრულებდა, ხალხის წარმოდგენით, მას არც ძროხა მოუკვდებოდა, არც ხბო, მისი ძროხები მოიწველავდნენ ბევრს და შედღვებილი რძისაგან ამოვიდოდა ბევრი კარაქი. ვინც მას არ უსრულებდა წესებს, მის ოჯახში წველადობის საქმე სულ ცუდად მიდიოდა. ადგილისდედა გამწყრალი იქნებოდა ასეთ·ურჩ მეკომურზე და ყველანაირად ზარალს მიაყენებდა მას. ის აგრეთვე უწყობდა ხელს პურის მოსავლიანობას და ურჩ კაცს ამის ბარაქასაც გამოულევდა. ამიტომ იტყოდნენ წყევლაში: „გამაგსივნას მეუბარაქოენი ადგილისდედამ". თითქო ადგილისდედას კიდევ ჰყავს სხვა დამხმარე ძალები და ვიზეც გაჯავრებული იქნებოდა, გადაჰკიდებდა და ბარაქას გამოულევდა. ამათ ეწოდებოდათ „მეუბარაქოენი". ადგილისდედაში სხვა წვრილმანი შესაწირავებიც იცოდნენ, — სალოცავები, თიკანი და სხვა. ადგილისდედა თავდაპირველად არ ყოფილა ხახაბოში. მერე ფშავიდან, სოფელ ცაბაურთიდან მოსულა ერთი კაცი, იმას მოუყვანია ხთიშობელი და დაუარსებია ვაკეში. მას შემდეგ გაძლიერდა იგი და გახდა ადგილისდედად. ცაბაურთიდან მოსული კაციც გამრავლებულა და ახლა იმისი ჩამომავლობიდან არიან მამიაურები ან ცაბაურაშვილები. მათგან ზრგნი მოსახლეობენ ხახაბოში, ნაწილი — კი გადასულა ფშავში, სოფ. კაწალხევში. (M[16] რვ. 1, გვ. 1—3; რვ. 8, გვ. 86—89; რვ. 10, გვ. 115—120).

11. მთავარანგელოზი — ხონის გორის ჯვარი, სოფ. ხონე

ხონის გორზე დაბრძანებულია მთავარანგელოზი, რომელიც საერთო სალოცავი არის მიღმაჯევის სამი სოფლისა — ხონისა, ხონისჭალისა და მუცოსი. მთავარანგელოზის უნჯნი ყმანი შეთეკაურნი არიან. ეს ამ სოფლების მთავარი სალოცავია, ქისტები კი აქ ამ ხატში არ ლოცულობენ. სოფელ მიცუს ანუ მუცოს აქვს თავისი სოფლის ჯვარი „გიორგი მგზავრი ანგელოზი".

სოფელ არდოტის სალოცავია „სომხოზ გიორგის ჯვარი". ყველა ზვი-

ადაური ამ ჯვარში ლოცულობს. ზვიადაურები კი ერდოტშიც ცხოვრობენ და ორ სხვა სოფელში — ანდაქში და არჭილოში. მურღოვებიც ამ ხატს ლოცულობენ (M[10]).

„მთავარანგელოზი ხონის გორს დაარსებული მოძმეა. არდოტის ჯვარის სომხოზ გიორგისა მთავარანგელოზი ხონის გორზე დაარსებულა და იქაც გაჩენილა მისი სამლოცველო. ამ სალოცავს ეძახდნენ სომხოს გიორგის მოძმეს მთავარანგელოზს ლოცულობდა მუცუელი ხალხი, რომლებიც იტყოდნენ: „ხონის გორიდან წამოვა ცეცხლი და სომხოს გორზე ჯვარში ჩავაო, ვითომც მუცუს სალოცავი, თავის მოძმეს, სომხოს გიორგის ესტუმრებოდა, და, როცა სასტუმროდ მოდიოდა, ცეცხლის სახით გაკრთებოდა, ვითომც ღამით იცოდა სასტუმროდ სიარული“ (M[10]).

12. ხოლიგისწვერის ანგელოზი

ხოლიგისწვერი ჰქვიან არჭილოს და ხახაბოს შუაზე მდებარე მთას. ეს მთა არის ძალიან მაღალი. აქ წინათ მდიდარი სალოცავი ყოფილა მას ქონია დროშა და განძი ოქროვერცხლისა. იმ სალოცავის სახელი აღარ იციან, მხოლოდ ეძახიან ხოლიგის წვერის ანგელოზს. იქ ახლაც არის ნადარბასალი, იქვე არის ორი ჟანგიანი ძველი ლითონის ჯვარი, ხელსაფქვავი. ხელსაფქვავა იყო პატარა წისქვილი, რომელსაც გულთ გარდა ამოჭრილი აქვს ნაპირზე წვრილად. აქ პატარა ჯოხს ჩაამაგრებდნენ და იმით ატრიალებდნენ ხელით. ხელითვე ჩაყრიდნენ ცოტა-ცოტა საფქვავს და ისე ფქვავდნენ ასეთ მიუვალ ადგილებში ძველად.

როგორც გადმოცემითაც იციან, ეტყობა, ხოლიგისწვერი მძლავრი სალოცავი უნდა ყოფილიყო თავის დროზე. ახლა — კი მომსწრალიც აღარავინ არის, რომ აქ სალოცავად ვინმე წასულიყოს. ამ სალოცავს ჰყოლია ძალიან ბევრი ნადირი (ამ მთებში ჯიხვების გარდა სხვა ნადირი არაფერი იცის ნადირს აქ იტყვიან მარტო ჯიხვებზე). ჯიხვები აქ ისეთი გამრავლებული ყოფილა, რომ ცხვრის ფარასავით დადიოდნენ თურმე და არც ერიდებოდნენ კაცს, ვინაიდან მათზე ნადირობის უფლება არავის ჰქონდა ხოლიგისწვერის ჯვარისაგან.

ეს ამბავი ლეკეთშიაც სცოდნიათ, რომ აქ მდიდარი სალოცავი იყო და წამოსულან ლაშქრად. მოსულან და დასცემიან პირდაპირ ამ სალოცავს დაულეწიათ კარები და გაუტანიათ ყველაფერი, რაც იქ იყო. ერთი ოქროს ჯვარი ყოფილა და თვალთ არ იყრიდა, ისე მბრჭყვინავი რამეებით ყოფილა მოროთული. ესეც წაუღიათ და მას ხთიშვილიც თან გაჰყოლია. სოფელში რომ მიუტანიათ, დაუბრძანებიათ ერთ სუფთა ადგილას, მაგრამ ლეკები რაკი „ურჯულოები“ ყოფილან (ე. ი.—მაჰმადიანი), ამიტომ ჯვარს არც უნდოდა ქრისტიანთ სალოცავი ლეკეთში ყოფილიყო, თანაც ლეკებზე გამწყრალი ყოფილა. გაჩენილა ლეკეთში ავადმყოფობა და ბევრ ხალხს უზარალნია. მერე მკითხავს უთქვამს: „ეგ ქრისტიანთ სალოცავის ჯვარი თუ არ მოიშორეთ, თქვენ ამ ხალხის ხოცვას ვერ გადარჩებითო“. ლეკებს დაუბარებიათ ხახაბოელებისთვის, რომ წამოდით და თქვენი ხატი წაიღეთო. მაგრამ ხახაბოდან აღარავინ წასულა. მერე თურმე წაუღიათ ლეკებს და იქ ლეკეთში სულ მაღალ მთაზე,

კლდეში დაუბრძანებიათ. მის დაბრძანების ადგილზე ერთი ვერძიც დაუკლავთ, მაშინ მოშორებია ლეკებს ეს სიკვდილიანობა.

ლეკებს რომ ხატი წაუღიათ და ხთიშობელიც თან გაჰყოლია, მაშინ ნადირიც სულ წასულა და ლეკეთის მთაში გადაყრილა. „ნადირივ რომ აიყარაო, წავიდავ, როგორც ცხვრის ფარაივ, ეგრ დაიძრავდ' მიწა გაჴნავ. სრუ ბოლოსავ ერთივ თოვლივით თეთრ ჴიჴვ გადაეფარავ. ეს ჴიხვივ არც მანამდე ვის ენახაოდ არც მემრ ნახულავ ლეკეთშიავ" (М[16], რვ. 22, გვ. 121—123, 128—129).

ბ) არხოტის ხეობა

1. მთავარანგელოზის ჯვარი, სოფ. ახიელა

ახიელის მთავარანგელოზის ჯვარში შემდეგი ნაგებობანია: 1. დარბაზი, დარბაზის კარით და საკოდით; 2. საქვაბე (სადიასახლისო); 3. ქვევრი; 4. კოშკი; 5. საზარე კოშკი; 6. „ძველი დარბასი"; 7. ყორის გალავანი.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ (ტაბ. 68). მისი ფასადი დასავლეთის მხრიდანაა, წინ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲘᲞᲐᲜᲘ—წინა მხრიდან გახსნილი სივრცე, რომლის ფასადზე გადებულ მორზე ჴიხვის რქებია ჩამოკიდებული. ეს ჰორიზონტალურად გადებული ხის ძელი ეყრდნობა ხის ბოძს, რომელიც ქვაზეა შეყენებული მარჯვენა მხარე ქარიპანისა ქვებითაა ამოწყობილი და „სასაკლაო სიპს" წარმოადგენს. სამხრეთი კედელი, რომელიც დარბასის სამხრეთი კედლის გაგრძელებას წარმოადგენს, „დროშათ საბძანი" ადგილია. დარბაზში შესასვლელი კარი ხისაა. აღმოსავლეთი კედლის წინ ამაღლებული ადგილია და გადაღობილი იქეთ — საკოდეა. დარბაზს საკოდისაგან ჰყოფს ცენტრში ამართული 5-განყოფილებიანი ხის დიდი ზომის „თარო-სათასე" იატაკიდან ვიდრე ჭერამდე აზიდული, და ზედ სპილენძის ქვაბში ჯვარის განძი აწყვია, აქვეა ორი დიდი ზომის თასი, ერთი წარწერიანია: „გვიქნავ ჩუენს ალაგ ზეპირი მიქელ მთავარანგელოზის ამის საყმო თავდებობით მე მინდისხელი მამიწირავს თავის ამას შვილებითა. თუ ამათ დავბრუნდე ხუთოცი ხარის მიმცემი ვიყო ძმობაში ვინც დაბრუნდეს, იმან უნდა მისცეს. ხელს ვაწერ უთურგა თავის ბიძაშვილებითა ხელს ვაწერ თოთა თავის ბიძაშვილებითა ხელს ვაწერ ბუალუნს თავის ბიძაშვილებითა ვეღარ უღალატოთ უკუნისამდინ მე ჩანახო პირისა მოწამე ვარ მკოცებისა (ან მკოცებისა) ზელსა ჩყლკც მარტის კდ 2 დღესა". ამ თასის დიამეტრი—22,5 სმ.

აქვე დგას ორი დიდი ზომის სპილენძის ქვაბი ვერცხლის ნივთებით, მთლიანად ვერცხლისა. აქაა თასები ყოველნაირი ზომისა და ფორმისა, წარწერიანიც და უწარწეროც, სურები, ხმალი, საწვნე. ნივთებზე შემდეგი წარწერებია:

1. შეუწირავს ეს თასი მათურელსა კაკაიამ და მამუკამ და ხარებამ თავარანგელოზისთვინ ვინც მივნოს ისიმც რაცამს.

2. შეუწირ თავარმიქიელს.

3. 1914 წ. თე 25 დღ. შევწირე ვერცხლის თასი მიქიელ თავარანგელოზ. მე, დავით ივანეს-ძემ უთურგაურმა.

4. 1914 წ. თე 25 დღ. შეწირე ვერცლის თასი მთის ვეშაგ წყაროს თავისას მე დავით ივანეს ძემ უთურგაურმან.

5. 1922 წელი.

6. ქორია ჭოლიკაურს შამამიწირავს მთავარანგელოზისთვინ

7. შემომიწირია მიქიელ მთის ვეშაგისად ჩ სამწყალობნელად 1922 წ. აბაისძე მარტიას ძე გაბურას.

8. 1934 წ.

9. ვერცხლის სურა ჯაჭვიანი „ესე ვერცხლის სურა არს მიქიელ მთავარანგელოზისა თავისის ვუვლით გაკეთებული ამის გაკეთებაში თავსმდეგნი ღა ართგულნი ყმანი არიან ქორია ჩიქორთაშვილი და პაჭიჭაუ დეკანოზის უ“.

10. საწვნე — „დიდება ძალსა შენსა მიქიელ მთავარო ახგელოზო“.

11. „მე თასი ესე მოტანილი ვარ ბაბო იოანეს ძე ცისკარაულისა“, ვერცხლის ძეწკვითა.

12. მოტანილი ვარ ბაბო იოანეს ცისკარაულისაგან ესეცა ვერცხლის ძეწკვით და აბაზიანებით

13. გიორგი ცისკარაული შევწირე თავარანგელოზს.

14. ნიკო ხუციშვილი.

15. დიდება ძალსა შენსა მიქიელ გაბრიელი 1917 შემოგწირავს ხიზანა: ზ: ძე ნორაზაულს.

17. გიგია ცისკარაულმა.

18. დროშის ბუნი: „მიქიელს“.

19. „—“ „ქ. მე ვარ მთავარანგელოზის ჩიქირთ შვილმ უშიშაა გავედრებით თავის სათავეში მგელას და რ.

20. ეს თასი შამასწირა გეჯია არაბულმა.

21. მე მოტანილი ვარ ვერცხლი ესე.

22. შემომიწირავს მთავარ ანგელოზისთვის გიორგი ჯაბუშანურს.

23. ვერცხლის ყანწი ცალი ვერვირ ველისა ბადალი 1916 წ. ს დაკარგულსა გაკეთდა 1923 წ.

ზედამხედველი ოსტატი ახა გიორგი ხუცი“.

24. ყავარჯენი ხისა, ვერცხლის ტარიანი და მთლიანად ვერცხლით შემორტყმული „შემოვწირეთ მიქიელ მთავარ ანგელოზის ჯვარი ბარში მცხოვრებელთა ამღიონთა და ახიელელთა კალოთანელთა გავაკეთებინეთ ქოთილ მამუკას შვილმა და ჯოყოლა ბათაკას შვილმა წელს ჩყო“.

25. დროშის ჩამოსაცმელი პატარა ბუნით „1936 წ. დაიწყო დრომეტი, 1939 წ. დამავალა მერიგემ მესამსმან შვილმა დიდის — ა მგელა ისამა აღჭურვილმა სათნოებითა გიორგიმ. და ხელჰხყავ ხატსა ამას გაქედად. უატელო არდო მთავარანგელოზის ეკლესიის მღ.... დეკანოზმა ბახამ მერიგეო არ დამიცალო თუ არა პასუხი აგე. დიდი მიქიელო გიხვეწ მომავალთა რომთ. მეგეწიე ორთავ ჟამსა სულის განსვლისა ჩვენისას ბახას და მერიგეს“.

(მეორე მხარეზე არის ანგელოზის, მზისა და მთვარის გამოსახულება).

26. ვერცხლის ქარქაშიანი ხმალი სამი ქართული თეთრით. 1829 წ.

დანარჩენი ნივთები უწარწეროა, სულ ორივე ქვაბში არის აღნუსხული.

75 ვერცხლის ნივთი.

აქვე თაროს წინ დგას პატარა ხის ტაგრუცი სამკადრეოებითა და ყაწიმებით, თაროს წინ ხის სკამია, ასევეა სკამები გაწყობილი სამხ.-აღმ. კედლის ძირში, ხოლო მოპირდაპირე კედელზე ხის საწოლია (გვერდებიანი) გამართული, ცენტრში ყვერფია და ზედ ჭერიდან ჯაჭვია ჩამოკიდებული. თაროს ძირში ხის სკამზე დგას სპილენძის დიდი ხელქვაბი. რომელშიც სანთლის ნაჭრები და სპილენძის თასია ჩადებული.

ს ა კ ო დ ე ზ ე სახურავი ჩამოქცეულია, ცარიელია, მხოლოდ ¦ხის ნამტვრევებია დაყრილი. დარბაზში შესასვლელი კარის მარცხნივ, საწოლსა და კარს შუა დიდი მრგვალი ორმოა ამოთხრილი.

ს ა ქ ვ ა ბ ე (ტაბ. 89) მდებარეობს დარბაზის ჩრდ.-დას. მხარეზე და ფასადით დასავლეთით მდინარე ასისაკენ არის მიმართული. კარი ხისაა, რომელიც ჩრდ.-დას. კედლის კუთხეშია დატანებული. საქვაბე ძალიან დიდია და დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ხის კოჭის გასწვრივ შუაზეა გაყოფილი. ცენტრში ქვისგან სვეტია აშენებული, აქეთ-იქით კი 7 ხის ბოძია აღმართული, ქვით ნაშენი სვეტის გვერდით ხის კარია საქვაბის მარჯვენა ნაწილში გასასვლელად. საქვაბის სამხ.-დას. კედელთან დგას დიდი ზომის (5,64 მ×0,67 მ×0,50 მ) მთლიანი ხისაგან გამოთლილი ლათბა და სამი დიდი კოდი ხისა. (1,97 სმ×d=53 სმ, 11,1 მ×d=52 სმ, 11, 88 სმ× d=61 სმ) ლათბაზე დადებულია ხატისებური ტუჩის მქონე ხის დიდი ზომის ჩხუტი (71 სმ×89).

ჩრდ.-დას. კედლის კუთხეში ამოყვანილ ყორეზე გამართულია ბრტყელძირიანი სალუდე ქვაბი, სპილენძის ფურცლებისაგან შეკერილი (ზომით d=98 სმ×სიმაღლით 1 მეტრზე).

საქვაბის მარჯვენა მხარე კიდევ ორად არის გაყოფილი. ცენტრში მდგომ ქვებით ნაშენ სვეტს ჩრდ.-აღმ. კედელთან აკავშირებს ლასტისებურად დაწნული ტიხარი. ამ ნაწილში შესასვლელი ლათბის პირდაპირაა. ამ სათავსოში, რომელიც სადიასახლისოს წარმოადგენს ყვერფია და ჯაჭვია ზედ ჩამოკიდებული. აქ დგას სპილენძის ორი დაბალი ტაბლა, დიდი ზომის სპილენძის ხელქვაბი, სამი სპილენძის კოში, დიდი ზომის ბრტყელძირიანი ლანგარი, პირსაკრავები ტომრებისა. საქვაბის კუთხეში დგას უფრო პატარა ზომის ბრტყელძირიანი ძველი სალუდე ქვაბი, ორი სპილენძის ხელქვაბი, სურა და ორი კედი.

დარბაზის სამხრეთით მდებარეობს დიდი საზარე (ტაბ. 90) და შიგ ზარია ჩამოკიდებული. დარბაზის სამხ.-აღმ. მხრიდან „ძველი დარბასია“ (ტაბ. 90) კოშკური მოყვანილობის ოთხკუთხედი ფორმის შენობა (M^7).

ს ა ქ ვ ე ვ რ ე (ტაბ. 91). ოთხკუთხედი მოკლე სახლი, მშრალი კედლით... სახურავი ბანური“. ფასადის მხრიდან საქვევრეს სიმაღლე 1,70 მ. სიგანე კი 1,80 მ; ბანის გადახურვის სიმაღლე 36 სმ, ცენტრში დატანებულია ხის დიდი კარი (სიმაღლით 1,25, სიგანით 86 სმ), ხისავე ჩარჩოში გამაგრებული; კარიბჭეც ხისაა (?) გრძელი და ბრტყელი.

საქვევრეში ორ მხარეს ქვითკირის თაღია, ხოლო მიწაში ჩაფლულია ქვევრი სიმაღლით 93 სმ, პირის დმ 30 სმ, იქვე ქვევრთან მოთავსებულია „კოში.“[1]

მიხ. გეგეშიძის ჩანაწერის თანახმად, ქვექურ ჯვარს აქვს კიდევ „საზარე“ — კვადრატული მშრალკედლიანი ნაგებობა“ და „დროშათსაბძანისი“ კვადრატული მშრალი ნაგებობა, გულ-ამოვსებული, მაგრამ ეს ნაგებობანი მ. გეგეშიძეს, როგორც ჩანს, არ ჩაუხატავს.

დაბოლოს, ქვექური ჯვარის ნახატის მეორე გვერდზე შემდეგი მინაწერია: „სოფლის ჯვარი“, ჯვარის გვერდით ადგილია პატარა, სახელად საჯარე, სოფლის კუთვნილი ლუდი გამოაქვთ ამ ადგილზე და სვამენ, საუბრობენ.

ჯვარში კი დარჩა ჯვარიონი და მეზღვნეები — მიიპატიჟეს, შეექცნენ. ლუდის გამოლევის შემდეგ ხალხი იშლება. ცეკვა-თამაში ან ჭამა არ არის“.

— ჭელოსანი თუ გააჯავრა ვინმემ, თუ მას ვინმემ აწყენინა, ასეთმა პირმა „ჭელოსნის სკამი“ უნდა დანათლოს. დაკლავს საკლავს და მის სისხლს „ჭელოსნის სკამს“ აწევს. ეს „ჭელოსნის სკამი“ დგას დარბასის კარზე, გადახურულში, მარჯვენა მხარეს, ესაა სიპი ქვის საჯდომი, რომელზეც ამჟამად აწყვია ზარები. კუთხეში რომელსაც ქმნის ქარიპანისა და დარბაზის ფასადის კედელი, ჭელოსნის სკამის მხარეს — ჭელოსანს სკამი აქვს, დევს მთის ბროლის დიდი ნაჭერი და ზედ მიყუდებულია ჯიხვის რქა, იქვე ქარიპნის კედელზე ჰკიდია მიქელ-მთავარანგელოზის ხატი რუსული წარწერით: „Архангел Михаил“ მის ზემოთ ხის თაროა ღვთისმშობლის ხატით, რომელიც ეკლესიიდან გადმოუტანიათ.

ქვექეურ ჯვარში ინახება ხმალი ხუთღარიანი პირით, პირზე წარწერა: GENOVA: ქარქაში ვერცხლისა, სიგრძეზე განლაგებული სამი მრგვალი ვინჯეტკით, რომლებშიც ჩასმულია ქართული ვერცხლის მონეტა წარწერით: „უ ქართული თეთრი ჩყკთ“. ამ ხმალზე ამბობენ: ვინც მით დაიჭრება, თუნდაც ძალიან მსუბუქად, ის აუცილებლად მოკვდება. ხმლის პირი თიკანს ყურზე მოხვედრია შემთხვევით და მაშინვე მომკვდარა.

დარბაზში კარის მოპირდაპირე მხარეს კედელზე აღმართულია მაღალი ფართო და მრავალთაროიანი ხის „საგანძე“, თაროებზე გაწყობილია ვერცხლის თას-განძი დიდი რაოდენობით. შუა ცეცხლზე ჯაჭვით ჩამოკიდებული დიდი სახორცე ქვაბი, რომელშიც იხარშება საკლავების ხორცი. ცეცხლის პირად სვეტებზე ჩამოკიდებულია საკლავების ხორცის დიდ-დიდი ნაწილები და ღასტურ-ჭელოსნების იარაღი. დარბაზის მარჯვენა კუთხეში მოწყობილია საკოდე ხის კოდებით.

დარბაზის კარზე მარჯვენა მხარეს ჩასობილია მიწაში სამანი ფიქალი ქვისგან თომა ბალიაურის მიერ გაკეთებული წარწერით: 1. სტრ. „1929 წ. ივნისის 8 დღეს“, 2. „ეს სამანი ჩაგდებულია“, 3. „არხოტის მთელ მოსახლეობისაგან“, 4. „თავსისხლის შესახებ“, 5. „პირი დადგენილებისა ინახება“, 6. „ყველა ჯვრებში“[2].

---

1 1947 წლის 28 ივლისს მიხ. გეგეშიძის მიერ შესრულებულია არხოტის ჯვარის სქემატური ნახატების მინაწერებით ს. ახიელში.

2 ნათელა ბალიაური-ოჩიაურისა აღნიშნავს: წერილობით გაფორმებულ დადგენილებას ბოთლში ჩასდებდნენ და სამნის ქვეშ დაატანდნენ. გათხრიდნენ მიწას, ჩაფლავდნენ ბოთლს და ზემოდან სამანს დაადგამდნენ — წესი ასეთიაო. ქვექურის ხუცესმა მითხრა: პირი ბოთლში ინახებოდა, აქ იყო, ალბათ დაიკარგაო.

სამანთან დაყუდებულია „ყავარჯენი“ — ვერცხლის ჯვარი გრძელი და გულცარიელი ქვედა ფრთით, რომელიც ალბათ, ხის ყავარჯენს თავზე ეცმევოდა. ამჟამად დარჩენილია მხოლოდ ეს „ვერცხლის ყავარჯენი“ (M[14]).

„**არხოტის ჯვარი**, მოყვანილია ფშავიდან, სოფ. მათურიდან. ხევსურები ამბობენ, რომ ისეთი უკადრისი ყოფილა მთავარანგელოზი, რომ ჯარის ყვირილზე გამწყრალა და წამოსულა. პირველად დაარსებულა იქ, სადაც ახლა იყო. წასულა და ეხლანდელ თავის საბრძანებელში დაარსებულა. თვითონ რომ წასულა თავის პირველ სადგომზე თავისი მოძმე მიქიელ კარის მეზობელი დასტოვა. ზოგებს კი სწამთ, თითქოს არხოტის ჯვარი პირველად დაარსდა კვირაწმინდაში, სადაც ახლა მიქიელ წყალშუისა არის და იქიდან ახიელში გადმოვიდა, ხოლო კვირიწმიდაში მოძმე მიქიელ წყალშუისმებურთვალი (ანუ „მოძმე მიქიელისა“) დასტოვა. სწამთ აგრეთვე ისე, თითქოს არხოტის ჯვარი თავდაპირველად დაარსდა მაღლა სათიბ მთაზე, რომელსაც ჭიშველი ეწოდება (მშვენიერი სადღეობო ადგილია და იქ წელიწადში ერთხელ დღეობა ათენგენას იხდიან), მერე იქიდან ახიელში წავიდა, ჭიშველში კი მოძმე დატოვა — ჯვართ ენით იტყვიან „მიქიელ ჭიშველისაო, მოძმე მიქიელისაო“. (ალ. ოჩიაურის განმარტება: „უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ არხოტის ჯვარმა თავისი პირველსაცხოვრისი ისე დასტოვა, რომ ის იქაცაა და ახალსაცხოვრისშიც“ (M[3], რვ. 66, გვ. 188—189).

„ხალხის რწმენით არხოტის ჯვარი თავის ხუცებს ანუ მკადრეს ხელზე გადაფენილ სამკადრეოზე დაუჯდებოდა ხოლმე მტრედის სახით. ერთხელ „წელწად“ დილას მოუვიდა იგი მკადრეს და ეს ყველამ დაინახა: ჯვარი ისე ბრწყინვალე იყო, რომ მისთვის თვალის გასწორება არ შეიძლებოდა; იგი მზეზე უფრო მეტ სხივებს უშვებდა. შემდეგ არხოტის ჯვარი გაქრა“ (M[3], რვ. 37, გვ. 442—443). მიქიელზე კიდევ ამბობენ, რომ ერთ წმიდა კაცს — ალიათ მგელას ხელზე მოუდიოდაო, მგელას ჰქონდა სუფთა ხელსახოცი თეთრი, როცა გაიგებდა მიქიელის მიახლოვებას, მაშინ ხელსახოცს ხელზე გადაიფენდა და მიქიელი მტრედის სახით ხელზე დაჯდებოდაო. ამ ხელსახოცს, რომელზეც მიქიელი ჯდებოდა, „სამკადრეო“ ერქვა. მასზე დამჯდარი ჯვარი მტრედის სახისა მზესავით გაბრწყინებული იყო და მისთვის თვალის გასწორება არ შეიძლებოდა. როცა ის მგელას ხელზე იჯდა, მგელა თავს გვერდზე გადასწევდა, რომ პირით მისკენ არ ესუნთქა; ასე კარგა ხანს იჯდა მიქიელი და მგელას ესაუბრებოდა სხვებისაგან დაფარულად და ბოლოს გაქრებოდა. ამის შემდეგ მგელა ისეთი დასუსტებული იყო, რომ ფეხზე ადგომა აღარ შეეძლო. ჯვრის ნაბრძანებს ის ზოგს ხალხში გამოაცხადებდა, ზოგი კი საიდუმლოდ რჩებოდა“ (M[3], რვ. 66, გვ. 188—189; რვ. 37, გვ. 442—443).

„მიქიელს ღმერთისაგან მილოცვილი ჰქონდა ქისტების მსგავს მტრებთან ბრძოლა. იგი მოსულა ფშავიდან, სოფელ მათურადან და ძველ სამშობლოშიც, ფშავში ის ეხმარებოდა მათურელებს მტრებთან ბრძოლაში. მათურაში

---

3 „საზარე — კვადრატული მშრალკედლიანი ნაგებობა“ — მიხ. გეგეშიძის ჯვარის ნაგებობათა, კერძოდ გორული ჯვარის ნაგებობათა სურათების არშიებზე მინაწერებიდან, რომლებიც მის მიერ შესრულებულია სოფ. ახიელში, 1947 წლის 26 ივლისს.

მიქიელ მთავარანგელოზი ხარის ყვირილზე გაწყრა თურმე. ერთი ხარი მიდიოდა მის საარსებო ადგილას და გაგიჟებით ყვიროდა. საჭირო იყო მათურელებს მთავარანგელოზის ხათრი ჰქონოდათ იმდენი, რომ ხარისათვის ნება არ მიეცათ ჯვართან ახლო ეყვირა. ამიტომ გაწყრა მთავარანგელოზი, წავიდა და არხოტში დაარსდა. არხოტივნები მას მაშინ დიდის მორიდებით ექცეოდნენ: სოფლად ქალები ხმამაღლა ვერ ლაპარაკობდნენ, ძაღლის ყეფა და ვირის ყვირილი არსად ისმოდა, იმიტომ რომ მთავარანგელოზს ეს არ მოსწონდა. ამიტომ დამკვიდრდა ეს ჯვარი არხოტში. მათურელებმა რომ თავისი ჯვარი ღაკარგეს, საძებნელად წავიდნენ და თან ერთი თეთრი ხარი წაიყვანეს მისთვის შესაწირავად. ეს ხარი ხალხს წინ გაძღოლია და პირდაპირ არხოტში წამოსულა. არხოტში რომ მისულან, მთავარანგელოზი მტრედის სახით აფრენილა და ხარის რქაზე დამჯდარა. „არიქათ, ფშავლებო, ჩვენი მთავარანგელოზი მოფრინდა, დავიჭიროთ და წავიყვანოთო“ — უთქვამთ ფშავლებს და ჯვარის დაჭერა მოუნდომებიათ. ამაზე მთავარანგელოზი კვლავ გამწყრალა და გაუჩინარებულა. იგი მას აქეთ არხოტშია დარჩენილი.

.მათურელები ეხლაც ეუბნებიან არხოტოვნებს თქვენ ქურდი ხალხი ხართ, მთავარანგელოზი მოგვპარეთო“ (M³, რვ. 16, გვ. 190—192).

არხოტის ჯვარი „ტყვია მრიდია“, ტყვიას აშორებს თავის ყმათ.

1. ტახტის ყმა — ახიელელნი ქვექურის მიმართ,
2. ამღა-ჭიმღა—„საყმო-საგლეხო“,
3. უყმო ყმა: დანარჩენი ხევსურები ქვექურის მიმართ.

2. ჯაჭველი გიორგი ჯმელისგორისა, სოფ. ახიელა

ჯვარი ეკუთვნის ოჩიაურებს და ქავთართ (ნაროზაულებს). შედგება რამდენიმე ნაგებობისაგან (ტაბ. 92). საზარე ნაგებია სიპი ქვებისაგან. მას განიერი ძირი აქვს, რომელიც სათავისაკენ თანდათან ვიწროვდება. საზარის თავზე აწყვია თხელი სიპი ქვები, რომელზედაც ირმისა და ჯიხვის რქებია მოთავსებული. რქებთან ერთად საზარეს თავზე თეთრი „ბროლებია“ დალაგებული. საზარის ფასადი მიწიდან შუა წელამდე მთლიანია, ხოლო ზემოთა ნაწილზე ნიშის თაღია ამოყვანილი და ზარი ჰკიდია. ზარს გაყრილი აქვს ჯაჭვი, რომელიც ჯოხზე რამდენჯერმეა შემოხვეული. ჯოხი საზარის სიპზეა დაყრდნობილი.

საზარის თაღის უკანა და მარჯვენა მხარე ვერტიკალურად დაწყობილი სიპითაა აშენებული. უკანა სიპი ოდნავ დაფერდებით დევს. თაღის სხვა კედლის სიპი ჰორიზონტალურადაა ნაგები. საზარის უკან მიწაზე მოთავსებულია სიპი, რომელზედაც საკლავი იკვლოდა.

კ ო შ კ ი[4] „ოჩიაურთ დროშის საბძანია“ და საზარის წინ მის მარცხენა მხარეს დგას (ტაბ. 93). კოშკი საზარეზე დაბალია. ნაშენია მასიურად სიპი ქვისაგან. მას განიერი ძირი აქვს, რომელიც სათავისაკენ თანდათან ვიწროვ-

---

4 „დროშათ საბძანისი — კვადრატული მშრალი ნაგებობაა, გულამოვსებული“ მიხ. გეგეშიძე, გორული ჯვარის ნახატზე მინაწერი, შესრულებული მის მიერ ახიელში, 1947 წლის 26 ივლისს.

დება. კოშკი დახურულია სიპით, რომელზედაც აწყვია დიდი ქვები. ქვებზე ისევ სიპებია მოთავსებული, სიპებს მაღლა კი ქვებია დალაგებული. ქვების თავზე დადებულია დიდი თეთრი „ბროლის ქვა“, რომელიც ნაწილობრივ გაყვითლებული და გაშავებულია. კოშკის უკანა მხარეს დასავლეთით დევს ქვები, რომელშიაც ამაგრებდნენ დროშებს.

„ოჩიაურთ დროშათა დასაბძანებელი“ კოშკის გვერდით არის მეორე კოშკი, რომელიც ქავთართ სალოცავ კოშკად ითვლება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კოშკის უკან დროშის დასამაგრებელი ქვები არაა მოთავსებული. ამბობენ, თითქოს ქავთართ საკუთარი დროშა არ ჰქონდათ.

დ ა რ ბ ა ზ ი[5]. ყორით ნაგებ დარბაზს ალაგ-ალაგ სიპი აქვს შერეული. ყორის ზემოთ ფიქალია მოთავსებული და მასზე ხის კეზია დაყრდნობილი, რომელზედაც მრგვალი ხეებია დაწყობილი. ხეებზე ჭერია დადებული, რომლის ერთი ადგილი საკვამისთვისაა ამოჭრილი. ჭერის ზემოთ სიპი და მერე მიწაა დაყრილი და მოტკეპნილი. კეზს ქვემოდან შეყენებული აქვს სამი ხის ბოძი. დარბაზს აღმოსავლეთ მხარეს სასინათლე აქვს დატანებული. ხის ჩარჩოსე დამაგრებული ხისავე კარები აქვს, ხოლო ჩარჩოს თავზე ხის „კარის თავია“ მოთავსებული.

დარბაზის შიდა ხედი ასეთია: სამხ.-აღმ. მხარეს კედლის მთელ სიგრძეზე გაკეთებულია ქვის განიერი სკამი, რომელიც ხატის მსახურთა და მლოცველთა უფროს-უმცროსობის მიხედვით ყოფილა განაწილებული. საუფროსო ადგილი დასავლეთის კედლის ყურედან იწყებოდა და დეკანოზის ადგილიც ის იყო, მის გვერდით ხელოსანი იჯდა, ხოლო მერე ხალხი — შერჩევით.

ქვის სკამის გვერდით, დარბაზის დასავლეთის კედელზე თას-განძის (ვერცხლის კოჭები, ბარძიმი, ხელიანი ჩხუტი, ფიალები და სხვ.) დასაწყობი ხის თაროა მიყრდნობილი, რომელიც ხისავე ფეხებზეა დამაგრებული. თაროზე დადებული ყოფილა 5 ცალი „დროშათ ბურთი“.

თაროს ქვემოთ სიპსა და სიპს შორის მოთავსებულია სადროშე ყუთი, რომლის ზემოთ ქადების დასაწყობი სიპი ქვა დევს. სიპზე „ნარჩენი“ ქადები ეწყობოდა, რომელიც დასტურისა და ხელოსნისათვის იყო განკუთვნილი. ქვის სკამის წინ დგას ხის სამფეხა ტაბლა, რომელზედაც აწყობდნენ „სამწყალობნო ქადებს“ და ფიალებს. სუფრის გვერდით „ცეცხლის სანთები ყვერფია“ მოთავსებული და მის გასწვრივ ხორცის სახარშავი ქვაბის ჩამოსაკიდებელი რკინის საკიდელია ჩამოკიდებული. სუფრასთან დგას სამფეხა ან ოთხფეხა საჩირახე, რომელზედაც დებდნენ პატარა სიპს და ზედ ფიქვის წვრილად დაჭრილ კვარს ანთებდნენ.

დარბაზის ქვის სკამის გასწვრივ, ქვებზე დაყრდნობილი ხის გრძელი სკამია მოთავსებული, ხოლო ჩრდ.-დას. ერთ კუთხეში სიპით ამაღლებულ ადგილზე ს ა კ ო დ ე თავსდებოდა, სადაც ხის ორი კოდი იდგა, მინდორის ჯვარისა და ჯაჭველისა. ამჟამად აქ ერთი კოდი დგას. იქვეა სპილენძის სამი ჩხუტი და სპილენძისავე სამი ქვაბი. სპილენძის ერთ დიდ ქვაბს „ჯაჯმატურა“ ერქვა. დარბაზს წინ გაკეთებული აქვს „დ ა რ ი ფ ა ნ ი“. „დარიფანს“ ქვემოთ მიწაზე სიპია დადებული, რომელიც სკამის მოვალეობას ასრულებს.

---

5 „დარბაზი — კვადრატული ფორმის მშრალკედლიანი სახლი, ბანური სახურავით“— მიხ. კეგეშიძე, მინაწერი ნახატზე, „გორული ჯვარი“, 1947 წლის 26 იელისი.

— საქვაბე დარბაზის ჩრდილოეთითაა აგებული და ყორის ქვითაა ნაშენი. საქვაბე ისევე, როგორც დარბაზი, ბანითაა გადახურული. საქვაბეს კარი არა აქვს, შესასვლელი ორი დიდი სიპითაა დახურული, რომ „სისწვენი ხატობის დროს რამემ არ გააფუჭოს“.

საქვაბეში დგას ხის ლათბა. ჩრდ.-დას. კი სალუდე ქვაბი. სალუდე ქვაბი ქვის კუროზეა დადგმული. საქვაბეში იდგა ხის ჩხუტი, რომლის საშუალებით ქვაბიდან ამოაქვთ ლუდი და ლათბაში ასხამენ. სალუდე ტომრები ეკიდა კეზზე დალაგებულ მრგვალ ხეებზე ლათბის მაღლა (M7).

3. მარიემწმიდა, სოფ. ახიელა

სალოცავი წინათ საკმაოდ მოზრდილი გალავნით ყოფილა შემოზღუდული, რომელზეც გარშემო თეთრი ქვები — „ბროლები“ ყოფილა დაწყობილი. ამჟამად აქ დარჩენილა ზღუდე, რომლის სიმაღლე 40 სმ უდრის; დანარჩენი ქვები კი ერთ ადგილას არის შეკრებილი.

სალოცავის ჩრდილოეთ მხარეს კერა ყოფილა გამართული, ხოლო სამხ.-აღმ. კედელთან მედროშის ქვის სკამი მდგარა. მარიემწმიდას შესასვლელი დასავლეთით ჰქონია.

4. მთისვეშაგ („მთიშეშაგ“) წყაროსთავისაი||მთური ჯვარი, სოფ. ახიელა

მთიშეშაგი გაბრიელ მთავარანგელოზი, „მთის ჯვარი“ — ყველა ეს „მთის ჯვარს“ ჰქვია. „მთავარანგელოზი (არხოტის ჯვარი) პირველად ამ მთაზე დაარსდა, რადგან იქ მაღლობია და სუფთა ადგილია. ამ მთაზე მან შემდეგ მთის ყარაული — „ვეშაგი“ დასტოკა და ამიტომ ჰქვია აქაურ ჯვარს „მთის ვეშაგი“.

მთისვეშაგი — გაბრიელ მთავარანგელოზია. მიქიელი და გაბრიელ მთავარანგელოზი ერთი არისო, ამბობს ხალხი, ერთი და იგივეაო, მთისვეშაგ გაბრიელ მთავარანგელოზს და მიქიელ მთავარანგელოზს მოძმენი ჰქვიან.

მიქიელმა მთის ყარაული იმიტომ დასტოვა, რომ საჭირო იყო მას შეეტყო როდის და საიდან მოდიოდა მტერი. ამას მთისვეშაგი გაიგებდა და მიქიელს შეატყობინებდა. მიქიელს კი ჰყავდა საჩქარო დამხმარე მ წ ე ვ ა რ ნ ი, რომლებიც სწრაფად შეებრძოლებოდნენ თავის ყმების მტერს. ჯვარი თავის ყმათ შეატყობინებდა მტრის მიახლოებას ქადაგის ან სიზმარის საშუალებით. როცა ისინი შეებრძოლებოდნენ მტერს, ამ ბრძოლაში მიქიელი და მისი მწევარნი ფარულად მონაწილეობას იღებდნენ და ვითომ გაიმარჯვებდნენ. ხოლო თუ მტერთან დამარცხდებოდნენ არხოტივნები, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მიქიელი ხალხზე გამწყრალი იყო რაიმე დანაშაულის გამო.

მთურ ჯვარში შემდეგი ნაგებობანია: 1. საზარე; 2. კოშკი; 3. ნიში; 4. დარბაზი.

ს ა ზ ა რ ე აშენებულია სიპი ქვებისაგან და ნაგებია თაღისებურად. თაღის ცენტრალურ ადგილზე ჩამობმულია ზარი. საზარეს თავი ქვემო ნაწილთან შედარებით ვიწროა და სიპითაა დაფარული. საზარეს წინა ხედი ჩრდ.-აღმ. აქვს მიქცეული; სამ მხარეს არყის ხის ხშირი ტყე აკრავს. მთიშეშაგ წყაროსთავისა ცისკარაულების სალოცავია.

კ ო შ კ ი სიპი ქვებისაგან არის აგებული. მას აღმოსავლეთით პატარა ნიშა (ალბათ „შუკუნი“ — ვ. ბ.) აქვს.

ნ ი შ ი ნაგებია მსხვილი კლდისა და სიპი ქვისაგან. ნიში მთლიანია. ზემოთა ნაწილის უკანა მხარეს სიპებს შორის დევს პირგანიერი საშუალო ზომის თასი. ნიშის წინა მხარე მაღალია, უკანა ნაწილი კი ოდნავ დაქანებულია და მისი ქვემოთა ნაწილი სიპით არის მიფარებული. ნიშის წინა მხარეს დევს სამკუთხედის ფორმის მოგრძო ქვა.

დ ა რ ბ ა ზ ი ნაგებია სიპი ქვისაგან. ამჟამად მისი კედლები ოდნავ დანგრეულია და თავდაუხურავია. დარბაზის სამხრეთის კედელზე განძის შესანახავი ნიშია გაკეთებული. დარბაზს სამხრეთის კედელში აქვს კარები, რომლის მაღლა ოდნავ მოშლილი კედლის თავზე ახლაც აწყვია თეთრი საკმაოდ მოზრდილი ბროლის ქვები.

დარბაზის ერთ კუთხეში მოთავსებული ყოფილა კოდები. დარბაზის უკან ტყეა და იქვეა ს ა ქ ო ნ ლ ი ს ს ა ხ ო ც ი სიპი. დარბაზის როგორც აღმოსავლეთით, ასევე ჩრდილოეთით ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი ს ა ხ ლ ი ყოფილა აშენებული, რომელიც ამჟამად დანგრეულია. დანგრეული სახლის წინ დგას კ ო შ კ ი, რომელიც სიპერდიანი სახურავითაა დახურული (M[7]). (1963 წლის 11 აგვისტო. ს. ახიელი, ჯ. რუხაძის აღწერილობა). 1947 წ. მიხ. გეგეშიძის აღწერილობის მიხედვით. ეს ჯვარი სამი ნაწილისაგან შედგება 1. დროშათ საბძანისი; 2. საზარე; 3. საკელოსნო.

დროშათ საბძანისი კვადრატული ფორმის მშრალი ნაგებობაა მთლიანად ამოვსებული, რომლის სიმაღლე — 1,75 მ, სიგანე კი 1,10 მ წინა მხარეს, მიწიდან 80 სმ. სიმაღლეზე დატანებული აქვს 60 სმ სიგანის სიპერდი დროშის სატარედ ერთი ნაჩვრეტით.

დროშათ საბძანისად 8 მეტრის მოშორებით დგას ს ა ზ ა რ ე — კვადრატული ფორმის მშრალკედლიანი ნაგებობა, რომელსაც წინა მხრიდან შუა ადგილას დატოვებული აქვს ზარის ჩამოსაკიდი ადგილი, საზარის სიმაღლე 2,0 მ, სიგანე 2,10 მ. ზარი ჩამოკიდებულია მიწიდან 1,30 მ სიმაღლეზე. ზარის d=25 სმ.

ს ა კ ე ლ ო ს ნ ო ეწოდება არყის ხის ქვეშ მიჩნეულ ადგილს, სადაც დღეობის დროს ეწყობა თას-განძი, ჯავარჯენი (სიგრძე — 1,10 მ ჯვარით), ჟამსაწირი, ლუდის ქვაბები საშიგაო და სასტუმრო ლუდით (ლუდის ატანა ამ ჯვარში ხდება ქვექურიდან ანუ მთავარანგელოზიდან).

საკელოსნოს მახლობლად (1,50 მ მოშორებით) ს ა ც ე ც ხ ლ უ რ ი ა დ გ ი ლ ი ა კერის „ყვერფის“, მიწაში ჩასმულ ორ მარგილზე გადებულ ჯოხზე ქვაბი ჩამოიკიდება მოსახარში ხორცით.

ამ აღწერილობას ახლავს იმავე დღეს (25. 7. 47) შესრულებული მიხ. გეგეშიძის მიერ მთის ვეშაგის ნახატი შემდეგი განმარტებითი ხასიათის წარწერებით.

„დროშათ საბძანისისა“ და „საზარე“ ნახატების გვერდით:

„...პირი ხისკენ, ხე სულ თავშია“.

შემდეგ დახატულია „საკელოსნო“ და „საცეცხლური ადგილი“ (უკანასკნელი განმარტებითი სახელწოდება ნახატს არა აქვს)—ხე, თას-განძი, ჟამ-

საწირი, შემდეგ „ორ მარგილზე გადებულ ჯოხზე ჩამოკიდებული ქვაბი“ და ამ ნახატების გვერდით წარწერა: „ერთ ხაზზე ქვემოდან“.

უკანასკნელად დახატულია „პურები და ხორცი“ (ივარაუდება საკელოს პურები და ხორცი) 15 ცალი რგოლი შიგ ჩასმული ამდენივე მცირე რგოლით, რომლებიც წრიულად არიან განლაგებულნი. წარწერა ნახატის თავზე: „გწყალობდეთ მთიშეშაგის დავლათი“; წარწერა ნახატის ქვეშ: (ივარაუდება პურებსა და ხორცზე — ვ. ბ.) დააწყეს თასები (პატარა სასმისები); წარწერა გვერდით და მისი გაგრძელება დახატული ფურცლის მეორე მხარეს: ზემოაღნიშნული „პ ურ ე ბ ი დ ა ხ ო რ ც ი“, შემდეგ „ცეცხლის გვერდით პურები დააწყეს წრედ. ზედ ხორცები დაალაგეს. ხუცესი ბაისერ ცისკარაული... სისხლში ხელი ასერია. დასტური გიორგი ცისკარაული მესახელოე (უნდა იყოს“ მესაკელოე — ვ. ბ.) ირაკლი ცისკარაული, იგივე ბერდია. სახუცო კოჭობიცა და ბარძამიც „პურებთან დაალაგეს (სულ 18 თასი, ·მე-19 კოჭობი)“.

„პირველად ლუდი სურაში ჩაასხეს“.

„წრედ შემოვლებულ პურებში თავსებით, ანთებული სანთლებით ხუცესი და ჯელოსანი (აქ და ქვემოთ შეცდომით წერია: „ხელოსანი“ — ვ. ბ.) ჩადგნენ, ხუცესმა იხუცა“.

„თასებზე სანთლები იყო დაკრული“.

შემდეგ მოვიდა ჯელოსნის დალოცვა სახუცო კოჭობით რიგით (მე შემხვდა მეშვიდეღ). შემდეგ მიართვეს ჯელოსანს საჭმელი, რადგან ორი დღის უჭმელი იყო, გუშინ დილით ცხრა წყაროს გაიბანა.

„ნაგანი ამოიღო კუციამ, ხუცესი დაინტერესდა, მოარტყა“...

„ჯელოსანს დღეგრძელობა უსურვა...“

„სიმღერები — ფშაური (ყურში მესმის)“.

ჯ. რუხაძისა და მ. გეგეშიძის მასალების გაცნობამ ჩვენს წინაშე წამოჭრა აუცილებლობა, გაირკვეს და დაზუსტდეს ის, თუ მთური ჯვარის ნაგებობათა კომპლექსში რეალურად რა და რა შენობები იყო წარსულში და არის ამჟამად წარმოდგენილი, ვინაიდან ამ მხრივ აღნიშნული ავტორების ცნობები ყველაფერში ერთმანეთს არ ეთანხმებიან.

ამ საკითხისაგან დამოუკიდებლად მ. გეგეშიძის აღწერილობასა და მეტადრე ახსნა-განმარტებებში ყურადღებას იქცევს რიგი დეტალებისა: 1. ის, რომ „საკელოსნოს“ განმახორციელებელი „ხე სულ თავშია“; 2. „დროშათ საბძანისსა“ და საზარეს პირი ამ ხისკენა აქვთ; 3. საკელოსნოსთან იხარშება მსხვერპლის ხორცი მესაკელოეს ოჯახისა და 4. იქვე ეწყობა „საკელოში ჩადგომის“ წესი.

ამ საინტერესო დეტალებიდან ირკვევა, რომ „საკელოსნო“ მნიშვნელოვანი კომპონენტია ჯვარისა და რომ მას მჭიდროდ უკავშირდება „საკელოში ჩადგომის“ წესი (— იგი „საკელოსნოსთან“ სრულდება) ისევე, როგორც რელიგიურ სამოსში გახვეული სოციალური ინსტიტუტი „ჯელოსნებისა“, რომლებსაც როგორც ირკვევა, დიდი როლი უნდა ეთამაშათ განვითარების ადრეკლასობრივ საფეხურზე ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების მოსახლეობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში[6].

---

6 ამ საკითხს ეძღვნება სპეციალური გამოკვლევა — ვ. ბ.

ამავე დროს „საკელოში ჩადგომის“ შინაარსი გვიჩვენებს, რომ ამ ინსტიტუტს განვითარების უფრო გრძელი გზა აქვს გავლილი, ვიდრე ადრემონათმფლობელური საფეხურია, რომ შესაძლებელია გენეტიკურად იგი პირველყოფილ-თემური წყობილების წარმონაქმნი იყოს. ამას გვაფიქრებინებს მისი ზოგიერთი მხარის შინაარსობრივი მსგავსება ინიციაციის ცერემონიალთან.

როგორც ცნობილია, ინიციაცია პირველყოფილ საზოგადოებაში ჭაბუკების შეწირვის ცერემონიალი იყო. პრველყოფილ და ზოგიერთ თანამედროვე კულტურულად ჩამორჩენილ ხალხებში ინიციაციის ცერემონიალი იმაში მდგომარეობდა. რომ ჭაბუკები ხანგრძლივად იზოლირებული იყვნენ მოსახლეობისაგან, მათ მიმართ არსებობდა საჭმლისა და მრავალი სხვაგვარი ტაბუ და გამოცდის ხერხები (ცეცხლით, წყლით და სხვა მისთ.). პირველყოფილი თემური წყობილების ხანაში ინიციაციის ცერემონიალი სრულდებოდა ყველა ჭაბუკის მიმართ გამოუკლებლივ. უფრო გვიან, პირველყოფილ თემური წყობილების რღვევის ხანაში, როცა ჩაისახა ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია, ინიციაცია შეიქმნა საზოგადოების წარჩინებული უმცირესობის გვარის მეთაურთა წრის, ცალკეული კასტების და მისთანათა პრივილეგია. ჭაბუკების გამოცდის ხერხები და ტაბუს სახეობები შემცირდა და ხანმოკლე გახდა. ინიციაცია გადმონაშთის სახით ანტიკურ ხალხებში არსებობდა. ფიქრობენ, რომ კონფირმაციის წესი კათოლიკურ რელიგიაში და პროტესტანტებთან ინიციაციის გადმონაშთი უნდა იყოს[7].

ჩვენშიც „საკელოში ჩადგომა“, ინიციაციის მსგავსად ჭაბუკების შეწირვის წესს წარმოადგენდა და თავდაპირველად ისიც ყველა ჭაბუკის მიმართ სრულდებოდა. ამას ამტკიცებს ხემოაღწერილი და ახსნილ-განმარტებული არხოტული წესი: საკელოს პურებისა და მათზე მოთავსებული, ხორცის ნაჭრების, ლუდიანი თასებისა და ზედ დაკრული ანთებული სანთლების განლაგება წრიულად ამკარა სიმბოლური განსახიერება უნდა იყოს ციური „საბრძანებლისა“, ხოლო ამ წრეში „მესაკელოეს“ მოქცევა და მისი დალოცვა ჯვარის სახელით, უეჭველია, ამ უკანასკნელისადმი ჭაბუკის შეწირვის მასთან ზიარების მისტერიას უნდა წარმოადგენდეს.

ეს მისტერია არხოტში ყველა ჭაბუკის მიმართ სრულდებოდა მაშინ, როდესაც, მაგალითად, პირაქეთ ხევსურეთში „საკელოში ჩადგომის“ წესი არ მოწმდება. საბაგიეროდ იქ მიღებული იყო ე. წ. „ზღურბლის დალაჯვა“. რომელსაც მარტო ჯვარიონნი და ისიც არა ყველა, არამედ მათგან ქონებრივად შეძლებულნი ასრულებდნენ.

თავისთავად ცხადია, რომ ეს პირიქეთული წესი არხოტულზე გვიანდელი უნდა იყოს. და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ინიციაციის ცერემონიალისა და „საკელოში ჩადგომის“ წესს ფორმალურად მსგავსი განვითარებისა და ცვლილებების გზა უჩანთ: ისევე, როგორც ინიციაციის ცერემონიალი, „საკელოში ჩადგომა“ თავდაპირველად ყველა ჭაბუკისა ხდებოდა, ხოლო შემდეგში ეს წესი შეიცვალა და „ზღურბლის დალაჯვის“ სახელწოდებით პრივილეგირებული უმცირესობის ხვედრი შეიქნა.

დაბოლოს, ინიციაციის ცერემონიალს გვაგონებს „საკელოში ჩადგომის“

---

[7] Большая Советская энциклопедия, II, изд., ст. «Инициация».

წინ „მესაჯელოე“ ჭაბუკის იზოლაცია მოსახლეობისაგან საკმაოდ გრძელი ვადით — ორი კვირით და ამ დროს მის მიერ „წმიდობის დაცვა“ შიმშილობა, დილა-საღამოს მდინარეში ტანის ვანბანვა, ცხრა წყაროში ბანაობა და მისთანანი.

5. ახიელის გვარებისა და მამების საკუთარი სალოცავები

1) ბალიაურთ ჯვარნი. არხოტში, „საქონლის ნაწველის და საქონთ ნაშენის სამეშველაოდ“ ლოცულობდნენ შემდეგ ჯვრებში:

„ბალიაურთ ჯვარანი“ და კარის მეზობელი (ადგილისდედის დობილნი). ბალიაურების გვარი ეხვეწებოდა ამათ და ახვეწებდა საქონლის ნაშენს და საქონის ნაწველ-ნადღვებს. ეხლა ეს „ჯვარანი“ აღარ არიან, მოსპობილია, ეს „ჯვარანი“ ძალიან მავნენი იყვნენ საქონლისა და საქონლის ნაწველისად. აგრეთვე მავნე იყო ჯარის ნახნავის და კაცის ნამუშევარის, თუ შემოწყრალი არ იქნებოდა, ოჯახს გაუმრავლებდა ცხვარ-საქონს და ნაწველ-ნადღვებსო (M³, რვ. 4. გვ. 153).

ბალიაურთ სალოცავი ხთიშობელი სოფ. ახიელში ყოფილა. იგი შუა სოფელში იყო. ხთიშობელს მარტო ბალიაურები ლოცულობდნენ. აქ ისეთივე გაძლიერებული ლოცვა ყოფილა, როგორც სხვა ჯვრებში და ისევე ყველა წესი სრულდებოდა დღეობებში, როგორც სხვაგან. ყველაზე დიდი შესაწირავი ხარია და ამ ჯვარში ხარსაც კი კლავდნენ (ხარს პირველხარისხოვან ჯვრებში კლავდნენ). იყო ერთი მოხუცი ქალი ბალიაური მზია და ამ ჯვარის ამბავს ის ხშირად მოყვებოდა ხოლმე. ამბობდა, თუ როგორი დღეობა იცოდნენ, როგორ ლოცულობდნენ და სხვ. ამასთანავე ყოველთვის გულმტკივნეულად და ჯავრიანად იტყოდა ხოლმე: „ჩვენ იმის ლოცვას არ მოვიშლიდით, მაგრამ დათვიამ გადმოთხარა და ჩვენაც თავი დავანებეთ. ვამბობდით თუ ძალა გაქვს, შენ საქმეს თვითონ მოუარე და შენს გადმომთხრელს სამაგიერო სიკეთე გადაუხადეო“.

დათვია თურმე სთხრიდა სახლის საძირკველს და სასახლე ადგილში მოყვა ამ ჯვართ ნიშიც. ბალიაურებს გვარი არ ჰყავდათ, იმ დროს მარტო ერთი კაცი იყო დარჩენილი, გაგა და მან დათვიას წინააღმდეგობა აღარ გაუწია. უკანასკნელმა სახლი გაიკეთა და გაგამ კი ამაზე უთხრა: შენ იცი და მაგ სალოცავმაო. ამბობდნენ ხევსურები, რომ დათვიას კარგად არ წაუვიდა ამის გამო საქმე, ცოლშვილიანად ამოწყდა, რადგან ხთიშობელი ჰყავდა გამწყრალიო. მზია იტყოდა: მახსოვს ბოლო დროს ამ სალოცავში თეთრი ხარი დავკალითო. გადმოთხრის შემდეგ კი აღარაფერი დაგვიკლავს და არც დღეობა გადაგვიხდიაო. დღესაც ახსოვთ მცხოვრებლებს ეს ადგილი სად იყო და ბავშვებს ამ ჯვართ ნამყოფ ადგილზე არ უშვებენ. ამბობენ, ეს ადგილი რომ გადმოთხარეს, მერე სალოცავიც „გამიწრივლდაო“. „გამიწრივლება“ ჰქვია იმას, რომ ადრე ანგელოზის სახით მყოფი ხატი, რომელსაც ილოცავდნენ, მას შემდგომ, რაც რაიმე მიზეზით ხალხი მის ლოცვას თავს დაანებებს, ეშმაკად გადაიქცევა და წინათ თუ მას ადამიანისათვის დახმარება შეეძლო ახლა ვნების მეტი აღარაფერი შეუძლიაო. ბალიაურთ ჯვარნი რო გამიწრივლდენო, ამბობენ მკითხავები, იქვე მდგარ ერთ ქვიტკირის ნანგრევის კუთხეში ცხოვ-

რობენ ქალის სახით, ქალს ეხედავთ ამ ნანგრევშიო. ამ ქალს მწვანე ტანსაცმელი აცვია და ეძებს თუ რა ვის ავნოსო.

ამ „გამიწრიელებული“ სალოცავის სახელზე ხანდახან კიდევ იცოდნენ მოლოცვა მუშის ანთებით. მზის ჩასვლისა და მზის ჩასვლის დროს იმ ადგილის ახლო ბავშვებს არ უშვებენ. ხევსურების რწმენით, თუ ამ დროს ბავშვმა გაიარა ამ მხარეს და ეს ჯვარ-ეშმაკი შეხვდა „დოყვი“, ე. ი. მუწუკები, გადაედებაო. თუ მუწუკი რომელიმე ბავშვს ამ მიზეზით გადაედო, ამას მკითხავი იტყვის და ამ ეშმაკს „სალოცავებს“ მოუნთებენ (M[3], რვ. 60, გვ. 708—711).

„ყოველ გაზაფხულზე, როდესაც ძროხა ხბოს მოიგებდა და მოიწველებოდა, ახალამოღებული კარაქიდან ქადას აცხობდა ოჯახი და თავის სალოცავში ილოცებდა, ცომს რომ მოზელავდა ქალი, თექვსმეტჯერ გლეჯდა ცომის პატარ-პატარა ნაწილს და ამისაგან „ბოჭოლას“ გამოაცხობდა. თანაც ერთ დიდ ხავიწიან ქადას გამოაცხობდა. „მოლოცვის“ დროს თან მიჰქონდა ქადასთან ერთად „ბოჭოლაები“, ნახშირი, ჩალა და კარაქით გაპოხილი „მუშის პატრუქი“ (ცაცხვის ხის კანი). მოლოცვის დროს (ქალი მიდიოდა მოსალოცავად) მომლოცავი ქალი იტყოდა: „დალოცვილო ადგილისდედაო, ქალო თამარო წითელ პერანგიანო, ლურჯ კაბიანო! შენ შამაგძახთ, შენ გეხვეწებით, შენ გადიდას, შენ გაგიმარჯვას! ამითამც დიდი ხარ, ამითამც მთავარი ხარ, შენ უშველი, დალოცვილი, ჩემს საქონს, ჩემს ჯარის ნაჯნავს, კაცის ნამუშევარს. შენ დამიტანი ბარაქა, დალოცვილო. შენ ნუ შამახოლ ჩემს სახლჩი მავნედ, ნუ შამაუშობ მეუბარაქეთ ჩემს სახლ-საქოხჩი. დალოცვილო, ‘ძეა გეხვეწები ჩემს სახლჩი შამაედო მშვიდად. გამიბევრი საქონი, საქონის ნაწველ-ნადღვები, დამიტანი ბარაქა ჯარის ნაჯნავს, ფურის ნაწველს, კაცის ნამუშევარს. შენ გეხვეწებით. შენ შაგინდევი, დალოცვილო, ‘შენდ ‘შახაწყენი ზღვნითადა სანთლით გადაგაჯდი. ნუ გვავნებ ნუც კაცთად ნამუშევარს, ნუ ჯართად-ჯართ ნახნავ-ნათესს, ნუც საქონთად საქონთ ნაწველ-ნადღვებსად საქონთ ნაშენს. დალოცვილო, შაიწირი შამაწირული. ჩემ სახელს მავნე-მეუბარაქოე გააშორი, ჩემს სახლს ავაიდ მარჯე მააშორი. ბარაქა დამიტანი, ხვავი და ბარაქა მამეცი. სახლ საქონი გამიბევრი, ბუნაგთ ბარაქაიდ ხვავი დამიტანი. ნუ გამივლევ უბარაქოდ სატან-ერბოს, ნუ გამივლევ წყლად საქონს, საქონის ნაშენს. ნუ ასტეხ წყლად, დალოცვილო, ჩემს სახლ-ქონებას, ჩემს სახლჩი მშვიდად შამაედითო“ და სხვ.

მოლოცვის შემდეგ ბოჭოლაებს იქვე გადაჰყრიდა მლოცველი. ქადას თექვსმეტჯერ მოსტეხდა იქვე გადაჰყრიდა. ნახშირსაც იქვე გადააგდებდა. „მუშს“ ცეცხლს წაუკიდებდა. წამოსვლის დროს გამოილოცავდა: „დალოცვილო ადგილისდედაო, ქალო თამარო, წითელპერანგიანო, ლურჯკაბიანო, შენ გეხვეწები, გამამაყოლო კა თვალ-გული, ჯვარი დამიწერი კაცის ნამუშევარს, ჯარის ნაჯნავს, საქონის ნაშენს, საქონის ნაწველ-ნადღვებსო“ (M[19], რვ. 4, გვ. 153—155).

ხთიშობელს ადგილისდედასაც ეძახიან და დობილთაც. პირაქეთ ხევსურეთში ყველა სოფელს ჰყავს ადგილისდედა. თუ ძროხები გახდა ავად ან ეხოცებათ ადგილისდედას მიმართავენ და ახვეწებენ ცხვარ-ძროხებს და ძრო-

ხების ნაწველ-ნადღვებს. აქვე ხოცავენ თხას, თიკნებს და ხბოებს, შლიან „აშალ სადობილოს" და ანთებენ სანთელს სასანთლეებში.

როცა ძროხა ბერწობს ან ხბოს მოგების შემდეგ აღარ იწველება, ყველი და ერბო უფუჭდებათ (ე. ი. კარაქის შედღვების დროს კარაქი დნება დოში) ანდა უბარაქოდ მიდის ძროხის ნაწველ-ნადღვები (ცოტა ყველი და კარაქი აშოაქვთ, ან კარაქის გადნობის დროს ერბო უფუჭდებათ და სხვა), ან კიდევ თუ ძროხა „წაიწყმიდა" და მოწველის დროს არ იძლევა რძეს, ან თუ მას ცურ-ძუძუ ასტკივდა, დაუსივდა, ან თუ ძუძუებიდან სისხლი და ჩირქი მოსდის ასეთ შემთხვევებში მიმართავენ მკითხავებს.

მკითხავი იტყვის: „ადგილისდედაა შემომწყრალი, მავნე დობილნი გამოუშვიაო, ისინი გილევენ საქონის ნაწველ-ნადღვებს ბარაქას და საქონნიც იმათგან არიან წაწყმედილნიო". შეიძლება მკითხავთან არ წავიდნენ და თითონ მიმართონ ადგილისდედას „ხთიშობელს". შეუთქვამენ თიკნის დაკვლას და სადობილოს გადახდას. ადგილისდედაში (ხთიშობელში) ხუცესი დაკლავს თიკანს და „მაადიდებს სადობილოს".

„სადობილოს" აცხობენ: სამ ცალს „უფროსათ" და სამჯერ თხუთმეტს „ტოშოლებს" (აშალს). „უფროსანი" მოზრდილი პურებია „აშალთან" შედარებით, „ტოშოლები" კი (აშალი) პატარები თხელი პურებია. ხთიშობელში როცა „სადობილოებს მაანთებს", ხუცესი იტყვის: „დიდო ხთიშობელო, ადგილისდედაო, უშველი შენდ შემამხვეწნს, კაცსაც და საქონელსაც შენ გაუბევრი, დალოცვილო, საქონის ნაწველ-ნადღვები. შენ დაუტანი ბარაქა კაცის ნამუშევარს, ჯარის ნაჯნავს, ფურის ნაწველს. შენ მააშორენი დობილნი, კა თვალ-გული დაატანი. დალოცვილო, თუ რაით შეგაწყინეს. ზღვნით და სანთლით გადააკდივი. დიდო ადგილისდედაო, დიდო ხთიშობელო, შენ შამაგძახიან, შენ გეხვეწებიან, შენ დაუტანი კა თვალ-გული. მარგე დობილნი დაუტანენი საქონსაც და საქონის ნაწველ-ნადღვებსაც. შენ მააშორი მეუბარაქოე". აშალს (ტოშოლებს) ბავშვებს გადაუყრიან და ბავშვები აიღებენ.

ადგილისდედაში (ხთიშობელში) წელიწადში ერთხელ გაზაფხულზე (ამაღლების დღეს) მთელ სოფელს მოაქვს საქონლის ნაწველის ნათავარი. ეს საქონელსა და საქონლის ნაწველის სამხვეწროა.

ამ დღეს ხთიშობლის დასტური ლუდს ადუღებს და ამაღლება დილას მთელი სოფელი იქ მიდის. დედაკაცები თითო ხავიწიან ქადას გამოაცხობენ და მიაქვთ ხთიშობელში, „დედა-ბურიელში" (ასე იხსენიებენ ხთიშობელს). ქადებთან ერთად თითო სანთელიც მიაქვთ. ქადების „მონთების" დროს ხუცესი იტყვის: „დიდო ადგილისდედაო, დედა-ბურიელო, დიდო ხთიშობელო, შენ შამაგძახიან, შენ გეხვეწებიან შენს კარზე მოტანილ საქონის ნაწველ-ნადღვების თავიდ ნათავარნი შენ შაიწირი. შენად სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაიჯმარი, დალოცვილო. შენ უშველი კაცსაც, საქონსაც, კაცის ნამუშევარსაც, ჯარის ნაჯნავსაც, ფურსაც და ფურის ნაწველ-ნადღვებსაც. დალოცვილო, შენ მააშორი მავნე მაცილი, მავნე მეუბარაქოე. დალოცვილო, შენ გაუბევრი, შენ დაუტანი მადლიდ ბარაქა, დალოცვილო, დედაო ბურიელო, ადგილისდედაო, შენ შამაგძახთ სოფელი, შენ გეხვეწებით, შენ დაგვიტანი ბარაქა ჩვენს ნაქონ საქონს, ჩვენ სახლსად საქონს. დალოცვილო,

დედაო ბურიელო, შამაწირული შაიწირეო“ და „მანთებულ“ ქადებს ისევ მიმტანს გამოუგზავნიან და დედაკაცები შინ წამოიღებენ (M[19], რვ. 4, გვ. 145—148).

2) „ნაროზაულნი არიან ქავთარნი, ბადანი და ჩაბაკაურნი. ამათგან: ბადათ სალოცავია **მთური ჯვარი ანუ მთის ვეშაგი.** იქ ინათლებიან ხოლო მიებარებიან სამგან: მთას, გორს და ქვექვ. საჯელოსაც მთას იქმენ, სადაც გაინათლება ვინც, იქ საჯელოს იქამს. საწულეს ქვექვ იხდიან.

3) ბანურანი ანუ ჯაჭველის ლაშქარნი. იქ დღეობა ქრისტეს იხდიან. საკლავს დაკლავენ, არაყს გამოხდიან, სანთელს დაანთებენ, ლუდს ხდიდნენ წინეთ. დღეობების დროს ბანურათაში აშალს უშლიან დობილთ.

4) ჩაბაკაურთ სალოცავი არის თეთრი გიორგი მინდორის ჯვარი, ჯაბუშანურნი ქვექვ ინათლებიან და საჯელოს იქმენ სახუცოდ. ცისკარაულნი მთის ვეშაგნი ინათლებიან, მიებარებიან და საჯელოს იქმენ.

5) მიქიელ კარის მეზობელი — ჯაბუშანურთ ქვრივის დიაცის დაწესებულია. ეს სალოცავი „ბაკათ ჯვარანია“ ანუ დობილნი. იხდიან გიორგობას ან ქრისტეს. აშალის დაშლაც იციან. ამას გარდა სწირავენ: „ხეთან სალოცავაის“ პატარასა და ბურთის მსგავსს ხუთ კვერს და „კუშუშულას“ ხუთ ცალს, სათითაოდ მუჭში გაწურულს ახალი ყველის გუნდას. ეს შეწირულებანი მიაქვთ როცა ფურს ძუძუები ასტკივდება, ან რძეს არ იძლევა, ან ბავშვებსა თუ ფურს რომ დოყვს (მუწუკებს) გამოაყრის და ან როცა ფური იწიხლება. ამ სალოცავს „მიქიელ კარის მეზობელს“ ეძახიან მხოლოდ ხუცობის ტექსტში. ისე კი ეს სალოცავი დობილნია.

ამ დობილთ, ახლომახლო მეზობლებიც ლოცულობენ. თეთრ-ქალი (მელანო ბალიაური), რომელიც ამ სალოცავის მახლობლად ცხოვრობდა, „დობილთ გატეხილი“ იყო, ე. ი. დობილნი მას ხშირ-ხშირად ავად ხდიდნენ, დოყვს აყრიდნენ, რის გამო დობილთ მისი ოჯახი ხშირად აშალს აუშლიდა.

6) თათართ ჯვარანი (ჯაბუშანურთ საგვარო სალოცავი). ჯაბუშანურები ახიელში თათრების შთამომავლობიდან არიან. გადმოცემით იციან, რომ მათი წინაპრები თათრები ყოფილან და მერე გაქრისტიანებულან, სასაფლაო მათ გვარს დღესაც ცალკე აქვს სხვა დანარჩენი თემის და სოფლის მცხოვრებთ სასაფლაოსაგან. ამბობენ, რომ თამარ მეფე რომ არხოტში მოსულა, მაშინ ხალხის ყრილობა მოუწვევია და უკითხავს: აქ რამდენი ქართველი ქრისტიანი ცხოვრობს და რამდენი თათარიო (მაშინ ის თათრები ისევ მაჰმადის რჯულზე ყოფილან). ხალხს უთქვამს ვინ რამდენიც იყო, მერე თამარ მეფეს უთქვამს, ცალკე თეთრები დადექით და ცალკე ქართველებიო, ისინიც ცალ-ცალკე დამდგარან და თამარ მეფეს კიდევ დაუთვლია.

მერე თამარ მეფეს მოუზომია ქრისტიანებისათვის სასაფლაო მიწა ცალკე და თათრებისათვის ცალკე. ქრისტიანებისათვის სასაფლაო უკურთხებია და თათრების სასაფლაო კი ისე მიუჩენია მათთვის. მას აქეთ აქვთ ახიელლებს ცალ-ცალკე სასაფლაო. რაკი თამარ მეფის მიერ არის მიჩენილი ეს სასაფლაოები, იმ ადგილს არც გასცილდებიან. ამიტომ ზოგიერთ საფლავში ხუთი-ექვსი ადამიანის ჩონჩხი ამოჩნდება ხოლმე. ახალს დამარხავენ და ძვლებსაც იქვე ჩაყრიან ძველი მიცვალებულისას.

ამ თათრებს სალოცავიც ცალკე ჰყოლიათ სოფლის მოშორებით. მას „თ ა თ ა რ თ ჯ ვ ა რ ა თ“ ეძახოდნენ. მისი დარბასის ნანგრევი კიდევ არსებობს და დღესაც ძველი სახელი აქვს შენარჩუნებული. მას ისევ „თათართ ჯვარათ“ ეძახიან, მაგრამ იქ ლოცვა სრულიად აღარ არის. ეტყობა, როცა გაქრისტიანებულან, მას შემდეგ დაუნებებიათ ამ ადგილში ლოცვისათვის თავი. იტყოდნენ თურმე აქ ძალიან კაი დღეობა სცოდნიათ თათრებს; ადუღებდნენ ღუდს, დაპატიჟებდნენ სოფლიდან სხვა ხალხსაც და ატარებდნენ დროს ძალიან დიდხანს. ზოგიერთი დღეობა კვირიოკვირობამდე გრძელდებოდაო, ეს სადღეობო ადგილი სოფლიდან ერთი კილომეტრის მანძილით არის დაშორებული. ძველები იტყოდნენ, რომ თათრები იქ ისე ხმამაღლა მღეროდნენ ფანდურზე, რომ სოფელში ისმოდა მათი სიმღერაო.

დღეს კი იმ ადგილზე, რომელსაც „თათართ ჯვარათ“ ეძახიან, ერთი ნასახლარი ეტყობა, რომელშიც მაშინ თათრებს დარბასი ჰქონია. იქ შესანიშნავ დღეობას იხდიდნენო. თათრების ჩამომავლობიდან ორი კომლი კიდევ არის არხოტში სოფ. ახიელში და იმ თათართ ჯვარათ მიდამოებში მათ ისევ აქვთ მამაპაპისეული მამულები. მამაპაპის სალოცავის ლოცვა კი დავიწყებული აქვთ. ახლა ამ გვარის ხალხი მემკვიდრეობით ხუცესები არიან არხოტის ჯვარში (M[17], რვ. 60, გვ. 712—715).

7) თ ა ჯ ი ა თ ჯ ვ ა რ ა ნ ი. „სოფ. ახიელაში ერთ ნასახლარში იყვნენ დობილნი (ანუ „სალოცავნი“), სადაც მისვლას ან იქ ქვის სროლას ძალიან გვიშლიდნენ ბავშვებს. ხნიერი ქალები და დედები გვეტყოდნენ, რომ იქ ვინც ქვას ისვრის და ან დადის, იმას „დოყვი“ გასჩინდება ან დაიჯელთებაო (გაგიუდება). აქაც იცოდნენ სალოცავების მოლოცვა მუშით, აქ ბავშვებს უსუფთაობის გამო მუწუკი ადვილად აჩნდება და ამ მუწუკებს ყოველთვის ამისთანა წვრილმანს დობილებს აბრალებდნენ. ამ დობილს „თაჯიათ ჯვარათ“ ეძახიან, რადგან მის ახლო ცხოვრობდა ერთი ოჯახი „თაჯიანი“. თაჯიათ ამოწყვეტას ამ დობილთ აბრალებდნენ, რადგან ბოლო ხანს ამ ოჯახმა სახლი სხვაგან გადაიტანა დობილთ შიშით. ამის მერე შემთხვევით ამოწყდა მთელი ოჯახი. სახლის დაშლის შემდეგ იმ სალოცავისათვის ყურადღება არავის მიუქცევია, ყველას დაავიწყდა იგი და იქ ლოცვაც მოისპო. ახლა ამ ადგილზე კარტოფილი ითესება (M[17], რვ. 60, გვ. 715—716).

8) უ ფ ა ლ ა ნ ი — ბ ა ვ შ ვ ე ბ ი ს ს ა ლ ო ც ა ვ ი, არხოტში იცის მოცვი, რომელსაც იქაურად შალშავს ეძახიან. შალშავის დამწიფების შემდეგ მის მოსაკრეფად ბავშვები დაიარებიან. ამ მიზნით წასულებს იმ გზაზე ყავთ თავისი საკუთარი სალოცავი, რომელსაც „უფალათ“ ეძახიან. გზაზე აუცილებლად შეხვდებით წამოხრილ კლდეს და იგი იქნება უფალნი. გავლაზე ბავშვები იმ უფალათ შეეხვეწებიან: „დალოცვილნო უფალნო, ნუ დაგვიშლით დაწილულს (მოკრეფილს), ნუ დაგვიშლით (ნუ დაგვიბნევთ) შალშავსად, რომ გამოვივლით თქვენს წილს არ დაგყრით“. მერე წავლენ, შალშავით აავსებენ ჭურჭელს და იმავე გზით დაბრუნდებიან. თავის სალოცავთან რომ მივლენ, ამოიღებენ „კოფადან“ (კოფა ხის პატარა კასრია, რომელსაც ვედროს მაგიერ ხმარობენ) შალშავს, წაუსვამენ უფალათ კლდეს და იტყვიან: „ნუ დამიშლით უფალნო, კლოვაც კიდე მაგისომთა“. წასმული შალშავი კლდეს სულ შავ ფერად შეღებავს. ბავშვებს სწამთ, რომ თუ შალშავს არ წაუსვამენ

უფალთ, დაებნევათ. იქ სასიარულო გზა კლდეებზედ არის. ამიტომ ხშირ შემთხვევაში ბავშვი ფეხს რამეს წაკრავს, წაქცეული შალშაეს დაებნევს და ამას ღაბრალებს უფალათ (M[17], რვ. 60, გვ. 716—717).

6. კვირიწმიდის წყალშუის ჯვარი

სოფელი კვირიწმიდა ყოფილა ერთ-ერთი დიდი სოფელი არხოტის თემში. როგორც ამბობენ, კვირიწმიდაში ყოფილა ორმოცამდე კომლი... ამ ჯვარი ბორტვზე, ე. ი. ბორტვის ნაკვეთზე იყო ერთი საქვაბე აშენებული თავისი ლუღის დასამზადებელი ხელსაწყოებით. საქვაბეში ჰქონდათ ორი სალუდე ქვაბი და სხვა წვრილი ქვაბები, ლათბა, ჩხუტი, ჩამა და სხვა საჭირო ინვენტარი.

ერთ ადგილას იყო აშენებული დარბაზის მსგავსი ნაგებობა, რომელსაც ბეღელს ეძახდნენ. ეს შენობა მოყვანილი იყო თაღით, ბანი არ ჰქონდა და დიდი ხნის აშენებულობის გამო, გაბალახებული იყო, ამ ბეღელს ჰქონდა პატარა ჩასაძრომი კარები, შიგ ინახებოდა წყალშუის ჯვარის დროშა და ვერცხლის თასები. შიგ შესვლა შეეძლო მარტო წყალშუის ჯვარის მედროშავეს, სხვა ახლოსაც ვერავინ მივიდოდა ამ ბეღელთან (Os, X, 117—118). მიქიელ წყალშუისას ჰქონდა კავშირი არხოტის ჯვართან (მისი მოძმე იყო) და იმის ნებას ემორჩილებოდა, რადგან „არხოტის ჯვარი" დიდ სალოცავად ითვლებოდა, მთელი არხოტის სალოცავად მიქიელ წყალშუისა იყო ერთი სოფლის სალოცავი და ამ სოფელშიც მარტო ერთი გვარი ცხოვრობდა — გიგაურები. ეს უფრო ამცირებდა მიქიელ წყალშუის ჯვარის სახელს, რადგან ჯერ სათემო ჯვარი ითვლებოდა დიდად, მერე სასოფლო და მერე გვარის სალოცავი, რომელიც სიძლიერით მესამე საფეხურზე იდგა. თუმცა ერთიც მიქიელი იყო და მეორეც, მაგრამ როგორც ითქვა, ჯვარის სიძლიერეს ზომავდენ უფრო ყმათ რაოდენობით. ხალხი ამის მიხედვით გაარჩევდა მათ სახელს და ისე ილოცავდნენ მას. მიქიელ წყალშუისას უშუალოდ არ შეეძლო ხთის კარზე მისვლა რაიმე საქმისათვის. მას როგორც თავის უფროსისათვის, ისე უნდა მოეხსენებინა თავისი საქმე და სურვილი მიქიელისთვისა, ესე ივი არხოტის ჯვარისათვის და ის „წყალშუას მებურთვალს" ან თვითონ გაუშვებდა ხთის კარზე მოხსენებისათვის, ან თუ უნდოდა რამე საქმისათვის ხთის კარზე მისვლა, მაშინ მიქიელ წყალშუას მებურვალის საქმესაც დაივალებდა, მის მაგიერ მოახსენებდა და განაჩენს მოუტანდა.

წყალშუის ჯვარს ჰყავდნენ ლაშქარნი, დობილნი და სხვა დამხმარე ძალები. თუ საჭირო გახდებოდა, არხოტის ჯვარი თავის მწევართაც დაახმარებდა. როცა გაუჭირდებოდა წყალშუის ჯვარის ყმას სადმე რამე, მაშინ ის წყალშუის ჯვარს შეეხვეწებოდა „და შამაზძახნებდა". „დიდო წყალშუის ჯვარო, შენ მიშველე, დამეკმარი შენს შენს მოძმეს მიქიელს შამახვეწე, თავის მწევართ დამეკმარებიე". ამას წყალშუის ჯვარი მაშინვე გაიგებდა, მიქიელს მწევართ სთხოვდა, იგიც სასწრაფოდ დაახმარებდა მწევართ და იხსნიდა წყალშუას მებურთვალის ყმას გაჭირვებული მდგომარეობიდან. თუ მტერი დაეცა, ან ნადირობაში თუ მგზავრობაში რამე გაუჭირდა და მძიმე ფათერაკი დაუახლოვდა — ყველაფერი ზემოთქმული იმ შემთხვევაში ხდება.

მისი საკუთარი ლაშქარი კი შინაურ საქმეებს ასრულებენ, ყარაულობენ და იგებენ იმას, ვინ რას ფიქრობს, რას ლაპარაკობს, ან ვინ როგორც იქცევა და ყველაფერი ნახული და გაგონილიც თავის უფროსთან მიაქვთ. „მიქიელ წყალშუას მაბურთვალის“ ლაშქართ ციკანს უკლავდნენ და აშალს უშლიდნენ (M[20], რვ. 6, გვ. 68—70).

ამღიონთა და კალოთანელთა „სამხვეწრო“ წყალშუის ჯვარში, არხოტის თემში წყალშუის ჯვარში, ათენგენას იხდიან, „წყალთშუურის“ დღეობას. ამ ჯვარში მოჰქონდათ საქონლის „სამხვეწრო“ სოფელ ამღაში და სოფელ კალოთანაში მცხოვრებლებს, აგრეთვე კალოთანას მთებში ვისაც ცხვარი ჰყავდათ საძოვრად, იმ ცხვრის პატრონებსაც. ჯვარში ლუდს კალოთანლები ამზადებდნენ, დღეობაში მიჰქონდათ ქადები. ცხვრის პატრონებს საკლავებად მიჰყავდათ ცხვარი. კალოთანლები იმ ჯვარის ყმანი იყვნენ და თავის საქონს და ნაწველ-ნადღვებს თავის ჯვარს ახვეწებდნენ. იქ იხდიდნენ ნაწველ-ნადღვების ნათავარს და სამხვეწროს ცხვარ-ძროხისას. სოფელ ამღაში მცხოვრებლებს იმ გზით მიჰყავდათ ცხვარ-ძროხა სამთოდ, საზაფხულო საბალახოდ, რომელ მინდორშიაც წყალშუის ჯვარი იყო, რომ არ „შეეწყინა“, არ გაეთელა სხვა ჯვარის ყმის ცხვარ-ძროხას ამღიონთ საქონელი და რომ აქაურ ჯვარს გზა „აეხსნა ამღიონთ ცხვარ-ძროხისათვის“, ამ სოფელსაც მოჰქონდა მისთვის ქადები. რაკი იმ ჯვარის ადგილ-მამულში აძოვებდნენ საქონელს, სთხოვდნენ ჯვარს, რომ გზა ჰქონოდათ, „ახსნილი“ (თავისუფალი). ცხვრის პატრონები (მოსული არახევსურები, ფშავლები და გუდამაყრელები) იმ ჯვარის ადგილ-მამულში აძოვებდნენ ცხვარს და, რომ ის არ შემოსწყრომოდა, არ დაეზიანებინა ცხვრის ფარა მტრის ხელითა თუ მგლის პირით, ისინიც ხოცავდნენ ცხვრის სამხვეწროს.

„წყალთშუურის“ მასანთო ქადას მხოლოდ ერთს აცხობდნენ, ხავიწის გულიანს. ქადას პატარას გამოაცხობდნენ, ერთ „საკვირაოს“, ისიც ხავიწის გულიანი იყო და ერთ „სანთლის ფეხსაც“ გააყოლებდნენ. ქადის „მადიდების“ დროს ხუცესი იტყოდა: „დალოცვილო წმიდაო მიქელ წყალთშუისაო. შენ უშველი ყმათ და საქონს. შენ მიეც, დალოცვილო, გზა ჯსნილი. შენ გაუშვენი შენს გზაზე უვნებლად. დალოცვილო, ჯვარი დაუწერი საქონელს, საქონის ნაწველს და კაცთაცო“ (M[7]).

7. კალოთანის სანების ჯვარი

სანების ჯვარი (ტაბ. 94) დაარსებულა პირველად მაღალ მთაზე. ამ მთას ეწოდება ცროლისწვერი. ამ მთაზე დაუწყიათ ლოცვა ხადუელებს და კალოთანლებს. ზამთარში აქ სიარული გაძნელებულა, რადგან მაღალი მთა არის და თოვლი და ბუქი იცის. მერე ხადუელებს ნიში გაუკეთებიათ და ზამთარში სოფლის გვერდზე დაუწყიათ ლოცვა. სანების ჯვარს ჰყოლია ერთი მკადრე და მეენე, ე. ი. მკითხავი და ის კაცი, რომელსაც ხელზე მოუდიოდა ჯვარი. ამ კაცს სანებამ უბრძანა. დასტურები და შენ ჩემის დროშით წამოდით და ღილღო დაგბეგროთო. ააბეს სანების დროშა და გაუძღვნენ, ჩავიდნენ ღილღოს სოფელ ხამხაში. იქ ქისტებმა ანუ ღილღველებმა დაცინვა დაუწყეს. სანების ჯვარმა ისეთი სასწაულები მოახდინა, რომ ღილღვლები დაიმორჩილა

მოიყვანეს საკლავები და თავის მკადრეს ხელზე მოუვიდა ჯვარი. მკადრეს ხელსახოცი ჰქონდა ხელზე გადაფარებული და სანება ტრედის სახით ზედ დაჯდა.

ქისტები წამოიშალნენ და დაჭერა მოუნდომეს, მაგრამ მტრედის სახე თვალიდან გაუქრათ. გამოითხოვა დასტურ-მკადრეებიც და დაბრუნდა თავის საბძანებელში. მკადრემ იცოდა, რომ წინ მოუძღვებოდა, მაგრამ თვალით კი ვეღარც ის ხედავდა. იქიდან წამოსულმა „კოჭი მოიკიდა" (კოჭის მოკიდება ჰქვიან დაჯდომას, დასვენებას) ს. კალოთანში. თანამყოლებმაც დაინახეს, რომ ის იქ ტრედის სახით იჯდა. იმ ადგილზე სანების ჯვარის ნიშია აშენებული და კალოთანლები იმას შემდეგ აქ ილოცავენ. იქიდან წასულმა კალოთანლების საზაფხულო სამთოში, სახელდობრ შიტუში მოიკიდა კოჭი და აქაც ააშენეს ერთი კოშკი. აქ რადგან სოფელი არ არის, ილოცავდნენ ზაფხულში, ათენგენას. . აქედან წასული მივიდა ცროლს, თავის საბრძანებელში. აქ იმას ჰქონდა ძველისძველი დაჩემებული მაღალი ადგილი და იქ დაბრძანდა. ეხლა კალოთანის, ხადუს, შიტუს და ცროლის სანებებს ერთმანეთთან დიდი კავშირი აქვთ, ერთიმეორის მოძმეები არიან, გაჭირვების დროს ერთიმეორეს ეხმარებიან, ახმარებენ ლაშქართ და დობილთ. მთავარი არის ცროლის სანება და იქ იციან დღეობა ათენგენა, მკათათვის ცამეტში ძველის ანგარიშით. კალოთანლებმა, მანამ ქისტებს დახოცავდნენ და ადგილიდან აიყრებოდნენ, იცოდნენ სანების ჯვარში ორი დასტური. დასტური იცვლებოდა გიორგობას და, როგორც სხვა ჯვარების დასტურები, ისინიც ასეთივე წესით იქცეოდნენ. ადუღებდნენ ლუდს. კალოთანელების ლუდი და პურ-მარილი სახელგანთქმული იყო. აქვე სრულდებოდა წლიური ყველა დღეობა. ძალიან მორწმუნე ხალხი იყო კალოთანას და კარგადაც მიუდიოდათ საქმე, მაგრამ ბოლოს ძმები— კვირიკა და გიორგი გამოვიდნენ ურწმუნონი. გიორგიმ და კვირიკამ დაიწყეს ქურდობა, დაიწყეს საქრისტიანოშიც და ურჯულოშიც ღალატი. სანებაც გაუკუღმართდა და ხალხს ასაყრელად გაუხადა საქმე.

ამათ გადასახლების შემდეგ სოფელი კალოთანაც და მისი ადგილ-მამულიც უპატრონოდ დარჩა, მათგან დახოცილი ღილღველების მეპატრონეებმა მოითხოვეს ამ ადგილისათვის დაპატრონება, რადგან მთაში ასეთი წესი იყო, რომ თუ მკვლელი გადაიხიზნებოდა ისეთ ადგილას, რომ მოკლულის პატრონები ვეღარ მოკლავდნენ, მაშინ სისხლში მის ადგილს დაეპატრონებოდნენ. ამ ადგილის მიცემაზე უარი უთხრეს სოფელ ამღის მცხოვრებლებმა და ახლა ამათ მოუხდათ მტრობა.

დიდის ბრძოლით ადგილი მაინც ამღიონთ დაიჭირეს, არ დაანებეს ღილღვლებს. კალოთანელნ რომ აიყარნეს, სანების ჯვარის თას-განძიც თან წაიღეს. სანების ჯვარის საზარეზეით ერთნ ქვან წაიღნესად მიწა წაიღეს. ასხაბარში ერთს არჩეულს ალაგში ჩაყარეს მიწაიდ' ზედ კოშკ ააშენესად' საზარეზეით წაღებულნ ქვანიც კოშკზე შახსნეს. ზარ აქეით არ წაიღეს, იქავ ას კალოთანას. იქ კი ახალ ზარ იყიდესა, შახკიდეს. დროშანიც იქ წაიღნესად ყველა დღეობებს იქ ჩადიან. იქ ხყავ დასტურ-ჯელოსნებიცად მედროშაეიც. აიმავ სახით ილოცვენ სანების ჯვარს, როგორც აქ, ძალაიც აისივ აქვ, მაგრამ მასვლას მაინც უხედავს წელში ერთხან, ან ცროლს მავლენ სალოცავად ან კალოთანას, თუ ორკანავ ვერ მავიდეეს.

სანებას შაუძლავ უბედურისად ბედის მიცემა. თუ ბედ არ აქვ კაცს (ე. ი. ვაჟიშვილი თუ არ ეყოლა), მაშინ უნდა წაიყვანას ერთ ღირეულ საკლავიდ წავიდას ცროლს. თუ გულით შასთხოვ ბედი, ვაჟ გაუჩინდების. ბევრი ას ჯვარისგან მიცემულ ბედი. წინათ იცოდნენ: სანებაივ ხთის მესამედი ასავ. ღაილოცას ნაგის ძალი" (M[17], რვ. 6, გვ. 6—8, რვ. 7, გვ. 11, 14, 15, 18).

კალოთანას სამების ჯვარის დობილნი და ლაშქარნი, სანებას ხყვანდეს დობილნიდ ლაშქარნი. დობილთ წასვლა არცად შაეძლიყვ თავის ალაგის იქით, რადგან ცო-ცოტავების ყმაწვილების სახით იყვნეს. ლაშქართ ომში შასვლაიც შაეძლიყვ, ყმათად ჯელის მიმართვაი. სანების ლაშქარნი მშვილდ-ისრიანნ იყვნეს — ამბობს კუკუა ცისკარაული: ერთხან მე ვიყავ გართულიდ, მაშინ ვხედავდი დობილთ. რქის მშვილდ-ისრები ხქონდად' მშვილდის გოზაები. თვალთ არ იყრიდ ისრ მდღვინევდ. ისარს. ისრევდეს ცისკესაც. ცაშიით თოვლის ბურკვა (თოვლის გუნდა) ჩამოდიოდ. ვისაც თოვლის ბურკვა დაეცემოდ, ის გაჯდებოდ აოდ. თუ სანების ჯვარ უბძანებდ, იქავ უშველდეს აოდ გაჯდილსად თუ არა, ქვე მაკვდებოდ.

8. გიორგი კარისმეზობლის ჯვარი, სოფ. ჭიმღა

ამჟამად ნანგრევებადაა ქცეული. ჩანს ეს ნაგებობა ორი ნაწილისაგან ყოფილა შემდგარი. იგი მთის ფერდობზეა აგებული სიპი ქვებისაგან (ტაბ. 95—96).

9. გიგაურების ჯვარი, ახალაურთ კლდე, სოფ. ჭიმღა

გიორგი კარის მეზობლის ზემოთ, მის მარცხენა მხარეს, მთის მაღალ ფერდობზე არის პატარა კლდე, რომლის გლუვი ზედაპირი ხავსისებური მცენარითა და ბალახითაა ალაგ-ალაგ დაფარული.

კლდის ძირას ცოტა ნაშალი ქვები ყრია, მას ახალაურთ კლდეს ეძახიან, რომელიც გიგაურების სალოცავი ყოფილა.

10. ჭიშველის ჯვარი, სოფ. ჭიმღა

აგებულია სოფლის თავში, ფერდობზე. იგი სიპი ქვისაგან ნაგები ხატია, რომლის პირველი ნაწილი დარბაზზე მიშენებულ თაღისებურად ამოყვანილ საზარეს უკავია. საზარეში ჯაჭვით ზარია ჩამოკიდებული, რომელიც გახვრეტილ ქვაზეა ჩამობმული და დამაგრებული. ზარს გამობმული აქვს წვრილი თეთრი ნაჭერი. საზარე გადახურულია სიპებით, რომლის ზემოთ კლდისა და „თეთრი ბროლის" ქვებია დაწყობილი.

დარბაზი თითქმის დანგრეულია. შედარებით უკეთაა შენახული დარბაზის დასავლეთ ნაწილი, რომელიც ხის ტიხრითაა გადაკედლილი. ტიხრის ფიცრები სპირალისებური და ტეხილი ორნამენტებითაა დაჭრელებული. გადაკედლილ სათავსოს აქვს შესასვლელი, რომლის თავზე თაღისებური კარის თავია გაკეთებული, ხოლო კარი არ ჩანს. მის წინ დარბაზის სამხრე-

თით ქვის სკამია მოთავსებული, ხოლო იქვე გაკეთებულია სიპი, ალბათ რიტუალური კვერების დასაწყობად. დარბაზს აღმოსავლეთის კედელზე ორი სასანთლე აქვს.

ს ა ქ ვ ა ბ ე ისევეა გადახურული, როგორც სხვა ხატების ბანიანი სახურავები. ეს კარგად ჩანს ბანის იმ პატარა მონაკვეთიდან, რომელიც დარჩენილია და რომლის ერთ ადგილას საკვამურია გაკეთებული.

საქვაბე მოგრძო ნაგებობაა, დასავლეთის ერთი კუთხე მას წაგრძელებული აქვს. დარბაზსა და საქვაბეს შორის კედელი ჩაქცეული უნდა იყოს. საქვაბეში სამხრეთის კედელთან დგას ხის დიდი ლათბა. ხის ჭურჭელი (ალბათ ჩხუტი) და პატარა სახელურიანი ჭურჭელი ხისა. ლათბის ძაღლა სისწვენთ საწურავი ჯოხი და სალუდე ტომრების ჩამოსაკიდებელი ხეებია.

საქვაბეს ხის კარები აქვს. ფიქალისაგან აგებულ კედელზე კარისათვის ხისავე თავხეა გადებული, იქვე ყრია ჭერის ხეები, კეზი და სხვ. საქვაბის ჟვერდზე მესამე ნაგებობაა, რომლის მხოლოდ კედლებიღაა დარჩენილი. აქ ქვის კერა და პირქვე დამხობილი სალუდე ქვაბია მოთავსებული.

• 11. მიქიელ კარისმეზობელი

მდებარეობს ჭიშველის ჯვარის ცოტა ქვემოთ და მის გასწვრივ, დაბალი, სიპისაგან ნაგები შენობაა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: დ ა რ ბ ა ზ ი და ს ა ქ ვ ა ბ ე.

დ ა რ ბ ა ზ ი მოგრძო ფორმის ნაგებობაა, პირით აღმოსავლეთით, ჩაქცეულია და ნახევრად დახურული მისი დასავლეთის მხარე ხის ტიხარით ყოფილა გადაკედლილი, ამჟამად თითქმის დანგრეულია. ტიხარის შემორჩენილი ნაწილი სამი ფიცრისაგან შედგება. პირველი ფიცარი სადაა, მასზე დაყრდნობილ-დაგებულ მეორე ფიცარზე გამოსახულია ბუღაურები. ამ ფიცრის თავი სპირალისებური ორნამენტით ბოლოვდება, რომელიც ჩაჭრითაა შესრულებული. მესამე ფიცარი ასეთივე ორნამენტით დაგებულია მეორეზე, აქვე ყრია ტიხრის სხვა ფიცრები. ერთ ფიცარზე ამოკვეთილია ორი წრებუღაური, რომელიც განსხვავდება სხვა ასეთივე ორნამენტისაგან. იქვე დგას ფეხმოტეხილი ტაბლა. ხეზე ჩამობმულია ჯაჭვის საკიდელი და ქვემოთ სიპი ქვით გაკეთებული კერაა.

დარბაზის სამხრეთის კედელთან მოთავსებულია დიდი სიპის სკამი. ხის ტიხრის კედელთან მაღლა შენობის ჭერზე მიმაგრებულია ჯიხვის და ირმის რქები. ასეთივე რქები კედელზე რამდენიმე ადგილზეა ჩამაგრებული.

ჩრდილოეთის კედელზე ქვის თაროა გაკეთებული, რომელზედაც სპილენძის თასი დევს. ამავე კედელთან ვიწრო ქვის სკამია და ზედ თასები აწყვია. ხის ტიხრის წინა ნაწილი სიპი ქვითაა ამაღლებული (ასევეა ჭიშველის ჯვარში), აქვეა ტაბლა, რომელზედაც ბრტყელპირიანი ფიალა დევს.

სამხრეთის კედლის ქვის სკამზე სპილენძის ქვაბია გადმოპირქვავებული, იქვე კედელზე ქვებს შორის რამდენიმე ჯოხია მოთავსებული. კერის გასწვრივ სასანთლე და საბოლე საკვამია.

მეორე ოთახი ალბათ საქვაბეა, მთლიანად დიყითა და ჯინჭრითაა ავსებული. მოჩანს ერთის ჭერის ხე.

ჭ ი შ ვ ე ლ ი ს ჯ ვ ა რ ი მ თ ა ზ ე, ყორით ნაგები ნიშია, რომელზედაც 4 სიპია მოთავსებული, სიპს ზემოთ 5 „ბროლის ქვა“ დევს. ყორე მთლიანია, რომლის სამხრეთი ნაწილი ჩამონგრეულია.

12. რკენისჯვარი (პეტრე ნაღვრისპირისაი) ზეზეხატი, სოფ. ამღა

(მთხრობელი მაისტელი წიკლაური)

საზღვრები: ჯვართ რუს ზემოთ ფიჭვნარი რუმდე (სამხრეთიდან), ჩრდილოეთით ჯვართ რუს ზემოთ ბილიკი.

ჯვარს ჩრდ.-აღმ. მხარეზე „ჩამოუდის საჯარე“. კომპლექსში შედის: 1. დარბაზი || ბეღელი საკოდით; 2. დარბაზის კარი ქვით მოწყობილი ნიშიანი საჯდომებით; 3. ძველი ჩაქცეული საქვაბე, ამჟამად ხოგაის მინდის ნასახლარში. ადრე ლუდი აქ დუღდა სამივე ჯვარისათვის; 4. გორაზე ფიჭვის ტყე; 5. გალავანი ჩრდილოეთის მხრიდან; 6. სადროშე კოშკი; 7. ზეთუკას მთაზე პეტრეს ჯვარის ნიში; 8. კვრივი.

დ ა რ ბ ა ზ ი||ბ ე ღ ე ლ ი (ტაბ. 97—98). შესასვლელი ხის კარი ჩრდ.-აღმ. მხარეზეა, ხისავე საკეტით. დარბაზი გარედან ორფერდა სიპერდებიანი სახურავით არის გადახურული. ფასადზე კარის თავზე ორი „კამალაა“ ზარებისა და რქების დასაწყობად. კამალას თავზე ზარია წარწერით (1801 წ. თარიღიანი): „ქ. ესე ზარი შევწირეთ სამწყალობელთა ჩვენ ქარჩანი შვილნი ბაფრამ მეორე ძმა უთურგიამ და იმათი ბიძაშვილები ჭრელია და ბეწუნა ამ ნიშნითა რომ რუსი დაამარცხა ომარ ხანს და მრავალი ლეკი დაიხოცა და ჩვენი უფროსი ძმა ელგუჯანი იქ მოკვდა ქ კს უპთ“.

კამალზე აწყვია შუბი, ზარი, რქა, სპილენძის თასი. დარბაზის იატაკი სულ ქვებით არს გაწყობილი. სამხრეთ კედელთან დგას სამგანყოფილებიანი ხის თარო „თარო“ საგანძე-დ წოდებული, მასზე დევს სამი სპილენძის თასი, ჯიხვის ყანწი, ქაფქირი „ჭიჭიკის“, სპილენძის კოში, ძველი დაბალი სპილენძის თასი, რომლის ძირი წარმოადგენს წერტილებით შექმნილ ჯვრის გამოსახულებას — მისი გვერდები ორნამენტირებულია. ესაა „საინი სასისხლე“ (საკლავის დაკვლის შემდეგ სადროშე კოშკთან სცოდნიათ მისი სისხლის მიტანა). „საგანძე“ თაროს ზემოთ კედელში პატარა ნიშია, შიგ რკინის ყუთია ჩადგმული. აღმოსავლეთის კედელშიც ასევე პატარა ნიშია, შიგ სპილენძის თასია და ხის „სამარილე“ ტარიანი, რომელსაც დასახურიც უნდა ჰქონოდა. შუა ადგილას ყვერფია გამართული და ზედ ჯაჭვია ჩამოკიდებული. აქვე დგას მრგვალი ხის სამფეხა ტაბლა.

სამხრეთის კედელზე, რომელიც საკოდის ჩრდილოეთის კედელს წარმოადგენს, ხის მორზე უამრავი ჯიხვის რქებია გაწყობილი, საკოდეში შესასვლელი, დარბაზის შესასვლელის მსგავსად, ზემო ნაწილში თაღისებური ფორმისაა, ოღონდ ერთი საფეხურით ამაღლებულია დარბაზის იატაკიდან. აქაა 5 დიდი ხის კოდი, 3 ქვაბი სპილენძისა, სამფეხა მოხატული ტაბლა სპილენძისა თევზების გამოსახულებით. კოდზე დგას ორი ხის სკივრი სამკადრეებითა და ფულით (ქაღალდისა და ვერცხლის), ვერცხლის ყაწიმებით. მეორე ყუთში კი სანთლის ნაჭრებია ჩაყრილი. დარბასის ჭერში გარჭობილია სამი დროშის ტარი ხისა; I—1, 74 მ; II—1, 75 მ; III—1,50 მ სიგრძისა.

დარბაზს ჩრდ.-დას. მხრიდან მიდგმული აქვს „დროშათ საბძანებელი“ კოშკი, რომლის ფასადზე გამოწეულ სიპზე სამი ნახვრეტია დროშის ტარების ჩასადგმელად. დარბაზის ჩრდ.-აღმ. მხრიდან პატარა კვრივია ჯიხვის რქებით.

საქვაბე (ტაბ. 97) მდებარეობს დარბაზის ჩრდ.-დას. მთის დაქანებაზე და მთლიანად ჩაქცეულია. შესასვლელი კარი ჩრდილოეთის მხრიდან აქვს. დასავლეთის კედლის გასწვრივ დგას დამტვრეული ხის ლათბა „ლუდის საწურავი“. აღმოსავლეთის კედელში 2 შუკუმია დატანებული, სამხ.-აღმ. კუთხეში „ქვაბების დასადგმელი ადგილია“ და „საცეცხლე“ ლათბა ძალიან დიდი ზომისა, ამბობენ რომ აქ ჯვარშია მოჭრილი, ნახევარი ამ ხისა ახიელაში წაუღიათ და იქაც ლათბად დაუდგამთ, მთავარანგელოზის ჯვარში (ზომა — 5,73×0,55 მ).

მიხეილ გეგეშიძის ნახატებზე[8] ჯვარის ნაგებობანი ნაჩვენებია სხვადასხვა ხერით — მთავარი ფასადი, გვერდხედი, ჭრილები; ნაჩვენებია მათი შიდა და გარემოწყობილობა, არსებითი დეტალები და შემკულობა, ინვენტარი, მათი ზომები და სახელწოდებანი. ასე შესრულებული ნახატები შესაძლებელს ხდის წარმოვიდგინოთ თვით ძეგლთა შემდეგი აღწერილობა: პეტრე ნაღვრისპირის (პეტრე მოციქულის) ანუ რკენის ჯვარის.

ბეღელი ანუ დარბაზი მოგრძო ოთხკუთხედი ფორმის ყორით ნაგები შენობაა ათსიპერდიანი ორფერდა სახურავით და ფასადის ცენტრალურ (აწვერილ) ნაწილში (უთაოდ) 5; აქედან ყორის სახურავის დაახლოებით სიმაღლე 1,81—2,20, როგორც ჩვენ ამას სიპერდსა და სიპერდს შორის მანძილის, ნახატზე აღბეჭდილი, ზომების დაჯამების შედეგად ვადგენთ და, მეორე მხრივ, ბეღლის უკანა ხედის ნახატზე მიწერილი სახურავის სიმაღლის ციფრიდან (2,20) ირკვევა. „ბეღლის თავის სიმაღლე 45 სმ, განი 40 სმ. შენობის მთავარი ფასადი ნაწილობრივ, მარცხენა კედელი მცირე ნაწილის გამოკლებით და მთლიანად უკანა კედელი მისი გადახურვის ნაწილად ქცევამდე (ე. ი. ვიდრე იგი ორივ მხრივ დავიწროვდებოდეს „ბეღლის თავისაკენ“ და საბძლურ ფორმას მიიღებდეს. ორფერდასიპერდიანი სახურავის საყრდენად) მიწით არის დაფარული.

მთავარი ფასადის კედელში შუა ადგილას გაჭრილია ბეღელში შესასვლელი ღიობი, ნახევრად ოვალური და თავში ცენტრისაკენ ოდნავ წაწვერილი მოყვანილობის ხის ჩარჩოთი და კარებით, რომლის სიმაღლე 1,40, განი 78 სმ. ამავე კედელში, ყველაზე მაღლა სიპერდის ქვეშ, რომელიც სახურავს კეტავს და რომელზეც „ბეღლის თავი“ არის აგებული, დატახებულია ოთხკუთხა ფორმის „ საზარე“ — ზარით. კარსა და საზარეს შუა, კედლის

---

8 ქართლის I კომპლექსურ ეთნოგრაფიულ ექსპედიციას დუშეთში 1947 წლის იელისის მეორე ნახევარში გამოეყო მოკლევადიანი სამუშაო რაზმი მიხ. გეგეშიძის, თ. ოჩიაურის, აკ. კაცაძისა, ნ. ბრაილაშვილისა და ჩემი შემადგენლობით. იგი გავმგზავრა პირიქით ხევსურეთში და იქ დაესწრო და დაწვრილებით აღწერა საპელოში ჩადგომის არხოტული წესი.

ამ სამუშაოს გარდა, მიხეილ კირილეს ძე გეგეშიძემ იელისის 20—29 რიცხვებში შეასრულა არხოტის ორი სოფლის ახიელისა და ამღის ჯვარების ნაგებობათა სქემატური ნახატები, რომლებსაც დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან მათზე აღბეჭდილი საკულტო ძეგლები ამჟამად ძალზე დაზიანებულია და ნაწილობრივ ჩაქცეული, როგორც ამას წლევანდელი ხევსურეთის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები და არქიტექტურული ანაზომ-ჩანახატები გვიჩვენებენ.

ცენტრალურ ადგილას, ერთმანეთის პარალელურად გამაგრებულია „კამალა“ ორი სიპერდით. ამ კამალაზე, ბეღლის თავზე, უკანასკნელის საფუძვლად გამოყენებულ სიპერდზე გაწყობილი და უშუალოდ თვით კედელში დამაგრებული ჯიხვის რქები, სულ 8 ცალი. შიდა ხედის (ჭრილის) მიხედვით „დარბაზის („ბეღლის“) ჭერი სახურავის შიგნითა ნაწილს შეადგენს. მთავარი ფასადის მოპირდაპირე კედელში საკოდის კარია დატანებული, თავგადაჭრილი კონუსის ფორმის, რომლითაც საკოდეში გადიხართ. ამ კარის მახლობლად, მარჯვენა კედელთან დგას „საგანძე“ — კარადა, ამავე კედლის გასწვრივ „ხუცესის||ჯელოსნის სკამია“, ხოლო მარცხენა კედლის მთელ სიგანეზე „სადასტურო სკამი“ და ამ ორ სკამს შუა, დარბაზის ცენტრში გამართულია ყვერფნი.

ს ა კ ო დ ე პატარა მოგრძო შენობაა ცალფად დახრილი სახურავითა და ჭერით. საკოდეში ოთხი კოდი დგას.

ბეღლის მთავარი ფასადის წინ (ბ ე ღ ლ ი ს კ ა რ ზ ე), ბეღელში შესასვლელი კარის მარცხენა ნახევართან, სადაც მიწაყრილი იწყება, გამართულია „სკამი“. ამ „სკამის“ პირდაპირ, ბეღლის კარის მარჯვენა მხარეს „საგანძე სიპია“ სიგრძით 1,85 მ, განით 89 სმ. ქვებზე შეყენებული. „სკამისა“ და „საგანძე სიპისა“-გან ერთნაირად ახლო, როგორც ჩანს, ბეღლის კარის ნაპირას მდებარეობს ოვალური ფორმის „სასაკლავე“.

ბეღლის უკან ორი წიწვოვანი ხე დგას (შესაძლებელია აქ „კვრივი“ იყოს), ხოლო მარჯვენა გვერდზე, ორად განტოტებული არყის ხის ქვეშ „დროშის საბძანია“ — ყორისგან ყრუდ ნაგები კოშკი, სიმაღლით 99 სმ, განით 80 სმ, ფასადის მხარეს აქვს სიპერდის კამალა სამი ნაჩვრეტით, რომლებშიც 3 დროშის ტარი მაგრდება — ნახატზე მოცემული წარწერის თანახმად, „მგზავრი“, „მემთე“ და „მკვიდრი“ დროშებისა.

ს ა ქ ვ ა ბ ე მოგრძო ოთხკუთხედი ფორმის ბანიანი შენობაა სიგრძე-სიგანით 6×7,5 მ; კარის ჩარჩო (სიმაღლით 1,80, სიგრძით 98 სმ) დატანებულია მარჯვენა კედლის მახლობლად. საქვაბის შუა ნაწილში მწკრივად აღმართულ ორ ბოძზე გადებულია „კეზი“ და კეზსა და მოპირდაპირე ორი კედლის თავზე „ჭერებია“ გაწყობილი. მარჯვენა კედლის გასწვრივ დგას ლათბა, მის მოპირდაპირე კედელთან ორი კოდია, ხოლო მესამე მომიჯნავე კედელთან გამართულია გვერდითი ამაღლებებით ქვისაგან ცეცხლის საგზები, რომლებზეც შედგმულია სალუდე თუ საარაყე ქვაბები.

„საჯარია“ — მდებარეობს „საქვაბის დასავლეთით. ნაგები ყოფილა ყორით“. მისი ფართობია 7,60 მ×5,0 მ. შესასვლელი დასავლეთით აქვს, ხოლო სამხრეთ კედელთან „საუფროსო სკამია“.

იქვე, 20 მეტრზე მეორე საჯარიაა, ზომით 8,30 მ×5,60 მ. მასაც შესასვლელი აქვს დასავლეთიდან, ხოლო სამხრეთ კედელთან „სკამია“.

13. სვეტისანგელოზის ||იაკსარ სვეტადჩამოსულის ჯვარი, სოფ. ამღა

იაკსრის ჯვარი, მოიცავს შემდეგ ნაგებობებს: 1. საზარე, 2. დარბაზი|| ბეღელი; 3. პატარა სადროშე კოშკი, ორი გალავანი (ტაბ. 99—100)).

ჯვარი შემოფარგლულია ქვის ყორით, ფასადი ჯვარისა სოფლის გზას უყურებს, სადაც მას ორი გალავანი აქვს, პირველი (შორეული) გალავნის

გადმოლახვა ქალებს ეკრძალებათ, ხოლო მეორესი (ახლო) მამაკაცებს. ჯვარში შედის: პატარა საზარე კოშკი, დარბაზი, პატარა სადროშე კოშკი.

დარბაზი პირით — ფასადით, დგას ჩრდ.-დას. შვიდსიპერდიანია. სახურავზე სიპერდებს ზევით სიპებითაა გადახურული და ზევიდან მთელს მის სიგრძეზე მთის ბროლის დიდი ქვები აწყვია.

გარედან დარბაზს კარის თავზე კამალა აქვს დაყოლებული, რომელზეც აწყვია მარჯვნიდან (ჩრდ.). მარცხნივ ჯერ შვიდი ერთად შეკრული ზარაკი, შემდეგ ორი და, ბოლოს ერთი ზარაკი. აქვეა ერთი დიდი ყანწი. ზემოთ მეექვსე სიპერდიდან მერვეს ჩათვლით დიდი ნიშია კედელში, სადაც კიდია დიდი ზარი (რუსული წარწერით) ფასადის მხარეს, სამი წყვილი ჯიხვის რქაა კედელში ჩატანებული.

დარბაზი პატარა მოცულობისაა, შიგნით იგი გაყოფილია თაღოვანი კედლით ორად. წინა ნაწილში ჭერში სამი უბრალო დროშის ტარია კედელსა და კოჭს შორის დადებული. იატაკზე მობნეულია ორი დიდი სპილენძის დაჭრელებული სინი, ასეთივე სამფეხა ორი ტაბლა, ჩრდილოეთის კედელთან 2, ხოლო სამხრეთის კედელთან ერთი დიდი ხის ტაგრუცია შესაწირავებით. შეწირულებანი უმთავრესად ვერცხლის ქამრის ნაჭრებს და ფულის ნიშნებს წარმოადგენენ. ჩრდილოეთის კედელთან აწყვია სამი საარყე ქვაბი და ორი ჩხუტი. ამავე კედელში ორი პატარა შუკუმია და თვითეულში ოთხ-ოთხი პატარა ზარაკია.

დარბაზის მეორე ნაწილში ჩრდილოეთის კედელთან ალაგია ერთი თუნგი, ორი საარყე ქვაბი, სამი სპილენძის მაღალი სურა დაჭრელებული (ალბათ ჩრდილოკავკასიური), ოთხი სპილენძის თასი და რკინის შუბის პირი. სამხრეთის კედელთან ორი სიპის თაროა, ერთიმეორის თავზე, ცარიელი. იქვე კედელში ორი შუკუნია ისიც ცარიელი.

ფასადის მხრიდან დარბაზს წინ უდგას სიპერდებიანი ს ა ზ ა რ ე კ ო შ კ ი ჯიხვის რქებითა და ზარით. ჯიხვის რქები აწყვია კამალაზეც, რომელიც ზარს ზემოთაა. ზარს წარწერა აქვს შემდეგი შინაარსის: „ქ. ლაღი იაღსარი შემოგწირე ზარი არხოტიონმა მოკლიამ ხუმათ უფროსმა ახალა ერთზედ დამდგარმან შენ მოგვეც შენი საუკუნო მოწყალება და ჩვენს მტერზედ დამჯობინება ჩყიკა“ (1831 წ.). ჯვარში, გალავნის შიგნით, ჯვარიდან ჩრდილოეთით საზარე კოშკის უკან სადროშე ნიშია.

ბ ე ღ ე ლ ი ერთ მეტრამდის სწორკუთხოვანი, შემდეგ საბძლურად აყვანილი მშრალკედლიანი სახლი ორფერდა სახურავით. სახურავის ორივე ფერდი 8—8 სიპერდითაა დაკიბული. მარცხენა ფერდის სიპერდებს შორის კედლის წყობის სიმაღლეა (ქვემოდან ზემოთ). 20 სმ, 25 სმ, 20 სმ, 20 სმ, 30 სმ, 30 სმ, 30 სმ, 20 სმ, ხოლო მთლიანად ბეღლის საერთო სიმაღლე 4,5. კარი დატანებულია მთავარი ფასადის მხარეს. აქ კარიბჭედ ორი დიდი ქვაა, ერთმანეთზე მიწყობილი თავისკენ წაწვეტილი ნაწილით, რომელიც მიღებულია ამ ქვების შიგნითა, ერთმანეთის მოპირისპირო ნაპირის ცერად ჩაჭრის შედეგად, კარიბჭის ზემოთ კამალაა, რომელზეც წვრილი ნივთები (ალბათ ზარაკები) ალაგია. ბეღლის თავზე ჯიხვის რქა დევს. თავის მახლობლად, ფასადის კედელში გაჭრილია ოთხკუთხა ფორმის საზარე და შიგ ზარია ჩამოკიდებული.

ბეღლის წინ, მარჯვენა მხარეს საზარე კოშკია — „საბძლურად აყვანილი, მშრალკედლიანი ნაგებობა“, ორ მხარეზე დაბკილული წიბურებით და შიგ დაკიდებული ზარით, საზარის საერთო სიმაღლე 3 მ.

მიხ. გეგეშიძის ჩანაწერით[9], ამავე ჯვარს ეკუთვნის „დ რ ო შ ა თ ს ა ბ რ ძ ა ნ ი ს ი“ — „კვადრატული, მშრალი ნაგებობა, გულამოვსებული“ ამ ნაგებობის ნახატი მ. გეგეშიძის აღწერილობაში არ არის.

იაკსარ სვეტად ჩამოსულის ჯვარის აღწერილობა შევასრულე 1963 წლის 29 სექტემბერს მ. გეგეშიძის მიერ 1947 წლის 27 ივლისს შესრულებული სქემატური ნახატებისა და თან დართული განმარტებების მიხედვით:

„ბ ე ღ ე ლ ი ერთ მეტრამდის სწორკუთხოვანი, შემდეგ საბრძლურად აყვანილი მშრალკედლიანი სახლი“ ორფერდასიპერდიანი სახურავით. ბეღლის მთავარი ფასადის მარჯვენა მხარეს 6 სიპერდია, მარცხენა მხარეს 5. მარჯვენა მხარეს სიპერდების სიგრძეა (ქვემოდან ზემოთ: 4,40; 4,40; 4,05;4, 350. მარცხენა მხარეს სიპერდებს შორის აყვანილი კედლის წყობის სიმაღლეებია (ქვემოდან ზემოთ): 30 სმ, 15 სმ, 20 სმ, 25 სმ. ამგვარად მიღებულ ორფერდა სახურავს კრავს მასზე დაფენილი ბრტყელი ფიქალი („სიპერდი“), რომელზეც „ბეღლის თავი“ არის აღმართული. მთავარი ფასადის კედელში დატანებულია კარი, სიმაღლით 1,10, განით ზღურბლთან 70 სმ. მას კარიბჭედ გრძელი ოთხკუთხედი ფორმის დიდი ქვა ადგია. ამავე კედელში, ბეღლის თავის ქვეშ ოთხკუთხა მოყვანილობის საზარეა („ბეღლის საზარე“) ზარით. კარსა და საზარეს შუა კედლის ცენტრალურ ადგილას „კამალაა“. ფასადი შემკულია ჯიხვის რქებით, რომლებიც დამაგრებული არიან კამალას ზემოთ და ქვემოთ კედლის სიგრძეზე. ბეღლის შიდა ხედის ნახატის (ჭრილის) მიხედვით მისი ჭერი სახურავს იმეორებს. შიგ (ბეღელში) იყო დროშის ტარები[10].

ბეღლის ფასადის მახლობლად, მის მარცხენა მხარეს „ს ა გ ა ნ ძ ე ს ი პ ი ა“ ზომით 1,5×60 სმ. იმავე მხარეს, საგანძე სიპის უკან „ა ხ ლ ო დ რ ო შ ა თ ს ა ბ რ ძ ა ნ ი ს ი ა“ კვადრატული მშრალი და გულამოვსებული ნაგებობა „თავზე ჯიხვის რქებით გაწყობილი“ (ტაბ. 101). ასეთივე მოყვანილობის, მაგრამ „ძ ვ ე ლ ი დ რ ო შ ა თ ს ა ბ ძ ა ნ ი ს ი“ მოთავსებულია ბეღლის მარჯვენა მხარეს.

---

9 27. VII. 47 წ. თარიღით მიხ. გეგეშიძეს შესრულებული აქვს „ამღის კომპლექსი“ ამღის საკულტო ცენტრების ჯვარებისა და მათი სამეურნეო ტერიტორიის განლაგების სქემა. სქემაზე ნაჩვენებია: „ჯვარის ტყეები“, „ზეზის ფიჭვი“, „ქვექვის ფიჭვი“, „რკენა“, „შარის თავი (რკენა)“ „კერძო ნაკვეთები“, „ხოდაბურები“, „სვეტის ანგელოზი“, თავისი გალავნით, სადროშაე გორის ძირა (სვეტის ანგელოზი)“, „იახსარი“ თავისი გალავნით, სოფ. ამღა „ქვიტკირი“, „საბაკური“, „დობილი“, „საჯარია“, „ნაღობი“, „სოფელთშუა გზა“, „ნაღობი, კარის პირი (იახსარი)“, „საკვირაო ბორტვი (რკენა)“, მდ. ასა და ამ პუნქტებს შორის მანძილები.

10 დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ყველგან ხევსურეთში დროშის ტარები დარბაზში ანუ ბეღელში ინახება. ეს წესი იმდენად მტკიცედ არის დაცული, რომ ადგილზე მუშაობის დროს, როცა ჯვარის რომელიმე თვალში დროშის ტარებს აღმოვაჩენდით, ჩვენთვის ნათელი ხდებოდა, რომ ეს თვალი დარბაზს წარმოადგენდა, ტიპიურ ჯვარის დარბაზს თავისი სტრუქტურული ელემენტებიც გააჩნია და ამ ელემენტების განლაგების მტკიცე ტრაფარეტიც, რომლებითაც იგი ადვილად შეიცნობა, მაგრამ სტრუქტურულ თავისებურებაზე ჩვენ სხვაგან გვექნება საუბარი — ვ. ბ.

ჩამოთვლილი ნაგებობანი ბეღელი, დროშათ საბრძანისი კოშკები, საგანძე სიპი გარშემოზღვრული არიან ყორის გალავნით, რომლის შესავალიც ბეღლის კარებს უპირისპირდება. ჯ ვ ა რ ი ს გ ა ლ ა ვ ა ნ ი, დანარჩენი შენობების მსგავსად მშრალად ნაგები უნდა იყოს. ჯვარის გალავნის გარეთ, მისი შესასვლელის მახლობლად მოთავსებულია დიდი ოვალური მოყვანილობის სიპი, ესაა ე. წ. „სასაკლავე". აღნიშნული შენობები გარშემოვლებულია „ჯ ვ ა რ ი ს გ ა ლ ა ვ ნ ი თ", იგი როგორც ნახატიდან ჩანს, ყორისაა და მისი შესასვლელი ბეღლის კარებს უსწორდება. ჯვარის გალავანთან გარედან დ ო ბ ი ლ თ კ ო შ კ ი ა. მინაწერების მიხედვით, დობილებს აქ სწირავენ თხას, ვაცს, თიკანს. ჯვარის გალავნის გადაღმა, მისი შესასვლელის მახლობლად არის „საჯარე", ზომით 1,5×2,10.

14. საბეკური

ს ა ბ ე კ უ რ ი ორი ნაწილისაგან შედგება: „ს ა ბ ე კ უ რ ი ს კ ა რ ი" და თვით „ს ა ბ ე კ უ რ ი" (ტაბ. 101).

„ს ა ბ ე კ უ რ ი ს კ ა რ ი ს სიგრძე 6 მ, სიგანე 7 მ", მას შემოვლებული აქვს ყორის გალავანი 90 სმ სიმაღლისა, საბეკურის კარის დიდი ნაწილი საბეკურის ქარიპანს უჭირავს, რომლის ბანიანი სახურავი ოთხ ბოძზეა დაყრდნობილი. ქარიპანის ბოძებზე დაყრდნობილია „კეზი" და საბეკურის კედლის თავებზე „ჭერებია" გადებული. საბეკურის კედელში დატანებული კარით ეს შენობა უკავშირდება საბეკურის კარს, ხოლო ამ უკანასკნელში შესასვლელად ყორის გალავანში საბეკურის ხის კარების პირდაპირ გაჭრილია შესაფერისი ფართობი.

საბეკურის კარის მარცხენა მხარეს მოწყობილია „ლოგინი" სიგრძით 3 მ, განით 1,5 მ და მარჯვენა მხარეს „სკამი". საბეკურის კარის ფასადს ამკობს მთელ მის სიგრძეზე (—5) გაყოლებული ჯიხვისა და ვერძის (?) რქები, რომლებიც გარედან კეზზე დამაგრებული ჩანან.

საბეკური ოთხკუთხა ფორმის ბანიანი შენობაა ზომით 5,5 მ×4,05 მ, სიმაღლით 3 მ, მარჯვენა კედლის მახლობლად „ყვერფია" ზომით 1 მ×4,5 მ რომელზეც ეშვება „საკიდელზე" დაკიდებული ქვაბი[11]. აქვე კედელში გაჭრილია „საკვამი". ზემოთ 90 სმ×65 სმ მომიჯნავე კედელში (საბეკურის უკანა კედელში) დატანებულია „საკოდის კარი", ხოლო საბეკურის მარცხენა მხარეს „საკოდეა"—პატარა ოთახი, რომელშიც ექვსი ცალი კოდი დგას. საბეკურში, მარცხენა კედელსა და ყვერფს შუა მოჩანს გრძელი ტაბლა, „სუფრა". აქვე მ. გეგეშიძის განმარტება: „საჯელო საბეკურში იშლება". „ღამის თევა, ჟამის წირვა საბეკურში ხდება". „საბეკურში ვერ შევა". „დროშის აბმა და ახსნა იახსარში ხდება".

„ქვიტკირი" 30—35 მ სიშორეზეა საბეკურიდან. „ქვიტკირი" ოთხკუთხა შენობაა, ზომით 8 მ×6 მ, სიმაღლით 4 მ, ბანიანი, ქვა-კირით ნაგები (რო-

---

11 ყვერფის მოწყობა კედელთან და არა ოთახის შუაგულ ადგილას ხევსურული სახლისათვის არის დამახასიათებელი. ამდენად ეს დეტალი ქვემოთ მოტანილი თქმულების სასარგებლოდ ლაპარაკობს, სახელდობრ, რომ საბეკური ადრე ხევსურის საცხოვრებელი სახლი უნდა ყოფილიყო.

გორც ამაზე მისი სახელწოდება „ქვიტკირი“ მეტყველებს); ფასადის მხარეს დატანებულია კარი (სიმაღლით 1,60 მ და განით 80 სმ). მიწიდან საკმაოდ მაღალზე გაჭრილი და პატარა, ოთხკუთხა ფორმის „სასინათო, სანიავო, საკვამი“ მსგავსი ელემენტები, ორი ცალი ამავე კედლის ქვემო ნაწილშია კარის მარცხენა მხარეს.

ნახატს ახლავს მ. გეგეშიძის შემდეგი განმარტება: „...ქვითკირის შენობა სახელად „ქვიტკირი“, სადაც ინახება ჯვარის პური (ამბრებში 4) და თასგანძი. „შესვლა შეუძლიან ჯვარიონს“.

აღნიშნული წარწერების გარდა, საბეკურის ნახატს ახლავს შემდეგი მინაწერები „იახსარი, სვეტის ანგელოზი, პეტრე მოციქული“. „საბეკური (შენობა) ყოფილა მინდიას სახლი („გველის მჭამელი“), მერე გაწმინდდა და ეს სახლი იქცა საბეკურად“.

მინაწერი გვერდისა, რომელზეც საბეკურის კარის სქემატური ნახატებია; „ქორძო წიკლაური, 19 წლისა, სოფ. ამღა, არხოტის თემი. საბეკური, მთელი ხალხი იკრიბება აქ სასმელად (?). ორი ნაწილისაგან შედგება საბეკური და საბეკურის კარი შემოღობილია. ბეღლის უკან არის საკოდე. საბეკურის კარის მარცხენა მხარეს არის ლოგინი, მარჯვენა მხარეს სკაში“. „საბეკურის კარი — საფეხნო“.

დაბოლოს, სხვა ფურცელზე, იაჯსრის ჯვარის ბეღლის სქემატური ნახატის თავზე: „საბეკურიდან მოდის გალავანი, რომელიც ეკვრის სახატო მამულებს“ (1947 წლის 27 ივლისი, ს. ამღა, მიხ. გეგეშიძის მიერ შესრულებული სქემატური ნახატების საფუძველზე აღწერილობა, რომელიც 1963 წელს იქნა ჩემ მიერ შესრულებული — ვ. ბ.).

ს ა ქ ვ ა ბ ე. ამღის სამივე ჯვარს საერთო საქვაბე აქვს ხოგაის მინდის ნასახლარში, რომელიც სულ ფიჭვისა ყოფილა. საქვაბეს წინა მხარე უჭირავს და წინ გახსნილ ნაგებობას წარმოადგენს, რომლის ფასადზე ჭერს იჭერს 4 ხის ბოძი. მარცხენა კუთხეში დგას სპილენძის ფურცლებისაგან შეკერილი დიდი ქვაბი, მეორე ასეთივე ქვაბი მარჯვენა კუთხეშია, 4 დიდი ხის კოდი, თუნუქის ღუმელით, უამრავი ჯიხვის რქებით ორივე მხარეს, ქვაბების ძირში საცეცხლურებია გამართული. აქვე დგას მთლიანი ხისაგან გამოთლილი დიდი ზომის ლათბა.

კოდების ზომებია: 1. 92 სმ×68 სმ×68 სმ;
2. 106 სმ×50 სმ;
3. 101 სმ×70 სმ;
4. 103 სმ×68 სმ;

საქვაბის წინ საქვაბის კარია, რომლის შესასვლელთან ძველი სპილენძის ბრტყელძირიანი ქვაბი დგას. მარცხენა კუთხეში მდგარ სპილენძის ქვაბში პატარა ზომის სპილენძის კოში დევს, ხელქვაბი და მეორე კოში.

დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი ა რ ხ ო ტ ი ს ჯ ვ ა რ-ხ ა ტ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ

1) სოფელ ამღის საკვირაო (წყარო). საკვირაო არხოტის თემში სოფ. ამღაშია. აქ მდინარის პირზე ერთი ძალიან ცივი წყარო არის. მთაში არც ერთი წყარო არ მოიპოვება ამისთანა ცივი და უწყინარი. რაც უნდა ბევრი დალიოს

ადამიანმა ეს წყალი, მაინც არ აწყენს. ამ წყაროს ეძახიან „საკვირაოს". ხალხური თქმულებით ეს წყარო ზევით ყოფილა და იქ კვირასაც ილოცავდნენ. ახლაც ნაწყაროვალს ეძახიან ამ ადგილს. ამბობენ, რომ ეს წყალი წმინდად ყოფილა დაცული (სიწმინდის ხევსურული გაგებით). ამ წყაროზე ქალებიც მიდიოდნენ, მაგრამ სარეცხს არ გარეცხავდნენ. ქალური უწმინდურობის დროს კი არ მივიდოდნენ. მაგრამ წყაროში ერთხელ ქალს სამრელოში ნაცვამი სადიაცო გაურეცხია და მაშინ ეს წყალიც დაკარგულა იმ ადგილიდანო. მკითხავის რჩევით დამნაშავეს მიუყვანია წყაროს ადგილთან ერთი საკლავი, დაუკლავს და წყალი აქ მაინც აღარ მოსულა, იგი იქიდან დაახლოებით ორმოცი საჟენის დაშორებით მდინარე ასა-ს პირზე გამოჩენილაო. ახლა ეს წყარო ისევ არის და „საკვირაოს" ეძახიან ამ წყაროსაც და ადგილსაც. წყაროს ძალიან უვლიან და წმიდად ინახავენ.

2) მოძმე ხატები არხოტში. მოძმე ხატები არიან ისინი, რომელთაც ერთი სახელი ჰქვიათ. მაგ., 1) მიქიელ მთავარანგელოზი და მიქიელ წყაროსთავის ანუ მთიშეშაგ წყაროს თავისა; 2) ბანურანი ანუ მიქიელ კარის მეზობელი; 3) მიქელ წყალშუისა (კვირიწმიდის სოფლისა) და 4) მიქელ ჭიშველისა (ს. ჭიმღისა); 5) გიორგი ჯმელის გორისა და ჯაჭველი ჯმელის გორისა.

ამბობენ ეს ხატები ერთი და იგივეაო და თან „ორსავ ბატონსაც" ეძახიან და „მოძმე ხატებსაც" (M[14]).

3) არხოტისა და მუცუს მთავარანგელოზები. მუცუელი ხალხის გადმოცემით, არხოტის ჯვარი ყოფილა დედა და მუცუს მთავარანგელოზი მისი შვილი. იქ არხოტში ორივეს ყოფნა საჭირო არ ყოფილა, შვილი წამოსულა იქიდან და დაარსებულა ყველაზე მაღალ მთაზე „დაქუეხში". ეს მთა ზამთარ-ზაფხულ თოვლ-ყინულით არის დაფარული და ვერ ადენილან სალოცავად, გარდა „ათენგენა" დღეობისა. თითქმის მაშინაც ყველა ვერ მიდიოდა. მერე დაკლეს ერთი ხარი და სთხოვეს დაბლა დაარსებულიყო, რომ სალოცავად ადვილი მისასვლელი ყოფილიყო. შემდეგ ჩამოსულა და დაარსებულა ერთ წმიდა ადგილზე, „ჯონეს". მას შემდეგ დაუწყიათ აქ ლოცვა. ზოგნი ამბობენ, რომ არხოტიდან ქისტეთში წასულა, იქიდან დაქუხეში მოსულა და იქიდან ჯონეში ჩამოიყვანეს ჯონის მთავარანგელოზიო.

მუცუს მთავარანგელოზს მამულები, სათიბები და ტყე არ ჰქონდა. დღეობებისათვის პური იკრიბებოდა სოფელში. მას ჰკრეფდნენ დასტურები და ხარჯავდნენ ლუდისათვის, რომელსაც თვითონვე ხდიდნენ და ღამის სამთელოჟამსაწირების გამოსაცხობად. თვით დასტურებს არაფერი ეხარჯებოდათ, გარდა სვისა და საკუთარი შრომისა (M[16], რვ. 19, გვ. 227, 228).

4) ხევსურთ ჯვარის დროშა. დროშა არის შემდგარი სამი სუფთად გათლილი, დაახლოებით მეტრნახევრიანი ჯოხებისაგან, ორ ჯოხს ერთ ნაპირზე ჩამოცმული აქვს ძველებური შუბები. ერთს კი ვერცხლის ჯვარი და ზედ შებმული ერთი პატარა ზარი. აგრეთვე დროშის ტარზე შებმულია ჭრელი და თეთრი ბაღდადები და ხელსახოცები, ხალხისაგან შეწირული.

ეს არის დროშა, იგი ძალიან წმინდად მიაჩნიათ და, გარდა ჯელოსნისა, რომელსაც ეს დავალებული აქვს, მას ხელს ვერავინ ახლებს. ისიც მაშინ მოკიდებს ხელს, როცა საკლავს დაკლავს, მის სისხლს შუბლზე და გულზე წაისვამს და ამითი განიწმინდება (M[4], რვ. 13, გვ. 148).

5) ჯვარის ფუნქციები, არხოტი. იყო ჯვარები სათემო, სადაც ირჩეოდა თემის საქმეები, იყო სასოფელო სადაც ირჩეოდა სოფლის საქმეები, იყო საგვარო, სადაც ირჩეოდა გვარის საქმეები.

მაგალითად, არხოტის ჯვარი სათემო იყო, ამას მთელი თემი ემორჩილებოდა. აქ ირჩეოდა სისხლისა და სხვა ასეთი საქმეები. აქვე ხდებოდა ფიცი მძიმე საქმეზე. აქვე იწვევდნენ თემის ყრილობას სათემო ადგილების სადავო საკითხებზე. ერთი სიტყვით, ყველა სათემო საჭირბოროტო საკითხები.

იაკსარი, როგორც ვთქვით, ჭოლიკაურთ ეკუთვნოდა, მაგრამ სოფელი მთლიანად ეყმობოდა მას და ჭოლიკაურთ საქმე იქ არ წყდებოდა.

ქარჩათ ჯვარი იყო პეტრე (რკენისა). უწინ საკუთრივ ქარჩათ საქმეები იქ რიგდებოდა, მაგრამ ბოლოს სოფელი მათ აღარც კი ანებებდა ამ თავის ჯვარს.

ახიელში გორული ჯვარი ქავთარ-ოჩიაურთ ეკუთვნოდა და მათი სამამო საკითხები იქ ირჩეოდა (ასეთი საკითხები იყო: სამტრო-სამოკეთეო, გორული ჯვარის ქონებისა და ჭირნახულის მოვლის საკითხები; ერთი სიტყვით იქ ირჩეოდა სამამო და (საწამო) საჯვარო საკითხები და იქაურ საიდუმლოებას ყველა (მისი) ყმა იცავდა) ისინი ცდილობდნენ იქ (თავის სამამო ჯვარში) უფრო მეტად ყოფილიყო განმტკიცებული წესრიგი საჯვარო და სამამო საქმეებსა, ვიდრე სხვა ჯვარებში.

ცისკარაულებს თავისი ჯვარი ყავდათ — მთიშეშაგი. მათი საქმეებიც იქ ირჩეოდა.

სოფელ ჭომღასაც ყავდა სამამო ჯვრები: თეთრაულთ თავისი წმინდა გიორგი და გაბურთ მიქელ კარის მეზობელი. ხოლო ჭიშველის ჯვარი საერთო სასოფლო ჯვარი იყო.

კვირიწმიდაში ერთ გვარად ცხოვრობდნენ და ამ გვარისა და სოფლის ჯვარი ერთი იყო მიქიელ წყალშუის მებურთვალი სადაც ყველა მათი საქმე ირჩეოდა (M^3, 3, გვ. 34—36). აქ წყდებოდა (ასე იყო ყველგან) როგორც არხოტში, ასევე სხვა ხევსურეთში. მთელი ხევსურეთისათვის ასეთი საერთო ჯვარი გუდანის ჯვარი იყო.

სათემოები იყო: ლიქოკის ჯვარი, ჯაკმატის ჯვარი, დიდგორის ჯვარი, სანების ჯვარი, შატილში ანატორის ჯვარი და სხვა.

ამას (ე. ი. სათემო ჯვარებს) მოსდევდა სასოფლო ჯვარები, სასოფლო-საგვარო თავ-თავისი წვრილი დამხმარე ძალებით, როგორიც არიან ლაშქარნი, დობილნი და სხვა ასეთები.

არხოტის ჯვარის გარდა, არხოტში კიდევ იყო სასოფლო ჯვარები: კალოთანაში — წმინდა სანება. კალოთანის მცხოვრებნი აქ გადასჭრიდნენ თავისი სოფლის საჭირბოროტო საკითხებს: მეორე სოფლის საზღვრებიდან თავისი ადგილის დაცვის შესახებ, ქალის თხოვა-გათხოვების საკითხს — სად ეკუთვნის გათხოვება და სად არა; სოფელში ჩამოვარდნილი უთანხმოებაც აქ გასამართლდებოდა. სოფელში მომხდარი ამბავი ზოგან არც გაქონდათ სხვაგან არისხებდნენ ცუდის ენის კაცს, რომელიც თავის სოფელში მომხდარ დაუშვებელ ამბავს სხვაგან გაიტანდა. ამ დარისხების შიშით სოფელში მომ-

ხდარი ბევრი ამბავი ისე იფარებოდა, რომ თემი ვერ იგებდა. ამღაში იყო იაკსარი. თუმცა პირველად იგი ჭოლიკაურის გვარის იყო, მაგრამ მთელი სოფელი მას ისე ეყმობოდა, რომ უკვე სასოფლო ჯვარად ჰყავდათ მიღებული. სასოფლო საკითხებზე ლაპარაკი ყოველთვის იქ იყო და იქ გადაწყვეტილ საქმეს ველარავინ დაარღვევდა (იქ ირჩეოდა) ჭირნახულის დაცვის საკითხი, თემისაგან (გამორჩევით) თავისი საკუთარი სასოფლო მიწა-წყლის დაცვის საკითხი, ქისტებთან მტრობისა და მეგობრობის საქმე. საჯვარო საქმეებზე საუბარიც იქ ხდებოდა, აგრეთვე ხვნის, მკისა და სხვა საკითხებისა.

ამას (ე. ი. ამღის სასოფლო ჯვარს) მოსდევდა წიკლაურების ზოგიერთი ქვეგვარების (მამების) ჯვარები. მაგალითად, სვეტის ანგელოზი ბერდიშვილთ ჯვარი იყო და მათი საქმეები ამ ჯვარში ირჩეოდა.

6) მემარცვლე ანგელოზები. ხატის მამულებში მუშაობენ ძალიან ფრთხილად, რომ არაფერი წაახდინონ და მემარცვლე ანგელოზები არ გაუწყრნენ. მემარცვლე ანგელოზები ხალხის წარმოდგენით, პატარა ანგელოზებია, რომლებიც ემორჩილებიან დიდ ღვთაებას. მათ აბარიათ მარტო ის, რომ თვალყური ადევნონ სახატო მამულების დამუშავებას და აქ ცუღლუტობა და დაუდევრობა არავინ ჩაიდინოს. თუ ეს მოხდა, ამ შემთხვევაში მემარცვლე ანგელოზები ამბავს მიიტანენ დიდ ანგელოზთან. იგი გაუწყრება დამნაშავეს, ან ავად ვისმე გაუხდის, ან სხვა ფათერაკით დააზიანებს; შეიძლება მოუკვდეს კიდეც ოჯახის წევრი ვინმე დამნაშავეს ანგელოზის განრისხების შედეგად. ამიტომ ძალიან ფრთხილად ამუშავებენ სახატო მამულებს და გალეწვის შემდეგ სახატოდ ჩაყრიან თავის ხვედრი პურიდან ერთ სარწყამდინ პურს (სარწყავს გამოდის ქერი ერთი ფუთი) ამ მეტის ჩაყრას ეძახიან „სამარცვლე"-ს (M³, რვ. 1, გვ. 7—8).

ხევსურეთის სალოცავები

წმ. გიორგეები:

1. ხახმატის წმ. გიორგი — სოფ. ხახმატში;
2. ლაშარის გიორგი, — გიორგი მუხის ანგელოზი — ფშავში;
3. სომხოს წმ. გიორგი — სოფ. არდოტში;
4. გიორგი ბეკენ-გორისა, — სოფ. შატილში;
5. გიორგი ნაჯეშ-მაბურთალი ანგელოზი — სოფ. გუროში;
6. გიორგი წყაროს-გორისა, — სოფ. ხახაბოში;

1. გუდანის ჯვარი: 1) საღმრთოობით ილოცვენ და ქვემოთ 2) „ნაჯარელა ღვთისმშობლობით;
2. კისტანში: 1) ღვთისმშობლობით და 2) თავადო გორის ანგელოზო;
3. არდოტში: 1) ღვთისმშობლობით და 2) გიორგი სომხოზ გორისაო;
4. მუცოში: მთავარ ანგელოზობით ილოცვენ;
5. შატილში: 1) ღვთისმშობელი, 2) მთავარანგელოზი, 3) გიორგი ბეკენ გორის, 4) კილდის გორ ზღურბლის ანგელოზი, 5) თავადი გორის ანგელო-

ზი, 6) მარიემ წმიდის კოშკი წმ. გიორგის ხატთან, 7) ადგილისდედა მთავარ ანგელოზის და 8) ღვთისმშობლის ადგილისდედა;

6. ლიქოკში: 1) კოპალავ წვერის ანგელოზო, 2) იაკსარი;
7. ღული-შაუაფხოში: დიდ-გორი;
8. როშკა—ხორნაულთა: დიდ-გორი;
9. ბაცალიგო, ჩხუბა, აყნელი — პირქუში ცეცხლისალიანი.
10. ატაბე-კვირა
11. უკან-ხადუ — სანება ცროლის ანგელოზი (სანება ცროლის წვერის)
12. ლებაისკარი, კისტანი — თავადი გორის ანგელოზი
13. ხახაბო-გიორგი წყაროს თავისა
14. მუცო: 1) მუცური ჯვარი — „ღვთისმშობელი“,
    2) მთავარანგელოზი;
15. ახიელი: 1) მთავარანგელოზი,
    2) ვეშაგი წმინდა გიორგი,
    3) წმ. გიორგი;
16. ჭიმღა: 1) წმ. გიორგი;
17. ანატორის ხატი— შატილის მახლობლად ანატორში: მხოლოდ სამი ნიში დგას, რომელთაგან ორზე ზარია ჩამოკიდებული, ერთ ზარას აქვს ქართული წარწერა, შესაძლებელია ეს სამი ნიში სამი ჟამნის სახელობის იყოს (იხ. ლეგენდა ჩაწერილი არდოტში): მით უფრო საფიქრელია რომ ხალხის აზრით ამ ხატში ასვლა მეტად სახფათოა, — როდესაც ერთმა მგზავრმა ქალმა დაგვინახა რომ ამ ხატიდან ვბრუნდებოდით, შიშით გვითხრა, რომ თქვენ არ გაიხარებთ, დაიხოცებითო;
18. სოფ. გიორგი-წმინდაში — მინის-მინდვრის წმ. გიორგი;
19. „გურეში: 1) საღმრთო გიორგი და 2) კოპალას ნიში. — აქ საკოდე ცალკე არ იციან. დარბაზი და საკოდე ერთადაა, ერთ ოთახში. „საქვაბე“—კი ცალკე ოთახია;
20. კახეთში: ალავერდი პირველი წმ. გიორგი;
21. ჯუთაში: — ხალანგორ — წმ. გიორგი;
22. სოფ. გიორგიწმინდის მახლობლად: — წმ. გიორგი ციხე-გორ შარის პირის ხატი.

ТРАДИЦИОННЫЕ ОБЩЕСТВЕННО-КУЛЬТОВЫЕ ПАМЯТНИКИ ГОРНОЙ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Резюме

Автор данной публикации начала собирание и изучение религиозных пережитков грузинского народа с 1929 г. На протяжении ряда лет были выявлены ценные материалы, анализ которых дал возможность установить существование у грузин-горцев в отдаленном прошлом двух пантеонов божеств — пантеон периода разложения первобытнообщинного строя и пантеон раннеклассовой ступени общественного развития. Однако вплоть до 1962 года культовые памятники изучались лишь спорадически. С 1962 года под руководством автора приступили к их изучению планомерно, систематически, по широкой программе. В комплексных экспедициях помимо этнографов принимали участие архитекторы, топографы, художники, фото- и кинематографисты. Экспедиции работали в Хевсуретии в 1962, 1963, 1968 гг., Пшави в 1963, 1965 г., Мтиулети-Гудамакари в 1967, 1968 гг.

Работа проводилась комплексно-интенсивным методом, причем с целью сплошного обследования экспедиция стремилась охватить все памятники и их остатки во всех местах, в том числе и самых труднодоступных. Экспедиция, помимо обычных средств транспорта, пользовалась и вертолетом.

В настоящее время собран богатый материал, содержащий: 1924 машинописных листа дневниковых записей, архитектурные обмеры (планы, разрезы, фасады, интерьеры, ситуационные и генеральные планы и др.) более 700 памятников, топографические съемки 50 объектов, 20 художественных пейзажей и множество фотоснимков и кинолент.

Издание корпуса «Традиционные общественно-культовые памятники горной Восточной Грузии» планируется в трех томах. В первых двух томах — публикация памятников с детальным их описанием и подробными комментариями, а в третьем — исследование.

Второй том содержит публикацию хевсурских материалов и вводную статью.

В горной части Восточной Грузии сохранявшиеся в силу глубокой традиции общественно-культовые сооружения подразделяются на два основных типа. Первый тип — дарбази, представленный в виде храма в ант и его разновидностей без ант, с открытым очагом в центре, нередко со столбами близ очага и некоторыми другими подробностями, относится к древнейшему типу мегарона. Этот тип на грузинской почве, судя по археологическим данным, своими корнями уходит к началу и первой половине III тысячелетия до н. э.

Второй тип — это бегели с его двумя разновидностями. Бегели, культовые столбообразные сооружения, равно как и горнотушинские надземные склепы имеют параллели как в севернокавказских культовых памятниках и в склеповых сооружениях, датируемых по находимым в них вещам самое ранее III—II вв. до н. э., так и в малоазийских гробницах IV—III вв. до н. э. Здесь, на юго-восточном побережье Черного моря, как и в Восточной Грузии и на Северном Кавказе техника возведения свода совершенно одинакова.

Однако проблема происхождения ложного свода не может считаться решенной. В ее решении Кавказ, как и Малая Азия, признаны сыграть важную роль. На Кавказе эта проблема усложняется тем обстоятельством, что здесь ложный свод сопровождает «чешуичато»-ступенчатая крыша, являющаяся оригинальной особенностью этого типа кавказских сооружений.

Следует особо отметить, что бегели в грузинском языке — весьма древний термин. Он имеется в древних названиях обрядовых хороводных песен (корбегела, беглискрули). Находит он отражение и в мифологии в качестве имени дива Бегела. По лингвистическим данным, он восходит к эпохе грузино-занской языковой общности.

V. V. BARDAVELIDZE

TRADITICNAL SOCIO-RELIGICUS MCNUMENTS OF THE GEORGIAN MOUNTAINOUS EASTERN GEORGIA

Summary

Buildings for the purpose of com munal worship in the mountaineous regions of Georgia started to be recorded by us from 1929 onwards. At the same time research was done on other religious survivals of all kinds. From 1962 however, we concentrated our attention on these buildings exclusively. Under our supervision were organised expeditions of a complex nature and intensive work was done in Khevsureti (1962, 1963, 1968), Pshavi (1963, 1968), Tusheti (1965, 1966), Khevi, North Cssetia and Ingusheti (1965) and Mtiulet-Gudamakari (1967, 1968). The results of these expeditions are of great scientific value (1,624 diary pages; measurements for more than 700 architectural items; 5 toponimical maps; and about 20 sketches as well as many Photographs.

We plan to publish in three volumes the work done on these centers of communal religious activity in the eastern Georgian mountains. In the first two volumes the material itself will be published with corresponding commentaries but the third volume will be devoted purely to analisis. The second volume includes the socio-religious cultic centres of Khevsureti in their entirely, since it is in that region that these centres appeared to be the best preserved.

The buildings for communal religious purposes of the Eastern Georgian highlands may be grouped into two main types: the first type is a Darbazi —a temple form with an open hearth in the centre, often with pillars near the fire—place. Some other items are found, the details of which are derived from the most ancient type of megaron. This type in Georgia, according to the archaeological data can be traced to the beginning of the Third Millenium B. C. Another Type is the begheli and its two varieties. Both begheli, box—shaped buildings for religious purposes, as well as highland Tushinian surface crypts, have their equivalents both in Northern Caucasian religious monuments and vault structures dated not earlier than the IIIrd—IInd c. B. C. and in the sepulchres of Asia Minor of the IVth—IIIrd c. B. C. Here in the south—Eastern Black Sea region as well as in Eastern Georgia and Northern

Caucasus the technique of vault masonry is absolutely identical. But the problem of the origin of the "false vault" is far from being solved, and in this the data from the Caucasus and Asia Minor may play an important role. In the Caucasus the problem is rather complicated by the fact that the "false vault" here is accompanied by step-scale tiling which is a particular feature of this type of structure in the Caucasus. It should also be noted that the term "begheli" is very ancient and goes back to the times of Georgian-Zan linguistic community.

გამოყენებული ლიტერატურა

ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, 1943 წ.
ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, 1952 წ.
ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, რელიგია ბუდე-ხევსურეთში.
ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, ხევსურეთის ზოგიერთი წარსული ამბები.
ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, 1954 წ.
ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, 1962 წ.
ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ფშავ-ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, 1963 წ.
გ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, 1968 წ.
ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, 1929 წ.
ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, 1950 წ.
ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, 1951 წ.
ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, 1946 წ.
ნ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა და მ. ბ ა ლ ი ა უ რ ი, ხევსურეთის დღესასწაულები.
ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, 1947 წ.
ეთნოგრაფიული ექსპედიცია სოფ. გამარჯვებაში, 1969 წ.
ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, რელიგია პირიქით ხევსურეთში.
ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, არხოტის სალოცავების ზოგიერთი ამბები.
ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, სახატო მიწები.
ნ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა და მ. ბ ა ლ ი ა უ რ ი, მესაქონლეობის წესები ხევსურეთში, არხოტის თემი, პირიქით ხევსურეთი.
ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, მითოლოგია ხევსურეთში.

ტაბულების სია

1. სოფ. გუდანი (ზენუბანი). საღმრთო გუდანის ჯვარის კომპლექსი, 1962 წ.
2. სოფ. გუდანი. საღმრთო გუდანის ჯვარი, წინ საკოდე-საბერო. უკან სადიასახლისო-სალუდე.
3. სოფ. გუდანი. საღმრთო გუდანის ჯვარი, საქვაბე და სადიასახლისო.
4. სოფ. გუდანი. საღმრთო გუდანის ჯვარი, სადიასახლისოს წინ.
5. სოფ. გუდანი. საღმრთო გუდანის ჯვარის დროშები.
6. სოფ. გუდანი. საღმრთო გუდანის ჯვარის განძი.
7. სოფ. გუდანი. ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარის კომპლექსი, 1962 წ.
8. სოფ. გუდანი. ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარის კომპლექსი, 1962 წ.
9. სოფ. გუდანი. ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარი, ადგილისდედა, ანუ კვრივი.
10. სოფ. მოწმაო. მთავარანგელოზის ჯვარი, ჯვარის განძი.
11. სოფ. მოწმაო. მთავარანგელოზის ჯვარი, ჯვარის განძი.
12. სოფ. მოწმაო. მთავარანგელოზის ჯვარი, ზარი ხეზე.
13. სოფ. დათვისი. ღვთისმშობლის ჯვარის კომპლექსი. დარბაზი, 1962 წ.
14. სოფ. დათვისი. ღვთისმშობლის ჯვარის კომპლექსი, ბეღელი, საზარე.
15. სოფ. დათვისი. ღვთისმშობლის ჯვარის კომპლექსი, საქვაბე, სადობილე, 1962 წ.
16. სოფ. გველეთი. სამნები მთავარანგელოზის ჯვარი, ბეღელი, დარბაზი, ჭერო, საკოდე, 1962 წ.
17. სოფ. გველეთი. მთავარანგელოზის ჯვარში,
18. სოფ. გველეთი. ადგილისდედა ღვთისმშობელი, პირქუშის კოშკი 1962 წ.
19. სოფ. გველეთი. საქვაბე.
20. სოფ. ზედა ბარისახო. ღვთისმშობლის დარბაზი, 1962 წ.
21. სოფ. ზედა ბარისახო. ღვთისმშობლის სასანთლე კოშკი, სამწირველო, 1962 წ.
22. სოფ. ჩირდილი, წმ. გიორგის ჯვარი, დარბაზი და სასანთლე კოშკები, 1963 წ.
23. სოფ. ჩირდილი. წმ. გიორგის ჯვარი, საქვაბე, 1963 წ.
24. სოფ. ჩირდილი. ღვთისმშობლის ჯვარი. საქვაბე და საზარე კოშკი.
25. სოფ. ჩირდილი. ღვთისმშობლის ჯვარი, დარბაზი-ბეღელი, 1963 წ.
26. სოფ. ბუჩუკურთა. მთავარანგელოზის ჯვარი, დარბაზი საზარე კოშკით, 1962 წ.
27. სოფ. ბუჩუკურთა. ღვთისმშობლის ჯვარის კომპლექსი, დარბაზი, 1962 წ.
28. სოფ. ბუჩუკურთა მთავარანგელოზის და ღვთისმშობლის ჯვარების საქვაბე, 1962 წ.
29. სოფ. უკანახო. ფუძის ანგელოზი, დარბაზი დ საკოდე, 1963 წ.
30. სოფ. უკანახო, ფუძის ანგელოზი, დარბაზი და საკოდე, 1963 წ.
31. სოფ. უკანახო. ფუძის ანგელოზი, ეკლესია და საზარე კოშკი, 1963 წ.
32. სოფ. უკანახო. ფუძის ანგელოზი, საქვაბე, 1963 წ.
33. სოფ. აკუშო. კოპალს ჯვარი.
34. სოფ. აკუშო. ბეღელი.
35. სოფ. ჭალაისოფელი. შუბნურის ჯვარის კომპლექსი, საქვაბე, 1962 წ.
36. სოფ. ჭალაისოფელი. შუბნურის ჯვარის კომპლექსი, საზარე კოშკი და დარბაზი.
37. სოფ. ჭალაისოფელი. შუბნურის ჯვარი, დროშის ტარები, სასანთლე.
38. სოფ. ჭალაისოფელი. ხევისბერის კვერთხები.
39. სოფ. ჭალაისოფელი. შუბნურის ჯვარი, სასანთლე კოშკი.
40. სოფ. ჭალაისოფელი. კარატეს ჯვარის კომპლექსი საზარე კოშკი, კვრივი, დროშათ საბრძანი კოშკი.

41. სოფ. ჭალაისოფელი. კარატეს ჯვარის კომპლექსი, დროშათ საბრძანი კოშკი, სასანთლე კოშკი.

42. სოფ. ჭალაისოფელი. კარატეს ჯვარის კომპლექსი, დარბაზი, საკოდე, საბერო, 1962 წ.

43. სოფ. ჭალაისოფელი. კარატეს ჯვარი, საქვაბე.

44. სოფ. ჭალაისოფელი. იახსრის ჯვარის კომპლექსი, საქვაბე, დარბაზი, 1962 წ.

45. სოფ. ჭალაისოფელი. იახსრის ჯვარის კომპლექსი, თამარის კოშკი, საზარე კოშკი, დობილთ კოშკი, სასანთლე კოშკი, 1962 წ.

46. სოფ. ჭორმეშავი. ფიცრულის ჯვარი (ანუ ფიცრული ხელი სამძიმარის ჯვარი) დარბაზი, 1963 წ.

47. სოფ. ჭორმეშავი. საზარე კოშკი და საწირი, 1963 წ.

48. სოფ. ჭორმეშავი, ფიცრულის ჯვარი. საწოლა და ძველი საზარე, 1963 წ.

49. სოფ. ბისო, ხახმატის ჯვარი, საზარე კოშკი, ნიში, 1963 წ.

50. სოფ. ბისო. ხახმატის ჯვარი, მწეკრის საფლავი, სამნები, 1963 წ.

51. სოფ. ბისო. ხახმატის ჯვარი. ქვა № 1 (საქვაბეში), ქვა № 2 (დარბაზში), 1963 წ.

52. სოფ. ბისო. ხახმატის ჯვარი. საკოდე, დარბაზი, საქვაბე, 1963 წ.

53. სოფ. ბისო. ხახმატის ჯვარი. საქვაბე, დარბაზი და საკოდე, 1963 წ.

54. სოფ. ხახმატი, ბოსლოვნის ჯვარი, საქვაბე-დარბაზი, საკოდე, 1963 წ.

55. სოფ. ბაცალიგო. პირქუშის ჯვარი.

56. სოფ. ბაცალიგო. პირქუშის ჯვარი, საზარე კოშკი, დობილთ კოშკი, 1963 წ.

57. სოფ. ბაცალიგო. პირქუშის ჯვარი. საქვაბე, 1963 წ.

58. სოფ. ბაცალიგო. ა) დარბაზი და საქვაბე. ბ) საფლავის ძეგლი.

59. სოფ. ბაცალიგო. პირქუშის ჯვარი. დარბაზი და საზარე, 1963 წ.

60. სოფ. ბაცალიგო. პირქუშის ჯვარი. დარბაზი.

61. სოფ. უკანხადუს ჯვარი. საქვაბე, საკოდე, სახელოსნო, 1963 წ.

62. სოფ. უკანხადუ, საჯარე, საწოლა და კოშკი, 1963 წ.

63. სოფ. უკანხადუს ჯვარი. ბეღელი, 1963 წ.

64. სოფ. ზეისტეჩოს ჯვარი. არაბულების ციხე, კვრივი, ქამსაწირი ტაბლა, ადგილისდედა.

65. სოფ. ზეისტეჩოს ჯვარი. საკოდე, დარბაზი, საქვაბე.

66. სოფ. ზეისტეჩოს ბეღელი, 1963 წ.

67. სოფ. ზეისტეჩოს ჯვარი. ხელტაბლა, საკოდე, დარბაზი, საქვაბე, ხუცესის შესადგომი სასაკლაოსთან.

68. სოფ. როშკა. დიდგორის ჯვარი. დარბაზი და კოშკი, 1963 წ.

69. სოფ. როშკა. დიდგორის ჯვარი. სახელოსნო, 1963 წ.

70. სოფ. ქმოსტი. თეთრი გიორგი მინდორის ჯვარი, დარბაზი, 1963 წ.

71. სოფ. ქმოსტი. თეთრი გიორგი მინდორის ჯვარი, კვრივი, დარბაზის ინტერიერი, 1963 წ.

72. სოფ. როშკა. მთავარანგელოზის ჯვარი, ბეღელი.

73. სოფ. ბლო. მთავარანგელოზის ჯვარი, დროშის ტარები.

74. სოფ. ბლო. მუხის გიორგის ჯვარი, დარბაზის კუთხე.

75. სოფ. ბლო. მთავარანგელოზის ჯვარი, ინვენტარი და ინვენტარის ფრაგმენტები.

76. სოფ. შატილი, მთავარანგელოზის ჯვარი. კილდის-გორ ზღუდის ახგელოზის ჯვარი.

77. სოფ. შატილი. გიორგი ბეკენგორ მაბურთალი მთავარანგელოზის ჯვარი. დარბაზი, 1962 წ.

78. სოფ. შატილი. საღმრთო ღვთისმშობლის ჯვარი. დარბაზი. საჯარე, 1962 წ.

79. სოფ. შატილი. ნახარელას ჯვარის კომპლექსი, საზარე, საფლავის ძეგლი, კვრივი, ბეკენგორის კოშკი.

80. სოფ. შატილი, საქვაბე, საფეხნო, 1962 წ.

81. სოფ. კისტანი. ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარი. საზარე, 1962 წ.

82. სოფ. კისტანი. ღვთისმშობლის ჯვარი, დარბაზი და საზარე კოშკი.

83. სოფ. ლებაისკარი, „ბოსელათ ციხე“, 1962 წ.

84. სოფ. მუცო. ბროლისკალოს წმინდა გიორგის ჯვარი.

85. სოფ. მუცო. აკლდამა.

86. სოფ. მუცო. აკლდამები.

87. სოფ. ხახაბო. ვაკის ჯვარნი, საზარე, 1962 წ.

88. სოფ. ახიელა მთავარანგელოზის ჯვარი. დარბაზი საკოდით, 1963 წ.

89. სოფ. ახიელა. მთავარანგელოზის ჯვარი. საქვაბე, 1963 წ.

90. სოფ. ახიელა. მთავარანგელოზის ჯვარი. ძველი დარბაზი, საზარე კოშკი და კერიები, 1963 წ.

91. სოფ. ახიელა მთავარანგელოზის ჯვარი, ბახათ ჯვარანი, ბანურანი, (ჯაჭველის ლაშქარნი).

92. სოფ. ახიელა. ჯაჭველი ხმელისგორის ჯვარი.

93. სოფ. ახიელა. ჯაჭველი ხმელისგორის კოშკი.

94. სოფ. არხოტი. სანება ცროლისწვერის ჯვარის ბეღელი ანუ დარბაზი. 1963 წ.

95. სოფ. ჭიმღა. გიორგი კარისმეზობლის ჯვარი.

96. სოფ. ჭიმღა. გიორგი მეზობლის ჯვარის ინვენტარი.

97. სოფ. ამღა. რკენის ჯვარი, ანუ პეტრე ნაღვრისპირისაი. საქვაბე.

98. სოფ. ამღა. რკენის ჯვარი, ანუ პეტრე ნაღვრისპირისაი ბეღელი და დროშათ საბრძანი კოშკი.

99. სოფ. ამღა. იახსარ სვეტადჩამოსულის ჯვარი. დროშათ საბრძანი კოშკი, კერიები, ბეღლის ინტერიერი.

100. სოფ. ამღა. იახსრის ჯვარი, ბეღელი.

101. სოფ. ამღა. ხოგაის მინდის სახლი—საბეკური, 1963 წ.

ПЕРЕЧЕНЬ ТАБЛИЦ

1. Сел. Гудани (Зенубани). Комплекс святилища Сагмрто Гуданис джвари, 1962 г.

2. Сел. Гудани. Сагмрто Гуданис джвари, спереди кладовая с чанами со священным пивом — помещение для священнослужителей (сакоде — саберо), сзади садиасахлисо — пивоварня (салуде).

3. Сел. Гудани. Сагмрто Гуданис джвари, место для пивоварных котлов (саквабе) и помещение для хозяйки (садиасахлисо).

4. Сел. Гудани. Сагмрто Гуданис джвари, перед помещением для хозяйки (садиасахлисо).

5. Сел. Гудани. Знамена святилища Сагмрто Гуданис джвари.

6. Сел. Гудани. Сагмрто Гуданис джвари, клад Сагмрто Гуданис джвари.

7. Сел. Гудани. Комплекс святилища Нахарела Хвтисмшоблис джвари, 1962 г.

8. Сел. Гудани. Комплекс святилища Нахарела Хвтисмшоблис джвари, 1962 г.

9. Сел. Гудани. Нахарела Хвтисмшоблис джвари, Адгилисдеда или тайник для хранения реликвий (квриви).

10. Сел. Моцмао. Мтаварангелозис джвари, клад святилища.

11. Сел. Моцмао. Мтаварангелозис джвари. Клад святилища.

12. Сел. Моцмао. Мтаварангелозис джвари, колокол на дереве.

13. Сел. Датвиси. Комплекс святилища Хвтисмшоблис джвари, главное святилище (дарбази), 1962 г.

14. Сел. Датвиси. Комплекс святилища Хвтисмшоблис джвари, житница (бегели), звонница (сазаре).

15. Сел. Датвиси. Комплекс святилища Хвтисмшоблис джвари, место для пивоварных котлов (саквабе), садобиле, 1962 г.

16. Сел. Гвелети. Мтаварангелозис джвари, житница (бегели), главное святилище, черо (черо-дарбази), кладовая (сакоде).

17. Сел. Гвелети. Памятные столбы (самани) в святилище Мтаварангелозис джвари.

18. Сел. Гвелети. Адгилисдеда Хвтисмшоблис джвари, башня Пиркуши (Пиркушис кошки), 1962 г.

19. Сел. Гвелети. Место для котлов (саквабе).

20. Сел. Зеда Барисахо. Главное святилище (дарбази) Хвтисмшобели, 1962 г.

21. Сел. Зеда Барисахо. Башня для возжигания свечей (сасантле кошки) в святилище Хвтисмшобели, самцирвело, 1962 г.

22. Сел. Чирдили. Цминда Георгис джвари, главное святилище (дарбази) и башня для возжигания свечей (сасантле кошки), 1963 г.

23. Сел. Чирдили. Цминда Георгис джвари, место для котлов (саквабе), 1963 г.

24. Сел. Чирдили. Хвтисмшоблис джвари, место для котлов (саквабе) и башни-звонницы (сазаре кошкеби), 1963 г.

25. Сел. Чирдили. Хвтисмшоблис джвари, главное святилище-житница (дарбази-бегели), 1963 г.

26. Сел. Бучукурта. Мтаварангелозис джвари, главное святилище (дарбази) с башней звонницей (сазаре кошки), 1962 г.

27. Сел. Бучукурта. Комплекс святилища Хвтисмшоблис джвари, главное святилище (дарбази), 1962 г.

28. Сел. Бучукурта. Место для котлов (саквабе) святилищ Мтаварангелози и хвтисмшобели, 1962 г.

29. Сел. Уканахо. Пудзис Ангелози, главное святилище (дарбази) и кладовая для чанов с пивом (сакоде), 1963 г.

30. Сел. Уканахо. Пудзис Ангелози, главное святилище и кладовая (сакоде), 1963 г.

31. Сел. Уканахо. Пудзис Ангелози, церковь и башня-звонница (сазаре кошки), 1963 г.

32. Сел. Уканахо. Пудзис Ангелози, место для котлов (саквабе), 1963 г.

33. Сел. Акушо. Копалес джвари.

34. Сел. Акушо. Житница.

35. Сел. Чалансопели. Комплекс святилища Шубнурис джвари, место для котлов (саквабе), 1962 г.

36. Сел. Чалансопели. Комплекс святилища Шубнурис джвари, башня звонница (сазаре кошки) и главное святилище (дарбази).

37. Сел. Чалансопели. Шубнурис джвари, древка знамени, башня для возжигания свечей (сасантле).

38. Сел. Чалансопели. Инсигнии главного священнослужителя (хевисбери).

39. Сел. Чалансопели. Шубнурис джвари, башня для возжигания свечей (сасантле кошки).

40. Сел. Чалансопели. Комплекс святилища Каратес джвари, башня звонница (сазаре кошки), башня для знамен (дрошат сабрдзани кошки), тайник (квриви).

41. Сел. Чалансопели. Комплекс святилища Каратес джвари, башня для знамен, башня для возжигания свечей (сасантле кошки).

42. Сел. Чалансопели. Комплекс святилища Каратес джвари, главное святилище (дарбази), кладовая (сакоде), помещение для священнослужителей (саберо), 1962 г.

43. Сел. Чалансопели. Каратес джвари, место для котлов (саквабе).

44. Сел. Чалансопели. Комплекс святилища Иахсарис джвари, место для котлов (саквабе), главное святилище (дарбази), 1962 г.

45. Сел. Чалансопели. Комплекс святилища Иахсарис джвари, «башня Тамары» («Тамарис цихе»), звонница (сазаре), добилт кошки, башня для возжигания свечей, 1962 г.

46. Сел. Чормешави. Пицрулис джвари (или Пицрули Хели Самдзимарис джвари), главное святилище (дарбази), 1963 г.

47. Сел. Чормешави. Башня звонница и жертвенник (сацири), 1963 г.

48. Сел. Чормешави. Пицрулис джвари. Жертвенник (сацири) и старая звонница, 1963 г.

49. Сел. Бисо. Хахматис джвари, башня звонница (сазаре кошки), молельня (ниши), 1963 г.

50. Сел. Бисо. Хахматис джвари, могила собаки (Мцеврис заплави), памятные столбы (самнеби), 1963 г.

51. Сел. Бисо. Хахматис джвари. Камень № 1 (в пивоварне), камень № 2 (в главном святилище), 1963 г.

52. Сел. Бисо. Хахматис джвари, кладовая для чанов (сакоде), главное святилище (дарбази), место для пивоварных котлов (саквабе), 1963 г.

53. Сел. Бисо. Хахматис джвари, место для котлов (саквабе), главное святилище (дарбази), кладовая для чанов (сакоде), 1963 г.

54. Сел. Хахмати. Гиорги бословнис джвари, место для котлов (саквабе), главное святилище (дарбази), кладовая (сакоде), 1963 г.

55. Сел. Бацалиго. Пиркушис джвари, 1963 г.

56. Сел. Бацалиго. Пиркушис джвари, башня звонница, башни посстримов (Добилт кошки), 1968 г.

57. Сел. Бацалиго. Пиркушис джвари, место для пивоварных котлов (саквабе), 1963 г.

58. Сел. Бацалиго. а. главное святилище (дарбази) и место для котлов (саквабе); б. Могильный памятник.

59. Сел. Бацалиго. Пиркушис джвари, главное святилище (дарбази) и звонница, 1963 г.

60. Сел. Бацалиго. Пиркушис джвари, главное святилище (дарбази).

61. Сел. Уканхадус джвари, место для котлов (саквабе), кладовая для чанов (сакоде), сахелосно (помещение для прислужников хати), 1963 г.

62. Сел. Уканхаду. Помещение для общинников (саджаре), покой (сацола) главного священнослужителя и башня, 1963 г.

63. Сел. Уканхадус джвари, житница (бегели), 1963 г.

64. Сел. Зенстечо. Зенстечос джвари. Замок Арабули, тайник (кривни), жамсацири табла, адгилисдеда.

65. Сел. Зенстечо. Главное святилище (дарбази), место для котлов (саквабе) и кладовая (сакоде).

66. Сел. Зенстечо. Житница (бегели), 1963 г.

67. Сел. Зенстечо. Зенстечос джвари, кладовая (сакоде), главное святилище (дарбази), место для котлов (саквабе).

68. Сел. Рошка. Дидгорис джвари, главное святилище (дарбази) и башня, 1963 г.

69. Сел. Рошка. Дидгорис джвари, сахелосно (помещение для прислужников хати), 1963 г.

70. Сел. Кмости. Тетри Гиорги миндврис джвари, главное святилище (дарбази), 1963 г.

71. Сел. Кмости. Тетри Гиорги миндврис джвари, тайник (кривни), интерьер главного святилища (дарбази), 1963 г.

72. Сел. Рошка. Мтаварангелозис джвари, житница (бегели).

73. Сел. Бло. Мтаварангелозис джвари, древки знамен.

74. Сел. Бло. Мухис Гиоргис джвари, угол дарбази.

75. Сел. Бло. Мтаваргангелозис джвари, инвентарь и фрагменты инвентаря.

76. Сел. Шатили. Мтаварангелозис джвари. Килдистор згудис ангелозис джвари.

77. Сел. Шатили. Гиорги Бекенгор Мабуртали мтаварангелозис джвари, главное святилище (дарбази), 1962 г.

78. Сел. Шатили. Сагмрто Хвтисмшоблис джвари. Главное святилище (дарбази), помещение для общинников (саджаре), 1962 г.

79. Сел. Шатили. Комплекс святилища Нахарелас джвари. Звонница.

80. Сел. Шатили. Место для котлов (саквабе) и место для сельского схода (сапехно), 1962 г.

81. Сел. Кистани. Нахарела Хвтисмшоблис джвари. Звонница, 1962 г.

82. Сел. Кистани. Хвтисмшобелис джвари, главное святилище (дарбази) и башня звонница (сазаре кошки).

83. Сел. Лебанскари. «Боселат цихе», 1962.

84. Сел. Муцо. Бролискалос мтаварангелозис джвари (дарбази).

85. Сел. Муцо. Гробница.

86. Сел. Муцо. Гробницы.

87. Сел. Хахабо. Вакис джвари, звонница, 1962 г.

88. Сел. Ахиела. Мтаварангелозис джвари. Главное святилище (дарбази) вместе с кладовой для чанов с пивом (сакоде), 1963 г.

89. Сел. Ахиела. Мтаварангелозис джвари. Место для котлов (саквабе), 1963 г.

90. Сел. Ахиела. Мтаварангелозис джвари. Место для котлов (саквабе), 1963 г.

91. Сер. Ахиела. Мтаварангелозис джвари. «Бахат джварани», Банурани (джачвелис лашкарни).

92. Сел. Ахиела. Джачвели хмелисгорис джвари.

93. Сел. Ахиела. Башня святилища Джачвели хмелисгорис джвари.

94. Архоти. Житница (бегели) или главное святилище (дарбази) Санеба Цролисцверис джвари.

95. Сел. Чимга. Гиорги карисмезоблис джвари.

96. Сел. Чимга. Инвентарь святилища Гиорги карис мезоблис джвари.

97. Сел. Амга. Ркенис джвари при Петре ниагвриспирисаи, место для котлов (саквабе).

98. Сел. Амга. Ркенис джвари или Петре ниагвриспирисаи, житница (бегели), башня для знамен (дрошат сабдзани кошки).

99. Сел. Амга. Иахсар светадчамосулис джвари. Башня для знамен (дрошат сабдзани кошки), тайник (квриви), интерьер житницы.

100. Сел. Амга. Иахсрис джвари, житница.

101. Сел. Амга. Дом Хоганс Минди — Сабекури, 1963 г.

სოფ. გუდანი (ზანუბანი). სოლმრთო გუდანის ჯვარის კომპლექსი, 1962 წ.; 1. სამხრეთ დასავლეთის ფასადი, 2. ბეღელის ჩრდილო დასავლეთის ფასადი.



სოფ. გუდანი (ბენეშახი). საფორტიფიკაციო [illegible]
თულის გეგმა 1. ბელტის [illegible], 2. ბელტი, [illegible] [illegible], 4. [illegible] —
საბერო (ბელტის ქვეშ), 5. ჭერი [illegible] [illegible] [illegible]

სოფ. გუდანი. საღმრთო გუდანის ჯვარი, საქვაბე და სადიასახლისო.

სოფ. გუდანი. სამრეკლო გუდანის ჯვარი, სადიასახლისოს წინ.

5

სოფ. გუდანი. საღმრთო გუდანის ჯვარის დროშები.

[illegible] 26mm ammunition [illegible]



სოფ. გუდანი. ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარის კომპლექსი, 1962 წ.; ხელა —1. ფასადი, 2. გეგმა, კერიები, 3. ფასადი, 4. ზედახედი; თამარის ოშკი, 5. ფასადი, 6. გეგმა; თამარის ოშკი — 7. ფასადი, 8. გეგმა; საზარე ოშკი — 9. ფასადი, 10. გეგმა.



სოფ. გუდანი. ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარის კომპლექსი, 1962 წ. გეგმა—1. საქვაბე, 2. დარბაზი, 3. საკოდე, 4. მთავარი ფასადი.

სოფ. გუდანი. ნახარელა ღვთისმშობლის ეკარი, ადგილისდედა ანუ ეკრიკი.

სოფ. მოწმაო. მთავარანგელოზის ჯვარი, ჯვარის განძი.

სოფ. მოწმაო. მთავარანგელოზის ჯვარი, ჯვარის განძი.

სოფ. მოწმაო. მთავარანგელოზის ჯვარი, ზარი ხეზე.





... სოფ. დათვისი. ღვთისმშობლის ჯვარის კომპლექსი, 1962 წ.; 1. ნაგებობათა განლაგების სქემა (ა—დარბაზი, ბ—ბეღელი, გ—კვრიეი, დ—საზარე, ე—სამწირველო, ვ — ნეკერჩხლის ხე, ზ—იფნის ხე, თ—დარბაზის კარი); დარბაზი — 2. გეგმა, 3. მთავარი ფასადი, 4. გვერდითი ფასადი.









სოფ. დათვისი. ღვთისმშობლის ჯვარის კომპლექსი. ბეღელი — 1. გეგმა, 2. ფასადი; საზარე — 3. გეგმა, 4. ფასადი



სოფ. დათვისი, ღვთისმშობლის ჯვარის კომპლექსი. 1962 წ. საქვაბე — 1. გეგმა, 2. ფასადი; სადობილე — 3. გეგმა, 4. ხედი.



სოფ. გველეთი. მთავარანგელოზის ეკლესია 196. ნ 1 ცალთა ხედი; პირველი სართულის გეგმა 2. ბელლის კარი, 3. ბელელი, 4. სამზარეულო, 5. დარბაზის კარი, 6. დარბაზი, 7. საკოდე, 8. სამწირველი; მეორე სართულის გეგმა — 9. ჭერი.

სოფ. გველეთი. სამნები მთავარანგელოზის ჯვარში.


2
4
1
0
1
2
1
3
R
R

[illegible]









სოფ. ზედაბარისახო. ღვთისმშობლის დარბაზი — 1. გეგმა (ა. წინკარი), 2. ფასადი, 3. ჭრილი; ნაგებობათა განლაგების სქემა — 4. დარბაზი, 5. წინკარი, 6. სასანთლე კოშკი, 7. საწირეს დასაწყობი ქვა, 8. მუხის ხე, 9. ლეკის ხეები, 10. ლუდის ქვაბი, 11. სამწირველო, 12. ორმო.



სოფ. ზედაბარისახო. 1962 წ. ღვთისმშობლის სასანთლე კოშკი—1. გეგმა, 2. მთავარი ფასადი, 3. გვერდითი ფასადი; სამწირველო — 4. გეგმა.



სოფ. ჩირდილი. წმ. გიორგის ჯვარი. 1963 წ დარბაზი — 1. გეგმა, 2. ქარიბანი, 3. ფასადი, 4. ჭრილი; სასანთლე და საზარე კოშკები — 5. გეგმა, 6. ფასადი.



სოფ. ჩირდილი. წმ. გიორგის ჯვარი 1963 წ. საქვაბე — 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი, 4. ფასადის ფრაგმენტი.



სოფ. ჩირდილი. ღვთისმშობლის ჯვარი, 1963 წ. საქვაბე — 1. გეგმა (ა—საქვაბის კარი), 2. ფასადი, 3. ჭრილი; საზარე ოთხკუთხა —4. გეგმა, 5. ფასადი; ნაგებობათა [illegible] სქემა — 6. საქვაბე, 7. დარბაზი [illegible]



სოფ. ჩირდილი. ღვთისმშობლის ჯვარი, 1963 წ. დარბაზი — ბეღელი—გეგმა — 1. საკოდე, 2. ბეღელი, 3. ბეღლის ყარი, 4. სასანთლე ოთხკუთხა, 5. ფასადი, 6. ჭრილი.



სოფ. ბუჩუკურთა. მთავარანგელოზის ჯვარი, 1962 წ. დარბაზი საზარე კოშკით — 1. გეგმა, 2. მთავარი ფასადი, 3. გვერდითი ფასადი; ნაგებობათა განლაგების სქემა — 4. ღვთისმშობლის ჯვარის დარბაზი, 5. კერიები, 6. მთავარანგელოზისა და ღვთისმშობლის ჯვარის საქვაბე. 7. მთავარანგელოზის დარბაზი საზარე კოშკით, 8. კერიები, 9. მთავარანგელოზის კოშკი, 10. კოშკი, 11. მსხლის ხე. 12. თელა, 13. იფანი.









სოფ. ბეჩუკურთა. ღვთისმშობლის ჯვარის კომპლექსი, 1962 წ. დარბაზი — 1. გეგმა, 2. მთავარი ფასადი, 3. გვერდით ფასადი, 4. ჭრილი.



სოფ. ბუჩუკურთა. მთავარანგელოზის და ღვთისმშობლის ჯვარების საქვაბე. 1962 წ.
საქვაბე — 1. გეგმა, 2. მთავარი ფასადი, 3. გვერდითი ფასადი, 4. ჭრილი.



სოფ. უკანახო. ფუძისანგელოზის დარბაზი — 1. მთავარი ფასადი, 2. დარბაზის გვერდითი ფასადი, 3. საკოდის გვერდითი ფასადი, 4. დარბაზის მთავარი კარი, 5. საკოდის ფასადის ქვის ნახატი; ნაგებობათა განლაგების სქემა — 6. ეკლესია, 7. საზარე კოშკი, 8. საკოდე, 9. დარბაზი, 10. დარბაზის კარი, 11. საქვაბე, 12. საქვაბის კარი, 13. სასანთლე, 14. სასაკლაო, 15. მუხის ხეები, 16. ჭერის კარი.



სოფ. უკანახო, ფუძისანგელოზი. დარბაზი და საკოდე, 1963 წ. 1. გეგმა, 2. ჭრილი.



სოფ. უკანახო, ფუძისანგელოზი, ეკლესია და საზარე კოშკი, 1963 წ. 1. გეგმა,
2. ფასადი, 3. ჭრილი.







სოფ. უჯანახო, ფუძისახგელოზი, საქეაბე, 1963 წ. 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი.



33. სოფ. აკუშო, კოპალეს ჯვარი, დარბაზი, 1963 წ. 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი.



სოფ. აკუშო, ბეღელი, 1963 წ. 1. გეგმა, 2. ფასადი, პ. ქრილი.



სოფ. ჭალისოფელი, შუბნურის ჯვარის კომპლექსი, საქვაბე, 1962 წ. 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი.



სოფ. ჭალისოფელი, შუბნურის ჯვარის კომპლექსი, 1962 წ. დარბაზი — 1. გეგმა, (ა—დარ-
ბაზი, ბ — საკოდე), 2. ფასადი; საზარე კოშკი — 3. გეგმა, 4. ფასადი; სამწირველო — 5.
ზედხედი.

სოფ. ჭალისოფელი. შუბნერის ჯვარი, დროშის ტარები, სასანთლე.



სოფ. ჭალაისოფელი. ხევისბერის კვერთხები.



სოფ. ჭალისოფელი. შუბნურის ჯვარი, სასანთლე კოშკი.



ოფ. ბალიოსოფელი, კარტულ ეკლესია კომპლექსი. XIII-XIX ს-ები — 1. გეგმა, 2. ფასადი, სამხრეთ კარიბჭე 3. გეგმა, ფასადი, ფრაგმენტი 5. გეგმა, 6. ფასადი.



სოფ. ჭალისოფელი, კარატეს ჯვარის კომპლესი, 1962 წ. დროშათა საბრძანი კოშკი — 1. ფასადი, 2. გვერდხედი; სასანთლე კოშკი — 3. ფასადი, 4. გვერდხედი; საკეირაო კოშკი — 5. ფასადი, 6. გვერდხედი.







სოფ. ჭალაისოფელი, ყარატეს ჯვარის კომპლექსი 1962 წ. 1. საერთო ხედი; გეგმა—2. დარბაზი, 3. საკოდე, 4. საბერო, 5. ფასადი.



სოფ. ჭალისოფელი, ყარატეს ჯვარი, საქართველო, 1962 წ. 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი
4. ინტერიერი.









სოფ. ჭალაისოფელი, იახსრის ჯვარის კომპლექსი, 1962 წ. საქვაბე — 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი (ა. კულა), დარბაზი, გეგმა — 4 დარბაზი (ა. კერა), 5. საკოდე, 6. საბერო, 7. ფასადი.



სოფ. ჭალაისოფელი. იახსრის ჯვარის კომპლექსი, 1962 წ. თამარის კოშკი — 1. გეგმა, 2. ფასადი; საზარე კოშკი — 3. გეგმა, 4. ფასადი; დობილთ კოშკი — 5. გეგმა, 6. ფასადი; სასანთლე კოშკი — 7 ფასადი, 8. გეერდხედი; სასანთლე კოშკი — 9. გეგმა, 10. ფასადი; დობილთ კოშკი — 11. გეგმა, 12. ფასადი.



სოფ. ჭორმეშავი, ფიცრელის ჯვარი, დარბაზი, 1963 წ. 1. გეგმა, 2. ფასადი.



სოფ. ჭორმეშაკი, 1963 წ. საზარე კოშკი — 1. გეგმა, 2. ფასადი; საწირი — 3. გეგმა, 4. ფასადი, 5. გვერდხედი; ნაგებობათა განლაგების სქემა — 6. დარბაზი, 7. საწოლა, 8. ჭვარის კარი, 9. ძველი საზარე კოშკი, 10. ახალი საზარე კოშკი, 11. საწირი, 12. იფნის ხე.



სოფ. ჭორმეშავი, ფიცრულის ჯვარი, 1963 წ. საწოლა — 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. გეერდ-ხედი, 4. ჭრილი; ძველი საზარე — 5. გეგმა, 6. ფასადი.



სოფ. ბისო, ხახმატის ჯვარი, 1963. წ. საზარე კოშკი — 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი; ნიში — 4. გეგმა, 5. ფასადი, 6. გვერდხედი.





... სოფ. ბისო, ხახმატის ჯვარი, 1963 წ. მწევრის საფლავი—1. გეგმა, 2. ფასადი, 3. გვერდხედი; სამნები — 4. ხედი; ნაგებობათა განლაგების სქემა — 5. მწევრის საფლავი, 6. გალავნის ნანგრევები, 7. სამნები, 8. ყოფილი საზარე, 9. ყოფილი საჯარე.



სოფ. ბისო, ხახმატის ჯვარი. 1963 წ. ქვა № 1 (საქვაბეში), ქვები №№ 2, 3, (დარბაზში).



სოფ. ბისო, ხახმატის ჯვარი, 1963 წ. გეგმა — 1. საქვაბე, 2. დარბაზი, 3. საკოდე; ჭრილები — 4. ჭრილი საქვაბეზე, 5. ჭრილი, დარბაზზე. 6. ჭრილი საკოდეზე.



სოფ. ბისო. ხახმატის ჯვარი, 1963 წ. საქვაბე, დარბაზი, საკოდე—1. ფასადი, 2. საქვაბის ინტერიერი.









სოფ. ხახმატი. ბოსლოვნის ჯვარი. 1963 წ. გეგმა — 1. საქვაბე (ა — საღუდე ქვაბი, ბ.—ქისტური ქვაბი, გ — ვარცლი); 2. დარბაზი (დ — ყვერბი, ე — საწირველი, ვ — სადობილოთ მასანთები), 3. საკოდე რეკონსტრუირებული, 4. ფასადი, 5. ჭრილი საქვაბეზე, 6. ჭრილი დარბაზში



სოფ. ბაცალიგო. პირქუშის ჯვარი. 1963 წ. 1. საქვაბის ინვენტარი; შენობათა განლაგების საერთო გეგმა—2. საქვაბე, 3. საქვაბის კარი, 4. დარბაზი, 5. დარბაზის დარიფანი, 6. დარბაზის კარი, 7. საკლავთ სახოცი, 8. საზარე კოშკი, 9. სიპი ქვის საჯდომები, 10. ცაცხვები, 11. პირქუშის ჯვარის საერთო ხედი.



სოფ. ბაცალიგო. პირქუშის ჯვარი. 1963 წ. საზარე კოშკი — 1. გეგმა, 2. ფასადი; დობილთ კოშკი — 3. გეგმა, 4. ფასადი; დობილთ კოშკი — 5. გეგმა, 6. ფასადი. 7. დობილთ კოშკის საერთო ხედი.



სოფ. ბაცალიგო. პირქუშის ჯვარი. 1963 წ. საქვაბე — 1. გეგმა, 2. მთავარი ფასადი, 3. გვერდითი ფასადი, 4. ჭრილი, 5. საქვაბის კარი.



სოფ. ბაცალიგო. 1. დარბაზი და საქვაბე, 2. საფლავის ძეგლი.



სოფ. ბაცალიგო. პირქუშის ჯვარი, 1963 წ. დარბაზი — 1. გეერდითი ფასადი, 2. ჭრილი; დარბაზი და საზარე — 3. საერთო ხედი.



სოფ. ბაცალიგო. პირქუშის ჯვარი. დარბაზი—1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი, 4. დარბაზის დარიფანი.



სოფ. უკანხადუს ჯვარი. 1963 წ. გეგმა—1. საქვაბე, 2. საკოდე, 3. სახელოსნო, 4. საქვაბის კარი, 5. იფნის ხე, 6. ფასადი, 7. ჭრილი.



62. სოფ. უკანხადუ, 1963 წ. კოშკი — 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. გვერდხედი; საჯარე და საწოლ—4. გეგმა, 5. ფასადი.



სოფ. უკანხადუს ჯვარი, ბეღელი, 1963 წ. 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი.



სოფ. ზეისტეჩო, ზეისტეჩოს ჯვარი, 1963 წ. არაბულების ციხე — 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი; კოშკი — 4. გეგმა, 5. ფასადი, 6. გვერდხედი; ქვრივი — 7. გეგმა, 8. ფასადი; ადგილისდედა — 9. გეგმა; ქამსაწირი ტაბლა — 10. გეგმა, 11. ხედი.



სოფ. ზეისტეჩო. გეგმა — 1. დარბაზი, (ა —საკოდე, ბ —ყვერბი, გ —საკვამე), 2. საქვაბე (დ —ქვაბი, ე —ვარცლი), 3. მთავარი ფასადი, 4. გვერდითი ფასადი, 5. ჭრილი.



სოფ. ზეისტეჩო, ბეღელი, 1963 წ. 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. გვერდითი ფასადი, 4. ჭრილი.



სოფ. ზეისტეჩო. გეგმა — 1. დარბაზი, 2. საკოდე, 3. საქვაბე, 4. ჯვარის ქარი, ხუცესის შესადგომი სასაკლაოსთან, 6. ხელტაბლა, 7. ხელტაბლა.



სოფ. ოროშკა, დიდგორის ჯვარი, 1963 წ. დარბაზი — 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი; ეკლესია — 4. გეგმა, 5. ფასადი.



სოფ. როშკა. დიდგორის ჯვარი. სახელოსნო. 1963 წ. 1. გენგეგმა, 2. გეგმა, 3. ფასადი, 4. ჭრილი.



სოფ. ქმოსტი. თეთრი გიორგის მინდორის ჯვარი. დარბაზი. 1963 წ. 1. გეგმა (ა—კერიები, ბ—სამწირველო), 2. ფასადი, 3. ჭრილი (გ—საკიდელი, დ—საკვამი), 4. ხის ბოძი (ე—ბოძის ყბა), 5. ხის კარი (ვ—საყუნწური, ზ— მკლავი).



სოფ. ქმოსტი. თეთრი გიორგის მინდორის ჯვარი. 1963 წ. კერიები — 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. გვერდხედი. 4. დარბაზისა და კერიების საერთო ხედი, 5. დარბაზის ინტერიერი.

სოფ. როშკა. მთავარანგელოზის ჯვარი, ბელელი.

17a

სოფ. ბლო. მთავარანგელოზის ჯვარი, დროშის ტარები.

სოფ. ბლო. მუხის გიორგის ეკვარი, ღარბაზის კუთხე.

სოფ. ბლო. მთავარანგელოზის ჯვარი, ინვენტარი და ინვენტარის ფრაგმენტი.



სოფ. შატილი. კილდისგორ ზღუდის ანგელოზის ჯვარი. 1. გეგმა (ა—საზარე), 2. საზარეს ფასადი, 3. მთავარანგელოზის ჯვარი, 4. გეგმა, 5. ფასადი.



სოფ. შატილი. გიორგი ბეკენგორ მაბურთალანგელოზის ეკლესია. დარბაზი. 1962 წ.
1. გეგმა (ა—დარბაზის კარი), 2. მთავარი ფასადი, 3. ჭრილი.



სოფ. შატილი. საღმრთო ღვთისმშობლის ჯვარი. 1962 წ. დარბაზი — 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი; საჯარე — 4. გეგმა.



სოფ. შატილი. ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარი. 1962 წ. საზარე — 1. ფასადი, 2. გვერდ-ხედი; კვრიეი —3. გეგმა, 4. ფასადი; ბეკენგორის კოშკი — 5. ფასადი; საფლავის ძეგლი — 6. ფასადი (ა—წარწერა ქვაზე).



სოფ. შატილი. საქვაბე — 1. საერთო ხედი, 2. გეგმა, 3. ფასადი, 4. ჭრილი; შატილის საეხნო — 5. გეგმა, 6. ჭრილი.

სოფ. ქისტანი. ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარი, საზარე, 1962 წ.

სოფ. ჯისტანი. ღვთისმშობლის ტაძარი, XIII საუკუნე. 1962 წ.

სოფ. ღებისყარი. „ბოსელათ ციხე", 1962 წ.



სოფ. მუცო. ბროლისკალოს წმინდა გიორგის ჯვარი. დარბაზი — 1. გეგმა (ა—საჯარე), 2. ფასადი, 3. ჭრილი.

სოფ. ბეგო. აკლდამა.

სოფ. მუცო. აკლდამები.



სოფ. ხახაბო. ეაკის ჯვარნი, 1962 წ. საზარე — 1. გეგმა, 2. ფასადი; კოშკი — 3. გეგმა, 4. მთავარი ფასადი, 5. გვერდითი ფასადი.



სოფ. ახიელა. მთავარანგელოზის ჯვარი. დარბაზი საკოდით. 1963 წ. 1. გეგმა (ა—დარიფანი, ბ—დარბაზის კარი, გ—ორმო), 2. ფასადი, 3. ჭრილი.



სოფ. ახიელა. მთავარანგელოზის ჯვარი, საქვაბე. 1963 წ. 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი, 4. ინტერიერი.



სოფ. ახიელა. მთავარანგელოზის ჯვარი. 1963 წ. ძველი დარბაზი — 1. გეგმა, 2. ფასადი; საბარე კოშკი — 3. გეგმა, 4. ფასადი; კერიები — 5. გეგმა, 6. ფასადი.



სოფ. ახიელა. მთავარანგელოზის ჯვარი, 1. ქვექური, სადიასახლისო და დიასახლისი, 2. ქვექური, საქვევრე—ხედი; საქვევრე — 3. გეგმა, 4. ფასადი, 5. ინტერიერი; ბახათ ჯვარანი — 6. გეგმა, 7. ფასადი, 8. გვერდხედი; ბანურანი (ჯაჰველის ღაშქარნი) — 9. გეგმა, 10. ფასადი, 11. გვერდხედი; საჯარე — 12. გეგმა, 13. ხედი.

სოფ. ახიელა. ჯაჭველი ხმელისგორის ჭვარი.

სოფ. ახიგელა. ქვევრები ხმელთაგორის კომეგ.

არხოტი. სანება ცოლისწვერის ჯვარის ბეღელი ანუ დარბაზი, 1963 წ.

სოფ. ჭიმღა. გიორგი ყარისმეზობლის ჯვარი.

სოფ. ჭიმღა. გიორგი კარისმეზობლის ჯვარის ინვენტარი.



სოფ. ამღა. რკენის ჯვარი ანუ პეტრე ნიაღვრისპირისაი, 1963. წ. საქვაბე — 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი; ნაგებობათა განლაგების სქემა—ა— ბეღელი, ბ—დროშათ საბრძანი კოშკი, გ—საქვაბე, დ— საჯარე



სოფ. ამღა, რკენის ჯვარი ანუ პეტრე ნიაღერისპირისაი. ბეღელი დროშათ საბრძანი კოშკით. 1963 წ. 1. გეგმა (ა—ბეღელი, ბ—საკოდე, გ—დროშათ საბრძანი კოშკი), 2. ფასადი, 3. ირძიერი ჭრილი, 4. განიერი ჭრილი 5. საერთო ხედი



სოფ. ამღა. იახსარ სეეტადჩამოსულის ჯვარი. 1963 წ. ბეღელი — 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. განივი ჭრილი, 4. გრძივი ჭრილი, 5. ინტერიერი; დროშათ საბრძანი კოშკი—6. გეგმა, 7. ფასადი; კვრიეი—8. გეგმა, 9. ფასადი.



სოფ. ამღა. იახსრის ჯვარი. ბეღელი. 1963 წ. 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი, 4. ინ-ტერიერი, 5. ბეღლისა და საზარე კოშკის საერთო ხედი.

2



1



სოფ. ამღა. ხოვაის მინდის სახლი — საბეკური (იხმარება საქვაბედ), 1963 წ. 1. გეგმა,
2. ფასადი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 3
ПРЕДИСЛОВИЕ 5

ხ ე ვ ს უ რ ე თ ი

I. სახევსურეთო ცენტრალური ჯვარ-ხატები

1. სახმთო გუდანის ჯვარი, სოფ. გუდანი, ზენუბანი 7
2. ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარი, სოფ. გუდანი 18

II. სახეობრივ და სასოფლო ჯვარ-ხატები

(პირაქეთი ანუ ბუდე ხევსურეთი)

ა) ა რ ა გ ვ ი ს ხ ე ო ბ ა

1. მთავარანგელოზის ჯვარი, სოფ. მოწმაო 21
2. ღვთისმშობლის ჯვარი, ნაბაკურის ანგელოზისა და ადგილისდედის ჯვარი, სოფ. დათვისი 23
3. მთავარანგელოზის ჯვარი, პირქუშისა და ადგილისდედა ღვთისმშობლის ჯვარი, სოფ. გველეთი 29
4. ღვთისმშობლის ჯვარი სანება ახოს წვერისა, გერგეტის სალოცავი კოშკი, სოფ. ბარისახო 32
5. წმინდა გიორგის ჯვარი და ღვთისმშობლის ჯვარი, სოფ. ჩირდილი . . . 35
6. მთავარანგელოზის ჯვარი, ღვთისმშობლის ჯვარი, ადგილისდედის ჯვარი, სოფ. ბუ-ჩუკურთა 38
7. ფუძისანგელოზის ჯვარი, სოფ. უკანაკო . . 42

ბ) ლ ი ქ ო კ ი ს ხ ე ო ბ ა

1. ჭმალას მთავარანგელოზის ჯვარი, სოფ. ბარისახო (გუდელა) 47
2. ადგილისდედა ლიქოკში . 48
3. ღვთისმშობლის ჯვარი, სოფ. ქობულო 49
4. კოპალას ჯვარი, წმინდა გიორგის ჯვარი, ღვთისმშობლის ჯვარი, სოფ. აკუშო 50
5. შუბნურის წმინდა გიორგის ჯვარი, სოფ. ჭალაისოფელი . 55
6. კარატეს ჯვარი, სოფ. ჭალაისოფელი . . 59
7. იაკსრის ჯვარი, სოფ. ჭალაისოფელი 64

გ) ბ ი ს ო-ხ ა ხ მ ა ტ ი ს ხ ე ო ბ ა

1. შიგან-ჯვარი, ნასოფლარი ჭორმეშავი 66
2. წმ. გიორგის ჯვარი, სოფ. ჭორმეშავი 66
3. ფიცრულის ჯვარი, სოფ. ჭორმეშავი 68
4. წმ. გიორგის ჯვარი, სოფ. კაკმატი 69

5 ჯაკმატის ჯვარის ინვენტარი 70
მესალმე, მეზღვნე, უყმო-ყმა, სამანანულოს კოშკი ჯაკმატის ჯვარში 72
6. გიორგი ბოსლოვნის ჯვარი, სოფ. ჯაკმატი 73
მასალები ჯაკმატის ჯვარის სხვადასხვა საკულტო ძეგლებისა და მათი კულტის შესახებ . . 77

დ) გორშეღმის ხეობა

1. კვირაეს ჯვარი, სოფ. ატაბე . . 80
2. პირქუშის ჯვარი, სოფ. ბაცალიგო . . . 83
3. სანების ჯვარი, სოფ. უკანკადუ 90
4. სოფ. უკანკადუს ადგილისდედა გუნდარი, ქერაულებისა და რკინაულების სალოცავი 94
5. ცროლის ანგელოზის ჯვარი, სოფ. უკანკადუ 95
6. სახმთო ჯვარი, სოფ. ზეისტეჩო . 98

ე) წყალსიქითის ხეობა

1. დიდგორის ჯვარი, სოფ. როშკა (M7) . 103
2. ადგილისდედა ღვთისმშობლის ჯვარი, სოფ. ღელისეაკე 106
3. უნჯის ანგელოზის ჯვარი, სოფ. ღელე . 107
4. თეთრი გიორგი მინდორის ჯვარი, სოფ. ქმოსტი 107
5. მთავარანგელოზის ჯვარი, სოფ. გაღმა-როშკა 109
6. დევთ დედა როშკის გორზე . .110
7. მუხის გიორგის ჯვარი, სოფ. ბლო 112
8. მთავარანგელოზის ჯვარი, სოფ. ბლო 113

III. პირიქითი ანუ მთასიქითი ხევსურეთი

ა) გურო-შატილის მხარე

1. მთავარანგელოზის ჯვარი, სოფ. შატილი 114
2. ანატორის ჯვარი 115
3. სანება, ანუ საღმრთო, სოფ. გურო . 117
4. ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარი, სოფ. კისტანი 118
5. სოფ. ლებაისკარის სალოცავები 123

ბ) მიღმახევი

1. ბროლისკალოს ჯვარი, სოფ. მუცო 124
ხატის საქონელი, ტყე და მამული 126
2. აკლდამები 126
3. სომხოზ წმ. გიორგის ჯვარი, სოფ. არდოტი 129
4. ღვთისმშობლის ჯვარი, სოფ. არდოტი 132
5. დობილნი 136
6. ვაკის ჯვარნი, სოფ. ხახაბო 137
7. ლაშარის ჯვარი, სოფ. ხახაბო . 137
8. თავადი ბეღლისანგელოზის ჯვარი, სოფ. ხახაბო 138
9. გიორგი წყაროთგორულის ჯვარი, სოფ. ხახაბო 139
10. ხახაბოს ადგილისდედა და შეუბარაქოენი 142
11. მთავარანგელოზი—ხონისგორის ჯვარი, სოფ. ხონე 143
12. ხოლიგისწვერის ანგელოზი . 144

გ) არხოტის ხეობა

1. მთავარანგელოზის ჯვარი, სოფ. ახიელა . 145
2. ჯაჰველის გიორგი ქმელისგორისა სოფ. ახიელა 150
3. მარიემწმიდა, სოფ. ახიელა 152
4. მთისვეშაგ („მთიშეშაგ“) წყაროსთავისაი||მთური ჯვარი, სოფ. ახიელა 152
5. ახიელის გვარებისა და მამების საკუთარი სალოცავები . 156
6. კვირიწმიდის წყალშუის ჯვარი . 161
7. კალოთანის სანების ჯვარი . 162
8. გიორგი ქარისმეზობელის ჯვარი, სოფ. ჭიმღა . 164
9. გიგაურების ჯვარი, ახალაურთ კლდე, სოფ. ჭიმღა 164
10. ჭიშველის ჯვარი, სოფ. ჭიმღა 164
11. მიქიელ ქარისმეზობელი . . . 165
12. რკენისჯვარი (პეტრე ნაღვრისპირისაი) ზეზეხატი, სოფ. ამღა . 166
13. სვეტისანგელოზის||იაკსარ სვეტად ჩამოსულის ჯვარი, სოფ. ამღა 168
14. საბეკური 171

დამატებითი მასალები არხოტის ჯვარ-ხატების შესახებ 172

ხევსურეთის სალოცავები 175

Традиционные общественно-культовые памятники горной Восточной Грузии. Резюме. 177

Traditional socio-religious monuments of the georgian mountainous Eastern Georgia. Summary. 179

გამოყენებული ლიტერატურა . . . 181

ტაბულების სია . . 182

Перечень таблиц 185

ტაბულები 189

Таблицы 189

СОДЕРЖАНИЕ

ПРЕДИСЛОВИЕ 5

ХЕВСУРЕТИ

I. ХЕВСУРСКИЕ ЦЕНТРАЛЬНЫЕ СВЯТИЛИЩА

1. Святилище Сагмрто Гуданис джвари (сел. Гудани, Зенубани) 7
2. Святилище Нахарела хвтисмшоблис джвари (сел. Гудани) . 18

II. ОБЩИННЫЕ И СЕЛЬСКИЕ СВЯТИЛИЩА

(Пиракети или Будэ Хевсурети)

а) Арагвское ущелье

1. Святилище Мтаварангелози (сел. Моцмао) 21
2. Святилища Хвтисмшобели, Набакурис Ангелози и Адгилисдеда (сел. Датвиси) 23
3. Святилища Мтаварангелози, Пиркуши и Адгилисдеда Хвтисмшобели (сел. Гвелети) 29
4. Святилище Хвтисмшобели Санеба Ахосцвериса, башня-молельня Гергети (сел. Барисахо) 32
5. Святилища Цминда Гиорги и Хвтисмшобели (сел. Чирдили) . . . 35
6. Святилища Мтаварангелози, Хвтисмшобели, Адгилисдеда (сел. Бучукурта) 38
7. Святилище Пудзисангелози (сел. Уканахо) . . . 42

б) Ликокское ущелье

1. Святилище Хмалас Мтаварангелози (сел. Барисахо, Гудела) 47
2. Святилище Адгилисдеда (сел. Ликоки) . . 48
3. Святилище Хвтисмшобели (сел. Кобуло) 49
4. Святилище Копала, Цминда Гиорги, Хвтисмшобели (сел. Акушо) 50
5. Святилище Шубнурис Цминда Гиорги (сел. Чалаиссопели) . 55
6. Святилище Каратэ (сел. Чалаиссопели) . 59
7. Святилище Иахсари (сел. Чалаиссопели) 64

в) Бисо-Хахматское ущелье

1. Святилище Шиган-джвари (сел. Чормешави) 66
2. Святилище Цминда Гиорги (сел. Чормешави) 66
3. Святилище Пирцулис джвари (сел. Чормешави) 68
4. Святилище Цминда Гиорги (сел. Хахмати) . 69

5. Инвентарь святилища Хахматя 70
Месалме, Мезгвне, укмо-кма, Самананульская башня в Хахматис джвари 72
6. Святилище Гиорги Бословни (сел. Хахмати) 73
Материалы по разным культовым памятникам Святилища Хахмати и их культу 77

г) Горшегмское ущелье

1. Святилище Квирае (сел. Атабэ) . . 80
2. Святилище Пиркуши (сел. Бацалиго) . . . 83
3. Святилище Санебис джвари (сел. Уканхаду) 90
4. Святилище Адгилисдеда Гундари. Молельня Кераули и Ркинаули (сел. Уканхаду) 94
5. Святилище Цролис Ангелози (сел. Уканхаду) . . 95
6. Святилище Сагирто (сел. Зеистечо) . 98

д) Ущелье Цклисикити

1. Святилище Дидгори (сел. Рошка) (М7) . . . 103
2. Святилище Адгилисдеда Хвтисмшобели (сел. Гелисвакэ) 106
3. Святилище Унджис Ангелози (сел. Геле) . . . 107
4. Святилище Тетри Гиорги Миндвриссджвари (сел. Кмости) 107
5. Святилище Мтаварангелози (сел. Гагма-Рошка) . . 109
6. Святилище Девт деда (Рошкис гора) . 110
7. Святилище Мухис Гиорги (сел. Бло) . 112
8. Святилище Мтаварангелози (сел. Бло) 113

III. ПИРИКИТ ИЛИ МТАСИКИТ ХЕВСУРЕТИ

а) Гуро-Шатили

1. Святилище Мтаварангелози (сел. Шатили) 114
2. Святилище Анатори 115
3. Святилище Санеба или Сагирто (сел. Гуро) . 117
4. Святилище Нахарела Хвтисмшобели (сел. Кистани) 118
5. Святилище сел. Лебаискари . 123

б) Мигмахеви

1. Святилище Бролискало (сел. Муцо) 124
Имущество святилища (скот, лес и пахотные земли) 126
2. Гробницы 126
3. Святилище Сомхоз Цминда Гиорги (сел. Ардоти) 129
4. Святилище Хвтисмшобели (сел. Ардоти) . 132
5. Святилище Добилни 136
6. Святилище Вакис джвари (сел. Хахабо) 137
7. Святилище Лашарис джвари (сел. Хахабо) 137
8. Святилище Тавади Беглисангелози (сел. Хахабо) 138
9. Святилище Гиорги Цкарот горули, сел. Хахабо 139
10. Святилища Адгилисдеда и Меубаракоени . 142
11. Мтаварангелози — святилище Хонисгори, сел. Хонэ 143
12. Святилище Холигис Цверис ангелози 144

в) Архотское ущелье

1. Святилище Мтаварангелози, сел. Ахиела . . . 145
2. Святилище Джачвели Гиорги Хмелисгориса, сел. Ахиела 150
3. Святилище Мариемцминда, сел Ахиела 152
4. Святилище Мтисвешаг («Мтишешаг») Цкаростависаи, сел. Ахиела 152
5. Ахиельские молельни и исполняемые в них обычаи 156
6. Квириацмида Цкалшуиский джвари . 161
7. Святилище Калотанис Санеба . . . 162
8. Святилище Гиорги Карисмезобели, сел. Чимга . . 164
9. Святилище Гигауребис джвари, Ахалаурт клдэ, сел. Чимга 164
10. Святилище Чишвелис Джвари сел. Чимга . . 164
11. Святилище Микаэл Карисмезобели 165
12. Святилище Ркени (Петре Нагвриспириса), Зезехати (сел. Амга) . . 166
13. Святилище Светисангелози//Иахсарсветад чамосули джвари (сел. Амга) 168
14. Сабекури 171
Дополнительные материалы о святилищах Архоти 172
Молельни Хевсурети 175
Традиционные общественно-культовые памятники горной Восточной Грузии. Резюме 177
Traditional Socio-religious monuments of the georgian mountainous Eastern Georgia. Summary 179
СПИСОК ИСПОЛЬЗОВАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ 181
ПЕРЕЧЕНЬ ТАБЛИЦ 185
ТАБЛИЦЫ 189

ВЕРА ВАРДЕНОВНА БАРДАВЕЛИДЗЕ

ТРАДИЦИОННЫЕ ОБЩЕСТВЕННО-КУЛЬТОВЫЕ ПАМЯТНИКИ ГОРНОЙ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Том II_1

Хевсурети

(На грузинском языке)

ТБИЛИСИ
1982

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტ. მეც. დოქტ. თ. ოჩიაური,
ისტ. მეც. კანდ. ი. ჭყონია

•

ИБ 1596

გამომცემლობის რედაქტორი ელ. ქაჯაია
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
მხატვარი თ. ალავერდაშვილი
გარეკანის მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ბ. თოფურია

გადაეცა წარმოებას 12. 3. 1981; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 3. 1982;
ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_{16}$, ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 25, 9;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 22,1;
უე 00759; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 971
ფასი 2 მან. 85 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19